

# რ ე ვ ა ზ

# ე პ ა ბ ა ლ ა ბ

## საქართველოს მთავრობის

ოფიციალური ცოდნა

თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, რევაზ მიშველაძის შემოქმედება კარგა-ხანია მსოფლიო ლიტერატურის ორგანულ ნაწილად იქცა.

„საქართველოს მაცნე“ გამოსცემს პროზის დიდოსტატის რევაზ მიშველაძის რჩეულ თხზულებათა ოცდახუთტომეულს.

მკითხველი ამ ტომების წაკითხვისას ადვილად დარწმუნდება, რომ მწერლის უანრულად უალრესად მდიდარ ნაწერებში ჩანს არა მარტო საქართველოს პრობლემები, არამედ ქართული სარკმლიდან დანა-ხული მსოფლიოც.

2013



A handwritten signature in black ink, appearing to read "Rezo Abashvili".

## საქართველოს მთავრობის

ცოდნა  
**XXIII**



გამოცემის „საქართველოს მაცნე“

ISBN 978-9941-16-228-2 (ოცდახუთივე ტომი)  
ISBN 978-9941-16-373-9 (XXIII ტომი)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
საზოგადოებრივ მეცნიერებათა დეპარტამენტი  
კულტუროლოგიის სექტორი

## რევაზ მიშველაძე

# კულტურა და თანამედროვეობა

## კულტუროლოგია

რედაქტორი

მერაბ ცაგარეიშვილი

კომპიუტერული  
უზრუნველყოფა

მავრა ბანცური  
ციალა ძიმისტარიშვილი

სახელმძღვანელო იმ უმაღლესი და საშუალო სასწავლებლებისათ-  
ვის, სადაც კულტუროლოგია ისწავლება.

დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ სტუ-ს საზოგადოებრივ მეც-  
ნიერებათა დეპარტამენტის სასწავლო და სამეცნიერო მეთოდ-  
საბჭოს მიერ (ოქმი №2, 24 თებერვალი, 2012 წ.).

© რევაზ მიშველაძე, რჩეული თაზულებაზო ოცდახუთ ტომად

© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2013

მისამართი: თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. №27

თბილისი  
2013

## შინაარსი

წინამდებარე სახელმძღვანელო იძლევა მოკრძალებულ ცოდნას იმის შესახებ, თუ რა არის კულტურა, რა დანიშნულება აქვს მხატვრულ ნაწარმოებს, მსოფლიო კულტურის რა მწვერვალები უნდა იცოდეს ნებისმიერმა განათლებულმა პიროვნებამ... ამასთან ერთად, ცდილობს გაარკვიოს რა ურთიერთობაშია კულტურა გლობალიზაციასთან, რელიგიასთან და მეცნიერებასთან..

რედაქტორი: პროფ. იგორ კვესელავა  
რეცენზენტები: პროფ. სოსო სიგუა  
პროფ. მურმან თავდიშვილი

უაკ 7(09)(02)

საგნის არსი და ამოცანა .....	8
კულტურის დაბადება და ევოლუცია.....	11
კულტურის დანიშნულება.....	20
შემეცნებითი ღირებულება .....	22
დიდაქტიკური ღირებულება .....	25
მხატვრული ღირებულება.....	28
კულტურის შეფასების პრინციპები .....	35
ლირიკული ნაწარმოების შეფასება.....	43
ეპიკური ნაწარმოების შეფასება.....	57
ქართული კულტურის ადგილი მსოფლიოში .....	70
კულტურა და ეროვნული ფენომენი .....	80
პროფესიონალიზმის საერთაშორისო პრინციპები და	
თანამედროვე კულტურა .....	113
გლობალიზაცია და კულტურა .....	135
მსოფლიო კულტურის მწვერვალები.....	147
კულტურა და თანამედროვეობა.....	171
რწმენის პრობლემები და კულტურა.....	185
კულტურა და სახელმწიფო.....	192
კულტურა და მეცნიერება .....	202
კულტურა და ინტერნეტი.....	212
კულტურის მომავალი.....	225

## საგნის არსი და ამოცანა

ადამიანს მითაუამის დროიდან აზროვნების ორი ფორმა ჩამოუყალიბდა – შემეცნებითი აზროვნება და მხატვრული აზროვნება.

შემეცნებითი აზროვნება გარეგანი თუ შინაგანი სამყაროს შეცნობა-შესწავლაში ეხმარება, ცხოვრების უკეთ მოწყობაში შემწედ ევლინება და თანდათანობით მეცნიერების წარმოშობას უდებს საფუძველს. ამიტომაც შემეცნებით აზროვნებას ზოგჯერ მეცნიერულ აზროვნებასაც უწოდებენ.

თუ შემეცნებითი აზროვნების უნარი მეტ-ნაკლებად ყოველ ადამიანს გააჩინა, მხატვრული აზროვნება აზროვნების უფრო მაღალი საფეხურია და იგი იშვიათად დაბადებით თანდაყოლილ თვისებას წარმოადგენს. მხატვრული აზროვნება ფანტაზის სფეროს განეკუთვნება და მხატვრული სახეებით ანუ წარმოსახვითი, იდუმალი ხილვებით აზროვნებას გულისხმობს.

მართალია, არც ადამიანის განვითარების ადრეულ საფეხურზე და არც ახლა აზროვნების ამ ორ ფორმას შორის მკვეთრად გამყოფ-გამმიჯნავი კედელი არ არსებობს, რადგანაც შემეცნებითი და მხატვრული აზროვნება რაკი ერთიდაიგივე წყაროდან – გონებიდან იღებს სათავეს, ხშირად გადადის ერთმანეთში, მაგრამ ახლა XXI საუკუნეში მეცნიერებათა კონკრეტიზაციის ამ ეტაპზე მაინც უნდა განვასხვავოთ ისინი ერთმანეთისაგან.

შემეცნებითი და მხატვრული აზროვნების შედეგად კაცობრიობის სასიკეთოდ შექმნილ ყოველგვარ მონაპოვარს ცივილიზაციას ვეძახით, მხატვრული აზროვნების შედეგად შექმნილს კი, დროა ერთხელ და სამუდამოდ კულტურა დავარქვათ.

რატომ ასე კატეგორიულად?

იმიტომ რომ, კარგასანია ცივილიზაციას და კულტურას ერთმანეთში ურევენ. ამ ორი სიტყვის ერთმანეთის ნაცვლად ხმარებამ შედეგად ის მოიტანა, რომ კულტურის შემსწავლელ მეცნიერებას – კულტუროლოგიას შინაარსი იმდენად გაუფართოვეს, რომ კონკრეტულად შესასწავლი საგანი აღარ დარჩა.

კულტურაში დებენ საერთოდ ცივილიზაციის შინაარსს და წამდაუწეულ გაიძახიან: „სამარი კულტურა“, „ეთიკური კულ-

ტურა“, „სამედიცინო კულტურა“, „ფიზიკური კულტურა“, „სამინათომოქმედო კულტურა“ და ა.შ.

სინამდვილეში, როგორც აღვნიშნეთ, ცივილიზაცია ფართო, ყოვლისმომცველი ცნებაა და იგი საერთოდ ადამიანის გონების ნაყოფს ჰქვია, კულტურა კი მხატვრული აზროვნების შედეგად შექმნილს. კულტურა ცივილიზაციის ერთი შემადგენელი ნაწილი და კულტურის შემსწავლელ მეცნიერებას კულტოროლოგია ჰქვია.

ამრიგად, ურმის თვლის გამოგონება ცივილიზაციის ფაქტია, ურემზე დაწერილი ლექსი კი კულტურის ნიმუში, ატომის გახლეჩა ცივილიზაციის მონაპოვარია, ფიზიკის მეცნიერებზე შექმნილი მხატვრული ფილმი კი კულტურის სფეროს განეკუთვნება...

რაკიდა მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპმა მეცნიერების ცალკეული დარგების კონკრეტიზაცია მოითხოვა, დროა ჩვენც გამოვავთოთ ჩვენი შესასწავლი სფერო და კულტუროლოგიას ცივილიზაციის ისტორიაში თავისი დაკვირვების კუთხე – მუზათა სამყარო გამოვუყოთ. მითუმეტეს, რომ ამ მიმართულებით საკულევ-საანალიზო უამრავი გვაქვს და „სამკალიც“ ფრიად დიდია.

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ კულტურა საერთოდ, მიუხედავად მისი საკაცობრიო მნიშვნელობისა და დროსა თუ სივრცეში განვითარებული თვისებისა, მაინც კონკრეტული ეპოქის, კონკრეტული ერის მონაპოვარია და იგი ისტორიულ ვითარებასთან, საუკუნის პრობლემებთან მჭიდრო კავშირში უნდა განვიხილოთ.

საქართველო არასოდეს იყო და მითუმეტეს არც ახლაა მსოფლიოსგან იზოლირებული ქვეყანა. ჩვენი ქვეყნის ბედი მტკიცედაა გადაჯაჭვული თანამედროვე გარესამყაროს ბედთან და პრობლემები, რაც მსოფლიოს წინაშე თავსატეხად ქცეულა, ბუნებრივია, საქართველოს ყოფაზეც პოოვებს ყოველდღიურ ასახვას. ამასთან ერთად, გარდა საკაცობრიო პრობლემებისა, ჩვენ ჩვენი სატკივარიც ბლომად გვაქვს; თუნდაც ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების, ეროვნული ფენომენის შენარჩუნების, ეკონომიკის განვითარების და უმუშევრობის პრობლემების ხსენებაც საკმარისია...

რა კავშირშია ყოველივე კულტურის შემსწავლელ მეცნიერებასთან?

უაღრესად მჭიდრო კავშირში გახლავთ და აი რატომ:

ადამიანში დაბადებიდანვე თანაარსებობს კეთილი საწყისი და ბოროტი საწყისი. ცხოვრების პირობები, სოციალური გარემო აძლიერებს ადამიანში ერთ რომელიმე საწყისს და თუ „ბოროტმა სძლია“, ვლებულობთ სულდამახინჯებულ, დეგრადირებულ ადამიანს.

ეროვნულ და საკაცობრიო კულტურასთან ზიარება ხელს უწყობს ჩვენს ფსიქიკაში კეთილი საწყისის გამარჯვებას.

ასე რომ კულტურა ადამიანის სულის აღსაზრდელად გვჭირდება და ამ მხრივ იგი ლამის შეუცვლელი ფენომენია.

ამ წიგნის გადაფურცვლით ჩვენ შევდივართ მსოფლიო კულტურის გრძელეულ საგანძურში და პასუხს გავცემთ ჩვენთვის აქამდე თითქმის უცნობ კითხვებს: რა არის კულტურა? როდის, როგორ და რისთვის იქმნება იგი... დავეუფლებით კულტურის ნიმუშის შეფასების ხელოვნებას, შევეხებით ქართული კულტურის გზას, კულტურას და გლობალიზაციას, კულტურას და რელიგიას, კულტურას და მეცნიერებას და ა. შ.

და რაკიდა კულტურის ფენომენი ეპოქის პრობლემებისგან განცალკევებით არ არსებობს, თითოეულ ზემოთნახსენებ საკითხს შევისწავლით თანამედროვეობის ზოგად და ლოკალურ პრობლემებთან მჭიდრო კავშირში.

## კულტურის დაპადება და ევოლუცია

აზროვნების ორი სახიდან (შემეცნებითი აზროვნება, მხატვრული აზროვნება) შემეცნებითი აზროვნება უფრო ადრე გაჩნდა.

ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, თავი უნდა გადაერჩინა, სარჩო მოპოვებინა და ხვალისთვისაც უნდა შეენახა. თავშესაფარზე და ტანსაცმელზე უნდა ეფიქრა, რომ სიცივით არ მომკვდარიყო.

ბუნებასთან შეების პირველ ნაბიჯებს იმის შეგნება მოჰყვა, როგორ შეიძლებოდა სარჩო-საბადებლის უფრო ადვილად მოპოვება და გამოქვაბულის კლდეში გამოთხრა ძალის ნაკლები დახარჯვით.

ამ ეტაპზე იგი ქვის იარაღის შექმნას იწყებს.

ქვის იარაღიდან ფოლადის ურთულესი შენადნობების და ჩირჩილა ურმიდან ზებგერითი თვითმფრინავების გამოგონებამდე ადამიანის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი შემეცნებითი აზროვნების ზეიმია.

ადამიანი ცხოვრობს გამოქვაბულში, მაგრამ მან არ იცის, როგორ უნდა გაალამაზოს იგი. ადამიანი შემოსილია ცხოველის ტყავით, მაგრამ წარმოდგენა არა აქვს, უფრო მოხდენილად როგორ მოირგოს სამოსი. დადის იგი დაუბანელი, გაბინძურებული, თმა-წვერით და მცირედ მხოლოდ მაშინ გასუფთავდება თუ წვიმაში მოხვდება, ან თევზის დასაჭერად წყალში მოუწევს ჩასვლა. თმა-წვერის უსამველო ზრდას მხოლოდ იმით „უვლის“, რომ კაუქვას აიღებს ხელში და გრძელ თმას ცოტაზე მაინც შეიკრეჭს.

გაივლის პირველყოფილი ყოფის ათასწლეულები და ადამიანს უჩინდება სილამაზის შეგრძნება.

სილამაზის ნიჭი გაადამიანების ყველაზე დიდი ნიშანი იყო. ეს უკვე ნიმნავდა მაიმუნურ-ჯოგურ წარსულზე საბოლოო გამარჯვებას.

მშვენიერების განცდამ მხატვრული აზროვნების ელემენტები გააჩინა.

ადამიანს მოუნდა გამოქვაბულის კედელზე რამე დაეხატა, თიხის ჭურჭელი ორნამენტებით დაემშვენებინა, ემლერა, ეცეკვა.

არცერთი ამ თვისებათაგანი მისი ხორციელი წინაპრისათვის ცნობილი არ იყო.

ვინ იცის მოშინაურებყლი ცხოველები რა გაკვირვებით შესც-ქროდნენ მომღერალ და მოცეკვავე თავიანთ პატრონებს.

თვით გალვიძებული ადამიანიც ვერ ახსნიდა მის არსებაში მომხდარ გარდატეხას - რა იყო ეს, რატომ მოუნდა ლამაზი გა-ნესხვავებინა ულამაზოსგან, მშვენიერი მახინჯისაგან?

ან ხატვის, მღრის და როკვის სურვილმა რატომ შეიპყრო?

მშვენიერებასთან ზიარების იმ პირველყოფილი სურვი-ლისაგან ადამიანი დღემდე ვერ გათავისუფლებულა და ღმერთმა ნუ გაათავისუფლოს.

კულტურა მშვენიერებასთან მიახლოებამ დაბადა.

სილამაზის მოთხოვნილებამ შექმნა მხატვრული აზროვნება.

ყოველივეს, რაც ადამიანს მხატვრული აზროვნების შედეგად შეუქმნია კულტურა ჰქვია.

არავინ იცის ადამიანის განვითარების რა საფეხურზე შეიქმნა კულტურა.

შეიძლება ითქვას, რომ ადამიანმა და კულტურამ ერთმანეთი შექმნეს.

დღეს ადამიანი კულტურასთან ზიარების გარეშე წარ-მოუდგენელია. დღეს კი არა, ადამიანს ადამიანი იმ დროიდან უნდა ეწოდოს, რაც იგი კულტურას ეზიარა.

მეცნიერები კულტურის ნიშნებს გამოქვაბულთა კედლებზე და პირველყოფილ საკულტო როკვა-ზეიმებში ეძებდნენ.

თუ კარგად დააკვირდებით, უძველესი სიმღერები და ცეკვები კულტურის მიერ დარხეული ის ზარებია, რომელთა ექოც პრეის-ტორიული საუკუნეებიდან დღემდე გვწვდება.

თეატრის საწყისებსაც კი ვპოულობთ პირველყოფილი ადა-მიანების მსხვერპლშენირვის ცერემონიებსა და ტოტენჰემურ-რიტუალებში.

ათასწლეულების შემდეგ გუნდური პერსონაჟის უძველესი იერსახე ძველბერძნულ თეატრში ქოროს სახით ცოცხლდება.

კულტურის ჩასახვისა და განვითარების ნიშნებს ამოიკითხავთ დღესაც პირველყოფილ ადამიანთა არა მარტო სადგომ-გამოქვ-აბულებსა და სამარხებში, არამედ თანამდროვე აფრიკასა თუ ავსტრალიაში მცხოვრები ე.ნ. დაბალგანვითარებული ტომების ცხოვრებაშიც.

ეს ჩვენ ვეძახით „დაბალგანვითარებულებს“, მაგრამ დააკვირ-დით თვისუფლების რა ხარისხით გამოირჩევიან; რა რიტუალები აქვთ, რა ტანსაცმელი, რა ტატუირება, რა მხატვრობა...

კულტურა ცვალებადობას განიცდის ცივილიზაციის განვითა-რებასთან ერთად, მაგრამ იგი არასოდეს ტოვებს ადამიანს.

კულტურა საოცრად მდგრადი ფენომენია. მაშინაც კი, როცა მისი შემქმნელი ხალხი კვდება, მატერიალური კულტურა სამუ-დამოდ რჩება, ხოლო სულიერი კულტურის ზოგი ნიმუში შეიძლე-ბა სხვა ერის კუთხით იქცეს.

რისთვის დაისაჭიროვა ადამიანმა კულტურა?

მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ მასში დასაბამიდან ჩაბუდებული კეთილი და ბოროტი საწყისიდან კეთილის გა-ძლიერებისათვის დაედო სათავე.

ჭეშმარიტი კულტურა მხოლოდ და მხოლოდ სიკეთისა და ჰუმანიზმის მქადაგებელი უნდა იყოს.

არის თუ არა ჭეშმარიტი კულტურა ის, რაც ავადმყოფური გონების ნაყოფია?

ხდება თუ არა ანტიჰუმანური, გაუკულმართებული აზ-როვნებით შექმნილი ე.ნ. „მხატვრული ქმნილება ზოგჯერ პოპუ-ლარული“?

ხდება, მაგრამ დროებით.

იქმნება, როგორ არ იქმნება დღესც რევანშისტული ქვე-ტექსტებით დაზუზლული ნაწარმოებები, ჰომოსექსუალური და ლესბოსური ურთიერთობების მქადაგებელი „თხზულებანი“, პორნოგრაფიული ფილმები... იქმნება, მაგრამ ისინი კულტურის არენას მხოლოდ სახელდახელოდ, საორდლისოდ იპყრობენ და ადრედამალე გაქრობა ელით.

ეპოქათა ცვალებადობის კვალდაკვალ კულტურას, რა თქმა უნდა, აქვს ზიგზაგები. ზოგჯერ ადამიანის გონებას დიდი ის-ტორიული ძვრები მიიპყრობენ და მაშინ ნაწილობრივ სუსტდება ყურადღება ჭეშმარიტი კულტურის მიმართ.

... და ასეთ დროს გამოტყვერება ანდაზა: „როცა ქვემეხები გუგუნებენ, მუზები სდეუმან“.

ეს მცდარი ანდაზა. ისტორიამ იცის არაერთი მაგალითი იმი-სა, რომ სწორედ დიდი ისტორიული კატაკლიზმების დროს მუ-

ზებმა აიძულეს „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ ყური დაეგდოთ კულტურის სანაღმართო მოწოდებისთვის.

და მაინც, როგორ დაიბადა კულტურა?

ჩვენ უკვე ვიცით, რომ მხატვრული ნაწარმოები არის ხელოვნების ქმნილება, რომელიც იქმნება მხატვრული აზროვნების, ანუ მხატვრული შთაგონების, შედეგად. როდესაც ადამიანი მხატვრულ ნაწარმოებს ქმნის, (საუბარია ჭეშმარიტ მხატვრულ ნაწარმოებზე და არა ხელოვნების ყალბ ნიმუშებზე), მაშინ მშვენიერებას ეზიარება. მშვენიერებისაკენ ადამიანის ბუნებრივი მიღრეკილება არის მიზეზთა მიზეზი ხელოვნების ნაწარმოების შექმნისა.

ადამიანი ცხოველთა სამყაროსაგან აზროვნების უნარით გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ ცხოველები ზოგჯერ სამყაროსთან შეგუების და თავიანთი ცხოვრების ამ გზით მოწერიების არაჩვეულებრივ უნარს ამჟღავნებენ, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ამ შემთხვევაში მათ საქციელს ინსტინქტი განაგებს და არა აზროვნება. მაგალითად, განცციფრებას იწვევს პანაწინა მწერის, ფუტკრის, ქმედებანი, მისი საოცარი უნარი არა მარტო ყვავილთა მტვრის შეგროვების და ამ მტვრის თაფლად გარდაქმნისა, არამედ ფიქის გაკეთების საიდუმლოება და საოცარი სიმწყობრე, წესრიგი და სისუფთავე, რითაც ფუტკრის სკა ხასიათდება. ასევე უცნაურია მერცხლის მიერ ბუდის გაკეთების ოსტატობა და ის განსაკუთრებული წესრიგი, რომლის ძალითაც დედა მერცხალი და მამა მერცხალი ბარტყებს მხოლოდ მორიგეობით აწვდიან საკვებს. მაშინ როცა 5 და 6 წლის ბავშვსაც ძლივს ვასნავლით ელემენტარულ ჰიგიენას, ამ დროს პატარა შეუბუმბლავ ბარტყს საოცარი ინსტინქტი აქვს. ბარტყი ბუდეში არ ასკინტლავს. ასევე საოცარია ნებისმიერი სხვა რამ: სირაქლემას მიერ თავისი შვილის ტარება, ლომების მიერ შვილების აღზრდა, განსაკუთრებით სწავლების პროცესი. საინტერესოა, საიდან აქვთ მათ ეს თვისებები? გინახავთ, როგორ ასწავლის კატა თავის შვილს თაგვის დაჭერას, სისუფთავეს და სხვ. მიუხედავად ამისა, ამბობენ, რომ ყოველივე ეს აზროვნება კი არ არის, არამედ ცხოველური ინსტინქტია, გადარჩენისკენ მიმართული.

შემეცნებითი, ანუ მეცნიერული, აზროვნება მხატვრულთან შედარებით უფრო დაბალი საფეხურია. იგი პირდაპირ „ფარდ-

ბითობის თეორიის შექმნით“ არ იწყება, არამედ შემეცნებითი აზროვნების პირველი ნიშნები იქედან მოდის, როცა ადამიანმა ქვის იარაღის გამოყენება დაიწყო და ცეცხლის გაჩენა ისწავლა.

თქვენ წარმოიდგინეთ, ცხოველს, თუნდაც ყველაზე განვითარებულს, აზროვნების უნარი არ აღმოაჩნდა. მაიმუნს ელემენტარული იარაღის გაკეთებაც არ შეუძლია. მაიმუნს იმის ნიჭიც არა აქვს, რომ რაიმეს გასაჭრელად ან გასატეხად ქვების გროვიდან ყველაზე ბასრი ქვა ამოარჩიოს. უამრავმა ექსპერიმენტმა დაამტკიცა, რომ მაიმუნის გონება ზოგ შემთხვევაში ანატომიურად ადამიანისაგან დიდად დაშორებული ძალლის ან სელაპის გონებასაც კი ჩამორჩება. ძალლი მიწოდებულ პურს ხშირად, თუ მშიერი არ არის, წაიღებს და მიწაში დამარხავს. მაიმუნი კი გასკდება ჭამით და სახვალიოდ არაფერს შეინახავს.

როდესაც მაიმუნს გალიაში ჩამოუკიდეს ძეხვი, რომელსაც ვერ სწვდებოდა, იმდენი კი მოიფიქრა, რომ ერთი ყუთი დადო, რომ ვერ მისწვდა, მაშინ მეორეც დადო, მაგრამ, კიდევ რომ ვერ მიწვდა, ვერაფრით მოისაზრა, მესამეც მოეტანა. მან სამივე ყუთი მიყარ-მოყარა და თავად დაიწყო მისი ჩამოგდების მცდელობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას აზროვნება არ გააჩნია.

აზროვნების უმაღლესი სახე, რაც ხელოვნების შექმნის საფუძველს წარმოადგენს, არის მხატვრული აზროვნება.

ასე რომ, შემეცნებითი, ანუ მეცნიერული, აზროვნება ადამიანის მიერ სამყაროს შეცნობის სურვილია, რაც პრიმიტიული ფორმით არსებობდა ადამიანის განვითარების დაბალ საფეხურზე, მხატვრული აზროვნება კი ერთეულთა ხვედრია და პირდაპირ უკავშირდება ადამიანის უნარს – მშვენიერებას გაუღის კარი. ისე, როგორც შექმნა მშვენიერებისა, ანუ მისი სამსახური, ასევე ნანილობრივ მშვენიერების, ანუ ხელოვნების, ნაწარმოების აღქმა განსაკუთრებულ ნიჭს მოითხოვს. ესთეტიკოსები ხშირად სვამენ კითხვას: საიდან მოდის ცხოველთა თვისება – გაიღამაზონ თავი. კატა ხომ გულმოდგინედ ისუფთავებს სახესა თუ ტანს? რა არის შაშვის, ბულბულის გალობა, თუ არა ხელოვნების ფაქტი? და ა. შ. როგორც აღვნიშნეთ, ყველაფერი, რასაც ცხოველთა და ფრინველთა სამყაროში ჩვენ გაპიროვნების შედეგად ხელოვნებას ვუკავშირებთ, უბრალო ბიოლოგიური ინსტინქტია

და სხვა არაფერი. ბულბული გალობს მერკანტილური სურვილით: ესაა სანინააღმდეგო სქესის ბულბულის მოტყუება ახლოს, უმთავრესად, გამრავლების პერიოდში. სილამაზის შვენიერების შეგრძნების უნარი ცხოველებსა და ფრინველებს არ გააჩნიათ. ფარშევანგმა არ იცის, რომ ის ლამაზია. ცხოველებმა არასოდეს იციან, რომ ერთი შეიძლება იყოს მეორეზე უფრო ლამაზი. ეს არის მხოლოდ ადამიანთა თვისება. ადამიანი სწორედ მაშინ დაიბადა ადამიანად, როდესაც მან სამუდამოდ დაუქნია ხელი ცხოველთა სამყაროს (ეს პირობითი ამბავია, რადგან, მიუხედავად ჩვენი ბიოლოგიურად მსგავსებისა ცხოველებთან, ადამიანს უამრავი განსხვავებული შეგრძნება აქვს) და აზროვნების აღმართს შეუდგა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ შემეცნებითი აზროვნება, სამყაროს შეცნობის, ცხოვრების უკეთ მოწყობის, ანუ არსებობისათვის ბრძოლის, საჭიროებამ ნარმოშვა, მაგრამ რამ ნარმოშვა ხელოვნება? რატომ ხატავებ, მღერიან? ხომ უაზრობაა ამტკიცო, რომ ლექსის წერა ან სიმღერა შიმშილის გრძნობას დააკმაყოფილებს ან ლამაზად მოხატულ ჭურჭელში უფრო ცივად ინახება წყალი, ვიდრე უბრალოში. მაში, რა არის ე.ნ. მეორე და უმაღლესი გრძნობა, რომელიც ადამიანს ლექსს აწერინებს? ამაზე საუკუნეების განმავლობაში თავს იმტკრევდნენ ფილოსოფოსები, მაგრამ ვერ ამოქსნათ; მართლაცდა, რამ შექმნა ეგვიპტის პირამიდები, ზევსის ქანდაკება, სფინქსი, პართენონი, პარიზის ლვთისმშობლის ტაძარი ან სვეტიცხოველი, ფილიასის ქანდაკებები. ბევრი ამ პრობლემას რელიგიას უკავშირებდა და ამბობდა, რომ ხელოვნების ქურუმად ღმერთი აჩენს, განაწესდს ადამიანსო. ამის გამართლება შეიძლებოდა, მით უმეტეს, რომ ხელოვნების ნიჭი, მართლაც, გამორჩეულ ადამიანთა ხვედრია. ზოგი გულუბრყვილო ფილოსოფოსი ხელოვნების ნაწარმოების შექმნას სინამდვილის მიბაძვის სურვილით, ხოლო ზოგი კი განსაკუთრებული ნებისყოფის ძალით ხსნიდა, თითქოსდა, თუ ნებისყოფას დაძაბავ და ივარჯიშებ, შეგიძლია, თურმე, შექმნა მიქელანჯელოს „დავით“ ან ლეონარდოს „მონა ლიზა“. მარქსისტული, ანუ საბჭოთა, ესთეტიკა კი ხელოვნების საიდუმლოებათა შეცნობის გზაზე უფრო „შორს წავიდა“. ლექსი ნარმოიშვა – ამბობს მარქსიზმი, – იმ საჭიროების გამო, რაც რიტმიანობას უკავშირდება. კერ-

ძოდ, რიტმისა და რითმის ყალიბში მოქცეულ ცნებებს ადამიანი უფრო ადვილად სწავლობს და იმახსოვრებს.

ვიმეორებ, ხელოვნება ადამიანის თანდაყოლილი ნიჭის შედეგია, ნიჭისა, რომელსაც მშვენიერებასთან ზიარება ჰქვია. ხელოვნების სამსახური დილიდანვე იწყება, როცა სარკეში იცქირები და ცდილობ, თავი ისე მოიწერივო, რომ ლამაზად გამოიყურებოდე. ასევე ხელოვნებასთან წილნაყარია ადამიანთა სურვილი – ზეპრაბივით ერთმანეთს არ დაემსგავსონ და განსხვავებულად ეცვათ. სასიამოვნო მოსაუბრე იყვნენ, ლამაზად დადიოდნენ. ეს არის პრიმიტიული, მაგრამ მაინც ხელოვნებასთან ადამიანის დაკავშირება. მერე კი მოდის დიდი, ანუ ჭეშმარიტი, ხელოვნება. ადამიანები ყოველთვის ცდილობენ, ნიჭიერ შემოქმედთ აუნყონ ფეხი, მათ წაბაძონ, დაუახლოვდნენ, ამიტომ ჭეშმარიტი ხელოვანის ირგვლივ ჩნდება ეპიგონთა, ანუ წამბაძველთა, მრავალრიცხოვანი არმია. ხელოვანთა თანამგზავრები ძალიან ენერგიულნი არიან. ისინი ხანდახან ისე უფლებიან ლექსის წერის ტექნიკას, რომ გულუბრყვილო მკითხველს თავს პოეტად მოაჩვენებენ. ისინი ასევე საქმეში ჩაუხედავი ან ცრუპენტელა ხელოვნებათმცოდნის წყალობით გამოიგონებენ რაღაც ახალ „იზმს“ და ფერწერულ სუროგატს შეასალებენ დროებით საზოგადოებას, მაგრამ ჭეშმარიტმა ესთეტიკა კარგად იცის „მონა ლიზას“ ლიმილის ფასი და პოეტის მარადიული სიდიადე. იგი ადვილად არჩევს ერთმანეთისაგან მიქელანჯელოს ფუნჯის მოსმას და რომელიმე, თუნდაც მაღალნიჭიერი, მიმბაძველის ნამუშევარსაც.

თუ ცხოველს აზროვნების უნარი არა აქვს, მაშინ როგორ ხდება, რომ ერთმანეთისაგან არჩევს მომწამლავ და ყუათიან საკვებს? როგორ ასრულებს ცხოველი ისეთ ურთულეს ოპერაციას, როგორიცაა შვილის აღზრდა? თუ ცხოველი არ აზროვნებს, როგორ აქვს ზოგიერთ მათგანს, ვთქვათ, მელიას, ქურდობის ნიჭი? ეს ყველაფერი არის არა აზროვნება, არამედ, ვიმეორებ, ინსტინქტი, რაც ცხოველში გენეტიკური კოდის სახით არის ჩადებული. ცხოველს არ აქვს შემოქმედებითი უნარი, ელემენტარული იარაღის გაკეთების საშუალება, არადა, აზროვნება მხოლოდ და მხოლოდ იარაღის გაკეთებით იწყება.

მხატვრული აზროვნება მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს ახასიათებს. ეს არის სილამაზის აღ-

ქმისა და მშვენიერების შექმნის განსაკუთრებული უნარი. როდე-საც მხატვრულ ნაწარმოებს ქმნის, ადამიანი ახალ ჰარმონიას ქმნის, მშვენიერების ახალ სამყაროს ქმნის. შოთა ნიშნიანიძე ამ-ბობს: „როცა ლექსს ვწერ, ღმერთს ვუტოლდებიო“.

ესე იგი, მშვენიერებით ტკბობისა და მშვენიერების შექმნის უნარი ახასიათებს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანს, დიახ, ერთხ-ელ კიდევ ვიმეორებ, ფარშევანგი და ზეპრა ხომ ლამაზია, ზღა-პრულად ლამაზი, მაგრამ არც ფარშევანგსა და არც ზეპრას სი-ლამაზის შეგრძნების უნარი არ გააჩნია. ვერასოდეს ვერ გაიგებს ერთი ძროხა, რომ მეორეზე ლამაზი შეიძლება იყოს.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ხელოვნების, ანუ მხატვრული, ნა-წარმოები იქმნება მხატვრული აზროვნების შედეგად, ადამიანის იმ იშვიათი ნიჭის წაყლობით, რასაც ხელოვნების შექმნის, ანუ მშვენიერებასთან ზიარების, უნარი ჰქვია. ეს უნარი თითქმის ყველა ადამიანს აქვს, მხატვრული აზროვნება მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანს ახასიათებს, ელემენტარული ნახატის შექმნა, ელემენტარული ცეკვა და სიმღერა თითქმის ყველას შეუძლია, მაგრამ ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოების შექმნის ნიჭი იშ-ვიათზე იშვიათია.

მაგალითად, ქართულმა მწერლობამ მთელი თავისი მრავალ-საუკუნოვანი არსებობის მანძილზე რამდენიმე გენიოსი იცის: შოთა რუსთველი, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, შოთა ნიშნიანიძე...

ადამიანთა შორის, სამწუხაროდ, სილამაზის შეფასების, შეც-ნობის უნარიც არათანაბრად გაანაწილა ბუნებამ. მართალია, ყველას აქვს პრეტენზია, ერკვეოდეს ხელოვნების ნაწარმოებში, აფასებდეს ნახატს, ლექსს, კინოფილმს, მაგრამ, სამწუხაროდ, უმეტესობის დამოკიდებულება ხელოვნებისადმი ცხოველის დამოკიდებულებაზე ოდნავ უკეთესია; ძალიან შორია და ხშირად დახლართულია მშვენიერებასთან მისასვლელი გზები.

შეუძლია თუ არა ადამიანს, აღზრდის შედეგად მშვენიერების გრძნობა დახვეწოს? შეუძლია, მაგრამ ნაწილობრივ. შეიძლება, ადამიანი ეზიაროს ელემენტარულ ესთეტიკას, მაგრამ ხელოვანს მხოლოდ თანდაყოლილი ნიჭი ნარმოაჩნის.

კაცობრიობამ თავისი არსებობის მანძილზე რამდენიმეჯერ იცვალა იერი. იცვლებოდა ადამიანი, ვითარდებოდა ტექნიკა, იქმნებოდა ახალი სახელმწიფოები და ერები, მაგრამ მუდმივი რჩეოდა მშვენიერებისადმი ადამიანის დამოკიდებულება. ადა-მიანს ძველებურად აღელვებდა კარგი ლექსი, ლაზათიანი ნახა-ტი, ტემპერამენტიანი ცეკვა და ტკბილი სიმღერა. ვინ ის პირველი კაცი, რომელმაც პირველყოფილი ზამთრის ძილისაგან გამოღვიძებულმა დაიმღერა, პირველმა ცეკვა, პირველმა მი-ახატა გამოქვაბულის კედელს ნახატი, რომელიც დღემდე ხიბ-ლავს კაცობრიობას და ზოგჯერ სფინქსისებურად ამოუცნობია? მეცნიერება საუკუნეების განმავლობაში ცდილობს ამის ახსნას. იყო ხელოვნების წარმოშობის მიზეზზე სხვადასხვა თეორია, მათ შორის, როგორც მოგახსენეთ, ყველაზე ორიგინალური, თავი-სი ორიგინალურობით არასწორი იყო ხელოვნების წარმოშობის მარქსისტული, ანუ საბჭოური, თეორია.

როგორც აღვნიშნეთ, ხელოვნების წარმოშობის მიზეზი და დანიშნულება სრულიადაც არ არის პრაქტიკული საჭიროება. ასე რომ, მარქსისტული ესთეტიკა თითქმის ასი წლის განმავ-ლობაში ატყუებდა მსოფლიოს, თითქოს სიმღერა წარმოიშვა შორ მანძილზე აზრის გადაცემისათვის, – ცეკვა – ადამიანის სანადიროდ მომზადებისა და საჭმლის მონელებისათვის, ხოლო კერამიკული მხატვრობა – მხოლოდ იმისათვის, რომ ადამიანს თავისი ჯამ-ჭურჭელი სხვისაგან განესხვავებინა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანი იბადება მშვენი-ერების გრძნობით და მშვენიერების, სილამაზის შეგრძნება მხო-ლოდ ადამიანს აქვს.

ხელოვნება წარმოიშვა ადამიანის სურვილით, შეექმნა მშვე-ნიერება, მიებაძა სამყაროსათვის და ამ არტისტული მიბაძვით, ანუ სახეობრივი აზროვნებით, შეექმნა მშვენიერების ნიმუში.

ადამიანის გაჩენიდან უნდა გაევლო ათასწლეულებს, რათა ხელოვნება დაბადებულიყო. ხელოვნების დაბადებიდან კვლავ უნდა გაევლო ათასწლეულებს, რომ დაბადებულიყო მეცნიერება ხელოვნების შესახებ, ანუ ესთეტიკა. ესთეტიკა ხელოვნების შე-ფასების პრინციპებს შეისწავლის. იგი ერთ-ერთი ურთულესი და უზუსტესი მეცნიერებაა.

## კულტურის დაცვულება

კულტურას ბადებს მხოლოდდამხოლოდ ადამიანის საოცარი თვისება – სილამაზის შექმნისა და აღქმის უნარი. ადამიანი რომ ცეკვავს, იგი სიმშვენიერის ხატს ქმნის და სიმშვენიერეს ემსახურება. მოცეკვავეს სურს, ყველაზე ლამაზი ილეთი გააკეთოს და გრაციული იყოს სცენაზე, რათა ყველაზე მეტად დაუახლოვდეს მშვენიერებას. მხატვარი ცდილობს, თავისი ფუნჯითა და საჭრეთლით სინამდვილისაგან შექმნას მშვენიერება. სრულყოფილება მშვენიერებით გამოხატული – ეს არის ხელოვნების დანიშნულება. ამრიგად, როცა ადამიანი მღერის, მშვენიერებას ქმნის და მით უფრო ბედნიერია, რაც უფრო მეტად აღწევს სრულყოფილებას. ჩვენ ხელთა გვაქვს მხატვრული შემოქმედების პროდუქტი: ლექსი, მოთხრობა, რომანი, კინოფილმი, სპექტაკლი, მუსიკა, ნახატი, ქანდაკება და ო. შ. რაკი ხელოვნების ეს დარგები არსებობენ, სრულიად ბუნებრივია, რომ მათ თავიანთი დანიშნულება აქვს.

როცა ადამიანი ხელოვნების ნიმუშსა ქმნიდა, იგი არ ფიქრობდა, რისთვის დასჭირდებოდა ან რად გამოადგებოდა ხელოვნება. ძალიან დიდხანს მღეროდა, ცეკვავდა ან ხატავდა ადამიანი, სანამ იმის შესახებ დაფიქრდებოდა, რატომ ვხატავ, ვცეკვავ, ვმღერიო. ამ დაფიქრებამ წარმოშვა მეცნიერება ხელოვნების შესახებ. მეცნიერება – ეს უკვე ანალიტიკური აზროვნებაა, რომელიც ხელოვნებას გამორიცხავს. ხელოვნების ნაწარმოების შექმნის დროს ექსტაზში, ანუ მუზის ზეგავლენის ქვეშ, მყოფი ადამიანი მეცნიერულად ვერ იაზროვნებს, ისე, როგორც არ შეიძლება პეპელას ფრთხების მოხატულობის შესწავლა, როდესაც იგი ფრინავს. პეპელა უნდა დაჯდეს, რომ დააკვირდე, როგორ აქვს ფრთხები მოხატული. ამიტომაც მეცნიერული ანალიზი მოვიდა იმის შემდეგ, რაც ადამიანს გაუჩნდა სურვილი – აეხსნა ხელოვნების რაობა, ფუნქცია და აი, დიდი განსჯისა და კამათის შემდეგ მეცნიერებამ დაადგინა, რომ არსებობს ხელოვნების სამი ფუნქცია: 1. შემეცნებითი ფუნქცია, 2. აღმზრდელობითი ფუნქცია, 3. ესთეტიკური ფუნქცია.

ხელოვნების ყოველ ჭეშმარიტ ნაწარმოებს ეს სამი ფუნქცია

უნდა ჰქონდეს. თუ ხელოვნების რომელიმე ნაწარმოებს აქვს მხოლოდ შემეცნებითი და დიდაქტიკური ფუნქცია და არ ჩარჩინია ესთეტიკური, ასეთი ნაწარმოები სრულყოფილად არ ჩაითვლება. შემეცნებითი და აღმზრდელობითი ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერ სამეცნიერო სტატიას, მაგრამ იგი, რა თქმა უნდა, ხელოვნების ნიმუში არ იქნება. თუ ნაწარმოებს აქვს შემეცნებითი და ესთეტიკური ფუნქცია და არა აქვს დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ღირებულება, არც ის იქნება ხელოვნების სრულყოფილი ნიმუში. ყველაზე სუსტმა რომანმაც კი მკითხველს რაღაც უნდა მასწავლოს, რაღაც ახალი უნდა მითხრას, ისეთ რამეზე გამამახვილებინოს ყურადღება, რაზეც მე არასდროს მიფიქრია. ამიტომ აღმზრდელობითი ფუნქციის გარეშე ხელოვნება არ არსებობს.

ამრიგად, ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოებს უნდა ჰქონდეს ზემოხსენებული სამი ფუნქცია. ზოგიერთი მეცნიერი თვლიდა, რომ ხელოვნებას არ ევალება ადამიანის აღზრდა, მას ერთადერთი დანიშნულება აქვს: მიანიჭოს ადამიანს სიამოვნება. საფუძველშივე მცდარია ხელოვნების დანიშნულების დაყვანა მხოლოდ ესთეტიკურ ფუნქციაზე. მაში, რა ვუყოთ ისეთ წიგნებს, რომელთაც ადამიანთა მთელი თაობები აღზარდეს, განა რუსთველს ექნებოდა ის ღირებულება, რაც მას ქართველი კაცის შემეცნებაში გააჩნია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ იყოს მარტომდენ რითმებისა და ლამაზი ფრაზების წიგნი და არ ასწავლიდეს ადამიანებს სიკეთეს, მეგობრობას, პატრიოტიზმს, კაცომოვარეობას და ბედნიერების მოპოვებისათვის ბრძოლას?

გარდა ამისა, ყოველი ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები რაღაცას გვასწავლის, რაღაც ცოდნას – ინფორმაციას გვაწვდის. არა მარტო ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც თავისი ეპოქის შესახებ უძირფასეს ისტორიულ ცნობებს შეიცავს, უპირველესი მხატვრობის პრიმიტიული ნიმუშები და უძველესი ქანდაკებებიც კი გარკვეულ ცოდნას გვაძლევენ თავიანთი ეპოქის შესახებ. მაგ.: ძველ პაპირუსებზე დახატული ეგვიპტური ჩანახატები ინფორმაციას გვაძლევენ იმის შესახებ, თუ რა ეცვა ადამიანს ტანსა და ფეხზე 4-5 ათასი წლის წინათ ფოთის ამსახველი ჩანახატები ისტორიკოსებს ასწავლიან, რა იარაღი ეპყრათ ხელთ ძველ ეგვიპტელებს. ანტიკური ქანდაკებები

მარტო ძველ ტანსაცმელზე კი არ გვაძლევენ წარმოდგენას, არა-  
მედ ანთროპოლოგიურ და ანატომიურ მონაცემებსაც გვაწვდიან.

რაც შეხება ლიტერატურას, თუ რამ ვიცით ჩვენ ძველი  
მსოფლიოს ისტორიის შესახებ, ძირითადად ვიცით მხატვრული  
ლიტერატურიდან, არქეოლოგიდან და მემატიანეთა ძუნწი  
ჩანაწერებიდან. უკანასკნელთა ერთი ნაწილი კი თავისი ტენ-  
დენციურობის გამო არცთუ ბოლომდე სანდოა. ძველი ჰინდური  
ეპოსი „მაჰაბჰარატა“ და „რამაიანა“, უმთავრესი ანტიკური ლიტ-  
ერატურა – თავისი ჰომეროსით, სოფოკლეთი და ევრიპიდეთი –  
ძვირფას ცნობებს შეიცავენ ათასწლეულების მიღმა მცხოვრებ  
ადამიანთა ყოფის, აზროვნების მასშტაბების, ურთიერთდა-  
მოკიდებულების შესახებ.

### შემეცნებითი ლირებულება

მხატვრული ნაწარმოები, თუ ჭეშმარიტი მხატვრის მიერ  
არის შექმნილი, ისტორიკოსებისათვის საიმედო წყაროა ეპო-  
ქის სინამდვილის შესაცნობად. გაქრა ჰომეროსის დროინდელი  
საბერძნეთი, მაგრამ რამოდენა ცოდნას გვაძლევს „ილიადა“ და  
„ოდისეა“ ანტიკური საბერძნეთის დროინდელი ტანსაცმლის,  
ადამიანთა შორის სიყვარულის, ურთიერთობების, თვით საკვები-  
სა და ხომალდთა მოწყობის, ხომალდთა კატალოგის შესახებაც  
კი. აღარ არის შემონახული ისტორიული ცნობები თავით მიღმი-  
დონდელი საბერძნეთის შესახებ, მაგრამ უკვდავი ბერძენი  
ტრაგიკოსი დღევანდელ მკითხველსაც კი აძლევს ცოდნას თავი-  
თ დროინდელი საზოგადოების მორალური მხარის შესახებ.  
თქვენ იცით პირველი ქართული კლასიკური ძეგლის, „შუშანიკის  
წამების“, შემეცნებითი ლირებულება, ანუ ის ცოდნა, რომელსაც  
გვაძლევს 1500 წლის წინათ დაწერილი ნაწარმოები თავისი  
დროის შესახებ.

V საუკუნეზე ქართველ ისტორიკოსებს ცნობები არ შემოუ-  
ნახავთ. ერთადერთი წყარო, რომელმაც უნდა მოგვაწოდოს ფაქ-  
ტები V საუკუნის საქართველოს ისტორიული სინამდვილის შესა-  
ხებ, „შუშანიკის წამება“. ქართველმა ისტორიკოსებმა სწორედ  
შუშანიკის წამებიდან შეიტყვეს, რომ V საუკუნის საქართველო  
თითქმის დაპყრობილი იყო სპარსელთა მიერ, რომ საქართველო

დაყოფილი იყო საპიტიახშოებად, რომ სოციალურ ფენათა შო-  
რის არსებობდნენ „აზნაურნი დიდ-დიდი და ზეპურნი დედანი“,  
რომ საქართველოში უკვე ფეხმოკიდებული იყო ქრისტიანობა,  
მაგრამ სპარსელებს მაინც მოეხერხებინათ ზოგი აღმოსავლური  
ჩვეულების დამკვიდრება. მაგ., ქალს უფლება არ ჰქონდა, მამაკ-  
აცთან ერთად ეჭამა პური: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუცა  
მამათა და დედათა ერთად ეჭამათ პური“. რა თქმა უნდა, ქრის-  
ტიანული რელიგია არასოდეს არ კრძალავდა ქალისა და მამაკ-  
აცის ერთად პურის ჭამას. გარდა ამისა, „შუშანიკის წამება“ ცნო-  
ბებს გვაწვდის ადამიანთა სხვა ურთიერთობის შესახებ. იმ დროს  
საქართველოში მტკიცედ იყო ფესვგადგმული ქრისტიანული  
იდეა ოჯახის სიმტკიცის, ანუ მონოქორნინების, ერთცოლიანო-  
ბის შესახებ. შუშანიკის მიერ ოჯახის მიტოვება და ვარსექნისად-  
მი შეურიგებელი პროტესტი მისი, როგორც მეუღლის, შეურა-  
ცხყოფითაც იყო განპირობებული. შუშანიკმა აშკარად იყვანიანა.  
იგი, როგორც ამაყი ქალი, ვერ შეურიგდებოდა ვარსექნის მიერ  
მეორე ცოლის შერთვას და ამით შუშანიკის თავმოყვარეობის შე-  
ლახვას. აი, რამდენი რამ ვიცით „შუშანიკის წამებიდან“.

ასევე დიდი შემეცნებითი ლირებულება აქვს „აბო თბილელის  
წამებას“. ისტორიკოსებმა ამ ნაწარმოებიდან შეიტყვეს, რომ მაჲ-  
მადიანი დამპყრობლები საქართველოს რელიგიასაც უტევდნენ.  
ქართველთა დამყოლი ხასიათის გამო ზოგი ქართველი გადადი-  
ოდა სარკინზთა რჯულზე. მაგრამ არაბთა საშინელი რისხვა  
ატყდებოდა იმას, ვინც მაჲმადიანობას უკარყოფდა და ქრის-  
ტიანობას აღიარებდა. „აბო თბილელის წამებაში“ თბილისის ამ-  
ბებია აღნერილი, დახატულია დაპყრობილი, მაგრამ ვერდაჩო-  
ქებული საქართველო.

ისტორიკოსისათვის ასევე ბევრ ახალ ცნობას გვაწვდის „გრი-  
გოლ ხანდთელის ცხოვრება“. VIII-IX საუკუნეების ქართველმა  
კაცმა შესანიშნავად იცოდა, რომ იქ, სადაც ეკლესია-მონასტრე-  
ბი აშენდებოდა, სამუდამოდ დამკვიდრდებოდა ქართული სული.  
დღეს თურქეთის ტერიტორიაზე მეჩეჩივით შერჩენილა ქართული  
კულტურის კერძები: ხანძთა, ოპიზა, შავშეთი, ერუშეთი, შატბერ-  
დი, ბანა, იშხანი.... ეს ძეგლები აიძულებენ თურქებს, იფიქრონ  
იმის შესახებ, რომ თურქეთს უჭირავს საქართველოს მიტაცე-  
ბული ტერიტორია. გარდა ისტორიულ-გეოგრაფიული ატრიბ-

უტებისა, მხატვრული ნაწარმოები გვაძლევს ცნობებს იმდროინ-დელ სიყვარულზე, მეგობრობაზე, ცოლექტულ ურთიერთობაზე. უძველესი დროიდანაა შემჩნეული ცოლექტული ღალატიც საქართველოში, ხოლო მეძაობა და ექიმობა მსოფლიოში მიჩნეულია უძველეს პროფესიად. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ ვიგებთ, თუ როგორ შეაცდინა უკეთურმა კაცმა ზენონის და. საერო მწერლობის ეს ელემენტები პირველად „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ გამოჩნდა და ამით პირველად დავინახეთ რელიგიური დოგმებისაგან გათავისუფლებული ადამიანი.

ჰაგიოგრაფიიდანვე ვგებულობთ, რომ დასჯის ფორმა – დილეგი, საქართველოში მაშინაც არსებობდა, ხოლო ღვთისმსახურთ ტანზე უპირატესად ჯვალოს ტანსაცმელი ეცვათ. X საუკუნის ნაწარმოები ხანძთელის ცხოვრებაზე გვასწავლის, თუ რა ეკონომიკური და კლიმატური პირობები იყო მაშინდელ საქართველოში. ასევე გვასწავლის, თუ რა ურთიერთობა იყო საერო და საეკლესიო ხელისუფლებას შორის. ქართველმა ისტორიკოსებმა პირველად „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ გაიგეს, რომ მეფეს არ შეეძლო საეკლესიო პირის იძულება რაიმე საქმის გასაკეთებლად. ამავე ნაწარმოებიდან გვეძლევა ცოდნა იმის შესახებ, რომ ქალიშვილის შეცდენა და ცოლის ღალატი მაშინაც არსებობდა – 1200 წლის წინათ. ეს მტკიცდება ზენონის შეცდენილი დის მაგალითით და აშოტ კურაპალატის მიერ სასახლეში დედოფლის გვერდით თავისი საყვარლის მოყვანის მაგალითით. ასევე ძვირფას ცნობებს შეიცავს ჩახრუხაძის პოემა. თამარ მეფის პიროვნებაზე, მის განსაცვიფრებელ მოქალაქეობასა და სისპეტაკეზე ჩახრუხაძე თანმიმდევრულად მოუთხრობს მკითხველს.

მიუხედავად იმისა, რომ რუსთველი ენერგიულად ცდილობს „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა მოქმედება საქართველოს გარეთ, არაბეთში, ინდოეთში, მულდაზაზარსა და გულანშაროში გადაიტანოს, პოემა ალეგორიულად მაინც საქართველოს სინამდვილეს ასახავს. აკაკი წერეთლის თქმისა არ იყოს, „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს სუფთა ქართული ხასიათი ამკობთ, ხოლო XII საუკუნის მანძილზე მსოფლიოში მხოლოდ საქართველოში იყო მეფე ქალი. გაიარა XII საუკუნემ, ქართულ მწერლობაში გამოჩნდნენ რენესანსის ეპოქის მწერლები: თეიმურაზი და არჩილი. ორივე მწერალი საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას გვიხატავს, ხოლო

თეიმურაზის „სოფლის სამდურავი“ და „ქეთევანიანი“ ისტორიული დოკუმენტურობით გამოირჩევა. მეფე თეიმურაზი დიდი სიზუსტითა და ცრემლის მომგვრელი განცდებით აღნერს თავისი დედის – ქეთევან დედოფლის წამებას.

XVIII საუკუნის საქართველოს სინამდვილის ისტორიული სურათია გადმოცემული დავით გურამიშვილის „ქართლის ჭირში“. ქვეყნის გაუბედურების მიზეზი XVII-XVIII საუკუნეებშიც ის იყო, რაც ამჟამდაა – გარეშე მტერთა თარეში და შინაური შულლი: „კახელების აღმა ხნული ქართველებმა დაღმა ფარცხეს“, ხოლო – „თურქი, სპარსი, ლევი, ოსი, ჩერქეზ. ლლილვი, დიდო, ქისტი – სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაკრა თვითო ქიშტი...“.

გარდა ამისა, „დავითიანი“ გვასწავლის, რომ საქართველოს ასუსტებდა ყოველდღიური „ლევიანობა“, ლევთა თარეში. ისინი იტაცებდნენ ქართველებს, ზოგს მოსამსახურედ იხდიდნენ, ზოგს კი ყიდდნენ სტამბულისა და ქაიროს ბაზრებზე. შეგვიძლია დიდხანს ვილაპარაკოთ იმაზეც, თუ რა ისტორიულ ფაქტებს შეიცავს ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“, „კაცია ადამიანი?!“, აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“ და ვაჟა-ფშაველას პოემები. მთავრდება XX საუკუნე, XXI საუკუნის მოქალაქე გადაშლის XX საუკუნის მწერალთა წიგნებს და ყველაფერს შეიტყობს ჩვენს უბედურ სინამდვილეზე, რასაც კ. გამსახურდია, მ. ჯავახიშვილი, გ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, შ. ნიშნიანიძე... დიდი მხატვრული სიზუსტით გვისატავდნენ.

ამრიგად, ნაწარმოების შემეცნებითი ფუნქცია ნიშნავს იმ ცოდნას, რომელსაც გვაძლევს ხელოვნების ნაწარმოები თავის დროსა და ეპოქაზე.

### დიდაქტიკური ლირებულება

გარდა შემეცნებითი ლირებულებისა, ყოველ ჭეშმარიტ მხატვრულ ნაწარმოებს აქვს დიდაქტიკური ლირებულება. დიდაქტიკური ლირებულება სხვა არაფერია, თუ არა ნაწარმოების აღმზრდელობითი ლირებულება. ნაწარმოები ზემოქმედებას ახდენს ადამიანის სულზე. შემოქმედის ვალია, აღზარდოს ადამიანი. მხატვრული ზემოქმედების ძალით შთაუნერგოს მას უმაღლესი ზნეობრივი პრინციპები, კეთილი და ზნეობრივად ამაღლებული

გახადოს იგი; ასწავლოს ადამიანს სწორად ცხოვრება, ერთგული სიყვარული, ჭეშმარიტი მეგობრობა; ჭეშმარიტი პატრიოტიზმი, ანუ სამშობლოს სიყვარული, აი, რას გულისხმობს დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ფუნქცია.

თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობა ნაწარმოების აღმზრდელობით ფუნქციას უწოდებს იმ პრობლემათა სფეროს, რომელიც წარმოჩინებულია ნაწარმოებში და რომლის გადაწყვეტა-საც ნაწარმოები ემსახურება. თუ ნაწარმოებში თუნდაც ერთი პრობლემა არ არის დასმული და სათანადოდ გადაწყვეტილი, იგი სერიოზულ ნაწარმოებად არ ჩაითვლება. ასე რომ, ადამიანის სულზე ზემოქმედებას მხატვრული ნაწარმოები ახდენს პრობლემათა დასმისა და გადაწყვეტის საშუალებითაც. მხატვრული შემოქმედება როცა დაიბადა, მან თავიდანვე აიღო ადამიანის სულის გაკეთილშობილების მოვალეობა. სიკეთის ქმნას, ღვთისადმი მორჩილებასა და ვაჟყაცობას ქადაგებს ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“; რაინდობასა და სიყვარულში ერთგულებას, ჯანსაღ პატრიოტიზმსა და ჭეშმარიტ მეგობრობას 800 წელია ასწავლის ადამიანს „ვეფხისტყაოსანი“. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართველი კაცის ზნეობა, ხასიათი ბევრნილად რუსთველის „ვეფხისტყაოსანმა“ გამოაწრთო და განაპირობა. ძმათა ომის უგუნურებას ებრძვის დავით გურამიშვილი თავისი „დავითიანით“, ადამიანის ზნეობრივი გადაგვარების წინააღმდეგ იბრძვის ილია ჭავჭავაძე „კაცია ადამიანით“. მიხეილ ჯავახიშვილმა თავისი „ჯაყოს ხიზნებით“ საქართველოს წინაშე ორი უმთავრესი პრობლემა დააყენა. 1. ამ ნაწარმოებით მან ქართველ ხალხს ჩასძახა: ის ძალა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოვიდა, ბოროტი და უხეში ძალაა, იგი მოსპობს ქართველი არისტოკრატიის სულიერ სიწმინდეს და ქვეყნად სიბილნეს გააბატონებს. 2. „ჯაყოს ხიზნებით“ მიხეილ ჯავახიშვილმა საქართველო გააფრთხილა: ნუ გაათამამებ შენს მიწაზე შემოხვენილ გადამთიელს, ნუ დაისვამ თავზე, თორემ ხვალ და ზეგ ჯაყოს მსგავსი გარეწრები შენ თვითონვე გამოგრეკავენ შენი სახლიდან და ხიზნებად გაგხდიან. სამწუხაროდ, საქართველომ ვერ გაითავისა „ჯაყოს ხიზნების“ აღმზრდელობითი ფუნქცია და შედეგიც სამწუხაროა – კარგა ხანია, ათასობით ლტოლვილი სახლებს ვერ დაბრუნებია, სამაჩაბლოში ხიზანი

ოსები თარეშობენ, როგორც ეს მოხდა აფსუებისა და რუსების მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში.

ადამიანის სულზე მხატვრული ნაწარმოების ზემოქმედების უნარს ყოველთვის იყენებენ აღმზრდელობითი დაწესებულებები. ამერიკის ციხეებში პატიმრებს ხშირად უჩვენებენ სიკეთით სავსე, ზნეობრივად გამაცემილშობილებელ ფილმებს. შემჩნეულია, რომ ციხეში მყოფი მკვლელებიც კი ტირიან ვიქტორ პიუგოს რომანების მიხედვით შექმნილ ფილმებზე: „საბრალონი“ და „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“.

დიდი სამამულო ომის დროს ი. სტალინი ხშირად მიმართავდა ჯარისკაცებზე მხატვრული ნაწარმოების ზემოქმედებას. ეფექტი უაღრესად დიდი იყო. სტალინისავე დაკვეთით შეიქმნა ისეთი ფილმები, როგორებიცაა პატრიოტიზმით აღსავს „გიორგი სააკაძე“ და „ბერლინის დაცვამა“. შოტარევიჩის მე-7 სიმფონიის მოსმენის შემდეგ ჯარისკაცები გმირობის სასწაულებს ახდენდნენ.

კრიტიკოსი ელსბერგი ერთგან წერდა, რომ ტოლსტიოს ანა კარენინამ მის შემდეგ დაბადებული ყველა ქალი სხვაგვარ ქალად გადააქცია, აღზარდა, რაღაცა ასწავლა მათო. – რას ასწავლის ანა კარენინა? – კითხულობს ელსბერგი: იყავი შენი შეცდომის ერთგული; როცა ერთხელ გადადგამ ცხოვრებაში ნაბიჯს, სინდისის ქენჯანა, უკან მობრუნების შესაძლებლობა განდევნე შენი არსებიდან, თორემ ის დაგემართება, რაც ანა კარენინას დაემართაო.

ვიმეორებ, თუ ნაწარმოებში არ არის დასმული და პასუხ-გაცემული რომელიმე პრობლემა, ასეთი ნაწარმოები სრულყოფილი ვერ იქნება. ავილოთ ისეთი კარდინალური პრობლემა, როგორიცაა სიყვარული. მსოფლიო ლიტერატურა უძველესი ინდური ეპოსიდან XIX საუკუნის ბოლომდე ქადაგებდა ერთსიყვარულის, მონოგამიის, ამაღლებული ტრფიალების თეორიას. ანტიკური მწერლობა სწორედ რომ ეგრეთ წოდებული პლატონური სიყვარულის მომხრე იყო. იგი ასწავლიდა ქალსა და მამაკაცს ერთი სიყვარულის ერთგულებას. ამ პოზიციაზე დგას შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანიც“, „გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიხვდეს, თუნდა ქუში“, – წერს რუსთველი. სიყვარულისადმი ერთგულების თავისებური პიმნია ევროპული ეპოსი „ტრისტანი და იზოლდა“ და შექსპირის ტრაგედია „რომეო და ჯულიეტა“.

შექსპირი სიყვარულისათვის თვითშეწირვის მომხრეა. სიყვარულის სიბრძნეს გვიქადაგებენ ტოლსატოის „ანა კარენინა“ და ფლობერის „მადამ ბოვარი“. კლასიკოსებმა ქალი დააჯერეს, რომ სიყვარული ცხოვრებაში ერთხელ მოდის. ეს ცის ზღაპრულ გახსნასა ჰგავს ან ერთხელ ჩამომქროლ მერანს, რომელსაც, თუ ხელი არ წაატანე ალვირში, გაქრება და ალარ დაბრუნდება.

## მხატვრული ლირებულება

გარდა შემეცნებითი და დიდაქტიკური ლირებულებისა, ნანარმოებისათვის აუცილებელია ესთეტიკური, ანუ მხატვრული, ლირებულება. თუ მხატვრულმა ნანარმოებმა ან მხატვრულმა ქმნილებამ ადამიანს ესთეტიკური ტკბობა ვერ მიანიჭა, იგი თავის ფუნქციას ვერ შეასრულებს. ესთეტიკური ზემოქმედებით ხდება ადამიანის ემოციური დამუხტვა და მისი ზნეობრივი აღზრდა.

მხატვრულ ნანარმოებს ადამიანზე, მის გონებასა და ფსიქიკაზე ემოციური ზემოქმედების საოცარი უნარი აქვს. ლომონოსოვი თვლიდა, რომ ლექსად დაწერილი უფრო დაამახსოვრდებოდა ადამიანს და ამიტომაც მან გემთმშენებლობის შესახებ „პოემა“ დაწერა. ლექსი უძლვნა უპრალო მინასაც კი. ნარმომადგენლები ესთეტიკური თეორიისა, „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ თვლიდნენ, რომ ნანარმოებს მხოლოდ ესთეტიკური ფუნქცია უნდა შეუნარჩუნდეს, შემოქმედი საერთოდ არ უნდა ჩაერიოს პოლიტიკისა და ადამიანის სოციალური ცხოვრების საკითხებში. ეს დიდი შეცდომაა. წარმოიდგინეთ ილია ჭავჭავაძე, რომელიც არ ზრუნავს საქართველოზე, არ ანუხებს დამონებული სამშობლოს ბედი და დაბერავებული გლეხის მძიმე ყოფა. გალაკტიონი თავის პოემაში „საუბარი ლირიკის შესახებ“ წერდა: ლირიკა, ანუ პოეზია, დამპყრობლებსა და დამჩაგვრელებს თავზარს სცემდა უფრო მეტად, ვიდრე ნებისმიერი „შეთქმულება აჯანყებისათვის“.

სხვადასხვა უანრის ნანარმოები სხვადასხვა კრიტერიუმით ფასდება, მაგრამ ერთი რამ საერთოა: მხატვრულმა ნანარმოებმა ადამიანზე უნდა მოახდინოს დადებითი ემოციური ზეგავლენა. არსებობს ცხოვრების ასახვის ერთი ტრადიციული მეთოდი – რეალისტური მეთოდი. არსებობს ცხოვრების რომანტიკულად წარმოსახვის ხერხი და არსებობს აბსტრაქციის მეთოდი. რეალ-

ისტური მეთოდი ნიშნავს, აღწერდე ცხოვრებას ისე, როგორც არის იგი. რეალისტურ ხერხს ხელოვნება საუკუნეების განმავლობაში მიმართავს. ანტიკური ქანდაკებები, ფილიასის უკვდავი ქმნილებანი, აღორძინების ხანის მხატვრების – მიქელანჯელოს, ბოტიჩელის, ლეონარდო და ვინჩის – ნამუშევრები ცხოვრებასთან მიმსგავსების სასწაულებს ქმნიან. რა ნამდვილია ლეონარდოს „მონა ლიზა“, რაოდენ ადამიანურნი არიან მიქელანჯელოს „წმინდანები“: მათე, მარკოზი, იოანე და სხვ. რეალისტური მანერა ბატონობს მწერლობაში, მოკიდებული დეკამერონის ავტორის დროიდან, დამთავრებული თანამედროვე რეალისტი მწერლების შემოქმედებით. „ჩემს ნაწერებში თქვენ იპოვით სიმართლეს და მხოლოდ სიმართლეს, რომელსაც განუხორელად ვემსახურებოდი მთელი ჩემი მწერლობის განმავლობაში“ – ეს სიტყვები ეკუთვნის დ. კლდიაშვილს. არსებობს მეორე ხერხი. მას რომანტიზმის ხერხი ჰქვია. რომანტიზმის 4000 წლის წინათ შექმნილი ძველი ეგვიპტური ქანდაკებები, თვით სფინქსიც კი, რომანტიზმის პომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“ და ა.შ. რომანტიზმის „ვეფხისტყაოსნის“ ის ადგილები, სადაც ქაჯებზეა საუბარი ან ის ადგილი, სადაც საუბარია მონაზე, რომელმაც „ტანზე მოლი წამოისახა“ და ქაჯეთის ციხეში შეფრინდა. ეს რომანტიზმის ელემენტი მხატვარს იმიტომ სჭირდება, რომ ცოტა ხნით მოაცილოს მკითხველი ყოფით დეტალიზაციას და რომანტიკული, მისტიკური, არაჩვეულებრივი სამყაროს ილუზია შეუქმნას.

არსებობს აბსტრაქტირების ხერხიც. აბსტრაქტირება ჰქვია მოვლენაში ერთი ნიშნის ან თვისების გამოხატვას. აბსტრაქტირების ხერხს ხშირად მიმართავს პოეზია. სამაგალითოდ გავიხსენოთ აბსტრაქტირების ხერხი მხატვრობაში: ერთ ჰოლანდიელ აბსტრაქტიონისტს სურდა შიმშილის გამოხატვა. მან დახატა ჩამომხრევალი ობობა. ე.ი. ობობასაც კი ალარ დარჩა საკვები; აბსტრაქტიონისტმა სტუდენტებს მისცა დავალება – დაეხატათ მუშა. ზოგმა დახატა ჩაქუჩიანი, ზოგმა დახატა მიწის მთხრელი, მაგრამ ერთმა დახატა ქარხნის მილი, საიდანაც კვამლი ამოდის. აი, სწორედ ის მხატვარი გახლდათ აბსტრაქტიონისტი.

ერთხელ სამხატვრო აკადემიაში კონკურსი ჩატარდა. ახალგაზრდა მხატვრებს უნდა დაეხატათ პარადი. ერთმა პარადი ასე გამოსახა: ტროტუარზე ზის ერთი კაცი – ხელისგულზე ყბაჩა-

მოდებული და იქვე, ღობეზე, მიყუდებული დროშის ტარი ჩანს. ამრიგად, აბსტრაქტობა, ანუ აბსტრაქცია, ჰქვია ერთი ნიშნის ან მოვლენის ხაზგასმას. რომელია უფრო დიდი ემოციური დატვირთვის მქონე, ხელოვნების რომელ მეთოდს ეკუთვნის მომავალი? ამის თქმა ძნელია. რასაკვირველია, ყველაფერი ნიჭსა და ოსტატობაზეა დამოკიდებული. აბსტრაქციონიზმი, კუბიზმი, იმაჟინიზმი, ავანგარდიზმი, იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, სიმბოლიზმი, ფუტურიზმი, დადაიზმი მხატვრულ აზროვნებაში მოდური მიმდინარეობებია, მაგრამ რეალიზმი მოდას არ ემორჩილება. რეალიზმი უცვლელია საუკუნეთა განმავლობაში. რეალისტურია მეტნილად ფოლკლორი, რაც თავისთავად მეტყველებს, რომ ფართო მასას ნათელი აზროვნება აინტერესებს. რეალისტურია თვით აგიოგრაფიული ნაწარმოებებიც კი, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტეს სახე რომანტიზმებულია. რელიგიურ სიუჟეტზე აგებული „შუშანიკის წამება“ საოცრად რეალისტური ნაწარმოებია. ასე რომ, მხატვრული შემოქმედების უმთავრესი მეთოდი მაინც რეალიზმია, თუმცა რელიზმის გვერდით ხელოვნებაში არსებობის თანაბარი უფლება აქვს უკლებლივ ყველა მეტ-ნაკლებად ღირებულ ესთეტიკურ სკოლას – აბსრაქციონიზმს, ავანგარდიზმს, სიმბოლიზმს, ფუტურიზმს, იმაჟინიზმს, „აკადემიზმსა“ და ა. შ.

ხელოვნებამ და ლიტერატურამ იმის მაგალითიც იცის, რომ ნაწარმოებში ავტორი პრობლემას წყვეტს ჩვეულებრივი ზნებრივი კანონების საპირისპიროდ და ამ ცრუ ორიგინალობით სურს, მიიპყროს ყურადღება. მაგ.: ზოგი მწერლის შემოქმედებაში ხოტბა აქვს შესხმული ადამიანის არაჯახსად ვნებებს, ზოგჯერ აბუჩად არის აგდებული ის, რაც ადამიანთა შორის ნორმალურ, ჩვეულებრივ, ურთიერთობადა მიჩნეული. მწერალი ახდენს სიმახინჯისა თუ სექსუალური უკულმართობის აპოლოგიას და სიცოცხლისადმი მიძღვნილი ჰიმნი არ არის მისი შემოქმედება. მაგ: სიკვდილს ნეტარებად მიიჩნევენ ფრანგი სიმბოლისტები, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს ლექსის ვერსიფიკაციურ ხელოვნებაში, ხოლო ფერწერაში შექმნეს უაღრესად ორიგინალური სამყარო. სხვადასხვა ეპოქაში ცხოვრობდნენ მწერლები, რომლებიც გუნდრუეს უკრძალენ მათთვის განუცდელ ჭეშმარიტებებს და ცრუ ორიგინალობის გზით ცდილობდნენ, ზეგავლენა მოეხდინათ ადამიანის სულზე. ლამაზი სტატიკურია, ხოლო

მახინჯი – დინამიკური, – ამბობდნენ ისინი. ლამაზი ქალი საინტერესო არ არის, რადგანაც იგი განებივრებულია გარემომცველთა ყურადღებით: მახინჯი ქალი განსაკუთრებით საინტერესოა. ამიტომ ხოტბა-დიდება ეკუთვნის სიმახინჯესა და ავადმყოფ სხეულს. ჯანმრთელ ადამიანს ყეყერის გამომეტყველება აქვს, დააკვირდი აგადმყოფის სახეს, რამდენად საინტერესოა იგი და ა. შ.

სინამდვილის თავდალმა დაყენებით, უცნაური ტენდენციურობით შემოქმედმა შეიძლება დროებით მიიპყროს ყურადღება, იგი შეიძლება მოდურიც გახდეს, მაგრამ ჯანსაღი ფილოსოფიით შექმნილ, სიცოცხლის სიყვარულით დაწერილ თხზულებებს მოდა არ გააჩნიათ. ამიტომ არის, რომ ყველთვის დასტირდება კაცობრიობას ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“, რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“, სერვანტესის „დონ-კიხოტი“ და სხვ. ისტორიას ჩაბარდა უამრავი მოდური სკოლა, მაგრამ მიქელანჯელოს, ლეონარდო და ვინჩის, ბოტიჩელის, რაფაელისა და სხვათა ქმნილებანი დარჩნენ, როგორც იგავმიუნვდომელი შედევრები ხელოვნებისა. ასე რომ, არ შეიძლება, ნაწარმოებით იქადაგო სიკვდილის კულტი, სხვისი დაჩაგვრისა და სხვისი მიწების მითვისების თეორია. არ შეიძლება, ნორმად გამოაცხადო სიმახინჯე, სექსუალური პათოლოგიზმი... ჭეშმარიტი შემოქმედი სიკეთისკენ, ამაღლებული გრძნობებისაკენ უნდა მოუწოდებდეს ადამიანებს. როცა ნაწარმოები ჯანსაღი გრძნობებით არის გაუღენთილი, მაღალია მისი დიდაქტიკური ღირებულება.

მოდერნისტული ხელოვნება შეფასების სპეციალურ განწყობას, ორიგინალურ დამოკიდებულებებს მოითხოვს. თუ მაღალი ხელოვნება, ანუ პოეტურობა, იგრძნობა, უნდა ჩავთვალოთ, რომ მისმა ავტორმა გაიმარჯვა. უნიქობა ყველგან გულის ამრევია, ნიჭიერი კაცისათვის კი „ყველაიზმი გამართლებულია“. როგორც დაუშვებელია სინამდვილის ნატურალისტური, ფოტოგრაფიული გადაღება, ისე დაუშვებელია თვითმიზნური ბუნდოვანი აბსტრაქციონიზმი. ასევეა ლიტერატურაშიც. განუზომელია ის ტკბობა და სულიერი ზემოქმედების ძალა, რომლითაც ზემოქმედებენ, ილია ჭავჭავაძის ფრაზა რომ ვიხმაროთ, „ადამიანის ესთეტიკურ გრძნობაზე“ რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“, ილიასა და კონსტანტინეს პროზა, ჰიუგოსა და ტოლსტოის რომანები, ბაირონის, გალაკტიონის, სალვადორე კვაზიმოდოსა და სხვათა

ლექსები: ხელოვნების ნაწარმოები მხოლოდ ადამიანის მიერაა შექმნილი და მხოლოდ ადამიანზე ახდენსო ზემოქმედებას, მაგრამ დასავლეთელ მეცნიერთა ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ ხელოვნების ჭეშმარიტი ნაწარმოები ცხოველებზეც ახდენს ზეგავლენას. შემჩენეულია, რომ ლომს შეუძლია საათობით უცქიროს მის გაღიასთან მიტანილ კარგად შესრულებულ ლომის პორტრეტს. გველები მუსიკალურ ნაწარმოებზე იძინებენ, ხოლო კინოფილმი, რომელშიც წეროების დაღუპვა ნაჩვენები, მაყურებელ წეროებში სასონარკვეთა-გნიას იწვევს.

სხვადასხვა ეპოქაში ხელოვნებას სხვადასხვა ფუნქციას უძებნიან. ეგვიპტეში შექმნილი ხელოვნების სწორუპოვარი ძეგლები – პირამიდები და სფინქსის ქანდაკება – აღმართული იყო რელიგიურ-მისტიკური მოსაზრებით: ადამიანის სიკვდილის შემდეგ მისი არსებობის გაგრძელების ფუნქცია ჰქონდა. მსოფლიოში უამრავი ქანდაკება – ეს საფლაკზე აღმართული ძეგლებია. ასევე უკვირს ადამიანის გონებას გაგება იმისა, რომ მიქელანჯელომ სიქსტის კაპელა დაკვეთით შექმნა. იგი უბრალოდ ვატიკანში სიქსტის ეკლესიის ფრესკებია და მეტი – არაფერი. რენესანსის მხატვართა უმეტესობამ ხელოვნების თემად ბიბლიური სახეები აირჩია. უფრო მოგვიანებით, XX საუკუნის პარმალზე, ხელოვნების ზოგი თეორეტიკოსი თვლის, რომ ხელოვნების მთავარი დანიშნულებაა, ადამიანს ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭოს. თუ ასეა, რა ადგილი მოვუძებნოთ რეპინის ნახატს – „ივანე მრისხანე კლავს შვილს“, როდესაც შვილის საფეთქლიდან გადმომჩერა სისხლი დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ვერ მოჰვერის მნახველს.

ესე იგი, მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური ფუნქცია არ გულისხმობს მარტოოდენ ხელოვნებით ტკბობას, ე.წ. ეს-თეტიკურ სიამოვნებას. საკითხის ასე გაგება ხელოვნების მნიშვნელობის დამცრობა იქნებოდა. ხელოვნებამ ადამიანზე უნდა მოახდინოს ფისიკოლოგიური გავლენა. პატრიოტული აღზრდის თვალსაზრისით ვერანაირი ტრაქტატი ვერ შეასრულებს ისეთ როლს, როგორსაც ასრულებს მერაბ ბერძენიშვილის „კიდევაც დაიზრდებიან“.

ამრიგად, ჩვენ უკვე ვიცით მხატვრული ნაწარმოების სამი ფუნქცია. ამიერიდან ყოველ ნაწარმოებს უნდა შევხედოთ ამ სამი ფუნქციის ჭრილით. სრულყოფილად მხოლოდ ის ნაწარმოე-

ბი უნდა მივიჩნიოთ, რომელშიც სამივე ფუნქცია თვალნათლივი იქნება წარმოდგენილი.

\* \* \*

ზოგჯერ, აქაოდა, კულტურას აღზრდის ფუნქცია გააჩნიაო, მას დააკისრებენ იდეოლოგიური ზემოქმედების ისეთ როლს, რაც მმართველი წრის ინტერესებიდან გამომდინარეობს.

მაგალითად:

კლასიციზმის ეპოქაში კულტურას მეფეთა და დიდგვაროვანთა ხოტბის ფუნქცია უნდა შეესრულებინა და მასები ძლიერთა ამაქვეყნისათა მორჩილების სულისკვეთებით უნდა აღეზარდა.

საბჭოურ იმპერიაში კულტურას ახალია ადამიანი უნდა შეექმნა და ეს ახალი ადამიანი სხვა არა იყო რა, თუ არა ბოლშევიკური პრინციპებისადმი ერთგული, კომუნისტური პრინციპების ბრძანდ მიმყოლი მოქალაქე.

ახლა მავანნი ევროპული ლიბერალიზაციის უყოყმანოდ გამზიარებელ, გლობალური ლირებულებების უყოყმანოდ შემსრულებელი ახალი ადამიანის აღზრდას მოითხოვნ კულტურისაგან.

ყველა ზემოთჩამოთვლილი შემთხვევა და საერთოდ კულტურისათვის იდეოლოგიური ფუნქციის მინიჭება, კულტურაზე ძალდატანებას ნიშნავს და საფუძველშივე უნდა აღიკვეთოს.

უკანასკნელ ხანებში კულტურის არაეროვნულ ჰანგზე მორგების მცდელობა აბსოლუტური კრახით დამთავრდა.

ახალი ადამიანის ძიების გზაზე „ახალმა ჩინოვნიკებმა“ ლახვარი ჩასცეს ეროვნულ კულტურას, ხოლო „ევროპული ორიენტაციის“ ახალი ადამიანის ნაცვლად ფულის შოვნას გამოდევნებული, მასკულტურის მიმდევარი და სექსუალურად გამომშრალ-გაუკულმართებული თაობა მივიღეთ.

მაღალი იდეალების ნაცვლად ფული გავაფეტიშეთ.

დღეს ფულზე იყიდება სინდისი და საარჩევნო ხმებიც კი. როცა „ახალი“ ხელისუფალი ძველი საბჭოური მენტალიტეტის მომიზეზებით ხანდაზმულ კადრებს ერეკება სამსახურებიდან, სწორედ მისი, ახლებურად, ევროპულად აღზრდილი „მინისტრი ბიჭუნები“ ხალათზე ფართო ჯიბებს იკერებენ, მშვენივრად ითვისებენ კორუფციის კანონებს, იწყებენ მომხვეჭელობას და, განსხვავებით თავიანთი მამებისაგან, მილიონერები ხდებიან.

კულტურას ადამიანის სულის განმნედა-გაკეთილშობილება ევალება და იგი დაუყოვნებლივ უნდა გავათავისუფლოთ ვიწროპარტიული მოვალეობისაგან.

განა ყოველგვარი სახლმწიფოებრივ-მმართველობითი დაკვეთის გარეშე რვაასი წლის განმავლობაში არ მოემსახურა კაცობრიობის ზნეობრივი ამაღლების საქმეს შოთა რუსთაველი?

განა „ვეფხისტყაოსანმა“ არ განსაზღვრა და ჩამოაყალიბა ქართველი კაცის ეროვნული ხასიათი?

უნდა ვალიაროთ, რომ კულტურამ ჯერჯერობით საბოლოოდ ვერ შეძლო ადამიანის სულის აღზრდა და სასიკეთოდ შემობრუნება.

ჯერ ისევ არსებობს მსოფლიო ომის საშიშროება.

ჯერ კიდევ ვერ აღმოიფხვრა სისასტიკე ადამიანის ბუნებაში:

2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკში ორი ულამაზესი ცათამბჯენი თვითმფრინავების პირდაპირი დაჯახებით ააფეთქეს.

ნორვეგიაში 2011 წელს სერიულმა მკვლელმა ერთ საათში 85 სტუდენტი დახოცა.

2012 წლის თებერვალში ეგვიპტეში ფეხბურთის გულშემატკივრები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებნენ, რადროსაც 75 კაცი დაიღუპა.

ჯერ კიდევ მძვინვარებს დედამიწაზე მასობრივი ფსიქოზი.

ჯერ კიდევ ხდება ეგზალტიორებული ბრძოს მიერ ადამიანთა ლინჩის წესით გასამართლების შემთხვევები. რევოლუციით აღტკინებული ბრძო ამგვარი მეთოდით გაუსწორდა ჩაუშესკუს და კადაფა.

დემოკრატია ჯერ კიდევ ვერ იქცა მსოფლიოს ცხოვრების წესაღ.

მმართველი კლასი ზოგჯერ ისე სულმოკლე აღმოჩნდება და ისე გაუტკება ტახტზე ჯდომა, რომ მერე მისი დათმობა ეძნელება. მთელი არსებით ებლაუჭება სავარძელს და ამ, ადამიანის ღირსების დამამკირებელ, ანგარებიან ბრძოლაში, ზოგჯერ ათასებსაც აიყოლიებს.

... ასე რომ კულტურას ჯერ კიდევ დიდი ბრძოლა მართბს ადამიანის სულის აღზრდა-გაკეთილშობილების ურთულეს გზაზე.

## კულტურის შეფასების პრინციპები

შეიძლება ადამიანს ჰქონდეს სათანადო ცოდნა კულტურის ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთისა, იცოდეს უამრავი ფაქტი, მაგრამ არ შეეძლოს მხატვრული ნაწარმოების გარჩევა, მისი შეფასება.

შეფასება მხატვრული ნაწარმოებისა ესთეტიკის, კრიტიკის ერთ-ერთი სფეროა. ასე რომ, გარდა კრიტერიუმთა ცოდნისა, იგი მხატვრული ნაწარმოებისადმი ინტუიციურ დამოკიდებულებასაც გულისხმობს და, ამ თვალსაზრისით, შეიძლება შეფასების ხელოვნებაც თანდაყოლილი ნიჭი იყოს, მაგრამ თუ, თუნდაც გემოვნებიან, ნიჭიერ შემფასებელს, ხელთ არა აქვს მომარჯვებული კრიტერიუმები, რითაც იგი მხატვრულ ნაწარმოებს მიუდგება, მისეული შეფასება სრულყოფილი არ იქნება.

ერთი ანტიკური სიბრძნე გვასწავლის: „გემოვნებაზე არ დავობენ“. თვით ეს სიბრძნე საკმაოდ სადაცო გახდა, რადგან, თუ შეიძლება რამეზე იდავო კაცმა, უპირველეს ყოვლისა, გემოვნებაზე. ხელოვნების ქმნილების უაღრესი პოპულარობის გამო ადამიანთა უმეტესობა თავს კომპეტენტურად თვლის ამ დარგში. არადა თითზე ჩამოსათვლელს თუ შეუძლია კულტურის ნიმუშის ჭეშმარიტი შეფასება. დანარჩენები მხატვრულ ნაწარმოებს ან მხოლოდ ცალმხრივად – შინაარსის მიხედვით აფასებენ, ან – თავიანთი ვინრო პროფესიდან, ვინრო თვალსაზრისიდან გამომდინარე. ზოგჯერ სწორედ ამიტომაა პოპულარული საზოგადოებაში ხელოვნებისა და პოეზიის ჭეშმარიტი ქმნილების ნაცვლად მისი სუროგატი. მოქალაქენი საათობით უყურებენ ყალბსიუჟეტიან გულუბრყვილო, ამკარად უგემოვნო სერიალებს, ასევე ფრიად მაღალი წარმოდგენისა ბრძანდებიან იაფფასიან დეტექტიურ წარმოებებზე, ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძართან“ კი შედარებით მწყრალად არიან. ხელოვნებაში გაუცნობიერებელი მოქალაქე მხატვრულ ქმნილებას მარტოოდენ ერთი რაკურსით, ერთ სიბრტყეში განიხილავს. ეს არის მხატვრული ნაწარმოების ზედაპირული შეფასება.

წარმოების სრულყოფილი შეფასება ისევე, როგორც მხატვრული ნაწარმოების შექმნა, შემოქმედებითი პროცესია და,

როგორც აღვნიშნეთ, თანდაყოლილ ნიჭს მოითხოვს. ამ უნარით ადამიანთა უმცირესი პროცენტია დაჯილდოებული, მაგრამ, თუ უანრულ კანონებსა და შეფასების კრიტერიუმებს დავეუფლებით, შევძლებთ, ჩვენს თავში აღვზარდოთ მხატვრული ნაწარმოების საშუალო დონეზე შემფასებელი მაინც.

საუკუნეების განმავლობაში ესთეტიკურმა მეცნიერებამ გამოიმუშავა მხატვრული ნაწარმოების შეფასების ზუსტი კრიტერიუმები. ამ კრიტერიუმებით ჩვენ შეგვიძლია სწორი დამოკიდებულება დავამყაროთ კულტურის ძეგლისადმი. კომუნისტურ ეპოქაში მეცნიერება დაყოფილი იყო ზუსტ და არაზუსტ მეცნიერებად. მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია მიჩნეული იყო ზუსტ მეცნიერებად, ხოლო ფილოლოგია, ესთეტიკა, ფილოსოფია და ისტორია – არაზუსტად. ეს იყო დიდი შეცდომა. რაკი აზროვნების ამა თუ იმ დარგს ჰქვია მეცნიერება, იგი არ შეიძლება არაზუსტი იყოს. ყოველი მეცნიერება ჭეშმარიტების გაგებისაკენ მიისწრაფვის. ამიტომაც, მიუხედავად კვლევის მეთოდის სხვადასხვაობისა, ყველას აქვს თავისი ზუსტი მიზანი.

რა მოეთხოვება მხატვრული ნაწარმოების შემფასებელს? შეიძლება თუ არა მხატვრული ნაწარმოების შეფასების სწავლა? ამ კითხვას მეცნიერები სხვადასხვაგვარად უპასუხებენ. ერთი ამბობენ, რომ შეიძლება, მეორენი ამბობენ, რომ შეუძლებელია.

ყველაზე სწორია შუალედური პოზიცია, რომელიც გულისხმობს – შემფასებელს უნდა ჰქონდეს ესთეტიკური გრძნობა და ხელო ეჭიროს მხატვრული ნაწარმოების შეფასების კრიტერიუმები.

ამასთან ერთად, საჭიროა თანდაყოლილი გემოვნება. ფაქტია, რომ მუსიკას ვერ შეაფასებს ის, ვისაც მუსიკალური სმენა საერთოდ არ გააჩნია. მსახიობის თამაშს ვერ შეაფასებს ის, ვისშიც პატარა მსახიობი მაინც არ ზის და, თუ შენში მხატვრობის ნიჭი სრულიად არ ჭაჭანებს, ქალალდზე სწორი ხაზის გავლებაც არ შეგიძლია, სხვის ნახატს ვერასოდეს შეაფასებ.

სამწუხაროდ, უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროგრამა კარგა ხანს ისე იყო შედგენილი, რომ ყველაფერს ასწავლიდნენ, გარდა ნაწარმოების შეფასების ხელოვნებისა. ამიტომაც ხშირი იყო შემთხვევა, როცა უმაღლეს სასწავლებელს ამთავრებ-

და სპეციალისტი და ვერ ერკვეოდა კულტურის ელემენტარულ საკითხებში; არ იცოდა, რატომ ნარმოიშვა და რას ემსახურება ხელოვნება; არ იცოდა კონკრეტულად, რა კრიტერიუმი უნდა მივუსადაგოთ ხელოვნების ნაწარმოებს, რომ მასზე ზუსტი ნარმოდგენა შეგვექმნას.

კულტურის ნიმუშის შეფასების პრეტენზიით შექმნილი არაერთი წერილი მხატვრული ნაწარმოებისადმი ზედაპირული, ცალმხრივი დამოკიდებულებით სცოდავს. იგი მას კომპლექსურად არ შეისწავლის, ყურადღებას ამავილებს მხოლოდ იმ მხარეებზე, რაც მეტ სალაპარაკოს აძლევს. ვთქვათ, კრიტიკის საგნად ქცეულა რომანი. ხშირ შემთხვევაში კრიტიკოსი გვესაუბრება მხოლოდ და მხოლოდ რომანის შემეცნებით ღირებულებაზე და ცალკეულ ეპიზოდთა მხატვრულ-ფიქრობიურ მოტივირებაზე, მაგრამ სიტყვას არა ძრავს ნაწარმოების სხვა მხარეებზე; ვთქვათ, სიუჟეტზე, პერსონაჟთა ხატვის საშუალებებზე, კომპოზიციაზე და ა. შ. ჩამთავრებთ წერილს და დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გრჩებათ. კრიტიკოსის მიერ ჭკვიანურად შემჩნეულმა ხარვეზებმა თუ ღირსებებმა თქვენ ვერ შეგიქმნათ ნარმოდგენა ნაწარმოებზე. რეცენზიენტის თვალთახედვის გარეშე დარჩენილ მხარეებზე ფიქრი კი მკითხველს ძალაუნებურად გაიტყუებს უსიამო დასკვნისაკენ – კრიტიკოსმა წინასწარგანზრახვით ხომ არ მოჰკიდა ხელი მხატვრული ნაწარმოების სუსტ ან შედარებით ძლიერ მხარეს (ეს უკვე იმის მიხედვით, ქება სურდა თუ განქიქება) და სხვა დანარჩენი არანაკლები წინასწარგანზრახვით ხომ არ მიაფურჩება?

„შემფასებელთა“ მეორე ნაწილს სხვა ნაკლი – ავტორის პოზიციის გაურკვევლობა ახასიათებს. თუ ზემოთ კრიტიკოსის დამოკიდებულება მხატვრული ნააზრევისადმი თვით ანალიზამდე, საკითხისადმი მიდგომაშიც კი აშკარად ჩანდა, ამჯერად გულდასმითი ძებითაც ვერ აღმოაჩენთ, მოსწონს თუ არა კრიტიკოსს სარეცენზიო ნაწარმოები. ვის რას არგებს ასე შეფარული, მორცხვპატარდლური დამოკიდებულება ხელოვნების ნიმუშისადმი? კრიტიკოსი ფაქტობრივ ნაწარმოებს კი არ განიხილავს, მის ღირსება-ნაკლოვანებებზე კონკრეტულად კი არ მსჯელობს, თითქოსდა მხატვრული თხზულების გაგრძელებას წერდეს,

ლირიკულ დღიურს ადგენს იმაზე, რაც ერთხელ უკვე დაწერილა და რაზეც კრიტიკოსს თავისი ობიექტური სიტყვა უნდა ეთქვა. რეცენზიამ უფრო მეტად კი არ უნდა დაგვაპნიოს, არამედ – გაგვარკვიოს, წარმოდგენა შეგვიქმნას ნაწარმოების ისეთ შრეებზე, რაზეც ჩვენ, არაპროფესიონალ მკითხველებს, გაგვიჭირდებოდა კომპეტენტური აზრის შემუშავება.

სახელოვნებო კრიტიკის მესამე ნაკლს პირობითად შეიძლება სქემატურობა ვუწუდოთ. ეს გახლავთ ზოგიერთი კრიტიკოსის მიერ მომარჯვებული მეთოდოლოგიურად აბსოლუტურად მიუღებელი ხერხი – წინასწარ შემუშავებული სქემით მივიდეს მხატვრულ ნაწარმოებთან. კრიტიკული მეთოდოლოგია სრულიად მარტივია: კონკრეტულიდან ზოგადისაკენ. ე.ი. ამოსავალია მხატვრული ნაწარმოები. ვიდებთ წინ მწერლის ნამუშევარს და ვაფასებთ მას იმ კრიტიკოუმების მიხედვით, რაც ნაწარმოების შესაფასებლად ესთეტიკურ მეცნიერებას საუკუნეების განმავლობაში შეუმუშავებია. უგულებელყოფს რა ამ ელემენტარულ, ნაცად გზას, ზოგ კრიტიკოსს კრიტიკის მეთოდოლოგიის შემძედებითად ათვისება ისე ესმის, რომ მხატვრულ ნაწარმოებს თავისი სუბიექტური შეხედულების მსხვერპლად აქცევს ხოლმე.

რას ნიშნავს არაპროფესიონალიზმი ნაწარმოების შეფასებაში? საუკუნეები დასჭირდა იმას, რომ ლიტერატურის ისტორიას მხატვრული ნაწარმოების შეფასების კრიტიკოუმები გამოემუშავებინა. ანტიკურ ფილოსოფოსთა პოეტიკიდან დღემდე არაერთი ბრწყინვალე გონება ცდილობდა, ამოებსნა მხატვრული ქმნილების საიდუმლოებანი და მკითხველისათვის ესწავლებინა, რას ნიშნავს მხატვრული აზროვნება და რა ღირსებები უნდა ახასიათებდეს ხელოვანის ნამუშევარს. დღეს ესთეტიკის მრავალნლიანი რუდუნებით ხელთა გვაქვს ეს კრიტიკოუმები. საკმარისია ამ მდიდარ არსენალთან მივიდეს ნიჭიერი, გემოვნებიანი, ესთეტიდ დაბადებული კაცი წმინდა გულითა და სუფთა ხელებით და შედეგიც არ დააყოვნებს: ხელოვნების ისტორიას შეემატება ჭეშმარიტი მეცნიერული აზრი ამა თუ იმ ნაწარმოებზე. პროფესიონალმა კაცმა თითის ქარში ანევით კი არ უნდა გაარკვიოს ჭეშმარიტება, კარგად უნდა ანონ-დანონოს, მეცნიერული ლამპრით იაროს მხატვრული ქმნილებების ლაბირინთებში და თა-

ვის სიტყვას მეტრის ფუნქცია მიანიჭოს. მკითხველს კრიტიკაზე გული მაშინ უტყვდება, როცა სერიოზული ლიტერატურული ორგანო თავის ფურცლებზე რუბრიკით „ორი აზრი ერთ რომანზე“ ბეჭდავს ორ, რადიკალურად საწინააღმდეგო შეხედულებას ერთსა და იმავე ნაწარმოებზე. და, როგორ ფიქრობთ, „აზრებს“ ხელს ანერენ ცნობილი, აპრობირებული კრიტიკოსები. როცა ორ პროფესიონალს იმთავითვე საწინააღმდეგო აზრი აქვს (ერთს მიაჩნია გენიალურად, მეორეს – სისულელედ) მხატვრულ ქმნილებაზე, აქ მხოლოდ ორი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ამ ორი მოაზროვნიდან ერთი ან ტენდენციურია, ან ტყუის, ანდა გემოვნება დალატობს და მისი, როგორც სახელოვნებო არბიტრის, ნდობა მომავალშიც არ შეიძლება. არ შეიძლება ორ ჭკუადამჯდარ, ნიჭიერ კრიტიკოსს ნიმუშის შეფასების გაფხავებული არსენალის არსებობის ვითარებაში სხვადასხვა აზრი ჰქონდეს ხელოვნების ამა თუ იმ აღიარებულ ნიმუშზე. ჩვენ თვითონ ნუ შევუწყობთ ხელს იმ მოარული, მცდარი შეხედულების გავრცელებას, რომელიც თვლის, რომ ჭეშმარიტ კრიტიკას მხოლოდ სათათბირო, საკამათო ხმა აქვს და ნაწარმოების ზუსტი „დიაგნოზირება“ არ ძალუდს. კრიტიკა მეცნიერული და მხატვრული აზროვნების სინთეზია. მისი საუკეთესო გამოვლინებისას იგი, დიახაც რომ შემეცნებისა და მხატვრულ აზროვნების, ამ ორი ფორმის, ბენვის ხიდზე გადის. დამამცირებელია კრიტიკისათვის ზედმეტი მოთავმდაბლება, რაც საბოლოოდ არაკომპეტენტურობის შეფარვის საშუალებად უფრო ჩანს, ვიდრე კრიტიკოსის შეგნებულ პოზიციად – კატეგორიულობას თავი აარიდოს.

ბოლოს და ბოლოს, რა არის სახელოვნებო კრიტიკის ფუნქცია? თავისი ადგილი მიუჩინოს მხატვრულ ნაწარმოებს კულტურის ისტორიის დიდ წიგნში, მხარი დაუჭიროს კარგს, დაინუნის სუსტი, ხელოვანს მიუთითოს ხარვეზებსა და მათი დაძლევის გზებზე. ამით კი საბოლოოდ შეუწყოს ხელი კულტურის ამა თუ იმ დარგის განვითარებას.

კულტურის თითოეულ ნიმუშს, მისი უანრული სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმი შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ საერთო კითხვები, რომლებსაც პასუხი უნდა გავცეთ ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოების შეფასების დროს,

შემდეგი გახლავთ: რისთვის შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები, რა არის მისი არსი; რა სურდა ავტორს, ეთქვა ჩვენთვის ამ ნაწარმოებით; როგორია ნაწარმოების მხატვრული ღირებულება?

ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოების შეფასების დროს ამოსავალი ესთეტიკის მიერ შემუშავებული ის სამი ფუნქცია უნდა იყოს (შემეცნებითი, დიდაქტიკური და ესთეტიკური), ურომლისოდაც ხელოვნების ქმნილება თავის დანიშნულებას ვერა და ვერ შეასრულებს.

თავისიერულება ამა თუ იმ დარგისა შემფასებლის მხრიდან გამორიცხავს აჩემებულ უნივერსალიზმს, და, როგორც აღვნიშნეთ, ხელოვნების იმ უანრში სათანადო გარკვეულობასაც გულისხმობს.

როცა არქიტექტურულ ძეგლზე ვსაუბრობთ, უნდა ვიცოდეთ არა მარტო კონკრეტული არქიტექტორის შემოქმედებითი სპეციფიკა, არამედ მსოფლიო არქიტექტურის გამოცდილება, სხვა მოთხოვნებთან ერთად ორ აუცილებელ ნიშნად რომ ჩამოყალიბდა. პირველი გახლავთ ბუნებრივ რელიეფთან მისადაგება და მეორე – ეროვნული არქიტექტურის ნიშან-თვისებების შენარჩუნება.

მუსიკალურ ნაწარმოებზე მსჯელობის დროს მაშინვე გადაგვიცდება ფეხი დილეტანტიზმის ჭაობისაკენ, თუ გვიჭირს დადგენა ზღვარისა ჭეშმარიტ მუსიკალურ ნაწარმოებსა და ორიგინალურის ნიღბით შემოთავაზებულ მუსიკალურ სუროგატს შორის.

სახვითი ხელოვნების სფეროში ჩვენი საშემფასებლო ვოიაჟი ამაო იქნება, თუ წარმოდგენა არა გვაქეს მსოფლიოს სახელოვნებო სკოლებზე (რეალიზმი, აბსტრაქციონიზმი, ფუტურიზმი, სიმბოლიზმი, იმაჟინიზმი) და არ ძალგვიძს, შესაფასებელ ნაწარმოებს იმ მიმართულებათა შორის კუთვნილი ადგილი მოვუძებოთ.

კინოხელოვნებასა და თეატრს, როგორც კოლექტიური შემოქმედების ნიმუშებს, შეფასების განსაკუთრებული კრიტერიუმები მიესადაგება, მაგრამ ორივე ამ უანრს შეფასების დროს აუცილებლად სათავეში უნდა ჩავუყენოთ მისი უმთავრესი შემოქმედი – რეჟისორი. აქვე გამოწვლილვით უნდა შევეხოთ მსახიობთა ოსტატობას, მუსიკას, მხატვრობას და, რასაკვირველია, ოპერა-ტორის ნამუშევარს (კინოფილმის შეფასების დროს).

შედარებით ვრცლად შევჩერდეთ ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოების შეფასების კრიტერიუმებზე, რადგანაც ეპი-

კური და ლირიკული ნაწარმოების შეფასების სპეციფიკა საერთოდ ხელოვნების ყველა დარგს მიესადაგება, რაკიდა ესა თუ ის ნაწარმოები შეიძლება ეპიკური ან ლირიკული უანრის ნიმუშად მივიჩნიოთ.

ოდითგანვე ლიტერატურის ორი სახე არსებობს: პოეზია და პროზა. შემდგომში ამ სახეებს დრამაც შეემატა და არისტოტელემ უფრო მნიობრი კლასიფიკაცია მისცა ლიტერატურულ სახეებს: ეპოსი, ლირიკა და დრამა. თუმცა ლიტერატურის უმთავრეს ფორმად პროზა და პოეზია ისევ რჩება.

პოეზიაზე ბევრნი მსჯელობენ. ხელოვნების ნაწარმოების შეფასების პრეტენზიით ბევრნი გამოდიან, მაგრამ განსხვავება პროზასა და პოეზიას შორის ხშირად მკითხველისათვის რებუსურ პრობლემად რჩება.

რადგან პოეზიის ეს ორივე სახე ხელოვნების სფეროს განეკუთვნება, მათ შორის წყალგამყოფი ჩინური კედელი არ არსებობს. თუ განსხვავებას გარეგნული ფორმით მოვახდენთ, აქამდა ლექსი ლექსის ფორმით იწერება, ხოლო პროზა კი – პროზის ფორმითო, არ იქნება საკმარისი. არც რითმიანობა და ურითმობა, არც მარტო მარცვალთა რაოდენობის სხვადასხვაობა გამოგვადება განსხვავების კრიტერიუმად.

პოეზია პროზისაგან თვისებრივად განსხვავდება. განსხვავება მოვლენათა აღქმის, საგნებს შორის კავშირის დამყარების, ასახვის თავისებურებაშია და არა ოდენ გარეგნულ ფორმაში. „თითქოს ლექსია, მაგრამ მაინც არ არის ლექსი“ – ბრძანა გალაკტიონმა და ამით იმ იდუმალებას გაუსვა ხაზი, რითაც პოეზია პოეზიაა.

პოეზიასა და პროზას შორის განსხვავების საილუსტრაციოდ გალაკტიონის ერთ ლექსს შემოგთავაზებთ:

„აჩრდილი ჩუმი და მოალერსე უცნობი მზისთვის, ყოველ ქვეყნის და დროის გარეშე ცხოვრობს თავისთვის. საღამო მშვიდი აძინებს მხეცებს ახლა თავიდნ, აჩრდილი მზიან ადგილებს ეძებს, მზე კი ჩავიდა“.

ჩვენ თვალწინ დახატულია რაღაც იდუმალი, აღსაქმელად საკმაოდ რთული, ადამიანის ქვეცნობიერი სამყაროსათვის მისაწვდომი სურათი. პროზაული ხილვით მოვლენათა იმ ურთიერთობაში ჩაწვდომა, გალაკტიონმა რომ დამყარა საგნებს შორის ამ ლექსში, ძალიან ძნელია, მაშინაც კი, როცა ამ ლექსს პროზაულ ფორმას მივცემთ. მაგ.: „ჩუმი და მოალერსე აჩრდილი, რომელიც მზისთვის უცნობია, ყოველი ქვეყნისა და დროის გარეშე თავისთვის ცხოვრობს. ახლა, როდესაც დამდება, ანუ მშვიდი საღამო მხეცებს თავიდან აძინებს, აჩრდილი გაფაციცებით დაეძებს მზიან ადგილებს, მაგრამ ამაოდ, მზე ჩავიდა...“.

გალაკტიონის ამ ლექსში საუბარია წუთისოფლის დროთა ცვალებადობაზე, ჩრდილი, ანუ აჩრდილი, გასულიერებულია და მას მინიჭებული აქვს თავისი მაგიური, იდუმალი ადგილი დროთა მკაცრ ცვალებადობაში.

პროზის ფორმით განცობის დროს ლექსმა დაკარგა ტრადიციული პოეტური ფორმა, მაგრამ პოეტური შინაარსი არ დაუკარგავს. ე.ი. ღრმა პოეტური სიმბოლიკა და არა დაწვრილებითი აღნერა, ამაღლებულის მასშტაბური განზომილებანი და არა ყოფითი დეტალებით შეზავებული სინამდვილე, მხატვრულ-ფილოსოფიური პირობითობა და არა ზედმინევნით რეალური სამყარო – ეს და კიდევ რამდენიმე სხვა ნიშანი განასხვავებს პროზას პოეზიისაგან. რა თქმა უნდა, ყოველთვის როდი ხერხდება (და არცაა საჭირო) პროზასა და პოეზიას შორის ზღვარის დადება, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მკითხველს გზამკვლევად გამოადგება ისტორიულად დაკანონებული ლიტერატურული ჭეშმარიტება: ლექსი არის ტრადიციულად ლირიკის, პოეზიის გამოხატვის ფორმა, პროზა ეპიკურის გამოხატვის ფორმაა. თუმცა, როგორც ყოველ ესთეტიკურ კანონს, ამ კანონსაც აქვს გამონაკლისები. მაგალითად, საუკუნეების განმავლობაში მხოლოდ ლექსად თქმა იყო მიჩნეული ჭეშმარიტ ლიტერატურად და გრძელი ლექსი, ანუ პოემა, გახლდათ ეპიკურის გამოხატვის ერთადერთი ფორმა (პომეროსი, რუსთველი...).

რაკილა დრამატურგია ეპოსისა და ლირიკის ერთგვარ ნაჯვარს წარმოადგენს და სანახაობისათვის განკუთვნილი სიტყვიერი მასალაა, ჩვენ ძირითადად უნდა შევისწავლოთ ლირიკული და ეპიკური ნაწარმოების შეფასების ხელოვნება.

## ლირიკული ნაწარმოების შეფასება

ლირიკული ნაწარმოები (ლექსი, ლირიკული პოემა, ლირიკული პიესა, ლირიკული მინიატურები, ე.ნ. ლექსები პროზად) უნდა შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმებით:

1. პოეზიის რომელ სახეს განეკუთვნება: ინტიმურ-მედიტაციურია თუ სამოქალაქო-პუბლიცისტური
2. განწყობილების უშუალობა
3. თემატურ-პრობლემატური ორიგინალურობა
4. შინაგანი სიუჟეტი და დრამატიზმი
5. კომპოზიცია
6. მხატვრული სახეები
7. რითმა და რიტმი
8. ენა

ახლა განვიხილოთ თითოეული კრიტერიუმი ცალ-ცალკე.

ინტიმურ-მედიტაციურია ლექსი, რომელშიც პოეტი თავის ინტიმურ, სუბიექტურ განცდებზე გვესაუბრება. მედიტაცია ადამიანის შინაგანი სამყაროს გადმოცემას ჰქვია. ზოგი მკვლევარი მას „შიგნით ჩაბრუნებულ მზერას“ უწოდებს. ინტიმურ-მედიტაციურ ლექსს განიხილავენ, როგორც წმინდა, ანუ ლირიკულ, პოეზიას.

ინტიმურ-მედიტაციურ ლექსში საუბარია სიყვარულზე, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაზე, ადამიანის სულიერ წონასწორობაზე. ერთი სიტყვით, ყველა იმ თვისებაზე, რაც პიროვნების შინაგან მეს წარმოადგენს. ინტიმურ-მედიტაციური პოეზიის ნიმუშებია არტურ რემბოს „მთვრალი ხომალდი“, ედგარ პოს „ელდორადო“, ილია ჭავჭავაძის „ელეგია“, ვაჟა-ფშაველას „ლამე მთაში“, გალაკტიონის „მერი“, „უსიყვარულოდ“, „მთაწმინდის მთვარე“...

ინტიმურ-მედიტაციურ პოეზიას ახასიათებს ჩურჩულის ინტიმაცია, მინორული სტილი, იგი ვერ ჰგუობს სიტყვათა კანტატისებურ ჟღერადობას. ასეთი ლექსები უპირატესად ადამიანის სულის საიდუმლოს ამჟღავნებენ.

იმის შემდეგ, როცა გავარკვევთ, რომ სარეცენზიო ნაწარმოები პოეზიას მიეკუთვნება, საჭიროა გავარკვიოთ, კერძოდ, პოეზიის რომელ სახესთან გვაქვს საქმე, ლექსი სამოქალაქო-პუბლიცისტურია თუ ინტიმურ-მედიტაციური.

პოეზიის ეს ორი სახე თდითგანვე მონაცვლეობს ლიტერატურაში და ორივე მათგანს აქვს მოქალაქეობრივი არსებობის უფლება, მაგრამ ჭეშმარიტი პოეზია არის ინტიმურ-მედიტაციური ლექსი, ხოლო სამოქალაქო პოეზია უფრო პუბლიცისტურია, პრაქტიკული დანიშნულების პოეზიაა.

ინტიმურ-მედიტაციურ ლექსში პოეტი საგნებსა და მოვლენებს კი არ აღნერს ისეთად, როგორიც არის იგი, არამედ სინამდვილის ახალ მოდელს, ანუ ახალ მხატვრულ სინამდვილეს, ქმნის.

ინტიმურ-მედიტაციური ლექსი არის პოეტური ფიქრი ადამიანის სუბიექტურ სამყაროზე, ამიტომაც არის მასში ქვეცნობიერის, უბრალო თვალისათვის ძნელად აღსაქმელი ელემენტები. ისეთი უფაქიზესი ლირიკოსებიც კი, როგორებიც არიან გალაკტიონი, ახმატოვა, ბრიუსოვი, სალვადორე კვაზიმოდო და სხვანი, ჩვეულებრივად წერენ როგორც ინტიმურ-მედიტაციურ, ასევე სამოქალაქო-პუბლიცისტურ ლექსებს. სამოქალაქო-პუბლიცისტურ ლექსს ხშირ შემთხვევაში მკითხველზე უფრო დიდი გავლენა აქვს, ვიდრე ინტიმურ-მედიტაციურს.

ინტიმურ-მედიტაციური პოეზია, როგორც აღვნიშნეთ, უმთავრესად შეეხება სიყვარულს, ცხოვრების სინამდვილით გამოწვეულ სევდას, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემას, წუთისოფლის ამაოებაზე ჩაფიქრებას, დროთა შეუჩერებელ სრბოლას და ა. შ.

ინტიმურ-მედიტაციურისაგან განსხვავებით, სამოქალაქო-პუბლიცისტური პოეზია უფრო მაურულია. იგი მომწოდებლის, ანუ დამრაზმავის, ფუნქციას ასრულებს. სამოქალაქო-პუბლიცისტური ლექსი შეეხება სოციალური მნიშვნელობის საზოგადოებრივ ძვრებს. სოციალურ გარდაქმნებს, ეროვნულ მოძრაობას, რევოლუციებს, აღმშენებლობასა და სხვა საკითხებს. სამოქალაქო პუბლიცისტური ლექსი, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, უფრო პუბლიცისტური, ანუ ჟურნალისტური, მიზანდასახულობისაა და ნაკლებად შეიცავს წმინდა პოეზიისათვის დამასასიათებელ ნიშან-თვისებებს.

თავისი პრაქტიკული დანიშნულების გამო სამოქალაქო-პუბლიცისტურ პოეზიას უშუალო პოეზიის რანგში არც კი განიხილავს ზოგი კრიტიკოსი, რაც არასწორად მიმაჩნია. ლექსის თავის სახეს მოქალაქებრივი არსებობის უფლება აქვს და ორივე ჭეშმარიტი პოეზიის სფეროს განეკუთვნება, ძალიან გაღარიბდე-

ბოდა მსოფლიო პოეზია, მას რომ გამოვაკლოთ იღლია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერი“ და „გუთნის-დედა“, აკაკი წერეთლის „ხანჯალს“, „თქვენი ჭირიმე“, ვაჟა-ფშაველას „ბაკური“, „არნივი“ და სხვ.‘

არ არის მართალი ცნობილი ანდაზა: „როცა ზარბაზნები მქუხარებენ, მუზები დუმან“. პირიქით, ისტორიული ქარტენილების დროს ბარიკადზე დგება სამოქალაქო-პუბლიცისტური პოეზია და ამ შემთხვევაში დიდია მისი ზემოქმედების ძალა. რევოლუციურ ეპოქაში დიდი როლი შეასრულა ეჟენ პოტიეს „ინტერნაციონალმა“ და იროდიონ ევდოშვილის ლექსმა – „მეგობრებო, წინ, წინ გასწით“!

სამოქალაქო-პუბლიცისტური ლირიკა, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, უფრო მომწოდებლური, სამოქალაქო პოეზიაა და მას დამრაზმავ-პროპაგანდისტული ფუნქცია უფრო აქვს, ვიდრე – მხატვრული სახეებით მკითხველისათვის ესთეტიკური სიამოვნების მინიჭების. სამოქალაქო-პუბლიცისტურ პოეზიას, უპირატესად, სწორედ ჟურნალისტური, პუბლიცისტური ფუნქცია აქვს. ამგვარ პოეზიას მიეკუთვნება პატრიოტული ლირიკა... ის ლექსები, რომლებშიც საუბარია მტრის წინააღმდეგ ბრძოლაზე, თავისუფლებისაკენ მოწოდებაზე, სამოქალაქო აღმშენებლობაზე, სიმართლისათვის ადამიანთა დარაზმვაზე და ა.შ.

ლექსის ორივე სახეს ერთნაირად აქვს მოქალაქეობრივი უფლება და ორივე უნდა ჩაითვალოს პოეზიის ფაქტად. საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ მონაკვეთზე წინ წამოიწევა ლექსის ესა თუ ის სახე, მაგ: ინტიმურ-მედიტაციური პოეზია უფრო პოეზიის მცოდნე და დამფასებელი, მშვიდი საზოგადოების ყურადღების ცენტრში ექცევა, ხოლო სამოქალაქო-პუბლიცისტური ლექსი კი დიდი სოციალური ქარტენილების, ომების, რევოლუციური ძვრების დროს გამოჩნდება ხოლმე. სამოქალაქო-პუბლიცისტური ლექსის ნიმუშებია ზემოთ დასახელებულებთან ერთად გალაკტიონის „მშობლიურო ჩემო მიწავ“, გიორგი ლეონიძის – „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები“, „შინმოუსვლელო, სადა ხარ“, შოთა ნიშნიანიძის – „ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან“, „ამორდალები“, „სამასი არაგველის ხსოვნას“...

ნანარმოების თემა არის ის, რაზეც ლაპარაკია თხზულებაში, რის შესახებაც დაიწერა ესა თუ ის ნანარმოები, ხოლო პრობლემა არის ის, რისთვისაც დაიწერა, ანუ რისი თქმაც სურდა ავტორს ამ ქმნილებით.

ყოველი ჭეშმარიტი ქმნილება არის დაწერილი რაღაცაზე და რაღაცის გამო. თუ ნაწარმოებში არ ჩანს, რაზეა იგი დაწერილი, ასეთ ნაშრომს ბუნდოვანი, აბსურდული ნაწარმოები ჰქვია და იგი ჭეშმარიტ მხატვრულ ქმნილებად არ ჩაითვლება.

პოეტმა ლექსში აუცილებლად უნდა დააყენოს რაიმე კონკრეტული პრობლემა და, თუ მისებურად არ გადაწყვეტს საკითხს, პრობლემის დასმის პრეცედენტი მაინც უნდა შექმნას. შევხედოთ ამ თვალით გალაკტიონის „მესაფლავეს“, რომელიც დაწერილია სიყვარულზე. ამ გრძნობაზე მსოფლიო ლიტერატურაში უამრავი ნაწარმოები დაწერილა. გალაკტიონ ტაბიძეს სიყვარულის მუდმივობაში ეჭვი შეაქვს. „მესაფლავეში“ დამტკიცებულია, რომ სიყვარული მარადიული სრულიადაც არ გახლავთ და ლექსის ლირიკული გმირი იძულებულია, დაეთანხმოს მესაფლავეს:

„სამუდამოდ ასამარებს კაცთა ხსოვნას სამარის ქვა...“

ამრიგად, თემატურად „მესაფლავე“ ორიგინალური არ არის, პრობლემატურად იგი ორიგინალურია, რადგან ჩვენ მსოფლიო ლიტერატურაში ძალიან ცოტა ვიცით ლექსი, რომელიც ასევე მკაცრად უუბნება მკითხველს სიმართლეს სიყვარულის შესახებ.

ცხოვრების ყოველი ათწლეული ადამიანთა წინაშე ახალ პრობლემებს წარმოაჩენს. უფრო სწორად რომ ვთქვათ, იმეორებს ძველს და ახლებურად აყენებს ადამიანთა წინაშე ზოგიერთ, თითქოსდა, ადრეულ „ურყევ ჭეშმარიტებას“.

გალაკტიონის ლექსის „მშობლიურო ჩემო მიწავ“ თემა არის სამშობლო, ხოლო პრობლემა – სამშობლოს სიყვარულის განმტკიცება მკითხველში.

„ლურჯა ცხენების“ თემა არის დროის უსწრაფესი სრბოლა და იმქვეყნიური ცხოვრების ჩვენება, ხოლო პრობლემა – უჩვენოს მკითხველს, რომ ყველაფერი დროის მსახვრალ სრბოლას ემორჩილება და დროის ლურჯა ცხენების სრბოლის წინააღმდეგ ადამიანის ყოველგვარი გაბრძოლება ამაოა.

ლექსში თემატურ-პრობლემატური ორიგინალურობის მიღწევა საკმაოდ ძნელია. პოეზია თავისი მრავალსაუკუნოვანი არ-სებობის მანძილზე იმდენ თემასა და პრობლემას შექმნა, ისე მრავალფეროვანია მისი ხედვის არეალი, რომ ძალიან ძნელია თემატურ-პრობლემატურად სხვათაგან რადიკალურად განსხვავებული სიახლე მოიტანოს პოეტმა.

თუ ჩვენი თავბრუდამხვევი ეპოქა, ურბანისტული ცხოვრების წესი ასე თუ ისე თემატური სიახლეების პოზიაში შემოტანის საშუალებას იძლევა, ლექსის პრობლემის ორიგინალური გადაწყვეტის საშუალება შედარებით შეზღუდულია.

ხშირად თვითმყოფადობის ძიება ამ მხრივ ცრუ ფილოსოფიურ ჩხირკედელაობაში გადაიზრდება ხოლმე.

პოეზიის – ლექსისა და ლირიკული პოემის – ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი ის არის, რომ იგი განწყობილების პროდუქტია. განწყობილება ნაწარმოებს ერთიან ლირიკულ ელფერს აძლევს და ხშირად მკითხველზე გადამდებად ზემოქმედებს.

ყველა შედევრი ლირიკული პოეზიისა უშუალო განწყობილების ანარეკლია. თუ ლექსში სხვადასხვა განწყობილება მონაცვლეობს, ასეთი ლექსი კარგ ლექსად ვერ ჩაითვლება, რადგან, განწყობილების თვალსაზრისით, იგი ავტორის უშუალო განცდას ვერ გამოხატავს.

ჭეშმარიტ პოეტებს ხშირად ლექსის საჯაროდ წაკითხვა არ უყვართ. უარს ამბობდა ლექსის წაკითხვაზე ანა ახმატოვა; როდესაც ამ ლექსს ვწერდი, მე ქქონდა გარკვეული განწყობილება, ახლა ხომ არ შემიძლია მე, ძალით შევქმნა ის განწყობილება, რაც ამ ლექსის წერის დროს მქონდაო. ასევე არ უყვარდა ლექსის წაკითხვა დიდ გალაკტიონს. მხოლოდ მსახიობს შეუძლია, არტისტული ინტონაციით დაუახლოვდეს ლექსში მოცემულ განწყობილებას და რაც უფრო ზუსტად გამოხატავს იგი ამ განწყობილებას, მით უფრო მაღალ დონეზეა მისი დეკლამაცია.

საოცარია გალაკტიონის მიერ წაკითხული „მთაწმინდის მთვარე“. იგი ცდილობს იმ განწყობილებით წაკითხოს ლექსი, რა განწყობილებითაც დაწერა.

ჭეშმარიტ პოეზიის ნიმუშში იშვიათზე იშვიათია განწყობილების კალეიდოსკოპური მონაცვლეობა.

ერთი ლექსი უპირველესად მხოლოდ ერთ განწყობილებას ერთგულებს. შოთა ნიშნიანიდე ამბობდა: ისე, როგორც ძველი ბერძენი ფილოსოფოსის ნათქვამისა არ იყოს, „ერთსა და იმავეს მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ“, ასევე შეუძლებელია დაუბრუნდე იმ განწყობილებას, რომლითაც ესა თუ ის ლექსი დაინერაო.

ამრიგად, როდესაც ერთსა და იმავე ლექსში განწყობილების ამპლიტუდა მერყეობს, ანუ პოეტი ერთი განწყობილებიდან მეორეზე გადახტება ხოლმე, ამ შემთხვევაში ვამბობთ, რომ ლექსში განწყობილების უშუალობა არ იგრძნობა.

ხოლო, როდესაც განწყობილება მდგრადია და სათანადო პროცესი პოეტური აქსესუარებით არის გადმოცემული, ჩვენ ვამბობთ, რომ ლექსის განწყობილება უშუალოა.

ლექსი ერთიანი ლიტერატურული სხეულია. მას აქვს დასაწყისი და დასასრული. ლექსში უნდა იყოს ერთი კონკრეტული სათქმელი და წარმოადგენდეს ერთიან, სრულყოფილ ლიტერატურულ შენობას. ლექსის ლიტერატურულ შენობას, ლექსის ლიტერატურულ მთლიანობას ორი რამ განაპირობებს: 1. სიუჟეტი, 2. დრამატიზმი.

არსებობენ სიუჟეტიანი ლექსები. ამგვარ ლექსებს საფუძვლად ერთიანი, კონკრეტული სიუჟეტი უდევს. ასეთი ლექსის შინაარსი მკითხველს ადვილად ამახსოვრდება. სიუჟეტიანი ლექსია გალაკტიონის „მესაფლავე“. პოეტი გვიყვება ამბავს, გადმოგვცემს ბალადურ სიუჟეტს. სიუჟეტიანი ლექსია გალაკტიონის „მერი“, რომლის ამბავზეც შეიძლება მთელი მოთხოვნა და რომანიც კი დაიწეროს: რა მოხდა, რატომ იწერს ჯვარს ლირიკული გმირის სატრფო სხვაზე? რატომ არა აქვს უფლება ტაძარში შესვლისა ლირიკულ გმირს, რომელიც ნაბადმოხვეული გარეთ დგას და ამ საბედისწერო ჯვრისწერას უცქერის? შორიდან ლექსის სიუჟეტი მთავრდება მწუხარე გმირის რეკვიემით:

„და მე ავტირდი, ვით მეფე ლირი,  
ლირი, ყველასგან მიტოვებული“.

ასეთივე სიუჟეტური ლექსია აკაკი წერეთლის „განთიადი“. პოეტი გადმოგვცემს ავადმყოფის ჩამოსვლას თავის სამშობლოში. ყოველივე მასში აღძრავს ფიქრს, ჭეშმარიტი ქართველისაგან რომ ნიადაგ განუყრელია.

თუ ლექსში არ არის სიუჟეტი, მასში უსათუოდ უნდა იყოს დრამატიზმი, რომელიც ლექსს შინაგან სიმწყიცეს, ერთიან ლიტერატურულ სუნთქვას ანიჭებს. თუ ლექსში შინაგანი დრამატიზმი არ იგრძნობა, ასეთი ლექსის დაუსრულებლად

გაგრძელება შეიძლება. მაგ: შინაგან დრამატიზმზეა აგებული გალაკტიონის ყველა უსიუჟეტო ლექსი.

„გაცრეცილ და ვნებიან  
ცას სინაზე ჰელებია.  
ყვავილებზე მღერიან,  
რა დროს ყვავილებია“.

შინაგანი სიუჟეტი აშკარად ჩანს გ. ლეონიძის ლექსში „ნინა ჭავჭავაძეს“:

„შენს სიყვარულის იქით ბნელდება,  
დაიხურება ცისკრის კარედი,  
შენ მოგაყარეს მინა ბელტებად,  
მკერდზე რომ ვარდაც ძლივს იკარებდი“.

შინაგანი დრამატიზმი აშკარად ჩანს აკაკი წერეთლის ლექსებში „სულიკო“ და „აღმართ-აღმართ“. ასევე შინაგანი დრამატიზმითაა დამუხტული ილია ჭავჭავაძის „გუთნის-დედა“.

დრამატიზმი ლექსის შემკვრელი თემატური ლერძია. იგი მკითხველის ყურადღებას ამახვილებს და აკონკრეტებს. თუ ლექსს არც შინაგანი სიუჟეტი აქვს და არც დრამატიზმი, მისი დაუსრულებლად გაგრძელება შეიძლება. ამიტომ იგი ერთიანი ლიტერატურული სხეული კი არ არის – არამედ განწყობილების უბრალო ანარქელია. თუ ლექსს დრამატიზმი არა აქვს, იგი სრულფასოვნად ვერ ჩაითვლება.

მხატვრული ნაწარმოები ჩამოყალიბებულ, მონოლითურ ლიტერატურულ სხეულს უნდა წარმოადგენდეს. ასეთ ერთიან სხეულად მას აქცევს შინაგანი სიუჟეტი და დრამატიზმი.

თუ ლექსში არც სიუჟეტი გვხვდება და არც დრამატიზმის ურთულესი კანონით არის შეკრული, ასეთი ლექსი შინაგანად ცარიელი, ანუ ამორფული, ქმნილებაა.

არ არის ლექსი სრულყოფილი, როდესაც იგი ლირიკული ჩანახატების უსისტემო ნაზავს, ანუ კონგლომერატს, წარმოადგენს.

თუ ლექსში გადმოცემული ამბავი შეგიძლია უამბო სხვას, ასეთი ნაწარმოები სიუჟეტიანი ლექსია.

ლექსის შეფასების დროს თუ შევამჩნევთ, რომ მასში სიუჟეტი და შინაგანი დრამატიზმი იგნორირებულია, უნდა მივუთითოთ

ასეთი ლექსის ამორფულობაზე და უნდა ვთქვათ, რომ იგი ფრაგ-მენტული ასოციაციების პოეტური ნაზავია, რომ სტრიქონების ერთმანეთთან ხელოვნური დაკავშირებაა და მეტი არაფერი.

კომპოზიცია მხატვრული ნაწარმოების ცალკეული ნაწილების ერთმანეთთან შეკავშირების ხელოვნებას ჰქვია. ლექსის ცალკეულ სტროფებს შორის ლოგიკური კავშირი უნდა იგრძნობოდეს. ლექსში არც ერთი ფრაზა, არც ერთი სტროფი ზედმეტი არ უნდა იყოს, საერთოდ, მწერლობა საინტერესო ამბის მოკლედ და ლამაზად თქმის ხელოვნებაა.

კომპოზიციის ხელოვნებას ზედმინევნით ფლობენ გენიოსები. როგორცა ჩანს, გენიოს პოეტს კომპოზიციის უაღრესად საჭირო ხელოვნება თანდაყოლილ თვისებად ახასიათებს, ხოლო სხვები მას თანმიმდევრული დაძაბული მუშაობის შედეგად შეიძენენ.

დავუკვირდეთ გალაკტიონის პოეზიას, კომპოზიციის რა საოცარი გრძნობით არის დაწერილი პოეტის ნებისმიერი საუკეთესო ლექსი. ავილოთ „ისევ ეფემერა“, „მამული“. არც ერთი ზედმეტი სიტყვა, სტროფი არ არის ამ ლექსებში.

როდესაც ლექსში არის ზედმეტი დეტალები, ზედმეტი სტროფები, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი კომპოზიციური შენობა მტკიცე არ არის. ესე იგი, ლექსის არქიტექტონიკა დარღვეულია, ანუ ლექსი კომპოზიციურად შეუკვერელია. კომპოზიციის ოსტატობა, ანუ კომპოზიციური ზომიერება, დიდი შრომის შედეგად მიღწევა და მოითხოვს მაღალ მხატვრულ ოსტატობას, თუმცა შეიძლება, იგი პოეტურმა ინტუიციამაც განაპირობოს.

ქართველებს კომპოზიციის გრძნობას მოკლებული მოსაუბრის მიმართ გენიალური სიტყვა გვაქვს: „გაჭიანურებული“. უთავბოლო ლაქლაქი ი. ჭავჭავაძემ გლახა ჭრიაშვილის საუბრად მონათლა.

მხატვრული შემოქმედება მხატვრული სახეებით აზროვნებას გულისხმობს. ამიტომ ჭეშმარიტად ფასეულ, ლირიკულ ინტიმურ-მედიტაციურ ლექსში ყოველთვის გვხვდება ერთი ან რამდენიმე მხატვრული სახე: მეტაფორა, გაპიროვნება, შედარება, ეპითეტი, ჰიპერბოლა... არაა აუცილებელი, მხატვრული სახეები იყოს სამოქალაქო-პუბლიცისტურ ლექსში, მაგრამ სასურველია: როდესაც მხატვრული სახეების კრიტერიუმით ვაფასებთ ლექსს, ჯერ გამოვყოთ მხატვრული სახეები, მერე შევაფასოთ, რამდე-

ნად ძლიერია ეს სახეები და, ამასთანავე, გავარკვიოთ, რამდენად ორიგინალურია ესა თუ ის მხატვრული სახე. ნახეთ, რა ფერნ-ერული შედარებაა:

„სალამოს ლანდები,  
ვით ბინდი ნიავის, მიდამოს სდებია,  
გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის –  
ეს ჩემი სამშობლოს მთებია“.  
(გალაკტიონი)

მხატვრული სახეებით აზროვნება მაღალი პოეტური კულტურის უპირველესი ნიშანია.

ის, რისი გამოხატვაც შეიძლება აზროვნების სხვა სახით, მწერალმა უნდა თქვას მხატვრული სახეების საშუალებით. თუ შემოქმედი მხატვრული სახეებით ვერ აზროვნებს, მისი ნაწარმოები შთამბეჭდავი არ იქნება და მის მიერ მეტოხელზე ემოციური ზემოქმედება მთვარის ათინათივით მერთალი და ცივი გამოვა.

მხატვრული სახეებით აზროვნება განსაკუთრებით უნდა ახასიათებდეს ლირიკულ ლექსს, რადგან სწორედ ის არის, უპირველეს ყოვლისა, მაღალი პოეზიის ფაქტი.

როდესაც ლექსს განვიხილავთ მხატვრული ხერხების, ანუ მხატვრული სახეების, თვალსაზრისით, უნინარეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ, რა ხერხებია მომარჯვებული, მერე რამდენად მართალი, ესე იგი, რამდენად შთამბეჭდავია ეს ხერხები და, ბოლოს, რამდენად ორიგინალურია პოეტის მიერ გამოყენებული მხატვრული სახეები.

ორიგინალურობის გარკვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ზოგჯერ პოეტი მისდაუნებურად ჩაურთავს ლექსში მის მიერ სხვაგან გამოყენებულ, ან, რაც უფრო უარესია, სხვა პოეტის მიერ გამოყენებულ მხატვრულ სახეს. ეს ყოველთვის არ უნდა მივიჩნიოთ პლაგიატის, ანუ ლიტერატურული ქურდობის, ფაქტად. ხანდახან სხვისი მხატვრული სახის გამოყენება გაუცნობიერებლად ხდება პოეტის მიერ. აქ შეუმცდარი არბიტრის მდგომარეობას მოგვანიჭებს პოეზიაში ჩენი გარკვეულობა და ნაკითხობა.

ეპითეტი მოვლენის ან პერსონაჟის დასახასიათებლად გამოყენებული მხატვრული ხერხია. მას ხშირად სინტაქსურად განსაზ-

ღვრების ფუნქცია აქვს: გავიხსენოთ, ეპითეტების რა ფეიერვერკი დაახვავა რუსთველმა როსტევან მეფის დახასიათების დროს: „იყო არაპეთს როსტევან მეფე ღვთისაგან სვიანი, მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი...“ შედარების დიდებული მაგალითები გვხვდება გალაკტიონთან:

„ტყე ტაძარივით იყო მაღალი...“  
მეტაფორის მშვენიერი მაგალითია:  
„სარკოფაგიდან დგება მუმია...“

ჰიპერბოლის, ანუ გაზვიადების, ნიმუში მოვიხმოთ ფოლკლორიდან:

„აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ,  
იქით გორასა ძვრას ვუზამ,  
ადიდებულსა დიდ მტკვარსა,  
დავაყენებ და ყლაპს ვუზამ“.

ლექსში მხატვრული სახე თვითმიზნად არ უნდა იქცეს. მხატვრული სახე უნდა იყოს მოხმობილი ზუსტად მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ამის საჭიროება არსებობს. ერთმანეთის გვერდით დახვავებული და ხშირად ბუნდოვანი მხატვრული სახეები ნაწარმოების აღქმას აძნელებს და ლექსს საკითხავად უინტერესოს ხდის.

პოეზია მხატვრული სახეების გარეშე წარმოუდგენელია. მაშინ, როდესაც ჩვეულებრივი მოქალაქე ამბობს: „დაღამდა“, პოეტი იტყვის: „სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი მწუხრის ზენარი გადაეფარა“. ქართულ სასაუბრო მეტყველებაში უამრავი მხატვრული სახეა. მაგალითად, „გზა მიიკლაკნება“, „მზე ამოთავთავდა“ (გალაკტიონი) და სხვ. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული ენა საერთოდ პოეტური ენაა.

დიდებული მეტაფორაა ვაუას – „მთები, თავჩაჩნიანები, ფიქრს მისცემიან მწარესა“.

ფორმის მიხედვით, ლექსი სამგვარია – კანონიკური, ანუ რითმიანი, თავისუფალი, ანუ ვერლიბრი, და თეთრი ლექსი.

რითმიანი ლექსი ტრადიციული, ანუ კანონიკური, ლექსია, რითმა ლექსს მუსიკალურობას ანიჭებს.

თეთრი ლექსი არის ლექსი, სადაც რითმა არ არის დაცული, მაგრამ საზომი დაცულია და რიტმიანია. რიტმს ქმნის მარცვალთა რაოდენობა ტაეპში. თავისუფალი ლექსი ჰქვია ისეთ ლექსს, რომელშიც არც რითმაა და ცალკეული ტაეპის რიტმი სხვადასხვაა.

ქართული პოეზიისათვის უმთავრესად რითმიანი ლექსია დამახასიათებელი. ეს არის არა მარტო ქართული, არამედ მთელი აღმოსავლური პოეზიის ტრადიცია.

ლექსი, უპირველეს ყოვლისა, იწერებოდა სასიმღეროდ. ამიტომ რითმიან ლექსს ამღერებული ლექსი ჰქვია. თუ ლექსში რითმა და რიტმი არ იყო მონესრიგებული, ასეთ ლექსს პოეზიის ნიმუშად არ მიიჩნევდნენ. ლექსს ძველ – ქართულად შაირი ერქვა. ის სპარსული სიტყვაა და სასიმღერო ტექსტს ნიშნავს.

რითმიანი ლექსის ვირტუოზები არიან: ჩახრუხაძე, რუსთველი და ძველი ქართული პოეზიის თითქმის ყველა წარმომადგენელი. რითმიანი ლექსი ახალ სიმაღლეზე აიყვანეს: ილიამ, აკაკიმ, ვაჟაფშაველამ, გალაკტიონმა...

როდესაც 1960-იან წლებში ახალგაზრდებმა რითმიანი ლექსის ტრადიციას „უღალატეს“, აღშფოთებულმა შოთა ნიშნანიძემ წერილები დაწერა – ქართული ლექსის დედა სწორედ რითმიანი ლექსია და არა გვაქვს უფლება, ჩვენს ტრადიციებს ვუღალატოთ.

თეთრი ლექსი საქართველოში ადრეული ხანიდან იყო გავრცელებული, თუმცა ისე პოპულარული არ გახლდათ, როგორც რითმიანი. თეთრი ლექსით არის დაწერილი ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზია, ფსალმუნები, და საგალობლები, აგრეთვე გრიგოლ ორბელიანის „მუხამბაზი ლათაიური“, „მუშა ბოქულაძე“; გალაკტიონის „ჯონ რიდი“; თეთრი ლექსით არის თარგმნილი შექსპირის ტრაგედიები ივანე მაჩაბლის მიერ. ინგლისურად შექსპირის პიესები სწორედ თეთრი ლექსით არის დაწერილი. საქართველოში შექსპირს ბრნყინვალე მთარგმნელი გამოუჩნდა ივანე მაჩაბლის სახით.

მესამე სახე ლექსისა არის თავისუფალი ლექსი, ანუ ვერლიბრი. ევროპული ლექსი უპირატესად ვერლიბრით იწერება. ვერლიბრითაა დაწერილი ელიოტის, უიტმენის და სხვათა ლექსები.

თავისუფალი ლექსი, ანუ ვერლიბრი, ისეთი ლექსია, რომელ-შიც არც რითმა ჭაჭანებს და არც სტრიქონთა რიტმულ ორგანიზაციას ექცევა ყურადღება.

ვერლიბრი საქართველოში ძირითადად მეოცე საუკუნის პირმშობა. იგი შემოიტანა გალაკტიონმა, დაამკვიდრეს ბესიკ ხარანაულმა, ჯარჯი ფხოველმა, ლია სტურუამ, გურამ პეტრიაშვილმა...

ვერლიბრს თუ კარგად ჩავუღრმავდებით, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ პოეზიისათვის რითმა და რიტმი აუცილებელი არ არის, იგი, უბრალოდ, ლექსის ტრადიციული ნიშან-თვისებაა. ნებისმიერი მოთხოვნის, ნებისმიერი კორესპონდენციის გარითმვა შეიძლება, მაგრამ ამით იგი პოეზიის ნიმუშად არ იქცევა. პოეზია, უპირველეს ყოვლისა, მხატვრული აზროვნებაა, რომელიც ჩვეულებრივ, ემპირიულ, კონკრეტულ აღნერითობას ვერ ეგუება. პოეტი უფრო ამაღლებულის, აბსტრაქტირებულის გამოხატვას ესწრაფვის. მაგ: ჩვენ რომ გავლექსოთ ე. ნინოშვილის მოთხოვნა „გოგია უიშვილი“, შედეგად პოეზიას ვერ მივიღებთ, მაგრამ პოეზიის ფაქტია ბესიკ ხარანაულის ლექსი „კარტოფილის ამოღება“, ასევე მაიაკოვსკის „ფინისპექტორთან საუბარი პოეზიაზე“. თავისუფალი ლექსის ნიმუშებია, მაგ: გ. პეტრიაშვილის „იადონი“ – (ტრაგიკული ამბავი მოხდა, ხმა დაკარგა კანარის ჩიტმა, იადონმა. სასოწარკვეთილი ჩიტი გალიას აწყდებოდა, გამყიდველს კი დიდად არ უნაღვლია, გამოაღო დარაბა და გალიაზე წარჩერა „ოცი ლარი“ – „ათ ლარად“ გადააკეთა).

ასევე პოეზიაა ბესიკ ხარანაულის ლექსი „პოეტი“ (ამ ლექსის წამითხველო, მე თქვენ შესახედავად არ მოგეწონებით, არც თქვენზე უფრო ლამაზი ცოლი მყავს და არც თქვენზე მდიდარი ვარ, მაგრამ მე მაინც გჯობივართ – მე პოეტი ვარ, ესე იგი, ერთი ცრემლით მეტი ვარ თქვენზე).

ვიმეორებ, ქართულ ლექსს აღმოსავლური ლექსის მეტაფორულობა და მლერადობა ახასიათებს. ამიტომ ტრადიცია ჩვენი ლექსისა იყო რითმიანობა.

რითმათა მიხედვით ლექსის შეფასების დროს უნდა ვთქვათ, რამდენად პოეტი-კომპოზიტორია ამ ლექსის ავტორი.

ლექსის ენაზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიხ-

ელმძღვანელოთ შეფასების იმ კრიტერიუმით, რომ ენა უნდა იყოს თანამედროვე ლიტერატურული ქართული. ლექსში შეიძლება პოეტმა მიმართოს დიალექტს, შემოიტანოს ძველი, არქაული სიტყვები და გამოთქმები, მაგრამ უპირატესად ლექსი უნდა დაინტერის თანამედროვე ქართულით. ამ მხრივ XX საუკუნის ქართულ პოეზიაში სამაგალითოა გალაკტიონი.

ნაწარმოები უნდა დაინტერის სადა, ლაპიდარული, გასაგები ენით, ზედმეტად ჩახუჭუჭებული ფრაზების მოუმარჯვებლად.

ლექსში შეიძლება გვხვდებოდეს არქაზმებიც, ანუ ძველი ქართულის ნიმუშებიც; ნეოლოგიზმი, ანუ ახლად გაჩენილი სიტყვა, კუთხური კილოკავის, ანუ დიალექტის, ნიმუშები, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა იყოს ზომიერად.

ენის ღირსებაზე როცა ლაპარაკობენ, ენათმეცნიერები, უპირველეს ყოვლისა, ამ რამდენიმე კითხვაზე მოითხოვენ საბუთიან პასუხს:

არის თუ არა გამძლე ენა?

არის თუ არა მრავალსიტყვოვანი, ენათმეცნიერულად რომ ვთქვათ, „ლექსიკურად მდიდარი“?

არის თუ არა ტკბილხმოვანი (მუსიკალური, მელოდიური)?

არის თუ არა მოქნილი, შეუძლია თუ არა მოვლენის ზუსტი გამოხატვა და აქვს თუ არა საამისოდ მრავალფეროვანი საშუალებანი?

ბერძნები გამოსახატავად მოეპოვება თუ არა ზუსტი, თვითმყოფადი, ორიგინალური ანბანი?

არის თუ არა მსოფლიო კულტურის საგანძურში სამუდამოდ დამკვიდრებული ამ ენაზე შექმნილი რომელიმე ძეგლი, ამ ენის უკვდავებისა და საჭიროების ყველაზე ხმამაღლა მღალადებელი?

გამძლე ენაო? მითაურის დროიდან დღემდე ჩვენმა ენამ უმნიშვნელო ცვლილება განიცადა. მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების ქართველს მშვენივრად ესმის ათასეული წლების მიღმა მისი წინაპრის მიერ გამოქვაბულის პირად ნამღერი; ლექსიკონში ჩახედვა არა გვჭირდება ათას ხუთასი წლის წინათ დაწერილი ქართული რომანის – „შუშანიკის მარტვილობის“ წასაკითხავად.

თვით უცხოელი სპეციალისტები აღიარებენ, რომ არ არსებობს ცნება და აზრი, რომლის გამოხატვაც ქართულ ენაზე არ

შეიძლებოდეს. ქართულმა გაუძლო მეოცე საუკუნის ენისთვის ყველაზე მძიმე – ტერმინოლოგისა და ტერნიზაციის საუკუნის გამოცდას. იგი ერთ-ერთი უმდიდრესი ენაა მსოფლიოში.

ტკბილმოსასმენი? ესაა ენა, რომელზეც შეგიძლია თქვა: „ქარი ჰქრის“ და თითქოს სტრიქონებიდან ქარი დაუბრავს. ენა, რომელსაც აქვს სიტყვა „დედა“, „ამოთავთავდება“, „მოშლიგინობს“, „ჩურჩული“ (ხმადაბლა საუბრის უზუსტესი ფონეტიკური ხატი) და „კივილი“ (უბედურების, ზარის მაცნე, სივრცეს ისარივით რომ კვეთს, ისეთი სიტყვა) და რომელი ერთი ჩამოვთვალო. ენა, რომელსაც ჩვილის ბაგეთათვის მორგებული ფონეტიკურ-მუსიკალურად გასაოცარი სიტყვა (თავისი სიმარტივით, სილბოთი) „დედა“ მოეპოვება, ერთ-ერთი ყველაზე კეთილხმოვანი ენა გახლავთ მსოფლიოს ენებს შორის.

არის თუ არა ქართული მოქნილი ენა? შეუძლია თუ არა მოვლენათა ზუსტი გამოხატვა და აქვს თუ არა საამისოდ მრავალფეროვანი საშუალებანი?

რა უხვ მასალას იძლევა ჩვენი ენა მისი გასაოცარი ელასტიკურობის, მოქნილობის, სიცოცხლისუნარიანობის ნათელ-საყოფად.

ენა, რომელსაც კაცის გუნება-განწყობილების გამოსათქმელად მარტო გულთან დაკავშირებული სამასამდე იდიომი აქვს (მაგ.: გულზე გასკდა, გულს შემოეყარა, გულზე არ ახატია, გულზე მოეშვა, გულს ეთანაღრება, გული მისდის, გული მიუწევს, გული საგულეს აქვს, გული შეექნა, გული შესტკივა, გულიდან ამორცხვა, გულიდან გადავარდნა, გულის აცრუება, გულის ავარდნა, გულის ამოჯდომა, გულის აფანცქალება, გულის აჩუყება, გულის აჩქროლება, გულის ბუდიდადნ ამოვარდნა, გულის გადაშლა, გულის გადაყოლება, გულის გაკეთება, გულის გატეხა, გულის განელება, გულის გაწყალება, გულის დაწყვეტა, გულის მობჯენა ყელში, გულის მოლბობა, გულის მოყვანა, გულის მოოხება, გულის მონადირება, გულის შეღონება, გულის ფხანა, გულმა რეჩხი უყო, გულს ესალბუნება...), ესეც არ იყოს, მარტო ფეხთან დაკავშირებით მოეპოვება უამრავი იდიომი და ქარაგმა (ფეხზე დააყენა, ფეხი უკან რჩება, ფეხებში ებლანდება, ფეხებზე ჰკიდია, ფეხთა მტვერი, ფეხი აითრია, ფეხი წაიტეხა, ფეხის მო-

კიდება, ფეხი ამოუკვეთა, ფეხის ხმას აჰყვა, ფეხებზე გაეფინა)... განა განსაცვიფრებლად მოქნილი ენა არ არის?

დღეს მსოფლიოს თოთხმეტი ცოცხალი ანბანიდან ერთი უაღრესად განუმეორებელი, თვითმყოფადი და ენის ბგერითი სხეულის უზუსტესი გამომხატველი ქართული ანბანი გახლავთ. და ეს მაშინ, როცა საკუთარი ანბანი არ შეუქმნიათ ისეთ უკვდავენებს, როგორიცაა ინგლისური, ფრანგული, გერმანული და სხვ.

ქართულ ენას უკვდავების გარანტიას ის გარემოებაც აძლევს, რომ ამ ენაზე წერდნენ რუსთველი, სულხან-საბა, დავით გურამიშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი, გამსახურდია. ჩვენი ერის ამ წმინდა მამათა თხზულებების ორიგინალების წაკითხვა ყოველთვის იქნება ცივილიზებული მოქალაქის სურვილი და ოცნება...

მაშ, თანამედროვე ლექსი უნდა დაინტერის თანამედროვე გამარტული ქართულით. მიუღებელია კუთხურ კილოზე შექმნა. სასურველია, პოეტს მდიდარი ლექსიკური მარაგი ჰქონდეს. დიდი პოეტები ლექსში იშვიათად იმეორებენ გამოთქმებს. ვაჟა-ფშაველა გენიოსი პოეტი იყო, რომელმაც პოეზიაში ფშავური კილო დაამკვიდრა. მოსაწონი არ არის ლექსში არქაული სიტყვებისა და ბარბარიზმების ხმარება. შეიძლება აქა-იქ შეგხვდეს ძველი ქართულის გამოთქმები, მაგრამ იგი თვითმიზნად არ უნდა იქცეს.

## ეპიკური ნაწარმოების შეფასება

ეპიკური ნაწარმოები (რომანი, მოთხრობა, ნოველა, ეპიკური პოემა, ეპიკური პიესა...) უნდა შევაფასოთ შემდეგი კრიტერიუმებით:

1. ავტორი
2. სარეცენზიონ ნაწარმოების ადგილი ავტორის შემოქმედებაში
3. ეპოქა, ანუ ნაწარმოების შემეცნებითი ლირებულება
4. პრობლემა და ნაწარმოების დიდაქტიკური ლირებულება
5. ნაწარმოების მხატვრული ლირებულება:
  - ა) სიუჟეტი

- ბ) კომპოზიცია  
გ) პერსონაჟები და მათი დახასიათება  
დ) მხატვრულ-გამომსახველობითი და სტილური საშუალებანი, უანრული თავისებურება, პერსონაჟთა დახასიათების ხერხები, პორტრეტი, დიალოგი, მხატვრული პასაჟი, პეიზაჟი, ბატალიური სცენები...
6. ენა.

ეს სქემა, რასაკვირველია, პირობითია. იგი შეიცავს ყველა აუცილებელ მოთხოვნას, რის მიხედვითაც უნდა შევაფასოთ მხატვრული ნაწარმოები, მაგრამ მხატვრული ნაწარმოების შეფასების დროს ამ სქემის ზედმინევნით დაცვა აუცილებელი როდია. ამ შემთხვევაში კრიტიკული წერილები ტყუპისცალებივით დაემსგავსება ერთმანეთს. შემფასებელს, ანუ კრიტიკოსს, მეცნიერ-მკვლევარს, შეუძლია, შეხედულებისამებრ შეცვალოს კრიტერიუმთა თანმიმდევრობა, მაგრამ მისი შეფასება სრულყოფილი არ იქნება, თუ იგი ისაუბრებს მხოლოდ ნაწარმოების პრობლემათა სფეროზე, ანუ დიდატიკურ ლირებულებაზე, და არაფერს იტყვის შემეცნებით ლირებულებაზე, თუ ისაუბრებს ნაწარმოების შემეცნებით და მხატვრულ ლირებულებაზე და არაფერს იტყვის პრობლემათა სფეროზე და ა. შ.

მხატვრული ნაწარმოების შეფასების დროს მკვლევარსა თუ კრიტიკოსს აუცილებლად მოეთხოვება იცოდეს, ვინ არის ნაწარმოების ავტორი, რომელი საუკუნის შემოქმედია, რა უანრის ერთგულია ტრადიციულად, რომელ ლიტერატურულ სკოლას ან მიმართულებას ეკუთვნის, რა გაუკეთებია მას შესაფასებელ ნაწარმოებებამდე? რით არის იგი ცნობილი მკითხველებს შორის? თუ ავტორი შემფასებლისათვის უცნობია, საჭიროა, მან მოიძიოს საჭირო მასალები ამ ავტორზე დაწერილი წიგნებიდან და ენციკლოპედიური ცნობარებიდან. ამოგლეჯილად, ცალკე ერთი ნაწარმოების აღება და მისი შეფასება ჩვენს მსჯელობას ცალმხრივსა და შეზღუდულს გახდის და შეიძლება, შეცდომაშიც კი შეგვიყვანოს ავტორის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზის გაუთვალისწინებლობამ. მაგ.: თუ ჩვენ გვსურს წერილი ან სადი-სერტაციო ნაშრომი დავწეროთ ჭაბუა ამირეჯიბის რომან „დათა

თუთაშებიაზე“, სანამ „დათა თუთაშებიას“ უშუალოდ შევეხებოდეთ, აუცილებელია, მოვიაზროთ, რა დაწერა, რა გააკეთა ჭ. ამირეჯიბმა „დათა თუთაშებიამდე“. მკითხველს ვაუწყოთ, რომ ჭ. ამირეჯიბმა ცხოვრების რთული გზა განვლო, რომ იგი ორმოცდაათ წელს მიღწეული იყო, როცა კალამს მოჰკიდა ხელი და პირველი მოთხოვნები დაწერა, რომ მისი პირველი მოთხოვნები – „მუციოს სცევოლა“ და „ბიძაჩემი მეჯლანა“ საშუალო ხარისხის ნაწარმოებები გახლდათ და ჭ. ამირეჯიბის ლიტერატურული დებიუტი სრულებითაც არ იძლეოდა იმის იმედს, რომ გავიდოდა სულ რაღაც ერთი ათწლეული და ქართველი მკითხველის წიგნის თაროზე დაიდებოდა შესანიშნავი რომანი „დათა თუთაშებია“.

ავტორზე საუბარი ერთგარი ფონის შექმნაა, რის შემდეგაც უნდა დავიწყოთ უშუალოდ სარეცენზიო ნაწარმოების შეფასება.

როდესაც ნაწარმოების შესახებ მკითხველს მივაწოდებთ ცნობას, უსათუოდ უნდა გავიაზროთ სარეცენზიო ნაწარმოების ადგილი ავტორის შემოქმედებაში. ყოველი ახალი ნაწარმოები, თემატურ-პრობლემური თვალსაზრისით, ან არის გაგრძელება ავტორის მიერ უკვე დამკვიდრებული ტრადიციისა, ან წარმოადგენს გარკვეულ სიახლეს. სიახლე შეიძლება ეხებოდეს ნაწარმოების თემას – ვთქვათ, ერთი მოთხოვნა მწერალს დაწერილი აქვს მეშახტეთა ცხოვრებაზე, ხოლო სარეცენზიო ნაწარმოები კი აგებულია ინტელიგენტის ცხოვრებაზე, ან, ვთქვათ, ეხებოდეს მედიცინის სფეროს. ეს აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, ე.ი. გამოვკვეთოთ, თუ რა სიახლეა თემატური თვალსაზრისით. შეიძლება, ესა თუ ის მწერალი ან რეჟისორი თავის წინა ნაწარმოებში ძირითადად ეხებოდეს ახალგაზრდობის ადგილის პრობლემას საზოგადოებაში, წერდეს, როგორც იტყვიან, ახალგაზრდულ პრობლემებზე და აი, ჩვენ წინაშეა ნაწარმოები, რომელიც თემატურად ახალგაზრდობის პრობლემას კი არა, ასახავს უპატრონო მოხუცთა თავშესაფრის ყოფას და ეხება სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემას. საერთოდ, მხატვრული ნაწარმოები ხშირად რამდენიმე პრობლემას ერთად ეხება. ჩვენ ყველა ეს პრობლემა უნდა გამოვაცალკევოთ და ხაზი გავუსვათ, რომელი ახალი პრობლემა შემოიტანა მწერალმა თავის ამ ახალ ნაწარმოებში. ასევე სიახლე ნაწარმოების ადგილის გარკვევისას შეიძლება შეეხოს მოქ-

მედების დროსა და სივრცეს, შეიძლება მწერალი აქამდე წერ- და ისტორიულ თემებზე და აი, სარეცენზიო რომანი არის მისი პირველი ცდა თანამედროვეობის გაშუქებისა.

ნაწარმოების ადგილის გარკვევისას ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება უანრულ სიახლეს. ნაწარმოებს უნდა შევეხოთ უანრული თვალსაზრისითაც. „ყველა უანრი კარგია, გარდა მოსაწყენისა“, – ამბობს ფილოსოფონი. რა თქმა უნდა, უანრის უკეთეს-უარე- სობაზე ლაპარაკი გულუბრყვილობაა. უანრისადმი ერთგულება მწერლის ინდივიდუალურ უნარზეა დამოკიდებული. ზოგს – რო- მანის წერა ემარჯვება, ზოგს – მოთხრობის, ზოგს კი – იგავ- არაკისა. ტოლსტოი ამბობდა: „განსაცვიფრებელია კრილოვი, როგორ ახერხებს ამდენი იგავ-არაკის შექმნას, მთელ ჩემს რო- მანებს მივცემდი, ოღონდ ერთი იგავ-არაკი დამაწერინაო“. ასე რომ, იგავ-არაკი, თუ ეს უანრი შენი სულიდან არ ამოდის, საო- ცრად ძნელი დასაწერია.

ყოველ ჭეშმარიტ ნაწარმოებს გარკვეული ეპოქის დაღი აზის.

თვით ფანტასტიკური ნაწარმოებიც კი ვერ ახერხებს, იმ ეპო- ქის სინამდვილეს გაექცეს, რომელშიც მისი ავტორი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. იმის შემდეგ, რაც მკითხველს ვაუნიუებთ სარე- ცენზიო ნაწარმოების ავტორის ვინაობასა და სარეცენზიო ნა- წარმოების ადგილს ავტორის შემოქმედებაში, უნდა გავარკვიოთ, რა შემეცნებითი ღირებულებისაა ეს ნაწარმოები, ანუ, როგორ ასახავს იმ ეპოქას, რომელ ეპოქაშიც არის დაწერილი. თუ თხზუ- ლება ისტორიული უანრისაა, ეს იგი, მწერალი სხვა საუკუნის სინამდვილეს ასახავს, უსათუოდ უნდა მოვიძიოთ ისტორიული ცნობები იმ ეპოქაზე და ერთმანეთს შევუპირისპიროთ ისტორი- ული ფაქტები და მხატვრული გამონაგონი.

უაღრესად რთულია ადამიანთა ურთიერთობის ფსი- ქოლოგიური ნიუანსების მწერლისეული ხატვა, ზოგჯერ XII საუ- კუნის პერსონაჟები ისე მეტყველებენ, როგორც XX საუკუნისა, ე.ი. როგორც ავტორი მეტყველებს. ასევე უაღრესად რთულია ეპ- ოქის სინამდვილის ჩვენების თვალსაზრისით თანამედროვეობაზე დაწერილი ნაწარმოების შეფასებაც.

მხატვრული ნაწარმოები თანამედროვედ არ იქცევა, თუ მას- ში საუკუნის რეალიებს – მაცივარს, თანამგზავრს, ტელევიზორს

ახსენებს მწერალი. მთავარია, ეპოქის დამახასიათებელი ნიშნები ადამიანთა სულმი ვეძებოთ.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან შუა საუკუნეებთან შედარე- ბით რამდენადმე განსხვავებულად დგება ოჯახის, სიკეთის ქმ- ნის, სიყვარულის პრობლემაც კი.

როდესაც ისტორიკოსი მხატვრულ ნაწაროებს ჩახედავს, მან ისტორიის ფურცლებზე დასაგვირისტებელი ფაქტებიც უხვად უნდა მოიპოვოს იმ დროის სინამდვილის შესახებ. ისე, როგორც უამრავი უტყუარი საბუთი მისცა ივანე ჯავახიშვილს ჩვენმა ჰაგი- ოგრაფიულმა მწერლობამ: „შუშანიკის წამებამ“, „აბო თბილელის წამებამ“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებამ“.

ყოველი ნაწარმოები გარკვეული მასშტაბით ასახავს ეპოქას. ეპოქის გარეთ მდგომი ნაწარმოები არ არსებობს.

ნაწარმოებში ეპოქა და გეოგრაფიული გარემო მაშინაც კი იგ- რძნობა, როდესაც მწერალი საგულდაგულოდ ცდილობს, მკით- ხველს დაუმალოს ნაწარმოების ეპოქა და გეოგრაფიული გარემო.

ყოველ ნაწარმოებში, მით უმეტეს, თუ იგი ეპიკური ხასია- თისაა, უნდა იყოს გამოკვეთილი ერთი ან რამდენიმე პრობლემა. უპრობლემო ნაწარმოები არასრულფასოვანი ნაწარმოებია. მცი- რე ფორმის ეპიკური ნაწარმოები გამოკვეთილად მხოლოდ ერთ პრობლემას შეიცავს, მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ ნაწარ- მოებში ერთი პრობლემა მთავარი იყოს, ხოლო სხვა პრობლემები – შედარებით მეორეხარისხოვანი. მაგ: „დიდოსტატის მარჯვე- ნის“ მთავარი პრობლემა ხელოვანის როლისა და დანიშნულების საკითხია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ რომანში სიყ- ვარულის პრობლემა. ცენტრალიზებულია სახელმწიფოს მშენე- ბლობის პრობლემა, ანუ მეფისა და დედოფლის ურთიერთობის, ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა და სხვ.

როცა ნაწარმოების პრობლემაზე ან დიდაქტიკურ ღირებუ- ლებაზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ ნაწარმოების შე- ქმნის მიზანი. რა სურდა ხელოვანს ეთქვა თავისი ნაწარმოებით?

არსებობს სოციალური, პოლიტიკური და ზნეობრივი პრობ- ლემები. მაგ: სიკვდილ-სიცოცხლის, ზნეობრივი სიწმინდის, ადა- მიანისა და საზოგადოების ურთიერთობის, საზოგადოებაში სა- კუთარი ადგილის პოვნისა და სხვა უამრავი პრობლემა.

ნაწარმოები ხელოვნების ცაზე ფუჭი გასროლა იქნება, თუ მწერალს მიზნად არა აქვს დასახული რისიმე უარყოფა ან დამკვიდრება. მხატვრული ნაწარმოები მისი ავტორის სულის აღსარებაა და იგი გარკვეული პრინციპების, მწერლის მსოფლმხედველობის გამომჟღავნების მიზნით იქმნება – ამას მწერლის პოზიცია ჰქვია; ავტორის პოზიციის გარეშე კი მხატვრული ნაწარმოები არ არსებობს. როდესაც ნაწარმოების შეფასებას ვიწყებთ, მასში დასმული პრობლემის თვალსაზრისით უნდა გავარკვიოთ, რა პრობლემაა მასში დასმული და არის თუ არა ეს პრობლემა სადლეისო. თანაც ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებასაც. ვრცელებიკურ ტილოში – რომანსა ან ეპიკურ პოემაში, ჩვეულებრივად რამდენიმე, სხვადასხვა პრობლემაა დასმული და თავისებურად გადაწყვეტილი. მაგ., ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაში“ გვხვდება პიროვნების დანიშნულების, სიკვდილ-სიცოცხლის, სიყვარულის, მეგობრობის, სოციალური რევოლუციისადმი საზოგადოების სხვადასხვა ფენის მიმართების, ზნეობრივი, ანუ სიკეთის, პრობლემები... .

სასურველია, „დათა თუთაშხია“-ს შეფასების დროს ეს პრობლემები ცალ-ცალკე გამოვყოთ და პასუხი გავცეთ კითხვას: რამდენად დროული, აქტუალურია მწერლის მიერ ამ პრობლემის დაყენება და რამდენად სწორად წყვეტს მწერალი ამა თუ იმ პრობლემას.

ამ კითხვაზე პასუხით გადაწყდება ეპიკური ნაწარმოების შეფასების ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი: რისთვის დაინტერა ნაწარმოები, რა გავლენას მოახდენს იგი მკითხველზე, რათა ადამიანებმა უკეთესად მოაწყონ ცხოვრება.

თუ ნაწარმოების დიდაქტიკური და შემეცნებითი ლირებულება ნაწარმოების შინაარსის სფეროს განეკუთვნება, ესთეტიკურ ლირებულებებზე საუბრის დროს ძირითადად ნაწარმოების ფორმა გვაინტერესებს. მხატვრული, ანუ ესთეტიკური, ლირებულება ნაწარმოებისა გულისხმობს, თუ რამდენად არის მხატვრულად სრულყოფილი ესა თუ ის ნაწარმოები; რამდენად დიდ გავლენას ახდენს იგი ადამიანის გრძნობებზე თავისი ემოციური ლირებულებით. თუ ნაწარმოები მხატვრულად სუსტია, რა აქტუალურ და რთულ პრობლემასაც უნდა ეხებოდეს იგი ან რა ისტორიული

სიზუსტითაც უნდა ასახავდეს ცხოვრებას, სრულყოფილი მაინც არ იქნება. რაკი მხატვრული ნაწარმოები ესთეტიკის სფეროს განეკუთვნება, მისი უმთავრესი მოთხოვნილებაა, იყოს მხატვრულად, ანუ ესთეტიკურად, სრულყოფილი. ეპიკური ნაწარმოების მხატვრულ ლირებულებაზე საუბრის დროს უნდა ვილაპარაკოთ შემდეგ კომპონენტებზე: უანრი, სიუჟეტი, კომპოზიცია, პერსონაჟები, პერსონაჟთა დახასიათების ხერხები, პორტრეტი, დიალოგი, ბატალიური სცენები... ენა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ, რა უანრის ნაწარმოებია სარეცენზიო ნაწარმოები – არის პოემა, მოთხოვნობა, რომანი თუ ნოველა. ამისათვის საჭიროა, ჩვენ თვითონ კარგად ვიცნობდეთ უანრებს და მათ ერთმანეთისაგან ვასხვავებდეთ. რაც ლიტერატურა და ხელოვნება გაჩნდა, გაჩნდა უანრები, მაგრამ უანრების თეორია ცოტა მოგვიანებით შეიქმნა. უანრთა თეორიას პირველად შეეხო არისტოტელე. ჩვენ ყველანი ადვილად განვასხვავებთ ერთმანეთისაგან პოემასა და მოთხოვნას, მაგრამ მოთხოვნისა და ნოველის განსხვავება შეიძლება გაგვიჭირდეს. ამიტომ უნდა ვიცოდეთ, რომ მოთხოვნა გულისხმობს ადამიანის ცხოვრების უფრო ვრცელი პანორამული სურათის შექმნას, ვიდრე ნოველაშია. მოთხოვნისა დასაშვებია პარალელური ამბები, ხოლო ნოველაში კი ადამიანის ცხოვრების ერთი ეპიზოდია გადმოცემული. ერთი დეტალის, ერთი ეპიზოდის, ერთი ამბის გადმოცემაა ნოველა და თანაც აუცილებელია, რომ მას ჰქონდეს მოულოდნელი ფინალი. თუ მოთხოვნის კითხვის დაწყებისას ზოგჯერ მკითხველი გამოიცნობს, როგორ დამთავრდება იგი, ასეთი ტექსტი ჭეშმარიტ ნოველად ვერ ჩაითვლება; ნოველის ფინალი ამბის ჩვეულებრივ ლოგიკურ მდინარებას არ ემორჩილება. ჩვენ ასევე უნდა შეგვეძლოს ლირიკული პოემის გარჩევა ეპიკურისაგან. ეპიკურია პოემა, რომელშიც გადმოცემულია ერთი რაიმე ამბავი, ხოლო ლირებულ პოემაში ამბავი, ანუ ფაბულა არ არსებობს. როდესაც ჩვენ შევძლებთ ნაწარმოების უანრის დადგენას, მერე უნდა დავთიქრდეთ, ეს უანრი მწერლისათვის ჩვეულებრივი ხელწერაა, ჩვეულებრივი უანრია, თუ ავტორმა რაიმე უანრული სიახლე შემოგვთავაზა. ასევე უნდა შეგვეძლოს საუბარი იმაზე, არის თუ არა ამა თუ იმ ეპოქისათვის მოდური, აქ-

ტუალური ესა თუ ის უანრი. უანრები ბერდებიან. კარგა ხანია, წარსულს ჩაბარდა ოდა და იგავ-არაკი. ასევე აღარ იწერება მითი თავისი კლასიკური ფორმით. იმდენად დაბერდა, რომ ხანდახან ზოგ საქმეში ჩაუხედავს უკვირს, რატომ დაწერა შოთა რუსთველმა „ვეფხისტყაოსანი“ ლექსის ფორმით და რატომ არ დაწერა იგი პროზად. იმიტომ, რომ იმ დროს ჭეშმარიტ პოეზიად მხოლოდ ლექსად თქმა ითვლებოდა. ახლა ზოგიერთს მოთხრობის გალექსვა პოემა ჰგონია. სინამდვილეში კი მოთხრობა მოთხრობად უნდა დაიწეროს. ასე რომ, პოემა პოეზიაა, ხოლო პოეზიას ასახვის თავისი საშუალებები მოეპოვება.

სიუჟეტი არის ნაწარმოებში გადმოცემული ამბავი, ანუ ნაწარმოების მოელე შინაარსი. სიუჟეტი ის ძირითადი ხერხემალია, ნაწარმოების წაკითხვას რომ გვაიძულებს. ყველა კლასიკური ეპიკური ნაწარმოები სიუჟეტიანია. XX საუკუნეში ეგზისტენციალისტებმა და მოდური ლიტერატურის სხვა წარმომადგენლებმა მკითხველს შესთავაზეს ე.ნ. უსიუჟეტობის, ანუ დედრამატიზაციის, თეორია. სიუჟეტი ნაწარმოებს არ სჭირდება, უმჯობესია ცხოვრების ნაკადით აზროვნება. წარმოიდგინეთ უსიუჟეტო „ვეფხისტყაოსანი“, ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ ან ტოლსტოის „ანა კარენინა“... სიუჟეტი არ სჭირდება მხოლოდ ლირიკულ ნაწარმოებს. ეპიკური ნაწარმოებისათვის სიუჟეტი აუცილებელია. როდესაც სიუჟეტს განვიხილავთ, უწინარეს ყოვლისა, უნდა შევაფასოთ, რამდენად საინტერესოა იგი. ხომ არ არის უკვე ცნობილი სიუჟეტის გადამდერება. უნდა დავთიქრდეთ იმაზე, ამ სიუჟეტზე დაუწერია თუ არა სხვა მწერალს რაიმე და, თუ ასეთს აღმოვაჩინოთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ სიუჟეტი ორიგინალური არ არის. თავისი სიუჟეტით გენიალურია დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“. მსოფლიო ლიტერატურაში არ არსებობს კაცი, რომელიც თავის საკუთარ მამას უდგებოდეს მაჭანკლად, რათა შერთოს მას ორნაქმარევი უშვილო ქალი, რომ მამულის გამყოფი, ანუ ქმა, არ გაუჩნდეს. ასევე ორიგინალურია „ვეფხისტყაოსნის“, „დიდოსტატის მარჯვენის“ თუ „ჯაყოს ხიზნების“ სიუჟეტები. მკითხველს ეპიკური ნაწარმოები, უპირველეს ყოვლისა, სიუჟეტით ამასოვრდება. როდესაც წაიკითხავ ოთხასგვერდიან რომანს და მის შინაარსს მოკლედ ვერ მოუყვები მეგობარს, ეს

იმას ნიშნავს, რომ ნაწარმოებს სუსტი სიუჟეტი აქვს, ე.ო. დაკარგულია მწერლის მიერ მკითხველის დაინტერესების ერთი ყველაზე კარგი შესაძლებლობა.

კომპოზიცია არის მხატვრული ნაწარმოების აგების ხელოვნება. იგი გვიჩვენებს ნაწარმოების ცალკეულ შემადგენელ ნაწილთა ურთიერთკავშირს. თუ მხატვრულ ნაწარმოებში ცალკეული თავები ან პასაჟები ერთმანეთთან ლოგიკურად არ არის დაკავშირებული, თუ ისინი ერთმანეთისაგან არ გამომდინარეობენ, ასეთი ნაწარმოები შინაგანად შეუკვრელია, ანუ მისი კომპოზიციური შენობა მტკიცე არ არის. კომპოზიციურად კარგად შეკრული ნაწარმოების კითხვა მკითხველს არ სწყინდება. იგი შეუხელებელი ინტერესით გადადის ერთი თავიდან მეორეზე. კომპოზიციის სწორად აგების ხელოვნება დიდი ლიტერატურული ოსტატობის ნიშანია. მსოფლიოში ცნობილ ყველა კლასიკურ ნაწარმოებს მტკიცე კომპოზიცია ახასიათებს. ავილოთ რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“. მკითხველის ინტერესი იბადება სწორედ მაშინ, როდესაც როსტევანი და ავთანდილი იხილავენ წყლის პირას მჯდომ ვეფხისტყაოსან რაინდს. იგი იდუმალი და უცნაურია იმითაც, რომ როსტევან მეფის მოწვევა არ მიიღო. მასპინძლებს თორმეტი მონა დაუხოცა, ცხენზე შეჯდა და გაუჩინარდა. ამის შემდეგ მკითხველი „ვეფხისტყაოსნის“ სხვა პერსონაჟებთან ერთად დაექებს უცხო მოყმეს. როცა უცხო მოყმის პოვნის პრობლემა გადაწყდა – ავთანდილი, როგორც იქნა, შეხვდა ტარიელს – უკვე სხვა ინტერესი იბადება. თურმე, ტარიელი, თავის მხრივ, ეძებს თავის გატაცებულ, დაკარგულ სატრფოს. მუდივი ძიება ერთ-ერთი პერსონაჟისა ნაწარმოების კომპოზიციურ შენობას ერთიან სხეულად კრავს, რაც მკითხველის მუდმივი დაძაბულობის გარანტია. ასე რომ, როდესაც ნაწარმოების კომპოზიციას ვაფასებთ, უნდა განვიხილოთ, არის თუ არა იგი შეკრული ლოგიკის კანონებით, არის თუ არა ისე აგებული მისი ცალკეული კომპონენტები, რომ ვიგრძნოთ ლიტერატურული მუხტი, რომელმაც ჩვენდაუნებურად მიგვიზიდა და გვაიძულა, ბოლომდე მიყყოლოდით.

საბჭოთა ესთეტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა ნაწარმოების მოქმედ პირებს ყოფდა დადებით და უარყოფით პერ-

სონაუებად. სინამდვილეში აბსოლუტურად დადებითი და აბსოლუტურად უარყოფითი ადამიანები არ არსებობენ.

საპქოთა რომანიდან რომანში გადადიოდა დადებითი პერსონაუები, ადამიანი კი თავისი წინააღმდეგობრივი ბუნებითაა საინტერესო. თუ შევამჩნევთ, რომ პერსონაუი ერთსახოვანია, უნდა ალვნიშნოთ, რომ იგი სქემატურია და მკითხველის ინტერესს ვერ აღძრავს. პერსონაუები უნდა დავყოთ მხოლოდ საინტერესობისა და უინტერესობის კლასიფიკაციით, ასევე უნდა დავაკვირდეთ, არის თუ არა ორიგინალური თვისებების მქონე პერსონაუი, თუ იგი ლიტერატურული სტერეოტიპის მორიგი გამეორებაა და სხვა არაფერი.

ჭეშმარიტმა შემოქმედმა ეპიკურ ნაწარმოებში უნდა გამოკვეთოს ტიპები და ხასიათი ისე, რომ თითოეულ მათგანს რაიმე განსაკუთრებული ნიშანი, მკვეთრი ინდივიდუალობა შესძინოს. სამწუხაროდ, თანამედროვე პროზაიკოსების ერთი ნაწილი უგულვებელყოფს პერსონაუის ინდივიდუალობას და პერსონაუები ხშირად ერთმანეთსა ჰგვანან. უნდა დავახასიათოთ პერსონაუები იმგვარად, როგორც დახატა ავტორმა და უნდა ვიხელმძღვანელოთ ქრისტეს პრინციპით: „ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხნეთ“.

მხატვრული ნაწარმოების მაღალ დონეს და ნაწარმოებისადმი მკითხველის ინტერესს განაპირობებს მწერლის მიერ გამოყენებული მხატვრული ხერხები და საშუალებები. ერთ-ერთი მათგანია დიალოგი. პერსონაუთა დიალოგი უნდა იყოს სხარტი, ლაკონიური და პერსონაუის ინდივიდუალობის დამადასტურებელი. არ შეიძლება, XII საუკუნის მეფე და XX საუკუნის მოქალაქე ერთი და იმავე ლექსიკით მეტყველებდნენ. ასევე დაუშვებელია, მხატვრულ ნაწარმოებებში ქურდი და პროფესორი ერთი და იმავე პროფესიული ლექსიკით მეტყველებდნენ.

ზოგი თანამედროვე პროზაიკოსი თავს არიდებს ინდივიდუალური ნიშნებით პერსონაუთა აღჭურვას, რაც აუცილებელია მის დასამახსოვრებლად. კლასიკურ ლიტერატურაში გვხვდება ოსტატურად დახატული გამოკვეთილი პერსონაუები (როსტევანი, ტარიელი, ავთანდილი... ლუარსაბი, შორენა, ფარსმან სპარსი, დავით ალმაშენებელი, ჯაყო, კვაზიმოდო). ასევე აუცილებელია,

მწერალმა ოსტატურად გვიჩვენოს ომის სცენები და მართალი, ფსიქოლოგიურად მოტივირებული ცალკეული პასაუები.

ეპიკური მხატვრული ნაწარმოების გარჩევის დროს უსათუოდ უნდა გამოვყოთ პერსონაუები და ცალ-ცალკე დავახასიათოთ ისინი.

საჭიროა იმის განსაზღვრაც, თუ რა როლს ასრულებს ესა თუ ის პერსონაუი ნაწარმოების მხატვრულ კონტექსტში.

ყოველ ქალში ზის მეძავი, ამბობდა ნიცშე. ყოველ ადამიანში არსებობს კეთილი და ბოროტი. ადამიანები მკვლელებად, ბოროტ-მოქმედებად არ იბადებიან, ცხოვრება აქცევს მათ ასეთებად.

შეიძლება, ნაწარმოებში ეპოქა ზუსტად იყოს დახატული, ასევე შესაძლებელია, ნაწარმოები აქტუალურ პრობლემებზე იყოს დაწერილი, მაგრამ იგი მიზანს მაინც ვერ მიაღწევს, თუ მხატვრულად სუსტია.

პერსონაუთა ხასიათების გამოკვეთა და მათი შთამბეჭდაობა მიიღწევა დიალოგისა და პორტრეტის ფერწერული გამოყენებით. ნაწარმოების შეფასების დროს უნდა განვსაზღვროთ, რამდენად ბუნებრივია დიალოგი და რამდენად შეესაბამება პერსონაუის სოციალურ ნარმოშობას, პროფესიასაც კი.

დიალოგის დროს ყურადღება უნდა მიექცეს სიზუსტეს, ლაკონიურობას, რადგანაც, ჩვეულებრივ, ნორმალური ადამიანები სხარტად აზროვნებენ და ერთურთს ყალბი, გრძელ-გრძელი, ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით არ მიმართავენ.

სამწუხაროდ, ჩამოთავრებ ზოგიერთ თანამედროვე სქელტანიან რომანს და არ იცი, რა ფერის თვალები აქვს თუნდაც მთავარ პერსონაუს, როგორი თმები აქვს, როგორი ხმა აქვს, რა სიმაღლისაა, როგორ აცვია და ა. შ.

ასევე ნაწარმოების შეფასების დროს უნდა დავაკვირდეთ, როგორ იყენებს მწერალი ბუნების სურათებს, ფერწერულად ხატავს თუ არა პერიზაუებს, ფსიქოლოგიურად დამაჯერებელი არის თუ არა ცალკეული სცენები, ანუ ცალკეული პასაუები; შთამბეჭდავია თუ არა ბატალური სცენები.

როცა ნაწარმოებს ვაფასებთ, საჭიროა, მოვიტანოთ დამაჯერებელი ან ყალბი დიალოგის მაგალითები. დიალოგი ნაწარმოების კოლორიტის შექმნის, ტიპაჟის ხატვის ერთ-ერთი ხერხია. მკით-

ხველი უნდა არჩევდეს ერთმანეთისაგან ძალდაუტანებელ, ლაღს და ხელოვნურ, ყალბ დიალოგს. აუცილებელია, ეპიკური ნაწარმოების ავტორი ფლობდეს პორტრეტის ხატვის ხელოვნებას. მკითხველმა უნდა დაინახოს პერსონაჟი, როგორია იგი, როგორი აქვს თვალები, თითები, ტუჩები, როგორ დადის... მკითხველს არ ავიწყდება ლუარსაბ თათქარიძის, ელგუჯას, მზალის, ხევისბერი გოჩას, ფარსმან სპარსის, შორენას, თეომურაზ ხევისთავისა და სხვათა პორტრეტები. რეცენზიებში სამაგალითოდ უნდა მოვიყვანოთ რამდენიმე პორტრეტი, იქვე გავუსვათ ხაზი, შთამბეჭდავია თუ არა ეს პორტრეტი. თან გავითვალისწინოთ, ხომ არ გვაგონებს ეს პორტრეტები სხვა მნერლის მიერ დახატულ პორტრეტებს.

მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალების კიდევ ერთი კომპონენტი არის ბუნების აღწერა. აღწერის დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მხატვრულ ზომიერებასა და ფერწერულობას. ბუნების სურათი უნდა ეთანხმებოდეს მნერლის სულიერ განწყობილებას. არ შეიძლება, ბუნება დავახასიათოთ მყვირალა ფერბით, რადგანაც ბუნება თავისთავად უნიკალური ფერწომენია. აუცილებელია, ნაწარმოების შეფასებისას შევეხოთ მხატვრულ პასაჟს. პასაჟი არის ნაწარმოების ერთი ეპიზოდი, ერთი სცენა. უნდა გამოვყოთ რომელიმე პასაჟი და განვსაზღვროთ, სწორად ზის თუ არა იგი ნაწარმოების კონტექსტში, უწყობს ხელს მოქმედების განვითარებას თუ არა? ავტორები ხშირად მიმართავენ სატირასა და იუმორს, როგორც მხატვრული ნაწარმოების საგულისხმო კომპონენტს და მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებას. სატირა სიცილის ისეთი სახეა, რომელიც მყაცრად აქიაქებს ობიექტს და აშკარად დასცინის მის ნაკლოვანებებს. იუმორი კი შედარებით რბილი, თანაგრძნობიანი, მოსიყვარულე სიცილია.

ნაწარმოების შეფასების დროს აუცილებელია, შევჩერდეთ ენობრივ ქსოვილზე, არ შეიძლება გაუგებარი, ლოგიკას მოკლებული, გაჭიანურებული სტილით წერა. რომელ საუკუნეზეც ვწერთ ნაწარმოებს, იმ საუკუნის ლექსიკას უნდა მივმართოთ. თუ მნერალს ენა ღარიბი აქვს ან ზედმეტად ხელოვნურად დამძიმებული არქაიზმებით, ამ შემთხვევაში ავტორს უნდა მივუთითოთ მისი ქართულის არასრულყოფილებაზე.

მხატვრული ნაწარმოები უნდა დაიწეროს გამართული სალიტერატურო ენით. დიდი მნერლები, ამავე დროს, დიდი სტილისტებიც არიან. რუსთაველი არა მარტო გენიოსი პოეტია, არამედ – ახალი ქართული ენის შემქნელიც. XX საუკუნის ქართული პროზის ენის დახვენაში დიდი წვლილი შეიტანეს კონსტანტინე გამსახურდიამ და მიხეილ ჯავახიშვილმა ახალ და, ამავე დროს, ძველ ქართულ ენაზე დაყრდნობით.

ნაწარმოების ენობრივ მხარეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. თუ მნერალი არ წერს ნათელი, გასაგები სტილით, თუ მისი ენა ღარიბია და საგაზეთო, ასეთ ნაწარმოებს მკითხველი ინტერესით არ მიეტანება. მნერლის ენობრივი სტილი მნერლის ხასიათია, მისი ორიგინალური აზროვნების დასტურია.

ეპიკურ ნაწარმოებში და, საზოგადოდ, მხატვრულ ნაწარმოებში ორგვარი ენობრივი სტილი გამოირჩევა: არქაული და თანამედროვე. საერთოდ, მნერალმა თავისი ეპოქის ენობრივი ნორმები უნდა გამოიყენოს. როდესაც თანამედროვე თემაზე მნერალი არქაული სტილით წერს, ეს იმას ნიშნავს, რომ ენობრივი არქაიზმი ამ მნერალთან თვითმიზნურ იერს ატარებს. არ შეიძლება, თანამედროვე ადამიანებზე წერდე დავით აღმაშენებლის ან თამარ მეფის დროინდელი ქართულით. ისე, როგორც არ შეიძლება დავით აღმაშენებლის ან თამარ მეფის კოქაზე წერდე თანამედროვე უურნალისტურ ენაზე.

როდესაც ამა თუ იმ მნერლის ენას ვაფასებთ, აუცილებელია, ამოვდიოდეთ ზომიერი, თანამედროვე სალიტერატურო ქართულის მოთხოვნებიდან. არც ზედმეტი არქაიზმები ვარგა და არც ე.წ. ორლობის ტეტიური ქართული. მართალია, ვაჟა-ფშაველამ აკაკის ენის შესახებ პოლემიკა ემოციურ დონეზე მოუგო პასუხად დაწერილი ბრწყინვალე ლექსით, მაგრამ აკაკის შენიშვნა ლოგიკურ შენიშვნად დარჩა. თანაც ის, რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხარს და, რამდენადაც ვაჟა-ფშაველას პოეზიას უხდება ფშაური კილოკავის აჩანჩქერება პოეზიაში, იმდენად არაბუნებრივად გამოიყურება მავანი ახალგაზრდა პოეტის ლექსში თუ შური თუ ფშავური დიალექტის თვითმიზნად ქცევა, რაც ნაწარმოებს უმეტესწილად გაუგებარსა ხდის.

## ქართული კულტურის აღგილი მსოფლიოში

კულტურას, როგორც ადამიანის მშვენიერებასთან მიმართების ერთადერთ ფორმას, სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა.

უპირველეს ყოვლისა, ეს სხვადასხვაობა გამოწვეული იყო ეპოქის ხასიათით და ადამიანის განვითარების სხვადასხვა დონით.

როგორც ცნობილია, ცხოვრების პირობებისგან გამომდინარე, ადამიანის არსებაში თანდათანობით იცვლებოდა მისი შინაგანი ბუნება, მაგრამ არ იცვლებოდა საერთო არსი, ანუ სხვა ცხოველთაგან ერთადერთი საზოგადოებრივი ცხოველის, ადამიანის დამოკიდებულება მშვენიერებისადმი, რადგანაც ეს იყო მისი თანდაყოლილი, შინაგანი მოთხოვნილება.

როდესაც ათასწლეულთა მიღმა ადამიანმა კაუიანი ქვით ან ნახშირით პირველი ფიგურები მიახატა კედელს, ან, როდესაც მან თიხის ჭურჭელზე პირველი გამოუცნობი ნიშნები ამოაგვირისტა, ეს იყო მისთვის შეუცნობელი ზიარება მხატვრულ აზროვნებასთან, ანუ ხელოვნებასთან.

ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ პირველი პრიმიტიული ხელოვნების ნიმუშებით ადამიანი თავის უტილიტარულ მოთხოვნილებას იქმაყოფილებდა, ანუ თავისი გამოქვაბული და თავისი ჭურჭელი სურდა გაერჩია სხვისი გამოქვაბულის და ჭურჭლისგანო, მაგრამ ეს სინამდვილეში ასე არ არის.

პირველ ნახატებს და ჭურჭლის პირველ ორნამენტებს ისეთი გულდასმითი დამოკიდებულება ეტყობა მისი შემქნელისა, რომ აშკარაა ადამიანის სწრაფვა – მე მინდა ჩემი ნივთი სხვისაზე უფრო ლამაზი იყოს, მე მინდა დავუახლოვდე პირველქმნილ მშვენიერებას, რამდენადაც ამას შევძლებ.

ეგრეთნოდებული გასხვავებულობის ეფექტისათვის ადამიანი ხატვას კი არ მოჰყვებოდა, არამედ, უბრალოდ, რამდენიმე ნაკანრს გაავლებდა გამოქვაბულის კედელზე ან ჭურჭელზე.

გადის კიდევ რამდენიმე ათასი წელი და პირველყოფილი ადამიანი ნელ-ნელა ხდება ნაკლებად სასტიკი, ვიდრე კულტურისკენ პირველი ნაბიჯების გადადგმის დროს იყო. თუ ადრე მას ცივილიზაციასთან მიახლოების გრძნობას ჰგვრიდა ხრამში ჩავარდნილი მამონტის ღრიალი და მერე მის ტყავზე გამართუ-

ლი მამონტის უმი ხორცის ჭამა და პირველყოფილი ღრეობა, თანდათანობით ადამიანის სულში იღვიძებს ჰომო საპიენსი და იგი ერთპაშად იძენს მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელ დიდებულ გრძნობას, რომელსაც შებრალების გრძნობა ჰქვია. სწორედ სიბრალურის გრძნობამ გახადა ადამიანი შედარებით რბილად დამოკიდებული გარესამყაროს მიმართ.

მაშინ, როცა პირველი სახელმწიფოები შეიქმნა და გვაროვნულ-ტომობრივი წყობილების სამანებს გამოვცდით, ადამიანი სოციალურ არსებად იქცა და კულტურის დანიშნულება მის წინაშე სხვაგვარად ნარმოსდგა. ადამიანი შეეცადა პირველი ინსტინქტურ-ამორფული ნახატებიდან, რაიც მხოლოდ გამოქვაბულებს შემორჩია, მხატვრული ნააზრევისთვის სხვა შინაარსი მიეცა და ეს სხვა შინაარსი სხვა არა იყო რა, თუ არა თავდაპირველად თვითგადარჩენისთვის, ხოლო შემდეგ თავისი მოდგმის და თავისი სახელმწიფოს გადარჩენისთვის ბრძოლა.

ასე იქცა კულტურა ეროვნულ ფენომენად. იგი სხვადასხვა ერთა ხელში უაღრეს თვითმყოფადობას იძენს და სწორედ იმ ერისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით გამოირჩევა. ამ ნიშან-თვისებებს კი განაპირობებს ერის ცხოვრების ისტორიული სიმძიმე.

თუ ქვეყანას შედარებით მშვიდ პირობებში უხდება ცხოვრება, მისი კულტურა უფრო სწორხაზოვნად მიედინება და გარესამყაროსთან კონფლიქტის ნიშნები თითქმის არ იგრძნობა, მაგრამ თუ ერის ბედი ტრაგიკულია და მას გამუდმებით უთანასწორო ბრძოლებში უწევს ყოფნა თავისი არსებობის შესანარჩუნებლად, მისი ხელოვნება უფრო მძაფრი და უფრო დრამატული ხდება.

ასე რომ, ხელოვნების დანიშნულების და ფორმის ცვალებადობის მიხედვითაც, ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როდის, რა პირობებში და სად უხდებოდა ცხოვრება ხელოვანს, რომელსაც თავისი შემოქმედების დვრიტად ერთერთი მიზანი აერჩია – არ ეღალატა სიმართლისათვის.

ესაა ხელოვნების სახე-ცვლილების და მისი სხვადასხვა დანიშნულების მიზეზთა მიზეზი.

სწორედ ეს ჭეშმარიტება განაპირობებს ქართული კულტურის სპეციფიურ ხასიათს. ჩვენი კულტურა გაუღენთილია ქართველი ერის თვითგადარჩენისთვის ბრძოლის ტრადიციით.

საილუსტრაციოდ შორს რომ არ წავიდეთ, ერთი მაგალითი შეგვიძლია მოვიხმოთ: საქართველოს ყველა კუთხეში შევხდებით შემაღლებულ ადგილზე, ზოგჯერ კი, აშკარად, მთის ქიმზე აშენებულ ციხე-სიმაგრეს.

მტკიცება არ უნდა იმ ფაქტს, რომ ეს ციხე-სიმაგრეც თავისი გარევნული სილამაზით და ლანდშაფტთან საოცარი შეხამებით ეროვნული კულტურის ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ზუსტად ვერცერთი მეცნიერი ისტორიკოსი ვერ იძლევა პასუხს, რა დანიშნულება ჰქონდა ამ ციხეს, ან რისთვის აშენებდნენ ჩვენი წინაპრები მას ასე მაღლა.

ერთი ფიქრობენ, რომ იგი მტრებისგან თავდასაცავად იყო აშენებული. ამ ფართოდ გავრცელებულ აზრს რამდენიმე უხერხეულობა ახლავს. ჯერ ერთი, მთის წვერზე აშენებულ ციხეზე ძნელი ასაყვანი იყო მოხუცები, ქალები და ბავშვები, პირველ რიგში, რომელთა გადარჩენაზეც უნდა ეზრუნა ქართველ მამაკაცს; მეორე, ასევე ძნელი იქნებოდა ციხეზე საჭირო სურსათ-სანოვაგის და წყლის ატანა; მესამე, მტერი მოდიოდა მშვიდობიან მცხოვრებთა ავლა-დიდების, მათი საყოლ-სარჩენის და ქონების ხელში ჩასაგდებად და თუ შენ ყოველივე ამას მტერს შეატოვებდი და თვითონ კი ციხისკენ გაიქცეოდი, მტერსაც ეს უნდოდა. ჯერ ერთი, მთელ შენს სიმდიდრეს მოიალაფებდა და მეორეც, წამოვიდოდა ციხისკენ და მშვიდად დაელოდებოდა იმ საათს, როდესაც შენ სახელდახელოდ მომარაგებული სურსათ-სანოვაგე გამოგელეოდა და დამარცხებული, შერცხვენილი, ხელაწეული გამოხვიდოდი ციხიდან, სადაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ელემენტარული ჰიგიენური პირობებიც კი არ იყო.

ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ქართველები ციხეში მხოლოდ ბატონებს და ქალ-ბავშვთ შეაფარებდნენ, თვითონ კი ქვევით რჩებოდნენ მტერათაგან დასაპირისპირებლად, ხოლო ზოგიერთთა აზრით კი, მთის კორტოხზე წამოჭიმული ციხე-სიმაგრე ერთგვარი შემტყობინებლის ფუნქციას ასრულებდა. ციხეებს ერთმანეთთან ხედვითი კომუნიკაცია ჰქონდათ და ციხის კალთაზე დანთებული ცეცხლით ერთმანეთს აგებინებდნენ, რომ მტერი მოდიოდა.

არსებობს ისეთი აზრიც, რომ ეს ციხეები შეიძლება მაშინაც იმ დანიშნულებისა იყო, რა დანიშნულებაც დღესა აქვს ციხეს, ანუ ტყვეების, პატიმრების მოთავსება.

აი, რამდენ კითხვას ბადებს ქართული კულტურის ისეთი უწყინარი ისტორიული ძეგლი, როგორიც არის ციხე-სიმაგრე, რომელსაც, ვინ იცის, იქნებ, ცალ-ცალკე ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ფუნქცია ჰქონდა, ან ყველა ერთად.

ერთი რამ კი ცხადია, კულტურის ეს ძეგლი ეროვნული დანიშნულებისა გახლდათ და მტერთან ბრძოლის იდეით იყო შთაგონებული, ხოლო რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი კაცი ამ ციხეს ეს კარგად ჩანს სურამის ციხის, რამდენადმე მკაცრი, მაგრამ იგავმიურვდომელი ლეგენდიდან.

წარმოიდგინეთ, რომ ჩვენთან ლევთის სახლიც კი, ეკლესია თუ მონასტერი, მტრის შემოსევის დროს ადამიანთა თავშესაფრად ანუ ციხე-სიმაგრედ იქცეოდა.

საცხოვრებელი ტალანები აქვს კედლებში დატნეული ალავერდს, შუამთას, სვეტიცხოველს, კვეტარას და სხვა მონასტრებს, ხოლო, რაც შეეხება ვარძიას, იგი არა მარტო მასში მოთავსებული რამდენიმე სამლოცველოთი, არამედ მთელი საცხოვრებელი კომპლექსით მტრის წინააღმდეგ მუშტად შემართული ციხე-ქალაქი გახლავთ.

ასე რომ, პირველი და უმთავრესი ნიშანი ქართული კულტურისა ჩვენი ეროვნული ბრძოლის ტრადიციამ განსაზღვრა.

როცა ეპოქა შედარებით მშვიდ ხასიათს იღებდა (და ასეთი საქართველოს ძალზე იშვიათად ჰქონდა) ჩვენი კულტურა უფრო მშვიდ კალაპოტში მიედინებოდა და თავს ნებას აძლევდა მსოფლიო კულტურის დიდებულებისკენ გაეხედა, იქიდან საინტერესო გადმოელო და თავისიც შეეთავაზებინა.

გულუბრყვილობაა ქართული კულტურის დაბადების თარიღის ძიება.

მართალია, დღეს ვერავინ დაადგენს დმანისში ნაპოვნი 2,5 მილიონი წლის წინანდელი ადამიანის ნამთები იყო თუ არა ქართველთა წინაპრისა, მაგრამ ჩვენს მიწაზე ქართველ ტომთა უუძველესობის უტყუარი ნიშანია ენეოლითის, ნეოლითისა თუ ბრინჯაოს ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა სამარხები.

სწორედ ეს სამარხები დასაფლავების ერთიანი წესით, ძვალთშესალაგში ნაპოვნი სამკაულებით – სამაჯურებით, ყელ-საკიდებით, საყურებით და საყოფაცხოვრებო იარაღით გვიდას-ტურებენ, რომ ათასწლეულთა განმავლობაში ეს წესი არ იცვლებოდა და რაკილა ეს საყოფაცხოვრებო ნივთები და სამკაულები ჩვენს ტერიტორიაზე 200-300 წლის წინათ შექმნილ ნივთებსაც უაღრესად უახლოვდება, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართველები არსაიდან არ მოვსულვართ, სწორედ ამ მინაზე მითაუმის დროიდან დაბადებული და დამკვიდრებული ერთ ვართ.

ზოგჯერ არქეოლოგები ერთ მიუტევებელ შეცდომას სჩადიან. აღმოჩენები თანანეთის, ვანის თუ საირხის არქეოლოგიური გათხრების დროს რომელიმე უცხოურ სამკაულს ან საყოფაცხოვრებო ნივთს და მაშინვე იწყებენ ლაპარაკს იმის შესახებ, რომ ქართული კულტურა ამა და ამ ეპოქაში სპარსეთის, ბიზანტიის თუ საბერძნეთის აშკარა გავლენას განიცდიდა.

მხედველობიდან კი რჩებათ ის გარემოება, რომ საქართველო საქარავნო გზათა გასაყარზე მდებარეობდა და სულ ადვილი შესაძლებელი იყო ესა თუ ის სამკაული შესყიდვის ან გაცვლის წესით ყოფილი შეძენილი და მოხვედრილიყო ამა თუ იმ სამარხში.

თუ იმ ეპოქის საერთო არქეოლოგიურ სურათს, სამარხებში აღმოჩენილ ტიპიურ ნიმუშებს მხედველობაში არ მივიღებთ, შესაძლებელია ნაადრევმა დასკვნამ შენი ეროვნული კულტურა ეპიგონთა მოსაწყნები რიგში შენდაუნებურად ჩააყენოს.

საერთოდ კი, ჩვენთვის საამაყოა, რომ ქართველ კაცს იზოლურებულად არასოდეს უცხოვრია და ჩვენს კულტურაზე სრულიად ბუნებრივ გავლენას ახდენდნენ მითოლოგიური აღმოსავლური თუ ელინისტური კულტურები.

უტყუარ ფაქტებად შეიძლება გამოგვადეს კოლხეთის, ძალისისა თუ ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ბერძნული კულტურის ნაშთები. ვინ იცის, იქნებ, ბერძნული მითოლოგიური პრომეთეს მითის გაგრძელება ან პარალელი ვიპოვოთ ამირანის მითში, თუმცა, ხელაღებით ვერავინ მოჰყვება იმის მტკიცებას, რომელი უფრო ადრეა შექმნილი. რაკი საქართველოს საუკუნეთა განმავლობაში ისტორიული ძნელბედობის გამო ვასალურ

დამოკიდებულებაში იყო ირანთან, სრულიად ბუნებრივი ჩანს ფირდოუსის შაპ-ნამეს კვალი „ვეფხისტყაოსანში“.

„სპარსული ენის სიტყბომან მასურვა მუსიკობანი“ – იტყვის თემურაზ I, მაგრამ ეს როდი ნიშნავს სპარსული ენის წინაშე ქედ-მოხრას და ამით საკუთარ უმდიდრეს ენაზე უარის თქმას.

ასე რომ ყოფილიყო, თემურაზი თავის ბრწყინვალე პოემებს ქართულ ენაზე არ დაწერდა.

ზემოთ ნახსენები ფრაზით მან, უბრალოდ, ხაზის გაუსვა სპარსული კულტურის სიდიადეს და მნიშვნელობას.

სულ სხვა სურათია დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქაში. ეს ეპოქა სამართლიანადა მიჩნეული ქართული კულტურის ოქროს ხანად. მუდმივ ომებში და ნერვიულ ატმოსფეროში მცხოვრებმა ქართველმა ხელოვანმა ამ დროს თითქოს ცოტათი ამოისუნთქა, დაინყო ეროვნული ხუროთმოძღვრების გენიალური ქმნილებების საეკლესიო და საყოფაცხოვრებო ნაგებობების მშენებლობა, გაჩნდნენ ბექა და ბეშქენ ოპიზარები, თავიანთი შეუდარებელი ოქრომჭედლობით, მოვიდა დიდი პოეზია რუსთაველის, შავთელის, ჩახრუხაძის და სხვათა სახით, დაარსდა იყალთოს, გელათის და ფაზისის აკადემიები. სწორედ ოქროს ხანის ბიძგით და ტრადიციით ერთიმეორეზე იქმნებიან და საგანმანათლებლო ფილოსოფიური საქმიანობის სასწაულებს ახდენენ იერუსალიმის ჯვრის მონასტერი (სადაც ჩვენი მოძმე ისრაელის ტერიტორიაზე რუსთაველის ფრესკას, სამწუხაროდ, თვალები დათხარეს და მე, პირადად ამ მონასტრისადმი ჩვენი ებრაელის ძმების ყურადღების შესუსტებად მიმარინა ეს ვანდალური ფაქტი), ათონი, პეტრიწონი, ბაჩკოვო და ა.შ.

მართალია, ოქროს ხანის კულტურის ძეგლებს ეროვნული ხასიათის სწორედ ერთი ხაზი ეტყობათ, მაგრამ ამ ეპოქაში მაინც თვალშისაცემია ის გარემოება, რომ ქართულმა ხელოვნებამ მსოფლიობის მასშტაბები შეიძინა და იგი უფრო სულმოთქმული, უფრო განზოგადების ხასიათის მქონე გახდა.

ასე იცვლიდა ფუნქციას ქართული ხელოვნება სხვადასხვა ეპოქაში.

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ, როცა გამოყოფენ კულტურათა ტიპებს, ვთქვათ, აღმოსავლურ, მუსულმანურ, ელინურ

თუ ევროპულ კულტურებს და მეცნიერები ხელაღებით მიაკუთვნებენ რომელიმე ქვეყნის თვითმყოფად კულტურას კულტურის ტიპთა საძმო სასაფლაოს, ჩემი აზრით, ზოგჯერ მიუტევებელ შეცდომას სჩადიან. განა ვინმეს შეუძლია ხელაღებით ამტკიცოს, რომელ კულტურას ეკუთვნის – აღმოსავლურს თუ ევროპულს, ვთქვათ, ეგვიპტური კულტურა, ებრაული კულტურა ან ქართული კულტურა? უფრო შორს რომ გავიწიოთ, ქართულ კულტურას ხელაღებით და ცალსახად კავკასიურ კულტურასაც ვერ მივაკუთვნებთ, იმდენად თვითმყოფადია იგი.

წარმოიდგინეთ კულტურა, რომელსაც უაღრესად ორიგინალური არც ბიზანტიისგან და საბერძნეთისგან ხელაღებით გადმოღებული და მათს საეკლესიო ხუროთმოძღვრებას მიმსგავსებული ეკლესია-მონასტრები აქვს. უპოვით ანალოგს მსოფლიო კულტურაში ქართულ ცეკვებს და სიმღერებს, განსაცვიფრებელ „ვეფხისტყაოსანს“? მაში, რომელ ეპიგრანურ კულტურაზეა ლაპარაკი?

ასე რომ, ქართულ კულტურას თავისი თვითმყოფადი ხასიათით და სხვადასხვა ეპოქაში მისი სახეცვლილების ბუნებით მსოფლიო კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული, განუმეორებელი ადგილი უჭირავს.

რაც შეეხება ეპოქათა დაღს მსოფლიო კულტურის ეროვნულ სახეზე, ეს თვალის ერთი გადავლებითაც კი საცნაურია. გავიხსენოთ სახვით ხელოვნებაში მსოფლიო კულტურის უმაღლესი მწვერვალი, ევროპული რენესანსის კულტურა:

თითქოსდა, ლეონარდოს, მიქელანჯელოს, რაფაელის, ტინტერენტოს, ტიციანის და ბოტიჩელის შემდეგ შეისვენა მუზიამ XIX და XX საუკუნეში, ლაპარაკია ევროპის მასშტაბებზე. ის კეთილსინდისიერება დეტალების წარმოჩნდისას, მომწუხველი რეალიზმი და ლირიკულობა შეცვალა ვან გოგის, გრისა, სუტინის, კანდინსკის, მატისის, მოდილიანის და პიკასოს შემოქმედებამ.

დღეს მსოფლიოში აღარ დგამენ ლაოკონის, ვენერა მილოსელის, ნიკეას, პრაქსისტელის აფროდიტეს, მოსეს, დავითის, მიჯაფული მონების მსგავს ქანდაკებებს.

როცა აღორძინების ქმნილებების დარბაზიდან ზემოთ ჩამოთ-

ვლილ ხელოვანთა დარბაზისაკენ გადაინაცვლებთ, თვალში გეცემათ, რბილად რომ ვთქვა, დიდი სახეცვლილება ხელოვნების ფუნქციისა და, ცოტა არ იყოს, ძნელად აღსაქმელის რებუსურ წიაღში გატარება იმისა, რასაც რენესანსის მხატვრები ესოდენი სიზიფეს შრომით და პასუხისმგებლობით ემსახურებოდნენ. ეს დამოკიდებულებაც კულტურისადმი და, ვინ იცის, იქნებ, ფუნქციური სახეცვლილებაც ეპოქის ხასიათმა განაპირობა.

დღეს ქართული კულტურა თავის საუკეთესო გამოვლინებაში ენერგიულად ცდილობს მიჰყევს ჩვენი კულტურის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს და შეინარჩუნოს ეროვნული ფენომენი, მაგრამ სამწუხაროდ რუსთაველის ქვეყანაზეც გადაივლის ხოლმე გლობალიზაციით დაპურებული მასკულტურის ტალღა და არც თუ იშვიათად დამახინჯებული „მხატვრული აზროვნების“ მოწმენი ვხდებით.

...და მაინც შეიძლება ხაზგასმით ითქვას, რომ ქართული კულტურის აღიარებას დააგვიანდა მსოფლიო კულტურის ისტორიაში.

ბედის ირონიის გამო საერთაშორისო კულტუროლოგიას ჯერ იდევ უჭირს ქართული კულტურისათვის კუთვნილი ადგილის გამოყოფა მსოფლიო კულტურის ისტორიაში.

ქვეყანა, რომელსაც „ვეფხისტყაოსანი“ და ვარძია აქვს, იძულებულია მოთმინებით იდგეს მსოფლიო კულტურის აღსავლის კარებთან.

ეს კარები „სეზამ გაიღეს“ შეძახილით, თავისით არ გაიღება. იგი ჩვენ, ქართველმა კულტუროსნებმა საერთო ძალისხმევით უნდა შევაღოთ.

მსოფლიო ხელოვნების ენციკლოპედიებში საქართველოს ჯერ კიდევ გრძელ ჩამონათვალში მოკრძალებულად მოიხსენიებენ, როგორც პოსტიანქოურ ქვეყანას, რომელიც ახალთან დაადგა ცივილიზაციის გზას.

არა და თვით იმ კლასიფიკორთა სამშობლოები რომ ჯერ კიდევ ცივილიზაციის ზამთრის ძილის ეპოქაში იმყოფებოდნენ, საქართველოს უკვე 5000 წლის კულტურა ჰქონდა.

დიახ, შეიძლება ჩვენი ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა უკეთესის სურვილს უტოვებს მნახველს, მაგრამ ქართულ კულ-

ტურას თავისი ტრადიციულობით თუ დღევანდელი დონით წუნს ვერავინ დასდებს.

რაც მთავარია, როგორც ზემოთ აღნიშნე, მიუხედავად ტერიტორიულად ორი კონტინენტის გზაგასაყარზე ყოფნისა, ჩვენ ეპიგონებად არ ვქცეულვართ და ორი კულტურის ნასუფრალით კი არ ვიკეპებოდით, არამედ თვითონ ვქმნიდით ორიგინალურ, თვითმყოფად კულტურას.

ამის დასამტკიცებლად ჩვენი კულტურის უძველესი გამოვლენის – ქართული ცეკვისა და სილერის თვალის გადავლებაც საკმარისია.

„მრავალუამიერი“, „ჩაკრულო“, „ნინნყარო“, „ნაიყვანეს თამარქალი“, „გაფრინდი შავო მერცხალო“, „იმერული მგზავრული“ – ეს ხომ დიდებული გამონაშუქია ქართული ხალხური მუსიკალური გენიისა, ხოლო „ხორუმი“, „ქართული“, „აჭარული“, „ფერხული“ და „მთიულური“ პლასტიკურობით, დრამატიზმით და გრაციულობით მსოფლიო ქორეოგრაფიის მარგალიტებს წარმოადგენენ.

მხატვრული აზროვნების და უმაღლესი ეთიკური ნორმების დემონსტრაცია ქართული ადათ-წესები და ზნე-ჩვეულებანი.

ტრადიციულ დიზაინთან შენივთული მხატვრულ-დეკორატიული აზროვნების დიდებული ნიმუშებია თუშური ფარდაგები, ფშავ-ხევსურული „ტალავარი“, მოხევური ნაბადი, გურული ყაბალახი, აჭარული „ჩაქულა“, ქართული ჩოხა და ჩიხტი-კოპი...

დაამატეთ ყოველივე ზემოთთქმულს ქართული უნატიფესი საცხოვრებელი სახლები და ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება.

ჩვენი ეკლესია-მონასტრების არქიტექტურა ბიზანტიურს და ბერძნულს მხოლოდ იმით წააგავს, რომ ორივე ღვთის სახლია და ორივე ქრისტიანულია.

დახეთ, უკვდავ არქიტექტორს ეკლესიის გუმბათი როგორ დაუმსგავსებია მწვერვალებისათვის, ბაზილიკები როგორაა განილილი ჩვენი დობერა-ქედებივით. როგორ ამაყად აღმართულან სვანური კოშკები ქართული ჯიშის უტყვ მოწმებად და გუშაგებად, როგორ მიჰკვრიან ერთმანეთს ფშაური ციხე-კოშკები და როგორ ჰგავს ქართული საეკლესიო არქიტექტურა ერთმა-

ნეთზე მიშენებულ ულამაზეს ნაგებობებს. ახლა შიგნიდან ვიხილოთ ჩვენი ეკლესია-მონასტრები. აქაც ყველაფერი ეროვნული, ქართულია. გრძნეულ ფრესკათმნერს ქართველი მეფეები და დიდებულები ხომ წმინდანთა იერით დაუხატავს, ბიბლიური პერსონაჟებიც კი ფრესკებიდან ქართული თვალებით, ქართული სახეებით შემოგვცერიან.

თუ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ და მსოფლიო კულტურის ყველაზე თვალსაჩინო ძეგლებს შევუპირისპირებთ განუმეორებელ ქართულ ჩუქურთმებს, ასევე მის უდედებულესობას სწორედ რომ ლექსიკურად უმდიდრეს ჩვენს ჩუქურთმოვან ენას და ამ ენაზე შექმნილ მსოფლიო შედევრებს: „ვეფხისტყაოსანს“, „ვეფხისა და მოყმის ბალადას“, ვაჟასა და გალავტიონის პოეზიას... შეგვიძლია თამამად ვუწოდოთ მსოფლიო კულტურის დიდ ტაძარში ქართლ კულტურას ერთი სანუკვარი სიტყვა: „თვითმყოფადი“.

## კულტურა და ეროვნული ფეხმანი

კულტურა, ამ ცნების უფართოესი მნიშვნელობით, უაღრესად მრავალწახნაგოვანია და თავისი მასშტაბურობით მსოფლიო ცივილიზაციის მონაპოვრებს მოიცავს.

კულტურის თითქმის ყველა დარგი მკვიდრად ჩამოყალიბებული კრიტერიუმებით იზომება, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუდმივ ცვალებადობას განიცდის არა მარტო თვით კულტურა, შენაარსის თუ გამოსახვის სამუალებათა გამრავალფეროვნება-დახვეწის პროცესში ჩართული, არამედ თვით მისი შეფასების კრიტერიუმებიც.

მსოფლიო კულტურის ცვალებადობა გამოწვეულია, ერთი მხრივ, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად ადამიანის ცხოვრების წესის გამრავალფეროვნება-გარდაქმნით და, მეორე მხრივ, მოდის ოკანისებური ტალღურობით, რომელიც დროდადრო გადაუვლის ხოლმე კულტურის პროცესთა მშვიდ მდინარებას და, თუ ხანდახან გაუკეთესების ილუზიას ბადებს, უფრო ხშირად მასკულტურის გლობალური გავრცელების საშიშროებას ქმნის.

ერთი ტრადიციული შენაკადი მსოფლიო კულტურისა, რომელიც მისი სრულყოფის დაუშრეტელი წყაროა და, რომელიც ათასწლეულებიდან მოედინება და ნიადაგ ცდილობს პირველქმნილის იერის შენარჩუნებას, ცდილობს შეძლებისდაგვარად ნაკლებად დაჰყვეს ორიგინალურობის წამლეავი მასკულტურის თუ მოდის ქარბორიებს, ეროვნული ფენომენი გახლავთ.

„ფენომენი“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს უწვეულო, განსაკუთრებულ მოვლენას. სწორედ ქართველი ერის განსაკუთრებულ ნიშან-თვისებათა ერთობლიობაა ქართული ფენომენი.

თვისებები, რომელთაც ქართული ფენომენის, ქართველი ერის დამახასიათებელ თვისებებად მიიჩნევენ, შეიძლება სხვა ერებსაც ახასიათებდეს, მაგრამ იგი ჩვენს თვალთახედვაში შემოდის იმის გამო, რომ ქართველმა ერმა შეიტანა რაღაც თავისებური, განსაკუთრებული ელემენტები ამა თუ იმ ნიშან-თვისებაში ერისა, და მეცნიერება აიძულა, ამა თუ იმ სფეროში ქართველი ერის განსაკუთრებულობაზე ელაპარაკა.

მსოფლიოს არაერთგზის გადაუარა რაოდენობრივად მცირე ერებისა და მათი კულტურების გაქრობის საშიშროებამ.

მსოფლიოს ისტორიაში იცის სავალალო მაგალითები იმისა, თუ როგორ შეინოვეს ეგრეთ წოდებულმა დიდმა ერებმა მცირე ერები და მათი კულტურა.

მოგეხსენებათ, ერის გაქრობა იწყება მაშინ, როდესაც იგი კარგავს ეროვნულ ცნობიერებას, ეროვნულ თვისებებს, თვითმყოფადობას და თავისი კულტურის უპირველეს, უმთავრეს ნიშანს – ენას.

სავალალო მაგალითი უამრავია:

დიდი კოლონიზაციის ეპოქაში ინგლისმა აიძულა ისეთი დიდი ისტორიისა და კულტურის ქვეყანა, როგორიც ინდოეთია, უარი ეთქვა მშობლიურ „ჰინდის“ ენაზე.

დღეს ინდოელთა 80% ინგლისურად მეტყველებს.

სამხრეთ ამერიკაში თითქმის აღარ არსებობს ადგილობრივ ისტორიულ მცხოვრებთა ენა. უმეტესი მათგანი ესპანურად, ფრანგულად და ინგლისურად მეტყველებს.

აღარ არსებობს ავსტრალიელ აბორიგენთა ენები.

ლამის მთელ მსოფლიოშია გაბატონებული ინგლისური ენა.

აფრიკის სახელმწიფოთა უმეტესობა წერს და მეტყველებს ფრანგულ და ინგლისურ ენებზე.

დღეს მსოფლიოს ერთი დიდი საშიშროება ემუქრება ეროვნული ინტერაციის, ანუ გლობალიზაციის, სახით.

ეგრეთნდებული გლობალიზაციის თეორიის წარმომადგენლები ამბობენ: რა საჭიროა მსოფლიოში ამდენი ენა და ამდენი კულტურა? სხვა არა იყოს რა, ცალკეული პატარ-პატარა ენებისა და კულტურების არსებობა სახელმწიფოებს უქმნის დაქსაქსვის, ცალკე გასვლის, საბუთიანი თუ უსაბუთო ავტონომიის მოთხოვნის საშიშროებას. ესეც არ იყოს, თარგმანზე უამრავი ფული იხარჯება, ამიტომ თანამედროვე მსოფლიოს უპირველესი ამოცანაა ერთა და ეროვნებათა ინტეგრაცია, ანუ ურთიერთშერწყმა.

არამეცნიერული ენით რომ ვთქვათ, ესაა ერთა „ათევფა“.

გლობალიზაციის მსახვრალი ხელი საქართველოსაც ნელ-ნელა დაეტყო. სამწუხაროდ, მომრავლდნენ ოჯახები, რომლებიც

თვლიან, რომ ქართული საყველპურო ენაა, საშინაო მოხმარების ენაა. მას დიდი მომავალი არ უწერია და, თუ ჩვენი შვილების მომავალზე ვზრუნავთ, ბავშვები უნდა აღვზიარდოთ ინგლისურ სკოლაში ან ინგლისურ კოლეჯში.

ეს არის ერის დამლუპველი, მცდარი თეორია. ბავშვს, რომელიც მშობლიურ ენაზე არ იზრდება, დედის ძუძუსთან ერთად არ მიუღია ის აუცილებელი რამ, რაც ადამიანს ეროვნულ მოქალაქედ აქცევს.

წარმოუდგენელია მსოფლიო პატარა ერების კულტურათა გარეშე.

მსოფლიო მით უფრო ლამაზია, რაც უფრო შევსებულია იგი სხვადასხვა ცივილიზაციით. ხალიჩა მით უფრო ლამაზია, რაც უფრო მრავალფეროვანია, ასევე მშვენიერია სხვადასხვა ყვავილებით მორთული მდელო.

ქართული ფენომენი მოიცავს:

1. ქართველთა ანთროპოლოგიურ და ზნეობრივ თავისებურებებს
2. ქართულ ადათ-წესებსა და ზნე-ჩვეულებებს
3. ქართულ ხელოვნებას
4. ქართულ ენასა და სიტყვიერებას
5. ქართულ მეცნიერებას
6. ქართულ დიპლომატიას

მაინც რა თვისებებში ჩანს ქართველთა განსაკუთრებულობა, რით გამოიხატება ქართული ფენომენიო, თუ გვკითხავენ, რამდენიმე მაგალითი შევიძლია დავასახელოთ:

უპირველეს ყოვლისა, ეს გახლავთ ცოტნე დადიანის გმირობა.

რა გმირობები არ იცის მსოფლიო ისტორიამ, მაგრამ დამსჯელთა წინაშე მოუხელთებელი გმირი გამოცხადებულიყოს და თავისი ნებით ჩამჯდარიყოს განწირულთა შორის, ცოტნემდე არ მომხდარა.

ლამის უპრეცედენტოა მეფე დიმიტრი თავდადებულის გმირობაც. ქვეყანა რომ გადაერჩინა, დიდებულთა თხოვნის საწინააღმდეგოდ, მონღოლთა ურდოში წასვლა გადაწყვიტა. უეჭველ სიკვდილზე წავიდა და გაუგონარი წამება ისე აიტანა, ერთიც არ დაუკვნესია.

განსაკუთრებულობით, დიდების შარავანდედით გამოირჩევა მღვდელი თევდორე. მან გზა-კვალი აურია მომხდურთ და ოღონიშოლრო გზებზე მანამ ატარა, სანამ ქართველები ლაშქრის შეკრებასა და მტრისთვის ანგარიშის გასწორებას შეძლებდნენ.

ცოტნე დადიანის გმირობა რომ შემთხვევითა არ იყო და ქართველებს მოძმეთათვის თავდადების გრძნობა გენში გვიზის, მეოცე საუკუნის მიწურულს გია აბესაძის მიერ ჩადენილმა გმირობამაც დაადასტურა.

ახალგაზრდა ექიმმა რუსთაველის პროსპექტზე საჯაროდ თავი დაიინვა და მისი სიკვდილით გაოგნებულ საქართველოს გამთლიანება-შერიგებისკენ მოუწოდა.

1943 წლის ივლისში გერმანელებმა ოსვენციმიდან გაქცეულ 11 ქართველ ტყვეს დახვრეტა მიუსაჯეს. დახვრეტამდე ერთ-ერთი მათგანი ამოიცნო თბილისში ნამყოფმა ექიმმა ოტო შვარცმა და იმდენი მოახერხა, დახვრეტა მაიდანეებში გადაყვანით შეუცვალა. როცა სიკვდილმისჯილ ლევან წერეთელს ეს ამბავი ამცნეს, კატეგორიული უარი განაცხადა. თანამოძმებებმაც ურჩიეს გასვლა, შენ მაინც გადარჩები ცოცხალი და საქართველოში ჩვენს ამბავს ჩაიტანო, მაგრამ ამაოდ „ნუთუ წამით მაინც დაიჯერებთ, რომ მიგატოვებთ და დარჩენილ გაძალებულ წუთისოფელს ისე გავივლი, რომ ჩემი ცოცხლად დარჩენის ეჭვს თავსატეხად დავუტოვებ ქვეყანასო“.

ქართული ფენომენი ამ პატარა, თითქმის შეუმჩნეველ მაგალითშიც ვლინდება:

ერთმა ახალგაზრდა ქართველმა დედამ თავისი 4 წლის ბიჭი ერთ ლარად დაქირავებულ ცხენზე შესვა. თან ხელში წკეპლაც დააჭერინა. ბიჭმა წკეპლა რომ აიქნია, ცხენი ჩიორთზე გადავიდა და ბიჭი გადმოვარდა.

ყველაზე ადრე დედამ მიირბინა. როგორ ფიქრობთ, შეშინებულ პირმშოს დაუყვავა და ცხენს გამოარიდა? თქვენც არ მომიკვდეთ. აღრიალებულ ბიჭს ერთი-ორჯერ შემოჰკრა უკანალზე და ისევ ცხენზე შესვა. თან დააყოლა, არ გადმოვარდე, თორემ გაილახებიო.

ძნელი შესამჩნევი როდია, იმ ქალის ხასიათში ქართველი დედა, ქართული ფენომენი.

ინფორმაციის საშუალებათა ფეიერვერკმა, სახელმწიფოთა შორის შუა საუკუნური ღობების მოშლამ ამა თუ იმ ერის მიერ საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებულ-განმტკიცებული ნიშნები ვერ წაშალა.

ისტორიულ ხალხთა უმეტესობას თავისი „სახე“ ჯერ კიდევ შემორჩია და ესეცა მსოფლიოს მშვენიერების საიდუმლო.

ქართული ფენომენის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორედ დღეს, როცა საქართველო თავისი ისტორიის უმძიმეს დღეებს განიცდის, როცა ჩვენ ლამის საბედისწერო მოსახვევთან ვდგავართ.

საჭიროა, ქართველს სწორი წარმოდგენა შევუქმნათ თავის თავზე. შევახსენოთ, ვინ ვართ ქართველები, საიდან მოვდივართ, როგორია ჩვენი სოციალ-პოლიტიკური წარსული და თანამედროვეობა, რა ადგილი გვიჭირავს მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში, როგორ გამოვლინდა ქართული ფენომენი საზოგადოებრივი აზროვნების სხვადასხვა დარგში...

ეს ყოველივე იმისთვისაა საჭირო, რომ ქართველს თავის თავზე სწორი წარმოდგენა შევუქმნათ, რათა თავის ძალებში დარწმუნებულმა თამამად გააბიჯოს ისტორიის უსიერ ტევრში.

საქართველოსკენ გზა კარგა ხანია გაიწალდა და „პატარა მარგალიტის“ დასამონებლად უზარმაზარი იმპერიები რიგში დგებოდნენ.

მოდიოდნენ ბერძნები, რომაელები, ბიზანტიონი, არაბები, თურქ-სელჩუკები, მონღოლები, ოტომანი, სპარსი, რუსები...

დედამიწაზე თითქმის ყველა იმპერიის უღელი გამოვიარეთ.

საუკუნეთა განმავლობაში დამპყრობლის კირთების ქვეშ ყოფნას თან ახლდა ყველაზე საშიში რამ – ეროვნული გადაგვარების საფრთხე.

სასწაულებრივად მაინც გადავრჩით და ოცდამეერთე საუკუნეს მოვაკაკუნეთ.

მსოფლიოს გრანდიოზული არენიდან გაქრნენ უძველესი ცივილიზაციის მქონე სახელმწიფოები, რომელთა არსებობას დღეს მხოლოდ მსოფლიოს კულტურაში მათ მიერ შეტანილი წვლილითლა ვეცნობით. ეს წვლილი კი მართლაც განსაცვიფრებელია. მაგალითად, ძველმა ეგვიპტელებმა გამოიგონეს ადამი-

ანთა, ცხოველთა და ფრინველთა დაბალზამების საიდუმლოება, ეგვიპტისა და ლონდონის მუზეუმებში შეგიძლიათ ნახოთ ოთხი ათას ხუთასი წლის წინათ გარდაცვლილ ადამიანთა მუმიები, რომელთაც სახის ფერი, თმა და კანიც შენარჩუნებული აქვთ, ხოლო ტუტანჰამონის ოქროს კუბოზე ახლაც ანყვია ყვავილები, ოთხი ათას ხუთასი წლის წინათ ბალზამის წყლით ნაპურები და ამოტომაც გუშინდელი მოკრეფილი გეგონებათ.

შუმერებმა და ფინიკიელებმა დედამიწის ცივილიზაცია მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრებით – ანბანით გაამდიდრეს. სამწუხაროდ, დღეს აღარც ეგვიპტელები ჩანან, აღარც შუმერები, აღარც ფინიკიელები და ეტრუსკები. უფრო მეტიც, ასწლეულების განმავლობაში იკვლევენ მეცნიერნი და დღემდე ვერ ამოხსნეს დაბალზამების თუ პირამიდების აგების საიდუმლო, ისტორიის ულმობელმა ქარიშხლებმა უდიდესი ცივილიზაციები გადაიყოლეს, საქართველო კი გადარჩა.

დღეს ჩვენ სიამაყით ვამცნობთ კაცობრიობას, რომ უძველესი კულტურის ერი ვართ. შეგვიქმნია მსოფლიო მნიშვნელობის მატერიალური თუ სულიერი კულტურა და დღესაც ლირსეულად ვჩანვართ მონინავე კაცობრიობის რიგებში.

გადავრჩით, მაგრამ ჩვენმა ულმობელმა ისტორიულმა ბედმა არაერთგზის სასტიკად გვაჯანჯლარა და ხშირად უფსკრულის პირას დაგვაყენა.

ასე გასინჯეთ, XII საუკუნეში დავით ალმაშენებლის დროს საქართველოს ტერიტორია 300000 კვ.კმ-ს მოიცავდა, დღეს კი საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია მხოლოდ 45000 კვ.კმ-ზე ვრცელდება. მეოცე საუკუნეს შევგვდით 111 000 კვ.კმ-ით და ნახეთ ბედის ირონიას: მარტო XX საუკუნეში 66 000 კვ.კმ დავკარგეთ.

რასაკვირველია, არც XXI საუკუნე იძლევა მცირე ერების დამშვიდებისა და მათი სრული გადარჩინის გარანტიას. 2008 წელს ისევ გადაუარა საქართველოს სამამულო მოის ტალღამ და ამჯერად დამპყრობელმა რუსმა 1993 წელს დაპყრობილი ტერიტორიების „დაკანონება“ სცადა.

საქართველოს ვერმოსპობის საიდუმლო შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობა.

**პირველი:** ეროვნული მდგრადობა. ქართველთა ეროვნული ცნობიერება ჩამოყალიბდა მტრულ გარემოცვაში, ამიტომაც ჩვენი წინაპრები თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ ეროვნულ ატრიბუტიკას – ეროვნულ კუთვნილებას, ანუ ქართველობას, ქართულ წარმოშობას, ენას, ეროვნულ ცნობიერებას, ნაციონალურ ნიშან-თვისებებს, მართლმადიდებლობას, ეროვნულ ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებს... ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ ნაციონალური სინმინდე და „არ აღრეულიყვნენ ერსა უცხოსა“. მათ კარგად იცოდნენ, რომ ენის, ტერიტორიის თუ სარწმუნოების დათმობა ეროვნულ სიკვდილს ნიშნავდა. ამიტომაც თავგამო-დებით ებლაუჭებოდნენ, საუკუნეების განმავლობაში აწრთობდნენ და იფარავდნენ ქართულ ფენომენს.

საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული თვითმყოფადობის გაქრობის მოსურნე მტრმა ამ ბოლო დროს სწორედ იმ მხრიდან შემოგვიტია, რომელი მხრიდანაც მეტ-ნაკლებად დაცული გვეგონა თავი. ეს მხარე ეროვნული ფენომენია.

მეორე ფაქტორი, რამაც საქართველო გადაარჩინა, გახლავთ იმედის მძლე საყრდენები. ქართველი კაცი იმედს სასოწარკვეთო-ლების ყველაზე მძიმე წუთებშიც არ კარგავდა. ჩვენი მცირერიცხოვნობის გამო ომებში, რა დასამალია, ხშირად ვმარცხდებოდით, იმპერიათა ურიცხვი ლაშქარი გვძლევდა, მაგრამ საქართველოს გონებაში ყოველთვის კიაფობდა მომხვდურისაგან თავის დაღწევის იმედი, ხოლო, როდესაც დამპყრობელი იმპერია ტორტმანს დაიწყებდა, საქართველო ხმალს იშიშვლებდა და ასე გაიკაფავდა გზას თავისუფლების ყურეებისკენ.

დიახ, ქართველ ერს ჰქონდა პერიოდები, როდესაც იგი მტერს თითქოსდა დროებით დაემორჩილებოდა, მაგრამ ეს იყო მოსაჩვენებელი მორჩილება. ქართველის ბოლომდე მოტეხვა, ბოლომდე გათათრება ან გარუსება ვერ ხერხდებოდა ქართული გენის არა-ჩვეულებრივი სიძლიერის გამო.

მესამე „საიდუმლო“, რამაც ჩვენი ვერგაქრობა განაპირობა, გახლავთ იუმორის დიდი გრძნობა. ქართულ ფოლკლორში უამრავი მაგალითია სიდუხჭირესთან, თუ გნებავთ სიკვდილთანაც ქართველი კაცის შექილიკება-შესუმრებისა. ჩვენი მაღალი უბოროტო იუმორის გრძნობა ეროვნული ხასიათის ის ნაწილია, ქართველთა ოპტიმიზმს რომ განაპირობებს.

გაუთავებელი, სულისდამღრღნელი სევდა, მუდმივი გლოვა ქართული ხასიათის განმსაზღვრელი ტრაგედიები ქართველს იუმორის დიდმა ნიჭმაც გადაატანინა. იუმორმა იგი „ჭირსა შიგან“ გაამაგრა, ძალა შემატა. ფილოსოფოსებს კარგა ხანია დადგენილი აქვთ, რომ მსოფლიოში „გაუცინარი ტომებიც“ არსებობენ. განვითარების დაბალ დონეზე მყოფი ადამიანები თითქმის არ იცინიან. იუმორის მაღალი დონე ერის მაღალი ინტელექტის გამოვლინების დასტურია.

სამთავან მთავარი მაინც, რამაც ჩვენი ეროვნული მდგრადობა, ჩვენი გადარჩენა განაპირობა, ეთნიკური სინმინდის შენარჩუნებისათვის ბრძოლა, რწმენისადმი და მამულისადმი ერთგულება, ანუ პატრიოტიზმია.

ქართულმა კულტურამ, ქართულმა ხელოვნებამ დიდებულად გამოხატა სამშობლოს სიყვარულის თემა (თვალსაჩინო მაგალითებად უამრავი ქართული ხალხური სიმღერა და ალგეთში მდგარი მერაბ ბერძენიშვილის საოცარი ქანდაკება – „კიდევაც დაიზრდებიან“ – გამოდგება). მაგრამ ეს კეთილშობილური გრძნობა ყველაზე ნათლად ქართულ ლიტერატურაში აღიბეჭდა. ამიტომაცა ქართველი მწერალი ერის სულიერი მებაირახტრე.

დასავლეთის თუ აღმოსავლეთის არაერთი ქვეყნის მწერლობაში პატრიოტულ თემატიკაზე დაწერილ მხოლოდ და მხოლოდ თითო-ოროლა მაგალითს თუ წააწყდებით, ქართული ლიტერატურის უპირველესი და მთავარი მოტივი კი პატრიოტული მოტივი გახლავთ, ეს ფაქტი განაპირობა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენმა ეროვნულმა ძნელბედობამ, ხოლო ერს, რომელსაც ძვალ-რბილში გასჯდომია სამშობლოსათვის თავდადების წმიდათანმიდა გრძნობა და, რომელსაც მამულს შენირული ამდენი სახელოვანი შვილი ჰყავს, სიკვდილი არ უწერია.

„სამშობლოს არვის წავართმევთ,  
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,  
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,  
მკვდარსაც კი გაეცინება“, –

საუკუნეებს გასძახის პოეტი და ამ ერთ სტროფში აკუმულირებულია ქართული ხასიათი, სხვა ერებისადმი ჰუმანური დამოკიდებულებაცა და მომხვდურთა წინააღმდეგ ბრძოლის მზადყოფნაც.

სამშობლოს სიყვარული ის გრძნობაა, მარად რომ თან გახლავს და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გატარებს დავით აღმაშენებლის, ცოტნე დადიანის, ილია ჭავჭავაძის მიერ ნაჩვენებ გზაზე.

აშკარაა, რომ ეს გრძნობა ცა და მინასავით შორს არის ახალი ჯურის უსამშობლო კოსმოპოლიტებისა და ვაირეფორმატორთა გრძნობა-გონებისაგან.

საქართველოს დამპურობელი არ უკვირს.

ჩვენი ისტორია მითაუამიდან დღემდე საკუთარი მინების დაცვისათვის ბრძოლის ისტორიაა.

დრო მიდის, ბოროტება ბოლოს აუცილებლად მარცხდება. ადრე თუ გვიან რუსეთის იმპერია დაიშლება, საქართველოს პოლიტიკურ ცაზე მზე გამოანათებს და წართმეულ ტერიტორიებს დავიბრუნებთ.

მტერს საქართველოს წინააღმდეგობის გატეხვა სურს ჩვენს ეროვნულ ცნობიერებასა და ეროვნულ ფენომენზე შეტევით.

საზღვარგარეთის დივერსიული სამსახურები ადგილობრივი, მონური ფსიქოლოგის მქონე ქართველ მოქა-ლაქეებზე დაყრდნობით ქართველ ერში ნერგავენ არასრულფასოვნების სინდრომს.

უკვე აშკარად გაისმის (თვითგვემის გუნებაზე მდგომი ზოგი „ერის კაცის“ პირიდანაც კი), რომ ქართველები უშრომელ შემოსავალზე გადაგებული, ომის არამცოდნე, ძმათა მკვლელი და განდიდების მანით შეპურობილი ერი ვართ, რომ ჩვენს არსებაში ძალუმად ფეთქავს ხელისუფლებისაკენ სწრაფვის, სკამების მოპოვების ნერვი, რომ არ გვაქვს ერთ ძალად შეკვრის, გაერთიანების ნიჭი და, ამდენად, დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების ხელოვნებაც უცხოა ჩვენთვის.

არასრულფასოვნების სინდრომის გაღვივება მიმართულია ერთი მიზნისაკენ: სურთ ჩასძახონ საქართველოს, რომ ამაოდ ეძიებს თავისუფლებას, რომ დამოუკიდებელი საქართველო ვერ იარსებებს, მას, ქართული გენიდან გამომდინარე, ან შინაომები მოუღებენ ბოლოს, ან მუსლიმანი მეზობლები გასრესენ.

მართალია, მტერს საქართველოს დამონების სხვა საშუალებებიც მოეპოვება თავის არსენალში (საქართველოს ტერიტორიიზე სამხედრო ბაზების შექმნა, ეროვნული ჯარის კონტროლი, ახალგაზრდობაში დროსტარებისა და უდარდელობის განწყობილებისათვის ხელშეწყობა, ნარ-კოტიკების შემოტანა...), მაგრამ ძნელი მისახვედრი როდია, რომ ამ „მშვიდობიან დროს“ ქართველ ერზე მტრის შეტევის გენერალური მიმართულება ქართულ ფენომენზე გადის.

ისტორიკოსები და ანთროპოლოგები კარგა ხანია თავს იმტვრევენ, თუ საიდან ვართ წარმომდგარნი. ამ ტერიტორიაზე განვითარებული ხალხი ვართ თუ ჩამოსული სხვა ტერიტორიიდან.

ამას წინათ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოაჩინეს პირველყოფილი ადამიანის თავის ქალა, რომელიც 2 მილიონ-ნახევარი წლის არის.

ეს თავის ქალა, საბედნიეროდ, ერთადერთი არ არის, თორემ შეიძლება ვინმეს ეფიქრა, რომ იგი შემთხვევით მოხვდა დამანისის ტერიტორიაზე.

აღმოჩნდა აგრეთვე ხუთი სხვა თავის ქალა და ადამიანის სხვა ძვლებიც. რა თქმა უნდა, „ზევზვას და მზიას“ ქართველობაზე ლაპარაკი გულუბრყვილობაა, მაგრამ არქეოლოგიური აღმოჩნდებით მტკიცდება, რომ ამ ტერიტორიაზე ათასწლეულების მიღმა ქართველთა ტომები ცხოვრობდნენ.

ეს იმას წინავს, რომ ჩვენ, ქართველები, ამ ტერიტორიაზე მოსული ხალხი კი არა ვართ, არამედ მსოფლიოს ცივილიზაციის გარიურავზე აე დაირწა ჩვენი აკვანი და, თუ სადმე მსოფლიოში ქართული კულტურის ნიშნები არსებობს, იგი სწორედ ამ ადგილიდან არის წალებული და განვითარებული.

ქართველები მიეკუთვნებიან ინდო-ევროპულ რასას, თუმცა ინდო-ევროპულ რასაში გამოიკვეთება კავკასიური რასა და სწორედ კავკასიურ რასას განვეკუთვნებით.

ევროპელი მეცნიერები, მწერლები – კანტი, ჰეგელი, დიუმა და სხვანი – არაერთგზით აღნიშნავდნენ ქართველების განსაკუთრებულ ფიზიკურ და გონებრივ სრულყოფილებას.

მრავალსაუკუნოვანმა მონიბამ შეცვალა ქართველი კაცის ზნეობრივი სახე. დავკარგეთ ქუდზე კაცის გამოსვლის, ერთ მუშტად შეკვრის ნიჭი და სხვ.

ქართველისათვის ეროვნულობა და რელიგია ყოველთვის ერთმანეთთან იყო გაიგივებული და რჯული ერქვა.

რჯულის დაცვა იყო ქართველთა თვისება.

სამწუხაროდ, რჯულის დაცვის ხელოვნება თითქმის ვეღარ შევინარჩუნეთ.

ჩვენი ბედოვლათობით დღეს ქართველები საქართველოში ვართ სულ 49% მაშინ, როდესაც სომხეთში სომხები 99%-ია, აზერბაიჯანში კი აზერბაიჯანელი – 98%.

მთელს კავკასიაში მარტო ქართველები ვართ გადაშენების გზაზე. ამიტომაც ყოველი ქართული ოჯახის ვალია გამრავლება.

ჩვენ, როგორც აღვნიშნეთ, მივეკუთვნებით კავკასიურ რასას. კავკასიური რასა, ჰეგელის დასკვნით, ულამაზესი რასაა მსოფლიოში. რასის სილამაზე, ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, განისაზღვრება ადამიანის სხეულის პროპორციებითა და სახის ფერით.

თუ სხეულის პროპორციებს მივიღებთ მხედველობაში, მსოფლიოს ხალხები ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდებიან. იაპონელები, კორეელები და ვიეტნამელები დაბალი ტანით გამოირჩევიან. ამასთან ერთად, მათი კიდურები საგრძნობლად მოკლეა, რის გამოც მათი ფიზიკური მონაცემები შეზღუდულია. დაბალკიდურიანებს გრძელ მანძილზე სწრაფი სირბილი თითქმის არ შეუძლიათ. კიდურთა სიმოკლის გამო ასევე შეზღუდულია მათი მონაცემები კრივში.

კავკასიური რასა ანატომიურად სილამაზის ყველა პარამეტრს აკმაყოფილებს. ჩვენი სხეულის ნაწილები საოცრად პროპორციულია, სიმაღლეც სრულიად დამაკმაყოფილებელია, რაც საშუალებას იძლევა ერთს მაღალგონებრივი განვითარებისა. ფართო თვალები, განსხვავებით ჩინელებისაგან, ნორმალური სიდიდის თავი, რაც მეტ ტვინს ითავსებს, იმის გარანტიაა, რომ კავკასიურ რასას შეუძლია მეცნიერებისა და კულტურის მიღწევები მაქსიმალურად აითვისოს. კავკასიურ რასაში კი, ფრანგი მწერლის დიუმას ცნობით, განსაკუთრებული სილამაზით ქართველები გამოვირჩევით. ქართველის სახის ფერი, როგორც აღვნიშნეთ, მოვარდისფრო სპილოს ძვლისფერი, უნიკალურია მსოფლიოში და, როგორც ამას წინათ ფრანგი უურნალისტი მადამ დე ბოვუა წერდა: საქართველოში ვიხილე ულამაზესი გოგონები და, თუ არ გამინაწყენდებიან მსოფ-

ლიოს გამოჩენილი სუნამოსა და პარფიუმერიის ფირმები, უნდა შევნიშნო, რომ ზღაპრული სილამაზის მქონე ქართველ გოგონებს ერთადერთი ნაკლი აქვთ – პარფიუმერიისკენ გადაჭარბებული მისწრაფება, არადა მათი სახე ბუნებრივადაც ისეთი ფერწერულია, რომ არავითარ ფერწერილს არ საჭიროებსო.

აქედან დასკვნა: ქართული რასა, ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, ორიგინალურ, გამორჩეულ ფენომენს წარმოადგენს.

მეცნიერები არაერთგან მიუთითებენ ქართველთა ეთნიკურ-ზნეობრივ თვისებებზე. ეს თვისებები საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბდა და ლამის ქართველთა ხასიათის საერთო ნიშნებად იქცა.

კერძოდ:

ქართველი მიმნდობია და ალალი. იცის გატანა და ერთგულება, მაგრამ დალატის შემთხვევაში სიყვარული სწრაფადვე ეცვლება შეუგუბელ მრისხანებად.

ქართველი საზოგადოდ მხიარული პიროვნებაა, სიმღერისა და ლხინის ტრფიალი. იცის გულიანი გლოვა-დატირებაც, მაგრამ მწუხარება დიდხანს არ გაჰყუება ხოლმე. ყოველთვის იმედის თვალით შეჰყურებს მომავალს და მისთვის უცხოა უნუგეშობა და სასოწარკვეთა.

ქართველი ბუნებით ნიჭიერია და ამის გამო საკუთარ თავში, თავის ძალაში დარწმუნებული. ეს თვისება განაპირობებს მის ინდივიდუალობას. ქართველთა უმეტესობა ამაყია და პირველობის მოსურნე. ეჭვის თვალით უყურებს საერთოობისკენ მოწოდებას. დიდი ენთუზიაზმით არ ცხადდება კოლექტიურ ღონისძიებებზე, ხოლო, თუ მისი მონაწილეობით რაიმე საერთო-სახელმწიფო ქმედება ჩატარდა (ვთქვათ, რევოლუცია), მეორე დღესვე იწყებს თავისი საქციელის განსჯა-შეფასებას და ხშირად მიდის იმ აზრამდე, რომ შეცდომა დაუშვა.

ქართველი თავისი ბუნებით არ არის სასტიკი. იგი იშვიათზე-იშვიათად ბოროტდება. ამიტომ ქართველის მიერ ჩადენილ დანაშაულებში თითქმის ვერ წააწყდებით კანიბალიზმის ფაქტებს – ასე უხვად რომ ახასიათებს დამნაშავეთა სამყაროს (ჩვილის აკვანში ჩაკვლა, ადამიანის წამებით მოკვლა, სისხლის დალევა და სხვ.).

სამაგიეროდ, ქართველი უაღრესად მომთხოვნი და უკომპ-რომისო თავისი თანამემამულის მიმართ. გაჯიბრების სურვი-ლი ხშირად ქიბიპასა და შურმიც გადადის. ამ მიმართულებით საქართველოს ისტორიაში არაერთი ისეთი მაგალითია, რომელ-მაც საუკუნეთა მიღმა ისტორიკოსს ათემევინა, ქართველთა ხა-სიათის თვისება „ორგულ ბუნება არსო“.

ქართველთა ხასიათის სიფიცხე, როგორც მოგახსენეთ, გამ-ყოლი ბუნებისა არ არის. იმპულსური აფეთქება მალე გაუვლის. სიფიცხე შეეცვლება უნაპირო სიკეთედ და ტოლერანტობად. წრეგადასულმა მიმტევებლობამ კი ცოტა ზიანი როდი მოუტანა სტუმარი ერებით ასე მდიდარ ჩვენს სახელმწიფოს.

ყოველ თვითმყოფად ერს თავისი დამახასიათებელი ადათ-წესები და ზნე-ჩვეულებები მოეპოვება.

რაც უფრო კულტურულია ერი, მით უფრო დახვეწილია ეს ზნე-ჩვეულებანი.

ჩვენ, ქართველები, უძველესი კულტურის მქონე ერი ვართ.

ჩვენი ადათ-წესები და ზნე-ჩვეულებები საუკუნეთა განმავ-ლობაში ჩამოყალიბდა.

ქართველებს შეუძლიათ იამაყონ თავიანთი ჰუმანური, კაცო-მოყვარე ზნე-ჩვეულებებით. მსოფლიოს შეუძლია ბევრი რამ გა-დაიღოს ქართული ადათ-წესებისა და ზნე-ჩვეულებებისგან.

ქართველმა ერმა სრულიად თავისებური ელფერი შესძინა მსოფლიოში გავრცელებულ ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებს. ამიტომ თამამად შეგვიძლია ვილაპარაკოთ ქართული ფენომენის ამ თავისებურებაზე. კიდევ ერთხელ ვუსვამთ ხაზს, რომ ზნე-ჩვეულებათა განსაკუთრებულობა განაპირობა ქართველი ერის ცხოვრების წესმა და გეოგრაფიულმა პირობებმა. ესენია:

1. პატრიოტიზმი.
2. სტუმართმოყვარეობა.
3. მეგობრობა და სუსუმტეობა.
4. რაინდობა, ანუ დამარცხებულის შეწყალება.
5. ტოლერანტობა და სხვა ერებისადმი პატივისცემა.
6. ქალისადმი მოწინებითი დამოკიდებულება და დედაშვი-ლობა.

7. ქორწინებისა და დაკრძალვის ორიგინალური წესები.

8. სუფრის წესი და თამადობის ინსტიტუტი.

სამშობლოობის გრძნობა ქართველს, ლამის ინსტინქტი-ვით, დედის მუცლიდან დაჲყვება. მთელი ჩვენი ისტორია და ლიტერატურა მშობლიური მიწის დაცვის ნიჭიერ აგებული და, სწორედ რომ გარეშე მტრების წინააღმდეგ უთანასწორო ბრძო-ლის ეპიზოდებითაა სავსე, მამულისათვის ბრძოლის ისტორიას ოქროს ასოებით შერჩნენ დავით ალმაშენებლის, თამარ მეფის, ცოტნე დადიანის, გიორგი სააკაძის, ერეკლე მეფის, მღვდელი თევდორეს, სამასი არაგელის, დემეტრე თავდადებულის, ცხრა ძმა ხერხეულიძისა და სხვა წამებულთა წმინდა სახელები.

პატრიოტიზმის გამძლე საყრდენებზე დგას „ვეფხისტ-ყაოსანი“, სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედება, თეიმურაზის და არჩილის პოემები, დავით გურამიშვილის „ქართლის ჭირი“, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, გიორგი ლეონიძის, ლადო ასათიანის, შოთა წიმინდიძისა და სხვა ქართ-ველ მწერალთა ნაწარმოებების უმეტესობა.

სამშობლოს სიყვარულის გრძნობა განსაკუთრებით ღვივდება იმ ერთა შორის, რომელსაც სამშობლოდ მცირე ტერიტორია აქვთ და იმ მცირე ტერიტორიის დაცვაც ხმლით და ბრძოლით უხდებათ.

საქართველო სულს ღაფავდა შემოსეულ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამიტომაც ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეული იყო გმირი, რომელსაც შეეძლო მამულის დაცვა.

საქართველოში დიდხანს არ გვყავდა რეგულარული არმია, მაგრამ, რომ იტყოდნენ „ქუდზე კაციო“, ოჯახის ყველა სრულ-ფასოვანი წევრი მიდიოდა ლაშქარში.

სირცხვილად ითვლებოდა ომის დროს შინ დარჩენა.

ასევე წარმოუდგენელი იყო ომიდან გამოქცევა.

მხდალსა და ლაჩარს მთელი სოფელი დასცინოდა. მასზე გან-მაქიქებელ ლექსებსა თხზავდნენ.

რადგანაც საქართველო მთავრობიანი ქვეყანაა, ამიტომ ჩვენში სტუმარი იშვიათობას წარმოადგენდა.

ოჯახში სტუმრად შემოსულ მგზავრს, განსაკუთრებით თუ იყი შორი გზიდან იყო მოსული და უგზოობის გამო უკან დაბრუნება არ შეეძლო, ლამე მასპინძლის ოჯახში უნდა გაეთია.

აქედან ჩამოყალიბდა სტუმრის, როგორც ღვთის მოვლენილის, განსაკუთრებული პატივისცემა.

ქართული ფენომენის განსაკუთრებულ ნიშანს წარმოადგენს მეგობრობისა და ძუძუმტეობის გრძნობა.

მეგობრობის გაგება ქართველს ტრადიციულად დედმამიშვილის გაგებასთან აქვს გაიგივებული.

ჩვენი ისტორია, ფოლკლორი თუ კლასიკური ლიტერატურა სავსეა მეგობრისთვის თავდადების მაგალითებით. აქ სახელდახელოდ „ვეფხისტყაოსნის“ გმირების, ვაჟა-ფშაველას პოემების („ბახტრიონი“, „სტუმარ-მასპინძელი“) და ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯას“ გახსენებაც იკმარებდა.

სამშობლოს დაცვის ძალა-რბილში გამჯდარი ნიჭისა და მტრისადმი შეუპოვრობის გარდა, ქართული ფენომენი რაინდობას და დამარცხებული მტრისადმი მიმტევებლობასაც გულისხმობდა.

მსოფლიო ცნობილია ჩვენი უკიდევანო სიკეთე და ტოლერანტობა.

„ოდეს მტერსა მოერიო, ნუღარ მოჰკლავ, დაიყოვნე!“ – რვა-ასი წელია მოგვძახის რუსთველი და განა „ვეფხვისა და მოყმის ბალადა“ ან ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ მტრის დანდობის, შეწყალების უკვდავი შეგონებით არ არის გაუღენთილი?

მარტოოდენ საქართველოს ადგილმდებარეობა (აღმოსავლეთის და დასავლეთის გზაგასაყარი) და მდიდარი, მრავალფეროვანი ბუნება როდია იმის მიზეზი, რომ საქართველო ეთნიკურად უაღრესად ქრელი ქვეყანაა. ესაა უპირველესად ჩვენი ტოლერანტობის, სხვა ერებისადმი უზომო პატივისცემის შედეგი.

იმდენად მრავალფეროვანია ჩვენი ქვეყანა ეროვნული შემადგენლობით, რომ ისეთი პატარა სახელმწიფოსათვის, როგორიც საქართველოა, სტუმარ ერთა რიცხვი ყოველგვარ დასაშვებ ზღვარს გადაშორდა და ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობისათვის უაღრესად საშიში პერსპექტივა შეიქმნა.

დედაკაცისადმი, როგორც სიცოცხლის საწყისისადმი, დედისა და ქალისადმი ქართველი კაცის მოწინებითი დამოკიდებულება ცალკე შესწავლის ღირსია.

საქართველო ხომ ის ქვეყანაა, სადაც მარჩენალ მიწასაც დედამინას ეძახიან და არასოდეს ილახებოდა ქალის უფლებები.

ჩვენში ემანსიპაციაზე ლაპარაკიც კი სასაცილო იყო ყოველთვის, თუნდაც იმიტომ, რომ შუასაუკუნეების მსოფლიოში ერთერთმა პირველებმა გავამეფეთ ქალი (თამარი) და გამოვაცხადეთ ლოზუნგი: „ლევი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია!“ მამაკაცის გვერდით ქალის შესაძლებლობათა განვითარების სწორედ ჩვენეული მეთოდის წყალობაა, რომ მსოფლიოში დღეს ქართველი ქალის ფენომენი არსებობს და ქართველი მანდილოსნები აიძულებენ მსოფლიოს, ამ ფენომენს (თუნდაც ჭადრაკში გამოვლენილს) ანგარიში გაუწიონ.

ქალს, როგორც ერის გამმრავლებელს, განსაკუთრებულ პატივს სცემენ, რადგანაც ქართველების წინაშე ყოველთვის იდგა გამრავლების პრობლემა.

საქართველო ტრადიციულად მეღვინეობის ქვეყანაა, მაგრამ მეღვინეობა საქართველოს გარდა, გავრცელებულია საბერძნეთში, იტალიაში, ესპანეთში, გერმანიასა და სხვა ქვეწებში. მეღვინეობის კლასიკური ქვეყნები საქართველოსთან ერთად ზემოჩამოთვლილ ქვეყნებია, მაგრამ გასაოცარი ის გახლავთ, რომ სუფრაზე ღვინის სმის დროს თამადობის წესი მთელს დედამინაზე მხოლოდ საქართველოშია დამკვიდრებული.

ქართული სუფრა გონივრული სჯა-ბასის, ურთიერთობის გარკვევის, ჭეშმარიტი ლხენის, სიმღერა-ცეკვის, მოსწრებული სიტყვა-თქმების ასპარეზს წარმოადგენს.

მეღვინეობის კლასიკურ სამშობლოში – საქართველოში ამ ღვთიური სითხის მოხმარებაც ზომიერად და ლაზათიანად იცოდნენ. ქართველი კაცი მთვრალ-გამობრუებული იშვიათად დგება სუფრიდან.

ქართული კულტურის მშენება ქართული ხელოვნება და ლიტერატურა გახლავთ. სწორედ ხელოვნება და ლიტერატურა ანიჭებენ ქართულ ფენომენს განუმეორებლობასა და მომხისვლელობას.

საერთოდ ქართული კულტურა აღმოსავლური და ევროპული კულტურის გზაგასაყარზე წარმოიშვა. თუ „ვეფხისტყაოსანი“ აღმოსავლური რენესანსის ერთ-ერთი დიდებული მემკვიდრეა, გალაკტიონი სწორედ რომ ევროპული პოეზიის ბრწყინვალე თანავარსკვლავედში მოიაზრება.

ქართული მუსიკალური ხელოვნება მსოფლიოში უნიკალური მოვლენაა. იგი შედგება ქართული ხალხური, ანუ ფოლკლორული, სიმღერების და ქართული კლასიკური მუსიკისაგან.

განსაცვიფრებელია, რომ კავკასიაში მხოლოდ ქართველებს გვაქვს პოლიფონიური – სამხმიანი, ოთხმიანი და ზოგჯერ შვიდ-შმიანი სიმღერებიც კი.

საქართველოში 700-მდე ხალხური სიმღერაა აღრიცხული მა-შინ, როდესაც ხალხური სიმღერები თითქმის არ აქვს დასავლე-თის არაერთ ქვეყანას და, თუ აქვს, ისიც მხოლოდ თითზე ჩამო-სათვლელი.

ქართული ხალხური სიმღერა უძველესია. იგი ეხმარებოდა ქა-რთველ კაცს ბრძოლაშიც (საბრძოლო, ლაშქრული სიმღერები), შრომაშიც (ნადური, ოდოია...) და, თქვენ წარმოიდგინეთ, ავადმ-ყოფის განკურნებაშიც („ბატონებო...“).

„ქართველები მხიარულ სიმღერებს მღეროდნენო“, – გვიამ-ბობს ძვ. წ. აღ. VIII საუკუნის ასურეთის მეფე სარგონი.

ქრისტიანობის შემოღების შემდეგ ლალი ქართული სიმ-ღერების გვერდით განვითარდა სასულიერო საგალობელი. აქაც ქართულ საგალობლებს ბადალი არა ჰყავდა. დღესაც ყველა მონასტერს ჰყავს მგალობელთა გუნდი.

როცა სახელგანთქმულმა ამერიკელმა კომპოზიტორმა იგორ სტრავინსკიმ ქართული ხალხური სიმღერები მოისმინა, თქვა: ქართული ხალხური სიმღერა მსოფლიოს მერვე საოცრებააო.

გარდა მუსიკალური ფოლკლორისა, საქართველოში შეიქმნა უმაღლესი დონის კლასიკური მუსიკა – სიმფონიური მუსიკა და საოპერო ხელოვნება.

ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“ მსოფ-ლიოს საუკეთესო ოპერების დონეს უტოლდება.

როცა ქართულ სახვით ხელოვნებაზე ვლაპარაკობთ, უპირ-ველეს ყოვლისა, უნდა ვახსენოთ ჩვენი საეკლესიო მხატვრობა. ქართული ფრესკების უნიკალურობა არაერთგზის აღუნიშნავთ სპეციალისტებს და სწორედ ამიტომაცაა, რომ ამ ფრესკების დაცვა იუნესკოს ეგიდით ხორციელდება, თუმცა უძნელესი საქმე, ფრესკების რესტავრაცია, ჩვენში ჯერჯერობით კუს ნაბიჯით მი-ინევს წინ.

ქართველმა ფრესკის ოსტატებმა არა მარტო საქართველოს ეკლესია-მონასტრები დაამშვენეს ბიბლიური სიუჟეტებით, არ-ამედ საზღვარგარეთსაც მისწვდნენ. ფრესკის ქართველ ოს-ტატთა ნამუშევრების კვალი შეინიშნება საბერძნეთის, ბულგა-რეთის, რუმინეთისა და უკრაინის არაერთ ლავრაში.

ხაზით, ფერთა შეხამებით, თუ გნებავთ საღებავთა ორიგი-ნალური შეზავებითაც ქართული ფრესკების გამოცნობა ძნელი როდია და ამ ფონზე უფრო სასაცილო ჩანს სომებს მეცნიერთა უბადრული მცდელობა, ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრები სომხური ისტორიული კულტურის ძეგლებად გამოაცხადონ.

ქართული სახვითი ხელოვნება სამი მიმართულებით განვითარდა: ფერწერა, გრაფიკა და ქანდაკება.

საქართველოს ულამაზესი ბუნება, ფერთა ნაირგვარობა, ქმნის სათანადო პირობებს ფერწერის გასავითარებლად.

თითქოსდა ქანდაკებას საქართველოში დიდი ტრადიციები არ აქვს.

მეცნიერები მიიჩნევდნენ რომ ქართული ქანდაკება მე-20 საუკუნეში დაიბადა, მაგრამ 2006 წელს ვანში აღმოჩნდა მა-მაკაცის ქანდაკება ყანნით ხელში, რომელსაც კრიტიკოსებმა „თამადა“ უწოდეს.

„თამადა“ დაიდგა თბილისში, თავისუფლების მოედნის მიმ-დებარე ტერიტორიაზე, კერძოდ შარდენის ქუჩაზე.

ამ ქანდაკებამ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში გადა-ნია ქართული ქანდაკების ისტორია და თამადობის წესი.

საეკლესიო ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ნიმუშებია: სვეტიცხოველი; ალავერდი, გელათი, კვეტარის მონასტერი, გრემი, ჯვარი, ვარძია, დავით გარეჯი, უფლისციხე და სხვა.

აქვე უნდა აღვინიშნოთ, რომ დავით გარეჯი, უფლისციხე და ვარძია, ამავე დროს კომბინირებულია – საეკლესიო დანიშ-ნულებაც აქვს და სოციალურიც.

რაც შეეხება ქართულ საყოფაცხოვრებო ხუროთმოძღ-ვრებას – ისიც განსაცვიფრებელია. ქართველს (განს. დასავ-ლეთში) ეზოში რამდენიმე ნაგებობა ჰქონდა. ეს ნათლად ჩანს თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში – „ღია ცის ქვეშ“.

კინოხელოვნება ხელოვნების შედარებით ახალი დარგია თეატრალურ ხელოვნებასთან, ლიტერატურასთან, მუსიკა და მხატვრობასთან შედარებით.

მოძრავი სურათი XIX საუკუნის ოთხმოციან წლებში შეიქმნა, თანაც შემთხვევით.

რამდენიმე ფოტოსურათის ერთად გადაღებამ და ეკრანზე გადატანამ მოძრაობის შთაბეჭდილება შეუქმნა ფოტოგრაფს და ასე შეიქმნა კინო.

კინოს შექმნა ხელოვნებასა და ტექნიკაში ისეთივე საოცარი იყო, როგორც ტელეფონისა და რადიოს გამოგონება. დიდი ხნის განმავლობაში კინოფილმი არსებობდა, როგორც მუნჯური სურათი.

მუნჯური ფილმის ვირტუოზი იყო გენიალური კინოკომიკოსი ჩარლი ჩაპლინი.

საქართველოში პირველი კინოფილმი 1912 წ. შეიქმნა. ეს გახდათ ვასილ ამაშუკელის „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩენებში“.

სწორედ ვასილ ამაშუკელს უნდა ვუმადლოდეთ, რომ შეგვინახა გენიალური აკაკი წერეთლის ღვთიური სახე.

ქართული თეატრის დაბადების დღედ ითვლება 1850 წ. 14 იანვარი, როდესაც თბილისში სამსახიობო დასის წევრებმა დადგეს გიორგი ერისთავის „გაყრა“. ამის შემდეგ საქართველოში შეიქმნა რამდენიმე პროფესიული თეატრი, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა თბილისში რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრები, ხოლო ქუთაისში – მესხიშვილის სახელობის თეატრი.

თუმცა ქართული თეატრის სათავეებს უფრო შორეულ წარსულში გადავყართ.

ჯერ კიდევ წარმართულ ეპოქაში, ე.ი. ქრისტიანობამდე, საქართველოში იყო თეატრალური სანახაობა „ბერიკაობა“, ხოლო შემდგომში გაჩნდა „ყეენობა“.

ქართული ცეკვის სათავეები უძველეს საუკუნეებში უნდა ვეძებოთ.

ზოგიერთ ქართულ ცეკვას თავისი პლასტიკურობითა და პირველყოფილი შინაარსით იმ ათასწლეულებში გადავყავართ, როდესაც ხელოვნების სხვა დარგები თითქმის არ არსებობდა.

ადამიანთა როგორც სრულდებოდა ხეზე ქვის კაკუნისა ან ქვების ერთმანეთზე კაკუნის აკომპანიმენტით.

ქართული სული, ვაჟკაცობა, რაინდობა, მეომრული ხასიათი

ჩადებულია ისეთ გენიალურ ცეკვებში, როგორიც არის „ქართული“, „მთიულური“, „აჭარული“, ხოლო ქართული ცეკვის მეფედ ითვლება „ხორუმი“, რომელსაც მსოფლიო აღტაცებაში მოჰყავს.

ქვეყნად არსებულ ყოველ ცხოველს აქვს ურთიერთგაგებინების თავისებური საშუალება.

ერთმანეთს უხმობენ და ელემენტარულ აზრებს აგებინებენ მერცხლები, გარეული და შინაური ცხოველები და თევზებიც კი, მაგრამ მეტყველება, ანუ საუბარი, მხოლოდ ადამიანებს ხელენიფებათ.

მეტყველება გულისხმობს ბერების დანაწევრებასა და სიტყვების წარმოთქმას.

ცხოველები და ფრინველები მხოლოდ გარკვეულ ხმებს გამოსცემენ, მაგრამ ისინი ვერ მეტყველებენ. არადა ფრინველები და ცხოველები ადამიანზე უფრო ადრე გაჩნდნენ.

ადამიანი სამყაროში შედარებით გვიან მოვიდა, ანუ შედარებით გვიან გამოიყო ცხოველთა სამყაროს.

სამეტყველო აპარატი, ანუ ბაგე და ენა, თითქმის ყველა ცოცხალ არსებას აქვს, ხოლო ზოგიერთს კი მაგ.: ძროხას, კამეჩს, აქლემს – ადამიანთან შედარებით ათჯერ უფრო დიდი ენა აქვს, მაგრამ ისინი ვერ ლაპარაკობენ.

საქმე ის არის, რომ მეტყველება უპირველეს ყოვლისა ტვინის თვისებაა.

ადამიანის ტვინი ცხოველებისა და ფრინველების ტვინთან შედარებით სხვაგვარად არის მოწყობილი და ამიტომ ისწავლა მან ლაპარაკი.

როგორ აგებინებდნენ ერთმანეთს პირველყოფილი ადამიანები?

რა თქმა უნდა, პირველყოფილი ენა იყო ცხოველური.

ადამიანები ისე ზმუოდნენ და ყეფდნენ, როგორც ცხოველები.

ხოლო, სადაც ზმუილი და ყეფა არ უშველიდა, ადამიანები მიმიკაზე გადადიოდნენ. მიმიკა კი მხოლოდ ადამიანს ახასიათებს. ცხოველისათვის ის დამახასიათებელი არ არის.

მილიონი წლის შემდეგ ადამიანმა შექმნა ენა. ენის დაბადების მიზეზი არის ადამიანის მიბაძვითი უნარი. თუ სურდათ ძალაზე მინიშნება, ადამიანი იწყებდა ყეფას, თუ ძროხაზე – ზმუილს, მაგრამ ეს ურთიერთგაგებინებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა

და ადამიანმა გამოიგონა პირველი სიტყვები, რომლებიც იყო სა-  
გნის ან მოვლენის მუსიკალური წაბაზვა, ანუ მუსიკალური ხატი.

ასე შეიქმნა სიტყვები: ქარი, ქროლა, ქრის, სისინი, ჩურჩული,  
გრვინვა, ფრენა, ფრინველი, ბრძანება, მაგრამ რა თქმა უნდა,  
ყველა სიტყვა მუსიკალური წარმოშობისა როდია. გაიარა ათას-  
წლეულმა და ადამიანმა თავისი მწირი მარაგი პირველყოფილი  
სიტყვებისა შეავსო სხვა, არამუსიკალური სიტყვებით.

ადამიანის ენა – ბაგეს სულ 40-45 ბგერის წარმოქმნა შეუძ-  
ლია. ამ 40-45 ბგერის სხვადასხვა კომბინაციამ შექმნა რამდენიმე  
ათასი ცალკეული სიტყვა, რაკიდა ადამიანმა ნელ-ნელა ისწავლა  
ლაპარაკი, ანუ სიტყვებით ურთიერთობა.

გაივლის კიდევ უამრავი წელი და ადამიანს უჩნდება სიტყ-  
ვების გრაფიკული ხატის შექმნის მოთხოვნილება და ადამიანი  
იწყებს ფიქრს იმაზე, თავისი აზრები როგორ გადაიტანოს ქვაზე,  
ხეზე ან პაპირუსზე. ადამიანის აგებულებამ და გონებამ აქაც  
გაიმარჯვა! მან ერთი ნაბიჯით გაუსწრო ცხოველთა სამყაროს  
და აი როგორ: გამოიგონა დამწერლობის პირველი ფორმა, ანუ  
ხატოვანი დამწერლობა. უნდა ვიცოდეთ, რომ დამწერლობის 3  
ფორმა გვაქვს:

1. ხატოვანი დამწერლობა.
2. იეროგლიფური დამწერლობა.
3. ანბანური დამწერლობა.

ადამიანებს სურთ, ერთმანეთს გააგებინონ და აუხსნან, ვთქ-  
ვათ, ასეთი ამპავი. მაგ.: კაცი მოდიოდა გზაზე, შემდეგ მიადგა  
ტბას, ტბიდან ამოხტა ნიანგი და იგი შეჭამა.

ამ მინარსის გადმოსაცემად ადამიანმა ჯერ დახატა კაცი, მე-  
რე – ტბა, ბოლოს ხახადალებული ნიანგი, რომელიც კაცს ჭამს...

ხატოვანი დამწერლობა ჰქვია დამწერლობის პრიმიტიულ  
ფორმას, როდესაც ადამიანი წახატების საშუალებით გადასცემ-  
და აზრს მეორე ადამიანს.

ქვებზე ხატვა დიდ დროსა და უნარს მოითხოვდა, თანაც ქვასა  
და თხის ფირფიტაზე მრგვალი ხაზების გავლება ჭირდა. ამიტომ  
ადამიანმა დაიწყო პირდაპირ კაწვრა ხაზებით. წაკანრ ხატოვან  
დამწერლობას ჰქვია ლურსმნული დამწერლობა. ლურსმნულიდან  
განვითარდა იეროგლიფური დამწერლობა.

ადვილი შესამჩნევია, რომ ლურსმნული ჰგავს იეროგლიფურ  
დამწერლობას, რომელიც შემორჩენილია იაპონიაში, ჩინეთში,  
კამბოჯაში, კორეაში და ა.შ.

რადგანაც საჭირო იყო ლურსმნული დამწერლობის დახვეწა,  
შემოიღეს ცალკეული სიტყვებისა და ზოგჯერ მთელი წინა-  
დადების აღმნიშვნელი ხახატ-სიმბოლოები – ანუ იეროგლიფები.  
იეროგლიფური დამწერლობა, მოგეხსენებათ, დღესაცაა, მაგრამ  
იეროგლიფური წერა მაინც ძნელია, რადგან ჩინური და იაპონ-  
ური ენის მცოდნები 2000-მდე იეროგლიფი მაინც უნდა იცოდეს.

ბოლოს ადამიანი მივიდა ანბანამდე. ანბანი – ეს არის დამწ-  
ერლობის ყველაზე სრულყოფილი ფორმა.

შუმერებმა და ფინიკიელებმა გადაწყვიტეს მსოფლიოში მილი-  
ონი წლების განმავლობაში გადაუწყვეტელი პრობლემა. თითო  
ბგერას თავისი გრაფიკული ნიშანი, ანუ ასო, მოუქებნეს. ამ ასოე-  
ბის კომბინაციით კი ძალიან ადვილი გახდა სიტყვების ჩაწერა.

დღეს ფინიკიელები უკვე აღარ არსებობენ, მაგრამ კაცობრი-  
ობას სამუდამოდ შემორჩინება მათი უძვირფასესი საჩუქარი – ანბანი.

მთელმა მსოფლიომ ფინიკიელებისაგან ისწავლა ანბანური წე-  
რა და ამიტომაც ანბანთა დალაგების სისტემა თითქმის ყველა  
ენაში ერთი და იგივეა. ასე რომ, ანბანის მამა არის ფინიკია.

ბგერის გრაფიკულ სურათს ასო ჰქვია.

შუმერებმა შექმნეს პირველი ასოები.

შუმერების შემდეგ ფინიკიელებმა უფრო დახვეწეს დამწერ-  
ლობა და გამოიგონეს ანბანი. ანბანი ასოთა ამ სისტემას იმიტომ  
ჰქვია, რომ პირველი ორი ასო არის ანი და ბანი.

ფინიკიელებიდან ანბანური სისტემა გადაიღეს ბერძნებმა,  
ქართველებმა, სომხებმა და ლათინელებმა.

ლათინური ანბანი აქვს ინგლისელებს, ფრანგებს, იტალიე-  
ლებს, რუსებს.

ასოები ანბანზე არა აქვთ დალაგებული იმათ, ვინც იეროგ-  
ლიფურ დამწერლობას ხმარობს ან თვით გამოიგონა დამწერლობა:  
სპარსელებს, არაბებსა და ზოგიერთ სხვა ერს. ასე რომ, ანბანური  
დამწერლობა კაცობრიობას აჩუქეს ფინიკიელებმა, ხოლო თვითონ  
ფინიკიელები კი გაქრნენ ისტორიის ასპარეზიდან.

ბერძნული ანბანისაგან განვითარდა ლათინური ანბანი, რომ-  
ლითაც დღეს სარგებლობს ევროპისა და ამერიკის სახელმწიფო-

თა უდიდესი ნაწილი, ხოლო ქართულისაგან, ანუ ფინიკიურის ქართული შტოსაგან, განვითარდა ქართული და სომხური ანბანი.

ფინიკიურ ანბანს საუკეთესო განვითარება სწორედ ქართულ ანბანში მიეცა. ამას ის ადასტურებს, რომ ქართული ანბანი არის ერთი ყველაზე დახვენილი ანბანი გრაფიკულად, ანუ მოხაზულობით. იგი სრულყოფილია და, ამასთანავე, ბგერათა არაჩვეულებრივი სიზუსტით გამომხატველი.

ქართულმა ანბანმა სამი პერიოდი გამოიარა: პირველი იყო ასომთავრული, მეორე – ხუცური ანუ ნუსხური და მესამე – მხედრული. სწორედ მხედრულია დღევანდელი ქართული ანბანი.

სხვადასხვა ისტორიულ ძეგლზე ჩვენ შევხვდებით როგორც ასომთავრული, ისე ხუცური და მხედრული დამწერლობის ნიმუშებს.

ყოველმა პატრიოტმა უნდა იცოდეს თავისი სამივე დამწერლობის ამოკითხვა.

სრულიად ბუნებრივია, რომ ასომთავრული წააგავს ბერძნულ და ფინიკიურ დამწერლობას, ხოლო შემდეგ ხუცური და მხედრული სწორედ ასომთავრულის გრაფიკული დახვენის შედეგად არის მიღებული.

საუკუნეთა განმავლობაში ქართული ასოები მრგვლოვანი გახდა.

მრგვლოვანი ანბანი ანბანთა შორის ყველაზე კულტურულ ანბანთა რიგს განეკუთვნება. ზოგი სომები მეცნიერი მცდარად აღნიშნავს, თითქოსდა ქართული და სომხური ანბანი მეოთხე საუკუნეში შექმნა სომებმა მეცნიერმა მესრობ მაშტოცმა, რაც მტკნარი სიცრუეა.

ქართველებს ფინიკიულებისაგან გვაქვს გადმოღებული ასომთავრული ანბანი, ხოლო სომხებმა ქართველებისგან გადაიღეს ანბანი, ოღონდ, მთლად ზუსტად რომ არ დამსგავსებოდა, მესრობ-მაშტოცმა ქართულ ასოებს ადგილები შეუცვალა და ასე მიიღო სომხური ანბანი.

მსოფლიოს თოთხმეტ მოქმედ ანბანთა შორის ქართული ანბანი ანუ ქართული დამწერლობა, უნიკალურია თავისი სილამაზით და უნიკალურია იმითაც, რომ თითო ბგერა თითო ასოს ზედმიწევნით შეესატყვისება.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ პირველი სიტყვები საგნის ან მოვლენის მუსიკალური წაბაძვის შედეგად გაჩნდა, მაგრამ ამჟამად ამა თუ იმ ენას ამ თვალსაზრისით თუ დავაკვირდებით, მუსიკალურ სიტყვას ცოტას აღმოვაჩენთ იმიტომ, რომ ენამ დროთა განმავლობაში სახე იცვალა. ზოგი სიტყვა დაიკარგა, ზოგი კი ახალი გაჩნდა. დროთა განმავლობაში ენის ცვალებადობას სამი მიზეზი იწვევდა:

მეზობელი ქვეყნებისაგან სიტყვათა სესხება.

დამპყრობელთა მიერ ამა თუ იმ ხალხისათვის თავისი ენის სტრუქტურისა და ლექსიკის თავის მოხვევა.

ტექნიკის განვითარება და ახალი ტერმინების გაჩენა.

I – სიტყვების სესხება ნებისმიერი ენისათვისაა დამახასიათებელი. ამ ცდუნებას ვერც ქართული ენა ასცდა.

ქართულში უამრავი არაბული სიტყვაა: ექიმი, წამალი, საათი, ბარათი, უამი, ამანათი და ა.შ. სპარსულია: კოშკი, ხალხი, დროშა, მოედანი. თურქულია: ბოლჩა, ბალჩა, აბრაგი, ხორაგი, ქოფაკი და სხვა. რუსულია: სტოლი, პატალოკი, სპიჩა, კალოში და ა.შ. მონღლოლურია: ოჯახი, ჭიჭე, ხინკალი, კვიცი და სხვა.

II – ხშირად დამპყრობლები აიძულებდნენ დაპყრობილ ქვეყნას, უარი ეთქვა მშობლიურ ენაზე და დაპყრობილი ხალხის ენაზე ელაპარაკა. ამიტომ არის, რომ ქართულ ენაში ბევრია არაბული, სპარსული, მონღლოლური, თურქული და რუსული სიტყვები. იმპერიალისტური აზროვნება განსაკუთრებით ძალუმად ახასიათებდათ რუს დამპყრობლებს; როდესაც 1801 წელს საქართველო საბოლოოდ დაიპყრო, რუსეთმა გააუქმა საქართველო, როგორც სახელმწიფო. ეკლესიებში წაშალა ქართული ასომთავრული წარწერები და ქართველებს გამოუცხადა, რუსულად ელაპარაკათ. ჩვენში ამ დროს ხუთიოდე სკოლა-ლიცეუმი იყო და სწავლება ყველგან რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. რუსული ცინიზმი იქამდე მივიდა, რომ ქართველებს აიძულებდნენ, გვარები რუსული დაბოლოებით გადაეკეთებინათ. ბარათაშვილი „ბარათოვი“ გახდა, თუმანიშვილი „თუმანოვი“, მაღალაშვილი „მაღალოვი“. თვით ნიკოლოზ ბარათაშვილიც კი ნიკილოზ ბარათოვად იწოდებოდა. ახალმა თაობამ ილია ჭავჭავაძის ხელმლვანელობით ვერ აიტანა გარუსების პოლიტიკა და დაიწყო ქართული უურნალ-გაზეთების გამოცემა, ხოლო XIX ს-ის 80-იან

წლებში იაკობ გოგებაშვილმა შექმნა „დედა-ენა“, რომელიც დღეს შეუცვლელ წიგნად ითვლება. უკეთესი სახელმძღვანელო მშობლიური ანბანის შესწავლისა არ არსებობს.

III – ცხოვრების განვითარებასთან ერთად შემოდის ახალი სიტყვები. მაგ.: დავით ალმაშენებლის დროს სრულიად ბუნებრივია, რომ ქართულ ენაში არ არსებობდა სიტყვები, მაგ.: მაცივარი, რადიო, ტყვიამფრქვევი, ავტომატი და სხვა. ეს სიტყვები გაჩნდა ტექნიკის განვითარებასთან ერთად.

არსებობენ უპირველესი ტრადიციის მქონე მაღალკულტურული და შედარებით ახალი, ნაკლებადკულტურული ენები.

ის ერი, რომელსაც მაღალგანვითარებული ენა აქვს, მაღალი კულტურის მქონე ერია, ხოლო ის ერი, რომელსაც ნაკლებად განვითარებული, პრიმიტიული ენა აქვს, დაბალი კულტურის მქონე ერს ნარმოადგენს. ასე რომ, ენა ამა თუ იმ ხალხის კულტურის უპირველესი მაჩვენებელია. როდესაც ენებს ერთმანეთს ადარებენ ენათმეცნიერები, მხედველობაში იღებენ, უპირველეს ყოვლისა, ენის სამ ნიშანს:

რამდენად მდიდარია ენა ლექსიკურად.

რამდენად მოქნილია ენა.

რამდენად ტკბილხმოვანია, ანუ მუსიკალურია ენა.

ქართული ენა მსოფლიოს მაღალკულტურულ ენათა ათეულში მოიაზრება.

ენის მოქნილობა არის თვისება, თუ რამდენად ზუსტად და მრავალფეროვნად შეუძლია ამა თუ იმ ენას გამოხატოს საგნები და მოვლენები. ენის მოქნილობა დამოკიდებულია ზმნათა მრავალფეროვნებასა და იდიომზე. ამ მხრივ ქართული ენა უაღრესად მოქნილია. ქართულს მარტო სიტყვა „გულთან“ დაკავშირებით სამასამდე იდიომი მოეპოვება. ეს ნიმნავს იმას, რომ ქართული ენა შეიცავს საგნებისა და მოვლენების გამოხატვის ჯერ კიდევ აღმოუჩენელ უამრავ საშუალებას.

XI საუკუნის მოღვაწე იოანე ზოსიმე თავის ნაწარმოებში „ქებავ და დიდებავ ქართულისა ენისავ“ ამბობდა: „მრავალი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარტულ არსო“.

არ არსებობს ადამიანის სულიერი მდგომარეობა ან ბუნებრივი მოვლენა, რომლის აღწერა ქართულ ენაზე არ შეიძლებოდეს.

ქართულ ენას სიბერე ერთი წუთითაც არ დასტყობია. ჩვენმა ენამ XX საუკუნის, მეცნიერ-ტექნიკურ რევოლუციასაც კარგად აუწყო ფეხი და ქართული დღეს არა მარტო მხატვრული ლიტერატურის, ლექსებისა და მოთხოვნების ენაა, არამედ მეცნიერების ენაც გახლავთ ეს კი ქართული ენის მოქნილობასა და სიცოცხლისუნარიანობაზე მეტყველებს. ყოველი ქართველის ვალია, კარგად დააკვირდეს თავისი ენის შესაძლებლობებს და, როცა რაიმეს თქმა ან დაწერა და სჭირდება, სასურველია საკუთარი ენის ნიაღმი მოძებნოს სასურველი ტერმინი.

ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო ლექსიკური სიმდიდრითა და მოქნილობით, არამედ მუსიკალურობითაც. რაც უფრო მეტია ლექსიკაში ძნელად გამოსათქმელი სიტყვები (მაგ. მკრტჩ ან ბრდლვნა), მას მსმენელი ძნელად ითვისებს. ამის მიხედვით არსებობენ ძნელად შესასწავლი ენები.

რაც უფრო მუსიკალურია ენა, მით უფრო ადვილად შეისწავლება იგი. ქართული ენა მსოფლიოს ერთ-ერთ მუსიკალურ ენად შეიძლება ჩაითვალოს.

კაზმული სიტყვა მხატვრულ სიტყვას ნიშნავს. ლიტერატურა, ანუ მწერლობა, ერის კულტურის უპირველესი მაჩვენებელია.

რისთვის არის საჭირო მხატვრულად, ანუ ლამაზად, თქმა? იმისთვის, რომ ადამიანებზე უფრო შთამბეჭდავ გავლენას მხატვრულად ნათქვამი ახდენს.

„როდესაც ადამიანს სურს შეიტყოს დიდება და ღირსება ერთისა, ყოველთუნინარეს იმას იკითხავს, რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო“, – ამბობდა ილია ჭავჭავაძე.

საქართველო მსოფლიოში უმდიდრესი ლიტერატურის მქონე ქვეყანაა. უხსოვარი დროიდან შეიქმნა ჩვენთან სიტყვაკაზმული მწერლობის ნიმუშები ზეპირსიტყვიერების სახით. შეიძლება საქართველოში წერა-კითხვა არც არსებობდა, როდესაც ზეპირსიტყვიერი მთქმელები ქმნიდნენ ლიტერატურის პირველ ნიმუშებს. საკმარისია დავასახელოთ ჩვენი ფოლკლორის მარგალიტი „ვეფხვისა და მოყმის ბალადა“.

ჩვენი ლიტერატურის მაღალი ღირსების აღსანიშნავად იმის აღნიშვნაც საკმარისია, რომ V საუკუნეში გვქონდა პირველი ქართული რომანი, ხოლო XII საუკუნეში, ანუ რვაასი წლის წინათ,

საქართველოში ცხოვრობდა მსოფლიოს უდიდესი პოეტი შოთა რუსთაველი.

სამუშაროდ, მტერთა შემოსევების შედეგად ბევრი ლიტერატურული ნიმუში დაიკარგა და განადგურდა. რადგანაც არ არსებობდა წიგნის ბეჭდვა, ხოლო მწერლები ერთ ეგზემპლარად ქმნიდნენ მხატვრულ ნაწარმოებს, ბუნებრივია, ისინი ინახებოდა სახლებსა ან ეკლესიებში და, როდესაც მტერი ქვეყანას დაარბევდა, სახლებსა და ეკლესიებს ცეცხლს მისცემდა, ნადგურდებოდა მხატვრული ნაწარმოებიც.

ამის დასადასტურებლად ერთი ფაქტიც გამოდგება; „ვეფხისტყაოსანი“ ისეთი მაღალი დონის ნაწარმოებია, რომ არ შეიძლება მის ავტორს შოთა რუსთველს მხოლოდ ეს ერთადერთი ქმნილება დაეწერა. ვინ იცის, სად დაიკარგა და რა ცეცხლმა შთანთქა შოთა რუსთაველის სხვა ნაწარმოებები.

ქართული ლიტერატურა სამ პერიოდად იყოფა: ძველი, ახალი და უახლესი. ძველი ქართული მწერლობა მოიცავს V-XVIII საუკუნეებს, ახალი XIX საუკუნეს, ხოლო უახლესი XX-XXI საუკუნეებს. ეს დაყოფა ლიტერატურის თვისობრიობის პრინციპით ხდება.

ძველ ქართულ მწერლობაში შედიან: იაკობ ცურტაველი, გიორგი მერჩულე, იოანე საბანიძე, შოთა რუსთველი, არჩილ მეფე, თეიმურაზი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი და სხვები. ახალში შედიან: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ეგნატე ნინოშვილი და სხვები. უახლესში შედიან: შალვა დადიანი, გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ლადო ასათიანი, ირაკლი აბაშიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, შოთა ნიშნიანიძე, რევაზ მიშველაძე, რევაზ ინანიშვილი, ოტია იოსელიანი, მერაბ ელიოზიშვილი და სხვები. საქართველო ნიჭიერი მწერლების ქვეყანაა. ჩვენი უპირველესი სიმდიდრე ქართული მწერლობაა.

თუ რვაასი წლის წინათ საქართველოში დაიბადა მსოფლიოს უპირველესი პოეტი, რვაასი წლის შემდეგ, XX საუკუნეში, ისევ დაიბადა XX საუკუნის უდიდესი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე.

ეს იმას ნიშნავს, რომ რუსთველის დაბადება საქართველოში შემთხვევითი არ იყო. დღესაც ქართული მწერლობის საუკუთხსო რაზმი იპროცესის საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

საქართველო გეოგრაფიულად და ეკონომიკურად მსოფლიოს დიდ ქვეყნებთან შედარებით ჩიტის გულის ოდენაა, მაგრამ მსოფლიოს კულტურაში მას უძვირფასესი განძი შეუტანია „ვეფხისტყაოსანის“ სახით. „ვეფხისტყაოსანი“ ყველა ქართველის თავმოსაწონებელი წიგნია. შალვა ნუცუბიძე ამბობდა: „ყოველ ქართველს პასპორტში უნდა ეწეროს, რომ იგი „ვეფხისტყაოსნის“ ქვეყნიდან არისო“.

„მსოფლიო წარღვნა რომ მოხდეს – განაგრძობს შალვა ნუცუბიძე – და მხოლოდ ორი ქართველი გადარჩეს, იმ გალიას, რომელშიც ორი ქართველი ეყოლებათ იშვიათ ეგზემპლარებად, წარწერა უნდა გაუკეთდეს: „აქ ვეფხისტყაოსანის შემქმნელი ერის უკანასკნელი ნაშიერნი არიან“.

ეს პოემა კაცობრიობას ასწავლის, რომ ადამიანი მცირე წარუმატებლობის ან დიდი ტრაგედიის შემთხვევაში თავის ბედს არ უნდა დაემორჩილოს, ფარ-ხმალი არ უნდა დაყაროს, ბოლომდე იბრძოლოს, რათა თავისი ადამიანური მისია შეასრულოს და ბედნიერება კვლავ მოიპოვოს.

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში ჩვენს თავმოსაწონებელ ეროვნულ მწვერვალად ილია ჭავჭავაძე ჩანს.

ილია არა მარტო დიდი მწერალი და ერის უპირველესი მესიტყვე გახლდათ, იგი, ამავე დროს, იყო მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს სულიერი მამა, ჭეშმარიტი უგვირგვინო მეფე და იმ პერიოდის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი.

ილია ჭავჭავაძის მხარდამხარ იბრძოდა და თავის უკვდავ წარმოებებს ქმნიდა აკაკი წერეთელი. იმპერიის კლანჭებიდან საქართველოს გამოხსნის იდეა მათი ცხოვრების აზრი იყო და მთელი წარმართვის საუკუნის მანძილზე სწორედ ეროვნული დროშით წინ მიუძღვიდნენ სახალხო ლაშქარს.

ილიას და აკაკის ნიადაგ მხარს უბამდა ქართული პოეზიის მთის არწივი – ვაჟა-ფშაველა.

ვაუა-ფშაველას შემოქმედება მსოფლიო ლიტერატურის საკუთრებაა. მან ადამიანის სულის მოძრაობას ახალი გზა-სადინარი მისცა და ლიტერატურა ახალი ფილოსოფიური მიგნებებით, პრობლემატიკით, ორიგინალური მხატვრული სახეებით გაამდიდრა. „სტუმარ-მასპინძელი“, „ბახტრიონი“, „გველის მჭამელი“, „გოგოთურ და აფშინა“, „ბაკური“... ის ბრწყინვალე ქმნილებებია, მარად და მარად რომ იპყრობენ მკითხველის გულსა და გონებას.

დადგა მეოცე საუკუნე.

1907 წლის 30 აგვისტოს წინამურზე გასროლილი თოფის ექომ საქართველოს გულისგულში გაიარა. მოკლეს ილია ჭავჭავაძე.

ანარქიით, რევოლუციებით, ამაო იმედებით, კინკლაობით დაღლილი ქვეყანა თითქოსდა ერთბაშად გამოფხიზლდა, ერთ მუშტად შეიკრა და ილიას კუბოსთან გაირინდა.

როცა მეცხრამეტე საუკუნის უპირველეს ქართველს – ილია ჭავჭავაძეს – საგურამოსკენ „ბერდენკის“ ტყვია მიაცილებდა, მას უკვე გაკეთებული ჰქონდა უზარმაზარი ეროვნული საქმე თავის ხალხში გადაგდებული ჰქონდა ის ღვთაებრივი თესლი, რომელიც დღემდე ღვივდება და, რაც დრო გადის, უფრო და უფრო საშიშ გუგუნს გამოსცემს.

როგორ გვაკლია დღეს ერისთვის დაფერფლილი ილია და, რა ტიტანური ძალით გვაგრძნობინებს ყოველდღიურად, რომ მის მერ ალმართულ დროშას წამითაც არ მოჰკლებია ელვარება და სიდიადე.

რა კარგად გვიცნობდა.

„საქმის პირველ დაწყებაში ბევრი ჰაი-ჰუი ვიცით..., და სანამ ბოლომდე მივალთ, ჩალასავით ჩავქრებით ხოლმეო“.

და, როცა ერის წყლულთან ბრძენი დასტაქრის მანტიით მოსულს ჭირვეული ავადმყოფის წუნუნი ჩაესმოდა, მისებურად აუჩქარებლად გვმოძლვრავდა: „როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინებაო“.

განა დღესაც ფარზე ასაზიდავი არ არის ერის მამის მრისხანებუნი:

„ყველაზე საშიშარი და საზიზლარი ბეზღობაა ის ბეზღობაა, რომელსაც საგნად მთელი ერი ჰყავს, ნამეტნავად იმისთანა ერი,

რომელიც შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა ყოველ ღონეს მოკლებულია, რომ თავი იმართლოს“.

ჩვენი ნაკლი მასზედ უკეთესად ვინ იცოდა და განა დღეს ერის უკეთეს შვილთა ვერდაფასების მწარე სენზე დაფიქრებულმა ქართველმა არ იცის, რომ ილიას მოწამებრივი სიკვდილიდან ერთი ნაბიჯია გალაკტიონის თვითმკვლელობამდე?

მწერლობა ბარომეტრივით გრძნობს ეპოქის ქარიშხალთა მოახლოებას. უკანასკნელ წლებშიც არაერთი შემაშფოთებელი, გამაფრთხილებელი სტრიქონი დაიწერა ერისთვის იმ საშიშროების საზგასასმელად, რაც ეროვნული კონსოლიდაციის იგნორირებას და გარეშე მტრებთან ხელისუფლების კომპრომისულ პოლიტიკას შეიძლება მოჰყვეს.

საქართველო მაშინ დაიწყებს კვდომას, როცა ეროვნულ ფენომენს მოუშლიან.

ქართველმა მწერალმა ყოვლის ღონისძიებით უნდა უცადოს, ქართველ კაცს თავისი ისტორიული მისია მოაგონოს, მის ლირსება-ნაკლოვანებებზე სწორი წარმოდგენა შეუქმნას და ამით „სიძნელე გზისა გაუადვილოს“.

ქართველი ხალხი მადლიერებით აღიქვამს ამერიკის მიერ საქართველოს დასახმარებლად გადმოდგმულ ნაბიჯებს, მაგრამ, თუ ამერიკისაგან ჩვენი უსაფრთხოების რაიმე გარანტი არ გვექნება, თუ ამერიკა არ აამუშავებს საქართველოს დასაცავ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ბერკეტებს და მხოლოდ ინსტრუქტაჟის დონეზე დარჩება, შეიძლება, უკანასკნელმა იმპერიამ ავად მოიქნიოს კუდი საქართველოში.

ნაბიჯ-ნაბიჯ, დინჯად, „მძიმე-მძიმედ“ (როგორც კახელები იტყვიან) უნდა ვაშენოთ ჩვენი სახელმწიფო ბრიობა.

განონასწორებული პოლიტიკით იმდენს უნდა მივაღწიოთ, რომ მსოფლიოს ვჭირდებოდეთ, ეკონომიკური და პოლიტიკური ფუნქცია მოვიპოვოთ, ზესახელმწიფოები ანგარიშს გვინევდნენ. ჩვენი ხმა კნუტის კნავილად კი არა, ლომის (თუნდაც ლომის ბოკვრის) ბუხუნად უნდა ჩაესმოდეთ! მაშინ სხვა თვალით შემოგვხედავენ და ჩვენს გასაჭირსაც გაისიგრძებანებენ.

ნართმეული მიწების დაბრუნებაზე ჩვენი რუდუნება კი მსოფლიოს ჯერ აქტუალურ პრობლემად არ მიუჩნევია.

ლამის ერთადერთი დარგი ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნებისა, რომელსაც ეროვნული ფენომენის დაცვა თავის უპირველეს საქმედ უქცევია და არჩაძინების „არგათათრების“ ძახილით ნიადაგ უყივის ერს – ქართული კულტურა გახლავთ. მაშინ, როცა გლობალიზაციის ყვითელი სენი უმოწყალოდ ნთექავს პატარა ერებსა და მათ კულტურებს, როცა ხელისუფლების არაერთი წარმომადგენელიც ურცხვად მხარს უბამს „ამერიკანიზმის“ სტომაში საქართველოს ათევეფის ტენდენციებს, ჭეშმარიტი ქართველი კულტუროსნები დანახაც დინების საპირისპიროდ, ფარზე აღმართულან და ქვეყნის სიფხიზლის საგუშაგოზე თვალმოუხუჭად დგანან.

მეცნიერება, როგორც შემეცნებითი აზროვნების ფორმა, საქართველოში უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს.

საქართველოში ოდითგანვე იყო განვითარებული სახალხო მედიცინა, ვარსკვლავთმრიცხველობა და ნიადაგმცოდნეობა.

შემორჩენილია ფანასკერტელის უნიკალური წიგნი ქართული წამალომცოდნეობის შესახებ.

სანამ მედიცინაში ქიმია დაიმკვიდრებდა უპირველეს ადგილს, მანამდე ქართველი ექიმბაშები სხვადასხვა ბალახეულით და წიაღისეულის ნარჩენებით ადამიანს წარმატებით მკურნალობდნენ.

ქართველ კაცს ისტორიულად გამუდმებული ომიანობის გამო განსაკუთრებით სჭირდებოდა ხმლით მიყენებული ჭრილობის განკურნება.

მთის სოფლებში ახლაც შემორჩენილია სხვადასხვა სახის მაღამო და აგრეთვე ტექნიკური სამუალებანი წყლულისა თუ მოტეხილობის მოსარჩენად.

ქართველებს ზღვაოსნობისა და გაუვალ ტყეებში ხშირად ყოფნის გამო განსაკუთრებით სჭირდებოდათ ვარსკვლავთმრიცხველობა.

გარდა ამისა, საქართველოს ხელსაყრელი კლიმატური პირობებისა და ნოუიერი ნიადაგის გამო ჩვენში გავრცელებულია სხვადასხვა კულტურული მცენარეების უმდიდრესი სახეობა.

ამიტომ ქართველმა კაცმა ზუსტად იცოდა მცენარეთა მოვლის ურთულესი ხელოვნება.

საუკუნეთა განმავლობაში ქართული მეცნიერება კლასიკური ფორმით ჩამოყალიბდა და მან სახელი და დიდება მოუტანა ჩვენს ხალხს. ფილოსოფიურ-რელიგიური მეცნიერების მსოფლიო შედევრებს ქმნიდნენ პეტრე იბერი, არსენ იყალთოელი, ექვთიმე და გიორგი ათონელები, იოანე პეტრინი და სხვანი.

XX საუკუნის ქართული ფილოსოფიის მწვერვალია შალვა ნუცუბიძე. ჩვენი მეცნიერება ცნობილია მსოფლიო სახელებით: ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ილია ვეკუა (მათემა-ტიკა), ივანე ჯავახიშვილი, ლევან სანიკიძე (ისტორია), ევგენი ხარაძე (ასტრონომია), არნოლდ ჩიქობავა, აკაკი შანიძე (ენათმეცნიერება), დიმიტრი უზნაძე (ფისიქოლოგია) და სხვ.

ქართული სიბრძნე და ხასიათი საუკუნეების განმავლობაში ქართულ დიპლომატიაშიც მუღავნდებოდა. ჩვენი გადარჩენის საიდუმლო ისიც გახლდათ, რომ ქართველი მეფეები ყოველთვის ფრთხილსა და მოზომილ პოლიტიკას მისდევდნენ.

საქართველო დიდი საომარი ტექნიკითა და ჯარის მრავალრიცხვებით არასოდეს გამოირჩეოდა.

ამიტომ მომხდეური ყოველთვის ადვილად გვიპყრობდა.

ჩვენ გვქონდა შვიდასწლოვანი და სამასწლოვანი მონობის პერიოდები. აი, სწორედ მაშინ ამუშავდებოდა ქართული დიპლომატია.

ქართველები ინარჩუნებდნენ, თუნდაც არალეგალურად, სამეფო ტახტს, რომელიც იყო ერთგვარი სიმბოლო ქართველთა შეკავშირებისა.

მოქნილი დიპლომატიის წყალობით ივერნი თითქოს ერთგულებას ეფიცეპოდნენ დამპყრობლებს, სინამდვილეში კი მონობისგან განთავისუფლების სურვილს გულში ფარულად ატარებდნენ და ხელსაყრელ მომენტს ეძებდნენ. ამით ჩვენ ვინარჩუნებდით ფიზიკურ არსებობას, ხოლო, როდესაც იმპერია დასუსტდებოდა, მაშინ ვიშიშვლებდით ხმალს და შეტევაზე გადავიდოდით.

ეს იყო ქართული დიპლომატიის ერთი საგულისხმო თვისება, რაც გამომუშავდა საუკუნეების განმავლობაში ჩვენი ერის მცირერიცხვების გამო.

მოქნილი, ფრთხილი დიპლომატიით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი ბრწყინვალე, ბაგრატ IV, ერეკლე მეფე და სხვანი.

ტოლერანტობა ვახსენეთ და აქვე უნდა გავუსვათ ხაზი ქართულ ფენომენად ქცეულ ჩვენს ათასწლოვან დიპლომატიას. დიახაც რომ უნიკალურია ამ მხრივ ქართველ მეფეთა გამოცდილება. მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის, მრავალეროვანი სახელმწიფოს შეუმცდარად მართვის დიდებული სკოლა შექმნეს ბაგრატიონებმა. კაცმა რომ თქვას, დავით აღმაშენებლის, თამარისა და ბაგრატ მესამის ხელმწიფურ ხელოვნებას მსოფლიოს დიპლომატიურ სკოლებში უნდა ასწავლიდნენ.

დღეს, იქნებ, როგორც არასდროს, ქართულ დიპლომატიას სიბრძნე და გონიერება სჭირდება. ერთის მხრივ, საჭიროა განვითარებული, დაბალანსებული პოლიტიკა რუსეთსა და ამერიკას შორის და, მეორე მხრივ, ქართული ფენომენის თავგამოდებული დაცვა.

\* \* \*

საუკუნეების განმავლობაში ნაბიჯ-ნაბიჯ სრულყო ქართველმა ერმა ფენომენის ის მომაჯადოებელი სისტემა, რომელიც ადამიანის აზროვნების თითქმის ყველა სფეროშია განვითარებული და მსოფლიოს ყველა წერტილიდან შეუიარაღებელი თვალითაც კარგად მოჩანს.

ეს ფენომენი იქმნებოდა მსოფლიოს დიდი კულტურის მხარდამხარ და ამიტომაც არის მისი ორგანული, განუყოფელი ნაწილი.

და, რაკი ქართული ეროვნული ფენომენი დედამიწის კულტურას განუყოფლად შეეზარდა, მისი დაცვაც მსოფლიომ ყოვლის ღონისძიებით უნდა იკისროს.

...რაკიღა ქართული ფენომენი უნდა გადარჩეს, ბუნებრივია, მის მატარებელ ქართველ ერსაც სიკვდილი არ უნერია.

## პროფესიონალიზმის საერთაშორისო პრინციპები და თანამედროვე კულტურა

პიროვნების კულტურულობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი პროფესიონალიზმია.

პროფესიონალიზმი კულტურის განუყოფელი ნაწილია.

„თავისი საქმის პროფესიონალია“ რომ იტყვიან კაცზე, ამით მის მაღალ შინაგან კულტურას უსვამენ ხაზს.

იყო წლები ჩვენს ცხოვრებაში, როცა ზოგად განათლებას გამოდევნებული უმაღლესი სკოლის მესვეურნი იმდენ „შორიახლო“ საგანს ასწავლიდნენ სტუდენტს, რომ ამ უკანასკნელს თავისი ვიწრო სპეციალობის სათანადოდ დასაუფლებლად ცოტა დრო რჩებოდა.

დღეს სპეციალიზაცია, ანუ არჩეულ სპეციალობაში ცოდნის მაქსიმუმი მიღება, პროფესიონალის ჩამოყალიბების მთავარი მიმართულებაა.

რა თქმა უნდა, საჭიროა ზოგადი განათლება. მსოფლიო კულტურის მიღწევათა ელემენტების ცოდნის უქონლად დღეს ინტელიგენტი ვერ წარმოიდგინება, მაგრამ ზოგადი განათლებისა და უნარ-ჩვევების გამომუშავება სპეციალობის შეძენისთვის წართმეული დროის ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს.

XXI საუკუნემ დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დააყენა პროფესიონალიზმის პრობლემა.

მეცნიერებათა ზოგადი კანონების ჩამოყალიბების დრო დამთავრდა და მეცნიერების კონკრეტიზაციის ეპოქა დადგა. სპეციალობათა კონკრეტიზაციის მაგისტრალი კი, რასაკვირველია, პროფესიონალიზმზე გადის.

რაკიღა ინფორმაციის მიღების უნივერსალურობამ მსოფლიო საგრძნობლად „დააპატარავა“ და მეცნიერების მიღწევათა საყოველთაობა მეტ-ნაკლებად მიღწეულია, პროფესიონალიზმმა საერთაშორისო პრინციპები შეიმუშავა და სახელმწიფოთა სამანები კარგა ხანია გადალახა.

ეს პრინციპებია: კომპეტენტურობა, პროფესიული უნივერსალიზმი (ანუ მოცემულ დარგში უახლეს მეცნიერულ მიღწევათა ცოდნა) და საერთაშორისო ურთიერთობათა პროფესიულად აგების ხელოვნება.

ამ პრინციპებმა უკანასკნელ წლებში იმდენად საყოველთაო მასშტაბები შეიძინა, რომ მეცნიერებაში გაჩნდა სრულიად ახალი ცნება „საერთაშორისო პროფესიონალიზმი“ და ამ სახელმწოდების დისციპლინას ამერიკას ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში ცალკე საგნადაც კი ასწავლიან.

კომპეტენტურობის სანიჩააღმდეგო მოვლენა დილეტანტიზმი გახლავთ. დილეტანტობა ზედაპირულ, ზერელუ, საფუძვლიანობას მოკლებულ, ზოგად (ამ სიტყვის უნაპირო მნიშვნელობით) ცოდნას გულისხმობს.

წარსულს ჩაბარდა „უნივერსალური პიროვნების“ დილეტანტური საქმიანობა და დირექტიული მართვის მეთოდები.

ადამიანთა საქმიანობის ვერცერთ სფეროში დღეს მარტოოდენ ორგანიზატორული უნარით ფონს ვერ გახვალ.

ზოგადი სჯის ადგილი კონკრეტულობამ, მოვლენებზე ზუსტი და სწრაფი რეაგირების ხელოვნებამ დაიჭირა.

საყოველთაო კომპიუტერიზაციამ მასშტაბური და, ამავე დროს, რეალურ ცოდნაზე დამყარებული მოქმედება მოითხოვა.

დღეს პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა განსაზღვრავს მოქალაქის ადგილს საზოგადოებრივ სფეროში და ამ გარემოებითაა განპირობებული ის ფაქტიც, რომ თითქმის ყოველგვარი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი თანამდებობის დაკავება საკონკურსო შერჩევის წესით ხდება.

პროფესიონალიზმის საჭიროება განსაკუთრებით საცნაურია საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში დასაქმებული მოქალაქეებისთვის.

მსოფლიო კომპიუტერიზაციამ ახალი ჩვევებითა და ნიუანსებით გაამდიდრა ჩვენი თანამედროვის ცხოვრება, პროფესიონალიზმის დეფიციტი დღეს განსაკუთრებით მიუტევებელია. არა მარტო სახელმწიფო სტრუქტურებს, არამედ თვით უმნიშვნელო ფირმებსაც კი საერთაშორისო კავშირები აქვთ დამყარებული. დღეს წარმოუდგენელია თავის წაჭულში ჩაკეტილი ნებისმიერი სფეროს წარმომადგენელი, რომელიც თავის საქმიანობას არ უკავშირებს საერთაშორისო საინფორმაციო ბაზარს. სწორედ ამიტომაა, რომ თვითმფრინავები ვერ აუდიან მგზავრთა გადაყვანასა და ტვირთის გადაზიდვას ერთი ქვეყნიდან მეორეში. მართალია, კომპიუტერით დიდი საერთაშორისო საქმეები

კეთდება, მაგრამ მარტო კომპიუტერი საკმარისი როდია. დიდი საერთაშორისო გარიგების დროს პირადი ურთიერთობები აუცილებელია. სწორედ აქ არის საჭირო, ყველა ცივილიზებული მოქალაქე აღჭურვილი იყოს პროფესიონალიზმის საერთაშორისო პრინციპებით. საერთაშორისო პარტნიორი უნდა გრძნობდეს, რომ მას საქმე აქვს არა შემთხვევით პიროვნებასთან, არამედ პროფესიონალთან. საერთაშორისო პროფესიონალიზმის პრინციპები უპირველესად დარგობრივ პროფესიონალიზმს გულისხმობს. ესენია: პოლიტიკური პროფესიონალიზმი, იურიდიული პროფესიონალიზმი, ეკონომიკური პროფესიონალიზმი, ჰუმანიტარული პროფესიონალიზმი; პროფესიონალიზმი, ამავე დროს, პროფესიონალური ეთიკის ნორმების და მსოფლიო კულტურის ელემენტარულ ცოდნასაც გულისხმობს.

დარგობრივი საერთაშორისო სპეციალიზაცია, ცოდნის ამათუ იმ სფეროს გარდა, იმ მასშტაბური ურთიერთობების ცოდნასაც გულისხმობს, ურომლისოდაც თანამედროვე მოქალაქის საქმიანობა წარმოუდგენელია.

დღეს დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ, თუ სახელმწიფოს სათავეში არ დგანან კულტურული, პროფესიონალი პოლიტიკოსები, იმ სახელმწიფოს პერსპექტივა არ აქვს, განსაკუთრებით ეს ითქმის დიპლომატებზე, რომლებიც საერთაშორისო თვალსაზრისით ითვლებიან სახელმწიფოს პოლიტიკის გამტარებლებად მსოფლიოში და თავიანთი სახელმწიფოს პოლიტიკურ ელჩებად.

დიპლომატია, რაც დრო გადის, უფრო და უფრო შემოქმედებითი ხდება.

ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს დიპლომატს თვითონვე შეუძლია ინიციატივის გამოვლენა და ახალი ნიუანსის შეტანა მოლაპარაკების ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრულ ნორმებში. უახლოეს წარსულში კი ასე არ იყო. მაგალითად, ყოფილ საბჭოთა იმპერიაში დიპლომატის ხელმძღვანელიც კი საერთაშორისო შეხვედრებზე მიდიოდა წინასწარ შეიარაღებული სახელმწიფოს მეთაურის დირექტივებით და მას არ შეეძლო, იმ ჩარჩოდან განზე ერთი ნაბიჯიც გადაედგა.

მან იცოდა, რომ საკითხთა ნუსხაში რამდენიმე პუნქტისთვის მხარი უნდა დაეჭირა და რამდენიმე პუნქტისთვის კი უარი ეთქვა. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი გრომიკო იცავდა

ამ წინასწარგანსაზღვრულ სქემას და დიპლომატებმა მას ზედ-მეტ სახელად შეარქევს „მისტერ ნეტ“ იმიტომ, რომ, როდესაც იტყვიდა „არას“, არ აკონკრეტებდა, თუ რატომ თქვა უარი. ამას ჰქვია „ნაჯახური დიპლომატია“.

დიპლომატი, როცა შეიძლება, ფრთხილად და მოზომილად უნდა იქცეოდეს ოფიციალური მოლაპარაკების დროს. შემოქმედებითი მიდგომა არ ნიშნავს, თავს იმის უფლება მისცე, რომ მასპინძელი მხარე უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენო. მაგალითად: ამას წინათ ჩვენი პარლამენტის დელეგაცია იმყოფებოდა ისრაელში, შეხვდნენ ისრაელის პრემიერ მინისტრ არიელ შარონს. შეხვედრისას საქართველოს დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა არიელ შარონს უთხრა: როგორც თქვენ ბრძანეთ, ისრაელს დიდი და თანამედროვე შეიარაღება აქვს, იარაღს კი ძირითადად ამერიკა გაწვდით და ხომ არ დაგვეხმარებით, თუნდაც ძველი სისტემის იარაღითო. პირველად ეს ნათევამი არიელ შარონმა ყურებს შორის გაატარა, ხოლო, როცა ქართველმა სტუმარმა კითხვა გაუმეორა, გაულიმა და ჰქითხა: რად გინდათ ქართველებს იარაღიო? ეს დიპლომატისთვის ისეთი მწვავე შეკითხვა აღმოჩნდა, რომ პირი დაალო და უპასუხა, აფხაზეთი და სამაჩაბლო დასაბრუნებელიაო. შარონმა განაგრძო: მე საქართველოს და იქაურ ვითარებას კარგად ვიცნობ. ბებია მანდა მყავს დასაფლავებული. კარგად ვიცნობ და არაერთგზის შეეხვედრივარ ედუარდ შევარდნაძეს და, შენგან განსხვავებით, მას არ მოუმართავს ჩემთვის იარაღით დახმარების თაობაზეო. იქვე დაუმატა, რომ თქვენ პარლამენტის წევრი ბრძანდებით და კარგად უნდა იცოდეთ: თუ მე ისე გავსულელდები, რომ საქართველოს იარაღით დავეხმარები, ეს იმას ნიშნავს, რომ დავარღვიო სამშვიდობო ურთიერთობა და სამუდამო მტრად მოვიკიდო რუსეთი და საქართველოს სხვა მეზობელი ქვეყნებით.

რომელიმე ქვეყნისთვის იარაღით დახმარება იმას ნიშნავს, რომ იმი გამოუცხადო იმ ქვეყანას, ვისთანაც მას უთანხმოება აქვსო.

აი, რა გამოიწვია ჩვენი დიპლომატის არადიპლომატიურმა საქციელმა.

ადრე, როცა მსოფლიო ორ ბანაკად იყო გაყოფილი, დიპლომატები თავს ერთმანეთის მტრებად მიიჩნევდნენ, ხოლო, როცა მსოფლიო დიპლომატია ჩამოყალიბდა, ისინი ერთი ოჯახის წევრები გახდნენ და საქმეებს ცივილიზებული ფორმით აგვარებენ.

იმ პერიოდში, როცა დიპლომატები ერთმანეთს უბლვერდნენ, ეს ბარიერი ამერიკაში ჩასვლის დროს შევარდნაძემ გადალახა. საბჭოთა კავშირის ახლად დანიშნულმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ბუშს ჰკითხა, ოჯახში როგორ ბრძანდებითო. არც მაშინ და არც ახლა დიპლომატები თითქმის არ ეკითხებიან ერთმანეთს პირად საქმეებზე და, როდესაც შევარდნაძემ მას ჰკითხა, ცოლი თუ როგორ ჰყავდა, ამერიკის პრეზიდენტმა დაბნეულმა უპასუხა, კარგადო. თუმცა გაუკვირდა და მეორე შეხვედრაზე მეულლეც წამოიყვანა, ხოლო, როცა ყველაფერი გაირკვა, ანუ ის, რომ შევარდნაძე მის ცოლს არ იცნობდა, ამაზე ორივემ ბევრი იცინა. შევარდნაძემ უთხრა: მოგეხსენებათ, ქართველი გახლავართ, ეს უქსტი ქართული წეს-ჩვეულებისთვის დამახასიათებელიაო. ამ კულტურულმა მიმართვამ, რა თქმა უნდა, დადებითად იმოქმედა არა მარტო ორი პოლიტიკოსის, არამედ ორი ქვეყნის ურთიერთობაზეც.

საერთაშორისო ვიზიტის დროს მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელი თუ თვითონ არ გამოიწია გადასაკოცნელად, შენ არ უნდა გადაკოცნო. საერთაშორისო ეტიკეტის მიხედვით, საერთოდ მამაკაცების ხვევნა-კოცნა და, მით უმეტეს პოლიტიკოსებისა, მაინცდამაინც კარგ ტონად როდი ითვლება. ასევე არ შეიძლება, დერეფანში სვლის დროს ხელი მხარზე გადაადო მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელს. იაპონიაში მხარზე ხელის გადახვევა საერთოდ უტაქტობაა. ასე რომ, დიპლომატმა ყველა საჩითირო ნიუანსი უნდა გაითვალისწინოს.

პოლიტიკური მისია ურთულესი მისიაა. ამიტომაც სწორია ის პრაქტიკა, სადაც ყოველ პილიტიკურ დელეგაციის წინასწარ აქვს განსაზღვრული პრიორიტეტები: რისი მიღწევა სურს საბოლოოდ, რისი დათმობა შეიძლება და რის ხარჯზე. არც ესაა საკმარისი. აუცილებელია გაითვალისწინოს დრო და ვითარება. უნდა დაფიქრდეს, არის თუ არა მომწიფებული ისტორიული მომენტი საიმისოდ, რათა ერთი მხარის მოთხოვნას მეორე მხარის კეთილი ნება შეეგებოს.

საერთოდ კი, უნდა ვიცოდეთ, რომ ერთაშორისი პრობლემები დიპლომატის უაღრესად რთული სფეროა. თანამედროვე მსოფლიოს მოუნესრიგებლობის თითქმის 70 პროცენტი ერთა და ხალხთა

შორის ურთიერთობის, პირდაპირ რომ ვთქვათ, მოუგვარებელი ეთნიკური პრობლემების შედეგია და, რაკი ეროვნულ სახელმწიფოთა შენება ჯერჯერობით კუს ნაბიჯებით მიმდინარეობს, ხოლო გლობალიზაციის მსახვრალი ოკეანე პატარა ერებს შთანთქმას უქადის, სახელმწიფოთა შორის საკითხების გარკვევა იუველირულ პოლიტიკურ პროფესიონალიზმს მოითხოვს.

ზოგჯერ ამა თუ იმ ქვეყნის სამართლებრივი კანონები განსხვავებულია საერთაშორისო იურიდიული კანონებისაგან.

ქვეყნის შიდა სამართლებრივი კანონები გამომდინარეობენ ამა თუ იმ ქვეყნის სპეციფიკიდან. ისინი ხშირად განპირობებულია ხალხის ტრადიციებით და ადათ-წესებით, აგრეთვე იმ გეოფიზიკური პირობებით, რაც რომელიმე ქვეყანას გააჩნია.

მაგალითად: ევროპის რომელიმე ცივილიზებული ქვეყნის კანონთა კოდექსში არ არის მუხლი სისხლის აღების აკრძალვის შესახებ, რადგანაც ევროპელს სისხლის აღება აზრადაც არ მოუვა. იგი ვერც კი წარმოიდგენს, თუ ერთი კაცის დანაშაულისთვის შეიძლება მოკლან მისი მამა, ძმა, და ან, მით უმეტეს, მისი მოგვარე.

საერთაშორისო იურისპრუდენციაში დასაქმებული პიროვნება უნდა ცდილობდეს, უნინარეს ყოვლისა, საქმიანობა წარმართოს თავისი ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ, ხოლო იქ, სადაც ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობა უძლურია, უნდა მიმართოს საერთაშორისო სასამართლოს.

საერთაშორისო სასამართლო, როგორც უნიკალური და ზემდგომი ეგრეთ წოდებული მსოფლიო სასამართლო, რომლის მიღებული გადაწყვეტილება უსიტყვით უნდა შეასრულოს ნებისმიერმა ქვეყანამ, მსოფლიოში თითქმის არ არსებობს.

„თითქმისო“ იმიტომ ვამბობ, რომ საერთაშორისო სასამართლოს ფუნქციის როლს ასრულებენ სტრასბურგისა და ჰააგის სასამართლოები, სადაც თითქმის ყველა ქვეყანას ჰყავს თავისი წარმომადგენელი და, როდესაც რომელიმე მხარეს საჩივარი შეაქვს სტრასბურგის სასამართლოში, იმ ქვეყნის წარმომადგენელი მოსამართლე სანამ ოფიციალურ სასამართლოზე გაიტანდეს საკითხს, ვალდებულია, საერთაშორისო იურიდიულ კანონებთან შეაჯეროს ამა თუ იმ ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება.

სხვათა შორის, სხვადასხვა ქვეყნის სპეციფიკური კანონები ზოგჯერ ვერ ბათილდება საერთაშორისო იურისდიქციით.

ერთი ასეთი კანონია კანონი ეროვნული რეკვიზიტის შესახებ. მსოფლიოს საერთაშორისო იურისპრუდენციას არ აქვს გლობალური მზა კანონი, რომელიც ყველა ქვეყანას გამოადგებოდა. საერთაშორისო იურისტმა უნდა იცოდეს, რომ იგი ვალდებულია დაემორჩილოს ამა თუ იმ ქვეყნის პარლამენტის მიერ მიღებულ ადგილობრივ კანონს.

რაც შეეხება ეროვნულ რეკვიზიტს, მსოფლიოს იურისპრუდენციაში ორი ტრადიცია არსებობს: ერთი – ტრადიციული, მეორე – ევროპული მოდელი. ტრადიციული მოდელის მიხედვით, მოქალაქეს პირადობის დამადასტურებელ საბუთში ენერება თავისი ეროვნება. ყველა ქვეყნის კანონის მიხედვით, ამ ეროვნების შეცვლა შეიძლება მხოლოდ ზრდასრული ადამიანის სურვილის მიხედვით.

ტრადიციული ეროვნული რეკვიზიტი ნიშნავს, ერთ სახელმწიფოში იყოს სხვადასხვა ეროვნება და ყველას საბუთში თავთავისი ეროვნება ენეროს.

ამ მოდელს ერთგულებდა საბჭოთა კავშირი, რომლის მოქალაქე პასპორტში ფლობდა გრაფას – ეროვნება, სადაც ინერებოდა ის ეროვნება, რომელსაც იგი წარმოადგენდა.

1965 წელს საფრანგეთში ჩატარდა ეროვნული აღწერა, იმისთვის, რათა გამოერკვიათ, რამდენი პროცენტი იყო საფრანგეთში ეთნიკური ფრანგი...

სავალალო სურათი გამოიკვეთა: საფრანგეთში ეროვნებით ფრანგი 28% აღმოჩნდა.

საფრანგეთმა, რათა გადაერჩინა თავისი სახელმწიფოებრივი არსებობა და მსოფლიოსთვის დაედასტურებინა, რომ საფრანგეთი ფრანგების ქვეყანა, გამოაცხადა: საფრანგეთში ცხოვრობს მხოლოდ „ფრანგი“ და ყველას, ვინც საფრანგეთში ცხოვრობს, დაბადების მოწმობაში ენერება ეროვნება ფრანგი. ეს ფრანგული მოდელი ცოტა ხანში მთელ ევრო-პაში გავრცელდა.

საქართველოსთვის ხელსაყრელია როგორც ისტორიულ-ტრადიციული, ასევე ევროპული მოდელი.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ: რომ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში საერთაშორისო კანონებით იურიდიულად მოწესრიგებული ერთი საერთო მოდელი არ არსებობს და ბევრი რამ სახელმწიფოს შიდა პოლიტიკურ-სამართლებრივ წონასწორობაზეა დამოკიდებული.

ამის გამო საერთაშორისო იურისპრუდენციაში დასაქმებულ ჩინოვნიკს დიდი მოთმინება, მაღალი პროფესიონალიზმი და ლა-ვირების უნარი მართებს, რათა საერთაშორისო ასპარეზზე თა-ვისი ქვეყნის ინტერესები დაიცვას.

სამწუხაროდ, ხშირად ორი ქვეყნის გარიგება წყდება მდიდარი ქვეყნის სასარგებლოდ.

ეკონომიკური კრიზისის დროს ისე მოიშალა საერთაშორისო ექსპერტების საქმიანობა, რომ ხელისუფლება გადასულია ყველაფრის გაყიდვაზე. რაკი ქვეყანას უჭირს, ასეთ დაბალგანვი-თარებულ ქვეყანაში ნედლეულს, მინას, წყალსა და ჰაერს ყიდუ-ლობს ან დაინტერესებული სახელმწიფოს სტრუქტურა, ან პი-როვნება – მაგნატი.

თუ არ ამუშავდა ეკონომიკური პროფესიონალიზმის ეროვნუ-ლი მანქანა, ჩვენს დარჩენილ უმცირეს სახელმწიფო სიმდიდრე-საც ვერ შევინარჩუნებთ.

მასმედიის პროფესიონალიზმზე დღეს ბევრადაა დამო-კიდებული საზოგადოების განწყობილება.

ტელეხედვამ მსოფლიო მოიცვა და მისი საშუალებები ისე გამ-რავალფეროვნდა, შესაძლებელია პირდაპირი ჩართვა მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან. ამ გარემოებამ ის შედეგი გამოიღო, რომ ნელ-ნელა დაიჩრდილა რადიო და საგაზითო პრესა.

ამის გამო გაზიერების ტირაჟიც უაღრესად შემცირდა.

დღეს ტელევიზია გამარჯვებულ მასმედიად ითვლება, მაგრამ უკვე ტელევიზიასაც გაუჩნდა „მახრჩობელა“ – ქართული ანდა-ზისა არ იყოს, „დათვსაც თავისი მახრჩობელა უჩნდებაო“.

დღეს მსოფლიო ტელევიზიას კონკურენციას უწევს კომპიუ-ტერიზაცია.

კომპიუტერის ფართო გამოყენება შეფერხებულია ერ-თადერთი გარემოების გამო: იგი ძვირადღირებული სიამოვნებაა, მაგრამ კომპიუტერიზაცია ისე სწრაფი ტემპით მიიჩნევს წინ, რომ მაღლე ოჯახებში ტელევიზორი ისტორიულ რელიკვიად დარჩება.

კომპიუტერმა კულტურის პროპაგანდის ფუნქციაც იყიდა. დღეს ზოგიერთები არა მარტო კლასიკურ ნაწარმოებს კომპიუტ-ერში კითხულობენ, თვითონაც ათავსებენ საიტებზე საკუთარ „მხატვრულ“ ნააზრევს.

საერთაშორისო უურნალისტი უნდა იყოს კულტურაში გარკვეული, ტაქტიანი და ობიექტური რეპორტიორი. არ შე-

იძლება, იგი ეთიკურ ზღვარს გადასცილდეს და ჩინოვნიკის უკმა-ყოფილო გამოხედვა დაიმსახუროს.

არ შეიძლება, უურნალისტმა გაუსწროს მოვლენებს და თავისი პირადი შეხედულებით ან თავისი მასმედიის პროპაგანდისტული ინტერესების გათვალისწინებით დაამახინჯოს ესა თუ ის ფაქ-ტი. ასეთ საერთაშორისო უურნალისტს მაყურებელი აღარ და-უჯერებს და მერე მის მართებულ ნათქვამსაც აღარ მიიღებს ჭეშმარიტებად.

არ შეიძლება, უურნალისტმა უადგილო ადგილას შეაწყვეტი-ნოს სიტყვა სახელმწიფო მოღვაწეს და თავს თავისი შეხედულება მოახვიოს.

უურნალისტი პოლიტიკოსი არ არის. თქვენ ნარმოიდგინეთ, არც საერთაშორისო უურნალისტია პოლიტიკოსი. მას უფლება არა აქვს, შეეკამათოს უურნალისტურ ობიექტს. მას უფლება აქვს, მხოლოდ მოკრძალებული კომენტარი გააკეთოს.

ეს ყველა უურნალისტმა როდი იცის. ხშირად მომხდარა, უურ-ნალისტის მიერ ამღვრეული წყალი პოლიტიკაში კარგა ხანს ვერ დაწმენდილა.

საერთაშორისო უურნალისტი ამა თუ იმ ქვეყნის კონკრე-ტული ნარმომადგენელია. იგი ხშირად გამოჩნდება ხოლმე ცხელ წერტილებში.

უურნალისტი ზოგჯერ განიცდის რეპრესიებს, მაგრამ ამის გამო მას მხოლოდ თანაგრძნობის ლმობიერი თვალი უნდა გავა-დევნოთ. მას წუნუნი არ შეშვენის. ეს მისი პროფესიაა. მან თვი-თონ აირჩია თავისი ხვედრი.

სხვათა შორის, ბევრს ლაპარაკობენ მასმედიის, პრესის თავი-სუფლებაზე, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ მედიის აბსოლუტური თავისუფლება არ არსებობს.

რადიომაუნიყებლობა, ტელეხედვა თუ გაზითი უმთავრესად იმ წრეების ინტერესებს გამოხატავს, ვინც მას აფინანსებს.

სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა მოდიფიკაციამ სახელმწიფოთა შორის რეინის ფარდების მოშლა გამოიწვია. დღეს საერთაშორისო ურთიერთობათა ნიუანსებში გარკვევა უცხო ენის უცოდნელად ნარმოუდგენელია.

არა მარტო საერთაშორისო სპეციალისტი, არამედ ნების-მიერი პროფესიის პიროვნება უცხო ენას ელემენტარულ დონეზე

მაინც უნდა ფლობდეს. საქმე ისე წარიმართა, რომ უცხო ენის ცოდნა დღეს პროფესიონალიზმის ერთ-ერთი ნიშანია.

უცხო ენასთან დაკავშირებული საერთაშორისო სპეციალისტი სამ ვიწრო პროფესიად წარმოიდგინება: 1. მთარგმნელი-თარჯიმანი; 2. საერთაშორისო თანაშემწე; 3. მხატვრული ან მეცნიერული ლიტერატურის მთარგმნელი.

მთარგმნელმა, რომელიც სინქრონიულად ახორციელებს თარგმნას ორ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის ან თარგმნის საერთაშორისო კონფერენციას და გადაცემს პირდაპირ ეთერში, უნდა იცოდეს, რომ იგი სახელმწიფოებრივ საქმეს აკეთებს და ყოველ ნიუანსზე პასუხისმგებელია.

საკმარისია პოლიტიკოსის ირონიული ნათქვამი უურნალისტმა სერიოზულად მიაწოდოს მსმენელს, რომ შეიძლება მოლაპარაკებები ჩაიშალოს ან შეხვედრის ბედი სულ სხვა მიმართულებით წარიმართოს.

არსებობს ერთი ნიუანსი, რომელსაც დელიკატური მოსაზრებით მხოლოდ საიდუმლოდ ავალებენ თარჯიმანს.

რაა ეს საიდუმლო?

თუ სახელმწიფო მოღვაწემ ან პოლიტიკოსმა რაიმე შეუსაბამობა, ან სისულელე დაბარეხვა, თარჯიმანს არამოტიციალურად უფლება აქვს, ეს წინადადება გამოტოვოს, საერთოდ არ თარგმნოს ან შეალამაზოს, ისე, რომ მსმენელისთვის ასატანი დარჩეს და მოლაპარაკების მონაწილე მხარეს დათვური სამსახური არ გაუწიოს.

მაგალითად, ერთხელ საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრი ფურცევა იყო აფრიკის ერთ-ერთ ქვეყანაში, ნამიბიაში.

საუბრისას ფურცევამ იქაურ პრეზიდენტს ჰქითხა, როგორაა თქვენთან ისტორიული ძეგლების რესტავრაციის საქმეო.

თარჯიმანმა არ თარგმნა ის წინადადება.

ჩამოწვა უხერხული სიჩუმე.

ფურცევამ ჰქითხა თარჯიმანს, თუ რატომ არ უთარგმნა.

მინისტრო, რა რესტავრაციაზე ლაპარაკობთ, ამათ ისტორიული ძეგლები საერთოდ არ აქვთო, – განუმარტა თარჯიმანმა.

მინისტრმა მეორე შეკითხვა დაუსვა იქაურ პრეზიდენტს: თქვენთან როგორაა მძიმე მეტალურგიის საქმეო.

თარჯიმანმა არც ეს თარგმნა.

ფურცევა გაბრაზებული მიუბრუნდა თარჯიმანს, როგორ ბედავ და ჩემს შეკითხვას არ თარგმნიო!

თუნდაც მომხსნათ სამსახურიდან, გავტედავ და გეტყვით, მინისტრო, რომ ამათ არც მძიმე მეტალურგია აქვთო, – თავი იმართლა მთარგმნელმა.

აი, ასე აარიდა თარჯიმანმა თავისი უფროსი უხერხულობას.

თარჯიმანი პოლიტიკოსების საუბარში არ უნდა ჩაერიოს, მაგრამ უნდა ეცადოს, მათ შორის ურთიერთობა დელიკატურად დაათბოს.

დიდი ხანი არ არის, რაც საერთაშორისო თანაშემწეს სპეციალობა გაჩნდა დიპლომატიურ ურთიერთობაში.

საერთაშორისო თანაშემწეს ჰყავს ყველა სახელმწიფო მოღვაწეს, ხოლო, როგორც აუცილებლობა, იგი ჰყავთ ელჩებსა და მათ მოადგილეებს. ამათ ატაშებს უნიდებენ. საერთაშორისო თანაშემწეს ამზადებს შეხვედრებს, წინასწარ თარგმნის დღის წესრიგს, ათანხმებს გამომსვლელთა სიას და გამომსვლელებს აფრთხილებს. თანაშემწეს, როგორც საერთაშორისო თანამშრომელი, უნდა ფლობდეს რამდენიმე ენას.

იგი ესწრება ყველა საერთაშორისო შეხვედრას.

ახლოს ზის თანამდებობის პირთან და ყურში უჩურჩულებს რაიმე ოპერატიულ ცნობას.

აქვე კულტურის ერთი პრობლემაც წარმოჩინდება:

მხატვრული და მეცნიერული ლიტერატურის მთარგმნელი დამოუკიდებელი, თავისუფალი პროფესიის ადამიანია.

იგი ჩიხოვნიურ სტრუქტურებს არ უთანხმებს თავის საქმიანობას.

რაც დრო გადის, მსოფლიო ლიტერატურის მთარგმნელს სამუშაო თანდათანობით აკლდება, რადგან მკითხველები არჩევენ დედანში თვითონ წაიკითხონ ესა თუ ის ნანარმოები, რადგან დღეს ყველა მეორე მოქალაქემ იცის ერთ-ერთი უცხო ენა.

ძნელია პოეზიის თარგმნა და მით უმეტეს მეტაფორული ლექსებისა.

ქართული ლექსის უცხო ენაზე ჯეროვნად ამღერება თითქმის ვერ ხერხდება.

შოთა რუსთველის შემოქმედებას მსოფლიოში ღირსეული მთარგმნელი არ გამოუჩნდა.

ასევე ძნელად ითარგმნება გალაკტიონ ტაბიძე.

რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ სიძნელის გამო ხელი ავიღოთ პოეზიის თარგმნაზე.

კარგად თარგმნა შექსპირი ქართულად ივანე მაჩაბლმა.

შექსპირის ერთ-ერთი ფრაზა ბევრმა ქართველმა მწერალმა თარგმნა: ფურცელაძემ – „ვიყო თუ არ ვიყო, აი, რა უნდა ვიკითხო“; ილია ჭავჭავაძემ: „სიკვდილ-სიცოცხლე – საკითხავი ამა ქვეყნისა“.

მაჩაბლმა: „ყოფნა – არ ყოფნა, საკითხავი აი ეს არის“. ეს უკანასკნელი ზუსტად მიესადაგება შექსპირის ფრაზას.

რაც შეეხება პროზაული ტექსტის მთარგმნელს, უნდა იცოდეს: რომ რაც შეიძლება ახლოს უნდა იყოს მისი თარგმნილი დედანთან.

არ შეიძლება ავტორის აზრის დამახინჯება და საკუთარი ინტერპრეტაციის მიწოდება.

მხატვრული ნაწარმოების თარგმნა ურთულესი ხელოვნებაა და იგი მთარგმნელისგან არა მარტო ორი ენის (რისგანაც თარგმნის და რაზეც თარგმნის) ზედმინებით ცოდნას, არამედ მწერლურ ნიჭიერებასაც მოითხოვს. სწორედ ეს გახლავთ მთარგმნელის პროფესიონალიზმის გამოხატულება.

დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროფესიულ ეთიკას, რადგანაც ნებისმიერი მოქალაქის საქმიანობასთან მიმართებით ხშირად იკვეთება სხვადასხვა ქვეყნის ინტერესები.

უპირველესი, რაც პროფესიონალს მოეთხოვება – ეს არის საქმიანი წრეებისადმი დამოკიდებულება და სიტყვიერი თუ წერილობითი შეთანხმების ზუსტი დაცვა.

წლების განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობებში ჩამოყალიბდა ე.წ. მანკიერი სტილი – შეთანხმების დარღვევა.

გაერომ სპეციალური რეზოლუციით მკაცრად დაგმო სახელმწიფოთა შორის შეთანხმების დაუცველობის სავალალო შემთხვევები, რამაც ხშირ შემთხვევაში მსოფლიოში არაერთი კატასტროფა გამოიწვია.

მაგალითად, რიბენტორპ-მოლოტოვის მიერ ხელმოწერილმა ურთიერთავდაუსმელობის პაქტმა გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის მცირე ხნით შეაჩერა მეორე მსოფლიო ომის დაწყება, მაგრამ გერმანიამ მალე დაარღვია ეს ხელშეკრულება და

დაიწყო ომი, რომელსაც ორმოცდაათ მილიონამდე ადამიანი ემსხვერპლა.

დღესაც თითქმის ყოველდღიურად ხდება გაეროს მიერ მიღებული რეზოლუციების დარღვევა.

ასეთია, მაგალითად, რეზოლუცია ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ; რეზოლუცია ისრაელსა და პალესტინას შორის ცეცხლის შეწყვეტის, და ასე შემდეგ.

რუსეთის მიერ საქართველოსთან დადებული ხელშეკრულების რუსეთის მხრიდან უტიფრულმა დარღვევამ შედეგად მოიტანა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა.

არა მარტო საერთაშორისო შეთანხმებები ირღვევა, არამედ ზოგჯერ ირღვევა ბიზნესმენთა შორის გაფორმებული ეკონომიური შეთანხმებებიც.

ხდება ეგრეთ წოდებული „ეკონომიური გადაგდებები“.

დღეს, როდესაც, სამწუხაროდ, უამრავი საშუალებაა ადამიანის მოქმედების თუ საუბრის დაშვებული თუ დაუშვებელი ფარული ჩანერისა, ვინც საერთაშორისო საქმიანობაშია ჩართული, ყოველ წამს უნდა ფიქრობდეს, რომ შეიძლება მისი საუბარი ისმინებოდეს ან გადალებულ იქნეს ფარული კამერით.

ამაზე ბევრად იქნება დამოკიდებული საზოგადოების წევრის იმიჯი. პროფესიონალმა არასოდეს, არც ერთ ვითარებაში არ უნდა დაკარგოს საკუთარ თავზე კონტროლი. პარტნიორებს უნდა ჰქონდეთ იმისი გარანტია, რომ საქმის კაცი, ანუ პროფესიონალი, თავის სიტყვას აუცილებლად შეასრულებს.

საერთაშორისო საქმიანობაში მეგობრობა არ არსებობს.

არც ფამილარული ფრაზები: „როგორც ჩემიანს, ისე გეუბნები“, ან „მე მგონი, არავინ გვისმენს და საიდუმლოდ უნდა მოგახსენო...“

საერთაშორისო დარგის რა საქმიანობასაც უნდა ეწეოდეს მოქალაქე, მას აუცილებლად დასჭირდება ფართო საზოგადოების წინაშე გამოსვლის ხელოვნება, რომელსაც ადრე რიტორიკას ეძახდნენ. ახლა კი ორატორობას, ანუ მჭევრმეტყველებას, ეძახიან. იგი კულტურის დარგია. ანუ ორატორობა, ურთულესი ხელოვნებაა. რიტორიკას საგანგებოდ ასწავლიდნენ ადრეულ საუკუნეებში. ასე იყო, მაგალითად, ფაზისის აკადემიაში. საბერძნეთიდანაც კი ჩამოდიოდნენ ახალგაზრდები ამ აკა-

დემიაში რიტორიკის შესასწავლად. სამი სახის ორატორული ხელოვნება არსებობს:

1. ეგზალტირებული ორატორული ხელოვნება, როდესაც ორატორი მიმიკის გამოყენებით, ხელებისა და ფეხების უძრისტიკულაციით ახდენს შთაბეჭდილებას. ასეთი ორატორული ხელოვნება ახასიათებდათ პიტლერსა და ფიდელ კასტროს. საქართველოში კი – ზვიად გამსახურდიას.
2. ორატორობის ბერძნული სტილი. ამ სტილის ერთგულები იყვნენ იულიუს კეისარი, რომის პაპები და ბერძენ-რომაელი ორატორები. ბერძნული სტილი კრძალავდა ყოველგვარ უძრისტიკულაციას.
3. შერეული, ანუ ზომიერი სტილი. ეს სტილი ახასიათებდათ დავით აღმაშენებელს, ერეკლე მეფეს, ილია ჭავჭავაძესა და სტალინს. ზომიერი სტილი ნიშნავს ყოველგვარი გაანჩხლების და ყვირილის გარეშე მოზომილ საუბარს. მაშინ, როცა გამომსვლელი მიზნად არ ისახავს მსმენელზე ქარიზმატულ, ანუ მომნუსხველ, ზემოქმედებას, ზომიერი უძრისტიკულაცია დასაშვებია.

პროფესიულ ეთიკას დიდი მნიშვნელობა აქვს გაუთვალისწინებელ მოვლენებზე რეაგირების დროს.

დიპლომატიაში, სამწუხაროდ, დღესაც ძალაშია სტუმრის წინააღმდეგ ეთიკური ზემოქმედების საშუალებები. მახსოვს, როგორ გადაულეს ფარული კამერით რუსეთის პრეზიდენტს კადრები, როდესაც ის მარტოდმარტო არაყს პირდაპირ ბოთლიდან სვამდა. არაერთ პოლიტიკოსსა თუ თანამდებობიან ჩინოვნის საჯაროდ გამოუტანეს პიკანტური სცენები საუნაში მეძავ ქალებთან დროსტატარებისა. საერთოდ, „ქალით ზემოქმედება“ კომპრომეტირების ნაცადი ხერხია და, როდესაც თქვენს კაბინეტში ან სასტუმროს ნომერში ლამაზმანი გამოჩნდება, რაც შეიძლება, თავდაჭრილი უნდა იყოთ.

პროფესიონალი, პოლიტიკის სფეროშია იგი დასაქმებული თუ ეკონომიკისა, უპირველეს ყოვლისა, ინტელიგენტია და საზოგადოების ამ ფენის ნარმომადგენლის ყველა სანაქებო თვისებით უნდა გამოიჩინოდეს.

სტუმარს იშვიათად როდი ეძლევა ასპარეზი, გაეცნოს მასპინძელი ქვეყნის კულტურას.

აუცილებელი როდია, შეუმცდარი არბიტრი იყო ხელოვნებაში და ზედმინევნით ფლობდე მხატვრული ნაწარმოების შეფასების კრიტიკიუმებს, მაგრამ მუზეუმებისა და ისტორიული ძეგლებისადმი ყურადღებით, ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშებით დაინტერესებით და მათი შეფასებისას მოკრძალებული კომპეტენტურობით სტუმარი ამჟღავნებს თავის პატივისცემასა და თანალმობას იმ ქვეყნის მიმართ, სადაც ხელოვნებისგან თუნდაც შორს მდგარი პრობლემის შესახებ უწევს საქმიანი საუბარი.

აუცილებელია, გამგზავრების წინ გადავხედოთ სათანადო ლიტერატურას და რამდენადმე მომზადებული შევხვდეთ იმას, რასაც მასპინძლები მსოფლიო კულტურის წინაშე მათ დამსახურებად ხაზგასმულად ნარმოგვიდგენენ ხოლმე.

მართალია, ერთი ანტიკური სიბრძნე გვასწავლის, „გემოვნებაზე არ დავობენო“, მაგრამ ეს სიბრძნე ამ ბოლო დროს საკმაოდ სადავო გახდა. თუ შეიძლება რამეზე იდაოს კაცმა, უპირველეს ყოვლისა, გემოვნებაზე. ხელოვნების ქმნილების უაღრესი პოპულარობის გამო ადამიანთა უმეტესობა თავს კომპეტენტურად თვლის ამ დარგში, მაგრამ საერთაშორისო სტუმარს, თუ იგი კულტურის ექსპერტი არ არის, კარგ ტონად როდი ეთვლება ხელოვნების ნაწარმოებზე ჭირვეულ კამათში ჩაბმა, კომპეტენტურობის დაჩივრება ან კატეგორიულობა. შენგან, დიპლომატისა გან, ამა თუ იმ ნაწარმოების „შემთხვევით გახსენება“, ან „მე მითხრეს“... „თუ არ ვცდები“, „ჩემი მოკრძალებული მოსაზრებით“ – ამგვარი ფრაზების ხშირი გამოყენება მასპინძელი მხარის კულტურის ნაწარმოებზე საუბრისას სავსებით საკმარისია, რომ მასპინძელთა კეთილგანწყობა დაიმსახურო.

რა მოსაწყენადაც უნდა მოგეჩვენოს სპექტაკლი, სიმფონიური მუსიკის კონცერტი ან კინოფილმი, კეთილი უნდა ინებო და ბოლომდე მოუსმინო. არ შეიძლება, ნამდაუნუმ საათზე ცქერა, დაღლილი კაცის მთენარება-ამოოხვრანი, რადგანაც ის, რასაც მასპინძლები გიჩვენებენ, მათვის უაღრესად ძვირფასია და ვერ გაამტყუნებ, თუ შენგანაც სათანადო ყურადღებას ელიან.

ზოგჯერ ხდება, რომ თვით სტუმარია აშკარად გაუცნობიერებელი ხელოვნებაში და უადგილო ნამოროშვებით, „უადგილო ტაშით („სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი“ გაიხსენეთ) ან ფუყეაზრების ფრქვევით იმ ერთი ტურისტის სულელურ მდგომარე

ობაში იგდებს თავს, რომელსაც ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის მოსმენის შემდეგ აზრი ჰკითხეს და თავაწეულმა განაცხადა: „ნი პლოხო, ნო, კანეჩნო, მოუნო ბილო ნემზოუკო საკრატიტი!“

ხელოვნების ნაწარმოებზე მსჯელობისას შიშნეული „გაქცევა“ და უაზრო თავის არიდება სტუმარს დადებითად როდი ახასი-ათებს, უნდა თქვა მოკლედ და მოკრძალებულად, რასაც ფიქრობ.

საერთოდ, საერთაშორისო სტუმარი, დიპლომატი და, თუ გნე-ბავთ, ყველა განათლებული მოქალაქე უნდა იყოს აღჭურვილი კულტურის თეორიის ელემენტარული ცოდნით მაინც.

უნდა იცოდეს, რომ ხელოვნების ნაწარმოები მხატვრული აზროვნების პროდუქტია, ხოლო ორიგინალური მხატვრული აზროვნების უნარი მხოლოდ იშვიათ გამონაკლისებს აქვთ მომადლებული.

უნდა იცოდეს, რომ მხატვრულ ნაწარმოებს სამი ფუნქცია აქვს: შემეცნებითი, დიდაქტიკური და ესთეტიკური.

უნდა შეეძლოს ლირიკული და ეპიკური ნაწარმოების ერთმა-ნეთისაგან გარჩევა და ახსოვდეს ლირიკული და ეპიკური ნაწარ-მოების კრიტერიუმები, ანუ პრინციპები.

კულტურის ნაწარმოების შეფასების ელემენტარული კანონების ცოდნის გარეშე არ მიიღწევა ე.წ. ჰუმანიტარული პროფე-სიონალიზმი.

კულტურისადმი ყურადღების გამოჩენა ევალება არა მარ-ტო პოლიტიკოსს, არა მარტო დიპლომატს, არა მარტო საერ-თაშორისო უურნალისტს, არამედ საერთაშორისო ბიზნესთან დაკავშირებულ ნებისმიერ სპეციალისტს. პროფესიონალიზ-მის ერთ-ერთი კომპონენტი თანამედროვეობის პრობლემებში გარკვეულობაც გახლავთ.

ქვეყნის კულტურის დონის ცოდნა გვეხმარება, სწორად განვ-საზღვროთ ჩვენი დამოკიდებულება ამა თუ იმ სახელმწიფოსადმი.

სწორი მიმართულება მივცეთ ჩვენს ინვესტიციებს.

საერთაშორისო ვითარებაზე ბევრად არის დამოკიდებული ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკა და, თქვენ ნარმოიდგინეთ, მისი ხვალინდელი დღეც.

სწორედ ამიტომაა, რომ უცხოელი, სანამ სახელმწიფოსთან საქმიან ურთიერთობას დაიჭერდეს, უპირველესად კითხულობს, რა ვითარებაა ქვეყანაში, როგორია მისი კულტურა, ხომ არ არის

საომარი ვითარება, ან ხომ არ არის ტერიტორიული დავა სხვა სახელმწიფოსთან, მეზობელ ქვეყნებთან.

თუ ჩვენ არ გვექნება განსაზღვრული საერთაშორისო ვითა-რების წახნაგები, შეიძლება განვიცადოთ ისეთი მარცხი, რო-მელიც, შესაძლოა მერე მთელი სიცოცხლის განმავლობა-ში ვე-ღარ გამოვასწოროთ.

საერთაშორისო ვითარებას, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვ-რავენ და არეგულირებენ ე.წ. ძირითადი შვიდეულის წევრი ქვეყ-ნები: აშშ, რუსეთი, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, იაპონია და ჩინეთი.

დანარჩენი სახელმწიფოები ეკონომიკურად და პოლიტიკურად მიბმულია დიდ სახელმწიფოებზე ან შედის ამა თუ იმ საერთაშო-რისო ბლოკში, შედის თავისი უსაფრთხოების გარანტიების მისა-ღებად.

უპირველესი საერთაშორისო ბლოკი, რომელიც ბევრად გან-საზღვრავს დღეს საერთაშორისო წონასაწორობას, ნატოა.

ნატო არეგულირებს ურთიერთობას ორად გაყოფილ მსოფ-ლიოს შორის. ეს ურთიერთობა კი განპირობებულია იმით, რომ მსოფლიო ჰეგემონიისთვის ერთმანეთს ებრძვის ორი ბანაკი: ნატო და მასთან დაკავშირებული აშშ და, მეორე მხრივ, რუსეთი და მასთან დაკავშირებული ქვეყნები.

არ არის აუცილებელი, ნებისმიერი პროფესიონალი იყოს დიპ-ლომატი, მაგრამ, რაკი მისი კაპიტალი დაბანდებულია მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, იგი იძულებულია ხელთ ეპყრას საერთაშო-რისო ვითარების მაჯა და განუწყვეტლივ ამოწმებდეს საერთაშო-რისო მაჯისცემას.

საერთაშორისო მოვლენებისადმი გულგრილი მოქალაქე დღეს არათუ პროფესიონალად, ელემენტარულად კულტურულ პიროვ-ნებადაც კი ვერ ნარმოიდგინება.

საერთაშორისო ვითარების შეფასების დროს აუცილებელია ვითვალისწინებდეთ ე.წ. ბესახელმწიფოების ორიენტაცია-ციას.

პატივს უნდა ვცემდეთ პროგრესულ საერთაშორისო ინსტი-ტუტებს და ვცდილობდეთ, ჩვენი ნაჩქარევი დასკვნით შეცდომა-ში არ შევიყვანოთ ჩვენი საერთაშორისო პარტნიორი.

უნდა განვიხილოთ ჩვენი სამშობლოს, საქართველოს, მდგო-მარეობა საერთაშორისო პრობლემების ჭრილში, რათა შეგვე-

ძლოს ორიენტირება საერთაშორისო ვითარების ელემენტარულ საკითხებში, როგორც, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მოქალაქეებს.

საქართველო, რომელიც საუკუნეების განმავლობაში არ-სებობდა გზაჯვარედინზე აღმოსავლეთს და დასავლეთს შორის, ასრულებდა საკმაოდ თვალსაჩინო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფუნქციას.

ეს გეოპოლიტიკური მდგომარეობა დღესაც შენარჩუნებულია. წარმოიდგინეთ, ამას წინათ, ევროპის სახელმწიფოებმა აშშ-ს ხელმძღვანელობით გადაწყვიტეს, მოეპოვებინათ ე.წ. ენერგეტიკული დამოუკიდებლობა, რათა არ ყოფილიყვნენ მთლიანად დამოკიდებული რუსეთის გაზსა და ბენზინზე, ე.ი. მოეძებნათ გაზისა და ბენზინის მიღების ალტერნატიული გზები. ასეთ გზად ე.წ. ნაბუკოს პროექტი მიიჩნიეს.

რა მოგება აქვს ნაბუკოს პროექტით საქართველოს? საქართველო ხდება ერთგვარი დერეფანი ევროპისაკენ, ანუ ტრანზიტული ქვეყანა.

ევროპა გადაუხდის ბაჟს საქართველოს. ესე იგი საქართველო ანგარიშგასაწევი ძალა გახდება ევროპისთვის იმიტომ, რომ საქართველომ შეიძლება გავლენა მოახდინოს ევროპის ენერგო-სისტემით მომარაგებაზე.

საქართველო უკანასკნელი 200 წლის განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობებში თითქმის არ მონაწილეობდა.

ჩვენი ქვეყანა მსოფლიო რუკაზე თითქმის აღნიშნულიც კი არ იყო. იგი ითვლებოდა რუსეთის გუბერნიად.

უკანასკნელ დრომდეც კი საქართველოდან წასულ ტურისტს რუსს ეძახდნენ.

საქართველოდან წასული სპორტსმენი საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში რუსეთის, ანუ საბჭოთა კავშირის, სახელით გამოდიოდა.

1989 წელს საქართველოში ზვიად გამსახურდიამ დაამხო კო-მუნისტური წყობა და 1990 წელს იგი საქართველოს პირველი პრეზიდენტი გახდა.

ამას რუსეთი არ შეეგუა და, როგორც პირველი დემოკრატიული სახელმწიფოს დროს, 1918-1921 წლებში, რუსეთმა საქართველოს 1990-იან წლებში 3 წელი დააცადა გონს მოსვლა, მაგრამ

საქართველო არ აპირებდა დამოუკიდებლობის დათმობას. ამიტომაც რუსეთმა დაამხო გამსახურდიას ხელისუფლება, მერე, 1993 წელს, საქართველო ჩაითრია ომში და რაკი, რა თქმა უნდა, რუსეთს საქართველო ომს ვერ მოუგებდა, სასტიკად დაამარცხა იგი.

დაუხოცა 30 000 ჯარისკაცი და 300 000 მშვიდობიანი მცხოვრები 1 საათში გამორეუა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან.

მაგრამ საქართველოს სრული დამოუკიდებლობის დაკარგვა, ანუ მთლიანი ოკუპაცია, რუსეთმა არათუ 1993 წელს, 2008 წლის 8-12 აგვისტოს ინტერვენციის დროსაც ვეღარ მოახერხა.

ჯინი ბოთლიდან ამოშვებული იყო და დღეს, შეიძლება ითქვას, საქართველო დამოუკიდებელია, როგორც გაეროს წევრი ქვეყანა.

გაეროში ფრიალებს ქართული დროშა და საქართველო ჩამდგარია იმ ქვეყნების რიგში, რომლებიც ნატოსაკენ მიისწნოაფიან. ნატოში შესვლა კი ნიშნავს საქართველოს თავდაცვის გაძლიერებას.

ნატოს წევრ ქვეყანას უკვე ვეღარც ერთი დამპყრობელი ადგილად ბუზს ვეღარ აუფრენს.

დღეს საქართველოს ხელისუფლების უპირველესი ამოცანაა, დაიჭიროს განონასწორებული ურთიერთობა აშშ-სა და რუსეთს შორის. ჩვენ, რა თქმა უნდა, დასახული გზიდან გადახვევას არ ვაპირებთ, მაგრამ არც რუსეთთან კონფრონტაციული ურთიერთობა დაგვაყრის ხეირს. ამიტომ რუსეთთანაც და ყველა ქვეყანასთანაც კარგი ურთიერთობა უნდა გვქონდეს და ამ მიმართულებით კულტურის მოღვაწეებს ფრიად მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ.

საბჭოთა იმპერიის დანგრევის შემდეგ ზოგ პოლიტიკოსს ეგონა, რომ საქართველო ურუსეთოდ, ყელზე რუსეთის ყულფის გარეშე, ვერ იარსებებდა.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ჩრდილოელი მეზობელი კიდევ უფრო გააკოფა საქართველოს ევროსტრუქტურებსა და ნატოში გაერთიანების სურვილმა. როგორცა ჩანს, საქართველო ხელიდან საბოლოოდ მეცლებაო, გაიფიქრა და მსოფლიოს თვალწინ დაიწყო გაუგონარი დამსჯელობითი ოონისძიებანი: გააუქმა რუსეთში შესასვლელი ვიზები ქართველთათვის, აკრძალა ყოველგვარი ქართული ნაწარმის (ლვინო, ბორჯომი) რუსეთში შე-

ტანა და გაყიდვა. ესეც არ გვაკმარა: მთელი რუსეთის ტერიტორიაზე განუკითხავად დაიწყო ქართველთა მასობრივი დაპატიმრებანი და მათი იძულებითი გადმოსახლება საქართველოში. ცოტა ხანში გაწყდა დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის. შეწყდა საპარაკო მიმოსვლა.

ამჟამად საქართველო უძნელეს ისტორიულ მოსახვევს გადის.

საქართველოს ოთხი უმთავრესი პრობლემა აქვს სასწრაფოდ გადასახწყვეტი, რომ მან არსებობა არ შეწყვიტოს და თავისი სახელმწიფობრიობის ოთხიათასაუკუნოვანი ისტორია XXI საუკუნეში სამარცხინოდ არ დაასრულოს.

პირველი პრობლემა გახლავთ – ტერიტორიული მთლიანობის აღდეგნა. ამ პრობლემას საქართველო რუს აგრესორთა წინააღმდეგ ომით ვერ გადაწყვეტს. ამ ოში ის წინასწარ განწირული აღმოჩნდება. მთავარია, დასავლეთის (განსაკუთრებით ამერიკის) ენერგიული ჩარევით ვაძებულოთ რუსეთი, დაგვიბრუნოს წარმეული აფხაზეთი და სამაჩაბლო.

მეორე პრობლემაა საქართველოს ეკონომიკური აღორძინება. თითოეულმა ქართველმა ხელი უნდა დავიკაპინოთ, რათა საქართველო ეკონომიკური უფსკრულიდან ამოვიყვანოთ. ამისთვის მარტოოდენ უცხოური ინვესტიციების განუკითხავი მოზიდვა საკმარისი როდია.

მესამე პრობლემა გახლავთ დემოგრაფიული პრობლემის მოგვარება. დღეს საქართველოში ქართველი მხოლოდ 49 პროცენტია. სულ რაღაც 50 წელიწადში გამრავლების ტემპის დღევანდელი დონით 35 პროცენტი აღმოვჩნდებით, ესე იგი, ქართველები ჩვენს ქვეყანაში ეროვნული უმცირესობა ვიქნებით, ანუ საქართველო ქართული ეროვნული სახელმწიფო აღარ იქნება. საჭიროა გამრავლების ტემპის დაჩქარება და საქართველოდან განთესილი ქართველების დაბრუნებაზე სახელმწიფობრივი ზრუნვის გაძლიერება.

მეოთხე პრობლემაა ქართული ეროვნული ცნობიერების განგრევებაზე ზრუნვა. უნდა ავალორძინოთ ეროვნული სკოლები და ეროვნული კულტურა; დავიბრუნოთ ეროვნული ლიტერატურის სიყვარული: აღვადგინოთ საბუთებში ეროვნული რეკვიზიტი, არ გავათელვინოთ ეროვნული ცნობიერება მსოფლიო გლობალიზაციის ოკეანეს.

და მაშინ, როცა ქვეყანას ამდენი სასიცოცხლო პრობლემა აქვს გადასახწყვეტი, უამრავი უხერხულობის მიზეზად, რაც გარემოებათა გამო ყოველდღიურ წინაღობას გვიქმნის, სწორედ რომ დილეტანტიზმი ქცეულა.

გამოუცდელობა და ნაჩქარეობა, მოვლენებში ღრმად წვდომის ნაცვლად გაუანალიზებელი, ვითარებასთან მიუსადაგებელი გადაწყვეტილებების მიღება, როცა აშკარად იგრძნობა პროფესიონალიზმის დეფიციტი და გონივრულ სჯას გულუბრყვილ სიჯიუტე სჯაბინის, დროდადრო გვიქმნის იმ ჩიხურ მდგომარეობას, საიდანაც გამოსვლა უფრო და უფრო გაძნელდება.

ქვეყანა მართლაც სახელოსნოა, სადაც კაცი უნდა გაისარჯოს (ილია), მაგრამ იმ სახელოსნოში უთავბოლო ყვანცალით ღირებულს ვერაფერს შექმნი. უნდა იცოდე, რა აკეთო, რით აკეთო, სად აკეთო და რისთვის აკეთო. ჩვენმა წინაპარმა მშვენივრად იცოდა პროფესიონალიზმის ფასი და ამიტომაც დაგვიტოვა ყველასთვის ჭკუის სასწავლებელი ანდაზა: „ქუდი მექუდემ უნდა შეკეროს“.

დილეტანტის „ნამუდრეგალზე“, მის მიერ უკულმართად გაკეთებულზე, მოდის წლების შემდეგ პროფესიონალი და გაოცებას ვერ მალევს: როგორ შეიძლებოდა, მინისტრს თავში მოსვლოდა ასეთი სისულელე ან სად იყო საზოგადოება, რომ დროულად ჩაევლო მისთვის ყურში ხელი და წალმა შემოებრუნებინა.

\* \* \*

როგორც დავინახეთ, ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში დღითი დღე უფრო და უფრო ხდება საჭირო ამ უკანასკნელის კულტურის იმგვარი ბარომეტრი, როგორიცაა პროფესიონალიზმი.

კომპეტენტურობა, პროფესიული უნივერსალიზმი და საერთაშორისო ურთიერთობათა აგების ხელოვნება პროფესიონალიზმის ის საერთაშორისო პრინციპებია, კომპიუტერიზაციის ეპოქამ დღის წესრიგში მთელი სიმწვავით რომ დააყენა და საყოველთაობის ნიშნით შემოსა.

მართალია, ადამიანის გონების შესაძლებლობები შეზღუდულია, იქნებ, მეხსიერებამ შენთვის საინტერესო დარგის ყველა საჭირო ინფორმაცია ვერც დაიტიოს, მაგრამ კომპეტენტურობა თანამედროვე გაგებით ის გახლავთ, რომ იცი, სად დევს ეს ინფორმაცია და ნებისმიერ დროს შეგიძლია გამოიხმო იგი კომპიუტერის გრძნეული ლაბირინთიდან.

ტრადიციული „მცოდნის“ გაგება დღეს კომპენტენტურობამ შეცვალა. საჭირო აღარაა, შენი გონება მოზღვავებული უახლესი ინფორმაციის საწყობად აქციო. მთავარია სისტე-მის, სქემის, მეცნიერული კვადრატების ცოდნა და იმ ცოდნის საჭიროები-სამებრ შევსება-განვრცობა ელექტრული ტექნიკის უსაზღვრო შესაძლებლობათა გამოყენებით.

ახლა აღარ არის ის დრო, როცა შენს მეცნიერულ კაბინეტში შეყუული და მსოფლიო მეცნიერულ პროცესებს თითქმის მოწყვეტილი, ველოსიპედს თავიდან იგონებდი ან, უკეთეს შემთხვევაში, წლობით ელოდებოდი, როდის ჩამოალწევდა შენამდე ესა თუ ის მეცნიერული აღმოჩენა.

რომ იცოდეთ, რამდენი დრო და ენერგია (ეკონომიკურ სახსრებს რომ თავი გავანებოთ) დაიხსარჯა იმისათვის, რათა ხელმეორედ აღმოგვეჩინა ის, რაც უკვე აღმოჩენილი და გაკეთებული იყო კარჩაკეტილი მსოფლიოს სხვა წერტილში. მერე მოდიოდა მეცნიერების მეისტორიე და თავს იმტკრევდა; ვინ უფრო ადრე გამოიგონა ორთქლის ძრავა ან ელექტრონათურა...

ახლა ამგვარი საშიშროება აღარ არსებობს. მეცნიერების ყოველი სიახლე დაუყოვნებლივ იქცევა მსოფლიოს საკუთრებად. კომპიუტერიზაციამ სახელმწიფოთა საზღვრები გადალახა და თანამედროვე სპეციალისტს პროფესიონალური უნივერსალიზაციის არნახული შესაძლებლობები გადაუშეალა. დღეს თუ გონებას შენი დარგის უახლეს მეცნიერულ მიღწევათა ცოდნით არ იმდიდრებ და მეცნიერების განვითარებას ფეხს ვერ აუწყობ, წინასწარვე განწირული ხარ იმ ციყვის ბედისთვის, რგოლში რომ ტრიალებს და წინსვლის შანსი დაუკარგავს.

სწორედ ამ მიზეზით დაემატა პროფესიონალიზმს „საერთაშორისო პროფესიონალიზმის“ გაგება და ამ მიზეზითვე განიხილება იგი დღეს კულტურის აუცილებელ კომპონენტად.

მსოფლიო კულტურის მიღწევებში გაურკვეველი კაცი ნებისმიერ ინტელიგენტურ შეხვედრაზე დარბაზში შემთხვევით შემოხეტებულ დათვს ემსავასება და იგი მაშინვე იქცევა გარეშე-მყოფთა დაცინვის ობიექტად.

კულტურა თანამედროვე ადამიანის (რა სფეროშიც არ უნდა უხდებოდეს მოღვაწეობა) კეთილი და საიმედო თანამგზავრია.

## გლობალიზაცია და კულტურა

გლობალიზაცია მსოფლიო მოვლენაა და იგი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია სახელმწიფოთა ერთ სააზროვნო სისტემაზე, ერთა ატრიბუტიკის სტანდარტიზაციასა და საერთო ტექნიზაციაზე მსოფლიოს მორგების ტენდენ-ციასთან.

ზოგიერთ მეცნიერს გლობალიზაცია XX და XXI საუკუნეთა პირმშო ჰგონია და მსოფლიო ნიველირების ამ, ერთი შეხედვით, კატასტროფულ მოდელს აკავშირებს ხან ზესახელმწიფოთა ხელმძღვანელების შეთანხმებულ გადაწყვეტილებასთან, ხან კი ეგრეთნოდებული „მასონური ლოუების“ მსოფლიო შეთქმულებასთან.

მეცნიერული აზრი გლობალიზაციის შესახებ ორად იყოფა: ერთნი ამბობენ, რომ გლობალიზაცია გარდაუვალია, სხვანაირად მუდმივგამრავლებადი მსოფლიო ვერ მოწესრიგდება და ადამიანებს შიმშილი წალეკავს, გლობალიზაციის გარეშე საყოველთაო ვერ გახდება ტექნიკის მიღწევები; მეორენი ფიქრობენ, რომ გლობალიზაცია, ეს არის პატარა ერთა და სახელმწიფოთა წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება ეგრეთნოდებულ ჭრელა-ჭრულა კულტურებისგან თავგაბეზრებული ზესახელმწიფოებისა, რათა მსოფლიო ერთ ლარ-თარგზე გაასწორონ, რაც გლობალურ იმპერიათა მართვას გააადვილებს.

თუ მოვლენას არა ტენდენციურად შევხედავთ, ობიექტურობა გვიკარნახებს, რომ გლობალიზაციის მცირე სიკეთეები მართლაც მოაქვს მეცნიერულ-ტექნიკური პროცესის განვითარების თვალისაზრისით, მაგრამ იმდენად დიდი და საშიშია მცირე სახელმწიფოთა და კულტურათა თავზე დამოკლეს მახვილივით დაკიდებული საფრთხე გლობალიზაციისა, რაც წალეკვით ემუქრება კაცობრიობის კულტურულ მონაპოვარს, რომ გლობალიზაციის თავგადაკლული მომხრეობა დღეს საკაცობრიო პროგრესის წინააღმდეგ წასვლასა და ცივილიზაციის აღმავალი გზის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში უნებლივ თანამონაწილეობას ნიშნავს.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა უსახური და ულამაზო იქნებოდა მსოფლიო, რომ მასზე ყვავილებივით არ ჩანდნენ მსოფლიო კულტურის შედევრები.

რა ღარიბი იქნებოდა დედამიწა, რომ კაცობრიობის ცივილიზაცია მასკულტურის ერთ მოდელს დაექვემდებაროს. გლობალიზაცია შეიძლება შეეხოს მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკურ პროგრესს, მაგრამ იგი არამც და არამც არ უნდა გავრცელდეს საზოგადოების განვითარების ისე ფაქტზე გამოვლენაზე, როგორიც ცალკეულ ერთა კულტურა გახლავთ, რადგანაც ეს უკანასკნელი უაღრესად სათუთი ინდივიდუალური მოვლენაა და ტოტალიტარიზმის ტლანქი ხელის მი-ახლოებისთანავე ჭკნობას იწყებს.

მცირერიცხოვან ერთა ეგრეთ წოდებულ დიდ ერთა წიაღში ათევეფის, ეროვნული ატრიბუტების და თვით რელიგიათა თავს-მოხვევის მსახვრალი პოლიტიკა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა პირველი დამპყრობლები გამოჩნდნენ დედამიწაზე და კოლონიური პოლიტიკის მრისხანე ეპოქა დაიწყო.

ნაციონალური საზღვრების მოშლისა და ენობრივი ბარიერის მოხსნის მეთოდს მიმართავდა უკლებლივ ყველა იმპერია მის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე.

სწორედ აქედან დაიწყო ეგრეთწოდებული გლობალიზაცია; მაგრამ იმისათვის, ვინც დამპყრობლის მტკიცე ნებით ახორციელებდა საბედისწერო გლობალიზაციას, ეს ტერმინი უცნობი იყო.

ეროვნული თვითმყოფადობის მოსპობის ძირითადი სამიზნე სამი რამ გახლდათ: ტერიტორია, რელიგია და ენა, ანუ იგივე „ენა, მამული, სარწმუნოება“.

მსოფლიოსათვის ცნობილი დამპყრობლები, სხვადასხვა დროს რომ იდგნენ იმპერიათა სათავეში, თავიანთ ძლევამოსილ ლაშქრობას სხვადასხვა მიზნით ნიღბავდნენ.

ერთნი ამბობდნენ, რომ ცივილიზაცია უნდა შეეტანათ ნახევრად ველურ ტომებში და ისინი კულტურის გზაზე შეეყენებინათ; მეორენი სხვა სახელმწიფოთა ეგრეთ წოდებული ტირანიისგან გასათავისუფლებლად მიისწრავოდნენ; მესამენი კი, და ეს უფრო იშვიათად ხდებოდა, პირდაპირ რელიგიურ ომებში ებმებოდნენ. საერთო მიზანი კი ყველა შემთხვევაში ერთი იყო – მსოფლიო ბატონობა. საქმე ტერიტორიის წართმევით იწყებოდა და მერე ამუშავდებოდა დაპყრობილი ქვეყნის კულტურულ-რელიგიური დაუთოების სასტიკი მანქანა.

ამ დაუთოებას დამპყრობელი ახერხებდა იმ ფორმითა და მე-თოდით, ცივილიზაციის რა დონეზეც თავად იდგა: ზოგჯერ შენიღბულად (კორონცოვი), ზოგჯერ კი ე.წ. ნაჯახური პოლიტიკით.

ჩახედეთ საქართველოს ისტორიას და ნახავთ, რა კირთებით, ცეცხლითა და მახვილით ცდილობდნენ არაბები, სპარსელები, თურქები და სხვანი, ივერიაში ქრისტიანული რწმენა აღმოეფხვრათ. მარტო შუმანიკ დედოფლის, აბო თბილელისა და ქეთევან დედოფლის წამების მაგალითები რადა ღირს ამის საზღასასმელად! ასე იბრძოდა ჩვენი მართლმადიდებლური სარწმუნოება.

ერის განადგურების მახვილი ტერიტორია და რელიგიასთან ერთად ენას დაატყდებოდა ხოლმე თავს.

დამპყრობელი თვლიდა, რომ დამოუკიდებლობადაცარგული სახელმწიფოს ენა იმპერიისთვის სრულიად ზედმეტი ბარგი იყო და ამ ენაზე კულტურის განვითარება იმპერიის მომავალ მდგრადობას საფრთხეს შეუქმნიდა.

შორს რომ არ წავიდეთ, უახლესი ისტორიის მაგალითებიც საკმარისია.

რაკილა დამპყრობელმა რუსმა საქართველოში მეფობა გააუქმა, ესე იგი ფაქტიურად ჩვენი სახელმწიფო მოსპო, ახლა საზრუნავი თვითმყოფადი ქართული კულტურის უპირველესი ნიშნის – ენის მოსპობა გახდა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ენა ათასწლეულთა განმავლობაში ისედაც განიცდიდა დამპყრობელი ერების ენათა გავლენას, ასე გასინჯეთ, ქართულში დღესაც უამრავი არაბული, სპარსული და თურქული სიტყვაა, მაგრამ ქართული ენის უაღრესად ორიგინალურმა სინტაქსურ-სემანტიკურმა წყობამ ეს უცხო სიტყვები დაიურვა და ერთიან გრამატიკულ სისტემაში ისე ოსტატურად მოაქცია, რომ დღეს თითქმის შეუმჩნეველი ხდება და მხოლოდ ენის სპეციალისტთა მსჯელობის საგანია ქართულში შემორჩენილი უცხოური ძირის მქონე ლექსიკური ერთეულები. მაგრამ თვით მონათმფლობელურ-ფეოდალურ იმპერიებს არ მოსვლიათ თავში ქართული ენის აკრძალვა. რუსული იმპერიის ცინიზმი კი იქამდე მივიდა, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში, სასწავლებლებსა და ბეჭდვით ორგანოებში ქართული პირნმინდად აიკრძალა.

რუსმა უფრო შორს გაიწია და აიძულებდა ქართველებს, გვა-რები რუსული დაბოლოებებით გადაეკეთებინათ (მაგალითად, თუმანიშვილი – თუმანოვი და ა.შ.).

მოვიდა XX საუკუნე. იქნებ, ცოტა ხანს მაინც შეასვენეს მცი-რე ერთა ნიველირების ცხელი უთო?

არამც და არამც.

წითელმა ბოლშევიკურმა იმპერიამ სახეცვლილი იმპერიალიზ-მის მოდური ტერმინი „კოსმოპოლიტიზმი“ ახლებურად, თუმცა კოსმოპოლიტიზმის თვითარსას შემნარჩუნებელი „ინტერნაციონა-ლიზაციით“ შეცვალა.

XX საუკუნეში გლობალიზაცია მსოფლიო მოვლენად იქცა და ეს სრულიად ბუნებრივი გახლდათ იმიტომ, რომ სახელმწიფოთა ერთ საზღვრებში მოქცევის, ტექნიზაციის ლოკალური განვითა-რების პრობლემა დღის წესრიგიდან სწრაფად იხსნებოდა.

ჯოხი ისევ და ისევ მცირე სახელმწიფოებზე უნდა გადატე-ხილიყო.

რაკიდა გლობალიზაცია მსოფლიო მოვლენა გახდა და მცი-რე ერთა ყველაზე საშიში მტერი – ერთი მხრივ, მარქსიზმი და, მეორე მხრივ ფაშიზმი უკვე მსოფლიო იდეოლოგიის მონოპოლი-ისთვის სახელმწიფოთა კარებს უკაკუნებდა, სტალინი რადიკა-ლურად წინ ვერ აღუდგებოდა ინტერნაციონალიზაციის მოზ-ღვავებულ ტენდენციას, მით უმეტეს, რომ გლობალიზაციის ელემენტებს მის მიერ ლამის კერპად აღიარებული მარქსიზმიც უხვად შეიცავდა და წითელმა იმპერატორმა გამოსავალს მიაგნო: ყბადალებული ინტერნაციონალიზმის თუნდაც დროებით შესაფ-ერხებლად წამოისროლა ლოზუნგი:

„ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულ-ტურა“.

მეცნიერები დიდხანს ვერ ხვდებოდნენ, რომ ეს იყო თვით პა-ტარა ერის შვილის მიერ მცირე ერების გადასარჩენად გადაგდე-ბული მაშველი რგოლი, რათა ე.ნ. ისტორიული კუთხებისთვის ეროვნული გადაგვარება აეცილებინა.

ისტორიიდან სტალინის წასვლამ, რასაც რამდენიმე ათ წელი-წადში იმპერიის დაშლა მოჰყვა, რა თქმა უნდა, შეაჩერა ეგრეთ წო-დებული „საბჭოთა ერების“ უტოპიური წინსვლა კომუნიზმისაკენ.

თუ კომუნიზმის თეორიის საფუძვლებს ჩავაკვირდებით, მარ-ქსიზმ-ლენინიზმი სხვა არა იყო რა, თუ არა მსოფლიოს საყოველ-თაობის, ანუ გლობალიზაციის, ოკეანეში უიალქნოდ შეთრევის თეორია.

მარქსიზმის კლასიკოსებისთვის ცალ-ცალკე რომ გეკითხათ, ისინი, რა თქმა უნდა, მცირე ერებს პატივს სცემდნენ და ერთა თვითგამორკვევის ყბადალებული ლოზუნგიც არ იყო მათთვის უცხო, სინამდვილეში კი კომუნიზმი ერთა და კულტურათა ნივე-ლიორებას ნიშნავდა.

ზოგი მეცნიერი სერიოზულად მსჯელობდა იმაზე, თუ რა ენა ყოფილიყო კომუნიზმის ენა.

რა თქმა უნდა, საკომუნიზმო ენის შერჩევა რომელიმე მცირე ერის სასარგებლოდ ვერ გადაწყდებოდა.

ეს ენა ტოტალური სახელმწიფოს, ანუ, მაშინდელი ტერმინი რომ ვიხმაროთ, „უფროსი ძმის“ ენა უნდა ყოფილიყო.

დედამიწის ერთ მეექვსედზე გლობალიზაცია კომუნიზ-მისათვის ბრძოლის ფორმით ხორციელდებოდა, მაგრამ და-ნარჩენი მსოფლიო, რა თქმა უნდა, მსოფლიო გლობალიზა-ციის პროცესს ერთი წუთითაც არ გამოთიშვია.

ვითარდებოდა ტექნიკა, მსოფლიო რუკიდან ქრებოდნენ სახელმწიფოები და მეცნიერთა ერთი ჯგუფი იქამდეც კი მივიდა, რომ რაღაც ახალი, უნივერსალური მსოფლიო ენის, ე.ნ. ესპე-რანტოს შექმნაც კი მოიწადინა, რა თქმა უნდა, ეს გზაც, ისე როგორც კომუნიზმის შექმნის გზა საერთოდ, წარუმატებლად დამთავრდა.

თუ ევროპასა და ამერიკაში ცალკეულ ენათა და კულტურათა წინააღმდეგ ბრძოლა შედარებით კულტურულად, ანუ შენილბუ-ლი სახით, ხდებოდა, საბჭოთა კავშირმა ისევ ნაჯახურ პოლიტი-კას მიმართა და, რათა სტალინური შეყოვნების პერიოდი დაჩქა-რებული ტემპით გაევლო, 1978 წელს საკავშირო და ცალკეულ რესპუბლიკათა კონსტიტუციებიდან სახელმწიფო ენების ამოღე-ბა და სახელმწიფო ენად მხოლოდ რუსული ენის გამოცხადების დაკანონება სცადა.

ეს ფაქტობრივად ეროვნული ენების აკრძალვას ნიშნავდა. მაშინ საქართველომ იმარჯვა. განსხვავებით ყველა სხვა ე.ნ.

მოკავშირე რესპუბლიკისაგან, იგი წინ აღუდგა ქართული ენის გაქრობის ამ ვანდალურ ნაბიჯს, დაიწყო საერთო-სახალხო ამბო-ხება ამ პარტაროსული კონსტიტუციური რეფორმის წინააღმდეგ.

რუსთაველის პროსპექტზე ქართული ენის დასაცავად ასი ათასამდე კაცი გამოვიდა და პირველად წითელი იმპერიის ისტო-რიაში საბჭოთა კავშირის მთავრობაში უკან დაიხია.

ქართველებმა შეძლეს, შეენარჩუნებინათ ქართული ენა სახელმწიფო ენად, რაც თხუთმეტამდე რესპუბლიკისთვის სახ-ელმწიფო ენად თავთავიანთი ენების დაკანონებასაც ნიშნავდა.

ასე რომ, საქართველომ ეროვნულობის ატრიბუტის დაცვის მაგალითი კვლავ მისცა მსოფლიოს.

დადგა XXI საუკუნე და გლობალიზაციამ ახალი შეტევა და-იწყო ეროვნული კულტურების წინააღმდეგ. დღეს ამერიკანიზა-ციისა თუ ევროპეიზაციის გლობალურ პოლიტიკას „ინტეგრა-ციას“ უწოდებენ.

თანამედროვე მსოფლიოს საერთაშორისო უწყებებში სიტყვა „ეროვნული“ მოდაში აღარ არის.

გლობალიზაცია დღეს ალენ დალესის დოქტრინის ტლანქი ხელით უტევს ეროვნულ კულტურებს.

ნახეთ ამონარიდი ალენ დალესის დოქტრინიდან:

„ჩვენ დავთესავთ ქაოსს, შეუმჩნევლად შევცვლით ზნეობრივ ფასეულობებს და ვაიძულებთ მოსახლეობას, ირწმუნოს ყალბი ფასეულობები. ლიტერატურიდან, ხელოვნებიდან ჩვენ ამოვირ-კვავთ ეროვნულ-სოციალურ არსს. შემოქმედებით ინტელიგენ-ციას დავუკარგავთ ხალისს, გამოიკვლიონ და სწორად ასახონ მასების სილრმეში მიმდინარე პროცესები. ლიტერატურამ, თეატ-რმა, კინომ, პრესამ უნდა ასახონ და განადიდონ ადამიანთა ქვენა გრძნობები; ჩვენ ყოველნაირად ხელს შევუწყობთ იმ შემოქმე-დებით ინტელიგენციას, რომელიც ადამიანის შეგნებაში შეიტანს სექსის, ძალადობის, ღალატის, ბეზღლობის კულტს“.

რომ განვიხილოთ დალესის დემაგოგიური სისტემის თითოე-ული პუნქტი ცალ-ცალკე, დავინახავთ, რა სკრუპულობურობითა და „კეთილსინდისიერებით“ სრულდება იგი თითქმის მთელ მსოფ-ლიობი, გარდა მუსლიმანური ქვეყნებისა. მუსლიმანური სამყარო მძიმედ ემორჩილება გლობალიზაციის მსახვრალ ნებას, თუმცა

ეს არ ითქმის თურქეთზე. თურქეთმა მსოფლიო მასკულტურას (გლობალიზაციის ერთ-ერთი სახე) ამ ბოლო დროს საეჭვოდ აუ-წყო ფეხი.

შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაციამ მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში უკვე მიაღწია პირველ გამარჯვებებს. ჩვენ თვალწინ შეიცვალა ზნეობრივი ფასეულობები. ტელევიზი-ითა და ინტერ-ნეტსაიტებით დანაგვიანებულმა თანამედრო-ვე ადამიანის სულმა ლამის ირწმუნოს ის გარემოება, რომ პიროვნების თავისუფლების უპირველესი ხარისხი ტრადიციულ მორალურ კანონებზე უარის თქმასა და სქესობრივ აღვირახსნილობას ნიშნავს.

ეროვნულ შეხედულებათა და მაღალი მორალური კატეგორი-ების მიზანმიმართულმა წაშლამ შედეგად ის მოიტანა, რომ მკით-ხველი თანდათანობით ზურგს აქცევს ჭეშმარიტ ხელოვნებას და კლასიკური, ტრადიციული ხაზის გამგრძელებელ მწერლობას.

მასკულტურის ბაზარმა შეათამამა იაფფასიან უურნალიზმსა და უხამს პასაჟებს გამოდევნებული მწერალი და დღეს მკითხ-ველთა სოციალური გამოკითხვის სურათს უმძიმეს შთაბეჭ-დილებამდე მივყავართ: მკითხველი თითქმის აღარ კითხულობს ილია ჭავჭავაძესა და კონსტანტინე გამსა-ხურდიას, არ დადის მუზეუმებში და გამოფენებზე, სამაგიროდ ეტანება იმ გაუ-კულმართებულ ნაწარმოებებს, რომელთა ამ წიგნში ჩამოთვლას მკითხველს არ ვაკადრებ.

ქვეყანას რომ ეროვნული სახე დაუკარგოს, მსოფლიო გლო-ბალიზაციის კულისებს მიღმა მიმაღლული მამების ფარული თან-ხობით, ზოგიერთი ქვეყნის სამოქალაქო საბუთებიდან ამოღე-ბულ იქნა ეროვნულობის გრაფა და მოქალაქის მამის სახელი.

მსოფლიოში, სამოქალაქო საბუთებში, ეროვნულობის ხაზგას-მის ორი ფორმა არსებობს – ტრადიციული და ევროპული.

ტრადიციული ფორმა გულისხმობს საბუთებში პიროვნე-ბის ეროვნების კონკრეტულ მითითებას. დაბადების მოწმობაში, პირადობის მოწმობაში და თვით პასპორტშიც ინერება მოქალაქ-ის მამის ეროვნება (ქართველს – ქართველი, სომებს – სომები, გერმანელს – გერმანელი და ა. შ.).

ეროვნულობის ჩვენების ევროპული ფორმა გულისხმობს, რომ მოქალაქეს საბუთებში ჩაეწეროს ავტოქტონური, ანუ სახელმწი-

ფოს შემქმნელი ძირითადი ერის, ეროვნება. ასეა მთელი რიგი ევროპული სახელმწიფოებისა და ამერიკის პირადობის დამადასტურებელ საბუთებში. ზემოთალნიშნულ საბუთებში, სახელდობრ პასპორტში, წინ წამოწეულია გრაფა – მოქალაქეობა, ხოლო ფრჩხილებშია ჩატანილი ნაციონალობა. ესე იგი, იქ სახელმწიფოს მოქალაქეობა გაიგივებულია ნაციონალობასთან, მაგრამ, რაკი ნაციონალობის, ანუ ეროვნების, უქონლად ადამიანი არ არსებობს, ამიტომ ევროპულმა საბუთებმა სიტყვა „ნაციონალობა“ მაინც შეინარჩუნა. ერთი-ორი ქვეყნის საბუთებში კი რატომღაც სიტყვა „ეროვნებას“, ანუ „ნაციონალობას“, ვერსად წააწყდებით.

გლობალიზაციის „თავგადაკლულმა“ მომხრეებმა თვით გლობალიზაციის პრინციპებსაც წინ წაუსწრეს და გულდას-მით ამოშანთეს სიტყვა „ეროვნება“.

რაც შეეხება მამის სახელს, ესეც მსოფლიო გლობალიზაციის უსიტყვო თანხმობით წაიშალა საბუთებიდან.

მამის სახელს იმიტომ, რომ მოქალაქეს კავშირი არ ჰქონდეს თავის წინაპრებთან, თავის მშობლებთან, რათა დაევინებინა თავისი გვაროვნული წარმომავლობა და მანქურთად ქცეულიყო. და ეს მაშინ, როდესაც ესპანურ თუ არაბულ-სპარსულ გვარ-სახელებში წინაპართა თერთმეტი სახე-ლი მაინცაა ჩამოთვლილი.

ეროვნული ტრადიციების, ეროვნული ორიენტირების მოშლის სავალალო გეგმას ემსახურება ის ფაქტიც, რომ ეროვნულ სამეცნიერო აკადემიებში გააუქმეს ეროვნული ინსტიტუტები, და, რაც მთავარია, გააუქმეს რა აკადემიის პრეზიდიუმის მეურვეობა კვლევით ინსტიტუტებზე, ეს ინსტიტუტები თითქმის ჰაერში გამოკიდებულები დატოვეს.

სახელმწიფოს მიერ კვლევითი ჯგუფებისათვის გრანტის მინიჭება ხდება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ჯგუფის კვლევის მიმართულება საფუძვლიანადაა მოწყვეტილი ეროვნულ ნიადაგს და განყენებულ „ფილოსოფიურ სილრმეებში“ ჩხირკედელაობას გულისხმობს.

უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები გაათავისუფლეს ეროვნული პრობლემების მეცნიერული კვლევისაგან.

ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის ცინიზმი იქამდე მიდის, რომ აცხადებს: ჩვენ უმაღლეს სასწავლებლებში სახელოვანი მეცნიერები არ გვჭირდება, ჩვენ მხოლოდ დაქირავებული მასწავლებლები გვჭირდებათ.

გლობალიზაციის მსახვრალი თეორიის თანახმად, ახალგაზრდები უნდა აღვზარდოთ იმ შეგნებით, რომ მათ ფსიქიკაში ადგილი აღარ დარჩეს ეროვნული ღირებულებებისთვის. ცნება „სამშობლო“ და „მშობლიური მინა“ მსოფლიოს ახალი მოქალაქისთვის სრულიად უცხო ხილი უნდა გახდეს.

მსოფლიოს არაერთ სკოლასა თუ უმაღლეს სასწავლებელში ეროვნული იდეების შემცველ ნანარმოებებს აღარ ასწავლიან.

მცოცავი გლობალიზაციის ფინანსურ უზრუნველყოფას დედამინაზე ორი მონსტრი ახორციელებს – მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

სწორედ ამ ფინანსურ სფინქსებს ევალებათ კონტროლი გაუნიონ ე.ნ. მცირე (დაცინვით ზოგჯერ „არშემდგარსაც“ უწოდებენ) სახელმწიფოებს. ყოვლის ღონისძიებით ეცადონ, შეაფერხონ ადგილობრივი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება, ხელი შეუშალონ ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებასა და ჩამოყალიბებას.

გლობალიზაციის არტახებში მოქცეული ზოგიერთი პატარა სახელმწიფო მხოლოდ სამ პერსპექტიულ განასერში წარმოიდგინება:

- ა) ქვეყანა უნდა იქცეს სათანადო ინფრასტრუქტურის მქონე კურორტ-სახელმწიფოდ ფეშენებელური გზატკეცილებით, კეთილმოწყობილი ჰოტელ-სანატორიუმებითა და ტურისტული ფირმებით, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა თანდათან ჩამოყალიბდეს ამ დაწესებულებების მომსახურე პერსონალად.
- ბ) ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის მთავარ მიმართულებად იქცეს საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონლის გასაღება და ეკოლოგიურად სუფთა უმცირესი ნედლეულის მომზადება სხვა ქვეყნებში სარეალიზაციოდ.
- გ) ქვეყნის დამოუკიდებლობის ნაბიჯ-ნაბიჯ განსყიდვის ხარჯზე პოლიტიკური ცხოვრების მოდერნიზება, რაც

გულისხმობს მხარეებად დაქუცმაცებას და მმართველობის იმგვარი ფორმების შემოღებას, რომ ქვეყნას აღარ ჰქონდეს ერთიანი სახელმწიფო პრივატურები, გაქრეს ე.ნ. ცენტრალური აპარატი, დარჩეს მხოლოდ სათათბირო ორგანოები, რათა ქვეყნას აღარ გაუჩნდეს პრეტეზია საერთაშორისო ინსტიტუტებსა და სახელმწიფოთა შორის პროცესებში მონაწილეობისა.

ასეთია გლობალიზაციის ულმობელი განაჩენი.

გლობალიზაციის მსოფლიო პროცესი აქმდე დამთავრებული იქნებოდა, ხელს რომ არ უშლიდეს ზოგიერთი ზესახელმწიფოს მგლური მადა და ტერიტორიული მეკობრეობის ტრადიცია, რაც გლობალიზაციის „მშვიდ მდინარებაში“ წინამასწარობად აღიქმება.

სწორედ ეს გაუაზრებელი სიჩქარე, სხვის კარზე მიხტომითა და დაპყრობითი ოპერაციებით რომ იჩენს თავს, რა უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, გახლავთ გლობალიზაციის შემფერხებელი მოვლენა.

გლობალიზაციის მსოფლიო კანონებში ანაქრონიზმად ჩანს, თითქოსდა მისი დამაჩქარებელი, სინამდვილეში დამმუხრუჭებელი ღონისძიებანი:

რა საჭირო იყო ერაყსა და ავღანეთში ჯარების შეყვანა, ფიქრობენ გლობალიზაციის მსოფლიო მამები, როცა ამერიკას ხელთ ჰქონდა ეკონომიკური ბერკეტები ამ ქვეყნების თანდათანობით მშვიდი ფინანსური ანექსისა? რა საჭიროა რუსეთის მიერ საქართველოში ტანკების შეყვანა, როცა რუსეთი ამ ქვეყნის თითქმის 80% აკონტროლებს? გასაგებია, რომ ამ დაპყრობით ოპერაციებს ძირითადად ასულდგმულებს ამერიკისა და რუსეთის გამოუცხადებელი, ჩუმი ომი გავლენის სფეროების გაფართოებისათვის, მაგრამ განა ორივე ამ სახელმწიფოს მიზანი მოსალოდნელ გლობალურ მსოფლიოში ერთ საერთო მიზნად არ ნივთდება, განა რუსეთი და ამერიკა მსოფლიო გლობალიზაციისთვის თითქმის შეთანხმებულად, მხარდამხარ არ იბრძვიან?

თავდასხმას, ოკუპაციას, საერთოდ ძალმომრეობას, შედეგად ის მოსდევს, რომ მცირე ერები გლობალიზაციის ნირვანიდან

ერთბაშად გამოერკვევიან ხოლმე და იწყება წინააღმდეგობრივი მოძრაობა, ლოკალური ომები, ჩიდებიან პარ-ტიზანული რაზმები და პატრიოტული შენაერთები.

ქვეყანაში ეროვნული მუხტი იფეთქებს და უპირისპირდება გლობალისტთა მშვიდ კაბინეტებში შედგენილ სქემებს.

ოკუპირებულ ან წახევრადოკუპირებულ ქვეყნებს ბუნებრივი სურვილი უჩნდებათ, მიმართონ საერთაშორისო დიპლომატიურ სამსახურებს – გაეროს, ევროკავშირს, ევროპარლამენტს და ა.შ. რაკიდა ჯერ კიდევ შერჩათ რწმენა ამ „მსოფლიო არბიტრებისადმი“. მიმართვის ძირითადი პათოსი ყოველთვის ერთი და იგივეა - „მიშველეთ, მე – სუსტს მჩაგრავს ძლიერი, დამიპყრო, მიწასთან გამასწორა!“

მსოფლიო ინსტიტუტები არ ამადლიან დაჩაგრულ სახელმწიფოებს თავანთ პირფერულ თანაგრძნობასა და შეშფოთებას, აგრესორს ზოგჯერ ყასიდად „გააფრთხილებენ“ ხოლმე, ძირითადად კი ორივე მხარეს ბრძნულად ურჩევენ – „მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდებს“.

შედეგი აბსოლუტურად ნულია დაპყრობილი ქვეყნისათვის.

რა არის ამის მიზეზი? მიზეზის ახსნის საიდუმლო ერთ ბრძნულ ქართულ ანდაზაშია: „მგელი მგლის ტყავს არ დახევს“.

ფაქტობრივად ხომ ორივე მხარე – გამსჯელი (გაერო, ევროკავშირი, ევროპარლამენტი...) და ოკუპანტი ერთ საქმეს – მსოფლიოს გლობალიზაციის „წმიდათანმიდა საქმეს“ ემსახურება? ამიტომაც რატომ აიტკივებენ თავს წინასწარ განწირული, პატარა, ჭირვეული სახელმწიფოსთვის?

გლობალიზაციის ყველაზე აქტიური ხელშემწყობი, გარდა იმპერიული მსოფლიო იდეოლოგიისა, მეცნიერულ-ტექ-ნიკური რევოლუცია გახლავთ, რომელსაც, სამწუხაროდ, წინ ვერ აღვუდებით და ასეთი ნაბიჯის გადადგმა უაზრობაც იქნებოდა. გამოსავალი ის არის, რომ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესსაც მივყვეთ და ეროვნული სახეც შევინარჩუნოთ.

ათეული წლების განმავლობაში ქართველი მეცნიერები თანმიმდევრულად იღვწოდნენ ეკონომიკური და ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნის მიზნით.

რატომლაც ეს საქმე დღეს ზოგიერთ სწავლულს დროის ფუჭ ხარჯვად მიაჩნია და წალეკა ჩვენი ენა უცხოურმა ტერმინებმა მაშინაც კი, როცა ზოგიერთი მოვლენის ასახსნელად სათანადო ლექსიკური ერთეული თვით ქართულ ენაშივე მოიპოვება.

ბევრიც რომ ვეცადოთ, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბრჭყალებიდან თავს მთლიანად ველარ დავიხსნით, მაგრამ ყოვლის ღონისძიებით უნდა ვეცადოთ, თუნდაც სანახევრო ეკონომიკური დამოუკიდებლობა მაინც მოვიპოვოთ. ამის მიღწევა კი შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის დაუცხრომელი განვითარებით, და, რაც მთავარია, ეროვნული ვალუტის გაძლიერებით.

ასე რომ, მსოფლიო გლობალიზაციის მოახლოებულ, ყალყზე შემდგარ ოკეანეს, რომელიც მცირე ერებსა და სახელმწიფოებს ჩაყლაპვას უქადის, უნდა ვუპასუხოთ ეროვნული კულტურის, ეროვნული ფენომენის გაძლიერებით. დღეს ერმაც და პერმაც ერთი მთავარი საქმე უნდა ვაკეთოთ: წინ აღვუდგეთ ეროვნული სახის წაშლის ყოველგვარ მცდელობას. სხვა აღარაფერი გადაგვარჩენს.

## მსოფლიო კულტურის მცველალები

ადამიანის მხატვრული აზროვნების შესაძლებლობანი უკიდეგანო და ამოუწურავია.

თუ მეცნიერი სამყაროს შემეცნების ურთულეს გზაზე დიდი აღმოჩენის შემდეგ გარკვეულ კარიბჭეს მიადგება, რაც მიანიშნებს, რომ ეს პრობლემა უკვე დაძლეულია და გონებამ ახალ გზებზე უნდა იფიქროს, მხატვრულ აზროვნებას ასეთი ზღუდეები არ გააჩნია.

მხატვრის ფანტაზიას საზღვრები არა აქვს და, მის წიაღში თუ რამეა პირობითი და საეჭვო, ასეთი სწორედ სიტყვა „დასასრული“ გახლავთ. წერტილის დასმა აქ დიდ პატივში არ არის.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კულტურის მონაპოვარს მაძიებელი გონების ყოველგვარი, კაცობრიობისთვის სასიკეთო, ნაბიჯი წარმოადგენს. ამიტომ ჩვენ მარტოოდენ იმ მხატვრულ სიმაღლეებზე როდი შევჩერდებით, კაცობრიობას დღემდე რომ აოცებს და იმ სასიამოვნო გაოცებით სულის გაკეთილშობილებას უწყობს ხელს, კეთილ, სპეტაკ გრძნობებს რომ გვაზიარებს. დიახ, სასწაულის ტოლფასია ყველა სიახლე, სამყაროს შეცნობის ასპარეზზე მიღწეული. ცეცხლის პირველდამნთებმა და პირველი ნავის გამთლელმა კოპერნიკუსა და ჟოლიო-კუურიზე წატივი როდი დასდეს კაცობრიობის მეცნიერულ ცივილიზაციას. ურმის თვლის პირველი გამკეთებლისა და წისქვილის გამომგონებლის ღვაწლი თრთქლის ძრავის შემქმნელისა და ატომის აღმომჩენის გვერდით უნდა მოიხსენიებოდეს. ხომ საოცრებათა საოცრებაა კინოს, ტელევიზორისა და კომპიუტერის მირთმევა მსოფლიოსათვის, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, სამივე ამ იგავმიუწდომელ აღმოჩენას ლიბო-საფუძველი პირველი ასოების და მერე ანბანის შემქმნელმა შუმერებმა და ფინიკიელებმა, ქადალდის შემქმნელმა ჩინელებმა და დირიჟაბლის შემქმნელმა ეპოპელებმა ჩაუყარეს.

გონება ვერ სწვდება ცივილიზაციისკენ მიმსწრაფი კაცობრიობის წინააღმდეგობრივ ბუნებას. ფილოსოფოსები თავს იმტვრევენ და ვერ აუხსნიათ, როგორ ხდება, რომ ერთნი კაცობრიობის ცოდნას ახალი აღმოჩენებით ამდიდრებენ და მეო-

რენი ისევ და ისევ იმ აღმოჩენებს ათასეულთა განადგურებისკენ მიმართავენ. ერთინი სემირამიდას ბალებს აშენებენ და მეორენი ბაბილონს ბომბებს აყრიან, ერთინი იერუსალიმის დიდ ტაძარს აშენებენ და მეორენი იმ ტაძრის იავარქემნას ესწრაფვიან, ერთინი ტაჯმაპალს აჩუქურთმებენ და მეორენი ავლანეთს ცეცხლს უკიდებენ.

როგორ გვინდა, ადამიანის სრულქმნის ხაზი აღმავალი იყოს და ამ გზაზე თუნდაც მციროდენი წესრიგი შევნიშნოთ, მაგრამ, რაც დრო გადის, სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების კვალი უფრო და უფრო ძნელი შესამჩნევი ხდება და XXI საუკუნის ადამიანის სული დაიღალა ყალბი სიდიდეებისა და პირობითი ჭეშმარიტებების გაუთავებელი გადამდერებით.

რა ხდება? ნუთუ განწირულია კაცობრიობა და სულის განმენდა-სრულყოფის მცდელობაზე ერთხელ და სამუდამოდ ხელი უნდა ჩავიქწიოთ?

მაშ, როგორ ხდება, რომ, როცა ტექნიკის ფეიერვერკია, ატომის აღმოჩენით რომ დავაგვირგვინეთ, ერთის მხრივ, არსობის პურის მოპოვების არნახული შესაძლებლობანი გადაგვიშალა და, მეორეს მხრივ, დამოკლეს მახვილივით დაკიდა ჩვენს თავზე ბირთვული ომის საფრთხე? როგორ ხდება, რომ თანამგზავრები ახალ-ახალი პლანეტებისკენ მიქრიან და მსოფლიოში რამდენიმე არცთუ დიდი გონებრივი გასაგისის პატრონ პრეზიდენტს სამუშაო მაგიდაზე უდევს პატარა ჩემოდანი, რომლის გახსნითა და ღილაკზე თითის დაჭრით შეიძლება დედამიწა აფეთქდეს და ცივილიზაციის მრავალსაუკუნოვანი მონაპოვარი ცეცხლმა შთანთქას?

და მაინც არსებობს ერთი სფერო ადამიანის არსებობისა, ერთი ღვთითკურთხეული სახე პიროვნების სულიერი ცხოვრებისა, რომელიც ჯიუტად წინ აღუდება ხოლმე კეთილად მოქცევის გზაზე ნარმოშობილ ყოველგვარ ეჭვს და თავისი მაგიური არსებობით გვაიძულებს მივყვეთ სულიერი კათარზისისკენ. მას კულტურა ჰქვია.

კულტურის ჭეშმარიტ ნაწარმოებს არა მარტო ჩვენი გაკეთილშიბილების ფუნქცია აქვს, ამ ბოლო დროს მისი წმინდა ბიოლოგიურ-სამედიცინო სასიკეთო თვისებებიც აღმოაჩინეს მეცნი-

ერებმა. გაირკვა, რომ ხელოვნების ნაწარმოებით ტკბობა ტვინის უჯრედებს ატროფიისაგან იცავს და ადამიანს სიცოცხლეს უხანგრძლივებს.

ისინი, ვინც მხატვრული აზროვნების უნარით დააჯილდოვა ბუნებამ, კალამს ჰკიდებენ ხელს თუ ლირას, ფუნჯს იმარჯვებენ თუ საჭრეთელს, ერთდროულად ორ რამეს ესწრაფვიან: ჯერ ერთი, თვითდამკიდრების, პიროვნული თავისუფლებისთვის იბრძვიან და, მეორე-ესთეტიკური სიამოვნების განცდის იმ განუმეორებელ წამებს ეზიარებიან, რისი მინიჭებაც მარტოოდნ ხელოვნებას ძალუძს.

მსოფლიო კულტურის მიღწევათა აღნუსხვა დღემდე შექმნილი ასეულობით ტომითაც ვერ ხერხდება, მაგრამ მაინც შევეცადოთ ერთი თვალის შევლებით გავისიგრძეგანოთ კულტურის მიღწევათა ის მინიმუმი მაინც, რისი ცოდნაც ყოველ კულტურულ პიროვნებას მოეთხოვება.

იმის შემდეგ, რაც ადამიანის მსგავსმა არსებამ გაიარა მტანჯველი პერიოდი ადამიანად ქცევამდე, რაც ჩაიარეს ათასწლეულებმა მიმიკისა და ზმუილის ენიდან მოვლენათა მუსიკალურმიბაძვითი პირველი სიტყვების დაბადებამდე, კაცობრიობის კულტურის პირველ მწვერვალებად შუმერები აღმართულან.

შუმერთა სახელმწიფო ექვსი ათასი წლის წინათ განმტკიცდა ტიგროსისა და ევფრატის ნაპირებზე და მოიცვა თითქმის მთელი შუამდინარეთი, მესოპოტამია ბაბილონითურთ, შემოიერთა ასირია, ქალდეა, ირანის ნაწილი და ბოლოს მცირე სახელმწიფოებად დაშლილი არამეულ კულტურად დაკრისტალდა. არამეული კულტურა კი უძველეს საქართველოსაც მოსწვდა, საქართველოშიც არაერთგანაა აღმოჩენილი არამეული წარწერები. შუმერულ კულტურას ისტორიკოსები მესოპოტამიური, შუამდინარული ან ბაბილონური კულტურის სახელითაც მოიხსენიებენ.

შუმერთა უპირველესი დამსახურება კაცობრიობის წინაშე ის გახლავთ, რომ შემოილეს დამწერლობა. ჯერ ხატოვანი (სათქმელის ნახატებით გადმოცემა) დამწერლობა ასწავლეს ადამიანს, მერე ხატოვანი დამწერლობა იეროგლიფურით შეცვალეს და ბოლოს მსოფლიო ასოებით გაამდიდრეს. კაწვრის გრაფიკული მეთოდის გამო შუმერულ ასოებს შემდგომ მეცნიერებმა

ლურსმნული დამწერლობა უწოდეს. ეს იყო უდიდესი აღმოჩენა, ან და მარადის ადამიანს შეეძლო სიტყვა ბერეათა აღმნიშვნელი ასო-ნიშნით დაეწერა. განუზომელია დამწერლობის დამსახურება ლიტერატურის, მეცნიერებისა, თუ, გნებავთ, ეპისტოლარული საქმიანობის წინაშე.

დამწერლობის დიდებული ძალისხმევით შუმერებმა შეძლეს კაცობრიობისთვის სამუდამოდ შემოენახათ შუმერული მითები, საზოგადოების ევოლუციური განვითარების უპირველეს ნიშნებს რომ შეიცავენ. იმ მითებიდან უმთავრესია „გილგამეშის ეპოსი“ – ჩვენამდე შემორჩენილი დედამიწის ერთ-ერთი უპირველესი მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც გენიალურად ჩანს ადა-მიანის პირველი შინაგანი პროტესტი ისეთი ტრივიალური ჭეშ-მარიტებისადმი, როგორიც გახლავთ დაბადება, სიცოცხლე, სიკ-ვდილი. მართალია, გილგამეში უკვდავების მოპოვების გზაზე მარცხდება, მაგრამ თვით მისი სურვილი სიცოცხლის გაუკვდავ-ებისა ნათელ იმედად შემორჩა კაცობრიობას. ესაა „გილგამეშია-ნის“ სიბრძნის საიდუმლო.

გარდა ამისა, შუმერებმა სხვა არაერთი ცოდნითაც გაამ-დიდრეს არა მარტო მათი თანადროული მსოფლიო, არამედ შემდგომი საუკუნეების მოქალაქენიც. შუმერებმა შექმნეს მა-თემატიკა, რითაც საფუძველი დაუდეს ანგარიშიანობას არა მარტო აღებმიცემობაში, არამედ პირველი სახელმწიფოს ლიბოც გაამაგრეს. შუმერთა სამეფოში დაიწერა ჰამურაბის კანონები. შუმერებმა შექმნეს ჯერ ქვიშის, მოგვიანებით კი მზის საათი, მათვე შეძლეს წელიწადის 365 დღედ, დღე-ღამის 24 საათად, ხოლო საათის 60 წუთად დაყოფა. რა ადვილია შუმერულ საო-ცრებათა ასე სახელდახელოდ ჩამოთვლა, მაგრამ წარმოიდგინეთ, რა ფასდაუდებელი განძია ცივილიზაციის განვითარებისათვის თითოეული შუმერული აღმოჩენა.

შუმერებს ფეხდაფეხ მოჰყვნენ ფინიკიელები და ჩვენს წელ-თაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულში მათი დაუცხრომელი მეცადინეობით მსოფლიო კულტურის პორიზინტზე კიდევ ერთი მწვერვალი აღიმართა, ფინიკიელებმა შექმნეს ანბანი. ალფავი-ტზე (ალფასა და ბეტაზე) დალაგებული ფინიკიური ანბანი უკვე აღარ იყო ლურსმნული დამწერლობა. ამიერიდან ყოველ ბერას

თავისი გრაფიკული ნიშანი ჰქონდა და აზრის თიხის ფირფიტასა, თუ პაპირუსზე გადატანა გაცილებით უფრო იოლი იყო. ფინიკი-ელებისგან ანბანი ბერძნებმა გადაიღეს, ბერძნებიდან კი ლამის მთელმა მსოფლიომ (სპარსელების, არაბებისა და იორიგლიფური დამწერლობის მქონე ხალხების გარდა) დაიწყო ფინიკიური ანბა-ნით სარგებლობა. ფინიკიურის სახეცვლილი ვარიანტია ლათი-ნური და, რა თქმა უნდა, ქართული ასომთავრული ანბანიც. თუმცა ქართული ასომთავრულის შესახებ არსებობს მოსაზრება (თ. მიბჩუანი. ზ. ქაფიანიძე) რომ იგი შუმერული ანბანის პირველ-სახეა, რასაც შუმერული და ქართული ცივილიზაციების საერთო სათავემდე (ეროვნულ იდენტურობამდეც კი) მივყავართ, მაგრამ ამ გაბედულ თვალსაზრისს უფრო მტკიცე მეცნიერული დასაბ-უთება სჭირდება, რაც, აღბათ, მომავალ მკვლევართა საქმეა.

ხომ მარტო ანბანი ეყოფოდა ფინიკიას მსოფლიო კულტურის ისტორიაში სამუდამოდ დამკიდრებისთვის, მაგრამ, თუ ამას დავუმატებთ ფინიკიელთა მიერ სარწყავი ბორბლის (წყალსაქაჩი) გამოგონებას და ხომალდთმშენებლობის პირველ წარმატებულ ცდებს, დავრწმუნდებით, რა მაღალი კულტურის მატარებელი ყოფილა შუმერთა კულტურული მემკვიდრე ფინიკია და რა უს-ამართლოა ზოგჯერ ისტორია, რაკილა დრომ თუ მსახვრალმა ბედმა პირნმინდად აღვავა პირისაგან მიწისა შუმერები და ფინი-კიელები.

ოთხი ათასი წლის წინათ ფარაონთა ეგვიპტეში ძლიერთა ამა ქვეყნისათა ბაბილონელთა მსგავსად ერთხელ კიდევ სცადეს წინ აღდგომოდნენ სიკვდილის გარდუვალობას. ეს ქვეცნობიერი სწრაფვა იყო გაუკვდავებისკენ, თორემ ფარაონებმა და მით უმე-ტეს მდაბიობებმა მშვენივრად უწყობდნენ რომ ყველაფერი ღმერ-თების წება იყო და ფარაონები კი არ იხოცებოდნენ, არამედ სხვა სინამდვილეში გარდაისახებოდნენ. და მაინც თუნდაც პირობით სიკვდილთან ვერშეგუების ჯიუტი წება იმდენად ძლიერი იყო, რომ ამ წებას ასიათასობით ადამიანის ენერგია და აურაცხელი სიმდიდრე ეწირებოდა.

ასე და ამრიგად, ნილოსის პირად, საპარისა და ლიბიის უდაბ-ნოებში, აღიმართნენ უზარმაზარი კონუსისებური საკულტო ნაგებობანი – პირამიდები. ლამის ორასმეტრიანმა ამ საოცარმა

ნაგებობებმა ფარაონების ფიზიკური უკვდავება ვერ უზრუნველყვეს, მაგრამ ფარაონთა სიმბოლურ გაუკვდა-ვებას დიდად შეუწყვეს ხელი და, რაც მთავარია, თვით პირამიდები შემორჩენენ მსოფლიო კულტურის ისტორიას, როგორც ულამაზესი ძეგლები, რომელთა გრანდიოზულობა დღესაც აოცებს მნახველს.

ნაპოლეონ ბონაპარტე ეგვიპტის დალაშქვრისას პირამიდების დიდებულებამ ისე მონუსხა, რომ პირამიდების ჩრდილში მხედრობა შეაჩერა და მიმართა: „ჰე თქვენ, ფრანგებო, ამ პირამიდებიდან ახლა 40 საუკუნე შემოგყურებთ და ვინძლო არა-სოდეს დაივიწყოთ ეს სასწაული!“

ეგვიპტის პირამიდები ისტორიის მამამ ჰეროდოტემ მსოფლიოს 7 საოცრებათა სიაში შეიტანა. სანამ თვით პირამიდებზე ვიტყოდეთ რასმე, ზედმეტი არ იქნება ჩამოვთვალით მსოფლიოს 7 საოცრება, ესენია: ეგვიპტის პირამიდები, ალექსანდრიის შუქურა, როდოსის კოლონი, სემირამიდას (ანუ ბაბილონის) დაკიდებული ბაღები, ზევსის ქანდაკება, ჰალიკარნასის მავზოლეუმი და არტემიდას ტაძარი ეფესოში.

ამ შვიდი საოცრებიდან, სამწუხაროდ, დღეს მხოლოდ ეგვიპტის პირამიდები შემოგვრჩა. უამთა ულმობელმა ცვლამ თუ მიწისძვრებმა (ზოგჯერ კაცთა უგუნურებამაც) გაანადგურა დედამიწის ეს განუმეორებელი საოცრებანი. იავარქმნილია საბერძნეთის მშვენება – ზევსის ქანდაკება, გემებს გზას აღარ უნათებს ალექსანდრიის შუქურა, მიახლოებითი ადგილის დადგენაღა ხერხდება სემირამიდის კიდუღი ბაღებისა ნაბუქოდონოსორმა თავისი უმშვენიერესი დედოფლის – ამიტასთვის რომ გააკეთებინა; აღარ არის პითეოსის მიერ დაპროექტებული და მავსოლეს მიერ აგებული ჰალიკარნასის (ძვ. წ. IV საუკუნე) გრანდიოზული მავზოლეუმი; მიწისძვრამ დაანგრია კუნძულ როდოსზე ზღვაში ჩადგმული ჰელიოსის უზარმაზარი ქანდაკება „როდოსის კოლონი“; ბედის უკულმართობამ არც არტემიდას საოცარი ტაძარი დაინდო...

კაცმა რომ თქვას, ჰეროდოტესეული (ძვ. წ. V საუკუნე) შვიდი საოცრება ჰეროდოტეს დროის მასშტაბებით გახლავთ ისტორიისთვის სამაგალითო შვიდეული, თორემ დღეისთვის, რასაკვირველია, თავისი საკრალური კანონიკურობა დაკარგული აქვა,

რადგანაც ამ სიის გაგრძელება თვით საუკუნეთა მანძილზე შექმნილმა ახალმა ძეგლებმა თუ არქეოლოგიურმა გათხრებმა გახადა შესაძლებელი. მაგალითად: რატომ არ უნდა დაემატოს ამ შვიდ საოცრებას მაიას ტომის კულტურა (ამერიკა), ტროას ნანგრევები (საბერძნეთი–წინა აზია), ჩინეთის დიდი კედელი (ჩინეთი), ტაჯმა-ზალის ტაძარი (ინდოეთი), ეიფელის კოშკი (საფრანგეთი), ცათამბჯენები (ნიუ-იორკი), წმინდა ჰეტრეს ტაძარი (იტალია) და ა.შ.

ჯოსერის, ხეფრენის, ხეოფსის და მიკერინის უზარმაზარი პირამიდების გარდა ეგვიპტეში ათეულობით სხვა, შედარებით მომცრო პირამიდებია აგებული. თითოეული პირამიდის აშენებას სამუალოდ 20-30 წელი სჭირდებოდა. სამშენებლო მასალად გამოყენებულია მარმარილოს, ბაზალტისა და გრანიტიობითი ტლილი ქვები. თითოეული ქვის ადგილიდან დაძვრას 80-100 კაცი მაინც სჭირდება. ბაზალტისა და მარმარილოს საბაზოები პირამიდებიდან 40 კმ-ის მანძილზეა დაშორებული, ხოლო გრანიტის სამტებლოები კი დაახლოებით 100 კმ-ზე მდებარეობდა. წარმოიდგინეთ, რა ძალის სხმევა დასჭირდებოდა ამ მანძილიდან ქვის მოტანას იმდროინდელ პირობებში. შთაბეჭდილება ისეთი რჩება, რომ ფარაონები გამეფებისთანავე იწყებდნენ თავიანთი საუკუნო განსასვენებლის – პირამიდის აგებას. მეცნიერებმა დღემდე ვერ გასცეს პასუხი კითხვაზე, თუ როგორ ახერხებდნენ პირამიდების მშენებლები ქვათა ასი მეტრის (და უფრო მეტის) სიმაღლეზე ატანას მაშინ, როცა არ არსებობდა ამწე და დადგენილია, რომ იმ ქვების დაწყობა თანამედროვე ზემძღვანი ამწებითაც კი გაჭირდებოდა. აქვე მხედველობაში ის გარემოებაცაა მისაღები, რომ მშენებლები არ ხმარობდნენ ერთ მისხალ დუღაბსაც კი, ქვის ქვაზე უზუსტესი მორგებით იმდროინდელი ხუროები სასწაულებს ახდენდნენ. წარმოიდგინეთ, რომ სეისმური მდგრადობით ეგვიპტურ პირამიდებს დედამიწაზე არსებულ შენობათა შორის ბადალი არა ჰყავს. მეცნიერებს საპირამიდო ქვების ტრანსპორტირებასა და მაღლა ატანაზე ასეთი ვარაუდი აქვთ: ქვები მოჰქონდათ ათეულ კილომეტრზე ხის მორებზე გადაგორების მეთოდით, ხოლო განყობა ხდებოდა ქვის თითოეული ფენის ირგვლივ მიწის დიდი მასის დაყრით, მერე იმ მიწის დატკეპნით და ისევ მორებზე გაგორების ხერხით კიდევ

ერთ საფეხურზე ატანით. ამ ოპერაციას დაახლოებით ერთ-დროულად ათი ათასი კაცი მაინც სჭირდებოდა. დაუმატეთ ამას უდაბნოს ხვატი, უმძიმესი საცხოვრებელი პირობები, შიმშილი და ეპიდემია, რათა ნაწილობრივ მაინც წარმოიდგინოთ პირამიდების ამშენებელ მონათა ყოფა.

გარებული დიდებულების გარდა, საოცარია პირამიდათა შინაგანი იერი. ფარაონის მუმია დაკრძალული იყო პირა-მიდის ცენტრში, სათანადო აკლდამაში, ხოლო აკლდამასთან მისასვლელი გზა ლაპირინთი გახლდათ. იყო რამდენიმე ცრუშესასვლელი, ანუ სიკვდილის, ლაპირინთი, საიდანაც შემსვლელს უკან გამოსვლა გაუჭირდებოდა. ერთადერთი გზა – ლაპირინთი – მიდიოდა აკლდამამდე. აკლდამაში უზარმაზარი სარკოფაგი იდგა და ფარაონის მუმია დაფარული იყო რამდენიმეფეხნოვანი ოქროს ნიღბით, რაც მუმიის ჰერმეტულ შენახვას უზრუნველყოფდა. აკლდამებთან მეცნიერული ლამპრით მისავლისას აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა სარკოფაგი გაძარცვული იყო. შედარებით უვნებლად გახლდათ შემორჩენილი ტუტანჰამონისა და ჰეტემპერესის მუმიები.

განციფრებას იწვევს და დღემდე ამოუხსნელია ეგვიპტური დაბალზამების წესი. ასობით მუმიაა დასვენებული კაიროსა თუ ბრიტანეთის მუზეუმებში და, თქვენ წარმოიდგინეთ, 4000 წლის წინანდელ მიცვალებულებს დღემდე შემორჩენილი აქვთ სახის კანი და თმა. როგორ ხერხდებოდა მიცვალებულის მომზადება ე.წ. „მარადიული სიცოცხლისათვის?“ რა წამლებს თუ სანელებლებს ხმარობდნენ ეგვიპტელები, რომ გვამი არ გახრნილიყო? არა მარტო ადამიანთა დაბალზამებას ახერხებდნენ, არამედ ეგვიპტელმა ქურუმებმა ცხოველ-ფრინველთა და მცენარეთა დაბალზამებაც იცოდნენ. მაგალითად, ტუტანჰამონის სარკოფაგზე დღესაც აწყვია დაბალზამებული ვარდების თაიგული, რომელიც მისმა 13 წლის მეუღლემ სამი ათასზე მეტი წლის წინათ დააწყო და საოცარი ის გახლავთ, რომ ვარდები გუშინ-დელი დაკრეფილი გეგონებათ.

ძველმა ეგვიპტელებმა, სამწუხაროდ, დაბალზამების, ისე როგორც პირამიდების აგების, საიდუმლო თან წაიყოლეს.

პირამიდების გვერდით კიდევ ერთი საოცრება იპყრობს ეგვიპტეში ჩასული კაცის ყურადღებას. ეს გახლავთ სფინქსის

ქანდაკება. სფინქსს ლომის ტანი და ადამიანის თავი აქვს, იგი ფარაონის სიმბოლური სახეა ფარაონისვე წვერითა და მრისხანე გამომეტყველებით. სფინქსის სიგრძე დაახლოებით სამოცი მეტრია, ხოლო სიმაღლე 22 მეტრი. მართალია, რეფრენადაა ქცეული გამოთქმა „სფინქსის გამოცანა“, როგორც ძნელად ასახსნელი მოვლენის სიმბოლო, თუმცა სფინქსის ქანდაკებაში გამოუცნობი თითქმის არაფერია. ეს გახლავთ ფარაონის ძლიერების, მისი ერთმპყრობელობის (ლომის ტანი) და სიბრძნის, შეუვალობის (ფარაონის სახე, წვერი...) დემონსტრირება. მოკლედ რომ ვთქვათ, ეგვიპტური კულტურა პირამიდებივით მონუმენტურია და ნეფერტიმის პროფილივით დახვეწილი.

ცივილიზაციის ათასასწლოვან ხალიჩას გაუხუნარ გვირისტებად აბნევია აღმოსავლური კულტურის უკვდავი ნიმუშები. ხუანხესა და ჰინდის ნაპირებზე, ირანის რუს ტრამალებსა და იაპონიის კუნძულებზე იქმნებოდა კულტურის ნიმუშები, რომელთა მისტიკურ-იდუმალი განსაკუთრებულობა და უანრულ-სახეობრივი თანხვედრა იმაზე მეტყველებს, რომ საქმე გვაქვს ერთი კულტურული აუზის ფენომენთან – აზიური კულტურა რომ ჰქვია.

ჩინეთიდან შემოგვანათებს ლაო ძისა და კონფუცის იდეალური სახელმწიფო სისტემის შემნისათვის მოწოდებული ფილოსოფიური მოძღვრებები და ამ მოძღვრებათა ხან საფუძვლად, ხანაც შედეგად დარწეული უმშვენიერესი ძეგლები თვითმყოფადი ჩინური კულტურისა. რა ორიგინალური უნდა ყოფილიყო, ჩემი ფიქრით, მსოფლიოს კიდევ ერთი საოცრებით ჩინური კედლით (6000 კმ. სიგრძისა) შემორაგვული ჩინეთი, რომ მსოფლიო განუმეორებელი ჩინური აბრეშუმით (აბრეშუმის ერთი გზა საქართველოზეც გადიოდა) შეემოსა და კაცობრიობისთვის ესწავლებინა ქალადის წარმოება და ნიგნის ბეჭდვა; შეექმნა კერამიკისა და ფაიფურის განუმეორებელი ნიმუშები. იქვე, მეზობლად, ერთი ზღვის იქეთ, იაპონიაში, საფუძველი ეყრებოდა პირველ დრამატულ და საოპერო თეატრებს, იქმნებოდა პირველი ლექსიკონები და ენციკლოპედიები, სასწაულებს აღწევდა სახალხო მედიცინა ქირურგისა და სასწაულმოქმედ ჰომეოპათიურ მალამოთა მიმართულებით. აღმოჩენილია, რომ იაპონელები უხსოვარი დროიდან ფლობდნენ შინაგან ორგანოთა გადანერგვის ხელოვნებას.

ბრაჟმასა და ბუდას ლვთაებრივი შუქით დაუნჯებულმა ინდოელი კაცის გონებამ შექმნა ჭეშმარიტად სამეფო თამაში – ჭადრაკი. სპორტის ამ სახეობას თავისი განსაცვიფრებელი სიმწყობრისა და იდუმალი სვლა-ხვეულების გამო თამაშს მოწინებითლა თუ ვუწოდებთ. ცეცხლმა შთანთქა და წელინადთა მეხთატეხამ გაანადგურა ბრაჟმასა თუ ბუდას სახელობის ხის ტაძრები, მაგრამ სამუდამოდ შემორჩა ინდოეთის მწვანეხავერდოვან მიწას ულამაზესი თეთრი გედი – ტაჯმაპალის მუსლიმანური ტაძარი მავზოლეუმი, ჰაეროვნებისა და სინატიფის სიმბოლო, ძვირფასი ქვების ათასფეროვანი მოზაიკით დამშვენებული ტაძარი. ლიტერატურის ისტორიას კაშაშა ვარსკვლავებად შემორჩენ ინდური ეპოსის ძეგლები „მაპაბჲარატა“, „კამისუტრა“, „ნატიაშასტრა“ და „რამაიანა“. ამ უკანასკნელმა სიყვარულის აპოლოგიისა და რაინდობის უკვდავი იდეებით ინდოელთა (და არა მარტი ინდოელთა) მთელი თაობები აღზარდა.

აღმოსავლური კულტურის ოკეანეში ცალკე კუნძულად მოჩანს სპარსული (ირანული) კულტურა. ბრძენი და პირქუში ირანი არა მარტო მრისხანე დამპყრობელი იყო (გაიხ-სენეთ კიროსი, დარიოსი) მეზობელთათვის, არამედ დიდი თვითმყოფადი კულტურის შემქმნელი და გამავრცელებელი ახლო აღმოსავლეთში.

ხომ თვალისმომჭრელია აქემენიანთა ირანის სამეფო სასახლეები პერსეპოლისსა თუ ფასარდაგში, ხომ გრანდიოზულია შაპ-აბასის სასახლე და უნდილაძის ხიდი ისპაპაში, ხომ განუმეორებელია სპარსული ოქრომჭედლობის ნიმუშები და მინიატურული მხატვრობა, მაგრამ სპარსეთის წვლილი მსოფლიო კულტურის ისტორიაში მისი სწორუპოვარი პოეზიით განიზომება:

ფირდოუსის, რუდაქის, ნიზამი განჯელის, ომარ ხაიამის, ჯამის შემოქმედებამ მსოფლიო ლიტერატურაში დაამკვიდრა ირანული მწერლობის ფენომენი, ხოლო „შაპ-ნამე“, „ლეილ მაჯნუნიანი“, „სიბრძნე ბალვარისა“ და „ფარხად-შირინიანი“ ის კლასიკური პოემებია, აღმოსავლურ პოეზიაში ეპიკურ უანრს რომ დაუდეს სათავე და სპარსულ ლიტერატურას სახელი და დიდება შესძინეს.

კულტურის ისტორიაში ებრაელი ერის დამსახურების გაზვიადება ძნელია. ამ მრავალტანჯულმა ხალხმა ურთულესი გზა

გამოიარა. იგემა ეროვნული სახელმწიფოს ძალადობრივი ნგრევის საშინელი დღე, გამოიარა ეგვიპტის და ბაბილონის ტყვეობა და ბოლოს მაინც ფენიქსებრ აღდგა. ისრაელის სახელმწიფო რწმენამ გადაარჩინა. ნაბუქოდონოსორის მიერ საკუთარი სახლიდან გამოდევნილი ებრაელები 2600 წლის მანძილზე მსოფლიოს მოედვნენ; რომელ ქვეყანაში არ შეხვდებოდით მათ, ზოგჯერ იძულებული ხდებოდნენ, მასპინძელი ქვეყნის ენა და კულტურა გაეთავისებინათ, მაგრამ გულის სილრმეში მტკიცედ ინახავდნენ რჯულისადმი ერთგულებას, ფიცს, რომელიც იერუსალიმის დანგრეული ტაძრის კედელთან დადგეს: „თუ დაგივიწყო იერუშალამი, დამავიწყდეს მარჯვენა ჩემი და ენა ჩემი მიეზარდოს სასასა ჩემსას“. მსოფლიომ არ იცის მეორე მაგალითი საკუთარი ეროვნებისა და რელიგიისადმი ესოდენი ერთგულებისა.

იერუსალიმი ლამის მსოფლიო რელიგიათა სამშობლოდ იქცა. გარდა იუდაიზმის – ისრაელთა ოფიციალური რელიგიისა, აქ ჩაისახა ქრისტიანული და მაპმადიანური სარწმუნოებები. დიდი ხნის განმავლობაში წმინდა მიწა (ასე უწოდებდნენ ისრაელს) ის ადგილი იყო, საითკენაც მარტო სალოცავად კი არა, განათლების მისაღებადაც მოდიოდნენ მსოფლიოს სხადასხვა კუთხიდან. იერუსალიმში სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენლები თავიანთ ტაძრებს აშენებდნენ და ამ კრებით სარიტუალო ქალაქში დიდხანს იყო დაცული რელიგიათა შემწყნარებლობა, თუმცა რელიგიის ისტორიამ წმინდა მიწაზე ქრისტიანთა დევნის სავალალო ფაქტებიც იცის. მიუხედავად ამისა, იერუსალიმს დღემდე შემორჩა ათიოდე ქართული მართლმადიდებლური მონასტერი და მათ შორის ჩვენი კულტურისა და რელიგიისთვის ყველაზე ძვირფასი – ჯვრის მონასტერი, რომლის ერთ-ერთ კედელზე იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის ფრესკათა გვერდით შოთა რუსთველის ერთადერთი, ჩვენამდე შემორჩენილი პორტრეტია გამოსახული.

ებრაელმა ხალხმა შექმნა ბიბლია. დედამიწის უპირველესი საღვთო წიგნი, რომლის პოპულარობასა და მსოფლიოს დიდი ნანილისათვის რჯულის კანონად აღიარებას ნაციონალური კუთვნილების სამანებში ძნელად თუ მოვაქცევთ. ბიბლია (ძველი და ახალი აღთქმა) მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა. იგი არა

მარტო განურჩევლად ყველასთვის სათნოებასა და შემწყნარებლობას ქადაგებს, არამედ სახელმწიფოს მოწყობის, მშვიდობიანი თანაცხოვრების, სამშობლოსადმი ერთგულების იდეალებითაც ზრდის, ვინც მის სიბრძნეს ეზიარება. სწორედ ამიტომაა, რომ მსოფლიოს არაერთი ქვეყნის პრეზიდენტი ინაუგურაციის დროს სახელმწიფო ფიცს ბიბლიაზე ხელდადებით წარმოთქვამს. ასევე ბიბლიაზე დაიფიცებენ ხოლმე მოსამართლენი და ბრალდების მონძენი, რადგანაც სწორედ ეს საღვთო წიგნია გარანტია იმისა, რომ სიცრუე გამორიცხული იყოს. ბიბლიას ამშვენებს დავით და სოლომონ მეფეების ბრწყინვალე ფილოსოფიური ნააზრევი. ეს ფსალმუნნი და შეგონებანი არა მარტო სიბრძნეს შეიცავენ, ისინი, ისე როგორც მთელი ბიბლია, უაღრესად მაღალი ლიტერატურულ-მხატვრული ღირებულების ნაწარმოებებია.

საერთოდ კი ბიბლია იმდენად საყოველთაოდ აღიარებული შემეცნებით-კანონიკური ძეგლია, რომ უხერხულიც კია მის მხატვრულ ღირებულებაზე საუბარი, თუმცა აქვე უნდა გავუსვათ ხაზი, რომ ბიბლიის გენიალური შემქმნელები, ამავე დროს, სწორუპოვარი მწერლებიც იყვნენ. სწორედ ამიტომაცაა ბიბლია უაღრესად რთული და ადამიანის სულიერ სამყაროში ღრმად-მწვდომი. იგი არა მხოლოდ რელიგიურ მორჩილებას, არამედ პირვენების შინაგან თავისუფლებასა და აქტიურობასაც ქადაგებს. სხვა ახსნას ვერ მოვუძებნით ახალი აღთქმის გენიალურ შეგონებებს: „ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხეთ“, „რომელი აღმაღლდეს მახვილითა, მახვილითვე წარხდეს იგი“, „ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ“, „ვინც თქვენ შორის უცოდველია, პირველმა იმან ესროლოს ქვაი“. კითხვის ნიშნად დაუტოვა ბიბლიამ კაცობრიობას ქრისტეს უკანასკნელი ამოძახილი: „ელი! ელი! ლამა საბაქთანი!“ („ღმერთო, ღმერთო, რატომ მიმატოვე!“).

კულტურა, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ფენომენია. ეროვნული ფესვები ასაზრდოებს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ეროვნულ ქმნილებას და ეროვნული წიაღიდან გადის იგი მსოფლიო არენაზე. ბედის სიავის გამო მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გატყორცნილ ებრაელები მეცნიერებასა თუ ხელოვნებაში თავს რომ გამოიჩინდნენ, კრიტიკოსები თითქმის აღარ ახსენებდნენ მათს ეროვნულ კუთვნილებას. არა და დრო კია

ებრაელი ერის განმადიდებელთა შორის მოვიხსენიოთ აინშტაინი, ბრესტი, ფრონიდი, ნიცშე, პასტერნაკი, ეზენშტეინი, ილფი და პეტროვი, ბროდსკი...

აღმოსავლური კულტურის თუნდაც ასე ზოგადი დახასიათებაც ფრიად ნაკლულოვანი იქნება, თუ არ ვახსენეთ უძველესი არაბული კულტურა. არაბეთში შეიქმნა „ყურანი“ – მუსლიმანთა საღვთო წიგნი, კაცთმოყვარეობისა და სიყვარულის წიგნი. სახელგანთქმულია არაბული მედიცინა და ვარსკვლავთმრიცხველობა. არაბებმა შექმნეს არა მარტო არაბული ციფრები, მათ მყარი მეცნიერული საფუძვლები მოამზადეს კომპასის შექმნისთვის და ვარსკვლავთა განლაგებაზე ორიენტირებული პირველი რუკების შედგენით მოგზაურებს გზის გაკალვა გაუადვილეს. აქვეა ავიცენა – თავისი დროის მოარული ენციკლოპედია.

ბერძნულ-რომაული კულტურის ორგანული გაგრძელება და თავისებური განვითარებაა ბიზანტიური კულტურა. იგი კარგა ხანს იყო ქრისტიანული სამყაროს ცენტრი და შესაბამისად საქართველოსთანაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული. მცირე აზიის კულტურულ-რელიგიური საოცრებაა კაბადილკია. კარსტულ სვეტებში გამოკვეთილი ეს ქალაქი-სამლოცველო მომნუსხველ შთაბეჭდილებას ახდენს. მით უმეტეს შთამბეჭდავია იგი ჩვენთვის, როგორც ნინო კაბადოკიელის სამშობლო და მეცნიერთა ერთი ნაწილის მიერ ქართველ ქრისტიან ბერთა პირველ დასახლებად აღიარებული ადგილი წინა აზიაში. მეექვსე საუკუნეში ბიზანტიიელებმა ბიზანტიის დედაქალაქში, კონსტანტინეპოლში, ააგეს წმინდა სოფიის გრანდიოზული ქარისტიანული ტაძარი. იმის შემდეგ (XV საუკუნე), რაც ბიზანტია თურქებმა დაიპყრეს, სოფიის ტაძარი მეჩეთად გადააკეთეს, ხოლო კონსტანტიინეპოლს სტამბოლი უნდოდეს. რას იზამ, ისტორიის ირონიას ვერსად წაუხვალ.

ევროპაში მსოფლიო კულტურის უპირველეს ნავმისადგომად და ევროპული ცივილიზაციის აკვნის დამრწევად საბერძნეთი ნათობს.

სამი ათას წელზე მეტი ხნისაა ძველი ბერძნული კულტურა. მან თანამედროვე ბერძნეთა შორის თავისი ბრწყინვალე არსებობის გაგრძელება, სამწუხაროდ, ულიმდამოდ პპოვა, მაგრამ

საბერძნეთის კულტურული ფენომენის შესწავლისკენ ლტოლვა წამითაც არ შენელებულა მსოფლიო მეცნიერებაში. ამ კულტურის გენიალობის უპირველესი ნიშანი ბერძნული მითოლოგია გახლავთ. სწორედ ეს მითები ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ბერძნებმა პირველებმა ჩამოიყვანეს ღმერთები ციდან მინაზე. სწორედ რომ რეალობაში გადმოსულმა მითიურობამ, თუ მითებში გადასულმა სინამდვილემ, ჩამოაყალიბა შემდგომში ელინური კულტურის თავისთავადობა და მნიშვნელოვანნილად განსაზღვრა კიდეც ბერძნული ხასიათი. უპირატესად სწორედ ელინურმა მითებმა ასაზრდოვა გენიალური ბერძნული მწერლობა.

რაკი სიტყვას მოჰყვა, მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე კაშაშა მწვერვალი ჰომეროსის „ილიადა და ოდესეა“ უნდა ვახსენოთ. ქიოში მცხოვრები ბრმა ჰომეროსის მიერ სიმღერებად შექმნილი ეს გენიალური ეპოპეა მისი ავტორის სიკვდილის შემდეგ ჩაიწერეს. საგულისხმოა, რომ ბერძნებმა დამწერლობა ფინიკიელებისგან სწორედ ჰომეროსის ეპოქაში (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) გადაიღეს.

„ილიადა და ოდისეა“ გმირობისა და სიყვარულის საგალობელია. პოემაში ღმერთები, ნახევრადღმერთები და ადამიანები ლამის გვერდიგვერდ იბრძვიან; ერთმანეთს ეჯახებიან სამეფოთა ინტერესები, ძლიერი ვწებები და იმედით გამსჭვალული რაინდები. უმძაფრესი ცხოვრებისეული ტრაგიზმით სუნთქავს მთელი ნაწარმოები და ადამიანებს ასწავლის, რომ ცხოვრება აქილევსის რისხვაცაა, ოდისევსის ფათერაკებიანი მოგზაურობაც და პენელოპეს განსაცვიფრებელი, თანმიმდევრული, გაუტეხელი მოლოდინი.

ჰომეროსის მიერ ლიბოგამაგრებულ კაზმულ სიტყვას ახალ ელფერს ჰმატებენ: ჰესიოდე („თეოგონია“), სოფოკლეს, ევრიპიდესა და ესქილეს ტრაგედიები, არისტოფანეს კომედიები...

ადამიანის როლსა და დანიშნულებაზე, სახელმწიფოს ფუნქციაზე, ჭეშმარიტების რაობაზე კაცობრიულ ცოდნას ამდიდრებენ ბერძნი ფილოსოფოსები სოკრატე, ეპიკურე, პლატონი, არისტოტელე და სხვანი.

დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული გზამკვლევის ღირებულება ჰეროდოტეს „ისტორიას“ და სტრაბონის „გეოგრაფიას“.

რაც შეეხება არქიტექტურას, ქანდაკებას, თეატრსა თუ ხელოვნების სხვა დარგებს, აქ ბერძნებმა იგავმიუწვდომელი შედევრები შექმნეს; რაკი ჩვენი სტატია რეგლამენტებულია, მხოლოდ იმ თითზეჩამოსათვლელი ნიმუშების აღნიშვნით დავკმაყოფილდეთ: მარტო იმის თქმა რადა ღირს, რომ მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ოთხი საბერძნეთის ან ერთ დროს მისი კულტურული გავლენის სფეროში მყოფი მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე იყო (როდოსის კოლოსი, ზევსის ქანდაკება, ჰალიკარნასის მავზოლეუმი და არტემიდეს ტაძარი).

ათენის ცენტრში, აკროპოლისის ბორცვზე, მდებარეობს პართენონის ტაძარი ქარიატიდების ანსამბლითურთ. პართენონმა მისცა დასაბამი მსოფლიოში სვეტთა იმგვარ ულამაზეს „შეკონებას“ (გალაკტიონი), მერე რომაულმა არქიტექტურამ და მოგვიანებით მთელმა მსოფლიომ რომ გადაიღო. აღარ შემორჩა ხელოვნებას ზევსის ქანდაკება და ფიდიასის ქმნილებათა დიდი ნაწილი, მაგრამ ქანდაკებაში ჩაკირული ბერძნული გენის გამონაშექი – „ვენერა მილოსელი“, „ლაოკოონი“ და „ქალღმერთი ნიკეა“ ათეული საუკუნეებია ატყვევებენ მნახველს. ბერძნებმა კლასიკური სახე მისცეს თეატრს და საფუძველი ჩაუყარეს ოლიმპიურ თამაშებს. გრანდიოზული ეპიდავრის თეატრი და ოლიმპიადის არენა-სტადიონი დღესაც შემორჩენილია ელინთა მინაზე.

რა შეიძლება უპირველეს მწვერვალთა შორის დაასახელო, როცა იტალიის ხელოვნებაზე იწყებ ფიქრს? დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედია“, მიქელანჯელო ბუონაროტი, ლეონარდო დავინჩი და წმინდა პეტრეს ტაძარი...

„ღვთაებრივმა კომედია“ თავისი „სალხინებლით“, „ჯოვოხეთით“ და „სამოთხით“ საიქიონ და სააქაო ცხოვრება ისე გააერთიანა, რომ ბრწყინვალე მხატვრულ ფანტაზიასთან შენივთული კონკრეტული მისამართიანობით და ადამიანურ ჭირვეულობათა ფილოსოფიური განზოგადებით მხატვრული აზროვნების სრულიად ახალი მოდელი შექმნა.

რომში, წმინდა პეტრეს დიდ ტაძარში, სამუდამოდ დავანებულა მიქელანჯელოს „პიეტა“ (ღვთისმშობლის ქანდაკება, რომელსაც მუხლებზე გარდამოხსნილი იესო უსვენია), ხოლო წმინდა პეტრეს მცირე ტაძარში უამრავ მნახველს იზიდავს

მიქელანჯელოს მოსე. მარმარილოში გაცოცხლებული ებრაელთა წინამძღვრი ზის ჩვენ წინაშე თავისი ბიბლიური დიდებულებით. მუხლზე ნაკანრი ამჩნევია. გადმოცემის თანახმად, ის ნაკანრი მიქელანჯელოს საჭრეთლის კვალია. თურმე, როცა განასრულა ქანდაკება და თავისი უზადო ხელოვნებით ლამის სული შთაბერა ლვთაებრივ მოსეს, მიქელანჯელომ, ხელოვნების ამოუცნობ ნირვანაში მყოფმა, დიდხანს უყურა მარმარილოში გაცოცხლებულ წმინდანს, მერე მუხლზე საჭრეთელი დაჳკრა და შესძახა: „ადექი მოსე, დამელაპარაკე!“

რომშივე ვატიკანის ტაძარს ამშვენებს მიქელანჯელოს „სიქსტის კაპელა“ – ბიბლიურ სიუჟეტებზე აგებული ფრესკების მთელი წყება, ხოლო სხვაგან ფლორენციაში დგას მარადჭაბუკი „დავითი“ – მამაკაცური სიძლიერისა და სრულყოფილების განსახიერება.

სამწუხაროდ, ლეონარდო დავინჩის სამშობლოში აღარ არის ფერწერის შედევრთა შედევრი, დღემდე უპირველეს პორტრეტად აღიარებული „მონა ლიზა ჯოკონდა“. იგი პარიზშია და ლუვრის კედლიდან უგზავნის თავის იდუმალ, მომხიბვლელ ლიმილს მოაზროვნე კაცობრიობას. სამაგიეროდ რომს ამშვენებს ლეონარდო დავინჩის გრანდიოზული შადრევანი.

დაუმატეთ ამას ეტრუსკების იდუმალებით მოცული კულტურა, ფორუმის მოედანი, კოლიზეუმი, პიზას გადახრილი კოშკი, ავგუსტუსის მავზოლეუმი, ვირგილიუსის „ენეიდა“, პლუტარქეს ბიოგრაფიები, ბოტიჩელის, ჯორჯონეს, ტიციანის ფერწერა, იულიუს კეისრისა თუ ციცერონის გამოსვლები, პეტრარკა, ბოკაჩი და თქვენ ხელთ გექნებათ მცირე სანათური მაინც დიდი იტალიურ კულტურასთან მისასვლელად.

მსოფლიო კულტურის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს საფრანგეთს თავისი მშვენიერი დედაქალაქით, მსოფლიო კულტურის მექად აღიარებული პარიზით. საფრანგეთის კულტურა სულ რაღაც ათასი წლისაა, მაგრამ მან შეძლო ხელოვნებისმცოდნეთა ყურადღება ერთხელ და სამუდამოდ მიექცია განუმეორებელი რელიგიურ-საკულტო არქიტექტურით – პარიზის ლვთიშობლის ტაძრით („ნოტრ დამი“) და მონმარტრის ტაძრით. პარიზი XVIII-XIX საუკუნეებში იქცა ახალ სახელოვნებო

სკოლათა და მიმართულებათა დაბადების ადგილად. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ფერწერის, გრაფიკისა თუ ქანდაკების ცენტრმა XVIII საუკუნის დასასრულს იტალიოდან საფრანგეთში გადაინაცვლა. პარიზში ერთდროულად მოედო ხელოვნებასა და ლიტერატურას მოდერნიზმი – აბსტრაქციონიზმის, სიმბოლიზმის, კუბიზმისა და იმაჟინიზმის სახით. მოდური კულტურის მოყვარულთა ყურადღებას XIX საუკუნის მეორე ნახევარში ერთბაშად იპყრობენ მხატვრები – რენუარი, მონე, მანე, მოდილიანი... მწერლები მაღარმე, რემბო და სხვები.

მოდერნიზმამდე კი დიდ ფრანგულ ლიტერატურას ქმნიან ვოლტერი, ჰიუგო, რაბლე, ფლობერი, სტენდალი, ბალზაკი, ემილ ზოლა, დიუმა, მერიმე და სხვანი. ჰიუგოს „პარიზის ლვთისმშობლის ტაძარი“, ფლობერის „მადამ ბოვარი“, სტენდალის „ნითელი და შავი“, დიუმას „სამი მუშეკეტერი“ ის ქმნილებებია, ფასდაუდებელ ოქროს ზოდებად რომ შემორჩენ მწერლობას.

რა რუდუნებითა და გამოწვლილვით დახატა ჰიუგომ სენის ნახევარკუნძულის მშვენება პარიზის ლვთისმშობლის ტაძარი. არაერთგზის შეკამათებულან კრიტიკოსები ასეთი უწყინარი კამათით: თვით ტაძარი უფრო დიდებულია, თუ მის უკვდავსაყოფად შექმნილი ჰიუგოს რომანი. დავა იქეთ იყოს და ესმერალდა თავისი განუმეორებელი მომხიბვლელობით და მთის ნიავივით დაუმორჩილებელ-დაუდგრომელი ხასიათით ხომ ლიტერატურის მშვენებაა, არანაკლებ სიყვარულსა და თანაგრძნობას იმსახურებს კვაზიმოდო რაინდული ბუნებით და სიცოცხლეშენირული სიყვარულით.

როგორც ფრანგულმა ეპოსმა „სიმღერამ როლანდზე“ და პროვანსელმა პოეტებმა მისცეს კამერტონი ორიგინალურ ფრანგულ რომანს და ლირიკულ პოეზიას, ისე ასაზრდოვა პარიზის ლვთისმშობლის ტაძარმა თანამედროვე ფრანგული არქიტექტურა და მომაჯადოებელი ეიფელის კოშკი.

გარდა ზემოჩამოთვლილისა, არ შეიძლება, არ ვახსენოთ უიღბლო სიყვარულის სევდიანი ხალხური მოთხოვობა „ტრისტანი და იზოლდა“, ბრწყინვალე ფრანგი მწერლები: აბატი პრევო, მოლიერი, რუსო, დიდრო, ბომარშე, უიულ ვერნი, მოპასანი, დოდე, როლანი და სხვ.

როცა ამა თუ იმ სახელგანთქმულ ქვეყანას ახსენებ, იგი, უპირველეს ყოვლისა, ერთ გენიოსთან ასოცირდება. მაგალითად, საბერძნეთი – პომეროსთან, იტალია – დანცე ალიგირთან, საქართველო – შოთა რუსთველთან, ინგლისი – შექსპირთან, ხოლო გერმანია – გოეთესთან.

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა და მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის უდიდესმა გერმანელმა მოაზროვნებ გოეთე „ფაუსტით“ ახალი სული შთაბერა ევროპულ მწერლობას. ადამიანის სულის ლაბირინთში აღმოაჩინა ისეთი ნიუანსები, რაზეც გოეთემდე ფილოსოფოსები არც კი დაფიქრებულან. „ფაუსტით“ მან ადამიანის წინააღმდეგობრივი ბუნება გააშიშვლა ჩვენ წინაშე და მკითხველს დაუმტკიცა, რომ მაშინაც კი, როცა გგონია, უკვე ჩემი ცხოვრება მოვჭამე და ჩემთვის ადამიანური ცდუნებები უკან დარჩაო, შეიძლება ახალმა განსაცდელმა (ან სიყვარულმა) ახალი სული შთაგბეროს და აქტიური არსებობისკენ შემოგაბრუნოს.

„ფაუსტში“ ადამიანურ ვნებათა ჭიდილი თვით ღვთის მიერაც კი ბოლომდე ვერ მოწესრიგებულა. ეჭვისა და ცდუნების სიმბოლო – მეფისტოფელი – ღმერთისვე დავალებით მოხუცი სწავლულის – დოქტორ ფაუსტის ცდუნებას განიზრახავს. ცხოვრებაზე ხელჩაქნეულ ფაუსტს სასაცილოდ არ ჰყოფნის მეფისტოფელის დარწმუნებული ღალადისი, მაგრამ საკმარისი გახდა, ერთხელ აპოლოდა მხცოვანი მეცნიერი ცდუნების მიერ მის წინ გადაშლილ ასპარეზს, რომ იგი უკანმიუხედავად მიჰყვა იმ დინებას, რაც აქამდე არც კი განეცადა და რასაც ჭეშმარიტი ცხოვრება ჰქვია. მოხუც პროფესორს თოთხმეტი წლის ქალწული გრეთშენი შეუყვარდა. ამ სიყვარულმა კინალამ დალუპა კიდეც უცოდველი გოგონა... მერე მეფისტოფელი ფაუსტს ანტიკურ საბერძნეთში გადაიყვანს და მშვენიერ ელენეზე დააქორწინებს. არც ეს სიყვარულია მუდმივი და საბოლოო. ბოლოს ფაუსტი თითქმის უკაცრიელ კუნძულზე მოხვდება, რომელიც მალე წყალმა უნდა დაფაროს. დოქტორს დიდი სურვილი აქვს, კუნძულს ჯებირი შემოუშენოს და ამით თავისი უკანასკნელი თავშესაფარი დალუპვას გადაარჩინოს, მაგრამ სურვილი მის შესაძლებლობას აღემატება და აქაც მეფისტოფელი ჩაერევა მოქმედებათა მდინარე-

ბაში. უკვე დაბრმავებულ ფაუსტს მშენებლობის ხმები ჩაესმის. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯებირს აშენებენ და კუნძული გადარჩება. ამ იმედმა საბოლოოდ გატეხა ფაუსტის სკეპტიციზმი. იგი დარწმუნდა, რომ ყველაზე დიდი სასოწარკვეთის დროსაც კი იმედს უნდა ჩაებლაუჭო და პროფესორს წამოცდება ფრაზა, რომლის თქმასაც მთელი სიცოცხლის მანძილზე გაურბოდა: „შეჩერდი, წამო, მშვენიერი ხარ!“

გოეთეს სხვა შედევრებიდან „ფაუსტის“ შემდეგ, პირველ ყოვლისა, „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“ უნდა დავასახელოთ. ეს ნაწარმოები ახალგაზრდა ინტელიგენტის ვერთერისა და ლოტეს სიყვარულის ტრაგიკული ამბავია. თითქოსდა ჩვეულებრივი და მწერალთა მიერ ათასგზის დამუშავებული სენტიმენტალური ისტორია რომანის სიუჟეტური საფუძველი: ვერთერს შეუყვარდება ლოტე, რომელიც დანიშნულია ალბერტზე. ვერთერი დროებით მოსცილდება თავის ნანდაურს და სხვა ქალაქში გადადის საცხოვრებლად; ებრძვის თავის თავს, რომ როგორმე დაივიწყოს ქალი, მაგრამ ვერ ახერხებს. ბოლოს ბრუნდება, ოღონდაც ლოტე უკვე გათხოვილია. სიყვარულისგან ძლეული, საბოლოოდ დამარცხებული ვერთერი თავს იკლავს. ერთი შეხედვით, სიუჟეტი ჩვეულებრივი სასიყვარულო სამკუთხედია-მეთქი, მაგრამ „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“ დიდად განსხვავდება ჩვენ მიერ ბევრჯერ გადაკითხული სენტიმენტალური რომანებისა და პოემებისგან. ნაწარმოების სტრიქონებით პერსონაჟთა ფსიქოლოგიური ნიუანსების ზედმინევნით მცოდნე მწერალი გესაუბრებათ. ვერთერის წერილებში იმდენი ცხოვრებისეული დეტალი, იმდენი ფილოსოფიური წიაღსვლაა წარმოდგენილი, რომ მკითხველს ანდამატივით იზიდავს.

დიდ გერმანულ კულტურას ასხივოსნებს ხალხური ეპოსი „სიმღერა ნიბელუნგებზე“, აგრეთვე შილერის, ლესინგის, ჰაინრიხ და რილკეს ქმნილებები... ბეთჰოვენის და ბახის ღვთაებრივი მუსიკა, კანტისა და ჰეგელის დიდებული ფილოსოფიური თხზულებანი.

1616 წელს ინგლისის ერთ პატარა პროვინციულ ქალაქ სტრეტფორდში თავის მამაპაპეულ სახლში (იმ სახლში, სადაც დაიბადა) აღესრულა მსოფლიოს უპირველესი დრამატურგი უილიამ შექსპირი. შექსპირის პიესები: „ჰამლეტი“, „ოტელო“,

„რომეო და ჯულიეტა“, „იულიუს კეისარი“, „მეფე ლირი“, „მაკბეტი“, „ვენეციელი ვაჭარი“ დღესაც ასაზრდოებს მსოფლიოს არაერთი თეატრის რეპერტუარს და მძაფრსიუჟეტიანობით, გამოკვეთილი ხასიათებით თუ მოქმედების დინამიკით მაყურებელთა აღფრთოვანებას იმსახურებს.

შექსპირმა, მოხეტიალე თეატრალური დასის მსახიობმა, რომელიც პიესებს თავისი პატარა თეატრისთვის წერდა, იქნებ, არც იცოდა, რომ გავიდოდა წლები და მას მსოფლიო აღიარებდა იგავმოუწვდომელ მწერლად, ევროპული თეატრის მამად და დრა-მატურგის ზევსად.

მამის მუხთალ სიკვდილში დამნაშავეთა მიერ შურისძიების გრძნობით შეპყრობილი დანის პრინცი ჰამლეტი, რომელიც ამ-ხელს სასახლის კარის შეთქმულებას კანონიერი მეფის წინააღ-მდეგ და თეატრალური წარმოდგენის საშუალებით ნიღაბს ხდის საკუთარ ბიძა კლავდიუსასა და დედა გერტრუდას, ბოლოს თვითვე იღუპება უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მა-გრამ იღუპება მას შემდეგ, რაც ბოროტების ჩამდენთ საიქიოსკენ გაისტუმრებს („ჰამლეტი“).

სახელგანთქმულ სარდალზე, ვენეციელ მავრზე – ოტელოზე განაწყენებულმა (თანაშემწის თანამდებობის ვერმილების გამო) ასისთავმა იაგომ ცილისწამების ქსელი დახლართა და დაარწმუნა მავრი, რომ მისი მეუღლე დეზდემონა ღალატობდა. უცოდველი ცოლის ღალატით გამძინვარებულმა ოტელომ დეზდემონა საკუ-თარი ხელით დააღრჩო, მაგრამ, როცა სინამდვილე გაირკვა და დამნაშავეებს თავისი მიეზღოთ, უკვე ყველაფერი გვიან იყო და ოტელომ თავი მოიკლა („ოტელო“).

მონტეგები და კაპულეტები ერთმანეთზე გადაკიდებული გვარები იყვნენ. ოცი წლის რომეო მონტეგს 14 წლის ჯულიეტა კაპულეტი შეუყვარდა. ჯულიეტას კი მშობლები ვერონელი მაღალჩინოსნის შვილ პარისზე ათხოვებენ. რომეომ და ჯულიე-ტამ ფარულად დაინერეს ჯვარი. რომეოს ჯულიეტას ბიძაშვილი ტიბალტი, შემოაკვდა და იძულებულია, დაიმალოს. ამასობაში პარისი ქორნინების დაჩქარებას ითხოვს. ჯვრისწერა რომ თავი-დან აიცილოს, ჯულიეტა სვამს წამალს, რომელიც მას 42 საათს დააძინებს. ჯულიეტა ყველას გარდაცვლილი ჰგონია. როცა რო-

მეო დაბრუნდა და სარკოფაგში ჩასვენებული სატრფო დაინახა, სანამლავი დალია და თავი მოიკლა. როცა ჯულიეტამ გაიღვიდა და მის გვერდით გარდაცვლილი რომეო იხილა, არც დაფიქრებულა, სწრაფად შესვა სამსალა და სატრფოს ჩაეკონა, რათა იმ-ქვეყნად მაინც ვერავინ დააცილოს შეყვარებული („რომეო და ჯულიეტა“).

შექსპირის პიესები მარტოოდენ საინტერესო სიუჟეტით როდი გამოირჩევიან. მათში ყველა მოქმედი პირი კონკრეტული თვისე-ბით ხასიათდება და ყოველ დეტალს თავისი ფუნქცია აქვს.

გარდა პიესებისა, შექსპირმა შექმნა კლასიკური სონეტები.

ინგლისური ლიტერატურის მშვენება ჯორჯ ბაირონი ლონ-დონის მაღალი არსიტოკრატის წარმომადგენელი გახლდათ. დრამატულად განვითარდა მისი ცხოვრების გზა. თავის წრეს-თან განხეთქილების გამო (ცოლისდასთან სქესობრივი ურთიერ-თობა დაბრალეს) ბაირონი ინგლისიდან გაიქცა. ცოტა ხანს იტ-ალიაში ცხოვრობდა, სადაც საბერძნეთის განმათავისუფლებელ ბრძოლებშიც მონაწილეობდა. გარდაიცვალა 36 წლისა.

ბაირონის საეტაპო ნაწარმოებებია „ჩაილდ ჰაროლდი“, „მან-ფრედი“, „ლარა“ და „კაენი“.

გარდა შექსპირისა და ბაირონისა ინგლისურ მწერლობას სა-ხელი გაუთქვეს რობერტ ბერნსმა, თეკერემ, სკოტმა, დიკენსმა, გოლსუორთიმ, სვიფტმა, მაინ რიდმა და ოსკარ უაილდმა.

მეთექვსმეტე საუკუნის ესპანელ მწერალ სერვანტესს ძნელ-ბედობა ხვდა წილად. ჯერ იყო და თურქების ტყვეობაში 5 წელი გაატარა, როგორც სამხედრო ტყვემ, მერე ესპანეთში დაბრუ-ნებული ხარჯის ამკრეფად მოეწყო და რამდენიმეჯერ ციხეში მოხვდა მექრთამეობის ბრალდებით. ბოლოს მწერლობა დაიწყო, მაგრამ ეკონომიურ უზრუნველყოფას ვერც ამ საქმით მიაღწია და სასოწარკვეთილი მონასტერში გარდაიცვალა.

გავიდა ხანი და დიდება თავისით მოვიდა. სერვანტესი კარგა ხნის გარდაცვლილი იყო, როცა ჯერ ესპანეთმა, ხოლო შემდეგ მსოფლიომ აღიარა, რომ „დონ კიხოტის“ სახით მკითხველმა მი-იღო სრულიად ახლებური სტილის ირონიული რომანი, რომელიც არა მარტო რაინდული რომანების პაროდიაა, არამედ ესპანელი იდალგოს აღმა-დაღმა სიარული განუყრელ სანჩიო პანსასთან

ერთად იმდროინდელი ესპანეთის ცხოვრების უტყუარ სურათს წარმოაჩენს და მკითხველს რუტინის, დამყაყებულობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის განაწყობს.

მსოფლიო დრამატურგიის ვარსკვლავად აღიარებული სხვა ესპანელი მწერალი ლოპე დე ვეგა გახლავთ. მისი უაღრესად პოპულარული პიესა „ფუენტე ოვებუნა“, ანუ „ცხვრის წყარო“, ქართულ თეატრში კოტე მარჯანიშვილმა დადგა.

ჩრდილოეთევროპული კულტურის ღირსებას წარმოაჩენენ კარელია-ფინური ეპოსი „კალევალა“ და ისლანდიური ეპოსი „უფროსი ედა“, ლუთერის, ტომას მიუნცერის და ერაზმ როტერდამელის ნაწარმოებები, რუბენსის და დიურერის მხატვრობა.

თვალსაჩინოა კულტურის ისტორიაში რუსი მწერლების მიერ შეტანილი წვლილი. რუსული ლიტერატურა დაიწყო შუასაუკუნეთა წიაღში შექმნილი ისტორიულ-სარაინდო მოთხოვნით – „იგორის ლაშქრობის ამბავი“. რუსმა მწერლებმა განსაკუთრებული წარმატება მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში მოიპოვეს. სიტყვაკაზმული მწერლობის ყველაზე კონსპექტურ წიგნშიც კი არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ გენიალური რუსი მწერლები: პუშკინი, ლერმონტოვი, ტოლსტიო, დოსტოევსკი, გოგოლი, ტურგენევი, ჩეხოვი, შოლოხოვი და სხვები.

ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენ მიერ დასახელებულ სახელმწიფოთა შორის ყველაზე ახალგაზრდაა. ამერიკელი ერის ჩამოყალიბების პროცესი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ თავისი სახელმწიფოებრივი არსებობის მოკლე დროის მანძილზეც ამერიკამ შეძლო მსოფლიო ცივილიზაცია გაემდიდრებინა როგორც ლიტერატურული, ასევე სახელოვნებო და მეცნიერული აღმოჩენებით.

ამერიკის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი მაიას ტომის უძველესი კულტურა, თუმცა ამ კულტურასთან თანამედროვე ამერიკულ ეთნოსს არავითარი კავშირი არა აქვს. ამერიკული ცხოვრების წესი, ამერიკის წინააღმდეგობრივი სინამდვილე მშვენივრად ასახეს მარკ ტვენმა, ო, ჰენრიმ, ედგარ პომ, დრაიზერმა, სელინ-ჯერმა და სხვებმა. ამერიკულ ხელოვნებას ამშვენებენ სტრავინსკი და ჯორჯ ბალანჩინი. ამერიკული კინოხელოვნების დიდი მიღწევაა „ერთხელ ამერიკაში“, „ჯარისკაცის ბედი ამერიკაში“ და „მოხუცი და ზღვა“.

ამერიკის კონტინენტზე (ოდნავ სამხრეთით) ვხედავთ გენიალურ არქიტექტორს კარბუზიეს. შესანიშნავ მწერლებს ჰემინგუეისა და მარკესს.

ჩვენს მეზობელ სომხებს მსოფლიო კულტურაში განსაკუთრებით თავმოსაწონებელი მოვსეს ხორენაციისა და მესროპ მაშტოცის სახელები აქვთ. აგრეთვე კომიტასის მუსიკა და პარუირ სევაკის პოეზია, ელიშე ჩარენცის ლირიკა.

აზერბაიჯანული „ქოროლლის“ ეპოსი ამ ერის მაღალი კულტურისა და კაცომლყვარეობის მაჩვენებელია. ასევე კაცობრიული სიბრძნითა გამსჭვალული აზერბაიჯანული ხალხური ბაიათები.

რა შევიტანეთ ქართველებმა მსოფლიო კულტურის საგანძურში? რიცხობრივ-ტერიტორიულად მცირე, მაგრამ უძველესი ქართველი ერის წვლილი მსოფლიო კულტურაში არცთუ მოკრძალებულია. ორი კონტინენტის გზაგასაყარზე მოთავსებულმა საქართველომ არა მარტო აღმოსავლური კულტურის სილბო და სინატიფე შეითვისა, მან ბერძნულ-ბიზანტიურ კულტურასაც უკარნახა ქართული ტემპერამენტით და გრძნეულებით დამუხხტული სახელოვნებო რიტმი და მოდერნისტული ევროპული სკოლების სულისკვეთებაც შეიმეცნა.

უპირველესად შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ უნდა ვახსენოთ. რვაასი წლის წინათ შექმნილი ეს წანარმოები სცილდება ჩვეულებრივი აღმოსავლური სარაინდო რომანის ჩარჩოებს. არა მარტო უანრული სრულყოფილებით გაუსწრო „ვეფხისტყაოსანია“ თავისი დროის პოეზიას, გენიალურმა პოეტმა პოემის პერსონაჟებს ბედისადმი შეურიგებლობის, მარადიული ძიებისა და ბრძოლის უინი მიჰმადლა და ამ თვისებით არა მარტო „ვეფხისტყაოსნის“ გმირი მამაკაცები, არამედ ქალებიც (რაც დამახასიათებელი არაა აღმოსავლური სამიჯნურო პოემებისთვის) დააჯილდოვა. სწორედ ფსიქოლოგიური სიღრმით, ფილოსოფიური არასწორხაზოვნებითა და პერსონაჟთა წინააღმდეგობრივი ბუნებით გვევლინება რუსთველის უკვდავი პოემა ევროპული რენესანსის წინამორბედად.

კიდევ რა შეიძლება მივაწოდოთ მსოფლიო კულტურას ოქროს ფონდში შესატანად, ჩვენ მიერ ზემოჩამოთვლილთა ღირსი და ბადალი რომ იყოს?

მესხეთ-ჯავახეთში თითქმის უვნებლად შემონახული XII საუკუნის ციხე-ქალაქი ვარძია ტოლს არ დაუდებს მსოფლიოს არქიტექტურულ საოცრებათა მწკრივს.

გენიალური უბრალოებით და დახვეწილობითაა შორს გატყორცნილი და სახელგანთქმული ქართული ხალხური სიმღერა და ქართული ხალხური პოეზია. „ნინწყარო“, „მრავალუამიერი“, „ჩაკრულო“, „წაიყვანეს თამარ ქალი“, „ხასანბეგურა“, „გაფრინდი შავო მერცხალო“, „ოდოია“, „ლილეო“ – ამ სიმღერათა მუსიკალურ-გამომსახველობით დონეს აღტაცებაში მოჰყავს მსმენელი, ხოლო ჩვენი ხალხური პოეზიის სიდიადის ხაზგასასმელად „ვეფზვისა და მოყმის ბალადაც“ იკმარებდა.

იქნებ, გულში არ ჩავიტოვოთ და ამ სისა დავუმატოთ ქართული კულტურის ფენომენის კიდევ რამდენიმე საამაყო სახელი: პეტრე იბერი, ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი და ვახტანგ ჭაბუკიანი.

ჩვენმა კავკასიონგალმელმა ახლო მეზობლებმა, თავისუფლებისთვის მებრძოლმა მამაცმა ერებმა, სხვათა შორის, ორი საკაცობრიო მნიშვნელობის ფაქტი შესძინეს საერთაშორისო კულტურას – „ნართების“ ეპოსი და რასულ გამზათოვის შემოქმედება.

ასეთია ფიქრის ერთი გადავლებით მსოფლიო კულტურის სამახსოვრო ნიმუშები.

რა სასაცილოდ მოჩანს პართენონისა და „ვეფხისტყაოსნის“ ფონზე საბჭოური ესთეტიკის თეორეტიკოსების მტკიცება: ხელოვნება პრაქტიკულმა საჭიროებამ დაბადაო, პირველყოფილი ადამიანები გამოქვებულის კედელზე იმიტომ ხატავდნენ, რომ, სხვა გამოქვაბულებში არ არეოდათ, სიმღერით კი იმიტომ მღეროდნენ, რომ თანატომელებისთვის ხმა მიეწვდინათო.

ხელოვნება მშვენიერების სამსახურია, ესთეტიკური გრძნობის დაკმაყოფილებაა და, რაც უფრო მაღალია იგი, მით უფრო აკეთილშობილებს ადამიანს.

## კულტურა და თანამედროვეობა

აზროვნების ფორმებიდან ოდენ მხატვრული აზროვნება, ანუ კულტურა არ ემორჩილება აღმავალ ვექტორს.

თუ მეცნიერება დღითიდღე, ნაბიჯ-ნაბიჯ სრულყოფს სამყაროს შეცნობის, მის იდუმალებაში ჭეშმარიტების ლაპარით შესვლის ხელოვნებას, კულტურა ე.წ. ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი მიზნისკენ არ მიისწრაფვის. კაცმა რომ თქვას, მას ასეთი მიზანი არც გააჩნია.

მხატვრული აზროვნება, მის ხელთ არსებული თუ ავტორის მიერ შექმნილი საშუალებებით, ცდილობს ჩაწვდეს ადამიანის სულს, მოიცვას მისი შინაგანი სამყარო.

შეასრულებს ამ ტიტანურ სამუშაოს ხელოვანი და დალლილი, ქანცგანყვეტილი განზე გადგება.

მის კვალზე, მის შემდგომ მოსული კი, განსხვავებით მეცნიერისა, რომელმაც წინამავლის ნამოქმედარზე უნდა ააგოს საკუთარი მეცნიერული კოშკი, მსოფლიოს მხატვრულ გარდასახვას ახალი ფურცლიდან იწყებს.

შექმნის პროცესში ხელოვანს, ერთი შეხედვით, არც კი აინტერესებს, რა გზით იარა მისმა კოლეგა-წინაპარმა.

იგი ახალ ნერგს რგავს ხელოვნების წიაღში და ახალ მხატვრულ მოდელს, ანუ ახალ მხატვრულ სინამდვილეს ქმნის.

ამიტომაც სიტყვა „განვითარება“ ყველაზე ნაკლებად შეესაბამება კულტურის მდგომარეობას.

კულტურა არ ვითარდება.

კულტურა აღმასვლის კანონს არ ემორჩილება.

დავუფიქრდეთ, რა უსუსური აღმოჩნდებოდა XXI საუკუნის მწერალი, თუ მიზნად დაისახავდა „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურულ მიღწევათა განვითარებას, ანუ ახალ საფეხურზე აყვანას.

განა სირცხვილნაჭამი არ დარჩებოდა თანამედროვე მხატვარი, რომელიც დაიჩიმებდა, რომ მან ადამიანის პორტრეტის შინაგანი თუ გარეგანი, ლამის ამოუცნობი საიდუმლოს ამოცნობა ლეონარდო და ვინჩიზე უკეთესად შეძლო? განა დღესაც იდეალური მიზანი არ არის მხატვრისთვის მონა ლიზა ჯოკონდას ღიმილი?

მაში, რა უნდა გააკეთოს კულტურასთან მიმართებაში მეცნიერმა, რომელიც საერთოდ განვითარების, დინამიკის კანონებს სწავლობს? უნდა იჯდეს იგი და ელოდოს როდის, ისტორიის რომელ მოსახვევზე გამოჩნდება მოაზროვნე, რომელიც ახალ მხატვრულ აღმოჩენებს გააკეთებს?

თვით კულტურის ძნელშესაცნობი აისპერეგების და კულტურის დროდადრომოქმედი ვულკანების ვითარებაში, ერთი შეხედვით, ეს მართლაც ასეა. აქ მეცნიერი ვერც პირობებს შეამზადებს და ვერც კულტურის უზარმაზარ ტალღებს მისცემს ახალ კალაპოტ-სადინარს...

და მაინც კულტურის მარადიმპულსურ კოსმიურობაში ბევრი რამ ემორჩილება ცვალებადობის კანონს და უფრო მეტი რამ არის შესასწავლი.

ცვალებადია, მაგალითად, სხვადასხვა ეპოქაში კულტურის დანიშნულება და ასახსნელია ამ ცვალებადობის მიზეზები. რომ აღარაფერი ვთქვათ მხატვრული აზროვნების ფორმების, მისი წარმტაცი და განუმეორებელი ლაბირინთული სამყაროს შეცნობის უაღრესად რთულ გზებზე, ასე წარმატებით რომ ახორციელებენ ესთეტიკის მკვლევარნი და კრიტიკოსები.

კულტურა საუკუნეთა განმავლობაში სახეს იცვლის. ეს მეტამორფოზა ზოგჯერ კულტურის აღმავლობის, მისი დახვეწა-სრულყოფის მაჩვენებელია. აქ სიტყვას „ზოგჯერ“ იმიტომ ვხმარობ, რომ ამ „აღმავლობას“ საერთოდ არა აქვს სისტემური ხასიათი და იგი შემთხვევითობაზე, ანუ ორიგინალური მხატვრული აზროვნების მქონე შემოქმედის მოსვლაზეა დამოკიდებული.

არის ეპოქები, როცა კულტურა აშკარა დევალვაციას განიცდის. ამ შემთხვევაში კულტურის პოპულარობა მცირდება. იგი ძველებურად ვეღარ ახდენს ღრმა სულიერ გავლენას ადამიანებზე და საზოგადოების დიდი ნაწილი გულგრილი ხდება კულტურის მიღწევათა მიმართ.

გენიოსი, რომლის გამოჩენას მარქსისტული ესთეტიკა შეცდომით ყოფიერების, ანუ სოციალური საჭიროების მიხედვით ხსნიდა, არავითარ საზოგადოებრივ კანონებს არ ემორჩილება. იგი მოულოდნელად მოგვევლინება და კულტურის განვითარებას ახალ მიმართულებას აძლევს, თუმცა გენიოსიდან გენიოსამდე

პერიოდში სოციალური ყოფა აშკარად ახდენს გავლენას კულტურის მდგომარეობაზე.

ამჟამად კულტურის დევალვაციის, ანუ დეკულტურიზაციის დროა.

ხელოვანნი ძველი ინერციით ცდილობენ კულტურის რეანიმაციას, მაგრამ დლითიდღე აკლდება მკითხველი მხატვრულ ლიტერატურას.

თვალშისაცემია სავალალოდ დაცარიელებული თეატრები, კინო და მუსიკალური დარბაზები, თითქმის მიტოვებული სამხატვრო გალერეები...

ჭეშმარიტი ხელოვნების ადგილს იკავებს ეპიგონური მასკულტურა, კლასიკოსის წიგნებს გემოვნებადაქვეითებული მკითხველი სექსუალურ-სკარბეზულ, გასართობ ლიტერატურას ამჯობინებს.

დღეს მსოფლიოში პომეროსი, დანტე ალიგიერი, შექსპირი და რუსთაველი 0.001 პროცენტსაც არა აქვს წაკითხული.

კლასიკისადმი ზურგის შექცევა იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ცხოვრების წესი შეიცვალა. ცხოვრების წესის შეცვლას კი ადამიანთა ფსიქიკის შეცვლა მოჰყება.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ, სხვა პლანეტებზე ფეხის დადგმამ და ზღაპრულმა აღმოჩენებმა ადამიანის გონება იმდენად დატვირთა, რომ რომანტიკულ განწყობაზე ყოფნის, თუ გნებავთ ოცნების ადგილიც კი აღარ დაუტოვა.

პლანეტა მარსის მოწითალო მტვრიანი გრუნტის მიწაზე ჩამოტანის შემდეგ მარსი მხატვრისათვის სარტყელიანი, ულამაზესი, ციურსხივიანი სხეული აღარ არის და მისი იდუმალი სურათის შექმნა ფერმწერმა ფოტოგრაფებს გადაულოცა.

შიდსის აღმოჩენის შემდეგ, თქვენ წარმოიდგინეთ, უფრო დაუფრო წაკლები მკითხველი ეტანება სიყვარულზე, ქალის სიწმინდეზე დანერილ ლექსებს და პოემებს.

ადამიანის ხელოვნების რომანტიკული სამყაროდან ერთბაშად მიწაზე დაეშვა. მიწაზე კი მას დახვდა ძალმომრეობა, გაუტანლობა, არსებობისათვის ბრძოლა, გაუთავებელი ომები და რევოლუციები...

ადამიანის სულის მოულოდნელი დაცარიელების მიზეზი ხომ არ არის ამ ბოლო დროს მთელ მსოფლიოში გახშირებული მიტინგები და სამოქალაქო დაპირისპირებანი?

არსებულით უკმაყოფილო გონება მსოფლიო ეკონომიკური სიდებულის გამოსავალს ეძებს.

მსოფლიო პოლიტიზირებული გახდა.

ჩვენს თანამედროვეს მოეჩენა, რომ თავის გამოსაკვებად შრომა კი არ არის საჭირო, არამედ პრეზიდენტის ჩამოგდება.

ამიტომაც გახშირდა უკმაყოფილო მასათა გამოსვლები, პარტიათა და მიმართულებათა დაპირისპირებანი, პოლიტიკური სისასტიკე.

სისასტიკეს დაუნდობლობა და ნგრევა მოჰყვება.

რევოლუციური ბრძო მსოფლიო კულტურის ფასდაუდებელ მონაპოვარსაც ანადგურებს.

4500 წელი ინახა ცივილიზაციულმა მსოფლიომ ფარაონ ტუტანჰამონის ოქროს სარკოფაგში ჩასვენებული მუმია და იგი აგერ, ახლა, ეგვიპტეში რევოლუციურად აღტკინებულმა, მუბარაქისადმი ზიზლით გამსჭვალულმა მასებმა ხელყვეს.

ადამიანის ინტელექტუალური იერსახის შეცვლაში ცოტა როლი როდი ითამაშა ისეთმა გრანდიოზულმა ტექნიკურმა სიკეთემ, როგორიცაა კომპიუტერიზაცია.

ჩვენ ხომ სიახლისადმი გადამეტებული უინით ვართ შეპყრობილი და კომპიუტერში ისე ღრმად შევძერით, რომ ცხოვრების სხვა მსარებით ტკბობისათვის (და განსაკუთრებით ხელოვნებისთვის) დრო აღარ დავიტოვეთ.

აი, რას წერს ცნობილი თანამედროვე ესპანელი მწერალი ფრანცისკო უმბრალი:

„დღეს არაერთგზის გაიგონებთ აზრს ჭეშმარიტი კულტურის ფორმალური განათლებით შეცვლის შესახებ. კულტურა არის რაღაც წმინდა, ფასდაუდებელი, ადამიანური, ხოლო ფორმალურ განათლებას უმეტესად აქვს პრაქტიკული, პრაგმატული, უტილიტარული და არც თუ უანგარო დანიშნულება.

კულტურა აუცილებელია იმისთვის, რომ იყო ადამიანი, ფორმალური განათლება კი იმისთვის, რომ გახდე საქმოსანი.

ჩვენს დროში ძალიან ცოტას აქვს სურვილი კულტურული ადამიანი გახდეს. სამაგიეროდ, უმრავლესობა გამალებული ცდილობს შეიძინოს ზედაპირული, ზერელე ცოდნა და „პორიზონტი გაიფართოოს“. აკი ესეც საკმარისია ტესტის კითხვების შესავ-

სებად, რომ მტვერსასრუტების სააგენტოში სავაჭრო აგენტის ვაკანტური ადგილი დაიკავონ. ის კი ვერ გაუგიათ, რომ ასეთი ფორმალური განათლება კულტურის პროსტიტუირების მეტი არაფერია.

...ნეტავი როგორ შეიძლება შექსპირის შეკვეცა-შემოკლება? შექსპირს თუ წაიკითხავ, მთლიანად, თავიდან პოლომდე უნდა წაიკითხო, დაკვირვებით, აუჩქარებლად. კვლავდაკვლავ უნდა მიუბრუნდე ყოველ სახეს, თითოეულ მეტაფორას. შეკვეცა, შემოკლება, ადაპტირება ხომ ნამდვილი დანაშაულია მისი უდიდებულესობის – კულტურის წინაშე (ფრანცისკო უმბრალი, წიგნიდან „მდარე გემოვნების მუზეუმი“).

მოდი და მოთხოვე მთელ დღეს სამუშაოს ამაოდ ძებნაში დაღლილ, ან მიტინგიდან მობრუნებულ კაცს დაჯექი და „მთვარის მოტაცება“ იკითხეო.

არა და თუ თავს ძალა არ დაატანა, თუ თავის თავს თვით არ მოთხოვა ხელოვნების იდუმალებასთან ზიარება, შეიძლება კომპიუტერული ინფორმაციებით, რის ვაინაჩრობით სამსახური იშოვოს, მაგრამ პრაქტიკული ყოველდღიურობა სულს დაუცარიელებს, სულცარიელი კაცი კი უბედური და საშიში კაცია.

როცა პიროვნების მიზანი უნარ-ჩვევების სწავლის იქით არ მიდის, იქ მაღალ მატერიებზე საუბარი მთავრდება. ვინ უარყოფს კომპიუტერიზაციის დიდ ინფორმაციულ, თუ გნებავთ, ენციკლოპედიურ როლს, მაგრამ კომპიუტერი მხოლოდ ინფორმაციის საშუალებად უნდა დარჩეს და იგი ცხოვრების თვითმიზნად არ უნდა იქცეს.

ახლა კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხდებით კომპიუტერს მიჯაჭულ უაზროდ თვალებამოლამებულ ახალგაზრდებს. ისინი ვერ გრძნობენ როგორ ჩაყლაპა კომპიუტერმა მათი ყველაზე ლამაზი დრო – ახალგაზრდობა.

საქმე იქით მიდის, რომ წერა-კითხვის სასწავლებლად დრო და ადგილი აღარ რჩება. 5 წლიდან ტელევიზორს მიუჯექითო, ჩასჩიჩინებენ ბავშვებს.

მე პირადად შვიდი წლისას ჩემმა პირველი კლასის მასწავლებელმა ხელი ხელზე მომიჭირა და პირველი ასო „ა“ შემომახაზვინა.

კომპიუტერი გააკეთებს ამ საქმეს?

კომპიუტერის და ტელევიზორის ყურებას ფაქტიურად წერა-კითხვის დიდი ცოდნა არც კი სჭირდება.

ამიტომაც წერენ ბატისფერურად, გადაუბმელი ასოებით ჩვე-ნი კომპიუტერიზებული ახალგაზრდები.

ამას წინათ ვიკითხე, რამდენი დამთვალიერებელი მოდის გალაკტიონის მუზეუმში-მეთქი და მიპასუხეს: საერთოდ ყველა სახლ-მუზეუმში ერთიდაგივე სავალალო მდგომარეობაა. დამ-თვალიერებელმა თანდათან იკლო. რატომ? ნუთუ არავის აინ-ტერესებს გალაკტიონის ტანსაცმლის ნახვა, მისი კალმის და მისი საბეჭდი მანქანის ხილვა?

საიდან მოვიდა ეს გულგრილობა?

სწორედ ამიტომაცა, რომ სისასტიკე გახდა ჩვენი ხასიათის თვისება.

ყოველდღიურად ტელევიზით უჩვენებენ, თუ როგორ მოკლა კაცმა საკუთარი მამა, როგორ გამოლადრა შვილიშვილმა ყელი ბებიას.

მხოლცი პროფესორები გაყარეს უნივერსიტეტიდან... ეგ არ შეიძლება იყოს გასაკვირი – პოლიტიკური ნაბიჯია, მაგრამ საში-ნალება ისაა, რომ გაძევებულებს სტუდენტთაგან არავინ გამო-ექომავა.

კულტურის მეტამორფოზის ანუ დევალვაციის ნიშნები, უპ-ირველეს ყოვლისა, მწერლობას დაეტყო. ნიპილიზმი კლასიკი-სადმი, შეურაცხმყოფელი გამოხტომები ქართველ კლასიკოსთა მიმართ იქამდე მივიდა, რომ ერთმა პარლამენტარმა ამასწინა ისიც კი განაცხადა: ილია ჭავჭავაძეს, ასეთ მწერალს არ ვიც-ნობ.

გადახედეთ ე.ნ. ახლებურ პროზას, ვერ იპოვით ვერცერთ ტკივილიან ეროვნულ სიუჟეტს, სკაბრეზული, სექსუალურ-ანან-იზმური პროზა მოგჭრით თვალს. მწერლის, ხელოვანის როლის დაკინიბას ვხვდებით ყოველ ფეხის ნაბიჯზე. მეტი რაღა იქნება, როცა ამასწინა ერთი არც თუ ძალიან ახალგაზრდა მწერალი ამბობდა: სისულელეა ლაპარაკი იმაზე, რომ მწერალი ერის კეთი-ლი მრჩეველი და სულიერი წინამდლოლიაო. მხატვრულ ნაწარ-მოებს ახლა ტექსტს ეძახიან, ხოლო მწერლის ჩანაფიქრს ანუ

დამოკიდებულებას ხელოვნებისადმი, რომელმაც საუკუნეებს უნდა გაუძლოს – პროექტს.

საქმეში ჩაუხედავი, გულუბრყვილო კომპიუტერი იტყვის, რა მოხდა მერე, არ ვკითხულობთ გოეთეს და ვაჟას, არ ვუსმენთ ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიას და არ გვაღელვებს მიქელანჯელოს „მოსა“, განა ასეთი რა უბედურება ხდება, რა აუიოტაჟი ატესტ და პიტნასავით ცხვირში გვჩრით კულტურის გუშინდელ დღეს?

როცა კულტურის გუშინდელ დღედ გამოცხადდება „ვეფხისტ-ყაოსანი“ და მიქელანჯელოს „მოსა“, სწორედ ესაა დედამიწაზე ადამიანების ჯერ გადაგვარების და მერე საერთოდ სიცოცხლის დამთავრების წინადღე.

გამოაკელით ადამიანის კეთილად მოქცევის პროცესს კულ-ტურა და თქვენ მიიღებთ იმას, რაც დღეს ხდება მსოფლიოში – სისასტიკით გამორჩეული მკვლელობები, კანიბალური სალონე-ბი, მეკობრეობა, დღისით-მზისით იმპერიის აღდგენისაკენ მიმ-სწრაფველ ხელისუფლებათა თავდასხმები პატარა ქვეყნებზე...

არ შეიძლება პუშკინი სცოდნოდა იმ რუს ჯარისკაცს, 2008 წლის აგვისტოში მხარზეშედგმული უნიტაზები რომ გამოჰქონდა სახლებიდან და ქართლის სოფლებში მშვიდობიანი გლეხის სარ-ჩო-საბადებელს ცეცხლს უკიდებდა.

ყველაზე საშიში ის არის, რომ ანტიეროვნული პროპაგან-დის გავლენით უკვე გლობალზაფირი მიზანს მიაღწია. პრო-ვინციალიზმად მიაჩნია ზოგ უმეცარ „ხელოვანს“ პატრიოტული თემების წინ წამოწევა... ამასწინა ახალგაზრდა პროზაიკოსთა კონკურსს ვთამჯდომარეობდი და, ვიღას დავუმალო, 150 პრო-ზაული ნაწარმოებიდან მხოლოდ ორიოდეში თუ იყო გათავისებული მამულის სატკივარი. გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ ნაწარ-მოებები ერთმანეთს – ლაპარაკი იყო მხოლოდ იმაზე, რომ მავანს და მავანს საზღვარგარეთ უნდა წასვლა და ვიზას არ აძლევენ, ან უკვე საზღვარგარეთა და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი არ დაბრუნდეს ამ ბენელ საქართველოში. რა საშინელებაა, რომ იცოდეთ, ხელოვანის როლი რომ დაკინიდა და გაუფერულდა. არა და, რა იცის ახალგამომცხვარმა ხელოვანმა, რომ მისი ულიმდამ ნაწარმოები ათასი წელი ვერ მოახდენს ქართველ კაცზე იმ სულიერ გავლენას, რაც ყაზბეგის „ხევისბერმა გოჩამ“

ან მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკებამ – „კიდევაც დაიზრდებიან“ მოახდინა.

კლასიკისადმი ზერელე, უპასუხისმგებლო დამოკიდებულების მსხვერპლი გახდა ქართული კულტურის ყველაზე დიდი განძი „ვეფხისტყაოსანი“.

ჯერ იყო და ქართველთა ამ უპირველეს წიგნს უმცართა ტლანქი ხელი შეეხო და „იგი წავა და სხვა მოვა“, „იგი წახდების, სხვა მოვად“ გადააკეთეს, ხოლო „ვგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუ-სა და ღალატიანსა“ – „ვგმობ კაცსა უაუგოსა ცრუსა და ღა-ლატიანსა“-დ. მერე „ვეფხისტყაოსნიდან“ ამოაგდეს ბრნყინვალე სტროფები (მაგ.: „მოვიდიან შესამკობლად“ და ა.შ.) და რუსთავე-ლის პოემის ორგანული ნაწილი „ინდოხატალთა ამბავი“, ხოლო ბოლოს ღამის ათასი წლის მანძილზე ჩვენი ერის თაობათა საუკეთესო თვისებების ჩამგონებელი „ვეფხისტყაოსანი“ თითქ-მის ამოილეს სასკოლო პროგრამიდან (მხოლოდ მცირე ნაწყვეტი დატოვეს).

ვინწობიოგრაფიული, სექსუალური, კამერული, ფსევ-დოფილოსოფიური თემების მოძალება იგრძნობა ამ ბოლო დროს ლიტერატურაში. არა და, წარმოიდგინეთ, რა სულიერ ზემოქმე-დებას მოახდენდა მკითხველზე, ჭეშმარიტმა მწერალმა რომ ხელი მოჰკიდოს ისეთ ტოტალურ პრობლემებს, როგორიცაა, ვთქვათ, 2001 წლის 11 სექტემბერს ალკაიდას შეტევა ნიუ-იორკის ცათამ-ჯენებზე ან 2011 წლის 8 მარტის კატასტროფა იაპონიაში.

რა ხდება ქართულ კინოში?

ფაქტიურად არსებობა შეწყვიტა სახელგანთქმულმა სა-ქართველოს კინოსტუდიამ. „ქართული ფილმი“, რომელმაც მსოფლიო კინოფესტივალებზე არაერთი გამარჯვება მოიპოვა და სამართლიანად ითვლებოდა საუკეთესო კინოკორპორაციების ღირსეულ მეტოქედ, უკვე აღარ არსებობს.

დღეს ფილმის გადაღება ენერგიული (მაგრამ საეჭვო ნიჭის მქონე) კინორეჟისორი „კაი ბიჭების“ მარიფათზეა დამოკიდებული. ფულს ვინც იშოვის, ფილმსაც ის იღებს. არავინ კითხუ-ლობს, რა შეატყო მავან და მავან ჯიუტმა „კინოშნიქმა“ თავის თავს ისეთი, რომ მხატვრული ფილმის გადაღება შეუძლია.

დაიკარგა კინემატოგრაფიული პროფესიონალიზმი.

ვისაც სურვილი აქვს და საშუალება, იღებს კინოკამერას ხელში და კინემატოგრაფს საეჭვოდ ეპოტინება. რას იღებს, რა სცენარი აქვს ხელში, როცა გადასაღებ მოედანზე შედის? თავისი ან თავისი სკოლის მეგობრის მიერ დაწერილი საეჭვო ღირებულების „კინოსცენარი“, რომლისგანაც ფელინიც კი ვერ შექმნიდა ნორმალურ კინოფილმს.

მახსოვს, მომავალი ფილმისთვის კინოსცენარის განხილვა კინოსტუდიაში ზოგჯერ მთელი კვირის განმავლობაში მიმდი-ნარებდა, რატომ დაიკარგა ეს პრაქტიკა? იქნებ „მავნე გად-მონაშთად“ ჩათვალა ვინმემ წინასწარ ფილმის ლიტერატურული მასალის წაკითხვა-შეფასება თუნდაც მწერალთა ვიწრო წრეში?

ამ კინემატოგრაფიულმა თვითონებობამ შედეგად ის მოიტანა, რომ ამ ბოლო დროს ერთმანეთს წაეწყო გულისამრევი მხატ-ვრული დონის ე.ნ. „ფილმები“. თავბრუდამხვევი ტემპი, უა-რული გაურკვევლობა, უხამსი გამოთქმებით სავსე დიალოგები, ხელოვნური, მხატვრულ მოტივირებას მოკლებული სიუჟეტები, ულოგიკო პასაჟები, ღრიანცელი, გაუთავებელი ღრიანცელი, ესაა საქართველოში უკანასკნელ წლებში შექმნილი ფილმების საერთო მახასიათებელი ნიშნები მცირე გამონაკლისის გარდა. უყურებ და ისეთ დასკვნამდე მიდიხარ, რომ ორსაათიან ფილმში არაფერია მიმზიდველი შორენა ბეგაშვილის ტანის (სხვა სიტყვა კინაღამ წამომცდა) გარდა. კინემატოგრაფისადმი ლაზანდა-რული გაშინაურების შედეგია ის გარემოება, რომ საქართველოს ერთ უმშვენიერეს კუთხეზე და მის ამაყ წარმომადგენლებზე იქმნება აშკარად შეურაცხმყოფელი, შინაგანად ფუყე, მდარე ანეგდოტებზე აგებული „ფილმი“.

ქართულმა კინემატოგრაფმა ხომ მიიძინა და მიიძინა, იქნებ ჩვენი სახელოვანი ქართული თეატრი მაინც დგას ღონივრულად? იქნებ ვერიკო ანჯაფარიძის, სერგო ზაქარიაძის, აკაკი ხორავას, აკაკი ვასაძის, უშანგი ჩხეიძის, ვასო გოძიაშვილის ქართული თეატრი ისევ ფეთქავს? თქვენც არ მომიკვდეთ.

ახლახან რუსთაველის თეატრში დაიდგა კომიქსირებული „ჰამლეტი“. შექსპირის ტრაგედიის პერსონაჟი ჰამლეტი ამ ექს-პერიმენტულ სპექტაკლში ერთი ხელმოცარული პოტანიკოსია, უყურებ წარმოდგენას და გეჩვენება, რომ დებიუტანტი თეატ-რალები უბრალოდ დასცინიან შექსპირს, სხვა – არაფერი.

შეიძლება ასე უანრის შეცვლა? საკომედიოდ და „საღადაოდ“ რაღა შექსპირი აირჩიეთ, ძვირფასო ახალგაზრდებო?

მე კლასიკისადმი შემოქმედებით მიღვიმას მხარს ვუჭრ, მაგრამ იმ დონეზე არა, რომ სპექტაკლში, სადაც ოტელო ეჭვიანობის გამო აღრჩობს დეზდემონას, მოხდეს პირიქით – დეზდემონამ დააღრჩოს ოტელო.

არასოდეს არ ყოფილა საქართველოში ამდენი დრამატული თეატრი. ვისაც მოეპრიანება და თავისუფალ სარდაფს მოძებნის, ხსნის თეატრს. ეს რასაკვირველია, მისასალმებელია, მაგრამ დიდი ძალისხმევაა საჭირო, რომ ახალმა თეატრმა თავისი ხმა, თავისი სტილი, ორიგინალური მსოფლხედვა დაამკვიდროს თეატრალურ ხელოვნებაში.

საეჭვო ღირებულების ტექსტის კითხვა (და მერე რა ჩიქორთული ქართულით, რა ბლუმეტყველებით) ჯერ კიდევ არ არის სპექტაკლი.

არანაკლებ შავ დღეშია ჩვენი სახვითი ხელოვნება.

აგერ ა, თითქმის ჩვენ თვალწინ ქრება ხელოვნების ისეთი ტრადიციული და ღირსეული დარგი, როგორიცაა არქიტექტურა.

თუ პროფესიონალიზმა და დარგობრივმა კონკრეტიზაციამ მეცნიერებაში იმატა, კულტურაში პირიქით – იკლო.

როცა რენესანსის მხატვართა ნამუშევრებს ათვალიერებთ, გაოცებთ უმაღლესი პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობის გრძნობა, თითოეული დეტალის დამუშავების სიზუსტე. გრძნობთ, რომ ავტორს არსად არ ეჩქარება, იცის ბოტიჩელმა, რომ მისმა ნახატმა საუკუნეებს უნდა გაუძლოს. შედიხართ თანამედროვე ფერმწერთა გამოფენებზე და, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, უხერხულობის გრძნობა გიპყრობთ. „დაუმთავრებელი“ აი, რა სიტყვა ამოტივტივდება გონებაში ზოგი ნამუშევრის ნახვის დროს. არა და რატომ უნდა ჩავთვალო მე ხელოვნების ჭეშმარიტ ქმნილებად მავანი მხატვრის ყალმის ნაჩქარევი მოსმით შექმნილი „ნამუშევარი“?

იაკობ ნიკოლაძემ, ნიკოლოზ კანდელაკმა, ელგუჯა ამაშუკელმა და მერაბ ბერძენიშვილმა არა მარტო ააღმორდინეს, შექმნეს და მძლე საყრდენებზე დააფუძნეს ქართული ქანდაკება.

ვინ მოვიდა მათს კვალზე?

ვინ გააგრძელა ქართული რეალისტური ქანდაკების გზა?

ნუთუ ხელოვნების ჭეშმარიტ ნიმუშად მიაჩნია ვინმეს ყალბმოდერნისტული, ეპიოგენური, ვითომ სტილიზებული რამდენადმე ქანდაკება გუშინ რომ დაიდგა და დღეს უკვე მის აღზაზე ლაპარაკობენ?

ჰამლეტ გონაშვილის და ნანი ბრეგვაძის სამშობლოში რატომ დაკინდა ჩვენი სამუსიკო-საშემსრულებლო ხელოვნება?

რატომ ახალისებენ მავანნი და მავანნი „ჩაკრულოს“ და „წინწყაროს“ ნაცვლად ზანგურ-ამერიკული სიმღერების მიბაძვით შემქნილ მუსიკალურ სუროგატს?

გემოვნების დაქვეითება ტელევიზიამაც განაპირობა. ტელევიზია ხომ ჯერ კიდევ საინფორმაციო საშუალებათა მეფე. ხელისუფლება მისცემს დავალებას ტელევიზიას, რაც შეიძლება დაამცირე, ფაქტიურად იგნორირებულყავი ჭეშმარიტი ეროვნული ხელოვნებაო და ტელევიზიაც მორჩილებით ასრულებს პატრონის დავალებას.

განა ბედის ირონია არ არის, რომ ტელევიზიის უმეცარ კომენტატორზეა დამოკიდებული, არის თუ არა დიდი ხელოვანი მავანი და მავანი. და თუ არ არის, ტელევიზიას შეუძლია გადაახტუნოს იგი ჭეშმარიტ ტალანტებს და სხვისთვის განკუთვნილ პიედესტალზე შემოასკუპოს.

ქართულ ეროვნულ ფენომენზე გლობალურ-სოროსული თავდასხმის შედეგად, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ეროვნულობის მთავარი ნიშანი და ერის სასიცოცხლო ჯავშანი – ქართული ენა დაზარალდა.

უკანასკნელ წლებში ლამის ხელში შემოგვადნა ენა, რომელზეც „ვეზხისტყაოსანი“ დაიწერა და რომელზეც იოანე ზოსიმე ამაყად განაცხადა: „მრავალი საიდუმლო ამა ენასა შიგან დამარხულ არსო“.

არა და არ მიიღო პარლამენტმა კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ იგი ათი წელია დევს პარლამენტის პორთფელში და ასეთი კანონი, სხვა სახელმწიფოზე რომ არაფერი ვთქვა, კარგახანია მიღებული აქვთ სომხეთს და აზერბაიჯანს.

როცა თვით უმაღლესი რანგის ჩინოვნიკები არ სცემენ პატივს საკუთარ ენას და ყოველი ოფიციალური გამოსვლის დროს

ინგლისურად ჭიკჭიკებენ, ისინი სხვას რა პირით მოსთხოვენ ქართული ენისადმი პატივისცემას.

ვერც ის გავიგეთ, ისე შემოგვეპარა და ბევრს უკვე ქვალ-რბილში გაუჯდა უცხო სიტყვები. ვერ გავიგე რითა „თინეიჯერზე“ ნაკლები მშვენიერი ქართული სიტყვები „ყრმა“, „ახალგაზრდა“, „ყმაწვილი“. რითი სჯობია „მენეჯერი“ „მოთავეს“, „ორგანიზატორის“, „ხელმძღვანელს“, „უფროსს“, ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვესმის როუმინგი, დიჯეი, მენეჯმენტი, შოუმენი, შოპინგი და ა.შ. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ვიტრინებიდან თითქმის უკვე განიდევნა ქართული.

რამ გამოიწვია კულტურის მეტამორფოზა? უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, კულტურის სახეცვლილება მისი დევალვაციის აშკარა ნიშნებით გამოხატული? რატომ უნდა დამდგარიყო მეცნიერული ფეიერვერკებით მდიდარ ეპოქაში, სწორედ XXI საუკუნის პირველ ათწლეულში დეკულტურიზაციის ამინდი?

ამ სავალალო გარემოებას აქვს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მიზეზები, ანუ როგორც ლოკალური, ისე გლობალური მასშტაბები.

ჯერ საერთაშორისო სახელოვნო ჭოგრიტით შევხედოთ ვითარებას, რადგანაც კულტურისადმი გაგულგლრილება სწორედ რომ მსოფლიო მოვლენაა.

კულტურისადმი დამოკიდებულების შეცვლა გამოიწვია ჩვენი თანამედროვის ფსიქიკის შეცვლამ.

ადამიანის ფსიქიკა გადასხვაფერა, ერთი მხრივ, გლობალიზაციის დაჩქარებულმა ტემპმა, ხოლო, მეორეს მხრივ, გაუთავებელმა ეკონომიკურმა კრიზისებმა და ინფლაციამ, პერმანენტულმა ომებმა, რაც ზესახელმწიფოთა მხრიდან პატარა სახელმწიფოებზე დღისით-მზისით მეკორულმა თავდასხმებმა განაპირობეს...

ყოველივე ზემოთქმულმა კაცობრიობის გულში შიში ჩაასახლა, ხვალინდელი დღის შიში. შიშმა შეცვალა მისი გუნება-განწყობილება. ინტელექტუალთა ერთმა ნაწილმა ლამის უარი თქვა ადამიანის ბუნების დინჯ, სიღრმისეულ კვლევაზე, საყოველთაო განგაშის ვითარებამ და ნერვულმა ატმოსფერომ XXI საუკუნის მოქალაქეს ჭეშმარიტი კულტურის ნიმუშებთან ზიარების, მაღალ მატერიებზე დაფიქრების უნარი დაუქვეითა.

ჭეშმარიტი კულტურისადმი საზოგადოების ინტერესის და-კარგვა დროებითი მოვლენაა.

ასეთი პერიოდები ახსოვს მსოფლიო კულტურის ისტორიას.

ეს რომ დიდხანს გაგრძელდეს, დედამიწაზე გონიერი არსების, „ჰომო საპიენსის“ გადაგვარებას გამოიწვევს და ჩვენ ასასართულიან შენობაში მცხოვრები და კომპიუტერიზებული მოქალაქენი, შეიძლება ერთ უბედურ დღეს, ჩვენი შეგნებით და გონებრივი გასაგისით გამოქვაბულის ადამიანების დონეზე აღმოვჩნდეთ.

თუ კარგად დავაკვირდებით, უკვე იგრძნობა საპირისპირო ტალღა. იმ ქვეყნებში, სადაც გარემოებამ საზოგადოებას ამოსუნთქვის საშუალება მისცა, ადამიანი ნელ-ნელა უბრუნდება ჭეშმარიტი ხელოვნებისადმი ყურადღებისა და პატივისცემის ძველ, ნაცად გზას.

ოდნავ შეცვლილი ვითარებაა საქართველოში.

ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედების მსოფლიო მოვლენებს, ჩვენი თანამედროვე რომ კულტურისადმი რამდენადმე გააუცხოვა, საქართველოში ემატება ჩინოვნიკთა სურვილი თავიანთი ოკეანისგალმელი პატრონების წინაშე თავის გამოჩენისა.

რაკილა გლობალიზაცია პატარა, „ჭირვეული“ ერების ნაციონალური კულტურების დაუთოვებისკენ მისისწრაფვის, რაკი ახალი ეპოქა ინტეგრაციის ეპოქაა, ხოლო ინტეგრაცია მაინცდამაინც მასკულტურაში თავის შეყოფას, ანუ საყოველთაო კულტურულ ამერიკანიზაციას ნიშნავს, მოდი ჩვენ, „ყოჩალი ბიჭები“ საკუთარი ერის ხელოვნების ჩანიხვლის ხარჯზე დავაჩქარებთ ამ პროცესს, ფიქრობენ ახალი მოდის ღამურები და არ იციან უგუნურებმა, რომ ამით მშობელი ერის წინაშე გაუგონარ დანაშაულს სჩადიან.

სწორედ ამ „ზრუნვის“ შედეგია ფართო ფრონტით შეტევა ეროვნული ხელოვნების წინააღმდეგ. იგნორირება იმ სახელოვანი ადამიანებისა კულტურის მაღალ დონეს რომ განაპირობებენ, სასკოლო სახელმძღვანელოებიდან ამოღება პირველ რიგში პატრიოტული ნანარმოებების, ყოვლის ღონისძიებით წახალისება იმგვარი „ქმნილებების“, რომლებშიც ეროვნულად სახენაშლილი, საეჭვო სექსუალური ორიენტაციის პერსონაჟები დომინირებენ, ბუნდოვანი, რეუსუსური თხზულებების ბეჭდვა ხელისუფლების მიერ დაფინანსებულ უურნალ-გაზეთებში (იმგვარი

გაუკულმართებული და გაუგებარი სტრიქონები იბეჭდება, რომ გაიფიქრებ კაცი, ილია და აკაკი რომ ცოცხალნი იყვნენ, თავი-ანთი ნაწერების გამოქვეყნებას ამ „ულტრათანამედროვე“ ქურ-ნალებში ვერა და ვერ მოახერხებდნენ), ქართული ენის პალატის გაუქმება, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ანულირება, საინ-ფორმაციო ელექტრონული საშუალებებისთვის საიდუმლო დავა-ლების მიცემა; ეკრანზე არ გააჭაჭანონ ის ეროვნული პიროვ-ნებანი, ვისაც ძალუძს ხალხს გულის მოსაფხანი სიტყვა უთხრას.

იმისათვის, რომ ხელოვნება აღმავლობის გზას დაადგეს, პირველ ყოვლისა, საჭიროა, იგი განთავისუფლდეს გლობა-ლიზაციის დაჩქარებული ტემპისაგან და ნაციონალურ სამანებს დაუბრუნდეს.

ხელისუფლებამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაისიგრ-ძეგანოს თავისი მოვალეობა ეროვნული კულტურის წინაშე და ყოვლის ღონისძიებით შემობრუნდეს ეროვნული ფესვებისაკენ, თუ არ სურს სამარცხვინოდ წავიდეს ისტორიის არენიდან.

მსოფლიოში ყველა დიდი ხელოვანი, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული მოვლენაა.

რასაკვირველია, გლობალიზაციას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ხაზით თავისი სიკეთეც გააჩნია, მაგრამ ეროვნულ ხელოვნებას იგი ნიველირებისკენ მიაქანებს და მასკულტურაში ათქვეფას უქადის.

ამიტომაც, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ფენომენის შენარჩუნებასა და გაძლიერებაზე უნდა ვიზრუნოთ.

## რცხვის პროპლემები და კულტურა

კულტურისა და რელიგიის ურთიერთობიმართება უაღრესად ფაქტიზი და დიდი სიფრთხილით განსასჯელი პრობლემაა.

საკმარისია შიშველი ფილოსოფიური აზროვნებით ან ეს-თეტიკოსის ბოლომდე ჩამოუყალიბებელი კრიტერიუმებით მიხვიდე ამ პრობლემასთან, რომ ხელში შეგრჩება მშრალი ფი-ლოსოფიური დასკვნები და მეცნიერული გულუბრყვილობით გა-ჯერებული წიაღსვლები.

მხატვრული აზროვნება ხომ ერთის მხრივ რელიგიურ დოგმა-ტიკას გამორიცხავს, მას ხომ სანავარდოდ ფანტაზიის ფრთხები სჭირდება. მაში, როგორ უთავსდება ერთმანეთს ერთის მხრივ უს-ამანო მხატვრული აზროვნება და მეორეს მხრივ ღმერთის არსე-ბობა, რომელიც ფაქტიურად უკამათო რწმენას და მორჩილებას მოითხოვს?

მხატვრული აზროვნება თავისთავში ეჭვის დიდ დოზას შეი-ცავს. იქ, სადაც ხელოვანი თავის შთაგონებას, ნებით თუ უნ-ებლიერ, წინასწარ განსაზღვრულ კალაპოტში აქცევს, ვლებუ-ლობთ ღობეშემოვლებულ სახელოვნებო ქმნილებას, ეს უკვე აღარ იქნება არც პაოლო იაშვილის თქმისა არ იყოს: „ვაჟკაცური გაქროლება ზღვიდან მოვარდნილი აფრის ტკაცუნის მსგავსად“ და არც ლადო ასათიანისებური:

„მეც მისთვის ვიწყებ არწივურ ყივილს,  
როცა გულს გაჰკრავს ცივი ნიავი,  
რომ ლექსი შველის ყოველგვარ ტკივილს  
და ლექსი თვითონ ტკივილი არი“.

კულტურის მთელი ისტორია ხელოვანის შინაგანი თავი-სუფლებისთვის ბრძოლის ისტორიაა, იგი ვერ ჰგუობს ცენტურას და თუნდაც ოქროს გალიას. გალაკტიონის „მაქვს მკერდს მიდე-ბული ქნარი როგორც მინდა“ გახლავთ სწორედ კულტურის თა-ვისუფლების ანი და ჰოე.

და აი, ყველასა და ყველაფერზე მაღლა დგება შემოქმედი, ღმერთი. იგი ლამის წინასწარვე გამორიცხავს მისი ქადაგებისადმი თუნდაც ელემენტარულ ეჭვს და მართალიცაა. იქ სადაც ეჭვი იბადება, ჭეშმარიტი რწმენა ქრება. ყველას გახსოვთ სახარები-

დან დიდებული მხატვრული პასაუი, როდესაც ეშმაკმა ტაძრის ფრთებზე შეაყენა ქრისტე და უთხრა: გადახტი აქედან, შენ ხომ ღმერთის შვილი ხარ, არაფერი მოგივა, ანგელოზები შეგიდებიან და რბილად, ნარნარით დაგიშვებენ მიწაზეო. ქრისტემ ტაძრის თხემიდან გადაიხედა და მაცდუნებელს უპასუხა: „წერილ არს, არა გამოსცადო უფალი ღმერთი შენი.“

ამაზე უკეთეს პასუხს ვერც ერთი ფილოსოფოსი ვერ მოძებნიდა, რადგანაც მაცხოვარის ამ სიტყვაში მამა ღმერთის ნება და სურვილი ჩანს.

ღმერთს თაყვანისცემა სჭირდება და არა განსჯა.

ირაკლი აბაშიძემ პოემაში „პალესტინა, პალესტინა“ შოთა რუსთაველს ღმერთისადმი ათქმევინა:

„შენ მთხოვდი თაყვანს  
მხოლოდ თაყვანს,  
თაყვანს განუსჯელს;  
მე მხოლოდ განსჯის,  
მხოლოდ განსჯის  
ვიყავ მლოცველი.“

და იქვე:

„ხამს ლოცვა ჩემი  
არ მემწუხროს,  
ხამს არ წამწარდეს,  
და თუ შენ მაინც,  
ცოდვად მითვლი,  
ამ ჩემს საწადელს,  
ცოდვა-არცოდვის  
ჭეშმარიტი  
სად ძევს სამზღვარი“.

ასე რომ, პოეტი სინანულით და მოკრძალებით მიმართავს უზენაესს, თუ ზოგჯერ შემოქმედებითი თავისუფლებისკენ ჩემი სწრაფვის გამო განსჯას შეგუადრებდი ხოლმე, გთხოვ მაპატიო და ამას ცოდვად ნუ ჩამითვლიო.

ღმერთი რა თქმა უნდა დიდსულოვანია, იგი მხატვრული აზროვნების ნიჭით დაჯილდოებულ კაცს შეუნდობს ხოლმე უნებლიერ ცოდვას, მაგრამ იქვე დაადევნებს ცხოვრებაში სახელმძღვანელო მითითებას: „ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხნეთ“.

კიდევ ერთხელ ჩავულმავდეთ რელიგიისა და კულტურის ურთიერთდამოკიდებულების ურთულეს პრობლემას.

როგორ მოხდა, რომ ისინი მაინც თანამშრომლობენ და არათუ თანამშრომლობენ, უერთმანეთოდ არ არსებობენ, ხოლო მათმა ურთიერთთანამშრომლობამ სასწაულები მოახდინა, მსოფლიო კულტურის შედევრები შექმნა.

როგორ ხდება ეს?

აქ გამოსავლად ორი რამ უნდა მოვიშველიოთ.

ჯერ ერთი ხელოვანის მხატვრული ნააზრევი, თუ იგი ჭეშმარიტია, თითქმის არასოდეს სცილდება უზენაესის მცნებებს და მეორეც, კულტურაც ხომ ღმერთის მიერაა შთაგონებული და მისი შემწეობით იქმნება, ამიტომაც აქ რაიმე დაპირისპირებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

სწორედ ღმერთმა უკარნახა იმ დიდებული, ღვთაებრივი კარნახით ყველა გამოჩინებულ ხელოვანს კულტურის სხვადასხვა დარგში ისეთი გრძნეული მემკვიდრეობა დაეტოვებინა, რომ მათი იდუმალება საუკუნეებმაც კი ბოლომდე ვერ ამოიცნეს.

ღმერთის ნების გარეშე არ არსებობს გულის სისხლის ჩადება ჭეშმარიტ მხატვრულ ნააზრევში.

ლამის სიცოცხლეზე სთქვეს უარი უკვდავმა კულტუროსნებმა, რომ ღმერთის ნება შეესრულებინათ.

წარმოიდგინეთ, კიბის ქვეშ ტანჯულ-გვემული ფიროსმანი მის ზღაპრულ ირემს რომ უკანასკნელ ფერს ადებს.

წარმოიდგინეთ რა ღვთაებრივად განათებული სახე ექნებოდა მიქელანჯელოს, როცა თეთრი მარმარილოსგან მოსეს აქანდა-კებდა.

აუცილებლად ანგელოზი აჯდა მხარზე გრძნეულ ფერმწერს, როცა გელათში ქრისტეს აგვირისტებდა.

ერთის მხრივ ხელოვანის თავისუფლების დრამატული კალეიდოსკოპი და მეორეს მხრივ უზენაესის ნება, დიდებულ შთაგონებად რომ მოევლინება ხელოვნებისთვის დაბადებულ ადამიანს; ეს ორი რამ ის ზღუდემოურლვეველი ქვაკუთხედია, მსოფლიოს ხელოვნებას რომ შედევრებით ამდიდრებს.

ასე რომ, რელიგიისა და კულტურის ურთიერთგამიჯვნაზე ხელოვნური კამათის ნაცვლად უმჯობესია იმაზე ვილაპარაკოთ,

რა იგავმიუწვდომელი ნიმუშები შეიქმნა მსოფლიო ხელოვნებაში სწორედ რელიგიური მოტივების შთაგონებით.

ჭეშმარიტი ხელოვნება მხოლოდ და მხოლოდ კეთილი ნების ხელოვნება.

როდესაც თუნდაც ნიჭიერი ხელოვანი კაცობრიობის სანამართო ფიქრის საწინააღმდეგოდ ადამიანებს შორის ავადმყოფურ ურთიერთობებს აფეტიშებს, სიკეთის ნაცვლად ბოროტებას ქადაგებს, სინმინდის ნაცვლად მრუშობას და ადამიანს არაჯანსალი ინსტიქტებისკენ უტიძგებს, მას არ შეიძლება ჭეშმარიტი ხელოვნების მწვერვალთა დამპყრობი ვუწოდოთ.

მთელი მისი შემოქმედება მხოლოდ დროებითი ყურადღებისთვის, ეგრეთ წოდებული სახელოვნებო მოდისთვისაა განწირული.

თუ დავთიქრდებით, მას შემდეგ, რაც ადამიანი საზოგადოების ენერგიული წევრი გახდა და მასთან მოვიდა დიდებული რწმენა ღმერთის სახით, რათა იგი საბოლოოდ გაენთავისუფლებინა ადრინდელი წარმართულ-პრიმიტიული ფეტიშურ-ტოტენჰემური წარმოდგენებისაგან, ღმერთმა დაივანა ადამიანის გონებაში უმაღლესი იდეალების სახით.

როცა რელიგისა და კულტურის ურთიერთობაზე ვლაპარაკობთ, ამთავთვე შეიძლება დავასკრათ, რომ მსოფლიოს ხელოვნების შედევრთა უდიდესი ნაწილი სწორედ რომ რწმენამ შექმნა.

რწმენა, როგორც აღვნიშნეთ, ადრეულ საუკუნეებში თავისი თავდაპირველი ფორმებით და მერე, კაცობრიობის ნუგეშად მოვლენილი ყველა სარწმუნოება უკლებლივ, ბუდიზმი იქნებოდა, იუდაიზმი, მაჰმადიანური სარწმუნოება თუ ქრისტიანობა, მარტო ადამიანთა ცხოვრების წესის განმსაზღვრელი კი არ იყო, არამედ ხელოვანსაც აძლევდა იმ შინაგან სიმწყობრეს და უზენაეს მორალურ დაკვეთას, რომ ღმერთს ხელოვანი თავისი წმინდათა წმინდა საქმეების აღსასრულებლად გვერდით ამოეყენებინა.

სწორედ რომ რწმენამ შექმნა ეგვიპტის პირამიდები, წმინდა პეტრეს ტაძარი რომში, ტაჯმაჰალი, სვეტიცხოველი, ვარძია, ალავერდი, გრემი, გელათი. რწმენის უმაღლესი მხატვრული განსხეულებაა ფირდოუსის, პომეროსის, დანტე ალიგიერის, რუსთაველის და სხვათა უკვდავი ქმნილებები.

კულტურა, თავისი არსით, მოწოდებულია რწმენის განმტკიცებისთვის და იგი ყველაფერს აკეთებს, რათა ადამიანთა ცხოვრება სიკეთებ და ჰარმონიაშ მოიცვას.

გადახედეთ რენესანსის და შემდეგ დროინდელი პერიოდის კულტურის ნიმუშებს და თქვენ ადვილად დარწმუნდებით, რომ სწორედ ბიბლიური სიუჟეტები და სახარება კვებავს ჩვენთვის ცნობილ მსოფლიოს შედევრებს. კვებაში მხოლოდ და მხოლოდ იმ ემოციურ სულიერ მუხტს ვგულისხმობ, რომლის გარეშეც მოქანდაკე საჭრეთელს არ აიღებს ხელში, მხატვარი ფუნჯს არ ამოავლებს მოლბერტს, ხოლო მწერალი კალამს არ მოკიდებს ხელს.

ერთი წუთით შევავლოთ თვალი ამ მიმართულებით თუნდაც გენიალურ მიქელანჯელოს.

ლამის ხუთასი წელია მნახველებს ალაფრთოვანებს სიქსტის კაპელა. იგი ბიბლიის გენიალური მხატვრული ინტერპრეტაციაა და ესთეტიკოსები დღემდე კამათობენ, რომელი მათგანი უფრო დიდია, თვით ბიბლია თავისი ბრძნულ-პირველებილი გრძნეულებით, თუ სიქსტის კაპელა თავისი ფერწერული დიდებულებით.

ბოლოსდაბოლოს ორივე მათგანი ხომ ღმერთის მიერაა შთაგონებული.

სახარება გააუკვდავა მიქელაჯელომ თავისი სწორუპოვარი ქანდაკებებით. ერთ მათგანს ქვია „გარდამოხსნა“, მეორეს კი „პიეტა“. ორივე შედევრი ერთ სიუჟეტზეა – ჯვარცმიდან მაცხოვრის გარდამოხსნაზე.

მარმარილოში გაცოცხლებული კოსმიური ტკივილი, სამუდამოდ შეჩერებული სუხთქვა თავისი ტრაგიკული მომსიბილელობით. ესაა მიქელანჯელოს ქანდაკებათა განუმეორებელი სილამაზის საიდუმლო.

რაც შეეხება წმინდა პეტრეს მცირე დარბაზში დავანებულ მოსეს ქანდაკებას, იგი იმდენად ღვთაებრივი და იმდენად ნამდვილია თავისი მუქში მომწყვდეული შეკეცილი წვერით და თვისტომისკენ მრისხანებაგარეული ლმობიერებით მიპყრობილი მოსეს თვალებით, რომ გამოდიხარ პეტრეს ტაძრიდან და სულ სხვა ადამიანი ხდები.

გიგანტს, როგორ შეეძლო განეცადა ადამიანს ღმერთის სახე და არსებობა ისე ძლიერად, როგორც ეს მიქელანჯელომ განიცადა.

ადამიანის წარმოდგენაში ისე ჰარმონიულად გადადის ერთმა-ნეთში რელიგიური საწყისი, ანუ ღმერთის მიერ შთაგონებული და ადამიანის ხელით გაკეთებული მინიერი კულტურის ნიმუში, რომ ხანდახან ზღვარიც კია წაშლილი და ზოგიერთები რელიგიურ სახ-ელოვნო ქმნილებებს კულტურის ნიმუშად არც კი აღიქვამენ.

მაგრამ შევხედოთ ბიბლიას, როგორც მხატვრულ ნაწარმოებს. ერთდროულად ღმერთის შთაგონებით შექმნილს და ამავე დროს მხატვრული ნააზრევის შედეგად დაბადებულს.

განა ექნებოდა ბიბლიას (ძველ აღთქმას და სახარებებს) ადა-მიანზე ღვთის სიტყვის ენერგიით ზემოქმედების ისეთი ყოვლის-მომცველი ძალა, რომ ისინი დიდი მოაზროვნების, თუ გნებავთ დიდი მნერლების მიერ არ ყოფილიყო შთაგონებული.

მე ვერც კი გავბედავ გამოვყო რომელიმე ადგილი, რომელიმე იგავი ბიბლიიდან, რომ მას გენიალური, მხატვრულად მოაზროვ-ნის ბეჭედი არ აჩნდეს.

დაინტერ დაბადებიდან და გაპყევით ბოლომდე.

თვალის მოწყვეტის, შენთვის განზე გასვლის საშუალებას არ გაძლევს ბიბლია. ყოველი გვერდი მარტო დიდი ღვთაებრივი სი-ბრძნით კი არა, მხატვრული პასაუებით არის სავსე.

რაც შეეხება ოთხივე სახარებას, ეს წიგნები ხომ სიტყვაში აკუმულირებული ღვთაებრივი პოეზია.

მაცხოვრის ბოგაში შობიდან თავზე რომ ვარსკვლავი დაადგა, ჩვენთვის წამებული ღმერთის ბოლო ამოკვნესამდე: „ელი, ელი, ლამა საბაქთანი“ – განა იგავმიუწვდომელი მხატვრული ქმნილე-ბა არ არის?

სახარებაში ხომ იმგვარი მხატვრული პასაუებია გონები-დან რომ არასოდეს ამოვა, სულიერად შეგძრავს და სამუდამოდ დაგიმორჩილებს.

რომ არ ყოფილიყო ასეთი დიდებული თანხვედრა გენიალური მხატვრული მოაზროვნებისა და ღვთიური შთაგონებისა, საკითხ-ავია ექნებოდა ქრისტიანობას ასეთი საყოველთაო ზეგავლენის და მილიონთა სულსა და გულზე ზემოქმედების ღვთაებრივი ძალა?

ერთი წუთით გამოაკელით ქართულ კულტურას ქრის-ტიანული რელიგიის საფუძველი და ცხოველმყოფელობა და ხელში შეგვრჩება, რა თქმა უნდა ასევე თვითმყოფადი, ქრის-

ტიანობამდელი კერპების შთამბეჭდავი ფაქტები, მაგრამ მას არ ექნება ისეთი დიდი მსოფლიო მნიშვნელობა და მასშტაბები, რო-გორიც დღეს აქვს ქრისტიანობასთან შენივთულ, მასთან ერთად დაბადებულ და განვითარებულ ქართულ კულტურას.

ერთი წუთითაც არ შეიძლება იმის დაშვება, თითქოს რომე-ლიმე რელიგიის შთაგონებით, კულტურის უკეთესი ნიმუშები შე-ქმნა ამა თუ იმ ხალხმა, და აქედან გამომდინარე, რელიგიათა უკეთეს უარესობაზე გულუბრყვილო საუბარი. თუმცა კი ფაქ-ტია, რომ ზოგიერთი რელიგიური დოგმა თავისთავშივე კრძალა-ვდა რელიგიურ სიმინდეთა მხატვრულ განსხეულებას, უარყოფ-და სალოცავ თემებზე ხატვას და წერას, უარყოფდა თეატრსაც კი, როგორც ხელოვნების უანრს და ა.შ.

ქრისტიანობა ყოველთვის შორს იდგა ასეთი შეზღუდვე-ბისაგან და ამ ღვთისგან ბოძებული რელიგიური თავისუფლების მინიჭებამ შეჰქმნა ჩვენი ულამაზესი ეკლესია-მონასტრები და მათს კედლებზე ჩვენდა საამაყოდ და თავმოსაწონებლად შერჩე-ნილი წმინდანთა ფრესკები, რომელთაგან ქრისტეს არაერთგზის აღბეჭდილ წამებულ სახესთან ერთად, ჩვენს სულს და გონებას ასაზრდოებს დიდებული თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის და სხვა წმინდანთა ფრესკები, ხოლო ამ ფრესკებს ხელოვანის უნა-პირო თავისუფლების და რელიგიური შეუბოჭაობის უკვდავ სიმ-ბოლოდ ადგას ყინწვისის ანგელოზის უნატიფოსი ათინათი.

ქართული კლასიკური ლიტერატურის დასაბამი ქრისტიანობის მადლითაა გაბრძყინებული.

ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული მხატვრული ნაწარ-მოები – „შუშანიკის წამება“ რწმენისთვის თავდადების უკვდავი პიმინა; ათას ხუთასი წელია ქართველთა სულს რომ ასაკლდე-ვებს და რჯულისადმი ერთგულებას შთაგონებს.

დაამატეთ „შუშანიკის წამებას“ სხვა ჰაგიოგრაფიული ძეგლე-ბი („აბო ტფილელის წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „ევსტათი მცხეთელის წამება“, „კოლაელ ყრმათა წამება“) ქა-რთული ჰიმნოგრაფია, ჩვენი საეკლესიო საგალობლები და ა.შ. შედეგად კი თქვენ მიიღებთ ქართულ კულტურულ სინამდვილეში იმ უკვდავ სახელოვნებო გამას რელიგიისა და მხატვრული შთა-გონების დიდებულმა თანალმობამ რომ შექმნა.

## კულტურა და სახელმწიფო

თანამედროვე მსოფლიოს ნინაშე ხუთი უმთავრესი პრობლემა დგას: შიმშილის, ომის, დემოგრაფიის, ენერგორესურსების და ეკოლოგიის.

ძირითადად ეს ხუთი პრობლემა უდებს სათავეს დედამიწის მცხოვრებთა მოუწესრიგებლობას. ეს ხუთი პრობლემა გახდავთ მიზეზი იმისა, რომ ოცდამეტრთე საუკუნეშიც გვიწევს მსჯელობა მსოფლიო ომებზე, დემოგრაფიულ დაპყრობებზე, ენერგოკრიზისებზე და ეკოლოგიურ კატასტროფებზე.

ჯერჯერობით მსოფლიოს მეცნიერული აზრი და პოლიტიკოსთა სადღელამისო ძალისხმევა ამ ხუთი ვეშაპიდან ასე თუ ისე უმკლავდება მხოლოდ ერთს – ენერგორესურსების ნაწილობრივ მოწესრიგებას, დანარჩენ ოთხს კი ყველანი ამაოდ ვერძვით და მსოფლიოს ეს ხუთი სატკივარი დღითიდლე გვაგრძნობინებს თავის „ავ მუსაიფს“ პლანეტის სხვადასხვა კუთხეში სახელმწიფოთა შორის მუხანათური მეკობრეობის, შინაომების, რევოლუციების, ეპიდემიების და ეკოლოგიური უბედურებების სახით.

როგორმე პლანეტის მკვიდრთ ერთმანეთის გატანა რომ შევძლოთ და ეს ჩვენი მარჩენალი დედამიწა შიგნიდან არ ავავეთქმოთ, დედამიწის მცხოვრებთა კეთილი ნებაა საჭირო. ადამიანთა შორის კეთილი ნების აღმძვრელი და დამამკვიდრებელი კი ადამიანის შინაგან ბუნებაზე ზემოქმედების ნაცადი და მოქმედი საშუალება – კულტურა გახდავთ.

თუმცა მხატვრული ნააზრევი ანუ კულტურა მოწოდებულია სიკეთის, სიმშეიდის, სათნოების დასამკიდრებლად, მას გაჩენისთანავე უხდებოდა და ახლაც უხდება ურთიერთობის გარკვევა პოლიტიკასთან.

პოლიტიკა ცოდნაა იმის შესახებ, თუ როგორ მოვაწყოთ სახელმწიფო, მაგრამ როგორც კი ამ ცოდნით აღჭურვილი პოლიტიკოსთა ჯგუფი სახელმწიფოს სათავეში მოექცევა, ამ ჯგუფის პოლიტიკა იქცევა სახელმწიფო იდეოლოგიად. სახელმწიფოს კი თავისი მკაცრი კანონები აქვს და მისი იდეოლოგიის მტკიცედ დაცვას მარტოოდენ უბრალო მოქალაქეებისგან კი არა, იმგვარი

თავისუფლად მოაზროვნე შემოქმედისგანაც მოითხოვს, როგორიც ხელოვნების ნარმომადგენელი, კულტურის მოღვაწე გახდავთ.

იყო შემთხვევები, როცა ხელისუფალს იმდენად შურდა ხელოვანის დიდება, რომ, თვით სცდიდა მხატვრული ნაწარმოების შექმნაში ძალას, რაკიდა გვირგვინოსანი იყო, შეპასუხებას ვერავინ უბედავდა და თავი ხელოვნებაშიც ფრიად ნარმატებულად მიაჩნდა.

რომის იმპერატორმა ნერონმა, რომელიც ხელოვნების არაერთ დარგში და მათ შორის სასცენო ხელოვნებაშიც ამაოდ ცდიდა ძალას, სიკვდილის ნინ პათეტიურად ნამოიძახა: „აფსუს, რა არტისტი ეცლება რომს ხელიდან!“

ერთი მხრივ შური და მეორეს მხრივ ჭეშმარიტი ხელოვანის ძნელადაბლსაზრდელობა იყო მიზეზი იმისა, რომ ხელოვანსა და ხელისუფალს შორის დაძაბული ურთიერთობა ზოგჯერ აშკარა ნინააღმდეგობაში გადაიზრდებოდა ხოლმე, კუს მიერ ფეხის გამოყოფის ანდაზისამებრ ამუშავდებოდა ხელმწიფის დაქაშების მთელი რაზმი, ჩაირთვებოდა იდეოლოგიური მანქანა ურჩი ხელოვანის ასალაგმავად.

ოფიციალური პოლიტიკა ხელოვანს ათასი საშუალებით ებრძოდა: დაშინებით, დაპატიმრებით, გადასახლებით და თვით იგნორირებითაც კი, იგნორირება, „ვერშემჩნევა“, ჭეშმარიტი ხელოვანისთვის არანაკლებ მძიმე სასჯელი გახდავთ.

და მაინც რას აკეთებდა კულტურის ნარმომადგენელი ისეთს, რომ მოსვენებას უკარგავდა ძალაუფლების ნირვანაში მთვლემარე ხელისუფალს?

მუზათა მსახური ერთი ნაბიჯით ყოველთვის უსწრებს ოფიციალურ, გაბატონებულ იდეოლოგიას. პროგრესისაკენ მიმსწრაფლ გზას, იგი ჩვეულებრივ მოკვდავზე უკეთ ხედავს, მაღლიდან დაჰყურებს მოვლენებს, სახელმწიფოს ნაკლოვანებასაც კალეიდოსკოპოვით აღიქვამს და ხმასაც იმაღლებს. სწორედ ეს მისი ხმის ამაღლება არ მოსწონთ ძლიერთა ამა ქვეყნისათა, „მაღლა მხედი დაბლაც ხედავს, უფრო ნათლად, უფრო დიდად“, ბრძანებდა აკაკი და სწორედ ეს „მაღლამხედობა“ გახლდათ ჭეშმარიტი ხელოვანის ოპოზიციური განწყობის მიზეზი.

დიდი ხელოვანი ყოველთვის, ყოველ დროში ოპოზიციონერი გახლდათ და ასეა დღესაც.

ვისაც კრიტიკული აზრის გამო წელში აკანკალებს, ე მანდ ხელოვანმა ხალხი არ ამიბუნტოსო, სწორედ იგი ცდილობს როგორმე ჭკუა ასწავლოს, „დააუთოოს“ კულტურის წარმომადგენელი, ყალიბში მოაქციოს მისი აზროვნება.

კულტურის ისტორიამ უამრავი მაგალითი იცის კულტუროსანის მიმართ ოფიციალური პოლიტიკის ხაზის გამტარებელთა ცინიკური, უსულგულო, ზოგჯერ კი აშკარად რეპრესიული დამოკიდებულებისა.

ისტორიამ ვერ შემოგვინახა, თორემ არც თუ კარგი ცხოვრების გამო უნდა გადასახლებულიყო რუსთაველი პალესტინაში, რათა იქ, სამშობლოდან შორს მყოფს მარტოობაში დაელია სული (გაიხსენეთ მიხეილ ქვლივიძის მშვენიერი ლექსი „მაშ, შენ ამბობ რომ არ ჰყოლია მტერი რუსთაველს?), საყოველთაოდ ცნობილია, დედამიწის სხვა გენიოსი პოეტის მართლაც რომ ღვთაებრივი „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორის – დანტე ალიგიერის ბედი.

სერვანტესმა ხუთი წელი ციხეში დაჰყო.

ჰიუგო საფრანგეთიდან გაასახლეს.

პუშკინი და ლერმონტოვი ხელისუფლების მიერ მიგზავნილმა პირებმა დუელში მოჰკვდეს.

დოსტოევსკი სამოქალაქო სიკვდილით დასაჯეს.

ვინ წარმოიდგნედა, რომ ისეთ დემოკრატიულ და პროგრესულ ქვეყანაში, როგორიც საფრანგეთია, 1858 წელს სამართალში მისცემდნენ სახელგანთქმულ მწერალს გუსტავ ფლობერს, რომელმაც თურმე თავისი რომანით – „მადამ ბოვარი“ საზოგადოებრივი მორალი შეურაცხყო და გარყვნილება იქადაგა.

„ვისთან ხართ თქვენ კულტურის მუშაკებო!?” – ეს იყო პირველივე კითხვა საბჭოთა ხელისუფლებამ ხელოვანთა მრავალათა-სიან არმიას რომ დაუსვა.

და დაინუო ხელოვანთა დაყოფა თანამდგომელებად და თანამგზავრებად. პროლეტარ (შემდგომ ბოლშევიკ) მწერლებად და თეორგვარდიელთა მხარდამჭერ მწერლებად.

მაიკოვსკი და ესენინი თვითმკვლელობამდე მიჰყავთ, გორკის სწამლავენ, ცვეტაევას ემიგრაციაში „უშვებენ“, ხოლო ახმატოვას შუა აზიაში ასახლებენ.

საქმე იქამდე მიდის, რომ 1932 წელს საბჭოთა მწერლების 1 ყრილობაზე წითელ რუსეთში მცხოვრები ყველა მწერალი ერთ ორგანიზაციაში „საბჭოთა მწერალთა კავშირში“ გააერთიანეს, რითაც ერთი ხელისმოსმით გააუქმეს ყველა აქამდე არსებული ე.ნ. „მოდური“ ლიტერატურული სკოლა და დაჯგუფება.

საბჭოთა მწერლების ერთადერთ შემოქმედებით მეთოდად გამოცხადდა ე.ნ. „სოციალისტური რეალიზმი, რომელსაც სოციალ-ისტური ცხოვრება უნდა აესახა მის ოპტიმისტურ განვითარებაში.

და დაინუეს ხელოვნების ნაწარმოებთა შეფასება სოციალისტური რეალიზმის კრიტერიუმებით. ნაწარმოებთა პერსონაჟები დაყვეს დადებით და უარყოფით გმირებად. ფინალი აუცილებლად ოპტიმისტური უნდა ყოფილიყო. „მზე ჩადიოდა“ – პესიმიზმს ნიშნავდა, „მზე ამოდიოდა“ – ოპტიმიზმს. ასე პრიმიტიულად ესმოდა ზოგიერთ კრიტიკოსს ცხოვრების ასახვა მის პერსპექტიულ-ოპტიმისტურ განვითარებაში. მანამდე?

1907 წლის თებერვალში აკაკი წერეთელი უურნალ „ხუმარას“ გამოცემისთვის მეტების ციხეში ჩასვეს, ხოლო იმავე წლის აგვისტოში XIX საუკუნის საქართველოს სულიერ მამას – ილია ჭავჭავაძეს წინამურთან ბერდენკის ტყვიით გაუმასპინძლდნენ.

ეს სასჯელი ილიამ და აკაკიმ თავისუფლებისკენ ქართველი ერის მოწოდების გამო დაიმსახურეს.

მოვიდა საბჭოთა ხელისუფლება და გალაკტიონ ტაბიძე დააპატიმრეს 1921 წლის ბოლშევიკურ ინტერვენციაზე დაწერილი პოემის გამო „მოგონებანი იმ დღეებისა, როცა იელვა“, ხოლო იოსებ გრიშაშვილი კი XI არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის წინააღმდეგ დაწერილი ლექსისათვის „ახალ ხელისუფლებას“.

1937 წელს ხელოვანთა მოთვინიერების მანქანა მთელი ძალით ამოქმედდა.

ანტისაბჭოთა, ჯაშუშური საქმიანობის შეთითხნილი ბრალდებით დახვრიტეს მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, ბენიტო ბუაჩიძე, ევგენი მიქელაძე...

განსხვავებული აზრის გამო მწერლებს ხელაღებით რიცხავდნენ მწრალთა კავშირიდან. გარიცხვების სერია თითქმის ჩვენს დრომდე გაგრძელდა:

1938 წელს გარიცხეს კონსტანტინე გამსახურდია, გერონტი ქიქოძე და პავლე ინგოროვა;

1975 წელს გარიცხეს ზვიად გამსახურდია.

2001 წელს გარიცხეს რევაზ მიშველაძე. სამი წლის შემდეგ 2004 წლს ქართველ მწერალთა ყრილობამ რევაზ მიშველაძე თავის ერთერთ თავკაცად აირჩია. მან კი გამგეობის პირველსავე სხდომაზე ზვიად გამსახურდია სიკვდილის შემდეგ მწერალთა კავშირის წევრად აღადგინა.

ოცდაათიანი წლების შემდეგ მყითხველთა მთელი თაობები არალეგალურად ეცნობოდნენ მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებს“, გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგს“ და ტიციან ტაბიძის ლექსებს.

მწერალს რომ დააპატიმრებდნენ, მეორე დღესვე დაიწყებოდა სამოქალაქო საბუთებიდან, კრებათა ოქმებიდან და თვით ბიბლიოთეკებიდანაც კი მისი სახელისა და გვარის ამოშლის კომპანია.

დილამდე ისხდნენ არქივებსა თუ ბიბლიოთეკებში გვარის ამომშლელნი, რა სიამოვნებით ამოშლიდნენ „ხალხის მტერთა“ გვარებს ადამიანთა მეხსიერებიდანაც, რომ შეძლებოდათ.

რეპრესიებს ყველა ვერ უძლებდა, დადებდა კალამს თუ ყალამს და განაპირდებოდა. ძლიერთა ამა ქვეყნისათა ახლა მისი სიჩუმეც, განდგომაც კი აღიზიანებდათ. ყველანაირად ახალისებდნენ მაქებარ, მაამებლურ, პანეგირიკულ ხელოვნებას, და ივსებოდა სახელოვნო თაროები მარქსიზმის კლასიკოსთა პორტრეტებით თუ ბიუსტებით, წიგნები კი ბელადთადმი მიძღვნილი ლექსებითა და პოემებით.

ხომ საშინელებაა რეპრესიები შემოქმედებით კავშირების მიმართ და ხელოვანთა აბუჩად აგდების „ლონისძიებები“, არანაკლებ შემზარვია ხელმწიფის კარის ხელოვანი, პოლიტიკისთვის სულმიყიდული შემოქმედი.

ხელოვანმა თავის სიტყვას და საქმეს ოქროს ფასი უნდა დასდოს. თავისი ფასი უნდა იცოდეს. უნდა ესმოდეს, რომ მის ნაწერს თაობები გაეცნობიან და უნდა ეცადოს, არ შერცხვეს მომავლის წინაშე.

თავისი დროით კმაყოფილი, ქების აღსავლენად შემართული შემოქმედი იმ ტოტსა სჭრის, რომელზეც თვითონ მოკალათებულა.

„არ ჩაუჯდე ხელმწიფეს ნავში“ ყველაზე დიდი ზნეობრივი სიბრძნეა მუზის მსახურისთვის.

არსებობს პოლიტიკასა და კულტურას შორის ურთიერთობის კიდევ ერთი ფორმა, რომელსაც სახელმწიფო დაკვეთა ჰქვია.

სახელმწიფო დაკვეთა სასურველ შედეგს მაშინ გვაძლევს, როცა ხელოვანის პოზიცია და სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. ამგვარმა თანხვედრამ მაშინაც კი, როცა ერთის მხრივ ადმინისტრაციის რეინის ხელი ან ფულადი დაინტერესება იყო, ხოლო მეორეს მხრივ გენიოსის ნება, მსოფლიოში ხელოვნების არაერთი შედევრი შექმნა.

დღეს უკვე აღარავინ ინტერესდება იმ გარემოებით, რომ სახელმწიფო დაკვეთით შეიქმნა როდოსის კოლოსი, სემირამიდას დაკიდებული ბაღები და ალექსანდრის შუქურა.

სახელმწიფო დაკვეთა რომ არა, არ გვექნებოდა ეგვიპტის პირამიდები და პარიზის ლვთისშობლის ტაძარი, ტაჯმაჰალი და პართენონი, ვარძია და სვეტიცხოველი...

სახელმწიფოსა და კულტურას შორის ჰარმონიულმა თანამშრომლობამ არა მარტო არქიტექტურის, ქანდაკების, ფერწერის თუ მუსიკის, ლიტერატურის არაერთი იგავმიუწვდომელი ძეგლიც დაბადა. შემთხვევით როდი გაჩნდა „ვეფხისტყაოსანში“ მისი გენიალური ავტორის აღიარება: „მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“.

მარტო იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ სახელმწიფო გარიგების შედეგად შექმნა მიქელანჯელომ იგავმიუწვდომელი სიქსტის კაპელა და ლეონარდო დავინჩიმ – რომის შადრევანი.

ხელოვანსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთთანამშრომლობამ საბჭოთა ეპოქაში კაბალური ფორმა მიიღო. შემოვიდა ე. წ. ხელშეკრულებითი საქმიანობის წესი. ხელშეკრულებას კი სახელმწიფო ხელოვანს იმგვარ, აშკარად პრო-პაგანდისტულ საქმეზე უდებდა, რაც თავიდანვე გამორიცხავდა ყოველგვარ შემოქმედებით ფანტაზიას.

რა შემოქმედებით ფანტაზიაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, მაშინ, როცა დამკვეთი ითხოვდა დაზეური პრინციპით შექმნილ მარქსიზმის კლასიკოსთა სკულპტურებს თუ ფერწერულ

პორტრეტებს, საკოლმეურნეო შრომის ამსახველ გრაფიკულ „შედევრებს“ და ლოზუნგებით აჭრელებულ პეზზაუებს.

ამ ურთიერთობაში პოლიტიკური ანგარების და აშკარა იძულების გარდა ადამიანური თანამშრომლობის მაგალითებიც იცის: გერმანიაში კარგად იცოდა ვაიმარელი გენიოსის – გოეთეს ფასი და „ფაუსტის“ აეტორი ხან მინისტრი გახლდათ, ხანაც უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოხელე.

ლიტერატურის ისტორიაში იცის არაერთი მაგალითი სტალინის ყურადღებიანი დამოკიდებულებისა გორკის, მაიაკოვსკის, შოლოხოვის, ბულგაკოვის და სხვათა მიმართ. როცა ამ უკანასკნელმა კულტურის სამინისტროს მესვეურთა გულგრილი დამოკიდებულების გამო საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტა, უეცრად შუაღამისას მის ბინაში ტელეფონის ზარი გაისმა:

– გამარჯობა, ამხანაგო ბულგაკოვ, სტალინი ვარ. მითხრეს რომ საზღვარგარეთ მიდიხართ საცხოვრებლად, რა მიზეზია, მოგწყინდით?

– ამხანაგო სტალინ, აქ გასაქანს არ მაძლევენ.

– სახელდობრ?

– სამსახურიც კი არა მაქვს. გუშინ მოსკოვის სამხატვრო თეატრს მივმართე. სალიტერატურო ნაწილის გამგის ადგილი აქვთ, უარი მითხრეს.

პაუზა.

– ამხანაგო ბულგაკოვ. თქვენი გადაწყვეტილება თქვენი ნებაა, მე ამაში ვერ ჩავერევი, გთხოვთ ერთხელ კიდევ მიხვიდეთ მხატვი. ვერაფერს დაგპირდებით, მაგრამ იქნებ ჩემმა შუამდგომლობამ გაჭრას.

მეორე დღეს ბულგაკოვი სამხატვრო თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგედ დანიშნეს და საზღვარგარეთ საცხოვრებლად წასვლა სამუდამოდ გადაიფიქრა.

ასე რომ, როცა კულტურის მუშაკთა რეპრესიების სავალალო ფაქტებს გავიხსენებთ. იქნებ ამგვარი იშვიათი, მაგრამ მაინც საგულისმო ფაქტებიც არ დაგვავიწყდეს.

ალბათ ისევ და ისევ ხელოვანთა კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით (ესე იგი არც თუ უანგაროდ) ხელისუფლება აწესებდა პრემიებს და იმ პრემიებს ურიგებდა ნიჭით გამორჩეულ

შემოქმედთ. კულტურის მოღვაწეებს უფასოდ ურიგებდა ბინებს, სახელმწიფო თავის თავზე იღებდა შემოქმედებითი კავშირების შენობათა კომუნალურ ხარჯებს. ყველა სახელოვნო თუ ლიტერატურულ უურნალ-გაზეთს გააჩნდა საკმაოდ სილიდური ჰორიზონი და სახელმწიფოს მიერ დანიშნული სუბსიდიები. ყოველივე ამას კი სახელმწიფო ბიუჯეტი უზრუნველყოფდა.

ხოლო „რაკი ფულს ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს“ სახელმწიფო დიალაც აცხადებდა პრეტენზიას რომ კულტურა სახელმწიფო პოლიტიკის ხაზის გამტარებელი ყოფილიყო.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ იმპერიის დედაქალაქში (მოსკოვში) მტკიცდებოდა ცალკეულ გამომცემლობათა საგამომცემლო გეგმები და კინოსტუდიაში გადასაღებად გამზადებულ კინოფილმთა საავტორო თუ სარეჟისორო სცენარები. ყველაფერი ცენტრალიზაციის საყოველთაო კანონს ექვემდებარებოდა.

თანამედროვე მკითხველი ძნელად თუ წარმოიდგენს, რომ მთავლიტის დასტურის გარეშე მხატვრულ (გნებავთ მეცნიერულ) ნაშრომს კი არა, მოსაწვევ ბარათსაც კი ვერ დაბეჭდავდი, ხოლო სპექტაკლს მაყურებელი ვერ იხილავდა, თუ ე.წ. გენერალურ რეპეტიციაზე წარმოდგენას კულტურის სამინისტროს სპეციალური კომისია არ ჩაიბარებდა.

ერთი სიტყვით კულტურა ოფიციალური პოლიტიკის წაწილი იყო და თუ შემოქმედი სოციალისტური რეალიზმის დადგენილ ჩარჩოებს გამორდებოდა, მას მაშინვე მიაკერებდნენ უიდეო ხელოვანის იარღიყს. „უიდეობიდან“ კი „ხალხის მტრად“ გამოცხადებამდე ერთი ნაბიჯი იყო დარჩენილი.

როგორი უნდა იყოს პოლიტიკისა და კულტურის ურთიერთდამოკიდებულება?

ეს დამოკიდებულება ურთიერთგაგებასა და ურთიერთპატივისცემაზე უნდა იყოს დამყარებული.

ოფიციალური პოლიტიკის წარმომადგენლები ანუ ხელისუფალნი ნიადაგ უნდა ცდილობდნენ, არ შეზღუდონ ხელოვანის თავისუფლება, არ მოაქციონ კულტურა პოლიტიკურ თვალსაზრისთა ყალიბში, უნდა იკოდნენ, რომ შემოქმედის ბუნება უაღრესად ფაქტიზი ფენომენია და იგი ადმინისტრირებას, მაგიდაზე თითების კაკუნს ვერ იტანს.

კულტურა ეროვნული ფენომენის დაცვისთვისაა მოწოდებული და თუ ხელოვანი ხედავს, რომ პოლიტიკოსიც ამ გზას ადგას, მას ოფიციალურ წრეებთან სადავო არა აქვს რა, მაგრამ ეროვნული ხაზის გამრუდების შემთხვევაში ხელოვნების წარმომადგენელი დიალაც აიმაღლებს ხმას და ისტორიის წინაშე მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა, მუზათა მსახურს ეს ხმის ამაღლება სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლად ჩავუთვალოთ.

ზემოთ ვიღლაპარაკეთ ხელისუფლების მიერ „კულტურის მოთვინიერების“ სავალალო მაგალითებზე, იმ დამსჯელობით ღონისძიებებზე, რომლის ძალითაც ხელოვნება „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ ხელში ქედდადრეკილ მუზად იქცეოდა და შედეგად კულტურის ისტორიას რჩებოდა პანეგირიკული ცრუხელოვნების გულისამრევი ნიმუშები.

კულტურაზე ზემოქმედების არანაკლებ ტლანქი ფორმაა მისი იგნორირება.

იგნორირება ანუ განზე განევა, ვერშემჩნევა და საბოლოო ჯამში არაფრადჩაგდება ზოგჯერ სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი.

ჭეშმარიტ ხელოვანზე გამწყრალი ხელისუფლება ჯერ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, იმის მტკიცებას მოჰყვება, რომ მხატვრულმა ნააზრევმა თავისი დრო მოჰყავა. იგი ძველებურ გავლენას ველარ ახდენს ადამიანთა სულიერ ცხოვრებაზე. მერე მოჰყვებიან ზღაპრებს იმის შესახებ, რომ ხელოვნების ქმნილებაზე აღარ არსებობს საზოგადოებრივი მოთხოვნა და ბოლოს ამუშავდება კულტურის იგნორირების უზარმაზარი პოლიტიკური მანქანა, რომელიც წალეკვით ემუქრება პირველ რიგში სწორედ ეროვნულ კულტურას.

მთავრობა პირველ რიგში ეკონომიკურ შემწეობას შეუწყვეტს სახელოვნებო წისქილებს (კინოსტუდიას, თეატრებს, გამომცემლობებს, სამუსიკო ცენტრებს...), ხელისუფლების წარმომადგენლები აღარ ჩანან გამოჩენილ მწერალთა იუბილებზე, კინოდარბაზებში, თეატრებში, სიმფონიური მუსიკის კონცერტებზე, ყოველნაირად ხელს უშლიან ახალგაზრდებში დამკვიდრდეს პატივისცემა ჭეშმარიტ ხელოვანთა მიმართ იქამდეც კი, რომ სკოლებში კრძალავენ თეატრის აბონემენტების და წიგნების გაყიდვას...

კულტურის იგნორირება უფრო შორსაც მიდის: არასახელმწიფოებრივად ცხადდება მშობლიური ენის სიწმინდის დამცველი კომისიები და მეცნიერული სტრუქტურები, სამაგიეროდ პრიორიტეტად ითვლება საზღვარგარეთიდან უცხო ენის მასწავლებლების ჩამოვანა და მათს სოციალურ უზრუნველყოფაზე ზრუნვა. ერთიმეორის მიყოლებით იხურება წიგნის მაღაზიები და ბიბლიოთეკები.

ლამის სახელმწიფოებრივ დონეზე „მოწესრიგებული“ უყურადღებობა შემოქმედებითი კავშირების მიმართ. მათს ლიკვიდაციას არა მარტო უყურადღებობით უწყობენ ხელს, არამედ ზოგჯერ აშკარა ტექნიკური უმოქმედებითაც, რაც კუთვნილი სამუშაო ფართობის („ოფისს“ რომ ეძახიან) პოლიციის ძალით წართმევით და ერისთვის ძვირფასი ადამიანების ქუჩაში გამოყრით გვირგვინდება.

ოფიციალურ ელექტრონულ და ბეჭდვით მასმედიას მიცემული აქვს დირექტივა: არამც და არამც არ დაუთმონ ტრიბუნა იმ პოპულარულ პატრიოტ-ხელოვანს, ვის სიტყვასაც ფასი აქვს და საზოგადოებაზე ზემოქმედება შეუძლია.

მესამე გზა კულტურაზე პოლიტიკოსთა ზემოქმედებისა გახლავთ ეროვნული, თვითმყობადი კულტურის ხარჯზე მასკულტურის და საეჭვო ღირებულების უცხოური ან შინაური, მაგრამ საეჭვო მხატვრული ღირებულების „კულტურის ნიმუშების“ გაფეტიშება.

მაღალი გემოვნების აღზრდა-ჩამოყალიბების ნაცვლად ხდება გემოვნების დაქვეითება, მასობრივად იღებენ ეროვნული ღირებულების ძეგლებს და მათს ადგილას არაფრისმთქმელ, გულისამრევ „ფიგურებს“ ან საყოფაცხოვრებო ტექნიკის ნაფცვენებს დგამენ. საზღვარგარეთიდან ჩამოჰყავთ პენსიონერი, კარგა ხნის წინათ ჩამოწერილი შანსონე-მომღერლები, რათა გულუბრყვილო ხალხს ჭეშმარიტი, ელვარე ნიჭის მქონე ადგილობრივ მომღერლებთან შედარებით „უცხოელ ვარსკვლავთა“ უპირატესობა დაუმტკიცონ.

ასე რომ, კულტურისა და ოფიციალურ ხელისუფალთა ურთიერთობის სავალალოდ ტრადიციული უძველესი მანქანა დღესაც ყრუ გრუხუნით მუშაობს.

## კულტურა და მეცნიერება

კულტურას და მეცნიერებას, ერთმანეთისგან შექმნის მეთოდი, წარმოშობის საფუძველი განასხვავებს.

მეცნიერების დედა შემეცნებითი აზროვნებაა, კულტურის ანუ ხელოვნების კი – მხატვრული აზროვნება.

მეცნიერება ბუნების არსში წვდომაა. იგი ადამიანმა იმისთვის შექმნა, რომ უკეთ შეგუებოდა გარესამყაროს, უზრუნველეყყო ცხოვრების პირობები და თავისი ადგილი მოექცნა იმ ურთულეს ფენომენში, რასაც ქვეყნიერება ჰქვია. ამ გზაზე ადამიანმა სასწაულებს მიაღწია. დაიპყრო დედამინა და ზეცა, ჩავიდა მიწის გულში, თითქმის ამოიცნო ბუნების კანონები და მათი უმეტესობა თავს მტკიცე ნებას დაუმორჩილა. მდინარეებს შეუცვალა კალაპოტები და უდაბნოები თაზისებით აამწვანა.

ენით აღუნერელი ნახტომები გააკეთა მეცნიერებამ კოსმოსის შესწავლისა და მედიცინის განვითარების მიმართულებით: დღეს მთვარეზე და მარსზე რობოტები გადაადგილდებიან და მოუსვენარ დედამინას განუწყვეტლივ უგზავნიან ინფორმაციებს, ხოლო ქუჩებში ადამიანები დააბიჯებენ გადანერგილი შინაგანი ორგანოებით.

მართალია, ბუნება ზოგჯერ გაჭირვეულდება, ადვილად არ თმობს თავის მილიონწლოვან საიდუმლოებებს და მიწიერ არსებებს თავს დაატყდება ცუნამთა თუ მიწისძვრათა ტორნადოსებური მოულოდნელობით, მაგრამ ადამიანი „ჭკუას მაინც არ სწავლობს“ და ახალი ძალით განაგრძობს პირველყოფილი სამყაროს სტიქიური ძალების მოთოვეას.

ამ ჭიდოლს ენირება თაობათა გონიება და ამ ეპატზე შეიძლება ითქვას, რომ გამარჯვებული მეცნიერება რჩება.

მას უკვე ხელთ უპყრია მილიარდთა გამოკვების და პლანეტა „დედამინაზე“ ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნების ასე თუ ისე სრულყოფილი ბერკეტები.

კიდევ ერთი რამ განასხვავებს მეცნიერებას კულტურისაგან. მეცნიერება განუწყვეტელი განვითარების, შენებადობის პრინციპს ემორჩილება და ამ თვალსაზრისით იგი თაობათა კოლექტიური შემეცნებითი საქმიანობის შედეგია.

მეცნიერება იწყება ანიდან და ჰოემდე მიდის. ბორბლის გამოგონებას ურემი მოჰყვა, ურემს – ეტლი, ეტლს – მანქანა, მატარებელი და თვითმფრინავი, მაგრამ ბორბალი, როგორც მოძრაობისთვის აუცილებელი ნაწილი ყოველ ზემოჩამოთვლის გამოგონებაში საჭირო იყო.

მეცნიერება ნაპიჯ-ნაპიჯ მიიწევს წინ და მიღწეულზე ახალს ამყნობს.

მეცნიერების თითქმის ყველა სიახლე ერთმანეთზეა გადაბმული და ერთმანეთისგან გამომდინარეობს.

რომ არ დაემტკიცებინათ დედამიწის სიმრგვალე და ბრუნვა-დობა, ვერ აღმოაჩენდნენ მიზიდულობის კანონს და ვერ შექმნიდნენ დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებს.

მეცნიერებას აქვს ერთი რკინის კანონი: „აუცილებლად გაითვალისწინე შენი წინამორბედი მეცნიერის ნაღვანი, ველოსიპედის ხელახალი გამოგონება საჭირო არ არის“. თანაც მეცნიერება არსებულ რეალობაზეა მტკიცედ დამყარებული. იგი აღმოჩენათა განსაცვიფრებელი ნახტომების დროსაც კი კონკრეტულზეა დაფუძნებული და თანდათანობითობის ერთგული რჩება. იგი ფაქტიდან მიდის განზოგადებამდე და იშვიათზე იშვიათად ზოგადიდან (დაშვების თეორია) კონკრეტულამდე.

სულ სხვაა კულტურა. იგი უაღრესად ინდივიდუალური ფენომენია.

ხელოვანი სრულიად ახალ, განუმეორებელ სამყაროს ქმნის და ეს სამყარო მისი სულიდან წამოსული მხატვრული სახებითაა აშენებული.

ხელოვანის ჭეშმარიტ ნაწარმოებს მხოლოდ უნიჭო მიმბარებები იმეორებენ და ეს მიბარება მაშინვე საცნაური ხდება. იგი ვერასოდეს აღწევს ორიგინალის სიდიადეს.

იმდენად ინდივიდუალურია კულტურა, რომ კულტურის კორიფეები ერთმანეთს თითქმის არ ჰგვანან.

მათ შორის თუ საერთო ნიშნებზე ვილაპარაკებთ, ეს არის მხოლოდ ხელოვანის თვითმყოფადობა და განუმეორებლობა.

რომ არ დაბადებულიყო დანტე ალიგიერი, ვერავინ დანერდა „ღვთაებრივ კომედიას“, რომ არ დაბადებულიყო მოთა რუსთაველი, ვერავინ შექმნიდა „ვეფხისტყაოსანს“ და ა.შ.

და მაინც, მეცნიერება და კულტურა იმთავითვე გადაეჯაჭვა ერთმანეთს.

ეს ურთიერთმსგავსება ორი საერთო ნიშნითაა გაპირობებული: ორივე მათგანის თითქმის ერთნაირი ისტორიული ბედით და ერთი, მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელი ფენომენით, რომელსაც ფანტაზია ჰქვია.

ფანტაზია ანუ ოცნებათა სამყარო ხომ ჭეშმარიტი ხელოვანის უცილობელი თანამგზავრია, რის გარეშეც იგი ნაბიჯს ვერ წარსგდამს, მაგრამ ფანტაზია არანაკლებ სჭირდება მეცნიერსაც.

ჯერ ადამიანის ფანტაზია შექმნიდა მითს იმის შესახებ, რომ შეიძლება კაცმა ზღვები და ოკეანეები გადალახოს და მერე ამ ოცნებით ფრთაშესხმული მეცნიერი აკეთებდა ჯერ პრიმიტიულ ნავებს, ხოლო შემდეგ ხომალდებს.

ჯერ ძველი ბერძენი შექმნიდა მითს იმის შესახებ, რომ ადამიანი შეიძლება გაფრინდეს და მერე მოდიოდნენ აერონავტიკის კორიფეები და საპარო ლაინერებს ქმნიდნენ.

ასე ეხმარებოდა მხატვრული გამონაგონი ანუ ფანტაზია მეცნიერებას და რაკი ადამიანის აზროვნების ეს ორი დიდებული გვირგვინი – მეცნიერება და კულტურა ხშირად შეთანხმებულად მოქმედებდა ადამიანის სიცოცხლის გასალამაზებლად, ათასწლეულთა განმავლობაში ორივე მათგანი იქცეოდა დოგმატიკოსთა და კონსერვატორთა სამიზნედ.

ვინ იცის, რამდენი თაობის ამაო ექსპერიმენტი დასჭირდა იმის დამტკიცებას, რომ „პერპენტუუმ მობილე“ – მუდმივი ენერგიის მექანიზმი არ არსებობს, მაგრამ სანამ ამას დაამტკიცებდნენ, მეცნიერთა მთელი თაობები ცხადდებოდა კუდიანებად და სატანის მორჩილ ეშმაკეულ არსებებად, რომელთა მიზანი სხვა არა იყოს რა, გარდა იმისა, რომ როგორმე ეცდუნებინათ ადამიანი.

ინკვიზიციის კოცონზე სწვავდნენ კაცობრიობის საუკეთესო შვილებს, რომლებიც ენერგიულად ცდილობდნენ ადამიანის გონებაში სინათლე და ჭეშმარიტება შეეტანათ.

„ეშმაკეულ მეცნიერთა“ გვერდით ისხდნენ საკანში და სასიკვდილო განაჩენს ელოდებოდნენ კულტურის ის სწორუპოვარი წარმომადგენლები, რომელთა დანამაული მხოლოდ ის იყო, რომ დახავსებულ კონსერვატიულ აზრს შეპტედეს და ცრუნარმოდ-გენებისაგან ადამიანის განთავისუფლება სცადეს.

რაც დოგმატიკის ჩარჩოებში არ თავსდებოდა, იგი მტრული და მიუღებელი იყო.

ასე იქცა მოუღებელ ნაწარმოებებად თავისი დროის მსოფლიოსათვის სოფოკლეს, სოკრატეს და ევრიპიდეს ნააზრევი, არისტოფანეს კომედიები და უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“. ამ სიის უსასრულოდ გაგრძელება შეიძლება და ვინ იცის ვიწრო სქოლასტიკური აზროვნება თავისი შეუბრალებლობით, იქნებ, დღესაც შაშხანის ლულასავით მიაცილებს დიდ ხელოვანს.

მეცნიერების ალმოჩენა შეიძლება მავანთ და მავანთ უკუღმართად გამოიყენონ, მაგრამ განა ეს მეცნიერების ბრალია?

მეცნიერებამ გამოიგონა ავტომანქანა, მაგრამ რა მისი ბრალია, თუ ავტოვარიები ხდება?!?

მეცნიერებამ გამოიგონა გაზით გამათბობელი, მაგრამ რა მისი ბრალია, თუ ამ გამოგონების გამო გაზით ყოველღამე ადამიანები იღუპებიან?!?

მეცნიერმა გახლიჩა ატომი და სურდა ატომური ენერგია მსოფლიოს მშვიდობიან სამსახურში ჩაეყენებინა, მაგრამ ატომის გამხლეჩთა უნებლივებ, დღესაც ბოლავს ხიროსიმა და ნაგასაკი, რაც მსოფლიოს ყველა მეცნიერისთვის საბედისწერო გაფრთხილებას წარმოადგენს.

მეცნიერება ისე ფანტასტიკურად განვითარდა, რომ არა მარტო მისი კეთილისმყოფელი გავლენა იგრძნობა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, არამედ სწორედ მეცნიერული ალმოჩენის გაუკულმართებულად წარმართვამ მოიტანა ის შედეგი, რომ დღეს დედამიწა ბომბზე ზის, რომ მსოფლიოს რამდენიმე პრეზიდენტს თან დააქვს ბირთვული ჩემოდანი, რომლის ერთ ღილაკზე თითის დაჭრაც კი საკმარისია, რომ ბირთვული ომი დაიწყოს და დედამიწაზე სიცოცხლე ერთბაშად განადგურდეს.

მეცნიერი ალმოჩენებს აკეთებს მატერიალურ სამყაროზე, კულტურა კი ადამიანის სულიერ ცხოვრებას აწესრიგებს.

სადავო არ გახლავთ ის გარემოება, რომ ორივე მათგანის გამარჯვებათა გამა უზენაესის მიერაა შთაგონებული, მაგრამ მსოფლიო ალმოჩენებს – მეცნიერების და კულტურის ნაღვანს გაგება და გონივრული მოხმარება სჭირდება და არა ჭირვეული უარყოფა.

დღისით ღვთის მსახური სულთა იდუმალ კავშირზე და ღმერთის წყალობით ადამიანთა შორის იდუმალი ურთიერთობის და აზრთა გაცვლა-გამოცვლის ღვთიურ მეთოდებზე ლაპარაკობს, საღამოთი კი გავა თავის სატრაპეზოში, მობილურს ამოიღებს და ტექნიკის ამ საოცარი მიღწევით მთელ ქვეყანას უკავშირდება.

„ღვთის კაცი“ დღისით ღმერთს ევედრება – გთხოვ ციდან მანანა აწვიმე და კარგი მოსავალი მომიყვანეო, მერე მიხედ-მოხედავს, სასუქით სავსე პარკს ხელს დაავლებს და მონასტრის გარშემო თავის პატარა ყანაში მშვენივრად შეაქვს გვარჯილა და აზოგი.

მან კარგად იცის, რომ გვარჯილაცა და აზოტიც ღვთის ნაბო-ძებია და მარტო ლოცვის იმედად დარჩენა არ ეგების.

ზოგიერთი ანაფორიანი პიროვნება არცთუ გულწრფელად მოიხსენიებს ეშმაკის მანქანებად საავტომობილო მიღწევებს, ხოლო პარაკლისს რომ ჩამთავრებს, ჯიპით მიემართება თავისი სახლისაკენ. ამ შემთხვევაში ალბათ მას უკვე აღარ ახსოეს, სრუ-ლიადაც ბუნებრივია, რომ მისი დიდებული წინაპარი, გრიგოლ ხანძთელი ჯორით დადიოდა ტაო-კლარჯეთში და ხშირად კვირა-ში რამდენჯერმე ხანძთასა და იშხანს შორის თვრამეტ კილომე-ტერს გაივლიდა ოღონ-ჩოღონ გზაზე, რაც სხვა არა იყოს რა, დიდ ფიზიკურ ძალისხმევას მოითხოვდა.

მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი გვემა-გამოცდისა მეც-ნიერებამ და კულტურამ გამოაღვია შუასაუკუნური უკუნი და ზამთრის ძილის ეპოქიდან, როგორც იქნა, ნაწილობრივ მაინც გამოაღწია.

როცა ვამბობ, კულტურა და მეცნიერება ერთმანეთზე არის-მეთქი გადაჯაჭვული, ჩემს წინაშე აღიმართება იმდროინდელი ტექნიკისა და მხატვრული ნააზრევის დიდებული სინთეზი: ეგ-ვიპტის პირამიდები, როდოსის კოლოსი, ან, თუ გნებავთ, ალე-ქსანდრის შუქურა და, შორს რომ არ წავიდეთ, განა ეიფელის კოშკი შეიქმნებოდა ტექნიკის და კულტურის პარმონიული ურთიერთთანამშრომლობის გარეშე?

უან ეიფელმა გამოიყენა იმდროინდელი ტექნიკის მწირი, მა-გრამ ზუსტად კონცენტრირებული საშუალება რკინის დამორ-

ჩილებისა, დაუმატა ამ მასალას უკვდავი გამონაგონი და შექმნა მსოფლიოს ჭეშმარიტად ერთ-ერთი საოცრება.

ეიფელი ადამიანის შესაძლებლობათა რკინით ამეტყველებული ჰიმნია, იგი სწორედ რომ რკინაში გაცხადებული პოეზიაა ცისკენ ატყორცილი და ზღაპრულად დაუჯერებელი.

შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ მხატვრული გამონაგონი ოც-ნებების სფეროთი ეხმარება მეცნიერებას და, ვინ იცის, იქნებ, იდეებსაც ანვდის, სამაგიეროდ, მეცნიერება კულტურას ტექნიკით უზრუნველყოფს.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ არ ყოფილიყო მეცნიერების განვითარების მაღალი დონე, ლითონის ჭრისა თუ ყალიბში ჩამოსხმის მიღწევებით გაპირობებული, არ აიგებოდა ევროპაში და ამერიკაში არაერთგან აღმართული ლითონის კონსტრუქციის თანამედროვე ეკლესიები, ქრისტეს და თავისუფლების ქანდაკებები, ულამაზესა ტელეანძები...

კულტურისა და მეცნიერების წარმატებულმა ურთიერთობამ შექმნა ახალი დარგი ხელოვნებისა – დიზაინი.

დიზაინის გარეშე დღეს არათუ საყოფაცხოვრებო სფერო ვერ წარმოიდგინება, დიზაინის კულტურა ყოველ ფეხის ნაბიჯზე იპყრობს ჩვენს სასიცოცხლო ნაგებობებს და შემოქმედებით წისქვილებსაც.

თქვენ წარმოიდგინეთ, დიზაინის კვალი „ამშვენებს“ მასობრივი განადგურების ისეთ საშუალებებსაც კი, როგორიცაა რაკეტები.

მეცნიერებამ კულტურის ისეთ სინთეზურ ფორმებსაც დააჩნია თავისი კვალი, როგორიცაა თეატრი და კინო.

დღეს იშვიათი როდია, თეატრისა და კინოს სინთეზით შექმნილი სპექტაკლები.

დღეს ფილმის გადაღება მეცნიერების და ტექნიკის მიღწევების გარეშე წარმოუდგენელია.

სწორედ რომ ტექნიკის ფეიერვერკია გამოყენებული ჩემთვის არც თუ ძალიან მოსაწონ, მაგრამ მოზარდებისთვის დიდი ინტერესის საგნად გცეულ ვესტერნებშიც და, შორს რომ არ წავიდეთ, განა თვით კინოს დაბადებაც მეცნიერების მიღწევამ არ განაპირობა?!

კულტურაზე მეცნიერების ზემოქმედება, როგორც აღვნიშნეთ, ყველგან როდი იძლევა სასურველ ნაყოფს: მაღალი ამნების შემოღებამ და სამშენებლო ბლოკების დამზადებამ რაოდენობას გამოკიდებული და ესთეტიკის გრძნობამობლაგვებული ჩინოვნიკები არქიტექტურის უარყოფამდე, ჩქაროსნული წესებით უსახური სახლების აშენებამდე მიიყვანა. ამ გარემოებამ კინალამ გააუქმა ხელოვნების ისეთი ტრადიციული და ფრიად საინტერესო დარგი, როგორიც გახლავთ არქიტექტურა.

რომ გაიაროთ დღეს დიდი ქალაქების ქუჩებში, თქვენ შეამჩნევთ როკოკოს და ბაროკოს სტილით აგებულ ჩუქურთმოვან ულამაზეს შენობებს გასული საუკუნეებისას და იქვე დაინახავთ ახალ, სულ რაღაც ორმოცი-ორმოცდაათი წლის წინათ აშენებულ ე.წ. მრავალსართულოვან, დაბალჭერიან სახელდახელოდ აგებულ შენობებს, რომელსაც წინ უზარმაზარი მნგრეველ-ამწე უდგას და შენობის დემონტაჟი უკვე დაწყებულია.

რატომ გაუძლო დროს ორასწლოვანმა საცხოვრებელმა სახლებმა და რატომ გახდა ასაღები გუშინ აშენებული სახლი?! მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რაზედაც ზემოთ მოგახსენეთ. ჩინოვნიკებმა უარი თქვეს არქიტექტურაზე.

იყო პერიოდი, როცა მეცნიერებამ ზედმეტი აიღო თავის თავზე და იმ სფეროში შეჭრა სცადა, რომელიც მხოლოდ კულტურის ან მხატვრული აზროვნების სფერო გახლავთ.

ამ ორმოცდაათი-სამოცი წლის წინათ გაივსო გაზეთები ახალი კიბერნეტიკული ინფორმაციებით, რომელიც ხვალის მსოფლიოს ადამიანის მანქანით შეცვლას უწინასწარმეტყველებდა. სწორედ ამან დაუდო სათავე იმ პერიოდისათვის სრულიად ბუნებრივ, მაგრამ დღეისათვის სრულიად უადგილო კამათს, ფიზიკოსების და ლირიკოსებისას.

„რობოტი ჭადრაკს თამაშობს, რობოტი ლექსს თხზავს, რობოტი მუსიკას წერს!“ – გაჰყვიროდნენ კიბერნეტიკოსები, მაგრამ მეცნიერებს მხედველობიდან რჩებოდათ ის გარემოება, რომ, თუნდაც კიბერნეტიკულად ყველაზე სრულყოფილ რობოტს მხატვრული აზროვნების უნარი არ გააჩნდა.

მეცნიერებამ ვერ შეძლო და, ალბათ, ვერც ვერასოდეს შეძლებს მხატვრული აზროვნების მქონე „მექანიკური გონების“ შექმნას.

ეს მცდელობა არაერთგზის კრახით დამთავრდა.

შეიძლება რითმების გროვის მანქანაში ჩატუმბვით, ლექსს მიმსგავსებული ნაწარმოები შეიქმნას, მაგრამ იგი ვერასოდეს იქნება გალაკტიონის გრძნეული ლირიკის შესადარი. ჭადრაკის მიღწევების გათვალისწინებით, მომართული რობოტი ჭადრაკს არცთუ ურიგოდ თამაშობდა, მაგრამ მან ვერაფრით შეძლო მოეგო ბოტვინიკისა და ფიშერისთვის.

კულტურის უკვდავება და მისი მონოლითური ინდივიდუალურობა იმაშიც ჩანს, რომ იგი საოცრად მდგრადია და საუკუნეებს უძლებს.

ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოებს დრო ვერ აფერმერთალებს.

ზოგჯერ მეცნიერულ-ტექნიკური სიახლე შექმნიდა ხელოვნების ტრადიციული დარგების გაქრობის საშიშროებას, მაგრამ გავიდოდა დრო და ყველაფერი ძველებურად, თავის ადგილზე დგებოდა.

ტექნოგენური ცივილიზაციის გარკვეულ ეტაპზე ზოგიერთი მეცნიერი სერიოზულად ამტკიცებდა, რა დროს ლექსები და რომანებია, ამ ურბანიზაციისა და ტექნიზაციის ეპოქაში მხატვრული ლიტერატურიდან თუ მაინც და მაინც, დოკუმენტური პროზა უნდა იწერებოდეს.

როცა ხელოვნების არენაზე კინო გაჩნდა, მავანს და მავანს გაუჩნდა ილუზია იმისა, რომ კინო შეჭამს თეატრს და თეატრის, როგორც ხელოვნების ერთი დარგის, დრო უკვე წავიდათ.

გავიდა ხანი და გაირკვა, რომ თეატრს თავისი განუმეორებელი ხიბლი ჰქონდა, კინოს კი თავისი და ისინი ერთმანეთს ხელს არ უშლიდნენ, პირიქით – ერთმანეთს ამდიდრებდნენ და აძლიერებდნენ.

როცა ფერადი ფოტო შემოვიდა, არაერთგან დაირხა ხმა: მხატვრობამ თუ გამოსახვის ახალი ფორმები არ მოქებნა და ტექნოგენურ ცივილიზაციას ფეხი ვერ აუწყო, იგი თანდათან გაქრებაო. რაკი ფერადი ფოტო არსებობს, პეიზაჟების ხატვა საჭირო არ არისო. მაგრამ მხატვრული პეიზაჟის გარდაცვალების ეს ცნობაც ნაადრევი და გადაჭარბებული აღმოჩნდა. რომელი ფოტო შეცვლის აივაზოვსკის „მეცხრე ტალღას“, ან დავით კაკაბაძის „იმერეთის პეიზაჟებს“.

მეცნიერებისა და კულტურის ურთიერთდამოკიდებულებაზე საუბრის დროს აუცილებელია ერთ გარემოებასაც შევეხოთ:

ტექნოგენურმა ცივილიზაციამ მსოფლიოში ტექნიკის სასწაულებრივ განვითარებასთან ერთად გლობალური კრიზისიც გამოიწვია. ადამიანი დაიბნა და დაბნევის შედეგად ის მივიღეთ, რომ იგი ლამის მარტო დარჩა. ცხოვრების გართულებამ, ინფორმაციის საშუალებათა ფეიერვერკები და, განსაკუთრებით, კომპიუტერიზაციის ეპიდემიამ გამოიწვია სწორედ ის დაბნეულობა და ნერვიული ატმოსფერო, რომელსაც მოუცავს დღეს მსოფლიოს საშუალო და ახალი თაობის წარმომადგენელთა უმეტესობა.

დავბრუნდეთ უკან, ბუნებისაკენ, თორემ ადამიანი დაიღუპება – დაწერა სამოცდაათი წლის წინათ ამერიკელმა მწერალმა სელინჯერმა. რა თქმა უნდა, ადამიანი „უკან ბუნებაში“ ვეღარ დაბრუნდებოდა და დაღლილი სულის გადარჩენა მან ტექნიკური ცივილიზაციის ორომტრიალში თავის თავში ჩაბრუნების, შინაგან „მეში“ ჩაღრმავების მეთოდებით სცადა.

სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა.

დღეს დედამინა სავსეა ტექნოგენური ცივილიზაციის მსხვერპლთა დაბნეული სახეებით.

მეცნიერებამ უფრო წინ წაინა და გენური ინჟინერიის საიდუმლოებებს დაეუფლა.

ადამიანის გენეტიკურ კოდზე ზემოქმედებით სხეულის მეორადი სახის შექმნა სცადა.

ამ ვითარებამ კი უფრო მეტად შეაშინა მილიონობით მოზარდთა ისედაც მშფოთვარე სული და მათმა დიდმა ნაწილმა ფსიქოტროპულ საშუალებებს – ტრანკვილიზატორებს და ნარკოტიკებს მიმართა.

ტექნოგენურმა ცივილიზაციამ ლამის პიროვნება ჩაკლას ადამიანში და, მიუხედავად მეცნიერულ მიღწევათა ფეიერვერკისა, როცა ზოგიერთ ნიჭიერ მეცნიერსაც კი გულუბრყვილოდ ეგონა, რომ მეცნიერულ ალმოჩენათა კვალობაზე ადამიანის სულში ღმერთის ადგილი აღარ დარჩებოდა, უკანასკნელ ხანს გაირკვა, რომ იგი სასტიკად მოტყუფდა.

ტექნოგენური ცივილიზაციით დაღლილი საზოგადოება ერთბაშად შებრუნდა ღმერთისაკენ.

გაივსო ეკლესიები და მონასტრები მორწმუნებით.

სოციოლოგიური გამოკვლევებით დადგინდა, რომ XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოში ოცჯერ მეტი მორწმუნე იყო, ვიდრე გასული საუკუნის შუა წლებში.

ეს ვითარება მეტ-ნაკლებად მთელს მსოფლიოში შეინიშნება და უნდა ითქვას, რომ ადამიანებში ღვთის რწმენის გაძლიერება კეთილი ნებისკენ მსოფლიოს შებრუნების და მისი სულის გადარჩენის ერთ-ერთი გზაა.

...და ისევ რეკავს ადამიანთა არსებობის სამრეკლოზე დარხეული სადღეისო ზარი „არა ლოცვითა ერთითა“.

რაკი მეცნიერება ძველებურზე უფრო სწრაფად ვითარდება და ადამის მოდგმას თავბრუდამხვევ სიჩქარეს სთავაზობს, რაკი კულტურა თავისი უნაპირო მხატვრული აზროვნებით ადამიანის სულში წვდომის ახალ-ახალ შრეებს ამზეურებს, დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა პიროვნების პარმონიული განვითარებისთვის სამი ნაცადი ბერკეტის – რწმენის, მეცნიერების და კულტურის ერთობლივი ძალისხმევა, რათა კაცობრიობა გადავარჩინოთ.

## კულტურა და ინტერნეტი

საყოველთაო კომპიუტერიზაციამ ადამიანის ცოდნის მასშტაბები არნახულად გააფართოვა.

დღეს ნებისმიერი პროფესიის მოქალაქისთვის ხელჩანთით კომპიუტერის ტარება ისეთივე ჩვეულებრივი ამბავი გახდა, როგორიც, ვთქვათ, მეოცე საუკუნეში უბის წიგნაკის ან ავტოკალმისა.

კომპიუტერი – ეს გრძელებული ყუთი ჩვენი ერთგული თანამგზავრია.

სოციალურ ქსელთან ურთიერთობამ პიროვნება მთელი მსოფლიოს ორგანულ ნაწილად აქცია.

ინტერნეტის საშუალებით ჩვენ მეყსეულ კავშირს ვამყარებთ არა მარტო გეოგრაფიულად ათასობით კილომეტრით დაშორებულ ნაცნობებთან თუ უცნობებთან, არამედ წარსულთან და მომავალთანაც.

ვერც კი შევიტყვეთ, ისე გაიტანა კომპიუტერმა ჩვენი ყოველდღიურობიდან ეპისტოლარული მემკვიდრეობა (ადამიანები წერილებს თითქმის ალარ სწერენ ერთმანეთს), როგორ შეუმცირდა ფუნქციები ასწლეულების მანძილზე ჩვენს ნაცად მეგობარს – ფოსტას და როგორ დაგვეკარგა თვალსა და ხელშუა უწყინარი და კეთილი კაცი – ფოსტალიონი, როგორ შემოვიდა ადამიანთა ურთიერთობაში სკაიპითა და მესიჯით აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ცოცხალი პიროვნული, უშუალო ურთიერთდამოკიდებულება როგორ ხდება თანდათანობით იშვიათი, რაც ადამიანთა შორის პერსპექტიული გაუცხოვების მიზეზი ხდება.

ინტერნეტმა უდიდესი როლი შეასრულა კულტურის ნიმუშების გასაყოველთაობის მიმართულებითაც.

შორს გადაიწია კულტურის მიღწევათა ცოდნის არეალმაც.

რატომ გააჩნია ინტერნეტს ინფორმაციის გავრცელების ესოდენ უკიდეგანო მასშტაბები?

ზოგჯერ ერთმანეთში ურევენ კომპიუტერულ ტერმინებს: „ვებ-საიტი“, „ფეის-ბუკი“, „ვიკიპედია“, „ინტერნეტი“ და ა.შ. ეს ტერმინები საქმეში ჩაუხედავ კომპიუტერის მომხმარებელს სინონიმები ჰგონია. სინამდვილეში ინტერნეტი გლობალური კომპიუტერული ქსელი ანუ „ქსელთა ქსელია“ და იგი 1983 წელს შეიქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც სხვადასხვა

კომპიუტერული არხებიდან მიღებული ინფორმაციის გადამუშავებელი, და ერთიან სისტემაში მოქმედევი უნიკალური კომპიუტერული სისტემა, რომელმაც, თამამად შეიძლება ითქვას, მეცნიერული გადატრიალება მოახდინა კომპიუტერის მარადცვალებად საინფორმაციო სისტემაში. ათეული წლის განმავლობაში ინტერნეტი მხოლოდ ინგლისურ ენაზე იყო და მხოლოდ ოთხმოცდათიან წლებში მოხერხდა მისი პოლიგლოტიზაცია უმთავრეს ევროპულ ენებზე. 1996 წელს ინტერნეტში ქართული ვებ-საიტიც დაიდო. იგი ფინეთში შექმნა რენო სირაძემ. 1997 წლის დასაწყისში კი კვლავ ფინეთში გადადგა წინ ერთი ნაბიჯი გაექართულებულმა ინტერნეტმა. ამჯერად ინტერნეტის ქართული ტიპოგრაფიის ავტორი გახლდათ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, პროფესორი ბესარიონ გუგუშვილი.

ასე მოიცვა ინტერნეტმა მსოფლიოს საინფორმაციო ბაზარი და მას დღეს ცოდნის გავრცელების მასშტაბებით ყველაზე ფართო არეალი აქვს, ანუ მილიარდობით ადამიანს უწევს საინფორმაციო მომსახურებას, საერთოდ ცივილიზაციას და მათ შორის კულტურის მიღწევათა პოპულარიზაციის თვალსაზრისითაც.

არ გაგიკვირდეთ და დღეს კომპიუტერიზებულმა თუნდაც საშუალო სტუდენტმა გაცილებით მეტი იცის მსოფლიო კულტურის ძეგლების შესახებ, ვიდრე გასული საუკუნის კლასიკოსებმა ან თუნდაც ხელოვნების კორიფეულმა იცოდნენ.

დააჭერ ღილაკს ხელს და შენ თვალნინ დაიხატება მიქემირონის პირამიდა მთელი თავისი დიდებულებით. დააჭერთ ხელს მეორე ღილაკს და ინებე უახლესი მეცნიერული მონაცემები „მონალიზა ჯოკონდას“ შექმნისა და თუნდაც იმის შესახებ ამ უკვდავი პორტრეტის ხატვის დროს ვინ ეჯდა წინ გენიალურ ლეონარდოს, ვინ იყო ჯოკონდას პროტოპიპი.

ინტერნეტმა საოცრად გაადვილა აგრეთვე მეცნიერული კვლევა საერთოდ და კერძოდ მეცნიერული შრომის შექმნა კულტურის (და არა მარტო კულტურის) მიმართულებით.

ის, რაზედაც მეცნიერები ღამეებს ათენებდნენ ბიბლიოთეკებში, გაცნობოდნენ კოლეგათა ნაშრომებს და შეედგინათ ე. წ. „საკითხის ისტორია“, დღეს ინტერნეტის საშუალებით უადვილეს საქმედ იქცა.

მისცემ დავალებას ჭკვიან მანქანას და ხელად მოგაწვდის ნაშრომთა ჩამონათვალს შენთვის საინტერესო სფეროში.

მისცემ დავალებას კომპიუტერს და მაშინვე მოგაწვდის რომელიმე სტატიის თარგმანს შენთვის სასურველ და გასაგებ ენაზე.

კომპიუტერიზაციამ ნაშრომის ენობრივ დახვეწაზე, ენობრივ სტილზე მუშაობაც ძალიან გააადვილა:

მისცემ დავალებას კომპიუტერს და შენთვის საჭირო შესწორებას მარტო ერთ გვერდზე კი არა, თუნდაც ათასგვერდიან ნაშრომშიც ხუთი წუთის განმავლობაში შეიტანს.

დიახ, ამჟამად ინტერნეტის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია ურთიერთობა დავამყაროთ მსოფლიოში ცნობილ ნებისმიერ კოლეგასთან, რომელსაც შენთვის საინტერესო სფეროში რაიმე ღირებული შეუქმნია. მიიღო მისგან კონსულტაცია (რა თქმა უნდა, ადრესატის კეთილი ნების შემთხვევაში), გაუზიარო შენი შთაბეჭდილება კულტურის სფეროში ნებისმიერი სიახლის შესახებ.

ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ხელოვანი უკვე აღარაა დამოკიდებული შემოქმედებითი კავშირების ე. წ. კოლექტიურ გემოვნებაზე, რაც ხელს უწყობდა კულტურის სფეროში გადასა-ლახავ სიმაღლეზე თამასის მაღალ დონეზე შენარჩუნებას.

ხელოვანი აღარ არის ვალდებული ანგარიში გაუწიოს რედაქტორის შენიშვნებს, რედაქტორი-კრიტიკული გონების პიროვნება, ლამის ჩაიკარგა კულტრის ნიველირების ყოვლისწამლებავ მდინარებაში.

და ბოლოს ხელოვანი აღარ არის ვალდებული ანგარიში გაუწიოს საზოგადოებრივ აზრს.

განათავსებს იგი სოციალურ ქსელში საკუთარ საიტზე თავის ნამუშევარს, ან სრულიად უპასუსხიმგებლოდ ავტორის მიუთითებლად წარუდგენს მილიონობით მკითხველს თუ მაყურებელს თავის ქმნილებას და ამასაც არ სჯერდება; ერთ-ორ მეგობარს უმეტესწილად ხელოვნების ამ სუროგატს გენიალურ ქმნილებად გამოაცხადებინებს და გაიმართება დიდი სჯა-ბასი ჭეშმარიტ კულტურაში სრულიად გაუცნობიერებელ, გულუბრყვილო ინდი-ვიდთა შორის.

მერე რა მოხდა, ავარჯიშონ ადამიანებმა გონება, იქნეაბ ეს კამათი ჭეშმარიტებასთან მიახლოების ერთ-ერთი გზაა – იტყვის საქმეში ჩაუხედავი პირი.

არ არის საქმე ასე მარტივად.

ამ შემთხვევაში წინა პლანზე გამოდის სახელის განთქმის მსურველთა კოშორტა, რომელთა სახელოვნო მანიას ჭეშმარიტი წიჭი კი არა, ენერგიული უნიჭოს ჯიუტი ნება განაგებს.

რაც ინტერნეტში კულტურის ნიმუშის იარღიყით თავსდება, მათი ავტორებიდან დაახლოებით სამი პროცენტი თუ იქნება ჭეშმარიტი ხელოვანი.

დანარჩენი, კულტურას ადევნებული იაფი პოპულარობის მაძიებელი, ხელმოცარული პენსიონერი, გარდამავალი ასაკის ყმაწვილი ან ნევროზით შეპყრობილი, ნორმალური მდგომარეობიდან რამდენადმე გადახრილი პიროვნებაა.

განსაკუთრებით ეს გარემოება ლიტერატურაში იჩენს თავს.

ჯერ იყო და გრაფომანებმა გამომცემლობათა კარები აატალახეს (ზოგმა საკუთარი გამომცემლობაც კი შექმნა) და დაიწყეს საშუალოდ ყოველ ექვს თვეში თავიანთი დაჩქარებული ტემპით შექმნილი უმწიფარი ნაწერების წიგნებად აკინძვა. მასკულტურის ეს ნიმუშები უნდა ვაღიარო, კლასიკოსთა წიგნებზე უფრო სწრაფად საღდებოდა, რადგანაც ე. წ. „ფართო მკითხველს“ სწრედ რომ მიამიტი, „ადვილადგასაგები“, ყოველგვარი ჩაღრმავება-ფსიქოლოგიზმს გარიდებული წიგნები იზიდავს, რომ წიგნების ბეჭდვა პოპულარობის მოპოვების არცთუ იოლი გზაა, რადგანაც წიგნებს მოქალაქენი ძველებურად აღარ ეტანებიან და თანაც წიგნის გამოცემა, ცოტა არ იყოს, ძვირი ჯდება. იმდენად ძვირი, რომ შეიძლება თავისი თავიც ვერ აანაზღაუროს და მოგების ნაცვლად ვალი დაადოს „მწერალს“.

... და აი, „კულტუროსანმა“ იპოვა თავისი საეჭვოზე საეჭვო სტრიქონების გამოფენის ჯერჯერობით უჯებირო და თითქმის უფასო საშუალება – ინტერნეტი.

და გაივსო ინტერნეტი ათასი სისულელით. უნაპირო ტირაუირება საკუთარი საეჭვო ნააზრევისა არა მარტო განუკითხაობის საშიშროებას ჰქმნის, არამედ ჭეშმარიტი კულტურის წიაღში დეზორიენტაციის მუხტი შეაქვს და, რაც ყველაზე სავალალოა, გემოვნების სტანდარტიზაციას, საბოლოო ჯამში კი გემოვნების დაქვეითებას ინვევს.

ჩვენს საზოგადოებაში გემოვნების დაქვეითება აშკარად შეინიშნება.

ამას ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობთ. შედით საკონცერტო დარბაზებში ან თეატრებში და მიაყურადეთ, რას უკრავს ტაშს ერთ დროს მაღალი, დახვეწილი გემოვნების მქონე ჩვენი მაყურებელი.

ჩატარეთ თუნდაც სახელდახელო სოციალური გამოკითხვა კულტურის მიმართულებით და იოლად დარწმუნდებით რომ ჩვენი მკითხველი ლიტერატურულ სუროგატს უფრო ეტანება, ვიდრე მაღალი ხარისხის ნაწარმოებს.

ინტერნეტში მდარე ლიტერატურის მოძალების საილუსტრაციო ერთ „პოეტურ შედევრს“ მოგაწვდით. ლექსი ამოღებულია ინტერნეტიდან 2012 წლის 16 დეკემბერს:

მინდა დავწერო რამე...  
მაგრამ გამიქრა მუზა,  
ფანქარი ხელში ავიღე,  
ირგვლივ ყველაფერი დუმდა.  
მინდა დავწერო რამე,  
რაც რომ ასხვავებს ყველას,  
არ მინდა ჩემი ფიქრი,  
გადმოვცე ლექსში მუზად...  
მინდა დავწერო რამე,  
რაც რომ ეხება ყველას,  
მინდა დავწერო რამე,  
რამე ამ ლამაზ ლექსად,  
არ მინდა ჩემი ლექსი,  
რომ მიამზგავსოთ სხვებსას.  
მინდა დავწერო რამე,  
მაგრამ გამიქრა მუზა,  
როცა მე ამ ლექსს ვწერდი  
მანც ყველაფერი დუმდა.

(Memento. Ge)

ამ „ლექსის“ ავტორის დასახელებას მოვერიდები იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი ლამის ტიპური ნიმუშია ინტერნეტში განთავსებული ლამის ტიპური მოთხრობების უმეტესობისა.

ადგილი მისახვედრია, რომ ავტორს არაფერი აქვს სათქმელი. მის სასთუმალთან ერთი ლამეც არ გაუთევია პოეზიას. აკვიატებული სურვილი, რამე განსხვავებული თქვას შინაგანი სიცარი-

ელის, დაბალი ინტელექტის „პოეტურ უკუფენად“ ჩამოიქნება და მკითხველს ხელთ რჩება, ოდენ სიტყვების რახარუხი. დასასრულ, ჩვენდა იღბლად, საწყის მდგომარეობას უბრუნდება ლირიკული გმირი და ისევ თავის ახირებულ სურვილზე მიგვანიშნებს: მინდა დავწერო რამე, მაგრამ გამიქრა მუზა, როცა მე ამ ლექსს ვწერდი, მანც ყველაფერი დუმდა“. არახალია ავტორის ნატვრა „დაწეროს რამე“, ის მდგომარეობაც თანაგრძნობით განვაწყობს მისადმი, რომ „გაუქრა მუზა“, მაგრამ გაუგებარია, რატომ არქმევს ამ უაზრო ჩანასტეს „ლექსს“ და უფრო გაუგებარია, რატომ ათავსებს მას ინტერნეტში. რატომ გაუჩნდა სურვილი იმისა, რომ თუ აქამდე მისი ხელმოკარულობის და შინაგანი სიცარიელის ამბავი ოდენ მისმა ახლობლებმა იცოდნენ, ახლა მთელმა ქვეყანამ გაიგოს.

ასეთივე ვითარებაა კულტურის ნებისმიერი სფეროდან ინტერნეტში შემოხეტებული „თავმდაბალი“ ხელოვანების ნამუშევრების გაცნობისას.

თუ არცთუ დიდი ხნის წინათ კულტურის უწყებებთან არსებობდა სამხატვრო საბჭოები, თუ ამა თუ იმ მოქანდაკის ნახელავს გულდასმით განიხილავდნენ პროფესიონალები და სათანადო კოლექტიური დასკვნის შემდეგ აძლევდნენ რეკომენდაციას აღმასრულებელ უწყებებს დადგმულიყო ესა თუ ის ძეგლი, ამ ბოლო დროს, ეს სრულიად სწორი პრაქტიკა, მოიშალა და ძეგლის დადგმა (და სხვათა შორის აღებაც) ერთი კაცის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული.

ამგვარი სახელოვნებო ვოლუნტარიზმით, რა თქმა უნდა, ხშირად იჩაგრებოდა ჭეშმარიტი ტალანტი.

კულტუროსანთა არმიაში თითო-ოროლა ნიჭიერის გვერდით უამრავი უნიჭო დგას, რომელსაც ხელოვნებაში კვალის დატოვება თვითმიზნად უქცევია და „ვირის კუჭით შექმნილი“ მისი ნახატები შედევრებად ესახება, ხოლო „უსაგნო ორიგინალურობით“ დაღდასმული მისი ქანდაკება საეტაპო მოვლენად ქანდაკების ისტორიაში.

ინტერნეტში განთავსებული ერთი უცნობი მხატვრის ხუთიოდე ნახატს ერთმანეთისგან ვერ განასხვავებთ. ერთმანეთში არეულ ფერებს, სადაც გამადიდებელი შუშითაც კი ვერავითარ სიმწყობრეს ვერ აღმოაჩეთ, „პეიზაჟებს“ არქმევს და იქვე, გვერ-

დით, მეტი დამაჯერებლობისთვის თავის გაღიმებულ ფოტოსაც გვთავაზობს წარწერით: „ძვირფასო მკითხვებული, აი, რა ნახატები არ გამომიფინქს მე უვიცმა ხელოვნებათმცოდნებმაო“.

ასეთივე სავალალო სურათია მოქანდაკებთანაც; მოუთავსებია თავის საიტზე ხელმოცარულ ხელოვანს ქანდაკება, რომელზეც სულელური ექსპერიმენტის გარდა ვერაფერს შეამჩნევთ და იქვე მონუნუნე სტრიქონებსაც წაიკითხავთ. „აი, ეს შედევრი დღემდე არ არის დადგმული და ჩემს სახელოსნოში ინახებაო“.

სამწუხარო ის გახლავთ, რომ ამ ნახატებს თუ ქანდაკებებს ახლავს უამრავი გამოხმაურება, გაცხარებული მაგრამ ხელოვნებაში აპსოლუტურად გაუცნობიერებელი ადამიანები ესარჩელებიან „დაჩაგრულ ტალანტს“ და ქოქოლას აყრიან მის მიმჩქმალებებს, თან გულსაც უკეთებენ „ვერშეცნობილს“, „ნუ გეშინია, ფიროსმანსაც ასე ექცეოდნენ, შენი აღიარების დროც მალე მოვაო“.

ინტერნეტს კულტურასთან მიმართებაში ერთი უხერხულობაც ახლავს: მოგხესენებათ ინტერნეტში ინფორმაციის უდიდესი ნაწილი ქართველისათვის უცხო ენაზეა, ამიტომაც ინტერნეტში მუშაობის გასაადვილებლად ინტერნეტმომხმარებელთა უმეტესობა ძიულებულია შეისწავლოს ყველაზე უფრო კომპიუტერული ენა – ინგლისური. რაც უფრო ადრეული ასაკიდან მივუჯდებით კომპიუტერს, მით უფრო, ზოგჯერ ჩვენდა უნებურადაც, ძვალრბილში გვიჯდება ინგლისური, და ეს ხდება მშობლიური ენის ვერდაუფლების (სიყმანვილის ასაკში), ან მშობლიური ენის დავინუების (მოზრდილ ასაკში), ხარჯზე. ალბათ ათწლეულები დაჭირდება, რომ კომპიუტერის ენად ქართულიც იქცეს, მაგრამ სავარაუდოდ ეს მხოლოდ შედარებით მოკრძალებული მასშტაბით მოხდება, რადგანაც სამომხმარებლო ღირებულებით ქართული ინგლისურის და რუსულის მასშტაბებს ვერ გაუტოლდება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენ, ქართველები, რაოდენ მდიდარი და მოქნილიც უნდა იყოს ქართული ენა, მაინც მცირერიცხოვანი ერი ვართ.

ინტერნეტის ლამის მოურჩენებლი სენი – ადამიანის ფიზიკური გაზარმაცება, რაც მთელ მსოფლიოს მოედო და მედიკოსები უკვე ხმამაღლა ლაპარაკობენ კომპიუტერს მიჯაჭვულთა ჯანმრ-

თელობის მდგომარეობის გაუარესებაზე, დღითი-დღე ავლენს თავის მსახვრალ შედეგებს.

კომპიუტერით დაავადებულნი იშვიათად კითხულობენ წიგნებს და თუ კითხულობენ მხოლოდ ინტერნეტში განთავსებულ, უგემოვნოდ შემოკლებულ მხატვრულ ლიტერატურას, იშვიათად დადიან თეატრებში, კინოში, გამოფენებზე და მუზეუმებში.

რატომ მივიდე გალაკტიონის მუზეუმში, როცა მთელი მუზეუმის და მისი ექსპონატების ნახვა აგერ კომპიუტერში შემიძლია, ფიქრობს კომპიუტერს მიჯაჭვული და ვერ კი ხვდება რომ ღრმად შემცდარია.

რომელი კომპიუტერი მოგვგვრის იმ შთაბეჭდილებას და მოგვანიჭებს იმ სიამოვნებას, რასაც საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის, ვაიმარში გოეთეს სასახლის ხილვით ან იას-ნაია პოლიანაში ლევ ტოლსტოის სახლ-მუზეუმის დათვალიერებით განვიცდით.

კომპიუტერს მოწყვეტილი და რეალური სინამდვილის პირისპირ მდგარი პიროვნება პირველ წუთებში აშკარად განიცდის დისკომფორტს. შუბლზე ოფლის წვეთები უჩნდება, სუნთქვა უჭირს. იგი ადამიანებთან უშუალო, ცოცხალ ურთიერთობას გადაეჩვია და ეჩვენება, რომ ნამდვილი სწორედ ის არის, რასაც იგი კომპიუტერში ხედავს, ნატურალური ბუნება კი კომპიუტერული სურათის უკუფენაა, ამიტომაც რეალობა მისთვის მცაცრი და ტლანქია.

აი, სანამდე მიიყვანა ადამიანი კომპიუტერით ავადმყოფურმა გატაცებამ. მან შექმნა კომპიუტერული, ვირტუალური სამყარო და ცხოვრობს (თუ ამას ცხოვრება ჰქვია) იმ გამოგონილ, მკვდარ სინამდვილეში.

ვერ წარმოიდგენთ, რა შევბას გრძნობს იგი, როცა რეალურს განერიდება, შინ დაბრუნდება და კომპიუტერს მიუჯდება, აქ იგი სიტუაციის ბატონ-პატრონია, აქ მისი ნება-სურვილი მართავს მოვლენებს.

მაინც ყველაზე დიდი შეცოდება, რაც უამრავ დადებით მხარესთან ერთად კომპიუტერის მოვლინებას მოჰყვა ჩვენს ცხოვრებაში, გახლავთ ის სავალალო ფაქტი, რომ კომპიუტერმა წიგნი თითქმის განდევნა ასპარეზიდან. ეს მიუტევებელი პრალდებაა კომპიუტერის მიმართ, რისგანაც ეს უკანასკნელი თავს ვერასოდეს გაიმართლებს.

კომპიუტერის „დამსახურებაა“ წიგნის ტირაჟის გაუგონარი შემცირება მთელ დედამინაზე, კომპიუტერის დამსახურებაა გე-მოვნების დაქვეითება და მასკულტურის გაბატონება.

არ შეიძლება ადამიანი ოდენ ინტერნეტში აკუმულირებული ცოდნის იმედზე დარჩეს, მით უმეტეს, რომ ამ უნიკალურ საინ-ფორმაციო სასწაულსაც უკვე გაუჩნდა თავისი მახრინბელა ვი-რუსებისა თუ ინტერნეტ-მეცნიერების სახით.

ეს ვითარება არაიშვიათად ფსიქოლოგიური შოკის მიზეზიც ხდება. საკმარისია, კომპიუტერს ვირუსი შეეყაროს, რომ შენ ერთბაშად აღმოჩნდები ინფორმაციულ ვაკუუმში, თითქოსდა ერთბაშად მოწყდი სამყაროს, თითქოსდა აღარასოდეს აღსდგება ის ემოციური კავშირი, რაც შენსა და ვირტუალურ, ხილვით სინამდვილეს შორის არსებობდა. გაითიშება შუქი და შენ წინ ცისფრად განათებული ზღაპრული ყუთის ნაცვლად, რომელიც თავაზიანად დაგატარებდა ნებისმიერი შენთვის სასურველი მიმართულებით, შენ წინ დევს მდუმარე ნივთი, რომელსაც სი-ცოცხლის არავითარი ნიშანწყალი არ ეტყობა.

ინტერნეტთან თავისი ანგარიში აქვს იურისპრუდენციასაც; არაერთგზის ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: საიტზე დაიდება ინფორმაცია მავანისა და მავანის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ. საგამომძიებლო ორგანოები მაშინვე იღებენ ზომებს და იწყება ოპერატიული კვლევა დანაშაულისა, რომელიც ხშირად სამაგიეროს გადახდის სურვილით შეპყრობილი კაცის ფანტაზიის ნაყოფი, ან ბოროტი ხუმრობა აღმოჩნდება ხოლმე. შედეგი? ამაოდ გარჯილი სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლები და ამაოდ დახარჯული სახსრები. ჩემი ფიქრით, პროკუ-რატურამ ინფორმაციის დაუდასტურებლობის შემთხვევაში ძიება არ უნდა შეწყვიტოს. საჭიროა იმ ავისმზრახველი პირის ვინაობის გამომულავნება, ვინც ინტერნეტით ბოროტად ისარგებლა და მისი სათანადოდ დასჯა.

აქ არას ვიტყვი იმაზე, რომ უდანაშაულობის პრეზუმუტციის აბსოლუტური იგნორირებით ზოგი ჭორიკანა ინტერნეტზე განათავსებს ხოლმე ვიზუალურ მასალას საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი პირის სექსუალური ურთიერთობის შესახებ

ბანოვანთან, ის, რაც იურიდიული და მორალური კანონებითაც აბსოლუტურად კონფიდენციალურია (თუ რასაკვირველია თანამდებობის ბოროტად გამოყენებასთან ან სექსუალურ უკულმარ-თობასთან არა გვაქვს საქმე, რ. მ.), არ შიძლება გახმაურების და საზოგადოებრივი დასმენის საგნად იქცეს. ამგვარი უტიფარი ჩასაფრების მსხვერპლი ამას წინათ მსოფლიო სავალუტო ფონ-დის პრეზიდენტის კარიერა გახდა, ხოლო ქალის და მამაკაცის სექსუალური ურთიერთობის არამკითხე გამომულვნების შემდეგ კინალამ პრეზიდენტის პოსტი დაატოვებინეს ამერიკის პრეზი-დენტი ბილ კლინიკონს.

ინტერნეტი თავის დაღს ასვამს კულტურის ისეთ დარგს, რო-გორიც გახლავთ სამოდელო ხელოვნება. მოდის პრობლემა მეოცე საუკუნეში შედარებით მარტივად იყო გადაწყვეტილი; პოპუ-ლარული სამოდელო ფირმები მსოფლიოს რამდნომე წერტილში (პარიზი, ლონდონი, ნიუ-იორკი...) ქმნიდნენ ეპოქის ხასიათს მის-ადაგებული ტანსაცმლის ნიმუშებს და გამოჰქონდათ ძირითადად პარიზის სახელგანთქმულ პოდიუმებზე. ამ გზით ხელდასხმული მოდა მთელ მსოფლიოში ვრცელდებოდა და ათი წლის განმავ-ლობაში მაინც იპყრობდა სამოსელის ბაზარს, ბოლოს ეს მოდა ნელ-ნელა იწყებდა გარდასვლას და მის ადგილს ახალი იკავებდა. XXI საუკუნეში მოდა ამ ტრადიციული გაგებით უკვე აღარ არსე-ბობს. სხვადასხვა ფირმები ინტერნეტის საშუალებით ცდილობენ მსოფლიოს სამოდელო ბაზარზე გაბატონებას, ამ თავბრუდამხვევ ორომტრიალში არად დაგიდევენ ეპოქის თავისებურებებს, ქსო-ვილთა შექმნის ახალ საშუალებებს და, თუ გნებავთ, ტრადიცია-სთან კავშირსაც. შეხვალ ინტერნეტში და ცირკის საექსპოზიციო პარადის მსგავსად თქვენ თვალწინ ჩაივლიან „ორიგინალი მოდ-ელის“ მიერ განამებული გოგონები. რა აღარ აცვიათ მათ, რა სექსუალურ ორიეტნაციას არ აკმაყოფილებს მათი კაბა-პენუარი, თმის ვარცხნილობას აღარ იკითხავთ? თავზე ცოცხალი ფარშე-ვანგი არ აზით, თორემ რა ფერები, რა მეხამრიდული თმის დგომა, რა თუთიყუშური ვარცხნილობა არ მიიპყრობს თქვენს ყურადღე-ბას. კიდევ კარგი, ეს უცნაური ექსპერიმენტები მოდის წიაღში ჭეშმარიტ მოდად არ იქცევა და პირველი ჩვენებისთანავე განწირ-

ულია დასავინებლად. წუთუ ყველა გაუკულმართებული გონების „გაუკულმართებული სექსი“ კინაღამ წამომცდა) ადამიანს შეუძლია თავის თავს დიზაინერი დაარქვას და ინტერნეტში მოდის უკანასკნელ სიტყვად შემოგვთავაზოს თავისი წაცულლუტარი?

დიზაინერი ვახსენეთ და აქვე საყოფაცხოვრებო, საინტერი-ერ-ექსტერიერო დიზაინზეც უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა. აქაც სრული განუკითხაობაა. გონივრული დიზაინი ლამის წაილეკოს მარგინალური, უგემოვნო დიზაინისგან. ვიღაცამ მოინდომა გარდასულ საუკუნეთა პაროკოს თუ როკოკოს სტილის ავეჯი შეერწყა თანამედროვეობას მისადაგებული მსუბუქი ავეჯის სტილთან და შედეგად მივიღეთ სტილთა აღრევა-შეუთავსებლობის მახინჯი წიმუში. განმეობა კი აქაც არავინ არის. ინტერნეტი ყოველგვარი სტილური წიმუშის ერთგული მასპინძელია.

ინტერნეტმა თავისი განუზომელი გეოგრაფიული მასშტაბებით შეიძლება ხელი შეუწყოს აკვიატებული იდეების, ცრუნინასწარმეტყველების, ფსიქოზის გავრცელებას დედამიწაზე. ამის მაგალითის მოსაყვანად შორს წასვლა არ დაგვჭირდება. ინტერნეტში განთავსებული ვითომდა მაიას ტომის წინასწარმეტყველურმა ზღაპარმა იმის შესახებ, რომ 2012 წლის 21 დეკემბერს დედამიწას სიკვდილის გრიგალი გადაუვლიდა და კაცობრიობა არსებობას შეწყვეტდა, მალემრწმენთა შეშფოთება გამოიწვია, ეს შეშფოთება იმდენად მოედო მთელ დედამიწას, რომ ცალკეული ინდივიდები ცდილობდნენ თავის გადასარჩენად უსაფრთხო ყურები მოექებნათ, მთელ დედამიწას მოედო მოსალოდნელი განაგურების შიში.

არ გეგონოთ რომ ეს უმტკივნეულო შიში იყო.

თაღლითებმა ისარგებლეს და პლანეტაზე რამდენიმე ადგილი დაასახელეს, რა ადგილებსაც წარღვნა არ შეეხებოდა. მილიონობით დღლარი დაიხარჯა მაიას ტომის უწყინარი ტყუილის გამო. შეშინებულნი მიაწყდნენ თაღლითთა მიერ მონიშნულ ადგილებს, ხოლო 22 და 23 დეკემბერს იხტიბარგატეხილნი მორცხვად აცხადებდნენ: ჩვენ მაიას ტომის ცრუნინასწარმეტყველებას და ფეხის ხმას როდი ავყევით, აქ უბრალოდ დასასვენებლად და დროის გასატარებლად ჩამოვედითო.

როგორ მოვიქცეთ, რაკი ინტერნეტში გამეფებულია განუკითხაობა, რაკი ინტერნეტს აქვს მასალის გავრცელების უსაპირო მასშტაბები და შეუძლია ზოგჯერ აშკარად მცდარი, ავადმყოფური აზრები, ან ამგვარი აზრების მქადაგებელი კულტურის წიმუში მოჰყონოს ქვეყანას? ხომ არ გვკარნახობს შექმნილი სიტუაცია ინტერნეტის შეზღუდვას ან რამე წინაღობების დაწესებას ამ მიმართულებით?

არამც და არამც, ღმერთმა დაგვიფაროს ჩვენი ტექნიკის საოცრების – ინტერნეტის მიმართ რამე ცენზურის ან არტახების შემოღების ქადაგებისაგან.

ორი რამ გვესახება ამ პრობლემის გადაწყვეტის გზაზე ასე თუ ისე წესრიგის შემტანად; პირველი ის გახლავთ, რომ ყოვლის ღონისძიებებით (ტრენინგები, სტატიები, ლექტორიუმები და ა.შ.) უნდა ვეცადოთ ავამაღლოთ კომპიუტერის მომხმარებელთა შეგნება იმ დონემდე, რომ თითოეულმა მოქალაქემ, ვინც ინტერნეტის მფლობელთა რიგს განეკუთვნება, პასუხისმგებლობა იგრძნოს ამ უაღრესად ფაქიზი საზოგადოებრივი ტრიბუნის წინაშე და ანგარიში გაუწიოს საყოველთაოდ მიღებულ ჭეშმარიტებებს. მეორე: უნდა ვთხოვოთ მათ, რომ ინტერნეტში მასალები განათავსონ გამჭვირვალედ, საკუთარი ვინაობის მინიშნებით, ეს ორი გარემოება თავიდან გვაცილებს ინტერნეტის დანაგვიანებას მდარე ხარისხის ნაწარმოებებით და ასევე ზღვარს დაუდებს იმ უხამსობებს და ლანდლვა-გინებას, რასაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ადგილი აქვს კომპიუტერულ სინამდვილეში.

შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ ერთის მხრივ კულტურას მოევლინა ერთგული შემწე და მეგობარი ინტერნეტის სახით, რომელმაც კულტურის მიღწევათა გამსოფლიოების და, აქედან გამომდინარე, ადამიანის სულზე სასიკეთო ზემოქმედების არნახული მასშტაბები გადაგვიშალა. მეორეს მხრივ ინტერნეტის განუკითხავი გამოყენება არაერთ „მაგრამს“ ბადებს სწორედ მაშინ, როცა ტექნიკის ამ საოცრებასთან უმეცრების მსუბუქი ხელით, ანუ ანგარების ტლანქი გონებით მივდივართ ხოლმე.

რამდენადაც დიდი სიკეთეა ინტერნეტი, იმდენად დიდი სიფრთხილე გვჭირდება მისი გამოყენების დროს, რაკიღა ჯერჯე-

რობით მომხმარებელთა დიდი უმრავლესობის შეგნებას ძირითადად პრაქტიკიზმის მკაცრი კანონები მართავს და აშკარაა საშიშროება იმისა, რომ ზოგჯერ „ნაბან წყალს ბავშვიც გადავაყოლოთ“.

აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ როგორც გაზეთური ბუმის პირველ ათწლეულებში გაზეთში დაბეჭდილი ყველას უცილობელი ჭეშმარიტება ეგონა (გაიხსენეთ აკაკი წერეთლის ნათქვამი; „ჩვენში გაზეთისა სახარებასავით სჯერათ“), ახლაც ბევრი ფიქრობს, რომ კომპიუტერით მოწვდილს და ინტერნეტში გამოქვეყნებულს „წყალი არ გაუვა“, სწორედ ინტერნეტიდან შეიძლება მოგვაწოდონ წინასწარდაგეგმილი, ჭეშმარიტ შეხედულებებში დეზორიენტაცის შემტანი „სიმართლე“.

როცა ინტერნეტის გამოყენების მიმართულებით საყოველთაო სიფრთხილეს და ზომიერებას ვუსვამთ ხატს, სწორედ იმას ვუსადაგებთ, რომ ინტერნეტმა ჭეშმარიტების ფარი უნდა იყაროს და ოცდამეერთე საუკუნის მოქალაქეს – ისედაც საკმაოზე მეტად დაბნეულს ათასი მიზეზის გამო, ერთგულ მრჩევლად და ჭკვიან გზამკვლევად უნდა მოევლინოს.

ინტერნეტმაც უნდა შეაშველოს ხელი დეზინფორმაციის ჭაობში ლამის ყელამდე ჩაფლულ ჩვენს თანამედროვეს და ღირსება დაუბრუნოს.

## კულტურის მომავალი

მეცნიერება და რელიგია ერთ რამეში თანხმდებიან; გარდა ღმერთისა, ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. ანუ ყოველივე ადრე თუ გვიან განსრულების, დამთავრებადობის მსახვრალ კანონს ემორჩილება.

ამ ლოგიკის მიხედვით შეიძლება კულტურაც, როგორც მხატვრული აზროვნების ფენომენი, იქნებ ოდესმე დასრულდეს, მაგრამ როდის?

ისე როგორც მეცნიერების განვითარების ტემპს ვერ შევაჩირებთ და ადამიანი გამოქვაბულებს ველარასოდეს დაუბრუნდება, კულტურაც არასოდეს მოშორდება ყოველდღიურად სრულყოფისკენ მიმსწრაფლ ადამიანის სულს.

თანდათანობით უფრო ცხადი ხდება, რომ დედამიწის თავზე დამოკლეს მახვილივით ჰქიდია ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხე.

დედამიწის მცხოვრებთ არა მარტო საკვები, არამედ სასმელი წყალიც აღარ ყოფილია. გრანდიოზული ფაბრიკა-ქარხნების ნარჩენებით გაბინძურებული წყალი ყოველდღიურად წამლავს ადამიანს და მის გარშემო არსებულ ფლორას და ფაუნას.

ცნობა იმის შესახებ, რომ ზღვაში ნავთობი ჩაიღვარა, მაგრამ ამ კატასტროფას მსხვერპლი არ მოჰყოლია, იმდენად ცინიკური განცხადებაა, რომ შეიძლება ამის განმცხადებელი საზოგადოების მოტყუებისთვის სამართალში იქნას მიცემული.

განა მსხვერპლი არ არის ნავთობის ჩაღვრის მეორე დღესვე ზღვის მიერ გამორიყული მკვდარი თევზები, მაზუთისგან ფრთებდამწვარი თოლიები, რომლებიც აფრენას ვერ ახერხებენ. ვინ შეიძლება განსაზღვროს ის ზარალი, რასაც ბუნებას აყენებს ჩვენი ეკოლოგიური დაუკვირვებლობა.

ჩვენ იმდენად ჩავერიეთ ბუნების კანონებში, რომ შეიძლება (ღმერთმა ნუ ქნას) ერთ უბედურ დღეს დედამიწაზე სიცოცხლეც დამთავრდეს.

მარტომდენ სიცოცხლეს კი არა, თვით დედამიწასაც აფეთქებას და გაქრობას უქადის სამი უდიდესი საშიშროება: ციურ

ცდომილთა კოსმოსური შავი ხვრელი, ატომური და ბირთვული ომის ყოველდღიურად მზარდი საფრთხე და კოსმოსიდან გამონატყორცნი ასტეროიდი, რომელიც ზოგჯერ დედამიწას ისე ახლოს ჩაუვლის, რომ დედამიწის უმწეო ბინადართ შიშისაგან გააკანკალებს.

დამთავრდება დედამიწის არსებობა და სრულიად ბუნებრივია, სწორედ მაშინ დამთავრდება კულტურის არსებობა. ე.ი. თუ ადამიანი შეწყვეტს დედამიწის მკვიდრ არსებას ანუ მის პატონ-პატონს წარმოადგენდეს, სრულიად ბუნებრივია მის მიერ შექმნილი სინდისის მომწესრიგებელი ფენომენი – კულტურაც საჭირო აღარ იქნება.

სხვა შემთხვევაში კულტურას გაქრობა არ უნერია, რადგანაც კულტურის გარეშე ადამიანი უკვე აღარ ადამიანობს და რაც დრო გადის კულტურა უფრო და უფრო ხდება „საზოგადოებრივი ცხოველის“ აუცილებელი ატრიბუტი.

კულტურამ ადამიანს არა მარტო მშვენიერების განცდით სიმშვიდე მოჰვარა და მის სულს სიავის ქარბორიები ნაწილობრივ მაინც აარიდა, არამედ კულტურამ მას შინაგანი თავისუფლება და სიყვარულის უნარი მიჰმადლა.

რაც უფრო კულტურულია ადამიანი, მით მეტია მასში თავისუფლების ხარისხი.

რა არის თავისუფლება?

თავისუფლება ადამიანის მოქმედების, მისი შინაგანი ბუნებით ნაკარნახევი აზრით მართვაა, ოლონდ ეს კარნახი სიკეთის შუქით უნდა იყოს განათებული.

და, განა ყოველივე, რაც სიკეთესთან ასოცირდება, კულტურის მიერ არ არის შთაგონებული?

ჭეშმარიტი თავისუფლება კაცობრიობის ნათელი იდეალებისთვის ღწვის თავისუფლებაა და იგი შორსა დგას ბოროტი ინსტიქტებით ან ქვენა გრძნობებით ნასაზრდოები თავისუფლებისაგან.

მხეცის თავისუფლება ან გამხეცებული კაცის თავისუფლება ჭეშმარიტი თავისუფლება არ არის.

დღეს მთელი მსოფლიო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას მოუცავს. არა მარტო ერები, არამედ ცალკეული პიროვნებებიც ისწრაფვიან ნანატრი თავისუფლებისაკენ.

XXI საუკუნის ადამიანმა უკვე შეიგნო, რომ გლობალიზაციის აღთქმული ხუფი ან საერთო გლობალურ სოფელში ცხოვრება სრულიადაც არ არის იმ კაცობრიული ოცნების ახდენა, რისკენ სწრაფვასაც თაობათა სიცოცხლე შეეწირა.

როცა გლობალიზაციის მესვეურნი ფიქრობდნენ, რომ ადამიანში თუ ერებში საბოლოოდ გააქრობდნენ სამშობლოს სიყვარულს და ყველაფერს გლობალური სამოთხის ილუზიას დაუქვემდებარებდნენ, მწარედ მოტყუცდნენ, რადგანაც პიროვნებაში თავისუფლების სიყვარულის და სამშობლოობის გრძნობის აღმოფხვრა არც ისე იოლი აღმოჩნდა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ კულტურამ ადამიანს სხვა სიკეთეებთან ერთად სიყვარული ასწავლა.

თითქოსდა, ერთი შეხედვით, ამ პიროვნების გამაკეთილშობილებელ გრძნობაში გაუგებარი არაფერი უნდა იყოს, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, სიყვარულის შესახებ დღესაც კამათობენ ფილოსოფოსნი და არცთუ უსაფუძვლოდ.

სიყვარული ხომ უნიკალური გრძნობაა ადამიანის სულში კულტურის მიერ ჩანერგილი და იგი ხომ მხოლოდ ადამიანისთვის არის დამახასიათებელი.

ამავე დროს კამათი სიყვარულის გარშემო არ წყდება.

ერთი ამბობენ, რომ სიყვარული თვითონ ღმერთია და იგი სწორედ უზენაესის მიერ მოვლენილი თვისებაა ჩვენი სულის გასალამაზებლად, მეორენი ამბობენ, რომ სიყვარული უბრალოდ ბიოლოგიური ინსტინქტია, ორი სქესის ერთმანეთისკენ სწრაფვაა გამრავლების ინსტინქტით მოტივირებული, მესამეთა აზრით, სიყვარული ასაკობრივი დაავადებაა, რომელიც ადამიანს გარკვეულ ასაკში ემართება და ასევე გარკვეულ ასაკში ქრება.

თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენიმე მეცნიერი სიყვარულის ვირუსის მოძიებითაც კი იყო დაკავებული.

სხვათა აზრით კი, სიყვარული ადამიანის ამამაღლებელი, დიდებული, ესთეტიური გრძნობაა, რომლის უნარიც, რაღა თქმა უნდა, ყოველ მოკვდავს არ გააჩნია.

თქვენ წარმოიდგინეთ, ისიც კი იქცევა კამათის საგნად – სიყვარულის ჭეშმარიტი გრძნობა ერთხელ ეწვევა ადამიანს, თუ რამდენჯერმე.

აი, ასეთი ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებებით არის დატვირთული კულტურის გამძლე ფუნდამენტზე აღმოცენებული სიყვარულის გრძნობა.

რამდენიც არ უნდა ვიკამათოთ, ერთი რამ ცხადია – სიყვარულის ნიჭი ადამიანს კულტურამ შთაბერა.

პიროვნებას აქვს კიდევ ერთი გრძნობა. ეს გახლავთ იუ-მორის გრძნობა და მისი უფრო მაღალი საფეხური – ირონიის გრძნობა.

ცნობილია, რომ განვითარების დაბალ საფეხურზე ადამიანთათვის იუმორის გრძნობა სრულიად უცნობი იყო. დღესაც ჯოგური პრინციპით მცხოვრები აბორიგენული ტომები არ იცინიან, სიცილის გრძნობა მათთვის სრულიად უცხოა.

აშკარაა, რომ განვითარების მაღალ საფეხურზე მოვიდა ადამიანთან იუმორის გრძნობა და იგი შინაგანი კულტურის მაღალი დონის მაჩვენებელია.

გამოაცალეთ ადამიანს იუმორისა და ირონიის გრძნობა და ცხოვრება დედამიწაზე უაღრესად მოსაწყენი და უფერული იქნება.

სხვა ზემოთნახსენებ თვისებებთან ერთად კულტურამ ადამიანს შთაბერა თავისუფლების წყურვილი, სიყვარულის უნარი და იუმორის გრძნობა.

საით მიდის კულტურა?

ჩვენ ზემოთ კულტურის ზიგზაგებიან გზაზე არაერთგზის ვილაპარაკეთ, ვთქვით იმის შესახებ, რომ კულტურა ზოგჯერ ასცდება კარდინალურ ხაზს, მაგრამ დროთა განმავლობაში თავის ღვთიურ ფუნქციას უბრუნდება.

შეიძლება ქარიზმატულმა ლიდერმა კვლავ აიტაცოს მილიონთა გონება და იგი კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართოს.

ამის საბედისწერო მაგალითი უკვე გვქონდა გასულ საუკუნეში, როცა ჰიტლერმა ისეთი მაღალკულტურული ერი, როგორიც გერმანია, ლამის მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ მიმართა, აქცია იგი ნაციზმის სენით შეპყრობილ, ეგზალტირებულ ბრბოდ, რასაც მილიონობით მსხვერპლი მოჰყვა.

სად იყო მაშინ კულტურა?

კულტურას, რასაკვირველია, არ ეძინა, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო კაცობრიობის ცაზე გადავლილი ნაციზმის და შოვინიზმის გრიგალი, რომ მან ადამიანის სულზე კეთილისმყოფელი გავლენა სისხლის წვიმების დროს ვერ მოახერხა.

რა ხდება დღეს?

თითქოსდა, ხელთა აქვს კაცობრიობას კულტურის მიერ ჩატარებული ადამიანის სუნის განმწმენდი უამრავი გაკვეთილი, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს გაკვეთილები ჯერჯერობით საკმარისი არ არის.

ჩვენს საუკუნეშიც კი ადამიანი თვითონვე ანადგურებს კულტურის მის მიერვე შექმნილ უკვდავ ძეგლებს. არ ახსენდება, რომ მსოფლიოს სავალალო ფაქტებად შერჩა შვიდი საოცრებიდან უმეტესობის უმოწყალოდ განადგურება. დღესაც შესცერიან ტურისტები სფინქსის ცხვირმოტეხილ ქანდაკებას და იმის ნაცვლად, რომ მთელი ძალისხმევა კულტურის ძეგლთა დაცვას მოახმარონ, ბრუნდებიან სახლებში და ერაყის ომის დროს ბაბილონის დიდებულ ძეგლებს აზიანებენ.

კაცობრიობის მიმართ უპატივებელი ბრალდებაა ეგვიპტის რევოლუციის დროს კაიროს მუზეუმს რომ ესროლეს და საუკუნო ძილი დაუფრთხეს ოთხი ათასი წლის მუმიებს. რაღა შორს წავიდეთ, ოკუპირებულ აფხაზეთში ახლახანს ილორის, ბედიის და მოქვის ქართულ მონასტრებში ათასწლოვანი ფრესკები ჩამოფხიკებს.

ახლა გლობალიზაციის შემოტევის და ეროვნული კულტურების გაქრობის უძნელესი ეპოქაა, და მაინც, კულტურა კვლავ გამძლე საყრდენებზე დგას და მილიონობით ადამიანთა გულებს სიკეთისა და ჰიმანიზმის გრძნობით მუხტავს.

ახლა იშვიათად დადიან მუზეუმებში, მაგრამ მაინც ხომ და-  
დიან.

ახლა იშვიათად კითხლობენ წიგნებს, მაგრამ მაინც ხომ კით-  
ხულობენ.

ასე რომ, კულტურის მომავალი დღესდღეობით მისთვის  
არასახარბიელო ვითარების მიუხედავად, ოპტიმიზმის გრძნო-  
ბას ბადებს ყოველი იმედიანი ადამიანის გონიერაში.

კულტურა არ მოკვდება, რადგანაც იგი სამუდამოდ სჭირ-  
დება პროგრესისკენ მიმსწრაფლ, გაღვიძებულ კაცობრიობას.

## რევაზ მიშველაძე

# თანამედროვე ქართული მწერლობის პროგლობი

სახელმძღვანელო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებისა და ყველა იმ  
უმაღლესი სასწავლებლისათვის, სადაც ქართული  
ლიტერატურის ისტორია ისწავლება.

პირველი გამოცემა

გამომცემლობა „უნივერსალი“  
2005

## თავი პირველი

პრობლემები, რომელთა შესახებაც სახელმძღვანელოს ავტორი მოგვითხრობს, მეტ-ნაკლები სიმწვავით გამუდმებით იდგა მრავალსაუკუნო-ვანი ქართული ლიტერატურის წინაშე.

თანამედროვე მწერლობა ღირსეული გამგრძელებელია ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციებისა და ბუნებრივია, მისთვის ორგანულია ქართული ეროვნული ცნობიერების, ქართული ფენომენის დაცვა-განმტკიცებისთვის ბრძოლა.

„თანამედროვე ქართულ მწერლობაში“ XX და XXI საუკუნის ლიტერატურული ცხოვრება იგულისხმება.

რედაქტორი: პროფ. სოსო სიგუა

რეცენზინგტები: პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი  
პროფ. მურმან თავდიშვილი

ავტორი მადლობას მოახსენებს რუსუდან ლორთქიფანიძეს და კახა კორძაიას რეფორმისშემდგომ უნივერსიტეტში დაწერილი ამ პირველი სახელმძღვანელოს გამოცემაში თანადგომისათვის.

© რ. მიშველაძე  
გამომცემლობა „უნივერსალი“, 2005

IშBN 99940-32-59-3

## ქართული ფენომენი – თანამედროვე ლიტერატურის უპირველესი საფიქრალი და საზრუნავი

მითაუამის დროინდელი ამბავია; ევრაზიის გასაყართან, ორ ზღვას შუა უსიერ ტყეთა ქარაფებზე დაკიდულ გამოქვაბულთა წიაღი პატარა ტომმა დატოვა, მყლაპავჭაობიან ლერწამ-ლაქა-შებში გამოტოპა და დიდი მდინარის შესართავთან დასცა კარავი. ველურთა სამყაროს ორ მილიონზე მეტი წლის წინათ გამოეყო. წყალგამყოფი მთაგრეხილის გაღმა-გამოღმა დამკვიდრდა და მილიონ-ნახევარი წლის შემდეგ მსოფლიო გააოცა სამარხში ნაპოვნი პირველი ევროპელის ყბისა და ლავინის ძვლებით.

გავლენ ათასწლეულები... ეს ტომი გაიზრდება, გამრავლდება, ლამის დანარჩენ სამყაროსგან იზოლირებულად, თვით-მყოფად კულტურას შექმნის, უზარმაზარი მუხის ტანისგან ნავს გააკეთებს და ახლომახლო ადგილთა დასაზვერად ზღვაში შეცურდება.

მეზობლები ჯერ კიდევ ტყეებში დაშლიგინობენ და წერერკაუ-ჟიანი ისრებით დასდევენ ნადირს. ხალიბური ფოლადის წრთობას კი არა, ბრინჯაოს იარაღსაც საუკუნეები აშორებთ.

კიდევ რამდენიმე ათასი წელი და ცნობისმოყვარე მეზღვაურები ნაპირ-ნაპირ ხეტიალში შუმერებს და ფინიკიელებს, სფინქსთა ეგვიპტეს და ეტრუსკებს წააწყდებიან.

ცივილიზაციის კუნძულთა შორის იდუმალი კავშირი მყარდება. დედამიწის გარდამქმნელთა ფერხულში გუშინდელი პატარა ტომი – ქართველთა წინაპარიც ებმება.

მერე მოვლენ ბერძნები და აიეტის სამეფოს „გეორგიანებს“ – მიწათმოქმედთა ქვეყანას დაარქმევენ. ირგვლივ მცხოვრები ურდოები თავისუფლებისმოყვარე ურჩებს „გურჯებს“ ეძახიან. ჩვენი წინაპარი კი, სანამ „საქართველოს“ – ქართველთა

ქვეყანას დაარქმევდნენ, ხან „ეგრისელებად“ ინათლება, ხან – „კოლხად“, ხან – „პონტოელად“.

უკვე შეუმჩნეველი ვეღარ დარჩები. კავკასიონის მაღალ მწვერვალთა ჩრდილში თავს ვეღარ დაიმალავ. საქართველო-სკენ გზა კარგა ხანია გაიწალდა და „პატარა მარგალიტის“ დასამონებლად რიგში დგებიან უზარმაზარი იმპერიები.

მოდიან ბერძნები, რომაელები, ბიზანტიონები, არაბები, თურქ-სელჩუკები, მონღოლები, ოტომანები, სპარსები... დედამიწაზე თითქმის ყველა იმპერიის უღელი გამოვიარეთ.

საუკუნეთა განმავლობაში დამპყრობლის კირთების ქვეშ ყოფნას თან ახლდა ყველაზე საშიში რამ – ეროვნული გადაგვარების საფრთხე.

სასწაულებრივად მაინც გადავრჩით და ოცდამეერთე საუკუნეს მივაკავუნეთ.

მსოფლიოს გრანდიოზული არენიდან გაქრნენ უძველესი ცივილიზაციის მქონე სახელმწიფოები, რომელთა არსებობას დღეს მხოლოდ მსოფლიოს კულტურაში მათ მიერ შეტანილი წვლილით ვეცნობით. ეს წვლილი კი, მართლაც, განსაცვიფრებელია. მაგალითად, ძველმა ეგვიპტელებმა გამოიგონეს ადამიანთა, ცხოველთა და ფრინველთა დაბალზამების საიდუმლოება, ეგვიპტისა და ლონდონის მუზეუმებში შეგიძლიათ ნახოთ ოთხი ათას ხუთასი წლის წინათ გარდაცვლილ ადამიანთა მუმიები, რომელთაც სახის ფერი, თმა და კანიც შენარჩუნებული აქვთ, ხოლო ტუტანჰამონის ოქროს კუბოზე ახლაც აწყვია ყვავილები, ოთხი ათას ხუთასი წლის წინათ მისმა თანამეცხედრემ რომ დაალაგა. ის ყვავილებიც ბალზამის წყლით არის ნაპეურები და ამიტომაც გუშინდელი მოკრეფილი გეგონებათ.

შუმერებმა და ფინიკიელებმა დედამიწის ცივილიზაცია მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრებით – ანბანით გაამდიდრეს. სამწუხაროდ, დღეს აღაც ეგვიპტელები ჩანან, აღაც შუმერები, აღარც ფინიკიელები და ეტრუსკები, უფრო მეტიც, ასწლეულების განმავლობაში იკვლევენ მეცნიერნი და დღემდე ვერ ამოხსნეს დაბალზამების თუ პირამიდების აგების საიდუმლო, ისტორიის

ულმობელმა ქარიშხლებმა უდიდესი ცივილიზაციები გადაიყოლეს, საქართველო კი გადარჩა.

დღეს ჩვენ სიამაყით ვამცნობთ კაცობრიობას, რომ უძველესი კულტურის ერი ვართ, შეგვიქმნია მსოფლიო მნიშვნელობის მატერიალური თუ სულიერი კულტურა და დღესაც ღირსეულად ვჩანვართ მოწინავე კაცობრიობის რიგებში.

გადავრჩით, მაგრამ ჩვენმა ულმობელმა ისტორიულმა ბედმა არაერთგზის სასტიკად გვაჯანჯლარა და ხშირად უფსკრულის პირას დაგვაყენა.

ასე გასინჯეთ, XII საუკუნეში დავით ალმაშენებლის დროს საქართველოს ტერიტორია 300000 კვ.კმ-ს მოიცავდა, დღეს კი საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია მხოლოდ 45000 კვ.კმ-ზე ვრცელდება, მეოცე საუკუნეს შევხვდით 111000 კვ.კმ-ით და ახეთ ბედის ირონიას, მარტო XX საუკუნეში 66000 კვ.კმ დავეარგეთ.

რასაკვირველია, არც XXI საუკუნე იძლევა მცირე ერების დამშვიდების და მათი სრული გადარჩენის გარანტიას.

ამიტომაც საჭიროა, გავისიგრძეგანოთ საქართველოს გადარჩენის მიზეზები და ჩვენი მომავალი ცხოვრება ავაგოთ ამ გამძლე საყრდენებთან ურთიერთობაზე.

ჩემი ფიქრით, საქართველოს ვერმოსპონბის საიდუმლო შემდეგმა ფაქტორმა განაპირობა.

პირველი: ეროვნული მდგრადობა. ქართველთა ეროვნული ცნობიერება ჩამოყალიბდა მტრულ გარემოცვაში, ამიტომაც ჩვენი წინაპრები თვალისწინივით უფრთხილებოდნენ ეროვნულ ატრიბუტიკას – ეროვნულ კუთვნილებას, ანუ ქართველობას, ქართულ წარმოშობას, ენას, ეროვნულ ცნობიერებას, ნაციონალურ ნიშან-თვისებებს, მართლმადიდებლობას, ეროვნულ ზნე-ჩვეულებებს და ტრადიციებს... ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ ნაციონალური სიწმინდე და „არ არეულიყვნენ ერსა უცხოსა“, მათ კარგად იცოდნენ, რომ ენის, ტერიტორიის თუ სარწმუნოების დათმობა ეროვნულ სიკედილს ნიშნავდა. ამიტომაც თავგამოდებით ებლაუჭებოდნენ, საუკუნეების განმავლობაში აწრთობდნენ და იფარავდნენ ქართულ ფენომენს.

საქართველოს სახელმწიფო ბრიობის, ეროვნული თვიმყოფადობის გაქრობის მოსურნე მტერმა ამ ბოლო დროს სწორედ იმ მხრიდან შემოვციტა, რომელი მხრიდანაც მეტ-ნაკლებად დაცული გვეგონა თავი.

ჯერ ჩვენს წმიდათაწმიდა ეკლესიას სექტანტები შეუსიეს და მცირედ მორწმუნეთა მოქრთამვა-გადაბირებას ათასი ბინძური ხერხით ცდილობენ. მერე, ეროვნულობის რეკვიზიტი ამოიღეს საბუთებიდან და ამით ეროვნება „ქართველის“ სამუდამო გაქრობა დააკანონეს.

დღეს ასეთი სურათია ეროვნული მეობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის ფრონტზე; საქართველოს ეროვნული ძალები (მათ შორის კათოლიკოს-პატრიარქი) დაბეჯითებით მოითხოვენ დაბადების მოწმობებში ეროვნულობის გრაფის აღდგენას. საეჭვო ეროვნული წარმოშობის, საეჭვო ფსიქიკის და უფრო საეჭვო განათლების „პოლიტიკოსები“ კი მაქინაციებით, ცილისწამებებით, უტიფრობით, გააფთრებით ებრძვიან, გონიერ საქართველოში ღრმად დამკვიდრებულ აზრს საქართველოს ეროვნების შენარჩუნების შესახებ. სამწუხაროდ ამ „ცრულეფორმატორებს“ მხარდამჭერნი პარლამენტშიც ჰყავთ. ახლახან „სახელმწიფო ენის კანონის“ შირმით გაუგონარი კანონი შემოგვთავაზეს. ამ კანონით, ქართული ენა საქართველოში ნახევრად სახელმწიფო ენა იქნება.

მეორე ფაქტორი, რამაც საქართველო გადაარჩინა, გახლავთ იმედის მძლე საყრდენები. ქართველი კაცი იმედს სასონარკვეთოლების ყველაზე მძიმე წუთებშიც არ კარგავდა. ჩვენი მცირერიცხოვნობის გამო ომებში, რა დასამალია, ხშირად ვმარცხდებოდით, იმპერიათა ურიცხვი ლაშქარი გვძლევდა, მაგრამ საქართველოს გონებაში ყოველთვის კიაფობდა მომხვდურისაგან თავის დაღწევის იმედი, ხოლო, როდესაც დამპყრობელი იმპერია ტორტმანს დაიწყებდა, საქართველოს ხმალს იშიშვლებდა და ასე გაიკაფავდა გზას თავისუფლების ყურეებისაკენ.

დიახ, ქართველ ერს ჰქონდა პერიოდები, როდესაც იგი მტერს თითქოსდა დროებით დაემორჩილებოდა, მაგრამ ეს იყო

მოსაჩვენებელი მორჩილება, ქართველის ბოლომდე მოტეხვა, ბოლომდე გათათრება ან გარუსება ვერ ხერხდებოდა ქართული ენის არაჩვეულებრივი სიძლიერის გამო.

მესამე „საიდუმლო“, რამაც ჩვენი ვერგაქრობა განაპირობა, გახლავთ იუმორის დიდი გრძნობა. ქართულ ფოლკლორში უამრავი მაგალითია სიდურჭირესთან, თუ გნებავთ, სიკვდილთანაც ქართველი კაცის შექილიკება-შეხუმრებისა. ჩვენი მაღალი უბოროტო იუმორის გრძნობა ეროვნული ხასიათის ის ნაწილია ქართველთა ოპტიმზმს რომ განაპირობებს.

გაუთავებელი, სულისდამლრღნელი სევდა, მუდმივი ვლოვა ქართული ხასიათის განმსაზღვრელი ტიპური თვისება არ არის. უდიდესი ისტორიული ტრაგედიები ქართველს იუმორის დიდმა ნიჭმაც გადაატანინა. იუმორმა იგი „ჭირსა შიგან“ გაამაგრა, ძალა და სიმხნევე შემატა. ფილოსოფოსებს კარგა ხანია დადგენილი აქვთ, რომ მსოფლიოში „გაუცინარი ტომებიც“ არსებობენ. განვითარების დაბალ დონეზე მყოფი ადამიანები თითქმის არ იცინიან. იუმორის მაღალი დონე ერის მაღალი ინტელექტის გამოვლინების დასტურია.

სამთაგან მთავარი მაინც, რამაც ჩვენი ეროვნული მდგრადობა, ჩვენი გადარჩენა განაპირობა, პატრიოტიზმია.

ქართულმა კულტურამ, ქართულმა ხელოვნებამ დიდებულად გამოხატა სამშობლოს სიყვარულის თემა (თვალსაჩინო მაგალთებად უამრავი ქართული ხალხური სიმღერა და ალეთში მდგარი მერაბ ბერძენიშვილის საოცარი ქანდაკება – „კიდევაც დაიზრდებიან“ – გამოდგება). მაგრამ ეს კეთილშობილური გრძნობა ყველაზე ნათლად ქართულ ლიტერატურაში აღიბეჭდა. ამიტომაცაა ქართველი მწერალი ერის სულიერი მებაირახტრე.

მსოფლიოს არაერთი ქვეყნის ლიტერატურის ისტორიის არაერთ სქელ წიგნს გავცნობივარ. სპეციალურად მიძებნია პატრიოტული მოტივის კვალი დასავლეთის თუ აღმოსავლეთის არაერთი ქვეყნის მწერლობაში, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ თითო-ოროლა მაგალითს თუ წავწყდომივარ. ქართული ლიტერატურის უპირველესი და მთავარი მოტივი კი პატრიოტული

მოტივი გახლავთ. ეს ფაქტი განაპირობა, უპირველეს ყოვლი-სა, ჩვენმა ეროვნულმა ძნელბედობამ, ხოლო ერს, რომელსაც ძვალ-რბილში გასჯდომია სამშობლოსათვის თავდადების წმი-დათანმიდა გრძნობა და, რომელსაც მამულს შენირული ამდენი სახელოვანი შვილი ჰყავს, სიკვდილი არ უწერია.

„სამშობლოს არვის წავართმევთ,  
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,  
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,  
მკვდარსაც კი გაეცინება,“ –

საუკუნეებს გასძახის პოეტი და ამ ერთ სტროფში აკუ-  
მულირებულია ქართული ხასიათი, სხვა ერებისადმი ჰუმანური  
დამოკიდებულებაც და მომხვდურთა წინააღმდეგ ბრძოლის  
მზადყოფნაც.

მხატვრული ლიტერატურისადმი გულგრილობის ამ ბოლო  
ათწლეულში შეინიშნება ერთგვარი აგდებული დამოკიდებულე-  
ბა პატრიოტული თემების მიმართ. მართალია, თანამედროვე  
ჭეშმარიტ ქართველ მწერალთა შემოქმედებაში პატრიოტული  
ნერვი დღესაც ძალუმად ფეთქავს, მაგრამ პათოლოგიური გონ-  
ება-გარეგნობის ზოგ „რეფორმატორს“ სამშობლოს სიყვარუ-  
ლის ლიტერატურული განსხეულება მწერლობის გუშინდელ  
დღედ მიაჩნია.

არის წყება და წყება პოეტებისა, პატრიოტულ ლექსებს რომ  
თითქმის აღარ წერენ, მარად დაჭიმული ქართული ეროვნული  
ნერვი ამგვარი ლიტერატორების გონებაში კარგა ხანია მოშვებ-  
ულია და რაღაც ყრუ, ამორფულ, არაქართულ ხმას გამოსცემს.

სკოლებში იშვიათზე იშვიათად ატარებენ ეროვნულ გმირთა  
გახსენების საღამოებს. ეროვნული დროშები დაწესებულებათა  
საწყობების კედლებსლა ამშვენებენ. და ამიტომაც შედეგმაც  
არ დააყოვნა: საქართველოში კარგა ხანია აღარ ისმის ძლევის  
ყიუინა, ახალგაზრდები დავითიფერულს თითქმის აღარ იზომე-  
ბენ წელზე და წართმეული ტერიტორიების დაბრუნება პოლი-  
ტიკურ მოლაპარაკებათა იმედზე დააგდეს.

სამშობლოს სიყვარული სახადი როდია, რომ შეგეყაროს და  
გარკვეული დროის შემდეგ განიკურნო.

სამშობლოს სიყვარული ის გრძნობაა, მარად რომ თან გახ-  
ლავს და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გატარებს დავით აღ-  
მაშენებლის, ცოტნე დადიანის, ილია ჭავჭავაძის მიერ ნაჩვენებ  
გზაზე.

აშკარაა, რომ ეს გრძნობა ცა და მიწასავით შორს არის ახ-  
ალი ჯურის უსამშობლო კოსმოპოლიტებისა და ვაირეფორმა-  
ტორთა გრძნობა-გონებისგან.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ყველაზე ძნელი და ტრაგი-  
კული საუკუნე საქართველოსთვის მეოცე საუკუნე იყო.

მეოცე საუკუნეში ორჯერ გადავიტანეთ ომი საუკუნის  
ყველაზე აგრძელებულ დამპყრობელთან – რუსეთთან.

ჯერ 1921 წლის თებერვალში არ გვაპატია რუსმა სამწლიანი,  
უდღეული დამოუკიდებლობა. მე-11 არმია შემოგვისია და წი-  
თელ იმპერიაში ყურით შეგვათრია.

მეორედ 1992 წელს მოინდომა ჩვენი სასტიკად დასჯა და-  
მოუკიდებლობის, თავისუფლების სურვილისათვის. ამჯერა-  
დაც ომის გამოუცხადებლად დაგვესხა თავს, დაგვამარცხა და,  
წაგვართვა რა აფხაზეთ-სამაჩაბლო, კვლავ მოინდომა (ამჯერად  
უკვე, ვინ იცის, რამდენი ხნით) საქართველოზე გაბატონება.

გამძვინვარებული მონსტრი ურჩ საქართველოს კბილებით  
გლეჯდა, ერთ საათში სამასი ათასი ქართველი გამოყარა აფ-  
ხაზეთიდან და კოდორ-ჭუბერის ტანჯვის გზაზე მიმავალთა  
დასახმარებლად წითელი ჯვრის ვერტმფრენებსაც არ მისცა  
უფლება განწირულთათვის, თუნდა მიწაზე დაუშვებლად, მედი-  
კამენტები მაინც მიეწოდებინათ. ასეთი ცინიზმით თვით პიტ-  
ლერელებსაც არ უსახელებიათ თავი.

ესეც არ იქმარა რუსმა, 1921 წელს უკვე ნაცადი მეთოდით,  
1993-ში საქართველოში სამოქალაქო ომი ააგორა.

ქვეყანა სისხლისგან იცლებოდა, საქართველოს სახელმწი-  
ფოს გაუქმებამდე და სრულ ქაოსამდე დღეები იყო დარჩენილი.

...და მაშინ დაჩიქებული საქართველო ყურით შეათრიეს რუ-

სეთის გავლენის სფეროში, წითელი იმპერიის კვალდაკვალ შე-  
ქმნილ სნგ-ში.

მეოცე საუკუნე უძნელესი ჩვენთვის მარტოოდენ რუსეთთან  
გადატანილი ორი ომის გამო არ ყოფილა.

ოთხმოცდაათიან წლებში დაიწყო მსოფლიოს ხელახალი  
გადანაწილება და საქართველო – სააღდგომო თეთრი კრავი,  
ორი იმპერიული მგლის – ამერიკისა და რუსეთის საომარ ველ-  
ზე ლამის ყველაზე გამოსაჩენ ადგილზე აღმოჩნდა დაბმული  
თავისი საბედისწერო გეოპოლიტიკის გამო.

რუსული დრაკონი საქართველოს ყოველ მოსახვევ-ჩქერში  
ახვედრებს ფაცერს და, მართლაც, რომ განსაცვიფრებელი ალ-  
ლოიანობა, უტყუარი გათვლა გვჭირდება, რომ თავი გადავირ-  
ჩინოთ.

„მეაბოხე გონების“ დიპლომატია საქართველოს ხელაღე-  
ბით მიაყენებდა ან რუსეთს, ან ამერიკის ყურესთან. პირველს  
ამერიკა არ გვაპატიებდა და დახმარების სასიცოცხლო უანგ-  
ბადს გადაგვიჭრიდა, მეორეს კი – რუსეთი და რასაც ნიშნავს  
რუსული დასჯა არაერთგზის გამოგვიცდია.

საქართველო ოცდამეერთე საუკუნეს დაპყრობილი, გალახ-  
ული, ეკონომიკურად დაუძლურებული, მგლოვიარე შეხვდა. გა-  
სულ საუკუნეში რუსეთის იმპერიამ ორჯერ დაგვიპყრო.

ჯერ იყო და ოქტომბრის რევოლუციის შედეგად სამწლიანი  
დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ (1918-20), მაგრამ წითელმა რუ-  
სეთმა ვერ აიტანა თავისუფალი საქართველო და მეთერთმეტე  
არმიით გადაუარა ჩვენს თვიმყობადობას.

როდესაც მეორედ შეტორტმანდა „ბოროტების იმპერია“,  
საქართველომ დრო იხელთა და თავისუფლების ნიავს შეუშვი-  
რა შებლი, მაგრამ ამჯერადაც ხანმოკლე აღმოჩნდა ჩვენი და-  
მოუკიდებლობა (1990-93).

თითქოსდა ისტორია განმეორდაო, ამჯერადაც, სწორედ  
რომ დამოუკიდებლობის სამწლიანი ციკლიდა დაგვაცალეს.

1992-93 წლების რუსეთ-საქართველოს ომში რუსეთმა სას-  
ტიკად დაგვამარცხა, ქვეყანას დაშლისა და განადგურების

საფრთხე შეუქმნა და ყელზეთოკემობმული ამჯერადაც ძალით  
შეაბრუნა იმპერიაში (სნგ-ში).

თუ 1921 წელს, კოჯორიდან, 25 თებერვალს თბილისში შე-  
მოსულმა ჯარმა თბილისის თავზე წითელი დროშა ააფრიალა  
და რუს წინამძღოლ კიროვს მხარს მაშინ ქართველი კაცი –  
ორჯონიკიძე „უმშვენებდა“, 1993 წლის 5 ოქტომბერს ფოთ-  
ში შემოსული მტრის ცხრა კრეისერიდან გადმოსული ტანკები  
დასავლეთ საქართველოს შემოესივნენ და სამწუხაროდ, ზუგ-  
დიდისაკენ დაძრულ გენერალ ბალტინის ტანკებში ქართული  
„ხელისუფლების“ ყურმოჭრილი წარმომადგენლებიც ისხდნენ.

მაშ ასე, პატარა საქართველომ ერთ საუკუნეში ირი ომი გა-  
დაიტანა მრისხანე და ძლიერ მეზობელთან – რუსეთთან.

შედეგი? საქართველოსთვის ფრიად სავალალო.

სწორედ საბედისწერო მეოცე საუკუნეში ჯერ ტაო-კლარ-  
ჯეთი აჩუქა რუსეთმა თურქეთს, მერე, გასაბჭოების შემდეგ,  
ლორე ჩამოგვაჭრა და სომხეთს გადასცა, საინგილო – აზერბაი-  
ჯანს, ხოლო სოჭის ოლქი თვით მიიმატა.

როცა სახლ-კარიდან გამოდევნილი ქართველნი კოდორ-ჭუ-  
ბერის ტანკების გზაზე მიირწეოდნენ, თოვდა და დედებს ჩვილე-  
ბი ხელში ეყინებოდათ. ამ დროს დამსჯელი რუსეთი იმდენად  
გულქვა აღმოჩნდა, რომ მან უფლება არ მისცა მსოფლიოს სა-  
მაშველო სამსახურებს, უბედურ ლტოლვილებს მიხმარებოდნენ.

უამრავი ქალ-ბავშვი ჩაიჩუმქრა თოვლში.

ზოგი ქარაფებიდან გადაეშვა და თვითმკვლელობით დაას-  
რულა სიცოცხლე.

მე ვიტერნი, ამ „პატივისცემას“ არასოდეს დაუვინწყებს რუ-  
სეთს საქართველოს ისტორიული მეხსიერება.

საქართველოს დამპყრობელი არ უკვირს.

ჩვენი ისტორია მითაუამიდან დღემდე საკუთარი მიწების  
დაცვისათვის ბრძოლის ისტორიაა.

გასაკვირი ის გახლავთ, რომ რუსეთმა საქართველოს მი-  
მართ ორივე საშინელი დანაშაული (1921, 1993) ჩაიდინა დღი-  
სით-მზისით, მთელი მსოფლიოს თვალწინ, ყოველგვარი პოლი-

ტიკური მოტივებისა და სინდისის ქენჯნის გარეშე, ხოლო მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი გულგრილი დარჩა საქართველოს სატკივრის მიმართ.

1921 წლის ოკუპაციის დროს „ერთა ლიგამ“ უპასუხოდ დატოვა საქართველოს თხოვნა და ჩვენი ემიგრანტი ხელისუფალი ამაღლ ატალახებდნენ ევროპისა თუ ამერიკის დიპლომატთა კაბინეტებს, საქართველოს გულისათვის თავი არავინ გამოიდო.

რუსეთის მიერ საქართველოს 1993 წლის დაპყრობის შემდეგ „მამაცმა შვიდეულმა“ (მსოფლიოს დიდ სახელმწიფოთა კავშირი) პირში წყალი ჩაიგუბა, საქართველოს დარიბი ნათესავივით ერთი შეჰვიმილა და აგრესორს სიტყვაც კი არ აკადრა საქართველოს ანექსიის გამო.

დროდადრო „გაერო“ წამოიკნავლებდა ორაზროვანი „რეზოლუციებით“. ხელისმომნერლებმაც მშვენივრად იცოდნენ, რომ იმ მკვრადშობილ რეზოლუციებს შესრულება არ ენერა და „უშიშროების საბჭო“ თავს სრულიადაც არ იწუხებდა საქართველოს მთლიანობის აღსადგენად.

მსოფლიოს პოლიტიკური ინსტიტუტების აღმაშფოთებელი გულგრილობა საქართველოს საკითხის მიმართ იქამდეც კი მივიდა, რომ 1996 წელს გაეროს წარმომადგენელმა, ვინმე ბრუნერმა, სეპარატისტთა თვითმარქევია ხელისუფლების მიერ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დანიშნული არჩევნები კანონიერად მიიჩნია. ამით საქართველოს უახლოეს მომავალში ლამის გადაუწურა რუსეთის მიერ წართმეული ტერიტორიების დაბრუნების იმედი.

საქართველოსთვის არც მსოფლიოს არგამოსარჩლებაა ახალი და საქართველო ამასაც ითმენს.

დრო მიდის, ბოროტება ბოლოს აუცილებლად მარცხდება. ადრე თუ გვიან რუსეთის იმპერია დაიშლება. საქართველოს პოლიტიკურ ცაზე მზე გამოანათებს და წართმეულ ტერიტორიებს დავიბრუნებთ.

ამ საუკუნის მეხთატებით დარეჯგვილი საქართველო ისევ ფეთქავს, განახევრებული და დაპყრობილი, მაგრამ, მტერთა სავალალოდ, თვითგადარჩენის საოცარი მუხტის მქონე.

ამ ბოლო დროს ამერიკამ გამოგვიწოდა დახმარების ხელი, „გაერომ“ როგორც იქნა გვალიარა დამოუკიდებელ ქვეყანად, თუმცა ახლა ჩვენ ვცხოვრობთ ისე, როგორც ორომგადატენილი, დამარცხებული, ნახევრადდამოკიდებული ქვეყანა.

მტერმა კარგად იცის, რომ ჩვენი დამარცხება-დაპყრობა გათელვით არ შეიძლება, ამიტომაც იგი ამ დროს იქედან-აც გვიტევს, საიდანაც არასოდს არც ერთ დამპყრობელს არ შემოუტევია.

როგორც ჩანს, რუსებმა კარგად გაგვიცნეს მათ მიერ საქართველოზე ბატონობის ორასი წლის განმავლობაში.

მტერს საქართველოს წინააღმდეგობის გატეხვა სურს ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაზე და ეროვნულ ფენომენზე შეტევით.

მოსკოვის საიდუმლო სამსახურები ადგილობრივი, მონური ფსიქოლოგის მქონე ქართველ მოქალაქეებზე და ხელისუფლების ზოგიერთ მარიონეტულ წარმომადგენელზე დაყრდნობით ქართველ ერში ნერგავენ არასრულფასოვნების სინდრომს. უკვე აშკარად გაისმის (თვითგვემის გუნებაზე მდგომი ზოგი „ერისკაცის“ პირიდანაც კი), რომ ქართველები უშრომელ შემოსავალზე გადაგებული, ომის არამცოდნე, ძმათა მკვლელი და განდიდების მანიით შეპყრობილი ერი ვართ რომ ჩვენს არსებაში ძალუმად ფეთქავს ხელისუფლებისაკენ სწრაფვის, სკამების მოპოვების ნერვი, რომ არ გაგვაჩნია ერთ ძალად შეკვრის, გაერთიანების ნიჭი და ამდენად, დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების ხელოვნებაც უცხოა ჩვენთვის.

არასრულფასოვნების სინდრომის გაღვივება მიმართულია ერთი მიზნისაკენ: სურთ ჩასძახონ საქართველოს, რომ ამაღლ ეძიებს თავისუფლებას, რადგანაც რუსეთისგან განცალკევებით მას არსებობა არ შეუძლია, რომ დამოუკიდებელი საქართველო ვერ იარსებებს, მას ქართული გენიდან გამომდინარე, ან შინაომები მოულებენ ბოლოს, ან მუსულმანი მეზობლები გასრესენ.

მართალია, რუსეთს საქართველოს დამონების სხვა საშუალებებიც მოეპოვება თავის არსენალში (საქართველოს ტერი-

ტორიაზე სამხედრო ბაზების შექმნა, ეროვნული ჯარის სრულყოფაზე კონტროლი, ახალგაზრდობაში დროისტარებისა და უდარდელობის განწყობილებისთვის ხელშეწყობა, ნარკოტიკების შემოტანა...), მაგრამ ძნელი მისახვედრი როდია, რომ ამ „მშვიდობიან დროს ქართველ ერზე მტრის შეტევის გენერალური მიმართულება ქართულ ფენომენზე გადის.

„ფენომენი“ ბერძნული სიტყვაა და იშვიათ, უჩვეულო, განსაკუთრებულ მოვლენას ნიშნავს. ქართული ფენომენი კი პირობითი სამუშაო ტერმინი გახლავთ და იმ განსაკუთრებით ხაზგასასმელი ნიშან-თვისებების ერთობლიობაა, რაც ქართველი ერის არსებობაში მუდავნდება. ამრიგად, ქართული ფენომენი ურთულესი ცნებაა და მოიცავს ქართველი ერის თვითმყობად ბუნებას, განსხეულებულს კულტურის, ისტორიის, პოლიტიკის თუ კონომიკის სფეროებში. რა თქმა უნდა, ცივილიზებულ სამყაროში ეროვნული ნიშან-თვისებები მეტ-ნაკლებად ყველა კულტურული ერის საკუთრებაა, რაკიდა ინფორმაციის საშუალებათა ფოილვერკის გამო მსოფლიო საგრძნობლად „დაპატარავდა“, მაგრამ კულტურათა შორის შუასაუკუნეობრივი ღობეების მოშლამ ამა თუ იმ ერის მიერ საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული განმტკიცებული ნიშნები ვერ წაშალა. ყველა ისტორიულ ხალხს თავისი „სახე“ ჯერ კიდევ შემორჩა და ამაშიცაა მსოფლიოს მშვენიერების საიდუმლო სიმპტომები, რომებსაც ქვემოთ ჩამოვთვლით, განა სხვა ერებს არ ახასიათებთ, მაგრამ ქართულ ფენომენად იმიტომ მივიჩნევთ, რომ საუკუნეებმა ამ თვისებებს ქართული ელფერი შესძინა, ქართულის ხასიათმა თავისებური გზასადენი მისცა, ან ქართველების ყოფაში მომეტებულად თვალშისაცემად იგრძნობა და იცნობა ეს ეროვნული აქსესუარები.

ქართული ფენომენის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორედ დღეს, როცა საქართველო თავისი ისტორიის უმძიმეს დღეებს განიცდის, როცა ჩვენ ლამის საბედისწერო მოსახვეთან ვდგავართ, საჭიროა ქართველს სწორი წარმოდგენა შევუქმნათ თავის თავზე, გავამხნევოთ და სიამაყის გრძნობა

დავუბრუნოთ, დავანახოთ ღირსებაცა და ნაკლიც, რათა, თავის ძალებში დარწმუნებულმა, თამამად გააბიჯოს ისტორიის უსიერ ტევრში.

მსოფლიოს ცაზე ათასწლეულთა განმავლობაში ეპოქის ულმობელმა გრიგალებმა გადაიქროლეს და თან წარიტანეს მსოფლიო ცივილიზაციის აკვნის დამრწევი ერები.

სამშობლოობის გრძნობა ქართველს, ლამის ინსტინქტივით, დედის მუცლიდან დაჰყვება. მთელი ჩვენი ისტორია და ლიტერატურა პატრიოტიზმზე, მშობლიური მიწის დაცვის ნიჭიერა აგებული და, სწორედ, რომ გარეშე მტრებთან უთანასწორო ბრძოლის ეპიზოდებითაა სავსე. მამულისათვის ბრძოლის ისტორიას ოქროს ასოებით შერჩნენ დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ცოტნე დადიანის, გიორგი სააკაძის, ერეკლე მეფის, მღვდელი თევდორეს, სამასი არაგველის, დემეტრე თავდადებულის, ცხრა ძმა ხერხეულიძისა და სხვა წამებულთა წმინდა სახელები.

სამშობლოსთვის თავდადების გრძნობა წამითაც რომ არ ჩამქრალა ქართველ კაცები და რომ ამ თვალაზრისით ქართული გენი ერთნაირი და მონოლითურია, ახლახან რუსეთ-საქართველოს ომშიც დამტკიცდა. ოცდაათიათასმა მოტყუებით განიარაღებულმა ჭაბუქმა უკანასკნელ სისხლის წვეთამადე იბრძლა რუსის კომპიუტერული ტანკების წინააღმდეგ, ხოლო ექიმმა გია აბესაძემ ინსპირირებულ სამოქალაქო ომში ძმათა შერიგებისთვის თავი დაიწვა და ამით უკვდავების შარავანდედით შეიმოსა.

საუკუნეების განმავლობაში დაპყრობილი იყო საქართველო. იგი მსოფლიოს უდიდეს იმპერიათა სათარეშოდ იყო ქცეული, მაგრამ ქართველი ხალხი მონობას ერთი დღითაც არ შეგუებია. თავისუფლებისა და მტრისათვის სამაგიეროს გადახდის ცეცხლი არასოდეს ჩამქრალა ჩვენს გულში. ამიტომაც ვერ გვიმორჩილებდა ბოლომდე მტერი თავს ვერ გვახვევდა თავის ნებას. ჩვენს ეროვნულ ატრიბუტებს თავგანნირულად ვებლაუჭებოდით და თავდახსნისათვის ისტორიის ხელსაყრელ მომენტებს ვეძებდით.

რუსეთმა მის მიერ დაპყრობილ ხალხთა უმეტესობას მზაკვრული პოლიტიკით თავს მოახვია თავისი ენა და კულტურა.

საბჭოთა იმპერიის არსებობის სამოცდაათი წლის მანძილზე ლამის გაარუსა „მოძმე რესპუბლიკები“, საქართველო კი გარუსების მოსკოვურ ტალღას არა და არ აჰყვა. ქართულის სახელმწიფო ენად გაუქმების პროექტს რუსთაველის პროსპექტზე ასიათასიანი დემონსტრაციით უპასუხა და ამ იმპერიის შტაბი იძულებული გახდა, უკან დაეხია.

დღეს ძალუმად ფეთქავს ქართული გენი ულმობელი მტრების მიერ წაგვრილ ჩვენს მიწებზე: ტაო-კლარჯეთში, სოჭის ოლქში, ლორესა და საინგილოში, ქართველობა, როგორც სისხლის ყივილი, წამითაც არ გამქრალა იქ მცხოვრებთა შორის და მრავალტანჯული ადამიანები მოთმინებით შესცერიან ისტორიის უამთა სვლას. რათა საქართველოს კვლავ დაუბრუნდეს მოჭრილი ძუძუ.

გმირობის სასწაულებს სჩადიოდნენ ქართველი მხედრები მომხდურთა წინააღმდეგ ბრძოლაში, დიდგორის ომში სამოცდაათათასიანი ლაშქრით დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჯუკთა თითქმის ნახევარმილონიანი ჯარი დაამარცხა. მტრისთვის ზურგის ჩვენება, დალატი საშვილიშვილო სირცხვილად ითვლებოდა. ხალხური მოლექსე მოუწოდებდა არაგვს. ლაფით „გამასპინძლებოდა“ გამოქცეულს: „თუ ვინმე გამოქცეული, ურცხვად მოადგეს შენს კიდეს, ლაფი აჭამე შერცხვენილს, რომ სახლში ვეღარ მივიდეს...“

„ჩვენ გამოვიქეცით სოხუმიდან, ომი არ შეგვძლებია, ჩვენ დამარცხებული ერი ვართ!“ ჩასძახიან დღეს ქართველობას მოსკოვის მიერ დადგმული ოსპის წვენის ჯამებსმიმსხდარი, სულგაყიდული პოლიტიკოსები და ამით სურთ (დაუინებით ვიმეორებ) ერში არასრულფასოვნების, ომის უმეცრობის სინდრომი გააღვივონ, რათა საქართველო რუსეთის მორჩილ რესპუბლიკად გადააკეთონ.

მარიონეტი პოლიტიკოსები „დავალებას“ ვერ შეასრულებენ, საქართველომ კარგად იცის, რომ ჩვენი შვილები უკანასკნელ ომშიც მამაცურად იბრძოდნენ, რომ ჩვენ დავმარცხდით არა ერთი მუჭა აფსუების არარსებულ ჯართან, არამედ – ორასმილ-

იონიანი რუსეთის კბილებამდე შეიარღებულ მხედრობასთან, რომ დიდგორის ომში ქართულ მხედრობას დავით აღმაშენებლი წინამძღოლობდა, ხოლო რუსეთის წინააღმდეგ აფხაზეთის ომში ქართველ მოხალისეთა ლაშქარს საკუთარი შვილების გადამალავი. ომის ელემენტარული კანონების არამცოდნე, მტერთან წინასწარგარიგებული და კორუმპირებული მარშლები და გენერლები სარდლობდნენ.

სამშობლოს დაცვის ძვალ-რბილში გამჯდარი ნიჭისა და მტრისადმი შეუპოვრობის გარდა ქართული ფენომენი რაინდობას და მიმტევებლობასაც გულსხმობს. მსოფლიოში ცნობილია ჩვენი უკიდეგანო სიკეთე და ტოლერანტობა. „ოდეს მტერსა მოერიო, ნულარ მოჰკულავ დააყოვნე!“ რვაასი წელია მოგვახის რუსთაველი და განა „ვეფხისა და მოყმის ბალადა“ ან ვაუას „სატუმარ-მასპინძელი“ მტრის დანდობისა, შეწყალების უკვდავი შეგონებით არ არის გაუღენთილი?

ქართველის ხასიათში არ არის სისასტიკე და ველური შეუბრალებლობა. ჩვენი ომების ისტორიაში ვერ ნახავთ მაგალითს, ქართველს მტრის ჩვილი აკვანში ჩაეკლას, ან ტყვის მაჯა გადაეხსნას და სისხლი დაელიოს, ან მის წინააღმდეგ მებრძოლი ბიჭების თავებით ფეხბურთი ეთამაშოს, როგორც ეს აფსუა ნაძირალებმა გააკეთეს. წაქცეულს არ დავკრავდით და ღირსეულ მტერს მარჯვენას არ მოვჭრიდით, თუმცა ამის მაგალითიც არაერთი გვქონდა, შენდობილმა მტერმა რომ გვიმუხთლა და ზურგში ხანჯალი ჩაგვცა. სისასტიკე ულმობელმა ისტორიამაც ვერ აქცია ქართული ხასიათის ნიშნად.

ტოლენრანტობა ვახსენეთ და აქვე უნდა გავუსვათ ხაზი ქართულ ფენომენად ქცეულ ჩვენს ათასწლოვან დიპლომატიას. დიახაც რომ უნიკალურია ამ მხრივ ქართველ მეფეთა გამოცდილება. მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის, მრავალეროვანი სახელმწიფოს შეუმცდარად მართვის დიდებული სკოლა შექმნეს ბაგრატიონებმა. კაცმა რომ თქვას, დავით აღმაშენებლის, თამარისა და ბაგრატ მესამის ხელმწიფურ ხელოვნებას მსოფლიოს დიპლომატიურ სკოლებში უნდა ასწავლიდნენ.

რა სასაცილოდ გამოიყურება დღეს ქართველი „დიპლომატი-ის სასახლო ტრადიციებთან შედარებით ქართული მსოფლიო პოლიტიკოსების უდღეული „მოღვაწეობა“. ჯერ იყო და ოთხ-მოცდაათიანი წლების დასაწყისში, დამოუკიდებლობის ნიავმარომ დაგვქროლა, გაყოყოჩიდნენ და ერთდროულად გამოუყვეს ენა, პოლიტიკური ბრანჩი უჩვენეს ვერაგ რუსეთსაც, ტურა-მელა ჩრდილოეთ კავკასიელ მეზობლებსაც და ამერიკასაც. მერე, ე. ნ. სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, საბედისწერო ომი გამართეს, ახლა ყოვლად გაურკვეველ, სუმბურულ პოლიტიკას ადგანან. ხან მოთმინების ფიალა აევსებათ და რუსეთს ბრალს სდებენ, შუამავლად არ ვარგიხარო (განა თვითონვე არ მოიწვიეს რუსეთი? თვითვე არ შეიყვანეს ერთპიროვნული გადაწყვეტილებით საქართველო სნგ-ში?), მეორე დღეს თავიანთი „გაბედულებისა“ თვითონვე შეეშინდათ და თავზე ნაცარს იყრიან – ყველა პრობლემის გასაღები მოსკოვში დევსო. დავით აღმაშენებელმა კი შესანიშნავად უწყოდა ისტორიული მომენტის შერჩევის ხელოვნება, იცოდა, სადაც სიტყვა ვერ ჭრიდა, ხმალს უნდა გაეჭრა. მან სწორედ მაშინ დაჰკრა მტერს და გააგდებინა თბილისი, როცა თბილისი დაუძლურებული იყო. ჩვენ კი პირველი მოვყევით რუსეთის იმპერიის ნანგრევებში. ნუთუ დავით აღმაშენებლისეული სიბრძნე მეზობლებთან ურთიერთობისა, არაფერში უნდა გამოდგომდათ ჩვენს უნიგნურ, არაპროფესიონალ პოლიტკოსებს?

ქართული ფენომენი ჩვენს ისეთ ზნე-ჩვეულებებშიც და ტრადიციებშიც აშკარად ჩანს, როგორიცაა სტუმარ-მასპინძლობა, მეგობრობა და ძმადნაფიცობა, ან ქალისადმი მოწინება და რაინდული პატივისცემა.

სტუმარი ღვთისაო, გაიგონებთ საქართველოში და დღესაც, უკიდურესი ეკონომიკური სიდუხჭირის ვითარებაში, ქართველი უკანასკნელ პერანგს გაჰყიდის, რათა სტუმარს ღირსეულად დახვდეს. განა შემთხვევით დაიბადა ხალხური ლექსი:

ჩვენი გოგიტა – ქართველი  
ახილებული კაცია,  
შიმშილით კუჭი უხმება  
სტუმარს დაუკლა ვაცია.

მმად გაფიცვის, ძუძუმტეობის, ფიც-ვერცხლის ჭამის, მორდუბის, სისხლით განდობის, ძუძუზე კბილის დაჭერით დაძმობილების უძველესი ტრადიციები ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე აკავშირებდა, ანათესავებდა ადამიანებს ჩვენში და ურთიერთგატანის, ურთიერთისთვის თავდადების გრძნობით გამსჭვალავდა.

დედაკაცისადმი როგორც სიცოცხლის საწყისისადმი, დედისა და ქალისადმი ქართველი კაცის რაინდული დამოკიდებულება ცალკე შესწავლის ღირსია. საქართველო ხომ ის ქვეყანაა, სადაც მარჩენალ მინასაც დედამინას ეძახიან და არასოდეს არ ილახებოდა ქალის უფლებები. ჩვენში ქალთა ემანსიპაციაზე ლაპარაკიც კი სასაცილო იყო ყოველთვის თუნდაც იმიტომ, რომ შუა საუკუნეების მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველებმა გავამეფეთ ქალი (თამარი) და მამაკაცის გვერდით ქალის შესაძლებლობათა განვითარების სწორედ ჩვენეული მეთოდის წყალობაა, რომ მსოფლიოში დღეს ქართველი ქალის ფენომენი არსებობს და ქართველი მანდილოსნები აიძულებენ მსოფლიოს, ამ ფენომენს (თუნდაც ჭადრაკში გამოვლენილს) ანგარიში გაუწიონ.

ქართული ფენომენი მუღავნდება აგრეთვე ქართველი კაცის საოცრად პოეტურ და რომანტიკულ ბუნებაში, ხელოვნებისადმი უდიდეს სიყვარულში, ჩვენ მომღერალი და მოლექსე ერი ვართ. საქართველოში კაზმული სიტყვა, ლექსთა თქმა, შაირობა, კაფიობა საუკუნეთა განმავლობაში ეროვნული ტრადიციის დონეზე იყო და სწორედ ამის წყალობაა, რომ თავი გამოვიჩინეთ „ერის დიდებისა და ღირსების გამომხატველ“ (ილია) ამ სფეროში სწორუპოვარი ქართული ფოლკლორით და იგავმიუწვდომელი კლასიკური მწერლობით. მარტო იმის აღნიშვნა კმარა, რომ მეხუთე საუკუნიდან რომანებს ვწერდით, ხოლო მეთორმეტე და მეოცე საუკუნეებში მსოფლიოს მივეცით თავისი დროის ორი უდიდესი პოეტი-მოაზროვნე შოთა რუსთაველი და გალაკტიონ ტაბიძე. ჩვენი ბიბლია, ქართველთა ეროვნული პასპორტი, სწორედ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ გახლავთ.

ახლა ხელოვნების სხვა დარგებს ჩავხედოთ. განა ქართული ფენომენის კამკამა ფაქტი არ გახლავთ ქართული მუსიკა? მსოფლიოს ხალხთა დიდ ნაწილს ხალხური სიმღერა საერთოდ არ გააჩნია, საქართველოში კი ბაგეს გახსნი თუ არა, ერთბაშად მოაწყდება სმენას ათასამდე უპრეცინვალესი ხალხური სიმღერა. დავუმატოთ ამას გენიალური ქართული ხუროთმოძღვრება. როცა რუსეთის იმპერიაში შევდიოდით, ტურისტულ ბუკლეტებში შავით თეთრზე ეწერა – მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 35 ათასი მატერიალური კულტურის ძეგლია და აქედან 28 ათასი საქართველოს ტერიტორიაზეაო. მსოფლიო ხუროთმოძღვრების ძევირფას ძეგლებად ნათობენ საქართველოში გელათი, სვეტიცხოველი, გრემი, ალავერდი, ნიკორწმინდა, კვეტარა, ვარძია, უფლისციხე, გარეჯი... განა ქართულ ფენომენზე სერიოზული საუბრის საბაბს არ იძლევა ცეცხლოვანი ქართული ცეკვა, ქართული ფერწრა, თვიმყოფადი ქართული თეატრი, საოპერო თუ კინოხელოვნება?

„ქართულს ქართველისდარად სრულყოფილად ვერავინ იცეკვებს. რასასა არ ეყოფა“, – წერდა გრიგოლ რობაქიძე და ეროვნულ ამბიციურობაში ან ურაპატრიოტობაში ნურავინ ჩაუთვლის გრიგოლ რობაქიძეს იმ გარემოებას, რომ ამ ჭეშმარიტმა ესთეტიმა და ფილოსოფოსმა მთელი თავისი სიცოცხლე ქართული გენის განსაკუთრებულობის, ქართული ფენომენის სიდიადის დამტკიცებას შეალია.

ქართული ფენომენი მულავნდება ჩვენს უძველეს რაფინირებულ ენამეტყველებაში.

ქართული ენა მსოფლიოს უმდიდრეს ენათა რიგს მიეკუთვნებოდა. ჩვენს განმარტებით ლექსიკონში ასორმოცდათორმეტ ათასამდე სიტყვაა შეტანილი, მაშინ, როცა მსფლიოში არსებობენ ხალხები, რომელთა სიტყვების რაოდენობა ექვსასს არ შორდება. არც მოქნილობით და ტკბილხმოვანებით დაუდებს ტოლს ქართული ენა მსოფლიოს სხვა ენებს. ბევრი ქართული სიტყვა თვით მოვლენის ფონეტიკურ-მუსიკალური ხატია (მაგ. „გრგვინვა“, „ჩურჩული“, „ბრძანება“...), რაც ენის უძველესო-

ბასა და პირველყოფილებაზე მიუთითებს. ქართული ენა ქართველ კაცთან ერთად დაიბადა და მის მიერ იხვენებოდა ათასეული წლების განმავლობაში. მარტო ის რად ღირს, რომ სიტყვა „გულთან“ დაკავშირებით სამასამდე იდიომი გვაქვს ქართულში და ჩვენს ენას გვირგვინად ადგას მსოფლიოს თოთხმეტი ანბინიდან ერთ-ერთი ულამაზესი, გრაფიკულად უაღრესად სრულყოფილი ქართული ანბანი.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ქართული ფენომენის კიდევ ორ გამოხატულებას, რბილ, კაცთმოყვარე ქართულ იუმორს და ქართული სუფრის ტრადიციას, ანუ თამადობის ინსტიტუტს.

იუმორის გრძნობა ერის ინტელექტუალური დონის მაჩვენებელია და ქართული ხალხური იუმორი თუ ჩვენი მწერლობის არაერთი ბრწყინვალე ძეგლი (მარტო სულხან-საბა-ორბელიანი და დავით კლდიაშვილი რად ღირს) გახლავთ ის უტყუარი დასტური, რომ ქართველ კაცს იუმორი უმძიმეს წუთებში არ ტოვებდა და იქნებ იუმორის თვისებაც იყო ის ძალა, ჩვენს ხალხს საუკუნეთა ავ დგანდგარში რომ გააძლებინა.

სამაგალითოა ქართული სუფრის წეს-რიტუალიც. თამადობა სუფთა ქართული ფენომენია და დედამიწაზე ტრადიციულად მხოლოდ ქართულ სუფრას ახასიათებს.

მხედველობაში ნუ მივიღებთ გაჭიანურებული სუფრის ზოგიერთ გაუკულმართებულ ნიშანს და შევხედოთ ქართულ სუფრას, როგორც გონივრული სჯა-ბაასის, ურთიერთობის გარკვევის, ჭეშმარიტი ლხენის, სიმღერა-ცეკვის, მოსწრებული სიტყვა-თქმების, კლასიკურ სამშობლოში – საქართველოში ამ ღვთიური სითხის მოხმარებაც ზომიერად და ლაზათიანად იცოდნენ. ქართველი კაცი მთვრალ-გამობრუებული იშვიათად დგებოდა სუფრიდან. გამოცდილი თამადა სუფრაზე ურთიერთნდობის, ურთიერთგაგების სასიამოვნო ატმოსფეროს ჰქმნის, ყველას თვისას მიაგებს. ადლეგრძელებს სუფრის წევრებს და გარდა იმისა, რომ დაახასიათებს თითოეულ მათგანს – სამომავლოდაც დალოცავს და სიკეთეს, მიზნის შესრულებას უსურვებს. სუფრაზე საუბრობენ სამშობლოს ბედზე, იხსენებენ მშობლებს,

ადლეგრძელებენ დედმამიშვილს და მეგობრებს. არც გარდა-  
სულნი ავინწყდებათ, ასე რომ, ქართული სუფრა უბრალოდ ტრა-  
პეზი, პურობა კი არ არის, არამედ მთელი აკადემიაა და სუფ-  
რის წევრები ერთმანეთს კარგად გაცნობილ-დაახლოებულნი,  
ხშირად ერთი ფიქრით, ერთი მიზნით გამჭვალულნი შორდებიან  
და ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისათვის ეს ცოტას როდი  
ნიშნავს.

ქართულ ფენომენზე შეტევა გრძელდება.

მტერმა ერის მნიშვნელოვან ნაწილს ეროვნული ატრიბ-  
უტებისადმი გრძნობა მოუსპო.

მისხალ-მისხალ დაგეგმილი ოპერაციებით ქვეყანა კლდეზე  
გადაჩეხეს და მერე მაშველ ბაგირთა გადაგდების ილუზიით,  
მოჩვენებითი სტაბილიზაციით დაარწმუნეს ჩვენი თანამემამუ-  
ლენი, რომ პროვინციული ფაშიზმია ეროვნული ფენომენის გა-  
ძლიერებისათვის, ერის თვითმყოფადობისთვის, დამოუკიდე-  
ბლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლა.

ყბად აიღეს, დასცინეს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძ-  
რაობას და მისი ბელადები ფიზიკურად გაანადგურეს.

გაუთავებელი მასობრივი ზეიმებით, კაფე-ბარების და სამე-  
ჯლისო შოუდარბაზების ქსელით, აგრეთვე, ნარკობიზნესის ფა-  
რული წახალისებით მიაღწიეს, ახალგაზრდების დიდი ნაწილი  
ეროვნული საფიქრალისთვის მოეცილებინათ და განზე გაეყვა-  
ნათ. შექმნეს პოლიტიკისადმი (ე.ი. სამშობლოს ბედისადმი) ინ-  
დიფერენტულად განწყობილი ახალგაზრდა თაობა.

გართობის ნირვანაში მოტყუებით შეცურებული ახალგაზ-  
რდები ადრე თუ გვიან გონს მოეგებიან, მაგრამ უკვე გვიან  
იქნება.

ქართველს პასპორტში ეროვნულობის აღმნიშვნელი გრაფა  
წაუშალეს, ქართულ მინაზე უცხოენოვან სასწავლებლებს და  
კოლეჯებს ხსნიან, ეკონომიკური სიდუხჭირის ბადეში ჰევევენ  
ადამიანებს და აიძულებენ სამშობლოს დატოვებას.

ლამის მილიონამე მცხოვრები გაიქცა ოთხმილიონიანი საქა-  
რთველოდან. ბევრი მათგანი ჰოლანდიის ნარკომანთა საკონ-

ცენტრაციო ბანაკში ათენ-აღამებს, ბევრნი მეძავობის და დღი-  
ური ლუკმისათვის ათასგვარი დამამცირებელი საქმისათვის  
გასწირეს. ემიგრირებული ახალგაზრდობის ერთი ნაწილი აღ-  
ფონსობით ირჩენს თავს, ზოგი, თურმე, ჰომოსექსუალისტთა  
კლუბებში ზის და კლიენტს ელოდება.

საქართველოში კი, გამესამედებულ, დაჩოქებულ, მშიერი  
ლტოლვილებით სავსე საქართველოში, დღედაღამ ზემი-კონ-  
ცერტებს მართავენ, რათა სანახაობის დაფდაფებით ამოავსონ  
ადამიანის სული.

საქართველო მაშინ დაინყებს კვდომას, როცა ეროვნულ  
ფენომენს მოუშლიან.

ამიტომაც, ახლა, როგორც არასოდეს, ჩვენი ვალია ერის  
გაღვიძების ზარები ვრეკოთ მკლავების დაწყვეტამდე.

ზიზლი უნდა გამოვუცხადოთ ქართველთა განსაკუთრებუ-  
ლობის ირონიით შემყურე და ქართველთა უეჭველ ლირსებებზე  
მოქირქილე ყველა დილეტანტს და ქვეგამხედვარე „მოყვარეს“.

ქართველი მწერალი ყოვლის ღონისძიებით უნდა ეცადოს,  
ქართველ კაცს თავისი ისტორიული მისია მოაგონოს, მის  
ლირსება-ნაკლოვანებებზე სწორი წარმოდგენა შეუქმნას და  
ამით „სიძნელე გზისა გაუადვილოს“.

ამ სტრიქონების ავტორი მადლიერებით აღიქვამს ამერიკის  
მიერ საქართველოს დასახმარებლად გადმოდგმულ ნაბიჯებს.  
მაგრამ თუ ამერიკისგან ჩვენი უსაფრთხოების რაიმე გარანტი  
არ გვექნება, თუ ამერიკა არ აამუშავებს საქართველოს და-  
საცავად რუსეთზე ზემოქმედების პოლიტიკურ-ეკონომიკურ  
ბერკეტებს და მხოლოდ ინსტრუქტაჟის დონეზე დარჩება, შეი-  
ძლება, რუსმა ავად მოიქნიოს კუდი საქართველოში.

ნაბიჯ-ნაბიჯ, დინჯად, „მძიმე-მძიმედ“ (როგორც კახელები  
იტყვიან) უნდა ვაშენოთ ჩვენი სახელმწიფოებრიობა.

განვითარებული პოლიტიკით იმდენს უნდა მივაღწიოთ, რომ  
მსოფლიოს ვჭირდებოდეთ, ეკონომიკური და პოლიტიკური ფუნ-  
ქცია უნდა მოვიპოვოთ, ზესახელმწიფოები ანგარიშს უნდა გვი-  
ნევდნენ, ჩვენი ხმა კნუტის კნავილად კი არა, ლომის (თუნდაც

ლომის ბოკვერის) ბუხუნად უნდა ჩაესმოდეთ, მაშინ სხვა თვალით შემოგხედავენ და ჩვენს გასაჭიროსაც გაისიგრძევანებენ.

წართმეული მიწების დაბრუნებაზე ეს ჩვენი რუდუნება კი მსოფლიოს ჯერ აქტუალურ პრობლემად არ მიაჩნია.

ლამის ერთადერთი დარგი ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნებისა, რომელსაც ეროვნული ფენომენის დაცვა თავის უპირველეს საქმედ უქცევია და არჩაბინების, „არგათეთრების“ ძახილით ნიადაგ უყივის ერს – ქართული მწერლობა გახლავთ. მაშინ როცა გლობალიზაციის ყვითელი სენი უმოწყალოდ ნთქავს პატარა ერებსა და მათ კულტურებს, როცა ხელისუფლების არაერთი წარმომადგენელიც ურცხვად მხარს უბამს „ამერიკანიზმის“ სტომაქში საქართველოს ათქვეფის ტენდენციებს, ჭეშმარიტი ქართველი მწერლები დიახაც დინების საპირისპიროდ, ფარზე აღმართულან და ქვეყნის სიფხიზლის საგუშაგოზე თვალმოუხუჭავად დგანან.

ქართული ფენომენის დაცვის შთამბეჭდავი მაგალითებია სულ ახალახან, სწორედ ოცდამეერთე საუკუნეში შექმნილი ლადო მრელაშვილის, „და შექმნა ღმერთმა კაცი“, ოთარ ჩხეიძის „2001“, ჭაბუა ამირეჯიბის „გიორგი ბრწყინვალე“, ოთარ ჭილაძის, რეზო ჭეშვილის, რევაზ მიშველაძის, ნუგზარ შატაიძის, მაყვალა გონაშვილის, გოჩა ხარანაულის და სხვათა რომანები, მოთხოვნები და ლექსები.

## თავი მეორე

### თანამედროვე მცენალი ეროვნულ ფასვაბთან

მეოცე საუკუნემ – პარადოქსების ასწლეულმა, ანუ როგორც ხშირად უწოდებენ „გარდამავალმა საუკუნემ“ ქართველ მწერლობასაც ელფერი შეუცვალა. შეხედულებათა გადაფასების, რევოლუციების, მსოფლიო ომების ეპოქამ ლიტერატურის წიაღში დაბადა ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული სკოლები („აკადემიური ასოციაცია“, „ცისფერყანწელები“...). ახალი სული შთაბერა კლასიკურ ლიტერატურულ უანრებს (ზოგი მათგანი დავიწყების წიაღში მოისროლა), თავისუფალი ლიტერატურა მოათავსეს სოციალისტური რეალიზმის პროექტებს სარეცელზე, მაგრამ ამ ურთულეს ვითარებაში ქართული მწერლობის მაგისტრალური ხაზი – მამულის თავისუფლების, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და ქრისტეს რჯულისამი ერთგულების („ენა-მამული-სარწმუნოება“) სულისკვეთება უცვლელი დარჩა.

მიუხედავად იმისა, რომ 1924 წლის შემდეგ ოფიციალურმა ხელისუფლებამ საქართველო უნაპირო ინტერნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის ბურუსში გაახვია, მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური რეჟიმის პირობებში, არათუ საქართველოს დამოუკიდებლობაზე, ქართული ენის დაცვისა და რელიგიური რწმენისადმი ერთგულებაზე საუბარიც საშიში იყო, ქართველი მწერლები მაინც ახერხებდნენ ზოგჯერ აშკარად, ზოგჯერ კი შეფარვითა და გადატანით გამოხმაურებოდნენ ცურტაველის, რუსთაველის, სულხან-საბას, გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის წმიდათამიდა იდეებს.

თემატურ-პრობლემურად ქართული პროზის ეროვნული ტრადიციების უშუალო გაგრძელებას წარმოადნენ დავით კლდიაშვილის მოთხოვნები და მოგონებანი, კონსტანტინე გამსახურდიას („დიდოსტატის მარჯვენა“, „დავით ალმაშენებელი“, „ზარები გრიგალში“), შიო არაგვისპირელის („მინა“), გრიგოლ რობაქიძის („გველის პერანგი“), შალვა დადიანის („გიორგი რუსი“), ჭოლა ლომთათიძის („უბის წიგნაკიდან“), ნიკო ლორთქ-

იფანიძის („გული“, „უამთა სიავე“, „იყიდება საქართველო“), ვა-სილ ბარნოვის („ტრფობა წამებული“, „მიმქრალი შარავანდედი“, „განგების რკალში“), მიხეილ ჯავახიშვილის („ჯაყოს ხიზნები“, „გივი შადური“, „თეთრი საყელო“, „ლამბალო და ყაშა“), ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“) და შემდგომ თაობათა არაერთი მარ-თალი, პატრიოტი მწერლის ქმნილებანი.

ქართულ მწერლობას საქართველოს დამოუკიდებლობის ფა-რული ნატვრით და სოციალისტური სინამდვილისადმი აშკარა კრიტიკის პათისით მოევლინა ე. წ. „ახალ სამოციანელთა“ თაობა.

1989 წლის 9 აპრილისა და განსაკუთრებით 1991 წლის 9 აპრილის შემდეგ, რასაც საქართველოს დამოუკიდებლობის ხე-ლახალი (ამ საუკუნეში მეორედ) გამოცხადება მოჰყვა, საქა-რთველოში ახალი ძალით იფეთქა სამშობლოს თავისუფლებისა და ეროვნული ატრიბუტიკების დაცვისა და განმტკიცების პა-თისით გაუდენთოლმა ლიტერატურამ.

მწერლობა ბარომეტრივით გრძნობს ეპოქის ქარიშხალთა მოახლოებას, უკანასკნელ ორ-სამ წელიწადშიც არაერთი შემაშ-ფოთებელი, გამაფრთხილებელი სტრიქონი დაიწერა ერისთვის იმ საშიშროების ხაზგასასმელად, რაც ეროვნული კონსოლიდა-ციის იგნორირებას და გარემო მტრებთან ხელისუფლების კომ-პრომისულ პოლიტიკას შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

სამწესაროდ, საქართველოს მე-20 საუკუნის ოციანი წლების ისტორიული გაკვეთილი არ მოაგონდა და არც მისთა უკეთეს შვილთა მეგობრობას უგდო ყური, ამიტომაც არც ოთხმოცდაა-თიანი წლების „ეროვნული დამოუკიდებლობის მეორე სამწლიანი პერიოდი“ დამთავრდა წარმატებით.

საქართველომ კვლავ დაკარგა დამოუკიდებლობა და უფრო სავალალო ის გახლავთ, რომ როგორც მაშინ (1921) ახლაც ეროვნული ძალების ამ დამარცხებასაც, რუსის ჯარის მიერ ეროვნული სულისკვეთების ამ ჩანიხვლასაც გამოუჩნდნენ დამ-ცველ-მეხოტებინი.

ისტორია თავის სიტყვას იტყვის...

დარწმუნებული ვართ, ახლაც ზის თავის მღვიმეში პატიო-სანი მწერალი და საქართველოს ამ ტრაგიკულ სამწლეულზე ახალ „გმირთა ვარამს“ წერს.

\* \* \*

დავით კლდიაშვილმა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ლა-მის კალამი დადო; სამიოდე მოთხრობა და მემუარები დაწერა, თუმცა „ახალი საქართველოს“ ვითარებაში კარგა ხანს იცოცხლა და ოცდაათიან წლებამდე შემოჰყუა ჩვენს „მღელვარე ეპოქას“. რა იყო ამის მიზეზი? იქნებ ქართული პროზის დიდოსტატის სულს არ მიესადაგა კომუნისტური საქართველოს ზემო-გუ-გუნი? ამის თქმის საფუძველს გვაძლევას მწერლის ერთ-ერთი უკანასკნელი, სამგვერდიანი ნოველა „კიმოთე მიშველიძე“. რევ-ოლუციის აქტივისტი ვარდენ მშვენიერაძე, თავის დროზე ეკლე-სიიდან რომ ხალხი გამოყარა და „ნიკოია ჩამოაგდო“, ერთობ შეწუხებულია, რაღაც ისე ვერ გამოგვივიდა ეს რევოლუცია, როგორც ჩაფიქრებული გვქონდაო, „დევიბენით ჩემო ბატონო, დევიბენით“, – ეს ფრაზა ნოველის ლაიტმოტივიც გახლავთ, ბოლშევიკებმა საქართველოს იმედები ვერ გაამართლეს.

დ. კლდიაშვილი კარგად გრძნობს ღმერთის მგმობელი საზოგადოებრივი წყობის მოახლოებას და იმ შედეგებს, რაც ამ წყობის დამკვიდრებას შეიძლება მოჰყვეს. ჯერ კიდევ ადრე („მრევლში“) შენიშნა მან გაუცხოება მოძღვარსა და მრევლს შორის და ახალგაზრდა მღვდელს ზოსიმეს ათქმევინა: „სადაა ყოველივე ის, რაზედაც იგი ოცნებობდა სემინარიაში თავის ამხანაგებთან, რომლებთანაც იგი ემზადებოდა მომავალი მოღ-ვანებისათვის?“ (გვ. 182). ბოლოს კი ხელისუფლების წარმო-მადგენლის შენიშვნაზე – ღმერთი არ არის, კიმოთე მიშველიძე ირონიულად იყითხავს: აქამდე თუ იყო, ახლა სად გაქრაო.

დ. კლდიაშვილის მემუარები „ჩემი ცხოვრების გზაზე“ თა-ვიდან ბოლომდე ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული ნაწარმოებია. საოცარია რომ სწორედ საბჭოთა წყობილების დროს დაწერილ ამ წიგნში აშკარად ჩანს ზიზლი საქართველოს დამპყრობელი იმპერიულ-ჩინოვნიკური რუსეთისადმი, მის მიერ დამყარებული რეჟიმისა და რუს მოხელეთა ამბიციური ბუნები-სადმი. საილუსტრაციოდ – ქუთაისის მმართველის, ვინმე ალე-ქსი ივანიჩის დ. კლდიაშვილისეული დახასიათებაც გამოდგება – „მას ვერ წარმოედგინა, თუ ქართველ კაცს რაიმეს გაკეთება

შეეძლო, ან მუშაობის უნარი ჰქონდა. ქართველს ისე უყურე-  
ბდა, როგორც უნიჭო, უგონო არსებას” (გვ. 427).

საქართველოს სამი უმთავრესი სატკივარის და, აქედან  
გამომდინარე, ქართული მწერლობის სამი უმთავრესი პრობ-  
ლემის: ენის, მამულისა და სარწმუნოების მხატვრულ-ფილოსო-  
ფიური გააზრება მეოცე საუკუნის მწერლობას წუთითაც არ  
ტოვებს. რასაკვირველია, მხედველობაში მაქვს ჭეშმარიტ მწერ-  
ალთა უკეთესი ნააზრევი და არა პანეგირიკოსთა შემოქმედება  
ან, თუნდაც, სახელოვნო მწერალთა ორიოდე კომპრომისული  
ქმნილება ფარად რომ აუფარებდნენ ხოლმე ეროვნული სუ-  
ლისკვეთებით გამსჭვალულ წიგნებს კომუნისტური ხელისუ-  
ლებისთვის თვალის ასახვევად.

დაკვირვებული მკითველისთვის იოლად გასაგებია „დიდოს-  
ტატის მარჯვენის“ და „დავით აღმაშენებლის“ ეროვნული პა-  
თოსი. ამ ისტორიულ რომანებში მწერლის გულისყური, უპ-  
ირველეს ყოვლისა, ორი ეროვნული პრობლემისკენ გახლავთ  
მიმართული: ესენია საქართველოს მთლიანობისთვის ბრძოლა  
მოშულარ ერისთავთა წინააღმდეგ და ქვეყნის დაცვა გარეშე  
მტრებისაგან აქვე დომინირებს სარწმუნოების პრობლემაც.

განა ქართული მწერლობის საუკეთესო ტრადიციების  
გაგრძელება არ არის კონსტანტინე გამსახურდიას მიერ უაღ-  
რესად კოლორიტულად, შთამბეჭდავად დახატული ორი მეფის  
– დავით აღმაშენებლისა და გიორგი მეთერთმეტის თანამიმ-  
დევრული ბრძოლა ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ საქართ-  
ველოს ერთიანი ძლიერი, ცენტრალიზებული საქართველოს შე-  
ქმნისათვის და მათი მუხლჩაუხრელი, თავგანწირული კვეთება  
უცხოელ დამპურობთა წინააღმდეგ საქართველოს დამოუკიდე-  
ბლობისა და თავისუფლების შენარჩუნებისათვის? მე მგონი, ხა-  
ზგასმა არ სჭირდება ამ ფაქტს, თუ რა უზარმაზარი მნიშვნელო-  
ბა აქვს კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას სწორედ ამ  
მხრივ დღეს, ოცდამეერთე საუკუნის საქართველოში, როცა ასე  
მოგვეძალა კუთხური სეპარატიზმი, ხოლო ჩრდილოელი მეზობ-  
ლის ინტერვენციის შედეგად დამოუკიდებელი საქართველოს  
არსებობა კიდევ ერთხელ ისევე დადგა კითხვის ქვეშ, როგორც  
არაერთხელ მდგარა საუკუნეების განმავლობაში.

რაც შეეხება სარწმუნოებას, ორივე ზემოთ ნახსენები რომა-  
ნის პათოსი აქაც ცალსახა და ორთოდოქსულია. გიორგი მეფე  
მხარში უდგას მელქისედეკ კათალიკოსს მაშინაც კი, როცა ეს  
უკანასკნელი არცთუ დახვეწილი მეთოდებით იბრძვის საქართ-  
ველოში ქრისტიანობის გამძლავრებისა და სამეფოს ერთორნ-  
მუნე ქვეყნად გადაქცევისათვის. ამ ხაზს აგრძელებს დავით აღ-  
მაშენებელიც. სხვათა სარწმუნოების მიმართ შემწყნარებლობა,  
რამაც ზოგიერთ სწავლულს დავით აღმაშენებელი კინალამ უკი-  
დეგანო ინტერნაციონალისტად (თითქმის კოსმოპოლიტად, რ.  
მ.) გამოაცხადებინა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ დავით  
აღმაშენებელი თითქოსდა თანამიმდევრულად არ იღვწოდა საქა-  
რთველოს ერთიანი სარწმუნოებრივი დროშის ქვეშ გაერთიანები-  
სათვის. მართლადიდებელ მეფეს მშვენივრად ესმოდა რელიგი-  
ური ერთობის მნიშვნელობა ისეთი პატარა, მტერმოჭარბებული  
ერისთვის, როგორიც საქართველო გახლავთ. ისტორიულმა შუა-  
საუკუნეობრივმა საქართველომ კარგად უწყოდა ის გარემოებაც,  
რომ ქრისტიანული სარწმუნოებისათვის ბრძოლა ფაქტობრივად  
საქართველოსთვის, ქართველობისათვის ბრძოლას ნიშნავდა და  
იაკობ ცურტაველის, იოანე საბანიძის, გიორგი მერჩულეს თუ  
სხვა უკვდავ ჰაგიოგრაფთა წინაშე მდგარი პრობლემები სრულე-  
ბითაც არ მოხსნილიყო დღის წესრიგიდან.

ეროვნულ-სარწმუნოებრივი პრობლემების მხატვრული გან-  
ჭვრეტის თვალსაზრისით ნიშანდობლივია „მთვარის მოტაცების“  
ავტორის არა მარტო ისტორიული რომანები, არამედ მწერლის  
მიერ ექსპრესიონიზმით გატაცების პერიოდში შექმნილი პატარა  
ნოველაც, რომელსაც „ზარები გრიგალში“ ჰქვია.

1923 წლია. ოცდაერთი წლის საბედისწერო 25 თებერვალი  
ჩავლილია, საქართველო ოკუპირებულია და ძალით განითლე-  
ბული, მაგრამ მოახლოებულია დამპურობთა თარეშს ვერშეგუე-  
ბული ქვეყნის მეამბოხე სულის თვალსაჩინო დასტური – 1924  
წლის აჯანყება. სწორედ ამ დროს იწერება კ. გამსახურდიას  
სამფურცლიანი ნოველა „ზარები გრიგალში“, რომელშიც ჭეშმა-  
რიტი ღმერთისადმი მიბრუნებისა და რუტინული, წნების მსგავ-  
სი ყოფისადმი პიროვნების ამხედრების მუხტია ჩადებული.

ნოველის ექსპოზიციაში სულ რამდენიმე სტრიქონითაა დახატული ურნმუნო ხელისუფლების მოსვლა-დამკვიდრება საქართველოში.

„მნათე ოქროპირ მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ „ქვეყანა გამოიცვალა“, როცა დიდმარხვის ორშაბათს წმ. ზაქარიას ეკლესიის გუმბათზე ჯვარი ვეღარ ნახა. ჯვარი აღარ იყო სამრეკლოზედაც.“

რა მოჰყვა ამ „ანტირელიგიურ ღონისძიებას?“ – „სოფლის მოზარდები „არულის“ ძახილით გამოუდგებოდნენ მოხუცებულ მღვდელს, არც ის გაკვირვებია, სოფელმა რომ უარი განაცხადა მღვდლისა და მნათეს შენახვაზე“.

რით უპასუხა მღვდელმა ამ ახალ ვითარებას?

„მღვდელი გაიპარსა, თემშარაზე სამიკიტნო გახსნა...“

მაგრამ იყო სოფელში კაცი, რომელიც ვერ შეეგუებოდა ღმერთის მგმობი მთავრობის პარპაშს და ვერც გულგაციებულ მრევლის გაუცხოებას წმინდა სამების მიმართ.

და მაშინ, როცა „ანვიმდა სამრეკლოს, ანვიმდა საყდარს“, მნათე ოქროპირ ახოხდა ნახევრადმორღვეულ სამრეკლოზე და მთელი ძალით დაარისხა ზარები.

სოფელი წამით გაირინდა ამ ზარების ხმაზე.

ექსტაზში შესული ოქროპირ კი მკლავების დაწყვეტამდე რეკავდა და არაჩვეულებრივი ნათელი გადაპეკვროდა სახეზე.

„ხარობდა ოქროპირ. მისი აღტყინებული სული ფოლადსა და რკინას აგალობებდა, ამღერებდა დაჭანგულ, დამუნჯებულ ზარებს, მიჰქროდნენ აწყვეტილი ზარები გრიალით, კისკისით, ხარხარით, ზეცისკენ, გალობდნენ დიდი და მაღალი ხმით.“

მნათე ოქროპირის ეს შემართება ერის მოხმობაც გახლდათ ჭეშმარიტი ღმერთის საკურთხეველთან და პროცესიც წყობილებისადმი, რომელმაც ღმერთის სახლს ჯვარი ჩამოხსნა და მღვდელი მიკიტნად აქცია.

„დიონისოს ღიმილს“ წითელ ზოლად გასდევს ეროვნული პრობლემა. ეს პრობლემა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას უკავშირდება და, თუ გავიხსენებთ, რომ რომანი 1915-25 წლებში იწერებოდა, ჩვენთვის ნათელი გახდება, რა-

ტომ დგას ასე ცხადად ავტორის წინაშე მისი ქვეყნის თავი-სუფლების ხელყოფის საკითხი სწორედ რომ ჩრდილოეთელი მეზობლის მიერ.

ერთ გერმანულ ოჯახში სტუმრად მისულ კონსტანტინე სავარსამიძესა და მასპინძლის ყმაწვილს შორის ასეთი საუბარი გაიძა:

„ჩვენ გავიგეთ, ძია კონსტანტენ, თქვენ შარშანწინ რუსებს ებრძოდით... რატომ ებრძოდით რუსებს, ძია კონსტანტენ?..“

„რატომ, და, იცი ჰაინც, ასი წლის წინათ რუსებმა ჩვენი მეფე ჩამოაგდეს, თავიანთი მეფე დასვეს, ჩვენ კიდევ გვინდოდა მათი მეფის ჯარები გაგვერეცა და მათი მეფეც ჩამოგვეგდო“..

„კი, მაგრამ, ძია კონსტანტენ, თქვენ დასვით მერმე თქვენი მეფე?“

„არა, ჩემო ჰაინც, ჩვენი მეფე მოკვდა, იგი დიდხანს ებრძოდა რუსეთს და მერმე ოსმალეთში გადაიხვეწა“. „

„მაშ, იქ ასაფლავია ახლა თქვენი მეფე, ძია კონსტანტენ?“ მეკითხება ჰაინც.

„ხო, ჩემო ჰაინც, ქალაქ ტრაპიზონის პატარა ეკლესიაში ასაფლავია ჩვენი მეფე“ (ოცტომეულის II ტომი, 1993, გვ. 177).

რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკია სოლომონ მეორეზე, რომელიც განსხვავებით ერეკლე მეორისაგან ბოლომდე ვერ შეურიგდა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას და ოსმალეთში პოვა საუკუნო სასუფეველი.

ეს მკაფიო მაგალითი როდია ოდენ მთავარი განმსაზღვრელი „დიონისოს ღიმილის“ ეროვნული პოზიციისა. ამ მიმართულებით უპირველესი ორიენტირი სლანსკი გახლავთ.

პარიზში რესტორანში ერთ-ერთი ინციდენტის დროს სავარსამიძე წააწყდა რუსის ოფიცერს, რომლის სახეც სამუდამოდ აღებეჭდა მეხსიერებაში, უფრო მეტიც, ამ მოძალადე ოფიცერმა რომანში თანდათანობით შეითავსა საქართველოს დამპყრობლის სიმბოლური იერსახე და იგი რომანის მთავარი გმირის ნევრასტენიულ-ჰალუცინაციური დაავადების გამომწვევ მიზეზად იქცა.

მთელი სიცოცხლის მანძილზე, განსაკუთრებით, როცა ავად-მყოფობა მოეძალება, კონსტანტინეს სლანსკის სატანური სახე წარმოუდგება თვალწინ.

ჩავთვლიმე, ისევ გავახილე თვალი, ახმახი, ქერა, ღაწვმა-ლალი კაცი შემოვიდა, ჩემს გვერდით დაჯდა. ლოპინარის თვა-ლები შემომაშტერა. საშინელი სიძულვილი გადმოინთხა მისი თვალებიდან. ამ კაცს ყვითელი, გახუნებული რუსული ეპო-ლეტები აქვს. მარცხენა ხელიდან სმარაგდის ბეჭედი ამაცალა. უსახელო თითზე ძლივს მოირგო. ისევ შემომცექერის ლოპინა-რის თვალებით... შიშისგან მაძაგდაგებს.

სლანსკი?

რომანის უკანასკნელი თავი („ჯოჯოხეთიდან ჩასვლა კონ-სტანტინე სავარსამიძისა“) კომუნისტურ გამოცემებში შემოკლე-ბით, ან სულ არ იძეჭდებოდა, კონსტანტინე სავარსამიძის და სლანსკის სიმბოლური ორთაბრძოლით მთავრდება.

ჯოჯოხეთში ჩასული კონსტანტინე წააწყდება სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმულ ჰერბერტს (ევროპა) და ხალილ ბეის. კონსტანტინე შეარიგებს მორკინალთ და სამივენი სლანსკის კოშკისკენ გასწევენ. დიდი მიხვედრა არ უნდა იმ ფაქტსა, რომ ამ ეპიზოდში ახალი დამპყრობლის, რუსის წინააღმდეგ ევრაზის გაერთიანების ავტორისეული სურვილი იგულისხმებოდა.

სლანსკი მარმარილოს ტახტზე ზის, „მუხლზე ორთავიანი არწივი უზის. ერთ თავზე ბაგრატიონის გვირგვინია! გვირგვინ-ში – თამარის ალმასი...“

„სლანსკი დამიპრუნე დედაჩემის ალმასის თვალი“.

სლანსკიმ ისევ დახუჭა თვალი, თითქოს არც კი გაუგონია და განაგრძო თვლემა.

„სლანსკი! – შენ – ყინულეთი, მე – მზისგული, შენ – თოვ-ლი, მე – ცეცხლი, შენ – მურტალი, ლორის ტყავის ფაფარივით ფართო და რგვალი, მე – ქართულ სატევარსავით ბასრი და წვეტიანი, სლანსკი მე და შენ ერთ სახლში ვერ დავეტევით.“

„სლანსკი ასჩვიდმეტი“, შევძახე მე სავარსამიძემ.

„კიდევ ამდენი“, ამბობს და მოდის დათვი პირსისხლიანი“.

„ასჩვიდმეტი“, ალბათ, რუსეთის საქართველოში ბატონობის წელთა რაოდენობას აღნიშნავს, ხოლო სლანსკის პასუხი „კიდევ ამდენი“ დამპყრობლის სურვილს, აქაოდა კიდევ ამდენ ხანს მეყოლებით კირთების ქვეშო.

უთანასწრო ორთაბრძოლა გრძელდება.

„მკერდზე დამაწვა ეს უჯიათი. სული მეხუთება. ახლოს მიმზერენ მისი ცივი, საზიზღარი ლოპინარისფერი თვალები! არყის სუნი მოდის მისი ლორნოიანი პირიდან, ნივრისა და დამ-პალი კომბოსტოს სუნმა ამაქოთა, ტლანქი ხელები წამიჭირა ყელში და მახრჩობს. ვეძახი ჩემს ძიძიშვილებს: მიშველეთ ძმე-ბო, მტერმა დამძლია. ჰერბერტსა და ხალილ ბეის ვეძახი....“ (გვ. 268).

რა ღრმადსიმბოლური და თანამედროვე ულერადობისაა დამპყრობლის (სლანსკი-რუსეთი) და დაპყრობილის (სავარს-ამიძე-საქართველო) ეს ჯოჯოხეთური კვეთება.

ბოლოს სავარსამიძემ სძლია.

სამწუხაროდ, ეს „ძლევა“ მხოლოდ ავტორის პოზიცი-ის გამოხატულებად, სურვილად დარჩა 1924 წლის საშინელ სინამდვილესთან შედარებით.

ცნობილ მიზეზთა გამო (წანარმოების ეროვნული კონცეფ-ციის წინ წამოწევით შეიძლებოდა მწერალი ოფიციალური ხე-ლისუფლების ადმინისტრაციული ჯოხის ქვეშ დაგვეყენებინა) თავის დროზე სათანადოდ არ იქნა შეფასებული შალვა დადიანის „გიორგი რუსი“, რომელსაც თავდაპირველ ვარიანტში არცთუ უქვეტექსტოდ „უბედური რუსი“ ერქვა. რუსეთის არისტოკრა-ტიამ (დღესაც რომ უხვად ჰყავს საქართველოს მათი შთამომა-ვლები...) ქორწინებაც პოლიტიკის საქმედ აქცია და უსათნოეს თამარს ქმრად მოჰკვარეს გიორგი (იური) რუსი. გარდა გიორგი რუსის პათოლოგიური პიროვნების, სხვა რაიმეც იყო დამნა-შავე იმაში, რომ ჩრდილოელი სიძე უცხო სხეული აღმოჩნდა საქართველოს სამეფო კარზე. ვერ შეითვისა იგი საქართველოს პოლიტიკურმა სინამდვილემ და იძულებული გახდა ისევ თავის კუთხეს დაბრუნებოდა. რატომ? ვერ გასწევდა თამართან ერთად

საქართველოს მართვის უღელს იური ბოგოლუხსკი, რადგანაც მას საქართველოს ეროვნული სატყივარი არ აწუხებდა, ქართველი ერის პრობლემა მისთვის „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირი“ იყო. ბაგრატიონთა საგვარეულოზე გენეტიკური ძალდატანება, ეროვნული პოლიტიკის მაგისტრალზე ზემოქმედების უგუნური ექსპერიმენტი იყო გიორგი რუსის ჩამოყვანა და თამარ მეფის თანამეცხედრედ გამოცხადება – ასეთი გახლავთ „გიორგი რუსის“ დედააზრი. მკითხველმა განსაჯოს, რაოდენი მოქალაქეობრივი გმირობა იყო ამ აზრის გამოთქმა იმ პერიოდში (1925), როცა რომანი გამოქვეყნდა.

ეროვნული პრობლემების გააზრებისა და საქართველოს ბედის განსჯა- განჭვრეტის თვალსაზრისით გამოირჩევა მიხეილ ჯავახიშვილი. იწყებთ „ჯაყოს ხიზნების“ ავტორის ნაწარმოების კითხვას, თითქოსდა, ნაწარმოების თემატიკა, პერსონაჟთა ურთიერთობის ექსპოზიცია გაფიქრებინებთ, რომ მწერალს ამჯერად გეზი სოციალური ან ეთიკურ-ზნეობრივი პრობლემისაკენ აუღია, მაგრამ როდესაც არ ელი, სწორედ მაშინ ჩაურთავს ხოლმე ქართული პროზის სახელოვანი სარდალი ერის გულდამწვარი ჭირისუფლების ნააზრევს, ან ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვაზე რომელიმე პერსონაჟის „ამოოხვრას“. ეს „ამოოხვრანი გარდა მკითხველში მამულიშვილური განწყობილების აღძვრისა, იმაზეც მიგვანიშნებენ, რომ მწერალს ადამიანთა ცხოვრების კალეიდოსკოპური სურათი მსოფლიოს გეოპოლიტიკურ სამყაროში ქვეყნის მდგომარეობის გარეშე არ წარმოუდგენია. სწორედ ეს ღვთიური ხიბლი – მამულის ბედის მტკიცნეული განცდა აძლევს ქართულ ლიტერატურას განსაკუთრებულ იერს, ხოლო კონკრეტულად, ამ შემთხვევაში, მიხეილ ჯავახიშვილს დიდი ილიას თანამებრძოლთა კოპორტაში უჩენს ადგილს.

ცივილიზაციისა და პირველყოფილი ბუნების, ტრუდიციული ეგზოტიკის ურთიერთობას ეხება რომანი „თეთრი საყელო“. მწერალს სურს მკითხველი დააფიქროს საუკუნურ პრობლემაზე – რა სჯობს, ცივილიზაციის თეთრი საყელო და მის მიერ მოტანილი კოსმოპოლიტურ მოდური სიკეთე-სიმრუდენი, თუ ბუნებრი-

ვი პირველყოფილება თავისი ტრადიციულობით და მკვეთრად გამოხატული ორიგინალურობით. ეს პრობლემა გამოქვაბულის კაცის და თვითმფრინავის ტრაპიდან გადმოსული ინდივიდუუმის შედარებით როდი ამოინურება. ასე რომ იყოს, საკამათო არაფერი იქნებოდა. რასაკვირველია, ცივილიზაცია სჯობს რეზერვაციულ-ნარმართულ ყოფას თავისი სისხლის აღებებით, ძროხის შარდით თავის დაბანვებით და დაუბანელ ტანზე ქონის ნასმებით, მაგრამ მწერალი აფრთხილებს მკითხველს, ორიენტაციის აღებისას კარგად ჩაუკვირდეს – ხომ არ არის იმ გაურყვნელ ბუნებრიობაში რაიმე ისეთი, რომლის გადაგდებაც ნაციონალური თვითმყოფადობის ნაშლისა და კოსმოპოლიტიზმის ოკეანეში გათქვეფისაკენ უბიძგებს ხალხს.

„ ჯერ ჩვენ სოფელში წითელი ეშმა არ ამოსულა და იმას ვემალებით.

– რაო ამ სოფელში საბჭოთა ხელისუფლება არ ამოსულა? (თითქოსდა შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით ხაზს უსვამს მწერალი, რ. მ.)

– არ ამოსულა.

„თეთრ საყელოს“ ლაიტმოტივად გასდევს აქა-იქ რამდენიმე სტრიქონიანი რეფრენი – სევდა ერეკლე მეფის ეპოქის დაბრუნებაზე. იმ გრგვინვა-ყიუინის კვლავ მოსვლაზე, ქართველი რომ საკუთარი ხმლით იცავდა თავის თავს და ეროვნულ შეუვალობას.

„კიდევ უბნობენ: უცხოეთში ახალი ბატონიშვილი გამოჩენილა, ნამდვილი ბაგრატიონი, მეფე ერეკლეს შვილიშვილი.

– ის არის ის! თეიმურაზ ბატონიშვილი, უთქვამთ, თეიმურაზი!

ვიცნობ თუ არა თეიმურაზ ბატონიშვილს?

– არა, არ ვიცნობ, არ გამიგია.

ბაგრატიონები ბევრნი არიან, მაგრამ ერეკლეს შვილები ყველანი დაიხოცნენ.

– არ დახოცილან, – ჰერივის ჯურხა.

– დაიხოცნენ-მეთქი.

– მაშ შვილის შვილის შვილ იქნების.

— მერე თუნდ ეგრე იყოს, მერმე?

როგორ თუ „მერმე“, — უკვირს ჯურხას, — არ მესმის? რაკი მე ეგრე ადვილად შევურიგდი პირობის წიგნის გაფუჭებას, მაშე ქართველი არა ვყოფილვარ?“

რომელი წიგნისა, ჯურხა?

— იმ წიგნისა, მეფე ერეკლემ რომ დაუდვა რუს ხელმწიფესა.

— ჰო, მაგრამ...

— ბაგრატიონი უნდა მავიდას და მცხეთას უნდა ირგოგვინას!

— გადასჭრა ჯურხამ და სხვებმაც ყაყანით დაუდასტურეს.

— მავას! მავას!

— იგრგვინებს! იგრგვინებს! (გვ. 597)“

მთვრდება რომანი. ილევა „თეთრი საყელოს“ პერსონაჟთა ბობოქარვნებიანი, ტკბილ-მწარე ცხოვრების ფურცლები და ისევ თავისუფლების რეკვიემი ისევ „იმ საკითხზე“ მინიშნება.

აი, რომანის — უკანასკნელი სტრიქონები:

— „მავას! —ბუხუნებს ჩემი ძმადნაფიცი.

— იგრგვინებს! —უბეჭდავენ ხევსურები.

— მკვდრეთით აღდგების თამარ მეფე! (გვ. 572).

ქართველი ავანტიურისტის, თაღლითისა და თვალთმაქცი კვაჭი კვაჭანტირაძის მაქინაციებით მაშინდელი საზოგადოების ყოფის ჩვენება დაუსახავს მიხეილ ჯავახიშვილს მიზნად ამავე სახელწოდების რომანში, მაგრამ განა მარტო ეს? რატომ არის ასე ვრცელი რომანის გეოგრაფიული არე? რატომ გააშორა კვაჭი ავტორმა მშობლიურ სამტრედია-ქუთაისს და მოსკოვ- პეტერბურგ-ევროპაში გააჯირითა? მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოების პერსონაჟები სხვა შემთხვევაში ხომ უაღრესად კონკრეტულ, ლოკალურ გეოგრაფიულ სამყაროში მოძრაობები? გაიხსენეთ კვაჭი კვაჭანტირაძის დაწერის დრო. საქართველო რუსეთმა ხელმეორედ დაიპყრო. ვინ არის, ვის ნატერფალზე მოსულა, ვისი მემკვიდრეა საქართველოს ახალი, წითელი პატრონი? ბოლშევიკ რუსს მთელი თავისი „მშვენიერებით“ მწერალი გარემოების გამო ვერ დახატავს. მაშ, მისი წინაპარი, სულ რაღაც ხუთიოდე წლის წინათ რუსთხელმწიფესთან დაახ-

ლოებული, სამეფო კარის ლამის „პირველი ვიოლინო“ გრიგოლ რასპუტინი უნდა შეახვედროს კვაჭის.

„შენ ვინა ხარ? — ჰკითხა.

— თავადი კვაჭანტირაძე გახლავართ, წმინდაო მამაო!

— მამ, კავკასიელი იქნები... არ მიყვარს... ველური ხალხია. სულ ხანჯალზე უჭირავთ თვალი, „ბასურმანები“ არიან.“

„კავკასიელები ველური ხალხია“, მაგრამ როგორია თვითონ რუსეთის ელიტის წარმომადგენელი? ერთ წვეულებაზე შეზარხოშებულმა რასპუტინმა ქალებს მოსთხოვა ტანისამოსი გაეხადათ...

— დედოფალი მკადრულობს და თქვენ ვინდა ჰყურიხართ! გაჰყურის გრიშკა და მერე ისეთ რამეს მოიმოქმედებს, მკითხველს კი არა, თვით მის აურაცხელ საყვარლებსაც რომ გააკვირვებს:

— რაო? მაშ მე გრიშკა რასპუტინი არა ვარ! მაშ არა გჯერათ? თუ აგრეა მიყურეთ! გამსინჯვეთ! დარწმუნდით! — შარვალი გაიღელა და პირადობის საუკეთესო საბუთი ამოილო“ (გვ. 139).

იქნებ გათავხედებული რასპუტინის ეს მოუზომავი ნაბიჯი წრეგადასული, გაუთლელი ციმბირელის ხასიათს და ბაზუსს დავაბრალოთ და რუსეთის სამეფო კარზე იქნებ სხვა მხრივ ველაფერი რიგზეა?

გრიშკამ კვაჭი წმინდა მამათა „საიდუმლო სერობაზე“ წაიყვანა. სამოციოდე ქალი და კაცი სალოცავად შეკრებილა. მონამებრივი ლოცვა გვიან ღამემდე გაგრძელდება, მერე?

„და ღამესა მას „დანი და ძმანი“ ოთახებსა შინა შევიდოდეს, და ძმანი დათა გამოსცვლიდეს, და დანი ახალთა ძმათა და ახალთა სიყვარულსა იპოვნიდეს და იგემებდეს.

ასე დასრულდა ღვთის კაცების საიდუმლო სერობა“ (გვ. 182).

ამ ადამიანთა უხლოესმა შთამომავლებმა (ყოველ შემთხვევაში, რუსული იმპერიული ამბიციები რუს კომუნისტებს ცარიზმიდან დიახაც გადმოჰყვათ), უნდა შეიტანონ კულტურა მათ მიერ დაპყრობილ „ველურ კავკავსიაში“.

ძალადობისა და ცინიზმის რუსეთთან მიხეილ ჯავახიშვილის დამოკიდებულების საბუთად მყითხველს მინდა შევთავაზო ვრცელი მონაკვეთი მოთხოვიდან „ლამბალო და ყაშა“ ირანის აზერბაიჯანში რუს ეპისკოპოს პავლეს წარუდგა ქართველი ექიმი.

„— დაბრძანდით, ბატონო ექიმო, როგორ იმგზავრეთ? როგორ მოგეწონათ აქაურობა?... თქვენ ქართველი ბრძანდებით, არა?

— დიალ, ქართველი გახლავართ, — ხაზგასმით ვუპასუხე.

მან თანაგრძნობით და ნუგეშით მიპასუხა:

— ქართველობა დიდი უბედურება არ არის, რადგან ქართველიც ადამიანია და კეთილი ქრისტიანი ქართველებშიც მოიპოვება.

მე თვალებში შევხედე, მაგრამ ამარიდა.

— მართალს ბრძანებთ, თქვენო უსამღვდელოესობავ, — ეპიკოპოსს ლმობიერ კილოზე დავუდასტურე მე — კეთილი ადამიანი მარტო ქართველებში კი არა, რუსებშიც კი მოიძებნება.

ახლა ერთმანეთი თვალებით დავხვრიტეთ. ჩემმა „რუსებშიც კი“ გაკვირვებული მღვდელი შიგ გულში დასჭრა.

— ისიც უდიდესი ჭეშმარიტებაა, რომ „ქართველიც ადამიანია“, — თავმდაბლად დავუმატე მე.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, — წაიბუტბუტა წაბლის-ფერ წვერში მართლმადიდებელი მისიის მთავარმოძღვარმა — მე მოგახსენეთ, ქართველობა დიდი უბედურება არ არისო.

— მართალია, მაგრამ...

— მაგრამ, — ხელმეორედ ჩამოვართვი სიტყვა და ხმაში ფოლადი ჩავისხი, — გულწრფელად მოგახსენებთ, თქვენო უმაღლესობავ, რომ ქართველობა ჩემთვის უდიდესი ბედნიერება გახლავთ (გვ. 327).

ხომ ჩანს ამ უხანჯლო დუელში დამპყრობლის უნიადაგო, ბრიყვული ამპარტავნობაც და ისტორიის უკუღმართობის გამო დაჩაგრული კაცის განწირული სულისკვეთებაც? ხომ ისმის ამ დიალოგში ილიასა და რუსის ოფიცრის სარკასტულ-ირონიული

მოტივი ასე ძალუმად დარხეული „მგზავრის წერილებიდან“?

მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაზე დაწერილ ვრცელ სატატიებსა და გამოკვლევებში გვერდი აქვს ავლილი საუბარს იმაზე, რომ „არსენა მარაბდელის“ ავტორს მონოლითური, ორთოდოქსული ეროვნული მსოფლმხედველობა გააჩნია და იგი სხვა არა არის რა, თუ არა ერთიანი, თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოსთვის ბრძოლა.

არსენა მარაბდელი მარტო სოციალური ჩაგვრისა და ბატონყმობის წინააღმდეგ არ ამხედრებულა. მხოლოდ ზაალ ბარათაშვილი და ძმანი მისნი როდი არიან მარაბდელის სამიზნენი. ცალთვალა დევის პირმშო მაიორი ორლოვის სახით რუსის ჯავარ ებრძვის და ცარიზმის ფრთხებისქვეშ მგმინავ საქართველოს ექომაგება. ეროვნული ტკივილის მორჩენის მწერლისეული დაღადისია „არსენა მარაბდელის“ ის ადგილებიც ხალხური ლექსის („კიდევაც დაიზრდებიან“) ცრემლიან-იმედიანი ქვითკირით რომ დუღაბდება.

არც „ჯაყოს ხიზნებია“ ოდენ ქართველი არისტოკრატიის ბედზე და ზედმეტ ადამიანებსა და ნაკაცარებზე დაწერილი რომანი. ახალ დრომი ამოტივტივებულ-გაძლიერებული ჯაყოიზმის მთელი სიტლანქე-სისასტიკე ხომ გენიალურად დაგვიხატა მწერალმა სოციალურ-ზნეობრივი პრობლემის რკალში. ამავე დროს ხაზი გაუსვა ერთ უტყუარ გარემოებასაც, რამაც რომანი ეროვნულობის უკვდავი შუქით შემოსა. კერძოდ, „ჯაყოს ხიზნებით“ მიხეილ ჯავახიშვილმა ქართველი მკითხველი გააფრთხილა — მიეპატრონე შენს ბალ-ვენახს, განუკითხავად ნუ გაუფენ უცხო თესლს ფეხებეშ შენს ავლა-დიდებას, უდარაჯე შენს მიწა-წყალს, თორემ შენს კერასთან შემთბარი ხიზანი, ქვეყნის მუხა-სხეულზე ამოსული ფითრი გაძლიერდება, გაიზრდება, გაფუვდება და ვინ იცის, ხვალ შენვე გაქციოს ხიზან-ლტოლვილად.

რა აქტუალურია დღევანდელი საქართველოსთვის „ჯაყოს ხიზნების“ დედააზრი და რა სავალალოდ აგვიხდინეს საქართველოს ისტორიულ მიწებზე საეჭვოდ მომაგრებულ-გამრავლებულმა სტუმრებმა დიდი მწერლის ავი წინათგრძნობა.

ასე რომ, არც კია საჭირო მიხეილ ჯავახიშვილის დალუპვის მიზეზებს საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან მწერლის ურთიერთობის გაუარესების ფაქტებში დავუწყოთ ძებნა. რუსის სამსახურში ჩამდგარმა ჩეკამ მშვენივრად იცოდა, ვის და რატომ ხვრეტდა 1937 წელს მწერალ მიხეილ ჯავახიშვილის სახით.

სამშობლო ქვეყნისადმი ტკივილიანი დამოკიდებულება თანამედროვე ქართველ მწერალს „დედამიწის დაპატარავებამ“, მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ წამითაც ვერ გაუნელა. ისე როგორც საერთოდ ქართული ლიტერატურა, ამ საუკუნის მწერლობაც პატრიოტიზმის სულისშემძვრელი მოტივითაა გაუღენილი. მაშინ, როდესაც ზესახელმწიფოში მცხოვრები ხალხების, ე.წ. სუპერერების მხატვრული სიტყვის წარმომადგენელთა ნააზრებში სანთლით საძებარია ამ საუკუნეში ეროვნულ პრობლემებზე დაწერილი ნაწარმოებები, ქართული ლიტერატურის უმთავრესი მაგისტრალი სწორედ რომ სამშობლოზე გადის.

ქართული გენის უკვდავების ჰიმნია გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი გაინგლისელებული მხატვარი არჩიბალდ მეკეში სწორედ თავისი ქართული წარმოშობის წყალობით წლების განმავლობაში იტანჯება. „თავის ძირებს“ ეძებს. პირველი სიმი ქართველად მოქცევისა მის სულში ჰიმადანში გაგონილმა ქართულმა სიმღერამ დაარხია: „სიმღერა მატულობს, გადადის შორიდან შორს. არჩიბალდ მეკეში ცახცახია შეკავებული. რაღაც იგზნო: ახლო და შორეული ერთად“ (გვ. 34). რა ახლოა ეს პასაჟი გენიალურ „იავნანამ რა ჰქნა“-ს ინტონაციასთან.

მეორედ ქართულმა როკვამ მოზიდა არჩიბალდის გული ეროვნული ფესვებისაკენ: „ცეკვავენ ლეკურს“. ეს სახელი შეუსაბამოა. ლეკს აქ რა უნდა?! ეს ცეკვა ქართულია და გარდა ქართველის, მას ვერავინ იცეკვებს. ვერავინ. რასსა არ ეყოფა“ (გვ. 39).

ხოლო მესამედ და საბოლოოდ ჩვილობიდან უცხოეთს გახიზნული ქართველი კაცი – მეკეშის სულში ქართულმა ქეიფმა გააღვიძა:

„– შეღამებულა უკვე.

– დროს მალე გაუვლია.

ქართველთა ქეიფმა დრო არ იცის.

– რა მოხდენილი ხალხია.

– შარდენის სიტყვა ხომ გახსოვთ ქართველთა სილამაზეზე?

– მგონი სპარსეთიც გრძნობდა ამ სილამაზეს.

– სპარსელთა გახელება ქართველ ქალთა სილამაზით აიხსნება.

არჩიბალდ მეკეში ჩაფიქრებულია. ტაბა ტაბა ისევ ქართველებს უბრუნდება.

– ქართველი ლხინისათვისაა შექმნილი.

– მისთვის თუ ეზარება შრომა, ამბობენ...

– ბევრს ამბობენ მის სილამაზეზე, რასაკვირველია.

– დიახ.

განა სიზარმაცე ცუდია? ქვეყანა რომ ისუნთქო, საჭიროა ოცნება. ხომ გახსოვს სიტყვა უალდის“ (გვ. 41).

„გველის პერანგის“ მიხედვით ქართველთა ცხოვრებას ბედისწერის გარდა ქართული გენიც მართავს. იმდენად ძლიერია ამ გენის დაღი, მინის ყივილი, რომ ადამიანები მთელი სიცოცხლის მანძილზე მიისწრაფვიან სამშობლო მინისაკენ. თამაზ მაყაშვილის, არჩიბალდის, ვამეხის, სარგის პეტრიძის თუ სხვათა ტრაგედია სხვა არა არის რა, თუ არა მათი სულის სამშობლოსაკენ დაურკებელი სწრაფვა ეპოქის ოღონჩოლრო ლაბირინთებში.

დაიწყო მეოცე საუკუნე – რევოლუციების, შეხედულებათა გადაფასების, პარადოქსების და, რაც მთავარია – ერთა ინდივიდუალობის დამთრგუნველი მოძღვრების – მარქსიზმის გავრცელების საუკუნე. ლიტერატურის პრობლემები, თითქოსდა, გამსოფლიოვდა. არაერთი მწერალი ნაციონალური ორლობიდან გასვლას და საერთო ძალით საერთაშორისო პროლეტარიატის საქმის კეთებას უქადაგებს საზოგადოებას. ამ დროს (1901 წ.) ინერება შიო არაგვისპირელის ნოველა „მინაა!“ ნოველაში სამშობლო მინის სიყვარულის, მასთან დაბრუნების, მინისთვის თავდადების მოწოდება ჩაგესმით.

გაციმბირებული ტუსაღები გაჩხრიკეს. ზედამხედველმა ბე-  
რას უბეში ჭრელ ცხვირსახოცმი გახვეული მინა უპოვა:

„– ეს რა არის? – ცოტა სიჩუმის შემდეგ დაეკითხა უფროსი  
ბერას.

– მიწაა!

– რა მიწა?

– ჩემი ქვეყნის მიწა. ანანურს რომ ამოვიარე, იქიდან წამო-  
ვიღე. ჩემი სოფელი იქვეა.

– მერე რად გინდა.

– მე, შენი კვნესამე, იმ ქვეყანაში მოვკვდები, გული ამას  
მეუბნება, მინდა სიკვდილის წინად, გულზე დავიყარო, რომ ჩემი  
ქვეყნის მიწა თან ჩამყვეს, – ბერამ თითქმის ცრემლმორეულმა  
უპასუხა (გვ. 286).

მაგრამ რუსი ზედამხედველისათვის ისევე გაუგებარია ბე-  
რას სურვილი, როგორც ბუზისთვის პლანეტათა მოძრაობა.  
მან ჯერ ეს ძვირფასი განძი წაჲელიჯა ტუსაღს და გადაყარა,  
შემდეგ ჭლექიანი ახალგაზრდა გააროზგვინა და წკეპლისქვეშ  
ამოხადა სული.

ჭოლა ლომთათიძის მოთხოვნის „უბის წიგნაკიდან“, 1910 წ.)  
ლირიკული გმირი ერთი ინტელიგენტის ოჯახში ილია ჭავჭავა-  
ძის პირველი ტომის გაუჭრელ ფურცლებს ნახავს. ამაზე აღშ-  
ფოთებულს დამით, სიზმარში ღვთის წინაშე წარმსდგარი ქა-  
რთველი მოეჩვენება:

„შენი სახელი? – გაისმა კითხვა ქართველისადმი.

– ქართველი, – იყო პასუხი.

– წლოვანება?

– ორი ათასზე მეტი წლის ვარ.

– რას აკეთებდი ამდენ ხანს ქვეყნად?

– თავს ვიცავდი.

სულ მუდამ?

– დიახ, სულ მუდამ, ქრისტეს დაბადებამდე და ქრისტეს  
დაბადების შემდეგაც თავს ვიცავდი მე. თავს ვიცავდი მე მაკე-  
დონელის ლაშქრისაგან, მე ვებრძოდი მურვან ყრუს, ვებრძო-

დი ოსმალოს, სპარსეთს, ვებრძოდი ლეკებსა და კიდევ სხვებს.  
ურიცხვია სახელი ჩემი მტრების; მე ჩინგის ხანს ვებრძოდი, შაჰ-  
აბასს და ლანგ თემურს ვებრძოდი მე – რომ თავი დამეცო. ჩემი  
ხანგრძლივი სიცოცხლე ბრძოლაა თავის დასაცავად...“ (გვ. 512.)

განგების შეკითხვაზე, ახლა რას შვრებიო, ქართველი პა-  
სუხობს:

– „მე ახლაც თავს ვიცავ. მტერი ახლაც ბევრი მახვევია  
გარს. მოდიან ჩემზე ხმლითაც და მოქარგული ენითაც, სიყვარ-  
ულსაც მიცხადებენ, რომ დამძლიონ...“

– არ დაიღალე?

– დაღალვა ჩემი სიკვდილს ნიშნავს ჩემსას...“

ასე სწორად ესმის ჭოლა ლომთათიძეს ქართველთა ის-  
ტორიული ხვედრი თუ ბედისწერა – ნიადაგ ხმლის ქნევა თა-  
ვის დასაცავად, ასე უტყუარია ქართველი მწერლის ეროვნუ-  
ლი ორიენტირი. ამ საუკუნის პარმალზეც – აშკარა მინიშნება  
ჩრდილოეთიდან მოქარგული ენით, სიყვარულის გამოცხადებით  
მოსულ ვერაგ მტერზე, ეს ხომ სწორედ ის „გაიძვერა მოყვა-  
რეა“, ვისთან „შეთვისების“ საშინელებაზე ჭოლა ლომთათიძეზე  
კარგა ხნით ადრე გააფრთხილა ქართველი ერი აკაკი წერეთელ-  
მა (და არა მარტო აკაკიმ).

მოთხოვნის ლირიკული გმირის და ღვთის დიალოგი გრძელ-  
დება:

„– და ელი კი გამარჯვებას?

– რათ უნდა დავმარცხდე. მე თავს ვიცავ... და ახლა მე  
მარტოც არა ვარ. ყველა ერში და ყველა ქვეყნის კუთხეში იზ-  
რდება და მძლავრდება იმათი რიცხვი, რომლებიც თავს იცავენ  
და ისინი მომეშველებიან მე, როგორც მე იმათ. რად არ უნდა  
გავიმარჯვო, მე თავს ვიცავ.

და წამოდგა ფეხზე ის, ვინც იჯდა. გაშალა მკლავი და გადაე-  
ხვია ქართველს და გადაკოცნა ის. მოსწყვიტა მწიფე ყურძენი  
და აჭამა მას, და კიდევ აჭამა მას თაფლი. და შეჰკრა გვირგვინი  
ია-ვარდისა და ყვავილებისაგან შეამკო თავი მისი. მისცა მას  
ხმალი ხელში და უთხრა:

წადი, განაგრძე და კურთხეულ იყოს გზა შენი, ფრიად მძიმე და ფრიად სახარბიელო! წადი განაგრძე“. (გვ. 513).

სამწუხაროდ, ჭოლა ლომთათიძის ამ მოთხოვნის ოპტიმიზმი („ისინი მომეშველებიან...“) ამ საუკუნეში ორჯერ დადგება ტრაგიკული გამოცდის წინაშე. ორჯერ გადაიგდო საქართველომ (1918, 1991) მოყვრად მოსული მტრის მძიმე უღელი, მაგრამ მსოფლიომ ორჯერ დატოვა იგი იმპერიული ურჩხულის წინაშე.

ზოგიერთმა მკვლევარმა ვასილ ბარნოვის „ტრფობა წამებულში“ შეცდომით რელიგიისა და მინიერი სიყვარულის დაპირისპირება ამოიკითხა და მწერალს „რელიგიური ფანატიზმის წინააღმდეგ ამხედრება“ დააბრალა. სინამდვილეში რომანი ქრისტიანული რელიგიის აპოლოგიას წარმოადგენს და ძნელი მისახვედრი სრულიადაც არ გახლავთ ავტორისეული ტენდენცია – ადამიანი (და მით უმეტეს მეფე) უმაღლესი ზენობრივი პრინციპებით უნდა ხელმძღვანელობდეს და ცოდვათაგან განწმენდის ერთი ასპარეზთაგანი, უფრო სწორად, ზნეობრივი სისპექტაკის უტყუარი ბარომეტრი სწორედ რომ ქრისტეს მოძღვრებაა.

ის, რაც ხარს შეიძლება ეპატიოს, იუპიტერს არ ეპატიება, ამიტომაც როდი მიაცილებს მწერლის დიდი თანგრძნობა ლევან კახთა ბატონის ნაბიჯს კანონიერი მეუღლის – მამია გურიელის ქალის თინათინის მონაზვნად ალკვეცას რომ დაეთანხმა და ლევთა შამხალის ქალი ლეილყიზი შეირთო. სიყვარულის ძალა დიდია, მაგრამ კახთა ბატონმა უნდა იცოდეს, რა შეიძლება მოჰყვეს (და მოჰყვა კიდეც) ლევანის ამ, ერთი შეხედვით, გულწრფელ ნაბიჯს („მიმქრალი შარავანდედი“).

ვასილ ბარნოვის რომანი – „განგების რყალში“ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პრობლემასაც ეხება. მწერალი ამჟარად იზიარებს სვიმონ მეფის პოზიციას, რადგანაც სვიმონი სხვა ქვეყნის უბეში თავის შეყოფის, დამოუკიდებლობის განსყიდვის კატეგორიული წინააღმდეგია. თეიმურაზ პირველის შეხედულებას იმის შესახებ, რომ საქართველოს ხსნა რუსეთისკენ ორიენტაციის აღებაშია, ვასილ ბარნოვი დაუფიქრე-

ბლად აკრიტიკებს. ამიტომაც მიკიბვ-მოკიბვის გარეშე აცხადებს ერთ-ერთი პერსონაჟი: „ბაგრატიონი ყოველნი გარეთ იყურებიან ერთრჯულ სახელმწიფოებისაკენ. ბიზანტიისაგან დადგენილთ სისხლში ჰქონდათ ბერძნთადმი მისწრაფება. დაინგრა ბიზანტია, გამალა ორთავიანმა არწივმა ფრთები მოსკოვში, ბაგრატიონი ახლა იქით ისწრაფვიან...“

ერთიან საქართველოზე, მისთვის თავდადების ეროვნულ ტრადიციაზე, გარდასულ დღეთა სიდიადეზე წუხილია ნიკო ლორთქიფანიძის „უამთა სიავე“. უსამშობლო კაცის სევდა-სამხილი, ნოსტალგიის სენის უსაშველობა გამოსჭვივის მწერლის მინიატურაში „გული“, ხოლო „იყიდება საქართველო“ მხატვრული ნაწარმოები კი არა პირდაპირ პროკლამაციაა, ერის ჭირისუფლის გულისშემძვრელი ყივილია იმათ წინააღმდეგ მიმართული, ვინც ქვეყანას ნაჭერ-ნაჭერ, ნაკუნ-ნაკუნ ჰყიდდა და ახლაც ჰყიდის.

მოხუცი მწიგნობარი, ბრძენი ოტია ასე მოძღვრავს იულონს: „აი, რა შვილო, საქართველო ირგვლივ მტრებითაა გარემოცული... ოსმალო, სპარსი, ლეკი. ახლა მოსკოვიც ძლიერდება. ცალ-ცალკე ქართლი, კახეთი, გურია, ოდიში ვერ გაუძლებს მოზღვავებულ მტერს. ნელ-ნელა გვწენენ, გვანიავებენ. ხომ უყურებ, როგორ თათრდება საქართველოს საუკეთესო ნაწილი სამცხე, მესხეთი. სამშობლო პეტრინისა, ნიადაგი ოპიზისა, მაგრამ თუ ერთად ვიქენით, თუ შინაური შთოთი მოისპო, მეფე თუ გვეყოლა ძლიერი და დიდებულთაგან დამოუკიდებელი, არაფერი გვიჭირს. დრო თამარისა და დავით აღმაშენებლის ისევ განანათლებს ღვთისშობლის ხვედრ ქვეყანას. საქართველოს მესამედი ოსმალეთს უპყრია, დიდი ნაწილი სპარსეთმა დაიუფლა, თავისუფალი ჩვენი პატარა იმერეთილა დარჩა... და ჩვენ უნდა გადავუხადოთ წინათ ჩვენზე „განეული ამაგი საქართველოს დანარჩენ კუთხეებს“ („უამთა სიავე“, ნ. ლ. ტ. II, გვ. 325).

„უამთა სიავეში“ ერის ჭირისუფლის მიერ ჩადებული სევდა საქართველოს ყველა დროის ტრაგედიითაა ნასაზრდოები,

ხოლო ამ ტრაგედიას მუდამ ორი წყება კვებავს – შინაური შფო-  
თი და გარეშე მტერი.

საქართველოს ბედზე ზრუნვა, მამულის მოვლის და მომა-  
ვალ თაობამდე ქვეყნის დაუშლელად მიტანის პრობლემა მკაფ-  
იოდ ისმის მინიატურიდან „ლიტერატურული საღამო“.

„მთვარიან ღამეში ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, თალხით  
მოსილ ჭირისუფალსავით რომ დასცეკრიან ქუთაისს, უხმოდ  
მეტყველებენ:

მოუარეთ საქართველოს!

ზოგჯერ ქუჩაში წინ გადამელობება სულის მესაიდუმლე  
შოთა და ბრძანების კილოთი ამბობს:

მოუარეთ საქართველოს!...“ (ნ. ლ. ტ. II, გვ. 306).

ერის სიკვდილი მაშინ იწყება, როცა მონობას შეეგუება.  
ქვეყანამ თავისუფლებისათვის ბრძოლა გულიდან არ უნდა  
ამოიღოს, მამულისათვის ბრძოლაში შენირულნი „ნეტართა შო-  
რის განისვენებენ წალკოტს ყვავილოვანს“. ასეთი გახლავთ ნ.  
ლორთქიფანიძის მინიატურის – „ამაყის“ პათოსი (ციკლიდან  
„ერთ ტაფაში“). ქვეყანას უცხო თესლი დაპატრონებია: „ბურ-  
დლულებენ რაღაც გაუგებარს. იქნებ კარგიცაა – ღმერთმა იცის!  
რაც სახეირო იყო, სადღაც წაიღეს“, ამაყ ქართველ ყმაწვილს  
მოსწყინდა უგემური, მონური ცხოვრება, მარტო გაიპარა სახ-  
ლიდან, ციხის კარს დააკაკუნა და რომ გაუღეს „ხმალი შეაბრი-  
ალა“:

„ეს ერთი – წაილაპარაკა შემოსულმა.

– ესეც მეორე!

ციხეში ჩოჩქოლი შეიქნა.

– ვიღაც გახელებულა!

– შეკარით!

– ეს მესამე!

– ეს მეოთხე!

– მოკალით უსათუოდ ბნედანაცემია!

– გახელებულა!

– ეს მეხუთე!

– ერთად მივარდით ოთხივე და ასწიეთ შუბზე.

– ვაი მომკლეს... ჯანი გავარდნია. არაფერი წამიგია... (ტ. II,  
გვ. 73).

თავდადებული ეული მებრძოლი მაგალითად იქცა ჩათვ-  
ლემილი ქვეყნისათვის, მან გამოაღვიძა ხალხი, ამაყს წლების  
შემდეგ ათასებმა მიბაძეს და საერთო ძალით განდევნეს მტერი.  
„ძმებო, ნუ დავივიწყებთ, ვინც პირველმა ვერ მოითმინა და მარ-  
ტოდ შეებრძოლა მტერს!“ ამაყს სამშობლოს ხსოვნის უკვდავი  
ქანდაკება დაუდგა.

საქართველოს უბედო ბედზე წუხილი-ურვა გამოსჭვივის  
ლევან გოთუას მთელი შემოქმედებიდან. ქართველთა ხმალ-  
ჩაუგებელ ყოფაზე, შინაურ და გარეშე მტრებთან გაუთავებელ  
ბრძოლაზე გვიამბობს „გმირთა ვარამი“. ძვირად დაუჯდა საქა-  
რთველოს ლევან მეფის სასიყვარულო თავგადასავალი. ალე-  
ქსანდრე მეფის მთელი შეგნებული ცხოვრება თავის ნახევარ-  
ძმებთან (ლევის ქალისაგან რომ შეეძინა ლევანს) გაუთავებელი  
ბრძოლაა ტახტის დაბრუნებისათვის.

...და ისევ რუსეთის პრობლემა, ჩრდილოელი დათვის  
უზარმაზარი ჩრდილი ეცემა საქართველოს. საბედისწეროა რუ-  
სის ჩამოხედვა ჩვენთვის კავკასიონის უღელტეხილის ქვემოთ.  
რუსს დიდი პირი აქვს და იმპერიული ამბიციები. იგი მზაკვრობით  
დაიახლოებს, ფასკუნჯივით ფრთებზე შეისვამს ღვთისმშობლის  
ნილხვედრ ქვეყანას და მერე იმავე ფასკუნჯივით აიძულებს სა-  
კუთარი ხორცი მოიჭრას და ნაჭერ-ნაჭერ აყლაპოს.

მაგრამ ფასკუნჯეს ისტორიის განაჩენი ქვევით ეწევა და სა-  
დაცაა მიწას დაანარცხებს. ვინძლო მანამდე არ შემოელიოს  
საქართველოს საკუთარი ხორცი – სამშობლოს მიწა.

## თანამედროვეობა და ლიტერატურის ამოცანები

ჩვენი საუკუნის დახასიათებას მეცნიერები უმეტესწილად ატომის გახლეჩასა და მთვარის დაპყრობაზე მითითებით იწყებენ. მხატვარპლაკატისტს ეპოქის სიმბოლური გამოხატვა რომ დავალო, მის ნამუშევარზე უსათუოდ დაეთმობა ადგილი „თანამგზავრს“ და სკაფანდრიან კოსმონავტს, რომელიც მთვარის მტვერზე მკაფიო ნაფეხურებს ტოვებს. ტექნიკის ამ საოცარ საუკუნეს – ატომური რეაქტორებისა და ფარდობითობის თეორიის საუკუნეს, გვირგვინად ადგას მისი უმამაცესი და უჭირვიანესი შემოქმედი – ჩვენი თანამედროვე. შესახედავად იგი პევრად როდი განსხვავდება თავისი იმ შორეული წინაპრისაგან, უთვალავი წლის წინათ გამოქვაბულთან რომ იღგა ქვის ნაჯახით ხელში, მაგრამ ათასწლეულებს შეჭიდებულმა მისმა მაძიებელმა გონებამ იმდენი რამ ახსნა და მოიმოქმედა, რომ მუცლითმეზღაპრის ფანტაზიას რახანია გასცილდა და ფანტასტიკათა სამყაროს დღითი დღე სავალალოდ ავინწროებს. ქვის ბლაგვი იარაღიდან – ავტომატიკამდე, ორმოცხებიდან – ფეშენებელურ თვითმფრინავებამდე, გამოქვაბულიდან – კომფორტულ ბინებამდე, სელის უხეში მოსასხამიდან – სინთეზური ბოჭკოს წარმოებამდე მივიდა და კვლავ ძლევამოსილად განაგრძობს სვლას სამყაროს შემეცნების უსასრულო გზაზე. აი, დღეს იგი მთვარის მცყრობელია. პლანეტის ამ ბრძენთაბრძენი მბრძანებლის ნებით მდინარეები იცვლიან კალაპოტს, ინგრევა გრანიტის თვალშეუდგამი კლდეები, უდაბნოშიც კი ყვავილობს ჯეჯილი და შენდება ახალი ქალაქები; ადამიანმა თვით შექმნა და თვითვე დალენა ძველთაძველი კერპები, მან თქვა და ზღვებმა ხმელეთი დატოვეს. ადამიანის წინაშე შიშით ძრწიან უდაბნოს მხეცები და არწივები მაღალ მწვერვალთა თავებზედა ბოინობენ. ადამიანმა დასძლია ბუნების სუსტი ქმნილების ხვედრი, იგი მეუფე გახდა. ზღვაზე, ცაზე და ხმელეთზე თითქმის ერთნაირი წარმატებით

დათარეშობს დღეს და ვარსკვლავთა შორეული ციაგი ახალ სამყაროთა აღმოჩენის სურვილით მუხტავს. ადამიანის სიძლიერე იქამდე მივიდა, რომ ამჟამად მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის საცავებში თვლემენ ატომური და წყალბადის ბომბები. მათი ავისმომასწავებელი დუმილი საზარელი გრიგალის წინადღეს წააგავს. დიახ, ადამიანმა თვითონვე შექმნა დედამინაზე სიცოცხლის ერთბაშად მომსპობი საშუალება და მერე თვითონვე შეეშინდა თავისი გამონაგონისა. იგი ახლა, თითქოს ვულკანზე ზისო, ძილგამკრთალი დარაჯობს ბომბთსაცავს, და ამით თავის მომავალს, დედამინაზე სიცოცხლეს დარაჯობს.

ვინ არის იგი, კაცობრიობის სასიცოცხლო პულტან რომ დგას? როგორია მისი სული? საიმედო ხელშია ჩვენი სიმშვიდე? ფილოსოფოსები ამ ბოლო დროს სულ უფრო ხმამაღლა და სინაულით გაიძახიან, რომ ადამიანის სულიერი განვითარება (ადამიანის სულს პირობითად მისი მსოფლმხედველობრივ-ზნეობრივი შეხედულებების კომპლექსს ვუწოდებთ. რ. მ.) ჩამორჩა ტექნიკის პროგრესს, რომ ადამიანის სულის მეტამორფოზა ზუსტი მეცნიერების განვითარებას არ ემორჩილება, რომ ადამიანის სული ჯერ არც კი იყო მზად იმისათვის, რომ ატომს დაუფლებოდა და ა. შ. ერთი წუთით რომ გადავავლოთ თვალი კაცობრიობის ისტორიას, აღმავლის თვალისმომჭრელ სინათლესთან ერთად ის ჩრდილებიც გაგაოცებთ, კაცს თავისივე ბორკილებად რომ შეუქმნია. დრომ მოიტანა და ადამიანმა მისივე მსგავს მეორე ადამიანს ქედზე უღელი დაადგა და მონად გაიხადა, დრომ მოიტანა და ადამიანმა ქვეყანა საპყრობილებით აავსო და ხუნდების წარსახეობით „დაამშვენა“, დრომ მოიტანა და ადამიანმა ჯორდანო ბრუნო ინკვიზიციის კოცონზე დაწვა, დრომ მოიტანა და ადამიანმა გამოიგონა ფული... დღეს, ანთროპოლოგიური განვითარების დღევანდელ საფეხურზეც ადამიანის სულის აღზრდა, მისი საქველმოქმედოდ მომზადება და კეთილი სანცისების გამარჯვება ადამიანის ფსიქიკაში ჩვენი საზოგადოების უმთავრეს პრობლემად რჩება. – შეაჩერეთ ტექნიკის განვითარება, თორემ ერთი საბედისწერო შეცდომა და

ჩვენ დავიღუპებით! – გაიძახის ზოგიერთი შემკრთალი სოცი-ოლოგი და მის ამ უსაფუძვლო სასოწარკვეთაში ჭეშმარიტების მცირეოდენი ნაპერწკალი მაინც ბუუტავს. ტექნიკის განვითა-რებას ჩვენ ანი ვეღარ შევაჩერებთ (და აღარც შევაჩერებთ), მაგრამ იდეოლოგიის და პროპაგანდის მთელი არმია უნდა დაი-რაზმოს და გაორკეცებული ენერგიით უნდა აკეთოს დღევანდ-ელობის უპირველესი საქმე – კეთილი ნების სულისკვეთებით გამსჭვალოს ადამიანის სული.

მითაუამის დროიდანვე მოაზროვნე კაცობრიობის საუკე-თესო ნაწილი მოყვასის სიყვარულს, მშვიდობასა და თავი-სუფლებას ესწრაფოდა. საუკუნეების განმავლობაში ადამიანი ცდილობდა დედამიწაზე მყარად აღებეჭდა მისი არსებობის კვა-ლი. როდოსის შუქურას აგებდა იგი თუ ეგვიპტის პირამიდებს, სემირამიდას და კიდებული ბალები გამოჰყავდა თუ არტემიდას ტაძარს აშენებდა, ყოველთვის გამსჭვალული იყო სიცოცხლის უკვდავების რწმენით და ადამიანის გენიას უგალობდა ზეთისხი-ლის რტოებით ხელში. მაგრამ კაცობრიობის მშვიდ ცხოვრებაზე არაერთხელ გადაუვლია კაენის სულის აღზევებას. ისტორიის მთელს მანძილზე ადამიანთა ერთი ნაწილი უმოწყალოდ ან-გრევდა მის მოძმეთა მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმ-ნილ კულტურას, გაუთავებელ ომებში ერთმანეთს შეაკვდნენ თაობები. უგუნურების ცეცხლმა შთანთქა ხელთუქმნელი ტაძ-რები და უსამართლო ომების კბილთა ღრტიალით და სისხლი-თაა მოთხვრილი კაცობრიობის ისტორიის დიდი წიგნი. რატომ ხდება ასე? როგორ ითავსებდა ადამიანის ბუნება თავისთვის დიდი მონდომებით გაეყვანა არხები, ხოლო სხვები ალყაშემორ-ტყმულ ციხე-კოშკებში წყურვილით გამოეხრჩო? ერთი მხრივ, ცინიკოსის ჩექმით გაეთელა ადამიანთა სულის საუკუნოვანი მონაპოვარი? მეცნიერები ამ გარემოებას შემდეგნაირად ხსნიან: ადამიანი დიდხანს არ იყო სრულყოფილი არსება. მისი სული-ერი ფორმირება საკმაოდ ნელა ხდებოდა. ადამიანებში დიდი ხნის მანძილზე თვლემდა მისი მომხეცო წინაპარი, ადამიანის ნებისყოფაში ხშირად იჩენდა თავს „ფეხის ხმის აყოლის“ ტენ-

დენციები. საზოგადოების დიდი ნაწილის მოწამვლა შეიძლებოდა რელიგიური და მოვინისტური ბანგით. არასწორი ტენ-დენციებით გაფლენთილმა კაცმა შეიძლება დღესაც ადვილად დაკარგოს მაღალი ადამიანური თვისებები და მაშინ იგი პრო-გრესისათვის ყველაზე უფრო საშიში ხდება.

უხსოვარი დროიდან მოევლინა კაცობრიობას კეთილი მას-ნავლებელი ლიტერატურისა და ხელოვნების სახით. ჭეშმარი-ტი ხელოვნება ყოველთვის იყო მისი გონიერი მრჩეველი და კეთილი შემწე. იმის შემდეგ, რაც პირველმა ხელოვანმა გამო-ქვაბულის კედლებზე პირველი გრაფიკული ნიშნები გამოკვეთა და ცეცხლს როკვით შემოუარა, ხელოვნება მისი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი გახდა. შემჩნეულია, რომ ველური ტომები ნადირობის წინ და შემდეგ საცეკვაო რიტუალს ას-რულებენ. პირველი ერთგვარი ვარჯიშიცაა (რეპეტიციაა. რ. მ.), სულიერი და ფიზიკური შემზადება ფათერაკიანი გზისათ-ვის, მეორე კი ნადირობის მშვიდობიანად დამთავრების ზეიმი და ნადავლით აღტაცების გამოხატულებაა. ორივე შემთხვევაში ხელოვნებას საკმაოდ პრაქტიკული მისია გააჩნია.

საუკუნეების განმავლობაში მოძღვრავდა პომეროსი ადა-მიანებს განსაცდელის წინაშე შეუდრეკლობისა და დასახული მიზნისათვის ბრძოლის სულისკვეთებით, „ნიბელუნგები“ ომში სიმამაცესა და თავდადებას ასწავლიდა, რუსთაველი – ამაღ-ლებულ სიყვარულს და მეგობრისთვის თავგანწირვას, და როცა დღეს ადამიანებს ხელთა აქვთ გასაოცარი სულიერი და მატერი-ალური კულტურა, ნიადაგ გაფრთხილებად ჩაესმით წინა თაო-ბების მკაცრი გაკვეთილები და მათს თავზე დამოკლეს ხმალივით ჰკიდია ყველაზე დიდი უბედურების მომტანი იარაღი, ზოგჯერ ირკვევა, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ სჭირდება ადამიანს, რათა მის არსებაში მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვოს კეთილმა საწყისმა. განა ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ოსვენციმის და მაიდანეების საკვამურებიდან ადამიანის სუნი ბოლავდა? განა ისე დიდი ხანია, რაც ქარი ვაგლახად აფრიალებდა გოეთესა და ჰაინეს ნაწერების შებოლილ ფურცლებს? განა ისე დიდი ხანია,

რაც ჰიტლერმა თავის დღიურში ჩანს: „იმ ადგილას, სადაც ახლა მოსკოვია, უნდა აღიმართოს თვალუწვდენელი ხელოვნური ზღვა, რათა რუსების დედაქალაქისაგან ნატამალიც კი აღარ დარჩეს“. ჩვენი გონიერი ვერ წვდება ამ საშინელ სტრიქონებს და მით უმეტეს ვერ წვდება იმიტომ, რომ იგი საუკუნეების მიღმა კი არა სულ ახლახანს, სამოცი წლის წინათ არის დაწერილი – ასე რომ, ადამიანის ზნეობრივი და მორალურ-ეთიკური ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება. ჯერ კიდევ ყველას როდი შეუგნია ქვეყნად მისი არსებობის ანი და ჰაოე. დღესაც, როდესაც ჩვენში ჯერ კიდევ ყოველდღიურად იწერება მეორე მსოფლიო ომის შემაძრნუნებელ გაკვეთილებზე, საბერძნეთის ჯურდულებში (საბერძნეთში, სადაც ოდესალაც მსოფლიო კლასიკური დემოკრატიის აკვანი დაირნა. რ. მ.) დემოკრატიისთვის მებრძოლ უურნალისტს ციხეში ჰკეტავენ, ცათამბჯენის ჩრდილში მარტინ ლუთერ კინგს ტყვიას ესვრიან და ოცდასამი წლის ქალიშვილს – ანჯელა დევისს სამუდამო პატიმრობით ემუქრებიან, ეს მაშინ, როცა ადამიანზე ზრუნვით გათეთრებული სახეები მისი კეთილდღეობისათვის სიცოცხლეს არ იშურებენ, როცა დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები მეცნიერები მსწრაფლ გადასძახებენ ერთმანეთს ადამიანის სასიკეთო ყოველ ახალ აღმოჩენას და როცა მთვარეზე ასული გმირი ამერიკელი კოსმონავტი მთელი პლანეტის გასაგონად აცხადებს: „ეს მარტო ჩვენი კი არა, მსოფლიო მეცნიერების გამარჯვება!“ მართლაც, რომ პარადოქსების ეპოქაა ჩვენი ეპოქა.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მცდარი იდეოლოგით, არას-წორი შეხედულებების ქადაგებით ჯერ კიდევ შესაძლებელია შეცდომაში შეიყვანო მარტო ცალკეული ადამიანები კი არა, მთელი თაობებიც. ამიტომ სხვებს რომ ასწავლო, ჯერ თვითონ უნდა იდგე სწორ მეცნიერულ და მეთოდოლოგიურ ნიადაგზე. ჩვენი ესთეტიკისათვის ანბანური გახლავთ ის ჭეშმარიტება, რომ ტენდენციის გარეშე ხელოვნება არ არსებობს, რომ იგი ყოველთვის იყო საზოგადოების გარკვეული ფენის, გარკვეული კლასის ინტერესების გამომხატველი. მას შემდეგ, რაც ლიტერ-

ატურამ და ხელოვნებამ საზოგადოებრივი აზრის „ბარომეტრის“ ფუნქცია შეიძინა, იგი სხვადასხვა კლასის ხელში სხვადასხვა მიმართულებისა და მსოფლიმსედველობის მეინახედ იქცა. ასეა ახლაც. დღეს მსოფლიოში არაერთი ესთეტიკური მიმართულება და უამრავი მწერალთა დაჯგუფებაა. მათი სწორი თუ არას-წორი შეხედულებანი ერთ მიზანს ემსახურება: ზემოქმედება მოახდინონ ადამიანის სულზე. მაგრამ ადამიანის სულზე ზემოქმედება მკრეხელობაა, თუ მას სიკეთისათვის, სიმართლისათვის ბრძოლის შარავანდედი არ მოსავს. ამისათვის კი საჭიროა სწორი მეცნიერული წარმოდგენა გვქონდეს ადამიანზე, მის განვითარებაზე, მის სულიერ ცხოვრებაზე, ვემსახურებოდეთ იმ საზოგადოებას, რომელსაც მიზნად მშვიდობისათვის, სიკეთისათვის, პროგრესისათვის ბრძოლა დაუსახავს.

ადამიანის თანდაყოლილი თვისება ისიც გახლავთ, რომ მას მიბაძვის უნარი გააჩნია. მიბაძვის უცნაური თვისება ადამიანს ესთეტიდ აქცევს. „ადამიანი თავისი ბუნებით მხატვარია. იგი ყოველ ვითარებაში შეძლებისდაგვარად ცდილობს გაიღამაზოს ცხოვრება“, – წერდა მ. გორკი. მიბაძვის, ათვისების, გადაღების უნარი აძლევს საშუალებას ადამიანს დაბადებიდან ოცი წლის განმავლობაში გაიაროს ძირითადი მორალურ-ეთიკური ჩვევების მიღების ის სკოლა, რომლის გამომუშავებასაც მიღიონი წლები დასჭირდა. უფროსი ადამიანები რომ ერთბაშად გაჰქირნენ, ბავშვები მხეცებად გაიზრდებოდნენ – ფილოსოფისთათვის კარგა ხნის წინათ დადგენილი ეს ჭეშმარიტება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ადამიანის აღზრდის აუცილებლობას ყველა ეპოქაში. თქვენ წარმოიდგინეთ, ადამიანის სულის ფორმირების პედაგოგიურ საშუალებათაგან ხელოვნება ყველაზე შთამბეჭდავი და მოქნილი იარაღია. ლიტერატურასა და ხელოვნებას მათი ემოციური ხასიათის გამო ვერასოდეს ვერ შესცვლის ვერავითარი რიტორიკა და მეცნიერულ-ლოგიკური ქადაგებანი. ლიტერატურის ისტორიამ იცის მაგალითები, როცა ავტორები მეცნიერულ თხზულებებს ზოგჯერ ლიტერატურული ფორმით (ლექსითაც კი, ჰესიოდე, ლომონოსოვი) წერდნენ, რათა მკითხვ-

ელს უფრო დამახსოვრებოდა და ადვილადაღსაქმელიც ყოფილიყო. „ხელოვნება ცხოვრების ისეთი სახელმძღვანელო წიგნია, რომელსაც სიამოვნებით ეწაფება ისიც კი, ვისაც სახელმძღვანელოები საერთოდ არ უყვარს“, – წერდა ჩერნიშევსკი. ყველა ჩვენგანს ბავშვობიდანვე გვყავდა ესა თუ ის ლიტერატურული კერპი – დიდი ხნის განმავლობაში ჩვენი ცხოვრების იდეალს რომ შეადგენდა. რეალური გმირები ზოგჯერ მეორე უკვდავებას (და საოცრად ნალდ უკვდავებას. რ. მ.) იძენენ, როცა ლიტერატურულ გმირებად იქცევიან. ჩვენი უბის წიგნაკები სავსეა ჩვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟების გამონათქვამებით, ჩვენ ხშირად მივმართავთ მათ გულახდილი საუბრებისათვის, რჩევა-დარიგების მისაღებადაც. ჭეშმარიტი ლიტერატურა ყოველთვის განუმეორებელ გავლენას ახდენდა ადამიანზე. იმდენად დიდია ლიტერატურული პერსონაჟის პოპულარობა, რომ მას, რეალური პიროვნების მსგავსად, ზოგ ქვეყანაში ძეგლსაც კი უდგამენ. ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი ემოციური ზემოქმედება ადამიანის ფსიქიკაზე განპირობებულია იმითაც, რომ ადამიანს საშუალება ეძლევა რამდენიმე საათის განმავლობაში თვალი გადავლოს სხვათა ცხოვრებას, სხვისი თავგადასავლები და სიტუაციები საკუთარს შეუფარდ-შეუწინასწოროს და თავისთვის საგულისხმო დასკვნები გამოიტანოს. რამდენიც არ უნდა გვეჩიჩინა მკითხველისათვის, იყავ დარწმუნებული შენს შეხედულებებში და არასოდეს არ აღმოჩნდე ორჭოფთა და გულგატეხილთა მხარეზე, – ეს ყოველივე მშრალი შეგონება იქნებოდა და ყურიდან ყურში ადვილად გავლილი ადვილადვე მიეცემოდა დავიწყებას, მაგრამ მკითხველი ახლოს გაეცნო დათა თუთაშიას ცხოვრების დრამატიზმით აღსავსე დღეებს და ბევრი რამ მისთვის საცნაურო გახდა. გარდა მორალურ-ეთიკური ზემოქმედებისა, მაღალი ხელოვნება ადამიანის ჯანმრთელობაზე ახდენს გავლენას. იგი სულიერი კათარზისის, განწყობილების აწევის, ძალების აღდგენისა და გახალისების საშუალებაცაა. სიცოცხლის ბოლო თვეში ჩარლზ დარვინი წერდა: „ცხოვრება თავიდან რომ დამეწყო, მე მკაცრად დავუწესებდი ჩემს თავს,

უკიდურეს შემთხვევაში, კვირაში ერთხელ მაინც, მეკითხა ლექსები და მომესმინა მუსიკა. შეიძლება ამით მაინც შემენარჩუნებინა ჩემი ტვინის იმ ნაწილების აქტიურობა, რომელიც ახლა ატროფირებულ მდგომარეობაშია“.

განსაკუთრებით დიდია ლიტერატურის გავლენა ახალგაზრდობაზე. ახალგაზრდობას ჯერ კიდევ ბოლომდე გამომუშავებული არა აქვს თავისი მსოფლრწმენა და დამოკიდებულება სხვადასხვა ცხოვრებისეულ პრობლემასთან. ამიტომ ისინი, უპირველეს ყოვლისა, ექცევიან ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი მამობილიზებელი ძალის ქვეშ. ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა სწორედ ახალგაზრდა თაობის აღზრდა გახლავთ. უძლიერეს და უზარმაზარ ახალთაობის არმიას ჩაუნერგო მაღალკაცობრიული თვისებები, გააღვივო და განავითარო მათს წარმოდგენაში ჰუმანური პრინციპები, შექმნა შთამბეჭდავი სახე, რომელიც თაობებს წაიყვანს სწორი, პროგრესული გზებით – ეს ურთულესი მისიაც, ჩვენმა ლიტერატურამ უნდა შეასრულოს.

მკითხველს ჭეშმარიტი მწერლისა რაღაც მაგიური ძალით სჯერა. განუზომელი იყო ყოველთვის უბრალო მოკვდავთა შორის მწერლის ავტორიტეტი. ძველი ბერძნები ფილოსოფოსებსა და მწერლებს ღმერთების ტოლებად, წინასწარმეტყველებად თვლიდნენ. ამიტომაც ასე პოპულარულია ჩვენში რუსთაველის აფორიზმები, სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები... მაგალითად, წამდაუწუმ ვიმეორებთ აფორიზმს: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“, მაგრამ ამ სტრიქონით გამოთქმული ჭეშმარიტება თითქოსდა აღმოჩნდა არ უნდა იყოს; შერცხვენილ სიცოცხლეს რომ სიკვდილი სჯობს, ეს კარგად არის ცნობილი იმისთვისაც, ვისაც, „ვეფხისტყაოსანი“ თვალითაც არ უნახავს. მაგრამ ამ აფორიზმის გენიალობა იმაშია, რომ იგი სხარგად, შთამბეჭდავად, ლამაზადაა ნათქვამი, ხოლო მისი უზარმაზარი ემოციური ძალა იმაშია, რომ სხვა ვინმექსი კი არა, რუსთაველის ნათქვამია რვაასი წლის წინათ. საუკუნეთა მიერ გამოცდილი ამ ბრძენის ნათქვამისა ახლა რომ ღმერთი-

ვით გვჯერა, ამიტომაც ხშირად ჩვენი სიტყვისათვის მეტი დამაჯერებლობის მისანიჭებლად დავუმატებთ ხოლმე – რუსთაველმა თქვაო.

ლიტერატურა უაღრესად სათუთი იარაღია და ბლაგვ ხელში კი იგი მიმოზასავით ჰკარგავს მომხიბვლელობას. საკმარისია თუნდაც ერთ ყალბ პათეტიკაში და შესამჩნევად ხელოვნურ გამონაგონში დაგიჭიროს მკითხველმა, რომ იგი მერე დიდხანს აღარ დაგიჯერებს. ცხოვრება თავისთავად თავის პერსპექტიულ განვითარებაში ოპტიმისტურია. კაცობრიობის ისტორია ჩვენი საუკუნის მოქალაქეს ბევრს რასმე საიმედოს და სასიკეთოს აღუთქვამს. მწერლობამ მკითხველს მომავლისადმი, სიცოცხლისადმი, პატიოსნებისადმი და სიყვარულისადმი რწმენა უნდ გაუღვივოს, ცოტა ხნით მაინც უნდა დაავიწყოს ადამიანური სისუტესა და ფატალურ მომენტებზე ფიქრი, უნდა დაეხმაროს ჭირსა შიგან გამაგრებაში, თორემ მკითხველთა დიდმა უმრავლესობამ მშვენივრად იცის, რომ ბოლოს მაინც ყველანი უნდა დავპერდეთ და ამ ქვეყნიდან უნდა წავიდეთ. მშვენივრად იცის, რომ ცას არავინ გამოვეკერებით და მუდმივი სიცოცხლის ყველაზე თავდაჯერებული ცდები ფარაონთა შებოლილი და დასახიჩრებული მუმიების სახით არც თუ ცოტა გვხვდება ლონდონისა და კაიროს მუზეუმებში. თუ ამას დავუმატებთ ჩვენს პლანეტაზე ჯერ კიდევ გავრცელებულ უთვალავ ავადმყოფობას, მომავალი ომის (რომლის საშიშროება ჯერ კიდევ არსებობს) საშინელ დამანგრეველ უნარს და ათასგვარ მიწისძვრა-წყალდიდობებს – ამ არასასიამოვნო გარემოებებზე დაუინებულმა ხაზგასმამ შეიძლება კაცს განწყობილება გაუფრქოს, საკუთარი ძალებისადმი რწმენა დააკარგვინოს. დღეს ჩვენ საშუალება გვაქვს თვალი გავადევნოთ მსოფლიოს ლიტერატურულ ცხოვრებას და დავრწმუნდეთ, რა გრანდიოზულ საქმეს აკეთებს ჩვენი სამყაროს მომავლისათვის პროგრესული მწერლობა და რა უარყოფით გავლენას ახდენენ მკითხველთა ერთ ნაწილზე მოყირჭებული „წმინდა ხელოვნებისა“ და ზოგჯერ აშკარად რეაქციული მსოფლმხედველობის მწერლები.

რა არის ადამიანის დანიშნულება, რისთვის გავჩნდით და სად უნდა წავიდეთ? ეს კითხვები ადამიანს ცივილიზაციის ბავშვობის ხანიდანვე აწუხებდა. ადამიანის რაობის ცოდნა დიდხანს იყო ჩანასახოვან მდგომარეობაში. დღესაც ანთროპოლოგიური პრობლემატიკა თანამედროვე ფილოსოფიისათვის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემათა რიგს განეკუთვნება. ხშირად „ადამიანობის“ ტიტულის მინიჭება სოციალური დიფერენციის ნიშნით ხდებოდა. მაგალითად, მონათმფლობელურ საზოგადოებაში მონებს ადამიანებად არ თვლიდნენ მსოფლიო ცივილიზაციის ისეთი ძვირფასი ფიგურებიც კი, როგორიც არისტოტელე და პლატონი იყვნენ. არისტოტელე მონებს „მოლაპარაკე იარაღ“ ეძახდა, ხოლო პლატონი კი „მხეცთა ერთ-ერთ გვარეობად“ თვლიდა. აგერ მეცხრამეტე საუკუნეშიც (და დღესაც, ბურუუზიულ ფილოსოფიაში. რ. მ.) ადამიანის არსისა და დანიშნულების ახსნა ზოგი ფილოსოფოსის მიერ უცნაურ და ახირებულ ხასიათს იღებდა.

ა. შოპენპაუერი თვლის, რომ ადამიანი ბოროტი არსებაა, ნიადაგ გამსჭვალული – ბოროტი, დაუკმაყოფილებელი ვნებებით. ადამიანი ვერასოდეს გამოვა ამ მდგომარეობიდან, რადგანაც სამყაროს მართავსო რაღა ბრმა, ირაციონალური ძალა.

ფ. ნიცშე თვლის, რომ ადამიანის მოქმედებას გონება კი არა, ინსტინქტი მართავს. თანაც, უმეტეს შემთხვევაში, ცხოველური ინსტინქტი. ამიტომაც ადამიანში წმინდა არაფერი არის. „უხერხული რამ ადამიანისათვის არ არსებობს. ყველაფერი შეიძლება, ყველაფერი დასაშვებია“, – აღიარებს ფ. ნიცშე. ასეთია მისი ირაციონალიზმი და უნაპირო ვოლუნტარიზმი.

მეოცე საუკუნის ოციან წლებში ო. შპენგლერს მიაჩნდა, რომ ადამიანი ყველა ცხოველზე უფრო მტაცებელი ცხოველია.

დღესაც სუბიექტური თუ ობიექტური იდეალიზმის თანამედროვე წარმომადგენელთა ნაშრომები სავსეა ადამიანისა და ადამიანობის შესახებ მცდარზე უმცდარესი წარმოდგენებით.

სქოლასტიკური ნორმებისადმი მონურ მორჩილებას დარუნებას გვირჩევენ პერსონალიზმი და ნეოთომიზმი.

პრაგმატიზმი წარმატების მოსაპოვებლად ყოველგვარ გზას დასაშევბად თვლის.

ეგზისტენციალისტისათვის ადამიანი იზოლირებული, საზოგადოებას მოწყვეტილი არსებაა. თითქოსდა ადამიანს არავითარი საზოგადოებრივი ინტერესები არ გააჩნია. გარდა ბელადებისა და გენიოსებისა, ყველანი თავისი საკუთარი ინტერესებისათვის იღვნიან, ადამიანი ცხოვრობს იმისათვის, რომ მოკვდეს, სიკვდილი უმაღლესი ნეტარებაა. ადამიანის უმთავრეს ბედნიერებას ეგზისტენციალისტი ხედავს იმაში, რომ იგი საზოგადოების წევრია, საზოგადოება, – ამბობს იგი ადამიანს ინდივიდუალობას ართმევს, თავს ახვევს სტანდარტულ შეხედულებებს, გემოვნებას, ზენ-ჩვეულებებს...

არ შეიძლება ნაწარმოების საერთო პათოსი ავადმყოფურის და უკუღმართის ხაზგასმა და აპოლოგია იყოს. შექსპირის ტრაგედიებში თითქმის ყველა მთავარი მოქმედი პირი იღუპება, მაგრამ ერთი წუთითაც არ დაეჭვდება კაცი ამ ტრაგედიებში ჩადებულ მწერლისეულ ტენდენციაში – ქვეყნად სამართლიანობამ და სიკეთემ უნდა იზეიმოს – ისმის გენიალური ინგლისელის თხზულებათა ქვეტექსტებიდან.

ადამიანში შერწყმულია სოციალური და ინდივიდუალური, შეგნებული და სტიქიური, რაციონალური და ემოციური მომენტები, ამიტომაც ადამიანის კვლევა ურთულესი საქმეა. როცა მწერალი თავის პერსონაჟს უკვე აღმოჩენილი და გახსნილი ხასიათის სქემით მიუდგება, ან წინასწარაკვიატებულად აყენებს მას მხოლოდ სიუჟეტის დახლართვას ემსახურება, ხელთ გვრჩება ვნებადაცლილი, უფერული სახე, რომლის ბედი მკითხველს არც აღელვებს და არც რაიმე საგულისხმოს შესძენს. მითუმეტეს ძნელია თანამედროვე ადამიანის ურთულეს ფსიქიკაში წვდომა და ჩვენი ეპოქის განსაზოგადოებული ინდივიდის მართლად ჩვენება.

ჩვენს თანამედროვეს, ცივილიზებული მსოფლიოს რომელ ნახევარსფეროზეც არ უნდა ცხოვრობდეს იგი, ბუნებრივია, რამდენიმე საერთო თვისება გააჩნია: ნერვიული ეპოქა – ასე

ახასიათებენ ჩვენს დროს უურნალისტები, მართლაც თავბრუდამცვემა სიჩქარემ ძალიან დაგვაშორა ტოლსტიოს აკადემიურ დროს... დროის პრობლემა თანამედროვის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავთაგანია. ჩვენ ნიადაგ შევჩივით ერთმანეთს „ვერ მოვასწარის“ მოდად ქცეული ჩივილით. უამრავი გაზეთი, რადიო, ტელევიზია, კომპიუტერი, გართობის ათასგვარი საშუალებანი, ყოველ ფეხის ნაბიჯზე კინო და ფოიერვერკი, ერთიმეორეს მიყოლებული საზეიმო თარიღები... ტექნიკის უსწრაფესმა განვითარებამ, გადააგილების მოხერხებულმა საშუალებებმა შეცვალა ჩვენი ცხოვრების სტილი. შუასაუკუნოვანი გალავნიდან ქუჩაში ერთბაშად გამოსვლამ და აქტიურ საზოგადოებრივი არსებად ქცევამ ჩვენ უამრავი პირადი თუ საზოგადოებრივი დავალებით დაგვტვირთა. დრო თითქმის აღარ რჩება გრძელი წვეულებების, ვიზიტებისა და სალონებისათვის. ეპისტოლარული დრო წავიდა. ქუჩაში შემთხვევით შეხვედრილ საკუთარ მამასაც კი ზოგჯერ წამდაუწუმ საათზე ყურებით ველაპარაკებით. სტანდარტიზაციამ ჩვენს სულზეც გავლენა მოახდინა; თითქმის ყველანი სტანდარტულ, მრავალსართულიან ბინებს შევეხიზნეთ და „სახლის პატრონთა“ ან „მცხოვრებთა“ წაცვლად სახლმართველობის „მომხმარებლებად“, მობინადრეებად ვიქეცით. თქვენ წარმოიდგინეთ, მთვარის დაპყრობის შემდეგაც კი ჩვენ სხვანაირები გავხდით: ერთი მხრივ, გონების უძლეველობისადმი რწმენა განგვიმტკიცდა, ხოლო, მეორე მხრივ, რაღაც დაგვაკლდა, რაღაც პოეტური და ლირიული, – როცა შევიტყვეთ, რომ მთვარე მტვრით დაფარული უსიცოცხლო გრუნტი ყოფილა და მეტი არაფერი. მოსახლეობის ზრდა – განსაკუთრებით დიდ ქალაქებში საგრძნობი, – ადამიანის ფსიქიკაზეც ახდენს გავლენას. გადატვირთული ქუჩა, მეტროს ექსკალატორი, რიგი, მოქალაქეთა ნიველირების სხვადასხვა ფორმა დიდი ქალაქისათვის დამახასიათებელი, – ადამიანს რაღაც ახალი თვისებებით ავსებს; საზღვარგარეთ სოციოლოგებს უკვე აშფოთებთ ტექნიზაციის უსაშველო პროგრესის შედეგები. „ადამიანი ვერ გაუძლებს ქაოტურობას“, „გადავარჩინოთ ტექნიზაციის მარწუხებისაგან,

„უკან დიკენსისაკენ“, „დავუბრუნდეთ ცვრიან ბალახს და გამოქვაბულებს“ – ასეთი ლოზუნგებით ამჟამად ხელოვანთა მთელი ჯგუფები გამოდიან. რა თქმა უნდა, გამოქვაბულებს ჩვენ აწი ვეღარ დავუბრუნდებით (და არცაა საჭირო), მაგრამ ადამიანის სულს რომ ატომის ეპოქის შესაფერისი ფორმირება სჭირდება, ეს უდავოა.

მეოცე საუკუნე მსოფლიო ისტორიაში შევიდა როგორც უაღრესად რთული სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების საუკუნე. მას ხშირად პარადოქსების საუკუნესაც უწოდებენ. ეს არის რევოლუციების, სამოქალაქო თუ მსოფლიო ომების, მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების და ღირებულებათა გადაფასების ურთულესი საუკუნე. ამ საუკუნეში დედამიწამ გადაიტანა ორი გლობალური მსოფლიო ომი, რასაც მსოფლიოსათვის დამანგრეველი შედეგი და სახელმწიფოთა საზღვრების შეცვლა მოჰყვა. ამ საუკუნეშივე ადამიანის სულის კანიბალურ გამოვლენათა პარალელურად, დიდი ერების მიერ მცირე ერთა დასჯა-დაპყრობის, შუასაუკუნური მეკობრეობის პარალელურად, განვითარდა და არნახულ სიმაღლეებს მიაღწია კულტურამ, მეცნიერებამ, როდესაც მეოცე საუკუნის ადამიანის ლიტერატურული იერსახის შექმნის პრობლემაზე ლაპარაკობენ, ფილოლოგი მეცნიერები ხშირად მიდიან იმ დასკვნამდე, რომ მეზობელი მეცხრამეტე საუკუნის ადამიანი უფრო სრულყოფილად აისახება მსოფლიო ლიტერატურაში, ვიდრე მეოცე საუკუნისა. ამას მეცნიერები ორგვარი მიზეზით ხსნიან: 1) მეოცე საუკუნის ლიტერატურის განვითარების ბარომეტრმა მეცხრამეტე საუკუნის მაჩვენებელთან შედარებით დაბლა დაინია, თითქოსდა, მეოცე საუკუნეში არ დაიბადა არც ერთი გენიალური მწერალი, ისეთი როგორიც იყვნენ: ლევ ტოლსტოი, გოტე, შილერი, ჰიუგო, ბალზაკი, დიკენსი, თეკერეი, ილია ჭავჭავაძე...

2) მეორე მიზეზად მეოცე საუკუნის ადამიანი რომ სრულად ვერ დაიხატა მწერლობაში, იმას ასახელებენ, რომ მეოცე საუკუნის ადამიანი თავისი ფსიქიური წყობით და ცხოვრების წესითაც გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის

მოქალაქე, ადამიანი გართულდა იმიტომ, რომ ცხოვრება გართულდა. მეოცე საუკუნის მოქალაქის კვლევა, მისი სულიერი პორტრეტის შექმნა ტრადიციული ლიტერატურული უანრებით და მეთოდებით ვერ ხერხდება.

მაინც რამ შეუწყო ხელი და რით გამოიხატება მეოცე საუკუნის ადამიანის რთული და წინააღმდეგობრივი ხასიათი? უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ფსიქიკაზე ტოტალური ისტორიული კატაკლიზმების ზემოქმედებით. კერძოდ, ათეული საუკუნეების განმავლობაში ადამიანის სულის გაკეთილშობილება-გალამაზებისათვის გაისარჯა მსოფლიოს ცივილიზაცია. ადამიანს ეგონა, რომ ჰუმანიზმისა და სიკეთის პრინციპის დამკვიდრებისათვის ჰომეროსის, დანტეს, რუსთაველის და სხვათა რუდუნება ადამიანის სულის სასიკეთო ფორმირებისათვის სასურველ შედეგს გამოიღებდა და სწორედ მეოცე საუკუნეში, როცა ადამიანს წინ ედო მისი ხელით და გონებით შექმნილი მსოფლიოს შეიდი საოცრება, როდესაც საუკუნეთა განმავლობაში მოძღვრავდა მას რელიგია და ხელოვნება, არა იქურდოს, არც კაც ჰელას, მოყვასის სიყვარულის უკვდავი პრინციპებით, კიდევ ერთხელ გაირკვა, რომ თურმე, ადამიანი მეოცე საუკუნისა მის არსებაში ჩაბუდებული სიავის მასშტაბებით დიდად როდი განსხვავდება გამოქვაბულის წინ მდგარი თავისი შორეული წინაპრებისაგან. მეოცე საუკუნის ოთხმა ყველაზე კულტურულმა ერმა (გერმანელებმა, რუსებმა, ინგლისელებმა და ამერიკელებმა) მსოფლიოს ისეთი მეხთატება დაატეხება თავს და ადამიანთა მასობრივი განადგურების ისეთი საშუალებები შექმნა, რომ მსოფლიო კიდევ დიდხანს იქნება გაოცებული.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ წინააღმდეგობრივი, ურთიერთგამომრიცხავი, რებუსური, ძნელადამოსაცნობი ფენომენი შექმნა მეოცე საუკუნის მოქალაქეთა გონებაში. ჩვენი საუკუნე ჭეშმარიტად პარადოქსების საუკუნეა. ადამიანის ორგანობის გადანერგვის ოპერაციებს ვატარებთ და გრიპი ვერ მოგვირჩენია. საოცარი ნახტომი გააკეთა ტექნიკამ ოჩოფეხებიდან თვითმფრინავამდე, გამოქვაბულიდან ცათამბჯენამდე. კოს-

მოსის დაპყრობამ ადამიანი, ერთი მხრივ, მთვარის დაპყრობის შემდეგ რაღაც რადიკალურად შეიცვალა ადამიანის ბუნებაში, რაღაც ჩაკვდა მასში. ადამიანი საუკუნეების განმავლობაში უმღეროდა მთვარეს, შესცქეროდა მას, როგორც ოქროსფერ ციურ სხეულს და როდესაც ამერიკელებმა მთვარეზე დაადგეს ფეხი, მსოფლიოსათვის ერთბაშად გახდა ცხადი, რომ მთვარე არც მეტი, არც ნაკლები, უსიცოცხლო გრუნტი ყოფილა. ამ ფაქტებმაც თავისი დანაშრევი დატოვა ჩვენს სულში.

მეოცე საუკუნის მსოფლიო კატაკლიზმებმა საუკუნეთა განმავლობაში ურყევ ჭეშმარიტებად მიჩნეული ზოგიერთი ეთი-კურ-ზნეობრივი პრობლემაც სხვა კუთხით წარმოგვიჩინა. ვერ იფიქრებდნენ დანტე, რუსთაველი ან შექსპირი, თუ ოდესმე, მსოფლიო სხვა თვალით შეხედავდა სიყვარულის, სიკეთის, დედაშვილობის პრობლემასაც კი. თუ კლასიკოსები საუკუნეთა განმავლობაში უმღეროდნენ ერთ სიყვარულს (მონოსიყვარულს) და თითქმის ამ პრობლემაზე შეიქმნა მსოფლიოს კლასიკური მწერლობა, მეოცე საუკუნემ თავისი წეორეალიზმით, სუბიექტური იდეალიზმით, ეგზისტენციალიზმით თუ პრუსტოლოგიური თეორიებით გაათავისუფლა ადამიანი ე. წ. „ერთი სიყვარულის“ არტახებიდან და დაამტკიცა, რომ სიყვარული იმდენჯერ შეიძლება მოვიდეს ცხოვრებაში, რამდენჯერაც ადამიანს მისი მიღება შეუძლია. ეს კი ერთგვარი ახალი ცხოვრების დასაწყისი იყო. ასევე, მეოცე საუკუნის ადამიანი გათავისუფლდა საუკუნეების განმავლობაში განმტკიცებული ოჯახურ-პატრიარქალური წარმოდგენებისაგან. უფრო მეტად დასუსტდა ის ძაფი, შვილს რომ მშობლის კალთასთან აკავშირებდა. ურბანიზმა და მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ ის მოიტანა, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მშობელი თავისი 16 წლის შვილზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნის. სწორედ მეოცე საუკუნის ბოლოს შემთხვევით ბიოლოგიურ ერთობად მიიჩნევდა სისხლით ნათესაობას ზოგი ფილოსოფოსი, ბიოლოგი, ანთროპოლოგი. ამ ურთიერთგამომრიცხავი დინებების და მოტივების გამო მეოცე და ოცდამეერთე საუკუნის ადამიანი რთული ფენომენია.

ლიტერატურის განვითარების გზაზე არანაკლები სირთულე შექმნა ჟანრთა დაბერების პრობლემამაც. ჩვენ თვალწინ დაუთმო პოზიციები რომანს და თითქმის მოდიდან გავიდა კლასიკური ლიტერატურის უმთავრესი ჟანრი – ეპიკური პოემა. იშვიათზე იშვიათად იწერება ოდები, ელეგიები, იგავ-არაკები და ა. შ.

საქართველოს ისტორიაში მეოცე საუკუნე განსაკუთრებული საუკუნე იყო. განსაკუთრებული იყო იგი იმ უბედურებების მასშტაბებით, რაც საქართველოს დაატყდა თავს ამ საუკუნეში. გარეშე მტერთაგან დაუძლეურებული საქართველო, ჯერ გიორგიევსკის ტრაქტატით თავის ფრთებქვეშ შეიტყუა ორთავიანმა არნივამა, რუსეთმა, ხოლო შემდეგ რუსეთის ცინიზმი იქამდე მივიდა, რომ მეგობრული მისით მის კალთას შეფარებულ სახელმწიფოში 1801 წელს საქართველოს სამეფო ტახტი, ე. ი. საქართველოს სახემწიფოებრიობა და შემდეგ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა. ეს ისეთი გაუგონარი სითავხედე გახლავთ, რომ მსგავსი ბოროტება საქართველოს მიმართ არც ერთ მტერს არ ჩაუდენია, მოუხდავად იმისა, რომ თავის ძნელბედობის მანძილზე საქართველოს მტრები არ აკლდა. საქართველოს დამოუკიდებლობა, როგორც სახელმწიფო, ისე რელიგიური, მანამდე არც ერთ დამპყრობელს, არც არაბს, არც მონღლოლს, არც სპარსს არ გაუუქმებია. საქართველოს სახელმწიფოს მსოფლიო არენიდან წაშლის ამ კანიბალურ აქტს, სრულიად ბუნებრივია, რომ საქართველო ვერ შეეგუებოდა, ამიტომაც მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეები ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ნიშნით ჩატარდა. საქართველოში დაიწყო აჯანყებების და შეთქმულებების სერია 1804 წლის, 1912 წლის, 1832 წლის, 1905 წლის, 1917 წლის, 1990 წლის და ა. შ. ცარიზმი საშინელი დესპოტიზმით და ტლანქი მეთოდებით სპობდა საქართველოს ეროვნულ თვითმყოფადობას, იქამდეც კი, რომ მან ქართულ სკოლებში ქართული ენა გააუქმა და არა მარტო სკოლაში, საერთოდ ამოიღო ქართული ენა ხმარებიდან და სახელმწიფო ენად რუსული ენა შემოიღო. ერთადერთი ქართული გაზეთი „თბილისის უწყებანი“, ჯერ რუ-

სულ ენაზე გამოდიოდა („Тифлисские ведомости“) და მერე ქართულად ითარგმნებოდა. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეცხრამეტე საუკუნის მთელ მანძილზე რეკავდნენ ზარებს საქართველოს გასაღვიძებლად და ერში ცარიზმისადმი პროტესტის გრძნობას აღვივებდნენ. საქართველოში ეროვნული ცნობიერების დამკვიდრებას და პატრიოტული მოძრაობის ფართოდ გაშლას მეცხრამეტე საუკუნეში განსაკუთრებული შეუპოვრობით ემსახურებოდნენ სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი განერელია, ვაჟა-ფშაველა, კირილე ლორთქი-ფანიძე, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი და სხვანი.

რამდენადაც დრამატული იყო მეცხრამეტე საუკუნე ხალხთა საპყრობილები მგმინავი კოლონიური ჩაგვრის უდლის ქვეშ მყოფი საქართველოსთვის, იმდენად გაცისკროვნებულია საქართველოს ისტორია ეროვნული ბრძოლის თავკაცთა აქტიურობით და მკაცრი რეჟიმისადმი შეურიგებლობით. მართალია, ეს ბრძოლა, თვით თავკაცთათვის სავალალოდ დამთავრდა: 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი გადაასახლეს. ილია ჭავჭავაძეს წინამურთან ტყვია ჰკერეს შუბლში, მაგრამ საქართველოს ეროვნულ ბელადებს ამ დროისთვის თავიანთი საქმე უკვე გაკეთებული ჰქონდათ. ჰერში თავისუფლების სუნი ტრიალებდა. მეოცე საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიას აშკარად დაუდგა შეტორტმანების ავბედითი დრო. თვით რუსეთის მოქალაქეთა უმეტესობას აღარ შეეძლო და აღარ სურდა ძველებურად ცხოვრება, რაიც ბადებდა იმპერიის შიგნიდან აფეთქების იმედს, ხოლო რუსეთის იმპერიაში ძალით შერეკილ ეროვნულ უმცირესობებს უნერგავდა იმის რწმენას, რომ ადრე თუ გვიან შეიძლება თვითმცყრობელობა დამხობილიყო და ჩაგრულ ერებს თვითგამორკვევის უფლება მოეპოვებინათ. ამ გარემოებამ გამოიწვია ხსნის გზების ძიების ურთულესი პროცესი და პარტიათა და იდეურ მიმდინარეობათა განსაკუთრებული სიჭრელე. იმპერიის მოქალაქეთა ერთმა ნაწილმა თვითმცყრობელობის გლობალური მოსპობისათვის იმ დროს ევროპაში დაბადებული

მარქსისა და ენგელსის მოძღვრება ამოარჩია. ამ მოძღვრების გადმომტანნი და რუსეთის იმპერიაში დამნერგავნი იყვნენ ლენინი და სტალინი.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოში დომინანტობდა სამი ფილოსოფიურ-პოლიტიკური მოძღვრება ანუ სამი ფილოსოფიურ-ესთეტიკური სკოლა: 1) რევოლუციური დემოკრატია ანუ განმანათლებლობა, რომელსაც საქართველოში „სამოციანელთა სკოლას“ ეძახდნენ; 2) ხალხოსნობა; 3) სოციალ-დემოკრატია.

რევოლუციურ დემოკრატიას ჩვენ ვეძახით ქართველ სამოციანელთა სკოლას, ანუ ილია ჭავჭავაძის სკოლას. განსხვავებით მეოცე საუკუნის დასაწყისის რუსეთისაგან, სადაც გენიალური „რაზნოჩინელნი“ ჩერნიშევსკის, ბელინსკის, პისარევის, ტურგენევის, გერცენის და სხვათა სახით უკვე აღარ იყვნენ ცოცხალნი, საქართველოში, ჩვენდა საბედნიეროდ, მეოცე საუკუნის დასაწყისში მძლავრად ისმოდა ქართველ სამოციანელთა ხმა. ილია ჭავჭავაძეს და მის რაზმს მუხლჩაუხელი ბრძოლით და თვითმცყრობელობისადმი უკომპრომისობით მოპოვებული ჰქონდა ერის სულიერი ბელადობის მისია და საქართველო ყურს უგდებდა მათ. რა სურდა ი. ჭავჭავაძეს? მიუხედავად იმისა, რომ საუკუნის დასაწყისის გაზიერები ილიას აკრიტიკებდნენ – „ჩვენი ბელადი ილია“, არა მარტო ფიზიკურად, არამედ აზრითაც საკმაოდ დაბერდაო“, ვინც ილიას ბოლოდროობინდელ ნაწერებს იცნობს, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ XIX საუკუნის საქართველოს სულიერი მამა კარგად იცნობდა თავისი დროის სხვადასხვა პოლიტიკურ მიმდინარეობას და მათ შორის მარქსიზმსაც. საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, ახლაც დევს მის მიერ წაკითხული მარქსის „კაპიტალი“, რომლის არმიებზე აბზაცს ილია ასეთ კომენტარს უკეთებს: „ეს საქართველოს არ სჭირდება“. უთანხმოება მარქსისტებთან ილია ჭავჭავაძისა, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოხატებოდა, რომ ილიასთვის მიუღებელი იყო ლოზუნგი – „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით“ და მსოფლიოს პოლიტიკურ ძალთა გაერთიანებაში

ილია ეროვნული თვითმყოფადობის წაშლის საშიშროებას ხე-დავდა. ჩვენი მთავარი საქმე ქართლის ბედია, რუსეთის კლან-ჭებიდან მისი გამოხსნა, რაშიც მე რუსეთის პროლეტარიატი ვერ მომეხმარება, იმიტომ, რომ მის წინაშე ეროვნული ბრძოლის იდეა მთელი სიმწვავით არ დგასო. განთავისუფლებულ საქა-რთველოში ჩვენ შეგვიძლია მშვიდად დავსხდეთ და ავირჩიოთ საქართველოს მომავლის ჩვენთვის სასურველი ეკონომიკური თუ პოლიტიკური გზა. გნებავთ პარლამენტური, მონარქიული, კონსტიტუციურ-დემოკრატიული და გნებავთ ბურჯუაზიული. რა თქმა უნდა, მარქსიზმის მიმდევარნი ვერ დაეთანხმებოდნენ ილიას, რაკიდა თვლიდნენ, რომ მხოლოდ რუსეთის პროლეტარიატის უშუალო თანადგომით შეიძლებოდა საქართველოს განთავისუფლება. „რუსი მე თავისუფლებას ვერ მომიტანს“ – იმეორებდა ილია და დრომ მისი სიტყვები დაამტკიცა. რუსე-თის ე. წ. დემოკრატიულმა ძალებმა მარქსიზმის დროშის ქვეშ დაამხეს ცარიზმი და, აქედან გამომდინარე, იმპერიაც, მაგრამ საქართველო თავისუფლებას მხოლოდ დროებით (1918-1921 წ.).) ეზიარა. მომძლავრებულმა წითელმა რუსეთმა ანუ მოდერნიზებულმა იმპერიამ თავისუფალი საქართველო ისევ დაიპყრო, ილია ჭავჭავაძის მონამეობრივი ცხოვრება ჩვენთვის ნათელი მაგალითია არა მარტო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მე-ბრძოლი ერის სულიერი მამისა, არამედ დიდ შვილებთან ქა-რთველთა დამოკიდებულების არცთუ თავმოსაწონ თვისებასაც უსვამს ხაზს. ილიას ტყვია ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ესროლეს, ხოლო სანამ ტყვიას ესროდნენ, სამოცდაათს მი-ტანებულ მოხუცს ყოველმხრივ განქიქების ნიაღვარი დაატეხეს თავს. მძაფრი კრიტიკის ერთ-ერთი პირველი მერცხალი 1893 წელს გამოცემული მაჩაბლის ბროშურა იყო – „თავადი ილია ჭავჭავაძე“. არ არსებობს სალანდლავი სიტყვები, მაჩაბელმა რომ არ გამოიყენა ილია ჭავჭავაძის მისამართით. თუ ბროშუ-რას დავუჯერებთ, ილია იყო გულქვა, უნიჭო, განდიდების მანი-ით შეჰყურობილი, გლეხებისადმი ზიზღით გამსჭვალული, ძუნწი პიროვნება. ილია ჭავჭავაძემ ვანო მაჩაბლის ამ განირვას და სხ-

ვათა თავაგდებულ ლანძღვას თავისი მძაფრი სარკაზმით უპა-სუხა. რას გააკეთებს ეს ლაშქრობა ილიას წინააღმდეგ? 1907 წელს იგი საბედისწერო გასროლით დასრულდა.

როგორც აღვნიშნეთ განსხვავებით რუსი რაზნოჩინელები-საგან, საქართველოში ჯერ კიდევ ცოცხლები არიან და არა მარტო ლიტერატურულ, არამედ პოლიტიკურ ამინდსაც ქმნიან ქართველი სამოციანელები (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე...). ისეთი ძლიერი აღმოჩნდა მეოცე საუკუნის დასაწყისის იდეურ დაპირისპირებათა ეპოქისმიერი შხამი, რომ ბრძოლამ მეცხრამეტე საუკუნის სულიერი მამა შეინირა. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემსწავლელმა კომისიამ მოიძია მასა-ლები, საიდანაც დადასტურდა, რომ ილიას მკვლელობის კვალს სოციალ-დემოკრატებამდე მივყავართ. სოციალ-დემოკრატთა ორმა კრებამ გურიის სოფელ ბახვსა და ქართლის სოფელ ბინ-მენდში ერთდროულად დაადგინა, მოკლულ იქნეს თავადი ილია ჭავჭავაძეო. ჩვენდა სავალალოდ, სოციალ-დემოკრატთა მიერ დაქირავებული მკვლელები ილია ჭავჭავაძეს რომ ჩაუსაფრდნენ, საგურამოს მოსახლეობისათვის ცნობილი იყო. თითქოსდა, მტ-კვრის ნაპირას მდგომი გლეხები ელოდებოდნენ, როდის გამოაღ-ვიძებდა წინამურში გასროლის ექმ საქართველოს და როდის აუხელდა მას თვალს, რათა მტერ-მოყვარე ახლა მაინც გაერჩია.

სად იყო აკაკი წერეთელი? მეცხრამეტე საუკუნის ეროვნუ-ლი ბრძოლის დიდი ტვირთი მეოცე საუკუნემ უნდა შეიდგას მხრებზე, რადგან ჩვენ ეს ტვირთი ბოლომდე ვერ მოვიტანეთო, – წერდა აკაკი წერეთელი საუკუნის დასასრულს.

1907 წლის თებერვალში კინტოები დაარბენინებდნენ სატ-ირულ-იუმორისტულ უურნალს და გაპყვიროდნენ – „იყიდეთ „ხუმარა“ – თბილისის გუბერნატორი ვირის თავ-ფეხით არის დახატულიო. უურნალის გამომცემელი იყო აკაკი წერეთელი. „ხუმარას“ ყდაზე გამოსახული იყო თბილისის გენერალ-გუბერ-ნატორი, ქართველთმოძულე რაუშ ფონ ტრაუბენბერგი. კარიკა-ტურის ავტორი იყო გიგო ზაზიაშვილი, ხოლო ლექსისა – აკაკი წერეთელი. ლექსი გვაუწყებდა:

დიდყურაანთ ყროფინას ჩვენები ეჯავრება, საიდანაც მოსულა, იქეთ მიეჩარება, მას ნიშაფურს ულესავს გულმოსული მარშალი, რომ აქ აღარსად დარჩეს იმ ვირის გზა და კვალი. კინტო კი გაოცებით შესწრებია ამ ამბავს და ხმამაღლა იძახის „ამოუსვით, რა უშავს“.

კარიკატურაზე ვირის სახით იყო გამოსახული თბილისის გუბერნატორი. იგი გაბრაზდა და ბრძანება გასცა, დაეპატიმრებინათ უურნალის რედაქტორ-გამომცემელი. უჩვეულო, თბილისში მანამდე გაუგონარი ამბავი მოხდა – პოეტი დაპატიმრეს. დილით იგი მეტების ციხეში მოათავსეს. პოეტის დაპატიმრების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ქალაქს. მეტების ციხის ქვემოთ გალავანზე ხალხი გროვდებოდა. გუბერნატორს მოახსენეს, რომ იყო საშიშროება პოეტის დაპატიმრებას ინტელიგენციის მასობრივი მღელვარებები მოჰყოლოდა და გენერალი იძულებული გახდა შეურაცხყოფა ჩაეყლაპა. მან აკაკის გათავისუფლების ბრძანება გასცა იმდღესვე, ნაშუადღევს. აკაკი მიხვდა მისი გათავისუფლების მიზეზს, რომ ეს, რა თქმა უნდა, მოქალაქეთა ზემოქმედების შედეგი იყო და განაცხადა, სანამ გუბერნატორი ბოდიშს არ მომიხდის და ციხის კარებთან ეტლს არ მომიყვანთ, აქედან ფეხის გამდგმელი არ ვარო. გუბერნატორმა, მართალია, ბოდიში არ მოიხადა, მაგრამ ეტლით კი გამოაბრძანეს აკაკი, რასაც საზოგადოება ტაშით შეეგება.

ეს ფაქტი ადასტურებს სამოციანელთა ყოფნას პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში და ასევე გვიჩვენებს ხელისუფლების სისუსტეს – წინ აღუდგეს მასათა ნებას, მაშინ როდესაც იმპერია დანგრევისწინა ჭრაჭუნს იწყებს და ქვეყნის ძველებური მეთოდებით მართვა აღარ ხერხდება. აკაკი წერეთლისთვის დაპატიმრება პირველი შემთხვევა იყო, თუმცა პასუხისმგებაში იგი უკვე იყო ნამყოფი დავით მესხის გაზეთში „მარსელიოზას“ თარგმანის დაბეჭდვისთვის.

მესამე დიდი სამოციანელი, ნიკო ნიკოლაძე, ამ დროისათვის აქტიურ უურნალისტურ-პუბლიცისტურ საქმიანობას თავს ან-

ებებს, ფოთის გამგებლის არჩევნებში იღებს მონაწილეობას და თავისი უზარმაზარი ავტორიტეტით დასაბამს აძლევს საქართველოს ერთი უაღრესად მოხერხებული სანავსადგურო ქალაქის მძლავრ ეკონომიკურ აღმავლობას.

ვაჟა-ფშაველა მეოცე საუკუნის პირველ ათეულში უარს ამბობს თავისი პატარ-პატარა ჩინოვნიკურ სამსახურებზე და იშვიათად ჩამოდის ჩარგლიდან. ვაჟას აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას თვალსაჩინოდ ხდიან მისი უაღრესად თანამედროვე ლექსები და პოეტის გამოსვლები სხვადასხვა ისტორიულ შემთხვევებთან დაკავშირებით.

ასე რომ, მე-20 საუკუნის დასაწყისის უაღრესად პარადოქსული წლები საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, ქართულ სამოციანელთა ნიშნით ჩატარდა.

ხალხოსნები – მეორე თვალსაჩინო ლიტერატურულ-პოლიტიკური სკოლა ამ დროს ხალხოსნების სკოლა იყო. ხალხოსნობა საქართველოში რუსეთიდან შემოსული პოლიტიკურ-ფილოსოფიური მიმდინარეობაა, ხოლო ლიტერატურას იგი იმდენად უკავშირდება, რომ უპირველესად საქართველოში მწერლებმა აიტაცეს ხალხოსნური შეხედულებანი.

რას ქადაგებდა ხალხოსნობა? ისტორიას გმირები ქმნიან და არა ხალხთა მასები. დიდი ეპოქალური კატაკლიზმები მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც თვალსაჩინო გმირი მოევლინება ქვეყანას. ასე რომ, მასები გულხელდაკრეფილი უნდა ელოდონ ეპოქისმიერი გმირის დაბადებას. ხალხოსნების მეორე პოლიტიკური პოსტულატი საზოგადოებრივი ცვლილებების უმთავრეს ბერკეტად მასებში განათლების შეტანას გულისხმობდა. გავანათლოთ ხალხი, მოვსპოთ ცრურნმენა, გავათავისუფლოთ საზოგადოება რელიგიური ბანგისაგან და განათლებული, საღად მოაზროვნე საზოგადოება თვითონ მოძებნის თავის თავში გარდაქმნის საშუალებას. საზოგადოების გარდასაქმნელად სრულიადაც არ არის საჭირო ოქები და სისხლისლვრა. რევოლუცია მხოლოდ უბედურების მომტანიაო. ქართველი ხალხოსნები იყვნენ: ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი,

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია, ვარლამ ჩერქეზიშვილი და სხვ. სოციალ-დემოკრატია – ისე, როგორც ხალხოსნობა, ქართული აზროვნების წიაღში დაბადებული მოძრაობა არ გახლავთ და ამდენად იგი ქართულ სინამდვილეში გადმონერგილ უცხო იდეოლოგიად, უცხო სულისკვეთებად შეიძლება ჩაითვალოს. სოციალ-დემოკრატთა პარტია მარქსისტული პარტიაა, მარქსიზმი კი საქართველოში ოთხმოციან წლებში შემოვიდა და საუკუნის დასაწყისში იგი უკვე იყო საკმაოდ მძლავრი მოძრაობა თავისი პოლიტიკური პარტიის სახით. მარქსისა და ენგელსის მიერ შექმნილი პოლიტიკურ-ფილოსოფიური დოქტრინა შევით მოედო ლამის მთელ ევროპას და მიუხედავად მასში არსებული უამრავი წინააღმდეგობისა, ათასობით მიმდევარი გაიჩინა. ახლა უკვე გარკვეულია, რომ მარქსიზმი უტოპიური მეცნიერებაა; მარქსიზმი უსამშობლო, კოსმოპოლიტი მეცნიერების მიერ შეთითხნილი იდეოლოგიაა ეროვნულის ანუ წინააღმდეგ მიმართული. პროლეტარიატს სამშობლო არა აქვს – ქადაგებს მარქსიზმი და ასეთი უსამშობლო და უსახო ფენის ერთი დროშის ქვეშ გაერთიანებას ცდილობს. გამარჯვების შემთხვევაში იგი საზოგადოებას პირდება ეროვნული იდეოლოგისაგან დაცლილ, უნიტარული სახელმწიფოს შექმნას, რომელიც, როგორ პრაქტიკამ გვიჩვენა, სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა ახალი, მოდერნიზებული იმპერია. მარქსიზმის ამოსავალი დოქტრინა, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური, ძირშივე მცდარია. კლასთა ბრძოლის თეორიის აღიარებით მარქსიზმი ერთმანეთს უპირისპირებს ერთსა და იმავე სახელმწიფოში სოციალურ ფენებს და ქვეყანას სამუდამო დაპირისპირების განწყობილებით მუხტავს. ასევე, ადამიანის შემოქმედებითი ნიჭის, მისი ინდივიდუალური უნარის ჩაკვლას ემსახურება. იგი ცდილობს ყველა პიროვნების ერთ თეორიულ დოგმატურ ყალიბში მოქცევას, რაც საბოლოო ჯამში ინდივიდის დათრგუნვას და პიროვნების ნიველირებას იწვევს. და მაინც, მიუხედავად ამდენი წინააღმდეგობისა, რასაც მარქსიზმის რევიზიონისტები იმთავითვე კარგად ხედავდნენ, მარქ-

სიზმმა შეძლო დედამიწის ერთ მეექვსედზე გაბატონება, რამაც საბოლოო ჯამში პოროტების იმპერიად წოდებული საბჭოთა კავშირის შექმნა გამოიწვია.

სამწუხაროდ, ბოროტების იმპერიის სათავეში, სხვათა შორის, იდგა სამი ჩვენი თანამემამულე: სტალინი, ბერია, ორჯონიქიძე.

ათას ცხრაასიან წლებში სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურაც ისახება და, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ იყო ისეთი მკაფიო ძალებით წარმოდგენილი, როგორიც იყო ილია ჭავჭაძის დასი, მან მაინც მიიცყრო მკითხველთა ერთი ნაწილის ყურადღება. განსაკუთრებით გამოიკვეთა პუბლიცისტიკა. ინერბოდა თვითმპურობელობის წინააღმდეგ მიმართული მძაფრი ფელეტონები, ნარკვევები, რომელთა ავტორებიც იყვნენ: იროდიონ ევდოშვილი, სტალინი, წულუკიძე, კეცხოველი, ნატალია არზიანი, ლალიონი და სხვანი.

პიროვნების განთავისუფლების და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში, სოციალ-დემოკრატები თავდაპირველად ყველა რევოლუციურ ძალასთან თანამშრომლობდნენ, მაგრამ განსხვავდებოდნენ მომავალი რევოლუციის მიზნებისა და მამძრავებელი ძალების გაგებით.

როგორც აღვნიშნეთ, სოციალ-დემოკრატებს მსოფლიოს მუშათა კლასთან და განსაკუთრებით რუსეთის პროლეტარებთან თანამშრომლობით სურდათ თავიანთი მიზნის მიღწევა. სოციალ-დემოკრატ მწერალთა შემოიტანა გამოირჩეოდა სოსო ჯულაშვილი (შემდგომში სტალინი). მისი პუბლიცისტური წერილები, ხოლო უფრო ადრე მისი ლექსები („დილა“, „რაფიელი ერისთავს“) დღესაც ქართული პოეზიის თვალსაჩინო ფაქტებად რჩება.

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა სოციალ-დემოკრატი პოეტის, იროდიონ ევდოშვილის პოეზია. მისი ლექსი „მეგობრებო, წინ, წინ გასწით“ ქართულ „მარსელიოზად“ აღიარეს. თუმცა იროდიონ ევდოშვილი ბოლომდე როდი შერჩა სოციალ-დემოკრატთა პარტიას. 1907 წელს, ილია ჭავჭაძის მოკვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ, იგი სოციალ-დემოკრატი-

ის თბილისის უჯრედში გამოცხადდა და თქვა: მე იმ პარტიის წევრი ვერ ვიქნები, რომელმაც ილია ჭავჭავაძე მოკლაო! სამწუხაროდ, ილია ჭავჭავაძის მკვლელი პარტია სოციალ-დემოკრატებისა (შემდეგ ბოლშევიკური) მართავდა საქართველოს 1990 წლამდე, სანამ ქართველი ხალხის ნებით ზვიად გამსახურდიამ არ დაამხო იგი და ისტორიამ საქართველოს დამოუკიდებლობის ხელახალი გამოცხადებით ახალი ათვლის წერტილი არ დაიწყო საქართველოში, თუმცა ეს დამოუკიდებლობაც მხოლოდ სამწლიანი აღმოჩნდა (1990-1993).

სოციალ-დემოკრატები გამოსცემდნენ თავიანთ გაზეთებს: „ჩვენი ცხოვრება“ „ჩვენი ბრძოლა“, „პროლეტარიატის ბრძოლა“ და ა. შ. განსაკუთრებული პროდუქტიულობით გამოირჩეოდნენ პუბლიცისტიკის ასპარეზზე ალექსანდრე წულუკიძე, ნოე უორდანია, ლადო კეცხოველი და ფილიპე მახარაძე.

სოციალ-დემოკრატ პუბლიცისტებს ილიამ მარქსიზმის თუ-თიყუშები უწოდა, ხოლო მარქსიზმის თუთიყუშმთა თვითნებობა იქამდე მივიდა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ფილიპე მახარაძე ცდილობდა ილიას სახელი სამუდამოდ ამოებირკვა ქართული აზრის ისტორიიდან.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო მენშევიკი, ქართული პროზის ერთ-ერთი მამათავარი ჭოლა ლომთათიძე.

არ შეეფერება სინამდვილეს ზოგიერთი კრიტიკოსის და პოლიტიკოსის მიერ ჯოხის მეორე მხარეს ზედმეტად გადა-ლუნვა და იმპერიაში მოღვაწე ქართველების, განსაკუთრებით, სტალინისა და ბერიას საქართველოს მტრებად გამოცხადება. ახლადაღმოჩნდილი დოკუმენტები ამტკიცებენ, რომ ახალი იმპერიის პირველ კაცს ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე – იოსებ სტალინს, ერთი წუთითაც არ დავიწყნია თავისი პატარა სამშობლო და იგი იმდენად უთმობდა ყურადღებას საქართველოს, რამდენადაც იმპერატორის მონომახის ქუდი მას ამის საშუალებას აძლევდა. სტალინი ყველა დოკუმენტში მიუთითებდა, რომ იგი ქართველი იყო და გარეგნულადაც ე. წ. ქართულ ატრიბუტებს – ულვაშსა და ჩიბუხს არასოდეს არ თმობდა.

1934 წელს საკავშირო მწერალთა პირველ ყრილობაზე სტალინმა განსაკუთრებით წარმოაჩინა საქართველო, როგორც უმდიდრესი ლიტერატურული ტრადიციების მქონე ქვეყანა. იგი არ შეუშინდა გარემოებას, რომ კოსმოპოლიტები და ველიკორუსი შოვინისტები ამას მიკერძოებაში ჩამოართმევდნენ. მალაქია ტოროშელიძეს დაავალა ქართული ლიტერატურის შესახებ ერთსაათიანი მოხსენებით გამოსულიყო საკავშირო მწერალთა პირველ ყრილობაზე. აქ სულ ორი მოხსენება იქნა წაკითხული: ერთი – მთელს საკავშირო ლიტერატურაზე (მაქსიმ გორკი), ხოლო მეორე – მხოლოდ ქართულ ლიტერატურაზე (მალაქია ტოროშელიძე).

ასევე საქართველოს კეთილდღეობით უაღრესად დაინტერესებული იყო ლავრენტი ბერია. მისი დამსახურებაა თბილისში უამრავი ახალი მშენებლობის განხორციელება და განსაკუთრებით სანაპიროს მშენებლობა.

სტალინი და ბერია ათასობით რეპრესირებულთა ცოდოს ვერ ჩამოირეცხავენ, მაგრამ ისტორიამ ისინი სრული ობიექტურობით, კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით და მათ მიერ გაკეთებული დადებითი თუ უარყოფითი საქმეების გონივრული შეჯერებით უნდა შეაფასოს.

ისევ მე-20 საუკუნის დასაწყისს დავუბრუნდეთ.

იმპერიის ცენტრი იძულებული გახდა, პრესის შედარებით თავისუფლება დაეშვა. პრესის თავისუფლებას პარტიათა და შეხედულებათა არნახული გამრავალფეროვნება მოჰყვა, თვითმპყრობელობის სასტიკ ცენზურას სადავეები ხელიდან გაექცა.

ქართულ პარტიულ პერიოდიკაში დიდი შეხლა-შემოხლა გაიმართა.

ძირითადად ორი აზრი უპირისპირდება ერთმანეთს: ეროვნული და მარქსისტულ-კოსმოპოლიტური.

ეროვნული მოძრაობის ბელადს ილია ჭავჭავაძეს სასტიკად აკრიტიკებენ და ხშირად უშვერი სიტყვებითაც ლანძღავენ. ლიტერატურის ნიმუშებს ვინწრო-პარტიული სარკმლიდან უყურებენ მარქსისტი პუბლიცისტ-კრიტიკოსები: ალექსანდრე წულუკიძე, ნოე უორდანია, ფილიპე მახარაძე.

მწერლობისაგან მხოლოდ ერთს მოითხოვენ – მუშისა და გლეხის ინტერესების გამოხატვას. ლამის განდევნონ ესთეტიკი-დან მხატვრობის პრინციპი, მარქსისტ კრიტიკოსთა თვალსაზრისით „ოთარაანთ ქვრივი“ და „კაცია-ადამიანი?!“ რევოლუციას ვერავითარ სამსახურს ვერ გაუწევენ და მხოლოდ გამრთობი ღირებულებადა გააჩნიათ. ესეც არ იყოს, მათი თავადი, ლიბერალი ავტორი აშკარა ბარიერად ეღობება სახალხო მოძრაობას თავისი მოძველებული შეხედულებებით.

ილია ლომისებრ იბრძვის. უპასუხოდ თითქმის არ ტოვებს სოციალ-დემოკრატთა ცილისმნამებლურ გამოხდომებს.

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს სულიერ მამას მხარში უდგანან ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების კრიტიკოსები – არჩილ ჯორჯაძე, ივანე გომართელი, კიტა აბაშიძე, რომანოზ ხომლელი.

ილიას თანამებრძოლთა რიცხვი სავალალოდ მცირდება, ოდენ აკაკი უწევს ძველებურად ავთანდილობას. „თორნიკე ერისთავის“ ავტორი ილიას გვერდით ერთგულად ეწევა ეროვნულ უდელს.

დრო კი ელვისებურად მიჰქრის.

„ივერიის“ მამა ხშირად ავადმყოფობს, გული ღალატობს, აკაკის თვალის ქუთუთოს დამბლა დაეცა, სერგეი მესხი აღარ არის ცოცხალთა შორის, ვაჟა „იდეათა ჭიდილში“ ლამის აღარ ერევა...“

1905 წლის რევოლუციამ გამოაცოცხლა საზოგადოება, იმედის თვალით შეჰქენებენ საქეყნო ამბოხებას ილიას კვალზე შემდგარი „ახალი რეალიზმის“ წარმომადგენლები – დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი, შიო არაგვისპირელი, მიხეილ ჯავახიშვილი, შალვა დადიანი, კონსტანტინე გამსახურდია...“

ახლოვდება რევოლუციის სასტიკი მარცხი, გრიაზნოვის მათრახის წუილი გაისმის და ნასაკირალის ცეცხლი ზეცას სწვდება.

1907 წლის 30 აგვისტოს წინამურზე გასროლილი თოფის ექომ საქართველოს გულისგულში გაიარა.

ანარქიით, რევოლუციებით, ამაო იმედებით, კინკლაობით დაღლილი ქვეყანა თითქოსდა ერთბაშად გამოფხიზლდა, ერთ მუშტად შეიკრა და ილიას კუბოსთან გაირინდა.

როცა მეცხრამეტე საუკუნის უპირველეს ქართველს – ილია ჭავჭავაძეს – საგურამოსაკენ ბერდენკის ტყვია მიაცილებდა, მას უკვე გაკეთებული ჰქონდა უზარმაზარი ეროვნული საქმე; თავის ხალხში გადაგდებული ჰქონდა ის ღვთაებრივი თესლი, რომელიც დღემდე ღვივდება და რაც დრო გადის, უფრო საშიშ გუგუნს გამოსცემს.

როგორ გვაკლია დღეს ერისთვის დაფერფლილი ილია და რა ტიტანური ძალით გვაგრძნობინებს ყოველდღიურად, რომ მის მიერ აღმართულ დროშას წამითაც არ მოჰკლებია ელვარება და სიდიადე.

რა კარგად გვიცნობდა.

„საქმის პირველ დაწყებაში ბევრი ჰაი-ჰუი ვიცით..., და სანამ ბოლომდე მივალთ, ჩალასავით ჩავექრებით ხოლმეო“.

და როცა ერის წყლულთან ბრძენი დასტაქარის მანტიით მოსულს ჭირვეული ავადმყოფის წუნუნი ჩაესმოდა, მისებურად აუჩქარებლად გვმოძღვრავდა: „როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინებაო“.

განა დღესაც ფარზე ასაზიდი არ არის ერის მამის მრისხანე ბუბუნი:

„ყველაზე საშიშარი და საზიზლარი ბეზლობა ის ბეზლობაა, რომელსაც საგნად მთელი ერი ჰყავს, ნამეტნავად იმისთანა ერი, რომელიც „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა, ყოველ ღონეს მოკლებულია, რომ თავი იმართლოს“.

ჩვენი ნაკლი მასზედ უკეთესად ვინ იცოდა და განა დღეს ერის უკეთეს შვილთა ვერდაფასების მწარე სენზე დაფიქრებულმა ქართველმა არ იცის, რომ ილიას მონამებრივი სიკვდილი-დან ერთი ნაბიჯია გალაკტიონის თვითმკვლელობამდე?

დღეს საითაც კი გაიხედავთ, ერის ბურჯის ნათლითმოსილს, მშვიდს, საოცრად ნაცნობსა და საყვარელ სახეს წააწყდებით. თითქოსდა არც კი ყოფილა წამი, როცა წარბშეკრული მოხ-

უცი ეტლში წამოიმართა და რევოლუციონით ხელში მრისხანედ გამომზირალმა შეჰქირა მომხვდურთ: რას სჩადიხართ?!

ეს კითხვისნიშნიანი ძახილი, მთელს ქვეყანას რომ ეკუთვნოდა, დღესაც საქართველოს მთებში წრიალებს და გასასვლელი ვერ უპოვნია.

დიახ, ილიას მშვიდმა სახემ თითქოსდა მისი სიკვდილი გვაპატია, მაგრამ იმას კი არასოდეს გვაპატიებს, რომ ერის ბედის მჭედლებმა ეს გაუხუნარი ანდერძი დავივიწყოთ:

„ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი!“

იგი, „სხვა ვარსკვლავი“, ცაზე უკვე მკაფიოდ მოჩანდა და ღვთიური ნათებით კაშკაშებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ძილსმიცემულ ქვეყანაში ყველა როდი ხედავდა მას.

როგორც სხვა ეპოქაში, მეოცე საუკუნის დასაწყისშიც მწერლობამ უჩვენა გზა ხსნისა საქართველოს, ახლაც მწერალი იყო ერის სულიერი მოძღვარი და მოჭირნახულე.

ახლა კი XX საუკუნის ბოლო და XXI საუკუნის პირველ ათწლეულებში გადმოვინაცვლოთ:

მე-20 საუკუნის 90-იან წლების პარმალზე მსოფლიოს უდიდესი ისტორიული მოვლენა მოჩანს. დაინგრა რუსეთის იმპერია და რუსეთის მიერ დაპყრობილ ქვეყნებს, კომუნისტური კონსტიტუცია რომ ცინიკურად „მოძმე რესპუბლიკებს“ ეძახდა, საშუალება მიეცათ, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გზას დადგომოდნენ, თუმცა იმპერია პოზიციის დათმობას ასე იოლად არ აპირებდა და მისი მსახვრალი ტორი არაერთგზის ცეცხლითა და მახვილით დაატყდა დამოუკიდებლობისაკენ მიმსწრაფლ ქვეყნებს, განსაკუთრებით ბალტიისპირეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს.

იმპერიულმა მონსტრმა თავისი ამბიციები წაწილობრივ მაინც იმით დააკმაყოფილა, რომ მოდერნიზება სცადა იმპერიული სისტემისა და შექმნა ე. წ. თანამეგობრობა, რომელსაც

„სწო“ უწოდა; ხოლო, როდესაც დარწმუნდა რუსეთის სისხლიანი პრეზიდენტი, ელცინი, რომ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები იმპერიულ ყულფში თავის გაყოფას აღარ აპირებდნენ, მთელი მსოფლიოს თვალწინ გაუგონარი უტიფრობით, ომის გამოუცხადებლად მიმართა ცეცხლი და მახვილი ყველაზე ურჩი რესპუბლიკისადმი – ეს „ურჩი“ ქვეყანა საქართველო იყო.

რუსეთის ჯერ კიდევ ძლიერმა არმიამ, როგორც მოსალოდნელი იყო, 1993 წელს დაამარცხა მოხალისეთაგან შემდგარი ქართული ჯარი და პირველი წარმატებული ფაშისტური აგრესის შედეგად საქართველოს წართვა აფხაზეთი და სამაჩაბლო.

საქართველოს დაპყრობა რომ გაადვილდებოდა, ე. წ. აფხაზეთის ომის დაწყებამდე ერთი წლით ადრე რუსეთის ძალისხმევით საქართველოში დაემხო ეროვნული ხელისუფლება და ხალხის მიერ არჩეული პირველი ეროვნული პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია, საქართველოდან განდევნილ იქნა.

რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს წინააღმდეგ დღემდე გრძელდება.

„გაიძვერა მოყვარე“ აფხაზეთით და სამაჩაბლოთი არ კმაყოფილდება და ცდილობს, არა მარტო მოაშთოს საქართველოში დასავლეთზე ორიენტირებული სახელმწიფო სისტემა, არამედ კიდევ უფრო დაარღვიოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ამჟამად კი რუსეთის სამიზნედ პანკისის ხეობა, ჯავახეთი და აჭარა ქცევლა.

ასეთი უაღრესად რთული ისტორიული კატაკლიზმები ხვდება ასახვის ობიექტად ქართველ მწერალს.

ეპოქის პარადოქსულობას რომ თავი გავანებოთ, მწერლის თვალსაწიერში სრულიად ახალი ფსიქოლოგიურ-სოციალური შეხედულებებით დატვირთული ადამიანი შემოდის. 200-წლოვანი მონობის შემდეგ ქართველი კაცი პირველად გახდა თავისუფალი და გაუჩნდა პასუხისმგებლობის გრძნობა ქვეყნისა და ეპოქის წინაშე.

შინაგანი წონასწორობის რღვევით, შეხედულებათა რადიკალური გადაფასებით ხვალინდელი დღის შიშით მიმდინარეობს

დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქის ჩამოყალიბების პროცესი, და, სრულიად ბუნებრივია, რომ ლიტერატურა ფეხ-დაფეხ ვერ მიჰყვება ამ აჩქარებული დროის ელვისებურ სრბოლას.

თანამედროვეობის ეპოქალური მოვლენების მხატვრულ კვლევას, ალბათ, საუკუნეები დასჭირდება.

უპირველესი სიახლე, რაც 90-იან წლებზე შექმნილ ნაწარმოებებს აშკარად დაეტყო, ეს გახლავთ მწერალთა პოზიციების სხვადასხვაობა.

იოლი არ აღმოჩნდა კომუნისტური სტერეოტიპების ერთგულებიდან ეროვნულ პოზიციაზე ერთბაშად გადმორთვა.

ეროვნული ბეგთარი მხოლოდ იმ მწერლებმა მოირგეს თავისუფლად და ბუნებრივად, ვის შემოქმედებაშიც ქართული ლიტერატურის ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულების ძარღვი ფეთქავდა, ვინც კომუნისტური ტირანიის ცენზურის მარწუხებში თავისთავს ხშირად შეახსენებდა ხოლმე ილია ჭავჭავაძის ნათელ მაგალითს და ახერხებდა, ზოგჯერ მინიშნებით და ზოგჯერ პირდაპირ ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პროლის იდეა გაეტარებინა.

შეხედულებათა ამ სხვადასხვაობამ, და ვინ იცის, იქნებ საქართველოს მომავლისადმი გულწრფელმა შიშმა გამოიწვია მწერალთა ერთი დიდი ჯგუფის წინააღმდეგობა ეროვნული ხელისუფლებისადმი და ნებსით და უნებლიერ იმის გვერდით დადგომა, ვინც საქართველოში ეროვნული ხელისუფლების დამხობა მოამზადა. ხოლო, როდესაც მწერლისგან სრულიად დამოუკიდებლად მოხდა ეს სავალალო ფაქტი, არაერთმა მწერალმა იხტიბარი აღარ გაიტეხა და გულწრფელი მონანიების ნაცვლად ეროვნულ მოძრაობაზე და მის ლიდერზე აშკარად ტენდენციური გამონათქვამებით და, რბილად რომ ვთქვათ, ცალმხრივი პუბლიცისტური წერილებით სცადა „ეპოქის ასახვა“.

ლიტერატურის ისტორიამ ამგვარი კონიუნქტურის მაგალითები იცის.

თითქმის იგივე განმეორდა 1918-21 წლებშიც. თუ ზოგი მწერალი დამოუკიდებელი საქართველოს მედაფდაფედ იქცა, სხვანი კვლავ რუსეთს და მსოფლიოს პროლეტარულ ერთობას მისტიროდნენ, ხოლო საქართველოში ხელისუფლების დადგომისთანავე ბოლშევიკთა წისქვილზე დაიწყეს წყლის დასხმა და არაერთმა მათგანმა ისე დაასრულა სიცოცხლე, რომ მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერთგულება გულიდან არ ამოუღია. 90-იან წლებში რამდენიმე მწერალი მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ეროვნული ხელისუფლებისადმი გაბუტიულობის პოზაში დგომა აშკარად არ შეესაბამებოდა მწერლის მოქალაქეობრივ ფუნქციას და ერის განწყობილებას. ამიტომაც განმარტოვდა, ლიტერატურულ ცხოვრებაში აქტიურად აღარ მონაწილეობს და თავის მუზას ისტორიული თემებისადმი სამსახური დაუსახა მიზნად, რაც, თუ თანამედროვეობიდან გაქცევას არა, მოვლენათა ცხელ კვალზე, ერის კეთილი და ჭკვიანი მრჩევლის ფუნქციაზე ნაწილობრივ უარის თქმას ნიშნავს. დღეს ლიტერატურაში პოზიციათა ეს სხვადასხვაობა იმდენად თვალსაჩინოა, რომ ქართველ მწერალთა ერთ შემოქმედებით კავშირში გაერთიანებაც კი შეუძლებელი გახდა, მიუხედავად მავანთა ენერგიული ძალისხმევისა, რომელიც მიმართულია პოზიციათა შეჯერებისა და შერიგებისაკენ.

აქედან ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება. მწერლის ფაქ-იზი სული, ჩანს, იმდენად გაატლანქა კომუნისტური ცხოვრების წესმა, რომ იგი ჯერჯერობით ვერ დარწმუნდა ქვეყნის დამოუკიდებლობის სიკეთეში. ზოგი მათგანი აშკარად მისტირის რუსულ ჩექმას, ზოგი კი, რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, 90-იანი წლების დასაწყისის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას „ეროვნულ-დამანგრეველ მოძრაობას“ უწოდებს.

დიდი ფილოსოფიური დაკვირვება არ უნდა სჭირდებოდეს იმის გარკვევას, რომ ჭეშმარიტი მწერლის უწმინდესი მიზანი თავისი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაა და, აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, რომ ზვიად გამსახურდიას მსოფლმხედველობრივ მრწამსს ალტერნატივა არ გააჩნია. სა-

კუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვა და „მე პოლიტიკაში არ ვერევი“ პოზიციაზე დგომა ვერავითარი ნუგეშია იმისათვის, რომ მწერალს მისმა მკითხველმა იღლიას ხაზიდან განდგომა არ უსაყველუროს.

ჩვენს დაუდგრომელ დროში მკითხველს, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვეობის ურთულეს პრობლემებზე სჭირდება მწერლის პასუხი, ხოლო, რაც შეეხება ყოველდღიურობის ფუსფუსით თავის არ ატკივებას, იღლია ჭავჭავაძესაც შეეძლო, მჯდარიყო საგურამოს მე-2 სართულის აივანზე და ეწერა „ოთარანთ ქვრივის“ მსგავსი გენიალური მოთხოვნები, არ გაეკარებინა ეპოქის მტვერი თავისი მწერლური მანტიისათვის, „არც ქუჩაში ყეფით“ (აკაკის გამოთქმა) და თავისუფლებისაკენ მონოდებით მოემართა მის წინააღმდეგ თვითმპყრობელობისა და საიდუმლო პოლიციის მანქანა.

მაშინ იგი არც ბერდენკის ტყვიას მიიღებდა შუბლში და ვინ იცის, იქნებ თავისი შემოქმედება უფრო მეტი დიდებული პოეტურ-პროზაული ქმნილებით გაემდიდრებინა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში იღლია ჭავჭავაძე იღლია ჭავჭავაძე არ იქნებოდა. მას ერთ დიდ მწერლად მივიჩნევდით და არა მე-19 საუკუნის საქართველოს სულიერ მამად, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მსხვერპლად რომ შესწირა თავისი ფარზე აზიდული სიცოცხლე.

აი, ამიტომაც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ლიტერატურის ისტორია შეუცდომელი განსჯის შემდეგ სათანადოდ დააფასებს იმ ეროვნულ მწერალთა მტკიცე ნებას და გაუბზარავ სულისკვეთებას, ვის წინაშეც ერთი წუთითაც არ დამდგარა საკითხი, რა ორიენტაცია აერჩიათ და ვის გვერდით მდგარიყვნენ.

ისინი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე აღმოჩნდნენ ეროვნული მოძრაობის გვერდით და, მართალია, ამის გამო თავს გაუმზადეს მძიმე განსაცდელი, დამცირება, დარბევა, ინსინუაციის კორიანტელში გახვევა და ა. შ., მაგრამ ცხოვრებამ მათი არჩევანი საბოლოოდ გაამართლა, მოსალოდნელიც იყო.

ალბათ, ნელ-ნელა კეისარს თავისი სახელი დაერქმევა, წყა-

ლი ნაგუბარში ჩადგება, ხოლო ის მწერალი კი, ვინც ეროვნული მოძრაობის მიმართ დღემდე არასწორ პოზიციაზე დგას (რაც ხშირ შემთხვევაში გამსახურდიასადმი პიროვნული პათოლოგიური სიძულვილით მოსდის), ისტორიას კალამაჩქარებულ გულნამცეცა „მოლვანედ“ შერჩება.

მეორე ნიშანი მიმდინარე ლიტერატურული პროცესისა არის უანრულ ძიებათა გამრავალფეროვნება. თითქოსდა, სოციალ-ისტური რეალიზმის მიერ შტამპად ქცეული სტერეოტიპები პერსონაჟის სწორხაზოვნებისა ერთბაშად დაიმსხვრა და თვალშისაცემ უანრულ სიახლედ პროზისა და პოეზის ერთგვარი გადოკუმენტურება, რეალური ცხოვრებისეული მაგალითებით ნაწარმოების აღჭურვა დამკვიდრდა.

დოკუმენტურობამ პუბლიციისტურობას ფართოდ გაუდო კარი, ხოლო პუბლიციისტურობამ კი წანარმოებს მხატვრული კონკრეტულობის ელფერი შესძინა. ერთი შეხედვით, კაცს ეგონება, რომ მონუმენტური განმაზოგადებელი ლიტერატურული ტილოების შექმნის, ე. წ. მოსამზადებელი პერიოდი მიმდინარეობს. თითქოსდა, მწერლები ცდილობენ, მოასწრონ და ჩაინიშნონ ყოველდღიურობის ყველაზე შთამბეჭდავი ფაქტები და მოვლენები, რათა მათი სრულყოფილი ხვალინდელი ხორც-შესხმისათვის მასალა მზად ჰქონდეთ. ამიტომაც ასე მომრავლდა ჩვენს ლიტერატურაში უკანასკნელ ხანს თითქოსდა დაუმთავრებელი, ერთი შეხედვით კომპოზიციურად შეუკვრელი, ცნობიერების წაკადს დამორჩილებული რომანები და მოთხოვნები, დოკუმენტური და მხატვრული პროზის ერთგვარ სინთეზად რომ წარმოგვიდგება.

ამ თხზულებებში ზოგჯერ არა მარტო ისტორიულ ფაქტს ჰქვია თავისი კონკრეტული სახელი, არამედ პერსონაჟებიც კი თავისი წამდვილი სახელითა და გვარით წარმოგვიდგებიან. ამ სტრიქონების ავტორის სიმპათიები, პირველ რიგში, იმ შუბლზე ოფლგადამდინარე, თანამედროვეობის ამსახველ იმ მხატვრულ მემატიანებს ეკუთვნის, ვინც არ დაიზარა და მებრძოლის ფარაზა ჩაიცვა, „მაღალ მატერიებს“ გარკვეული დროით გამოარიდა

თავისი კალამი და ფუტკარივით დღედაღამ ფუსფუსებს, რომ მომავალ თაობებს არ დაუკარგოს ჩვენი მღელვარე ცხოვრების არცერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი.

თითქმის იგივე მოვლენები ხდება პოეზიაშიც, თუმცა პოეზია ლიტერატურის უფრო მობილური სახეა და იგი ყოველდღიურობას, აღწერითობას, დოკუმენტურობას ნაკლებად იტანს. როგორც ჩანს, ახლა „ცისფერი სალონების“ დრო ნაკლებად არის და თუმცა პოეზიაში მომწოდებლურმა, მოქალაქეობრივმა, ეროვნულმა პათოსმა იმძლავრა, ლექსი მაინც ვერ დაახრჩო „წვრილმა ამბებმა, ამონაწერმა გაზეთებიდან“.

90-იანი წლების I ნახევარში შეიძლებოდა გეფიქრათ, რომ ლიტერატურამ დაკარგა მკითხველზე ზემოქმედების ჩვეული ტრადიციული ძალა. რამდენიმე თვალსაჩინო მწერლის აშკარად გამოხატულმა არასწორმა ეროვნულმა პოზიციამ მკითხველი იქამდეც კი დააბნია, რომ თბილისის ერთ-ერთ მოედანზე წიგნების დაწვის ვანდალური ფაქტის მოწმეც კი გავხდით, წიგნების დაწვისა, და ეს ხდებოდა რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟასა და გალაკტიონის ქვეყანაში.

შედეგად ის მივიღეთ, რომ მკითხველთა დიდმა ნაწილმა წიგნს ზურგი შეაქცია, თაროებზე ხელუხლებლად იყო არა მარტო თანამედროვე ქართველ მწერალთა, ლიტერატურის კლასიკოსთა წიგნებიც კი და მხატვრული სიტყვისადმი ამ გაგულგრილებას მარტოოდენ ეკონომიური სიდუხჭირე როდი ედო საფუძვლად. უკანასკნელ წლებში, შეიძლება თამამად ითქვას, რომ უნდობლობის ყინული მწერალსა და მკითხველს შორის გალევა და ერი კვლავ შებრუნდა თავისი მწერლისაკენ. მაგრამ ჭკუანას-ნავლი მკითხველი უკვე სრულიად სამართლიანად იმ მწერალს აკითხავს და იმ წიგნს იღებს ხელში, ვინც ეროვნულ ჭირ-ვარამს გამოხატავს და რაც მის გულისთქმას ესალბუნება.

მიმდინარე ლიტერატურული პროცესის მესამე ნიშანი მისი არნახული გამრავალფეროვნება ანუ მრავალსპექტრიანობა გახლავთ, ისე, როგორც 20-იან წლებში, მწერლობაში დაიბადა უამრავი ლიტერატურული სკოლა და მიმართულება რეალ-

იზმის, სიმბოლიზმის, ფუტურიზმის, აკადემიური ასოციაციის და სხვათა სახით, ასევე თანამედროვე ლიტერატურის მკვლევარს ხელდაკაპინებული შრომა მოუწევს დღევანდელი ლიტერატურული ცხოვრების ურთულეს ლაბირინთში გასარკვევად. ტრადიციული მწერალთა კავშირის გვერდით და მის წიაღშიც გაჩნდნენ ახალ-ახალი შემოქმედებითი ჯგუფები და კავშირები. გავბედავ და თავს ვიღებ ზოგი მათგანის ჩამოთვლას, რა თქმა უნდა, არა სიზუსტის პრეტენზით, არამედ ლიტერატურულ პროცესთა მომავალი მკლვევარისათვის საქმის გაადვილების მიზნით, ესენია: „გულანი“ (მაყვალა გონაშვილი), „მე-20 საუკუნე“ (ლაშა თაბუკაშვილი), ალ. ორბელიანის საზოგადოებასთან არსებული გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ და „ომეგას“ ლიტერატურული ჯგუფი (ოთარ ჩხეიძე, როსტომ ჩხეიძე, ნ. შატაიძე, მ. ჯოხაძე), უურნალ „აფრას ჯგუფი (ნაირა გელაშვილი...), „ლიტერატურული მუზეუმი“ (იზა ორჯონივიძე...), პოსტმოდერნისტები (დავით ბარბაქაძე, სევარიონ ნადირაძე, მიხეილ ღანიშაშვილი, ტრისტან მახაური...), ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანება (აკა მორჩილაძე, დათო ტურაშვილი, რატი ამაღლობელი, ლაშა იმედაშვილი, ლაშა ბუღაძე, დავით ქართველიშვილი...), „ზარები გრიგალში (ცოტნე სივსივაძე, უჩა ღონდაძე, ზაზა ჭანტურია და სხვა), „საქართველოს მწერალთა დარბაზი“, რომელშიც ძირითადად გაერთიანდნენ ის მწერლები, ვინც საქართველოს მწერალთა კავშირის ოფიციალურ პოზიციასთან შეუთავსებლობის გამო 1992 წელს დემონსტრაციულად დატოვა მწერალთა კავშირი....

ლიტერატურული სპექტრის გამრავალფეროვნება და გამრავალსახოვნება იმის ნიშანია, რომ საქართველოში ლიტერატურული ცხოვრება ახალ საინტერესო ინერციას იძენს და მკითხველის რგულისთქმის გამოხატვის თუ ეპოქის მაღალმხატვრული, ადეკვატური ასახვის ახალ პერსპექტივაზე მიგვანიშნებს.

## თავი მეოთხე

### თანამდროვე მცენლობა – ეპოქის მხატვრული მატიანე

ქართული ლიტერატურის ობიექტურ და პირუთვნელ მემატიანეს, რომელიც უსათუოდ მოვა ახალი ქვეყნის მხატვრული პროდუქციის ხარისხთან ერთად, მისი დაბადების და დამკვიდრების სიძნელენი გააოცებს. ის მასშტაბები მიიპყრობს მეისტორიის ყურადღებას, უახლესი მწერლობის ას წელს უქრობ შარავანდედად რომ ადგას. დღეს თუ ლიტერატურის ისტორიკოსს მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი დასჭირდა იმ ესთეტიკურ მღელვარებათა, შეხედულებათა პერიპეტიების, პოზიციათა ჭიდილის დასახასიათებლად, რაც XX საუკუნის ოცანი წლების საქართველოში სუფევდა, სინამდვილეში თაობათა ტვირი და გული, ტიტანური ენერგია და ბევრის სიცოცხლეც კი დასჭირდა იმას, რომ მრავალჭირნახულ ქართულ ლიტერატურას წლების განმავლობაში ასეთი მონოლითური, იდეურად მაღალი და მხატვრულად დაწმენდილი სახე მიეღო.

არნახული პოლიტიკური ძვრებით, გაზაფხულის მომასწავებელი ჭექა-ქუხილითა და ნიაღვრებით მოვიდა საქართველოში მეოცე საუკუნე. „ძლევამოსილის იმ საუკუნის“ ტვირთი ახალმა გაიდო მხრებზე და ისტორიის ორომტრიალში ძლიერი, მაგრამ ჯერ კიდევ გამოუცდელი ნაბიჯებით შევიდა. რევოლუციის გრიგალმა მხატვრულ ინტელიგენციასაც დაჰქროლა. ერთი ნაწილი თავის დამანგრეველ ძალას აზიარა და გაიყოლია, ზოგიერთები შიშისა და უნდობლობის მრუმე ფარდებს მიღმა მიიმაღა, ხოლო ვინც წელთა სიმძიმის გამო რევოლუციას ფეხი ვერ აუწყო, ნაღვლიანად გააცილა ოპორტუნიზმის ნისლიან გზაზე.

უახლესი ლიტერატურის ისტორიას ჩვენ იმ მწერლებით კი არ ვიწყებთ, რომელებმაც 1901 წლიდანვე დაიწყეს ნანარმოებების გამოქვეყნება, არამედ იმ მწერლებით, რომელთა შემოქმედებაშიც მეცხრამეტე საუკუნეშივე თვისებრივად ახალი ლიტერატუ-

რის შუქი გამოკრთა. ბუნებრივია, ჭირს რეალისტი მწერლის შემოქმედებიდან პრინციპული გამიჯვნა იმ მომენტებისა, როდის თავდება მასში კრიტიკული და როდის იწყება სოციალისტური რეალიზმი, მაგრამ ლიტერატურული პროცესების სრული სურათის ნარმოდგენისათვის ამ მხრივ ჩატარებულ თუნდაც ექსპერიმენტულ კვლევასაც კი მნიშვნელობა აქვს.

პირველი რევოლუციის სუსხიანი დღეებია. რეაქციამ სუდარა გადააფარა საზოგადოებრივი აზრის თითქმის ყველა მოქმედ ინსტიტუტს. ლიტერატურულ ასპარეზზე ჯერ კიდევ ჩანან მეცხრამეტე საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშენი. თვითმპყრობელობის ცინიზმი იქამდე მიდის, რომ ილია ჭავჭავაძეს ქურდულად ტყვიას ესვრიან და აკაკი წერეთელს „ხუმარას“ გამოცემისთვის ციხეში სვამენ, ვაჟა-ფშაველა დიდი სახალხო მოძრაობის მოლოდინში თავისი ფშავიდან ბდლვინავს, შიო არაგვისპირელი ქართული ნოველის კლასიკური ფორმის ძიებაშია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ვერ მონაწილეობს. ხალხოსნები კვლავ სუსტ ზემოქმედებას ახდენენ ეპოქის ესთეტიკურ აზრზე და მათი იდეური პრინციპების ათინათი შემოდგომის მზესავით ადგას ნაძალადევის და ნასაკირალის ცეცხლით განათებულ ლიტერატურულ საქართველოს. რეაქციის თვითნებობისა და ცენზურული მარნუხების ასეთ მძიმე ვითარებაში დაიბადა ჩვენში ახალი მწერლობა.

XX საუკუნის მწერლობის დიდი ნაწილი საუკუნის დაბადებას ამოჰყვა და მათ პირველ სტრიქონებსაც იმ ეპოქის მხატვრულ-ფილოსოფიური კვალი აზრს. ქართულ ესთეტიკურ აზრს დაწმენდის, ანალიზის, მოვლენათა სრული შეფასების დრო არც კი ჰქონდა, ისე სწრაფად ბრუნავდა ისტორიის ჩარხი და ისე ძლიერი იყო, ერთი მხრივ, რევოლუციის, ხოლო, მეორე მხრივ, ევროპული ლიტერატურული სკოლების გავლენა. რუსეთ-თურქეთის ომი, 1905 წლის რევოლუცია, პირველი მსოფლიო ომი – მსოფლიოს შემძვრელი ეს ისტორიული მომენტები ერთ ოცნლეულში მოხდა, სწორედ ამიტომაც ათასხმოვან ინსტრუმენტს

წააგავს ქართული პოეზიის ლირა და იგი სხვადასხვა ხელში სრულიად განსხვავებულ პოეტურ ბეგერებს გამოსცემს. ლურჯ-ფარდებიან სალონებში გარეგნულად საოცრად მშვიდი ესთეტები ლამაზი სიტყვებით და დახვენილი მანერებით ლაპარაკობენ, მათი აზრით, თვით ისეთ „პროზაულ“ საგანზეც კი, როგორიც რევოლუციაა. მათს ორმაგ ფანჯრებში ძლივს ატანს სახალხო ამბოხების კანონადა. მეორენი კალმით დგანან რევოლუციის სამსახურში და წევოთი გაყვითლებული თითებით მაზარამოსხმულნი, რაც შეიძლება სწრაფად წერენ რევოლუციისათვის საჭირო, სადღეისო სიმღერებს. ეს პოეზია შორსა დგას რაფინირებისაგან იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ავტორებს მასში იმთავითვე პრაქტიკული საჭიროება ჩაუდვიათ. ასეთია ოქტომბრამდელი ლიტერატურის ყველაზე აბსტრაქტული სურათი. რევოლუცია კი თავის საქმეს აკეთებს. პირველი მსოფლიო ომი „ცეცხლზე ხელისმომთბობთა“ საპირისპიროდ შებრუნდა, „აღმოსავლეთით და დასავლეთით ეომება ომს საბრალო ჯარის-კაცი, დაღალული ჯარისკაცი“.

შემოქმედთა შორის იმდენად დიდი იყო რევოლუციის გულგრილ თანამგრძნობთა ან განზემდგომთა რიცხვი, რომ მათი რევოლუციური თეატრალობით“ გაგულისებულმა გალაკტიონმა ერთხელ დაწერა:

„ჩვენ პოეტები  
ვართ არეული,  
ვართ შინაური  
ვართ გარეული.  
ჩვენ დეპეშებით  
მივიღეთ ომი  
და ოქტომბერი  
მზა-მზარეული...“

კინოდოკუმენტებს და ფოტოქრონიკებსადა შერჩენ კონუსის ქუდიან და ტყავისსერთუკიან ცხენოსანთა გამოსახულებანი. იმ ცხენოსნებს საქართველოში 25 თებერვალი შემოჰყავა. გაიარეს მათ მოქალაქეებით დაცლილი ქალაქის ცენტრალურ

მოედანზე, თბილისის თავზე წითელი დროშა ააფრიალეს და სამუდამოდ შერჩენ რუსის ჩექმით საქართველოს დამპყრობთა დაფას. საქართველოსათვის ახალი ერა დაიწყო. მენშევიკთა ალთქმულ სამოთხეს ნამგალი და ჩაქუჩი დაეჭიდა. ქვეყანას ფედერაციის ოჯახის წევრი დაერქვა. ლიტერატურულ ცხოვრებაში კი, ბუნებრივია, ასე ხელისდაკვრით ვერ მოხდებოდა ქვეყნის ახალ რელსებზე შედგომასთან დაკავშირებული სულიერი ძვრები და მაშინ, როდესაც ძველის ნგრევისა და ახლის შენების ეპოქას თავისი შესაფერისი მხატვრული სიტყვა სჭირდებოდა, საქართველოში იყვნენ მწერლები, რომელთა შემობრუნებაც ნელა, შემოქმედებითი წვითა და ნაციონალური ტკივილების თანდათანობითი გაყუჩების გზით ხდებოდა. ახალი პროლეტარული პოეზიის ახალნაგები ციხის გვერდით თავიანთ „ფრანგ ძმებს“ მისტიროდნენ და სიმბოლოების ქიმერათა სამფლობელოში ღრმად იძირებოდნენ „ცისფერყანწელები“, მენშევიკურ საქართველოს მისტიროდა და ნაციონალური სევდით შეპრობილი, წითელდროშოვანი ესთეტის ხილვისას უკმაყოფილოდ იშმუშნებოდა „აკადემიური ასოციაცია“. სიტყვების ალქიმიით, მუსიკალობის პრიმატით, პუნქტუაციის მოხსნის და პოეზიის ნაცვლად მათემატიკური ციფრების შემოღების მოთხოვნით ღიმილს იწვევდნენ „ფუტურისტ-ლეფელები“, სადღაც მაღალ ლიტერატურულ სართულთა სარდაფში თავის მყვირალა მანიფესტს თხზავდა „არითონი“, ხოლო ყველა ჭკუათმყოფი მოაზროვნის გაოცებას იწვევდა „რაპის“ უკიდურესად მცდარი და გულისამრევად ჯიუტი „თეორიები“. ახლა ძნელია ხელაღებით განსაჯო ქართველ მწერალთა ერთი ნაწილის იმდროინდელი პოზიციების სირთულე და სიავკარგე. იქნებ ზოგისთვის ეს მხოლოდ პოზა იყო, ზოგისთვის კი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. ქართული ლიტერატურული აზრი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ილიასა და აკაკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებით იზრდებოდა და მწერალთა ერთ ნაწილს ჰქონდა საბაბი 1921 წელში ყოფილიყო დაეჭვებული.

თანამედროვე ქართული მწერლობის ინტერესთა სფერო, მის მიერ წამოჭრილი და პასუხგაცემული სადღეისო პრობლემები,

ქართული ლიტერატურის მხატვრული მასშტაბები ეჭვმიუტან-ლად გვისაბუთებს იმ ფაქტს, რომ ჩვენი სიტყვაკაზმული მწერ-ლობა მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ღირსეული მემკვიდრეა. განუხრელად აგრძელებს მის მაღალ ტრადიციებს და ერთგულად დგას იმ ძველთაძველი დროშის ქვეშ ერის სამსახ-ურად იმთავითვე რომ აღმართა ჩვენმა დიდებულმა წინაპარმა.

არასოდეს ჰქონია ქართველ მწერალს ასეთი ფართო მსოფ-ლიო რეზონანსი. რამდენიმე მაგალითის ჩამოთვლაც დაგვარწ-მუნებს იმაში, თუ რა გულისყურით ეკიდება ჩვენი ლიტერატუ-რის უკეთეს ქმნილებებს კეთილი ნების საზღვარგარეთელი მკითხველი; საფრანგეთი ტაშ უკრავს კონსტანტინე გამსახ-ურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“ და ინტერესით კითხულობს „კოლხეთის ცისკარს“, ინდოეთის პოეზიის საუკეთესო პრემიას ანიჭებენ ირაკლი აბაშიძის „პალესტინა, პალესტინას“, მსოფლი-ოს სხვადასხვა ქვეყნების წიგნის თაროებზე ჩნდება ნოდარ დუმბაძის, ოფია იოსელიანის, ჭაბუა ამირეჯიბის და რევაზ მიშველაძის ნაწარმოებები. მსოფლიოს ლიტერატურული პრესა ხშირად ბეჭდავს ქართველ მწერალთა ქმნილებებს და გულთ-ბილ გამოხმაურებებს.

არის თუ არა ჩვენი ლიტერატურა ღირსეული ამსახველი ჩვენი ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლისა? ქმნის თუ არა იგი ჩვენი ყოველდღიურობის მხატვრულ მატიანეს? ამდიდრებს თუ არა ყოველდღიურად ქართული მხატვრული სიტყვის გამომსახ-ველობით არსენალს?

ამ კითხვებს რომ დადებითად ვუპასუხოთ, საჭიროა გულ-მოდგინედ გადავავლოთ თვალი იმ ახალსა და მნიშვნელოვანს, რაც ჩვენს ყოველდღიურ ლიტერატურულ ცხოვრებაში ხდება.

ორიოდე სიტყვით ეპოქაზე, რომელიც უკან დარჩა.

XX საუკუნის ორმოცდაათიანი და სამოციანი წლები ისტო-რიაში შევა, როგორც უაღრესად რთული სოციალური პერიოდი, რამაც ადამიანების შეგნებაში საფუძველი მისცა ახალი ურთ-იერთობების, ზოგიერთ მოძველებულ შეხედულებასთან ახლე-ბური დამოკიდებულების გამომუშავებას.

ეპოქას თან მოჰყვა მთელი რიგი ახალი პრობლემებისა, რომელთა ერთ ნაწილში გარკვევა არცთუ იოლი აღმოჩნდა. ცხოვრებამ მწერლობის წინაშე დააყენა უაღრესად რთული საკითხები და ომის შემდგომი პერიოდის ქართული მწერლობა თვისებრივად ახალი მოვლენებით დაიმუხტა.

ჩვენმა რთულმა ეპოქამ, კომუნიკაციების საშუალებათა ფართო ქსელმა თითქოსდა მსოფლიო „დააპატარავა“. ადამიანი დღეს პლანეტის ბედზე ფიქრობს და კაცობრიობის მერმისზე პასუხისმგებლადაც თვლის თავს.

შუასაუკუნური მეკობრეობის, მუხანათური წაყრუების, განხ-ალების და გაჩანაგების დრო წავიდა. ჩვენს წლებში ენათა და ერთა გაქრობის ცდისათვის ყველაზე ცუდი ამინდი დადგა. სახ-ელმწიფოთა საზღვრებზე დღეს ყოველგვარ საეჭვო ორომტრი-ალს მსოფლიო განიცდის, მსოფლიო ისმენს და ხედავს. თავიანთ ტერიტორიებს ნელ-ნელა იბრუნებენ ისტორიულად კანონიერი მფლობელნი, უსამართლოდ განთესილნი თავიანთ მიწა-ნ-წყალს უბრუნდებან, ისტორიკოსნი და გეოგრაფი გულმოდგინედ იკვლევენ სახელმწიფოთა მიჯნებს და მათს მეცნიერულ საბუ-თიანობას, მსოფლიოს პროგრესული აზრი ნაციონალური თვით-მყოფადობის, ნაციონალური კულტურის არნახული პატივისცე-მით განიმსჭვალა. თუმცა სხვისი ტერიტორიების მიტაცების პროცესი დღესაც გრძელდება.

ჩვენი თანამედროვე ოციანი წლების მოქალაქისაგან გან-სხვავებული, უფრო ფიქრიანი, უფრო დაეჭვებული გახდა. ურაენთუზიაზმი დღეს სხვაგვარად აღიქმება. „იდეალური სქე-მები“ აღარ აინტერესებს სამოციანი წლების კაცს. ღიმილით ვკითხულობთ დღეს ათეულ წელთა წინ დაწერილ რამდენიმე რომანს, რომლის ავტორსაც შეცდომით წარმოედგინა, რომ ახ-ალი ადამიანის განზოგადებული სახე ეს იყო უმნიკვლო, უშეც-დომო. კრისტალური ზნეობის პიროვნება და გადადიოდა ერთი სქელტანიანი რომანიდან მეორეში „მისაბაძი“ გრიმი, სათნოე-ბისა და სიწმინდის ეტალონი. მერე ერთბაშად გამოირკვა, რომ ასეთი ცალმხრივი, სქემატური სახე მკითხველმა არცთუ დიდი

ინტერესით მიიღო. მკითხველს სწორედ წინააღმდეგობრივი, აქტიური გმირი აინტერესებს და არა აბატის სახის, სისპეტაკის მანტიამოსხმული მოქმედი პირი.

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მოახერხა შეეთვისებინა ეპოქის შინაგანი სირთულე, მხატვრულად გაეანალიზებინა სადღეისო პრობლემები და ერის განწყობილების ბარომეტრად ქცეულიყო.

აქ უპირველესად უნდა გავუსვათ ხაზი იმ სიცარიელეს, ერთბაშად რომ გაჩნდა სამოციანი წლების ქართულ მწერლობაში. თითქმის ერთდროულად წავიდნენ ჩვენგან ლიტერატურის პირველხარისხოვანი ძალები – შალვა დადიანი, იოსებ გრიშაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი და ბოლოს 1975 წლის 17 ივლისს კონსტანტინე გამსახურდიამაც დაუშვა თავისი დიდი სიცოცხლის ფარდა. მკითხველს მოეხსენება, რომ ეს ის სახელები გახლავთ, ვინც დაარწია უახლესი ქართული მწერლობის ისტორია. მაგრამ თაობათა ამგვარ მტკიცნეულ ცვლას ნაწილობრივ აქარწყლებდა შეგნება იმისა, რომ ქართულ ლიტერატურაში უკვე არსებობდა სახელოვან მამათა ლირსეული ცვლა – მათ მიერვე გამოზრდილი და მათს კვალში ჩამდგარი მწერლობის ახალი თაობა, რომელმაც ღონივრად შეიდო მხარზე ამ საუკუნის ტვირთი და ბეჯითად მიაქვს ახალი სიმაღლეებისაკენ.

თანამედროვე ქართული პროზის პატრიარქი კონსტანტინე გამსახურდია 1956 წელს აქვეყნებს „ვაზის ყვავილობას“. ამ რომანით იგი თითქოსდა ამთავრებს თანამედროვეობის ამსახველ ეპოქებს, რომელიც „დიონისოს ღიმილით“ დაიწყო და სოციალური სიმართლის უზუსტეს გამოხატვას და მხატვრულ სიძლიერეს „მთვარის მოტაცებაში“ მიაღწია. ამ სამი რომანით მან თავისი დროის პანორამული სურათი შექმნა და ისევ თავის საყვარელ თემას – წარსულს მიუბრუნდა. ჩაამთავრა ტრილოგია „დავით ალმაშენებელი“ და ოთხმოცსმიტანებულმა მწერალმა „თამარის“ წერა დაიწყო. თამარ მეფის ლეგენდარული სახის ხორცშესხმა კ. გამსახურდიას არ დასცალდა. მის მაგიდაზე მომავალი რომანის

თხი თავიღა დარჩა. თამარის შარავანდედით მოსილი სახის გაცოცხლების იდეა ქართული ლიტერატურის „ქორა მახშვმა“ (როგორც კ. გამსახურდიას უწოდებდნენ) თან წარიტანა.

სამოციან წლებში კვლავ მწყობრში იდგნენ და ლიტერატურულ ცხოვრებას კეთილ კვალს ამჩნევდნენ ქართული საბჭოთა პროზის ვეტერანები დემნა შენგელაია და სერგო კლდიაშვილი. დემნა შენგელაიამ გამოაქვეყნა ვრცელი მოთხოვნა „განძი“ (1958), ხოლო სერგო კლდიაშვილმა ზედიზედ ორი უაღრესად საყურადღებო რომანი „მყუდრო სავანე“ (1958) და „ფერფლი“ (1961). „მყუდრო სავანე“ მწერლის ცნობილი ნაწარმოების „პროვინციის მთავრის“ ახალ, გადამუშავებულ ვარიანტს წარმოადგენს. რომანი თუხარელთა ოჯახის ტრაგედიის ფონზე გვიჩვენებს, თუ რა განწყობით ცხოვრობდა ქართული ინტელიგენცია იციან წლებში, რა მძიმედ და სოციალური ტკიფილებით ხდებოდა მათს ფსიქიკაში ძველის ნგრევისა და ახლის, დამკვიდრების პროცესი.

განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა სამოციანი წლები გრიგოლ აბაშიძისა და რევაზ ჯაფარიძისთვის. თანამედროვე ქართული პროზის ამ ორმა თვალსაჩინო ოსტატმა რამდენიმე საეტაპო მნიშვნელობის ნაწარმოები შესძინა მშობლიურ ლიტერატურას. ესენია „ლაშარელა“ (1957), „დიდი ლამე“ (1963) და „ყორნალი“ (1970) – გრიგოლ აბაშიძისა და „ჯარისკაცის ქვრივი“ (1956) და „მძიმე ჯვარი“ – რევაზ ჯაფარიძის.

„მძიმე ჯვარი“ მე-16 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-17 საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიული ვითარების ამსახველი ფართო სოციალურ-ფილოსოფიური ტილოა. რომანის უდავო ღირსებად უნდა ჩაითვალოს ავტორის მიერ ისტორიული სინამდვილის ღრმა ცოდნა და მეფეთა და დიდებულთა გვერდით (განსაკუთრებით შთამბეჭდავია ლუარსაბ მეფის სახე) უაზნოთა მეტად საინტერესო სახეების შექმნა.

და მანც, ამ სტრიქონების ავტორის აზრით, სამოციანი წლების ქართული პროზის მაღალ დონეს განაპირობებდა ხუთი რომანი: ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშეია“, ლადო მრელა-

შვილის „ყაბახი“, გურამ ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“, ოთარ ჭილაძის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ და ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბარალები“.

თანამედროვე ქართულ პროზაში მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ გიორგი ლეონიძის პროზაული დებიუტი. 1962 წელს პოეტმა გამოაცევეს „ნატვრის ხე“. ნანარმოები ხასიათდება გიორგი ლეონიძის ეული მდიდარი ქართულით და ჩვენი საუკუნის დასაწყისის კახური სოფლის დაუვიწყარი სურათებით.

მკითხველმა დიდი ინტერესით წაიკითხა გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მზე“ (1960) და ახალგაზრდა მწერლის გურამ რჩეულიშვილის მოთხოვნები. ამ უკანასკნელის თავისებული სტილი, პერსონაჟთა რაინდული ბუნება და თანამედროვე ქალაქის ყოფის ორიგინალური ხედვა – სრულ გარანტიას იძლეოდა იმისას, რომ ავტორს რომ დასცლოდა, ქართულ პროზას დიდ კვალს დაამჩნევდა.

ქართული პროზის გამოცდილი ოსტატი კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რომელმაც თავისი „კოლხეთის ცისკრითა“ და „ნატვრისთვალით“ სოფლის უტყუარი მხატვრული მატიანე შექმნა, ჩვეული ენერგიით იღვნოდა მშობლიური ლიტერატურის ფრონტზე. მწერლის უთუო გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს სამოციან წლებში მის მიერ ომის თემაზე შექმნილი „ცაბუნიას“ ციკლის მოთხოვნები და ვრცელი ნარკვევი „რა მოხდა აბაშაში“.

ლიტერატურის ისტორიკოსი გვერდს ვერ აუვლის 60-იან დროს შექმნილ პროზაულ ქმნილებებს, რომლებშიც მეტ-ნაკლები მხატვრული სიძლიერით ასახულია თანამედროვეობა და გაცემულია მწერლის პასუხი ჩვენი დღეების ბევრ საჭიროოფო პრობლემაზე. ასეთებია: არჩილ სულაკაურის „ოქროს თევზი“, თამაზ ჭილაძის „აპა მიინურა ზამთარი“, თინა დონუაშვილის „ალაზანზე“, ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა“, ლადო ავალიანის „ახალი ჰორიზონტი“, ედიშერ ყიფიანის „ცაში ასროლილი ქუდები“, გურამ ფანჯიკიძის „მეშვიდე ცა“ და „აქტიური მზის წელიწადი“, ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონი“, ალიო ადამიას „დიდი და პატარა ეკატერინე“, „სიკვდილი ერთი

დღით ადრე“, დავით კვიცარიძის „ძეგლები მიწას არ ამძიმებენ“, გურამ გეგეშიძის „ცოდვილი“, ოთარ ჩხეიძის „კვერნაქი“, გიორგი ციციშვილის „სძლიე სიხარბესა შენსა“ და, აგრეთვე, რევაზ ინაშვილის, გიორგი ნატროშვილის, რეზო ჭეიშვილის, ნოდარ წულეისკირის, ანდრო ლომიძის, მერაბ ელიოზიშვილის, რევაზ მიშველაძის, თენგიზ გოგოლაძისა და გურამ დოჩანაშვილის მოთხოვნები და ნოველები.

ჩვენს პროზაში შეიქმნა რომან-ქრონიკების სერია. ამგვარი რომანი პუბლიცისტური და მხატვრული უანრის გარკვეულ სინთეზს წარმოადგენს. მან ნარკვევიდან აიღო ფაქტებისადმი ერთგულება, ხოლო მხატვრული ქმნილებიდან სიუჟეტის განვითარების კანონები და გამართული კომპოზიციური სტრუქტურა. ამ უანრს პირობითად დოკუმენტურ-მხატვრული შეიძლება ეწოდოს. იგი თანამედროვე ქართული მწერლობის უანრებს შორის სიახლედ მიმაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი მხატვრული მეთოდის ერთგულებით არაერთი ქმნილება დაწერილა ჩვენში. რომან-ქრონიკის უანრის წარმატებულ ფაქტს წარმოადგენ სერგი ჭილაიას „ეკატერინე ჭავჭავაძე“ და ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლები“. ამ უანრის ერთგულებით უკანასკნელ ხანს ომის თემაზე რამდენიმე საყურადღებო ნაწარმოები შეიქმნა. მათგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მიხეილ კვესელავას „ას ერგასის დღე“, რევაზ ჯაფარიძის „მარუხის თეთრი ღამეები“, ვახტანგ ჭელიძის „ქრონიკები“, ალექსანდრე კალანდაძის „ფიასტის ნამუხლარზე“ და „მაკიზარებთან“, დავით კვიცარიძის „მშვიდობით უსეირო ტყეებო“, გიორგი ქავთარაძის „მზე ღრუბლებში“, „დაჭრილი არყის ხე“ და სხვ.

ალორძინებას განიცდის ნარკვევის უანრი. ჩვენი დღეების ადამიანთა ცხოვრებაზე საინტერესოდ გვიამბობენ თავიანთ პუბლიცისტურ ქმნილებებში გიორგი ნატროშვილი, ბორის ჩხეიძე, სიმონ წვერავა, კონსტანტინე ლორთქიფანიძე და სხვანი.

60-იანი წლების ქართული პოეზიის დახასიათებისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვახსენოთ საუკუნის ქართული პოეზიის მამების – გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძისა და სიმონ

ჩიქოვანის სახელები. სამოციანი წლების დასაწყისში ისინი ჯერ კიდევ ცოცხალნი არიან და თავიანთი ახალი ნაწარმოებებით მთელ რიგ თაობებს ეპოქის სულის გამოხატვის, დროის სუნთქვის შეგრძნების, თანამედროვის რთული ბუნების ლირიკული რკვევის მაგალითს აძლევენ. უსაზღვროა მათი პოპულარობა და ჩვენი პოეზიის ეს ბერმუხები, თითქოს გრძნობენო თავიანთ ოქრის შემოდგომას, ცდილობენ მოასწრონ ბოლო წლების ნაფიქრ-ნაგრძნობისთვის უკვდავების ფრთების შესხმა. ბოლო ზარის ნაღვლიანი ხმა გამოკრთა გალაკტიონის ლექსებში, ყრმობის ლამაზი სიზმრები დაიბრუნა გოგლამ უმშვენიერეს „ნატვრის ხეში“, ობლად შთენილი მგოსნის მრუმე დღებზე გვიმღერა სიმონ ჩიქოვანმა „განჯის დღიურით“.

მერე ის იყო ქართული ლექსის ამ სამმა დიდებულმა ორფეოსმა ერთმანეთის მიყოლებით დაკეცა ფრთები და ქართველი მკითხველის იმედის თვალი ჩვენი პოეტების საშუალო და უმცროსი თაობის წარმომადგენლებისკენ შებრუნდა.

ახალი თემებისა და ინტონაციის დამკვიდრებისთვის, ლექსის განახლებისა და ეპოქის თავპრუდამხვევ რიტმთან მისადაგებისათვის გამართულ პოეტურ ლაშქრობაში განსაკუთრებით გამოირჩა ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, იოსებ ნონეშვილის და შოთა ნიშნიანიძის სახელები.

ირაკლი აბაშიძე რუსთაველისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლით („პალესტინა, პალესტინა“) თანამედროვეობისადმი პოეტის და პოეტისადმი თანამედროვეობის რთული დამოკიდებულების თავსატეს კითხვებს ფილოსოფიურ გადაწყვეტას აძლევს. რვა საუკუნის მიღმა დარხეულ რუსთაველის ღალადისს ჩვენს ფიქრად, ჩვენს ტკივილად აქცევს.

გრიგოლ აბაშიძე და იოსებ ნონეშვილი აქტუალური მოქალაქეობრივ-პუბლიცისტური ლექსებით, მურმან ლებანიძე და მუხრან მაჭავარიანი მაღალპატრიოტული განწყობით და ქართველი ხალხის სატკივარის დაუფარავი გაცხადებით, ანა კალანდაძე და შოთა ნიშნიანიძე – პირველი განსაცვიფრებელი ლირიკული ჩურჩულით და მეორე მეციხოვნე-პოეტის მაურო-

ული ინტონაციებით იმ პოეტურ გვირგვინს ქმნიან, რომელიც სამართლიანად აფიქრებინებს მყითხველს, რომ ქართული ლექსის დემოკრატიული ტრადიციების გაფურჩქვნა-განვითარება საიმედო ხელშია.

სამოციან წლებში ქართველ პოეტთა ოჯახს ერთბაშად შეემატა რამდენიმე იმედისმომცემი ახალგაზრდა, მალე ეს თაობა „ცისკრის“ გარშემო გაერთიანდა და „ცისკრელთა“ სახელით გახდა ცნობილი.

„ცისკრელთა“ განსაკუთრებით კოლორიტული და ნიჭიერი წარმომადგენლები არიან პოეზიაში – შოთა ნიშნიანიძე, ჯანსულ ჩარკვიანი, მორის ფოცხიშვილი, ოთარ ჭილაძე, თამაზ ჭილაძე, ტარიელ ჭანტურია, გივი გეგეჭკორი, ზურაბ კუხიანიძე, ზაურ ბოლქვაძე და რეზო ამაშუკელი.

ამ თაობის პოეტებმა თავიდანვე უარი თქვეს მყვირალა პანეგირიკული ხედვის პოეზიაზე და თავიანთ შემოქმედებაში სამყაროს ლირიკული ხედვის საწყისები გააძლიერეს. მეტი უშუალობა და ინტიმურობა მიანიჭეს ლექსს ინფორმატიულობისა და პლაკატურობის მეორე პლანზე გადაწევით (რა თქმა უნდა, ადამიანის შინაგან სამყაროში ჩაღრმავების ტენდენციები მხოლოდ ამ თაობის ლიტეპრატურული მონაპოვარი არ არის).

თვალსაჩინოა ამ თაობის დამსახურება ქართული პოეზიის ჟანრული და სტილური გამრავალფეროვნების თვალსაზრისითაც.

მათ გამოაცოცხლეს ქართული ლირიკული პოემის ტრადიცია. უფრო სწორად, თავიანთი პოემებით ერთგვარი ლიტერატურული ხიდი გადეს მაიაკოვსკის და გალაკტიონის პოემებთან. პოემის ნოველურ, სწორხაზოვან სიუჟეტზე უარის თქმით ერთხელ და სამუდამოდ უარყვეს მოთხოვისა და რომანის „გალექსვის“ არასწორი პრაქტიკა.

ახალი თვისებები აღმოაჩინეს ქართული ლექსის რითმულ და ლექსიკურ მხარეშიც – აქვე შეიძლება ლაპარაკი იმ ზოგიერთ უკიდურესობაზეც, რაც არაიშვიათად წმინდა სუბიექტურ, მხატვრული განზოგადების უნარმოკლებულ პოეტურ ხილვებ-

ში გამოიხატება. ამ თაობის პოეტთა ერთ ნაწილს ყოველთვის როდი ახსოვს, რომ ყველაფერი, რაც უგრძვნია და უფიქრია, მისი ბიოგრაფიის ყველა მოსაწყენი დეტალი და უმნიშვნელო ასოციაცია პოეზიის საგანი არ არის.

ქართული პოეზიის ჟანრულ სიახლეთა შორის უპირველესად უნდა დავასახელოთ ვერლიბრისა და თეთრი ლექსის გაბედულად დამკვიდრება ახალგაზრდა პოეტების მიერ. ამ ხაზით თავიანთ თვითმყოფად და საკმაოდ ორიგინალურ მხატვრულ სიტყვას დღითი-დღე მკაფიოდ ამბობენ და ახალი გზების ძიებისა და დამკვიდრების სურვილით მკითხველთა ყურადღებას იმსახურებენ ბესიკ ხარანაული, ლია სტურუა, გურამ პეტრიაშვილი, ჯარჯი ფხოველი, გივი ალხაზიშვილი და თედო ბექიშვილი.

ვინც ქართული პოეზიის განვითარებას თვალყურს ადევნებთ და თანამედროვე ლექსის თემატურ-ვერსიფიკაციულ სიახლეთა შესახებ დაინტერესებული მკითხველის პირუთვნელი აზრი აქვს, დამეთანხმება, რომ ჩვენს პოეზიაში ამ ბოლო დროს საყურადღებო ძვრები შეინიშნება. დღევანდელი ქართული ლექსის სიახლეთა შორის პირველ რიგში სამოქალაქო ლირიკის გამოცოცხლება და აღმავლობა უნდა დავასახელოთ. როცა ჩვენი პრესის ფურცლებზე ეპოქის მხარდამხარ მავალი პოეტის ომახიან სტრიქონებს ვკითხულობთ, ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით, რომ პოეტური გულწრფელობა და სუფთა ლიტერატურული სინდისი შემოქმედებითი გამარჯვების საიმედო გარანტია. სამოქალაქო პოეზიის გააქტიურება და ჩვენი პოეტების მასობრივი დარაზმვა სამოქალაქო პოეზიის დროშის გარშემო ლიტერატურული კამპანიის გამოხატულება კი არ არის, არამედ ეპოქის ნიშნებით განპირობებული, სოციალური მოთხოვნილებით ნასაზრდოები, პოეტურ ძიებათა კანონზომიერი შედეგია.

სამოქალაქო პოეზიის არეალში განსაკუთრებით თვალში-საცემად გამოიკვეთა და სამოციანი ნლების პოეზიის ერთი ნიშანი – ეს გახლავთ კრიტიკიზმი და პოლემიკური პათოსი. პოეტთა გულისყური უფრო ენერგიულად შებრუნდა ნაკლოვანებათა მხილებისაკენ. პოეზიამ კვლავ დაიბრუნა ყოველდღიურობის

კრიტიკული ჭვრეტის, შეურიგებლობის, წინსვლისათვის ბრძოლის პათოსი. საერთოდ კრიტიკიზმითა და პოლემიკური განწყობით გაუღენთილი ნაწარმოებების მომრავლებას სამოციანი ნლების ქართულ პოეზიაში ღრმა ფსიქოლოგიური და სოციალური მიზეზები განაპირობებს.

ქართული პოეზიის ამ ახალ ნიშან-თვისებაში ნათლად იგრძნობა ის აისპერგული ქვეტექსტები და ერის გამოღვიძებისათვის თავგანწირული ზარის რეკვა, ჩვენს სანუკვარ ოცნებას, ხვალინდელ საქართველოს რომ ეხმიანება.

კრიტიკიზმი და პოლემიკური პათოსი უკანასკნელი წლების ქართულ პოეზიაში განსაკუთრებით გამოიკვეთა ისეთ პრობლემათა გაშუქებისას, როგორიცაა პიროვნება და საზოგადოება, სამშობლოს პრობლემა, პოეტის მოქალაქეობრივი როლის საკითხი და ყოფით ნაკლოვანებათა – ანუ სოციალურ-ეკონომიკურ მანკიერ მხარეთა კრიტიკა.

ახლა რომ ვიღაც კედლებს აწყდება,  
ოთხედელშუა მიდის და მოდის,  
გამარჯვებული – კვლავ რომ მარცხდება,  
დამარცხებული რომ არჩევს ლოდინს,  
დაწესებულის ზღვარს რომ გასცდება,  
ვერ შეაშინებს შეივილი შოლტის,  
ურჩი ოცნებით ლოდს რომ დასწვდება,  
რომ ვერ ასწევს და ჩურჩულებს „როდის“?  
ოჳ, რამდენია ვაჟყაცი სანდო  
წარბშეკვრით ჩრდილში მყოფელი დრომდის...  
ახლა არ მითხრა, რომ შენ ხარ მარტო  
გამნარებული სიზიფეს ლოდით.

ამ ლექსით მურმან ლებანიძემ საზოგადოებასთან პიროვნების დამოკიდებულების მთელ სირთულეს გაუსვა ხაზი. დრამატიზმით აღსავსე ამ ქვეტექსტიან ლექსში პოეტმა ადამიანის რაობის ფილოსოფიური პრობლემა გამარჯვებისა და დამარცხების ერთიანობის, დაწესებული ზღვრის გადალახვისათვის ბრძოლის, სიზიფეს ლოდის დაძლევის პერსპექტიულ-ოპტიმისტურ ჭრილში წარმოგვიდგინა.

პოლემიკური პათოსი აშკარად დაეტყო ქართული პოეზიის ისეთ ტრადიციულ (და ერთი შეხედვით ერთპლანოვან) მოტივსაც კი, როგორიც გახლავთ სამშობლოს თემა. ამ პრობლემაზე უკანასკნელ ხანს დაწერილ ლექსებს აშკარად ემჩნევა იმის მოთხოვნა, რომ სამშობლო ქვეყნის მომავალზე ფიქრი და ზრუნვა მარტო ერისკაცების საქმე კი არ არის, იგი ყველა მოკვდავის, ყველა პატიოსანი მოქალაქის წმიდათაწმიდა მოვალეობაა.

საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე მამულზე ფიქრი;  
ხანდახან  
გულში  
ლიმილით  
ვიტყვი: –  
რა ჩემი ჭკუის საქმეა წეტა,  
მამულო ჩემო, გილხინს თუ გიჭირს! –  
რომელი მეფე ერეკლე მე ვარ!  
ანდა რომელი მსაჯული მისი  
პასუხად მყისვე,  
ვითარცა სეტყვა,  
ვინც კი და რაც კი არსებობს ირგვლივ,  
იხუვლებს ხოლმე,  
იხუვლებს ერთხმად: –  
ლალატიაო  
მაგგვარი  
ფიქრი.  
(მუხრან მაჭავარიანი)

ამ ლექსში ნათლად ჩანს, რომ ჩვენი პოეზიის ეროვნულ თემატიკას ცეცხლოვანება და აზრის სიცხადე შეემატა.

სიმართლის თქმის ტენდენციის გაძლიერებამ, კრიტიკული პათოსის ზრდამ ახლებურად დააყენა პოეტის მოქალაქეობრივი როლის საკითხიც. მკითხველმა უფრო ყურადღებით დაუგდო ყური თავის პოეტი. დიახაც, მიიჩნია იგი ამ კაცად, ვისაც ქვეყნის სულიერი ცხოვრების წინამძღოლობა ევალება, ვინც მოწოდებულია ერთ მეჩირალდნედ წარუძღვეს მამულს ძნელი ისტორიის უსიერ ტევრში. ხელოვანის არსებობის დრამატიზმი

გამოთქვა ამ სიტყვებით მორის ფოცხიშვილმა: „რა ძნელსამტ-ვრევი ყოფილა ოქროს გალიის კარი, რა ძნელსასმენი ყოფილა უგულო კაცის ზარი“. კაცობრიობის სუფთა სინდისისათვის დაწყებული ბრძოლა, სიკეთის გამარჯვებისა და ლამაზი მერმისისათვის დანთებული კოცონი, რა თქმა უნდა, მსხვერპლსაც მოითხოვს. უსამართლოდ ხელყოფილი ყველა პოეტის გამოსარჩლებაა ირაკლი აბაშიძის ლექსი „პაოლო იაშვილს“.

ყველას უყოფილ შენს სიხარულს,  
რაც გაგეხარდა,  
გრძნობებს მისდევდი  
უაღვიროდ და უსადავოდ,  
და რადგან მგოსნის სიყვარულით  
ყველა გიყვარდა,  
გეგონა არც ვის  
არც რამ ჰქონდა შენთან სადავო.  
სიცოცხლის ეშნით,  
ამქვეყნიურ წექტრით დამთვრალი  
შენი გონება  
შთაგონების ღმერთთან ომობდა  
და თუ წესია,  
თუ კაცას აქვს რამ სამართალი –  
შენთან სადავო  
მართლაც ვის რა უნდა ჰქონოდა!

XX საუკუნის პოეზიის არსებობის მთელს მანძილზე პოეტური აზრი არასოდეს ყოფილა სოციალურ თუ ყოფით ნაკლოვანებებთან, ასე შეურიგებელი; კარგა ხანია არ დაწერილა ერთად ამდენი მამხილებელი, აშკარად პამფლეტური, ფელეტონური ლექსი. რა იყო ამის მიზეზი? ერთი მხრივ ნაკლოვანებათა საგრძნობი გამრავლება და მეორე მხრივ, ამ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლის გაჩაღება.

ყური დაუგდეთ რა წეპლა გადაუჭირა „პალსტუხიან ავაზაკებს“, შენიღბულ შარაგზის ყაჩაღებს, ცივილიზაციას „ზიარებულ“ თანამედროვე ხორცმეტებს შოთა ნიშნიანიძემ პროკრუსტეს სარეცელზე დაწერილი ლექსით:

მეც შემხვედრია (არა ტყეებში  
ან შარაგზებზე) ქვეყნის ამკლები –  
გრძელ მაგიდებთან, რბილ სავარძლებში  
ჰალსტუხიანი ავაზაკები.  
ის მაგიდები სარეცლებს ჰგვანაონ,  
და კისრულობენ ცოდვას იმავეს,  
ოლონდ მახვილის გარეშე, თანაც  
ურჩებს ჭრიან და დამყოლთ ჭიმავენ.

რაც შეეხება იმდროინდელი ქართული ლექსის ფორმალურ, ტექნიკურ მხარეს, სამწუხაროდ, აյ ლიტერატურისმცოდნეს ხელდასაკაპინებელი სამუშაო არ დახვდება. ჩვენს პოეტებს შორის თითქმის აღარავინ იყო გალაკტიონისებურად ნიადაგ მაძიებელი ახლებური რიტმისა და სალექსო კონსტრუქციების, არც ქართული სიტყვის წიაღში გიორგი ლეონიძისებურად ყელამდე ჩაფლული ჩანდა ვინდე. არსებობს თითქოსდა სტანდარტული, ყველასათვის სავალდებულო ვერსიფიკაციული დონე. ყველანი მეტ-ნაკლებად ფლობენ ამ დონეს. ახალი სალექსო ფორმების ძიებით თავს არ იწუხებენ არც ისინი, ვინც თემატიკის ორიგინალურობით გამოირჩევა და ბუნებრივია, ეპიგონური პოეზია მეოცე საუკუნის დიდ – ქართველ პოეტთა მიერ ოსტატურად გაჭრილ ლექსის ფორმალურ საშუალებათა ფართო არხში უხმაუროდ მიედინება.

ცდები როგორ არ არის, მაგრამ სამოციან წლებში ჯერჯერობით ვერავინ ააშენა თავისი პოეზიის უაღრესად ახლებური, შეუვალი ციხე-კოშკი, მკითხველი სწორედ მისეულად რომ მიიჩნევდა. აღარ არის სწორედ ის, რასაც ბელინსკი „მეტყველების საკუთარ ენერგიას და ფორმის აღმასისებურ სიმაგრეს“ ეძახდა. აյ არ დავასახელებთ იმ თითზეჩამოსათვლელი პოეტების გამორჩეულ ხმასა და ინტონაციას, მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ზოგ მათგანს ხარაჩოები ჯერ არ მოცილებია და ვშიშობ ეს გამორჩევა განხეთქილების ვაშლის საშიშროებად არ იქცეს მათვის.

პოემა ტრადიციულად ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი უმთავრესი უანრია. სწორედ ამ უანრმა მოუპოვა ჩვენს მნერ-

ლობას მსოფლიო სახელი, უპირველეს ყოვლისა, „ვეფხისტყაოსნის“ სახით.

მიუხედავად არაერთი წარმატებული ცდისა, ქართულ ლიტერატურაში სამოციან წლებამდე პოემა ვერ იქცა თანამედროვეობის ასახვის მოქნილ ფორმად. დიდხანს არ იყო იგი ჩვენთვის ლიტერატურის ის „მძიმე არტილერია“, რასაც ეპოქის ეპიკური ასახვის რთული მისია უნდა შეესრულებინა. მიზეზი ის გარემოება გახლავთ, რომ სათანადოდ არ იყო შეცნობილი პოემის უანრული სპეციფიკა. პოეტთა დიდ ნანილს პოემა გალექსილ მოთხოვნად (ან რომანად) მიაჩნდა და წიგნიდან წიგნში გადადიოდა მშრალი, აღნერილობით-თხრობითი პოემები, რომლებსაც პოეტური მხოლოდ ლექსის ფორმა გააჩნდა და სხვა არაფერი. ეს გარემოება აძლევდა საშუალებას ზოგიერთ ლიტერატურის მცოდნეს პოემის „დაბერების“, მისი „უანრული კვდომის“ თეორია წამოეყენებინა. ამ ბოლო წლებში შეიქმნა (უფრო სწორი ვიქებით თუ ვიტყვით „გაცოცხლდა“, რადგანაც გალაკტიონის „ჯონ რიდი“ სწორედ ლირიკული პოემის პრინციპებზეა დაწერილი) პოემის ახალი, თანამედროვეობასთან მისადაგებული სახე ე. წ. ლირიკული პოემა, რომელშიც მწერლის ლირიკული განცდის ეფექტი ობიექტური მთხოვნელის ფუნქციას ორგანულად შეეზარდა. ლირიკული პოემის აღორძინებასა და უანრულ ფორმირებაში უპირველესი წვლილი შეიტანეს სწორედ „ცისკრელების“ – ოთარ ჭილაძის, ჯანსულ ჩარკვიანის, ტარიელ ჭანტურიას, გივი გეგეჭკორის, ბესიკ ხარანაულის და რეზო ამაშუკელის პოემებმა.

უკანასკნელ წლებში შექმნილი თანამედროვეობის ამსახველი პოემებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ოთარ ჭილაძის – „იტალიური რვეული“, „თაკო და ზაზა“, „ცირკი“ და „ადამიანი გაზეთის სვეტში“; ჯანსულ ჩარკვიანის „რწმენის კედელი“, „გაფრთხილება“, „მუჟლვერ-მზე მიდის“ და „პარალელური ხაზები“; ტარიელ ჭანტურიას „ლტოლვა“, „ძმები“ და „სტუმარი“; გივი გეგეჭკორის „მზიანი დღე“, „მეთხუთმეტე პალატა“, „სინათლის წრეში“, „ტრანზისტორი“ და „სეზამ გაიღე“; ლადო

სულაბერიძის „შემოდგომის დღის ქრონიკა“, ოთარ ჭელიძის „ამირან-მთა“ და „ჩემი მაგნიტური არე“; შოთა ნიშნიანიძის „აქ-ილევსის ქუსლი და ფარი“; ვახტანგ ჯავახაძის „ლია ქალაქი“; ნაზი კილასონიას „გახსოვდეთ მარადის“; ბესიკ ხარანაულის „ხეიბარი თოჯინა“ და სხვ.

დაინტერა რამდენიმე უაღრესად საინტერესო ისტორიული პოემა. კერძოდ, მურმან ლებანიძის „ციმბირის პაპა“ და „ან-ისის აღება“, ოთარ შალამბერიძის „ლტოლვა მარადი“, მუხრან მაჭავარიანის „ვახტანგი“ და ირაკლი აბაშიძის – „პალესტინა, პალესტინა“.

თანამედროვე ქართული პოემა რთული, ზიგზაგებიანი გზით მიიმართება. მისი უანრული ფორმირება ტრადიციების დაცვისა და ნოვატორული ძიებების არნახულ პროცესს განიცდის. თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში პოემის განვითარების საინტერესო პროცესზე დაკვირვება ცხადყოფს ჩვენი პოეტების სურვილს, ლიტერატურის უძველესი და უბერებელი უანრი დღევანდელობის სამსახურში ჩააყენონ და თანამედროვეობის გამოხატვის მოქნილ ფორმად აქციონ. პოეტის წინაშე, რომელმაც ეპიკური ნაწარმოების შექმნა განიზრახა, მოვლენათა ფართო ანალიზის, ლირიკული „ჩაღრმავების“ საკითხი დგება. ეს სრულიადაც არ ნიშნავს კოსმოპოლიტური „მიმომხილველის“ ფუნქციას. უკანასკნელ წლებში ცოტა როდი იწერება ნაციონალური კოლორიტისა და ეროვნული ტემპერამენტისაგან დაცლილი ლირიკული პოემები, რომელთა ავტორებს „მაღალ მატერიათა“ განსჯაში საკუთარი ნიადაგი და ერის წინაშე პოეტის უპირველესი მოვალეობა დავიწყნიათ.

თანამედროვე ქართული თეატრის მაღალ პროფესიონალურ დონეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თანამედროვე ქართული დრამატურგია. თუ წლების განმავლობაში ჩვენში სანთლით საძებნი იყო ქართველ ავტორთა პიესები და ნაციონალური დრამატურგიის მხრივ ქართული თეატრი სარეპერტუარო შიმშილს განიცდიდა, ამჟამად ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. მწერალმა თეატრს გაბედულად მოაშურა და თუ დღესდღეობით რე-

უისორს მაგიდაზე არ უდევს „ყვარყვარე თუთაბერის“ ბადალი პიესები, სამაგიეროდ ჩვენი მწერლობის საუკეთესო ძალების გულმოდგინე დაინიტერესება დრამატურგით თეატრის მაყურებელს სასიამოვნო მოლოდინით ავსებს.

იმ დრამატურგთა შორის, რომელთა პიესებითაც უხვად საზრდოობს ეროვნული თეატრი, უპირველესად უნდა დავასახელოთ ვალერიან კანდელაკი, ოტია იოსელიანი, ალექსანდრე ჩხაიძე, გიგლა ხუხაშვილი, რევაზ ებრალიძე, რევაზ თაბუკაშვილი, თამაზ ჭილაძე, ნოდარ დუმბაძე, გურამ ფანჯიკიძე, ლევან სანიკიძე, ოთარ მამფორია, აკაკი გენაძე, იონა ვაკელი, მიხეილ მრევლიშვილი და ალექსანდრე სამსონია. ქართველ დრამატურგთა ამ მებრძოლ რაზმს ბოლო დროს რამდენიმე ახალი სახელიც შეემატა ლაშა თაბუკაშვილის, გურია კვარაცხელიას, ავთანდილ ჩხიკვიშვილის, ენერ ნიუარაძის და გურამ ბათიაშვილის სახით.

თანამედროვეობის მახვილი გრძნობით და საინტერესო მორალურ-ეთიკური პრობლემების დაყენებით სამოციანი წლების ქართული თეატრის განვითარებაზე საეტაპო გავლენას ახდენენ: „სანამ ურემი გადაბრუნდება“ (ოტია იოსელიანი), „მოსამართლე“ (გიგლა ხუხაშვილი), „ნმინდანები ჯოჯოხეთში“ (აკაკი გენაძე), „თავისუფალი თემა“ (ალექსანდრე ჩხაიძე), „ბრალდების მოწმე“ (ნოდარ დუმბაძე), „აკვარიუმი“ (თამაზ ჭილაძე), „დონ-კიხოტის მოგზაურობა საქართველოში“ (ვალერიან კანდელაკი) და სხვ.

საბავშვო ლიტერატურის ურთულეს უანრში წარმატებით მუშაობენ და ახალი თაობის წრთობის საპატიო საქმეში თავიანთი კეთილშობილური წვლილი შეაქვთ მაყვალა მრევლიშვილს, გივი ჭიჭინაძეს, გიორგი წერეთელს, არჩილ სულაკაურს, იორამ ქემერტელიძეს, კუკური გოგიაშვილს და სხვებს.

მაყვალა მრევლიშვილისა და არჩილ სულაკაურის ნაყოფიერი გარჯა ლიტერატურის ამ დარგში რუსთაველის პრემიის მინიჭებით აღინიშნა.

აღმავლობას განიცდის ჩვენში მდიდარი ტრადიციების მქონე მთარგმნელობითი ლიტერატურაც. ქართველ მკითხვ-

ელს ხელი მიუწვდება არა მარტო მსოფლიო ლიტერატურის კლასიკურ ძეგლებზე, არამედ მას საშუალება აქვს თვალი გაადევნოს თანამედროვე ევროპული და ამერიკული ლიტერატურის უახლეს მოვლენებსაც. მხატვრული ლიტერატურის თარგმნის საქმეს წლების განმავლობაში წარმატებით ეწევიან ვახუშტი კოტეტიშვილი, ზურაბ კიკნაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, თამაზ ჩხერიმელი, ელგუჯა მაღრაძე, ძმები ჯორჯანელები, იორამ ქემერტელიძე, მაგალი თოდუა, თამარ ერისთავი, რომან მიმინოშვილი, ამირან გაბესკირია, გიორგი ბაქანიძე, ვახტანგ ჭელიძე და სხვანი.

60-იან წლებში ქართული სალიტერატურო კრიტიკა პირუთვნელად და ობიექტურად ასახავს ჩვენი მწერლობის გამდიდრებისა და განვითარების რთულ, წინააღმდეგობრივ პროცესებს. კრიტიკამ დაიბრუნა მწერლის კეთილი მრჩევლისა და მასწავლებლის, ლიტერატურის მაორგანიზებლის მაღალი ფუნქცია. დავით ყოლუნტარისტული კრიტიკისა და „კრიტიკული ჩეხვის“ მოძველებული მეთოდები. თანამედროვე კრიტიკის დონეს ნაწარმოების კომპლექსური განხილვა, გულმოდგინე იდეურ-მხატვრულ ანალიზთან ერთად თანამედროვე ლიტერატურაში მისი ადგილისა და როლის გარკვევის ტენდენცია განაპირობებს. იმ კრიტიკოსთა შორის თანამედროვე ლიტერატურის განვითარებაზე გავლენას რომ ახდენენ და რომელთა სიტყვასაც გულისყურით უსმენს მწერალიცა და მკითხველიც, უნდა დავასახელოთ გურამ ასათიანი, გიორგი მერკვილაძე, სერგი ჭილაია, გიორგი ჯიბლაძე, აკაკი განერელია, გურამ გვერდნითელი, გიორგი გაჩეჩილაძე, ოტია პაჭკორია, ტარიელ კვანჭილაშვილი, ერემია ქარელიშვილი, აკაკი ბაქრაძე, ჯანსულ ლვინჯილია, ვიოლეტა ცისკარიძე, შალვა ჩიჩუა, სარგის ცაიშვილი, ვასო ბაიაძე, აკაკი თოფურია, დავით თევზაძე, კობა იმედაშვილი, გურამ ბენაშვილი, გურამ კანკავა, გია მარგველაშვილი, რევაზ მიშველაძე, სოსო სიგუა, ელგუჯა მაღრაძე, თეიმურაზ დოიაშვილი და სხვა.

\* \* \*

ქართული მწერლობის საიმედო ბირთვი ყოველთვის იქ იდგა, სადაც მწერლის მკლავი და გონება ყველაზე მეტად იყო საჭირო. მკითხველთა გულის მესაიდუმლე იგი ნიადაგ უხსნიდა და ასწავლიდა ადამიანებს, თუ როგორ მოეწყოთ ცხოვრება ახლებურად, ეძებდა ჩვენი თანამედროვის რთულ სახეში ახალ ნიუანსებს, მისი ხასიათის ყველაზე ტიპიურსა და მისაბაძ თვისებებს და სამზეოზე გამოჰქონდა ისინი. ფრიად ძნელი იყო რუსთაველისა და ვაჟასათვის ყურმიჩვეული მკითხველის ყურადღება და სიყვარული დაგემსახურებინა, მკითხველის გემოვნება ლიტერატურის ახალი ამოცანების შესაბამისად წარგემართა და უაღრესად მოკლე დროის განმავლობაში მიგელწია მისი უახლოესი მეგობარი და მეზური გამხდარიყავი. დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართულმა ლიტერატურამ ამ უაღრესად რთულ მისიას სასახელოდ გაართვა თავი.

წმინდა მხატვრული თვალსაზრისითაც უზარმაზარია უახლესი ქართული ლიტერატურის წვლილი მსოფლიო კულტურის ისტორიაში. გალაკტიონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძის და მიხეილ ჯავახიშვილის სახელები მსოფლიო ლიტერატურის საგანძურთა შორის უნდა ბრწყინავდნენ, ხოლო გალაკტიონისა და გიორგი ლეონიძის ლირიკა, „ჯაყოს ხიზნები“, „მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „გვადი ბიგვა“, „კოლხეთის ცისკარი“, „დათა თუთაშხია“, და ირაკლი აბაშიძის „პალესტინა, პალესტინა“ ის დიდებული მხატვრული ძეგლებია, რომელთაც ყოველთვის საეტაპო ლიტერატურულ ნიმუშებად ჩათვლის ქართული მხატვრული აზრის მატიანე.

უახლესი ქართული ლიტერატურის ყველაზე თვალსაჩინო მონაპოვართა თუნდაც უბრალო ჩამოთვლაც საემაოდ ძნელი საქმეა, ისე დიდია ჩვენი კულტურის ისტორიაში სიტყვის თანამედროვე ოსტატთა მიერ შეტანილი წვლილი.

შემუშავებული და წლების განმავლობაში პრაქტიკით განმტკიცებული იქნა თვისებრივად ახალი ლიტერატურის მეთოდოლოგიური და მსოფლმხედველობრივი პრინციპები.

ჩვენმა პოეტებმა (გალაკტიონი, გ. ლეონიძე, ი. აბაშიძე) ქართული ლექსი არნახულ სიმაღლეზე აიყვანეს. ლექსის ვერ-სიფიკაციულ საოცრებათა ეპოქა დადგა. უჩვეულოდ მრავალ-ფეროვანი გახდა ქართული ლექსის ფორმალურ საშუალებათა არსენალი.

მეოცე საუკუნის ლიტერატურის მონაპოვარია ქართული ისტორიული რომანის ჩამოყალიბება და კლასიკური ნოველის ნაციონალური სახის გამოკვეთა.

გალაკტიონის მიერ დამკვიდრებული ლირიკული პოემის ორიგინალური სახე როგორც ჩვენი დროის მოვლენათა პოეტური ხატვის ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ფორმა არნახულ გავრცელებასა და განვითარებას პოულობს თანამედროვე ახალგაზრდა პოეტთა შემოქმედებაში.

თანამედროვე ქართველმა მწერლებმა დიდი შრომა გასწიეს ჩვენი ყველაზე ძვირფასი ეროვნული საუნჯის – ქართული ენის დაცვის, განმტკიცებისა და გამდიდრების საპატიო საქმეში. ქართული ენის განვითარება დღეს ძირითადად ორი ხაზით მიმდინარეობს: პირველი, ეს გახლავთ, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მიერ რეფორმირებული სალიტერატურო ენის ტრადიციების უშუალო გაგრძელება-განვითარება, მეორე – თანამედროვე ქართული ორიგინალური სინთეზი ძველ ქართულთან, რაც ძველი ქართულის სიტყვათწყობის ფორმებისა და ხერხების გაბედულ გათანამედროვეობაში გამოიხატება. კონსტანტინე გამსახურდიას მიერ წლების განმავლობაში შემუშავებული და დამკვიდრებული სტილიზებული სალიტერატურო მეტყველება ძველი ქართულის გამძლე საყრდენებზე მდგარი დარბაისლური ქართულის საუცხოო ნიმუშია და ჩვენი უკვდავი ენის ლექსიკურ-ფონეტიკური საშუალების ამოუნურავი მარაგის დასტურიც.

და რაც მთავარია, უახლესმა ქართულმა ლიტერატურამ შექმნა და საუკუნეებს შემოუნახა ჩვენი ეპოქის უტყუარი მხატვრული მატიანე. ჩვენი მწერლების მიერ დიდის რუდუნებით შექმნილი თანამედროვეობის მხატვრული ქრონიკები მომავალ თაობებისთვის, აღბათ, ყველაზე საიმედო წყარო იქნება

ქართველი კაცის, მისი იდეალების, მისი ცხოვრების რთული გზის, მისი მისწრაფებების და შეხედულებების გასაცნობად.

ყოველი დროის მწერლის ერთ-ერთი უმთავრესი თვისება გულწრფელობა, მართლად თქმის უნარი გახლავთ. თოვლის ყორესავით დროებითია დიდება იმ შემოქმედისა, რომელიც თავისი ეპოქის ჭეშმარიტი სურათის შექმნის პრეტენზით აღიჭურვება და სინამდვილეში კი უნამუსოდ ტყუის, არლეკინივით ჟონგლიორობს, სიცრუის აკვარელში შეთითხნილ ჩითმერდინს უქნევს ცხვირწინ მკითხველს.

პირდაპირ დავსვათ კითხვა: სწორ წარმოდგენას მისცემენ თუ არა ჩვენი წიგნები მომავლის მკითხველს იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა მეოცე საუკუნის დასასრულის და XXI საუკუნის პირველი ათწლეულის საქართველოში?

რა დასამალია, ამ კითხვას მხოლოდ სამი-ოთხი მწერალი უპასუხებს წელგამართული – დიახ. ზოგს სირცხვილეულად გაედიმება და, როგორც სჩევია ხოლმე, განზე გაიხედავს, აქაოდა, ეს კითხვა სხვას ეხებაო. რამდენიმე მეგობარი კი ხელებს გაასავსავებს – მერედა ვინ გითხრათ, რომ მწერლის უმთავრესი დანიშნულება თავისი ეპოქის გამოხატვააო.

სამწუხაროდ, არაერთ ნიჭიერ შემოქმედს ვიცნობ მწერლის ღვთიურ ვალზე რომ სწორი წარმოდგენა არა აქვს. იგი ამ უკანასკნელ ხანებში იმდენად მოსწყდა ეროვნულ ნიადაგს, რომ მოეჩენა ლიტერატურა მხოლოდ ლიტერატურისთვის არსებობსო და მხედველობიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ ქართველ კაცს კაზმული სიტყვა ოდენ გასართობად არასოდეს არ სჭირდებოდა, მწერლობა მისთვის თავისუფლებისათვის ბრძოლის ერთი მთავარი საშუალება იყო.

ბევრჯერ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: პირადად ჩემთვის არ არსებობს მწერალთა თაობებს შორის ხელოვნურად აღმართული შემოქმედებითი წყალგამყოფები. ნაწარმოების კითხვისას მისი ავტორის მეტრიკული მონაცემები სრულებითაც არ მაინტერესებს. ჩემთვის არსებობს ჭეშმარიტი მწერლობა და ლიტერატურის სუროგატი. თუ ერთნი ცდილობენ ამ ორი საგნის, თეთრისა და შავის ერთმანეთში აღრევას (რათა ამ გზით

თავიანთი უნიჭობის კვალი დაფარონ), პრინციპული კრიტიკის უპირველეს დანიშნულებად, სწორედ, ნამდვილისა და ყალბის ერთმანეთისგან გამიჯვნა მიმაჩნია.

მწერალთა ყველა თაობას ერთი ვალი გვაქვს, ერთი მიზნი-სკენ მოგვიწოდა ბუნებამ. ჩვენი ქვეყნის სამსახურისა და ერის გამოლვიძების ზარების რეკვას როგორც კი მოსაწყენ და ერთ-ფეროვან საქმედ მივიჩნევთ და სხვა „უფრო რთული“ საქმეებით დავიტვირთებით, ჩავთვალოთ, რომ უფლება აღარა გვაქვს ქართველი მწერლის მაღალი ტიტული ვატაროთ.

ეს გაფრთხილება დროულად მიმაჩნია და, იცოდეს ღმერ-თმა, მავანთა გასაღიზიანებლად არ გამომიგონია. ჩემს ნაფიც კოლეგებს რომ გადავხედავ, ხანდახან, სინაზულით გული შემე-კუმშება. სად დაიკარგა თანადგომის, ერთპირობის, დასახული მიზნისთვის მონოლითურად ბრძოლის ის მაღალი იდეა, ხალხს პირობად რომ დაგუდეთ, როცა კალამი ავიღეთ ხელში?

როგორ არ მინდა დავიჯერო, რომ ხდება ის, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა და რასაც სხვებს ვუკიუნინებდით ჩვენს სი-ყმანვილეში: ერთს გაბედულება და ვაჟკაცობა არ ეყო კარგად დაწყებულის გაგრძელებისა, თეთრი აფრა აუშვა და სახოტბო მწერლობაზე გადავიდა, მეორეს გაბედულება მხოლოდ იქამდე ეყო, რომ კალამი დადო და ალარაფერს წერს, მესამემ ყურები ჭრელი ბაფთით აიკრა და ქარში მოხვედრილი ლერწამივით მი და მო ქანაობს, მეოთხე ჩინ-ტემლაკებმა გაიტაცა („რომელნიმე შეტყუვილით“ – იოანე საბანისძე), ერთს ყაყანი მის მყუდრო კაბინეტამდე ველარ აღწევს, მეხუთე, კუს ფეხის გამოყოფისა არ იყოს, ძალად ერევა მარაქაში და, რაც ყველაზე სამარცხვი-ნოა, ხოჭვით მიიწევს ლიტერატურული კარიერის საეჭვო გზა-ზე. მურმან ლებანიძის სტრიქონები მახსენდება: „ბრაუნინგით არ მომკვდარან, ვინც დღეს ჩემთვის მკვდარია, არც ფანჯრი-დან გადმომხტარან, მშვენიერად არიან“.

„მშვენიერად მყოფთა“ გაკვეთილად არაერთი მწერალი წინა ხაზზე პიროფლიანი იქნევს ხმალს, მათი სტრიქონების ჩახაჩუხი ქმნის სწორედ ქართული მწერლობის ღირსების ექლს და იმ სას-წაულებრივ ატმოსფეროსაც – მკითხველს რომ ჯერ კიდევ ეს-მის და სჯერა ჩვენი.

ქართული პროზა უკანასკნელ ხანებში ოთხი მიმართულებით განვითარდა. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ასახვის სა-გნისა და უანრული თავისებურების ოთხ სახეობად მოგვევლინა.

პირველი გახლავთ თანამედროვეობის ამსახველი თხზულე-ბა. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი პროზის ერთი ნაწილი ჩვენი დღეების სწორ სურათს იძლევა, ხოლო მეორე ნაწილი სინამდ-ვილეს ხელოვნურად აღამაზებს, ნაწარმოებთა ერთ წყებას თანამედროვის ხასიათის კვლევის ნიშანწყალი ამჩნევია, ხოლო მეორე წყება პრიმიტივიზმითაა დაღდასმული; მაინც აშკარად ჩანს მწერლის სურვილი – სადღეისო, აქტუალურ პრობლემებს შეეხმიანოს და ამ მკითხველს ცხოვრების უკეთ მოწყობაზე ფიქრის საღერღელი აუშალოს.

მეორე სახეც ჩვენი პროზისა ტრადიციულია და წინაპართა მდიდარი გამოცდილება უმაგრებს მხრებს. ეს გახლავთ ისტო-რიული რომანი და ისტორიული მოთხოვობა. ამ, ერთი შეხედ-ვით, სამუდამოდ გამოკვეთილ უანრშიც ორი დინება შეიმჩნვა. მწერალთა ერთ ნაწილს ისტორია აინტერესებს თანამედრო-ვეობასთან მიმართების თვალსაზრისით. ისტორიიდან სწორედ ისეთ ფაქტებსა და პასაუებს არჩევს, ჩვენ სადღეისო ამოცანებს რომ ეხმიანება. ამგვარი ისტორიული თხზულება მკითხველს ჩვენი ერის გუშინდელ დღეს კი არ მოაწონებს მხოლოდ და მხო-ლოდ, დააფიქრებს იმაზეც, თუ ისტორიის რა მოსახვევზე და-ვუშვით შეცდომა და რა არის საჭირო იმისათვის, რათა ქართ-ველმა კაცმა შთამომავლობას პირნათლად გაუსწოროს თვალი. იწერება იმგვარი ისტორიული თხზულებებიც, რომელთა ავ-ტორთათვისაც ისტორია თვითმიზნად ქცეულა. კითხულობ და ფიქრობ: რისთვის დასჭირდა მწერალს გარდასულ აჩრდილთა გამოხმობა? რას აძლევს გუშინდელ დღეთა რომანტიული სუ-რათების მოსაწყენად გადმოცემა თანამედროვე მკითხველს? და მაინც, ჩვენი მიმტევებელი მკითხველი გულისყურით დაეძებს ორივე სახის ისტორიულ ნაწარმოებს, რადგანაც ამ ნაწარმოე-ბებს რეალისტური პროზის ნათელი ადგათ.

მესამე მიმართულება თანამედროვე პროზისა მითოსურ-ისტორიულად შეიძლება მოინათლოს. წმინდა სახით იგი არც

ისტორიულია და არც მითოსური. ისტორიულ ეპოქაზე ავტორი მიგვანიშნებს, მაგრამ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არ ჰყოფნის ისტორიის ცოდნა, კმაყოფილდება ოდენ მხატვრული გამონაგონით და იმის სურვილსაც კი არ ამჟღავნებს, რომ ისტორიული ეპოქა მასშტაბურად გამოხატოს, დროის კოლორიტი შექმნას, იმ პერიოდის უმთავრესი პრობლემები ჩვენს თანამედროვეობას დაუკავშიროს. ძველი გაზიეთებიდან ამოღებული ციტატები და საყველპურო ისტორიული რეალიები, ნაწარმოებს ისტორიზმის სურნელს ვერ ანიჭებს. ამას, როგორც ჩანს, ავტორიც ხვდება და თავშესაფრად მითოსს მიმართავს. უადგილოდ, ხელოვნურად მოხმობილი მითოსური და ბიბლიური პასაჟები მკითხველის დაბნევის ნაცადი გზაა. ზოგიერთ ნაწარმოებში იგი არქიტექტურულ ზედმეტობად მოჩანს და მწერალს იმ თითო-ოროლა საეჭვოდ გახმაურებული ევროპელი თუ ამერიკელი მწერლის ეპიგონად ნარმოგვიდგენს, რომელთა გვარსაც მხოლოდ და მხოლოდ დელიკატური მოსაზრებით არ ვასახელებ. კითხვისას აშკარად იგრძნობა, რომ ავტორს არ ჰყოფნის გაბედულება სიმართლეს პირდაპირ შეხედოს და იქ გასჭრას, სადაც საჭიროა. რაკი წერის მანერასაც კი სხვას ესესხება, ბუნებრივია, იმ ცხოვრების ზედაპირზე დაცურავს, რომლის გამოხატვის მიზანი დაუსახავს, სილრმისეულ მოვლენებს ვერ სწვდება მისი გონება, ბალეტური ფრენით გადადის თაობიდან თაობაზე, დასასრულს ავინწყდება, რისი თქმა სურდა დასაწყისში და წიგნს რომ დახურავ, შეურაცხყოფილის, მოტყუებულის განცდა გეუფლება. – აკი კარგად დაინყო, აკი ერთი-ორი საინტერესო ეპიზოდიც შემხვდა რომანში? ფიქრობ რაშია საქმე. რატომ არ ეყოდენთი? რატომ ბოლომდე ვერ თქვა სათქმელი?

ზემოთ ნახსენებმა სინთეზურმა უანრმა (ისტორიისა და მითოსის ხელოვნური დაკავშირება რომ განუზრახავს) ამ ბოლო დროს ერთი-ორი ნიჭიერი მწერალიც გაიტაცა და, როგორიც არ უნდა იყოს ჩემი პოზიცია ამ „გაურკვეველი უანრის“ მიმართ, ობიექტურობა მაიძულებს ვალიარო, რომ რამდენიმე საყურადღებო ნაწარმოები შეიქმნა. უანრი შეიძლება ხვალ-ზეგ უფრო დაიხვეწოს და ქართულ პროზის წიაღს ორგანულად შეეზარ-

დოს, რაშიც ამ სტრიქონების ავტორს ეჭვი ეპარება. მე უფრო სავალალოდ ჩვენი პროზის ახლახანს მოვლენილი ის სახე მიმაჩნია, რომელსაც პირობითად აბსტრაქტულ-რებუსური უნდა ვუწოდო.

ვინ არიან, საიდან გაჩნდნენ ქართულ წიგნებში ეს უსამშობლო, უსახელო, უნარსულო პერსონაჟები? რა აწუხებთ, რისკენ ილტვიან, რატომ აალაპარაკა ქართულად მწერალმა ვულგარული ლიტერატურის ეს გაცრეცილი მარიონეტები? ნუთუ ჩვენ, ისტორიის ვეება ხახასთან ლამის დედიშობილად დარჩენილებს, ათასი სატკივარი რომ გაგვიჩინა მეცნიერულ-ტექნიკურმა დრომ, ნიველირების ჯადოსნური ქარი საშიში ყურეებისკენ რომ მიგვერეცება და კბილის კანკანით ვიცავთ ჩვენს ეროვნულ არსებობას, ახლა ამგვარი მოყირჭებული, მსუბუქი ლიტერატურისათვის გვცალია?

ვკითხულობდი, ამასწინათ, აბსურდულ-აბსტრაქტული პროზის ერთ-ერთ შედევრს. ერთი პირობა გავიფიქრე: იქნებ სათქმელი აქვს მწერალს ისეთი, რომ უსათუოდ უცნობ გეოგრაფიულ გარემოში უნდა მიმდინარეობდეს მოქმედება და განზოგადებულის ილუზიის შესაქმნელად პერსონაჟებს გაუგონარი, ფელეტონურ-პაროდიული სახელები უნდა ერქვათ-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ. გონებას ძალიან თუ დაძაბავდი, მოთხოვობის ფსკერზე იპოვიდი იმ პანაწინტელა პრობლემას, ყოველ მეორე წკიპურტში რომ ატრიალებენ სატირული უურნალები და რასაც ადრე არაერთხელ მიაქცია წალმართიანად მოაზროვნე მწერალმა ყურადღება. ავტორის უკიდეგანო კოსმოპოლიტიზმი (კოსმოპოლიტიზმს თუ კიდევ „უკიდეგანობა“ სჭირდება) ჩემთვის აბსოლუტურად აუხსნელი აღმოჩნდა. ნაწარმოების კრიტიკულმა სიუჟეტურმა „ხლართმა“ და წაჯექუუჯექურმა არქიტექტონიკამ ხომ გამალიზიანა, შემაძრნუნა მშობლიური ენისადმი მწერლის აგდებულმა დამოკიდებულებამ. ეს გახლდათ, არც მეტი არც ნაკლები, აბუჩად აგდება ჩვენი ულამაზესი ქართულისა. ხელის ერთი მოსმით უარყოფა იმ ენობრივი კონსტრუქციებისა, რის ჩამოყალიბება-დადგენასაც მწერალთა და მეცნიერთა მრავალსაუკუნოვანი შრომა შეეწირა. ფორმალური ძიებებისა და

ექსპერიმენტის უფლება, რა თქმა უნდა, მწერალს ყველა ასაკში აქვს, მაგრამ მიკვირს და გამკვირვებია, ასე ხელადებით რატომ დებს სასწორზე თავის მწერლურ რეპუტაციას პროზაიკოსი, რომელსაც სხვა დროს არაერთი კარგი თხზულებით გავუხარებივართ და თავისი მკვირცხლი და ფხიზელი გონებით ბევრჯერ მიუქცევიათ მკითხველის ყურადღება?

საინტერესო ძვრები ხდება თანამედროვე ქართულ პოეზიაშიც. დრომ, ულმობელმა და პირუთვნელმა დრომ, ბევრი რამ ახლებურად შეაფასა და წარმოაჩინა. საუკუნის ბოლო ოცნლებულში დღითი დღე იკვეთება იმათი სახელები, ვინც ოცდამეერთეშიც ემახსოვრება და დასჭირდება მკითხველს. და იმავე დრომ სამუდამოდ დასავინწყებლად გასწირა რამდენიმე გახმაურებული პოეტის ლამაზად გამოცემული ტომეულები. დრო აზუსტებს ყოველგვარ სიას და თუ დღეს მოწყენილად მიმოდიან ორმოცდაათსგადაშორებული თითო-ოროლა პოეტები (რომელთა სახელები ამ ოციოდე წლის წინათ პირზე ეკერა მკითხველს), თუ უკვირთ მკითხველის „გაცივება“ მათი ნაწერების მიმართ, გულისტკივილით უნდა ვუთხრა, რომ მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო. ტრიბუნას ჩაბდაუჭება (სხვამ არ მომასწროს) და პანეგირიკული ღალადისი პოეტად ვერ გაქცევს, შენ ცუდად გახარჯე შემოქმედებითი ნიჭი, მოტყუვდი, იაფმა პოპულარობამ გაგიტაცა, საოცარია, მაგრამ შენი წინა თაობის გამოცდილებაც არ გაითვალისწინე (არაერთი, ადრე სახელოვანი პოეტი სამოციან წლებში თვალისწინდაკარგული, ან მძიმე სენით საწოლს მიჯაჭვული, რედაქტირების მომიზეზებით ულმობლად რომ ფხრენდა თავისი წიგნებიდან ყალბ-ლოზუნგურ ლექსებს და გადარჩენილი ლირიკის პატარა წიგნითლა რომ შეჰქურებდა მომავალს), საუკეთესო წლები შემოქმედებისა განუცდელი, ქიმერული ჭეშმარიტებებისათვის გუნდრუკის კმევას მოახმარე და შედეგსაც სათანადოს იმკი. ქართული პოეზიის დიდ ტაძარში დღეს, ჩვენდა გასახარად, ის პოეტები ნათობენ, ერის წუხილს და გულისთემას ვინც გამოხატავს, თავის ჩანგს ვინც სიმართლის სამახური დაუსახა მიზნად და ამ მიზნისთვის არასოდეს უდალატნია, ვინც შორს გაუმიზნა თავისი შემო-

ქმედებითი ისარი და სინდისის მძიმე ულელი შეურცხვენლად გამოატარა ათას ცდუნებასა და ღრიანცელში.

ახალგაზრდები? დიდი სიფრთხილეა საჭირო ახალგაზრდებზე საუბრისას. რამდენიც უნდა გვიკიუინონ ახალგაზრდების შეფასებას აგვიანებთ, იქნებ სწორიც კი იყოს ზოგჯერ მეთოდური ფეხის ათრევა ახალბედა შემოქმედის შეფასებისას. განა რამდენჯერ შევცდით, რამდენჯერ ავტებეთ ზანზალიკების უღრიალი; ეს ვინ მოვიდა, ამას რას მოვესწარითო, ისე გავახმაურეთ დამწყები კაცის სახელი, რომ ამით, ჯერ ერთი, მასვე შევუქმენით ყალბი წარმოდგენა საკუთარ ძალებზე, ცხოვრება გავუიოლეთ და მეორეც სხვებს, უჩინართ, გული დავწყვიტეთ. გავიდა ცოტა ხანი. მოვიხედეთ და სადღარ ჩვენი „ყოჩი“. თავის ახალგაზრდულ ლაშქარს წინ კი არ მიუძლვის როგორც ველოდით, კუდშიც ველარ მიჩანჩალებს. გზაზე თვლემა მორევია, ხელი ჩაუქნევია, რომელი-ლაც მოსახვევში, ჩვენდა შეუმჩნევლად გამოსულა მწყობრიდან და ჩრდილში მიმჯდარა. ამ სტრიქონების ავტორი თავის დროზე მიესალმა ქართული ლექსის ფორმალურ გამრავალფეროვნებას (კანონიერი ლექსი და ვერლიბრი), სიამოვნებით მიიღო ახალგაზრდა ქართველ პოეტთა ძიებანი, მაგრამ ერთი „ჰაი“ ჩემს ახალგაზრდა მეგობრებსაც უნდა შევძახო. ზედმეტად „ესთეტიკური“ ახალგაზრდები ხომ არ გვყავხართ? ფორმით გატაცებამ ზოგი თქვენგანი ლიტერატურულ კოხტაპრუნად ხომ არ აქცია? რა თქმა უნდა, გულიანი ამოოხვრაც საქმეა, მაგრამ შიგადაშიგ ხომ არ გავიწყდებათ, რომ თქვენ ილიას და აკაკის მემკვიდრენი ხართ და „გარემოების საყვირის“ მანტია შორს ხომ არ გადადეთ? რატომ ხდება, რომ სიყრმის ასაკს კარგა ხანია გადაცდით და თქვენი გვარები საქართველოში ძალზე ცოტამ იცის? ღმერთმა დაგიფაროთ, თქვენი წინა თაობის ზოგი წარმომადგენლის – ძალად გახმაურების სენისაგან, მაგრამ გაჭიანურებულმა მორცხვობამ მეორე უკიდურესობაში არ გადაგაგდოთ, დროა თქვენი მყუდრო სალონებიდან გამოყოთ თავი და ხალხში გაერიოთ მებრძოლებად, მომწოდებლებად, კეთილ და ჭკვან მრჩევლებად.

სად არ ითქვა, რა გზები არ მოიძებნა, მაგრამ მაინც ძველებურად და ჯიუტად გრძელდება ჩვენ თეატრში აგდებული

დამოკიდებულება თანამედროვე ქართული დრამატურგიისადმი. რა ინერცია იქნა აღებული ასეთი, რომ წლების განმავლობაში ვერა და ვერ გადავლახეთ. ჩვენი რეჟისორები თეატრალური საზოგადოების პლენუმებსა და სხვა სახელოვან თათბირებზე ერთმანეთს ეჯიბრებიან ლამაზი ეპითეტების მოძებნაში იმის სათქმელად, რომ თანამედროვე ეროვნული დრამატურგია ორივე ფეხით კოჭლობს, სუსტია. ჯერ ერთი, ხატზე დავითიცებ, რომ ეს აკვიატებული შეხედულება მართალი არ არის. მე ვიცი რამდენიმე შესანიშნავი პიესა ჩვენი დრამატურგებისა, თეატრების პორტფელში რომ ძველდება და ჩრჩილი სჭამს. მეორეც, რა მოიმოქმედე, ჩემო თეატრალო ძმობილო, შენი ეროვნული დრამატურგიის დონის ასაწევად? ნიშნის მოგებით ნათქვამი – „ოლოლო შენ“ და „ხომ ხედავ, სუსტია“ შველის საქმეს? უცხოელი ავტორის პიესის დადგმისას მთელი შენი ნიჭის ფოიერვერკს რომ მოშველიებ, დღესა და ლამეს ასწორებ, ხან შენი და ხან სხვისი რეჟისორული ალმოჩენებით აავსებ სპექტაკლს, ხოლო ქართველი დრამატურგის პიესაზე უგემურად, ულამაზოდ, აგდებულადაც კი წაიმუშავებ ხოლმე, ესაა საქმე? ღმერთმა დამითაროს იმის ფიქრისაგან, რომ შენ ამას წინასწარგანზრახულად სჩადიხარ, რომ მერე ნიანგის ცრემლები დავარო და დიდად შეწუხებული კაცის იერით გამოგვიცხადო – ვცადეთ, მაგრამ არ გამოგვივიდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ნიჭიერი დრამატურგი არა გვყავსო. არც გვეყოლება, თუ თეატრსა და დრამატურგს შორის კვლავ გაგრძელდება ამ ოცდაათი წლის წინათ დაწყებული კატათაგვობანას თამაში. რამდენიმე ჩემი მეგობრის, ნიჭიერი მწერლის მაგიდაზე ვნახე საქართველოს კინოსტუდიის მიერ გამოგზავნილი ბარათი, გთხოვთ სცენარი დაგვიწეროთო. მსგავსი თხოვნით თუ მოუმართავთ თქვენთვის თეატრებს-მეტქი. არასოდესო, სინანულით მიპასუხეს. რა ჩინტემლაკები ჩამოგერთმევათ, ან რა სიამაყე შეგელახებათ იმით, ძვირფასო თეატრის დირექტორებმ და მთავარო რეჟისორებო, კარგ მწერალს რომ მისწეროთ წერილი, დაუკვეთოთ პიესა? ჩიტი ხელის აქნევას ელოდაო, იქნებ ის მწერალი კარგა ხანია გამოვიდა შიშველი ენთუზიასტის განწყობილებიდან და სწორედ

შენს ყურადღებას, შენს წერილს ელის? არ ვაკეთებთ ჩვენ ამას, არც სახელოვანი და არც ნაკლებსახელოვანი თეატრის მესვეურნი მწერლის კიბეს არ ავივლით ეროვნული დრამატურგიის საქმის წინ წასაწევად. გავკადნიერდები და ვიტყვი: იმაშიც ძალიან მეპარება ეჭვი, რომ ვკითხულობდეთ ყოველივე საუკეთესოს, რაც თანამედროვე პროზასა თუ დრამატურგიაში იქმნება, მაშ, რატომ გირჩევნია, შე კარგო კაცო, ვამპილოვის უსუსური პიესა ეროვნული დრამატურგიის იქნებ არცთუ „ნადირობასავით“ სუსტ ნიმუშს? რატომ გვჩრიო ხოლმე ცხვირში შენივე საეჭვო ღირსების დრამატურგიულ ექსპერიმენტს? იმის სათქმელად ხომ არა – არ არსებობს, ბატონო, პიესა და იძულებული ვარ მე, რეჟისორმა ვწერო? პიესის წერას ვინ დაგიმლის და დიდი რეჟისორები დიალაც წერდნენ, მაგრამ მე სხვა მაფიქრებს; რატომ ხდება, რომ შენი ლიტერატურული ნავარჯიშევი ასე მოგწონს, ხოლო პროფესიონალი დრამატურგის ქართულ პიესაზე ცხვირს აიბზუებ ხოლმე? იქნებ უკეთესი შედეგი გამოიღოს თქვენმა ერთობლივმა მუშაობამ პიესაზე, რეჟისორისა და მწერლის გვერდიგვერდ ჯდომამ?

სცადეთ.

კვლავ უჭირს ჩვენს სალიტერატურო კრიტიკას მწერლობის პროპაგანდისტისა და ორგანიზატორის საპატიო მისიის შესრულება, თუმცა ამდენი ერუდირებული და ნიჭიერი კრიტიკოსი არასოდეს ჰყოლია ჩვენს ლიტერატურას. ზოგჯერ სიამოვნებას მგვრის მწერლის ბუნდოვან მოთხოვნაზე დაწერილი კრიტიკოსის ნათელი წერილი, მაგრამ მაინც მაფიქრებს ჩვენი საქმიანობის ერთი მხარე. ჩვენ ნელ-ნელა დაუთმეთ შემფასებლის როლი და, რბილად რომ ვთქვათ, „განმმარტებლებად“ ვიქეცით. ზოგი კრიტიკული წერილი აპოკრიფითაა, მხატვრული ნაწარმოების დამატება-გაგრძელებაა და როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, იშვიათად უფრო ლამაზადაც დაწერილი, ვიდრე თვით სარეცენზიო თხზულება გახლავთ. კანიდან ძვრება ზოგჯერ კრიტიკოსი, რომ ავტორის ლიტერატურული ახირება გაამართლოს. რა პარალებს არ უძებნის, რა „იზმს“ აღარ მიაწერს, ოღონდ გვერდით დაუდგეს, თვისი მფარველი კალთა გადააფაროს ნაწარმოებს.

არა, მეგობრებო, ჩვენთვის მფარველი ანგელოზის მისია არავის დაუკისრებია. კაცმა რომ თქვას, ვისგან უნდა დავითვაროთ, მკითხველისაგან? იმ სულგრძელი მკითხველისაგან, ვინც გვენდო, კრიტიკოსი დაგვარქვა, და ჩვენი გემოვნებისა, ხშირ შემთხვევაში, ეჭვმიუტანლად სჯერა? დათაფლული კრიტიკის გამოა სწორედ, რომ უკვე ალარ ისმის წუნუნი კრიტიკის ჩამორჩენილობაზე, კრიტიკოსებზე გამწყრალი ავტორებიც აღარ ჩანან. ვინ გვესვრის ქვასა და გუნდას მაშინ, როცა ჩვენ თვითონ ვადგავართ აუტკივარო თავის პოლიტიკას. პოლემიკაში არ ვებმებით, კარგა ხანია ჩვენს ლიტერატურულ პერიოდიკაში არ წამიკითხავს რომელიმე სუსტი წიგნის განმქიქებელი წერილი (კრიტიკოსები კრიტიკოსებსვე ვაკრიტიკებთ, რომ კრიტიკული მახვილი არ დაგვიჩლუნგდეს). ეს არ ვარგა. ლიტერატურის წუნმდებელს თავისი ფუნქცია აქვს. ამ ფუნქციას რომ ვეღარ შეასრულებს, მისადმი ინტერესს დაკარგავს არა მარტო მკითხველი, მწერალიც. ვეგეტარიანული კრიტიკის გამო ხომ არ არის, რომ კრიტიკოსი ზოგჯერ გერის მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე? საიუბილეო ტრიბუნებზეც იშვიათზე იშვიათად უხმობენ სწორედ იმ კაცს, ვის აზრსა და შეფასებასაც ჯერ კიდევ დიდი ფასი და წონა აქვს მკითხველის თვალში.

ჩვენ უაღრესად საინტერესო ეპოქაში ვცხოვრობთ. ხელ-დაკაპინებულებმა დღედაღამ უნდა ვიშრომოთ, რათა ძირს არ დავხაროთ ქართული ლიტერატურის სინდისის საუკუნეების განმავლობაში ასე ამაყად მოფრიალე დროშა. დუმილი დანაშაულს ნიშნავს. აქტიური პოზიციის გარეშე სწრაფად დავკარგავთ იმ ხმას, რომლითაც ნიადაგ ყურში უნდა ჩავდახოდეთ მიზეზთა გამო ზოგჯერ თვლებამორეულ ქართველს. საკმარისია მებრძოლის ფარაჯა დავთმოთ და ჩვენს არსენალს მეყსეულად დაეპატრონებიან მოძალებული დემაგოგები და დილეტანტები. აკი არაერთი მაგალითი ვიცით იმისა, ახალგამომცხვარი „პოლემიკოსი“ როგორ „მოძლვრავს“ ხოლმე ერისკაცს და მედავითნის პუტუნით (რომლისაც, ღმერთო შეგცოდე, იქნებ თვითონაც არა სჯერა) ჭკუას არიგებს.

სიმართლის სამსახური და მაღალი პროფესიონალიზმი უნდა იყოს ჩვენი დევიზი. ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ლიტერატურა

გულისა და სისხლის ბოლომდე გაუცემლობას არ გაპატიებს. გერქვას მწერალი, ერის სამსახურის ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობაა და ნურავინ ეცდება იგი სხვა ათასი პარალელურად, სასხვათაშორისოდ აკეთოს. „გამოტანიებას“ ლიტერატურა ვერ ჰგულის.

საჭიროა უფრო შევამჭიდროვოთ ჩვენი რიგები, ხელი ხელს მივცეთ, რათა შემთხვევითი კაცი ვერ ჩადგეს ჩვენ შორის. ნამდვილი მწერლის ადგილი ეროვნულ ტრიბუნაზე ბედის საძიებლად შემოხეტებულმა ჩინოვნიკმა, ან სახელის განთქმის მოსურნე ავანტურისტ-ლიტერატურმა არ უნდა დაიკავოს.

საქართველოს აღორძინება, მოვლა და შენახვა, ყველაფერი საქართველოს არსებობის გასაგრძელებლად ხვალინდელ საქართველოზე ზრუნვა – იყო და არის ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილის რუდუნებისა და ფიქრის საგანი.

ამ რწმენით და სურვილით ანთებული მიუყვება რუსთაველი პალესტინის მტვრიან გზებს. საქართველოს ბედზე მლოცველი სულხან-საბა თრბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტის მისაღებში წინ და უკან დააბიჯებს. დავით გურამიშვილი ფარვანასავით შორიახლო უვლის თავის მრავალტანჯულ დედასამშობლოს. საქართველოს განთავისუფლებისთვის შეთქმული ოცდათორმეტიანელი პოეტები მეტების ყაზარმებში სხედან. თავისი პირველი ტომის თავფურცელს ხარხარით ღეჭავს, არცთუ უმიზეზოდ გონდაკარგული, „ელგუჯას“ ავტორი, სტამბის გაცრეცილ მტვერში ჭლექით ფილტვებდაღრღნილი „დროების“ რედაქტორი დგას და საგურამოსკენ მიმავალ ეტლს ნელ-ნელა მიაცილებს შამხანის ლულა, რომ საქართველოს გახელილ თვალში ცეცხლი და ტყვია ჩაასხას.

ეს ყველაფერი იყო.

წერა-კითხვის მცოდნე საქართველოს გონების თვალს არ შორდება ჩვენი საუკუნის დასაწყისის თბილისი: რუსთაველზე ორ უანდარმს მეტეხისაკენ მიჰყავს საქართველოს ბულბული – აკაკი წერეთელი, ციხის სარკმელს მისდგომია ნაღვლიანი ჭოლა ლომთათიძე, თავის მშობლიურ ქალაქში სტალინის სარეკომენდაციო წერილით ხელში შუაღამისას შემოიპარება პროფესიონალი რევოლუციონერი იროდიონ ევდოშვილი...

მიუხედავად სხვადასხვა ეპოქის წინაშე მდგარი სხვადასხვა სოციალურ-ფილოსოფიური პრობლემისა, სხვადასხვა განწყობილების და სოციალური წარმოშობისა, სრულიად საქართველოს ეროვნულ მწერლებს აერთიანებდათ თავისი ქვეყნის გადაუხდელი ვალი, საქართველოს მიტანა მომავალი თაობების საიმედო ხელამდე.

და ეს ყველაფერი სასახელოდ გაკეთდა.

შენირა ამ საქმეს თაობათა გული და გონება, ჯანმრთელობა და გამძლეობა, მაგრამ ეროვნული სული, მამულის სიყვარულის ინტერნაციონალური რწმენა არ შერყეულა. მან საუკუნეები გამოიარა და ჩვენამდე მოაღწია.

როგორ ვუვლით ჩვენ ჩვენს ქვეყანას?

აფეთქებათა ყურისნამდებმა ურამ თუნდაც სამშვიდობო მშენებლობისთვის გამიზნულმა არ უნდა დაგვიხშოს ჩვენი ეროვნული სასმენელი. ისიც უნდა გავისხენოთ, რომ, მართალია, აფეთქებანი საჭირო და აუცილებელია, მაგრამ ხომ არ არის იქ, სადმე ახლოს, მთის ფერდობზე, გედივით დაფრენილი ჩვენი გელათი წმინდა ადგილი და სალოცავი ჩვენი. ხომ არაფერს ავნებს მას მძლავრი ვიბრაციის ჰაერის ტალღა.

აბინძებულ ყანებსა და საგულდაგულოდ მოვლილ ხეხილთ შორის უხმოდ დნება, დღედღეზე ინგრევა, თვალდახელშუა გვეცლება ჯრუჭის მონასტერი. რაც წლებმა ვერ დააკლეს, უკეთურმა ადამიანებმა მოუთავეს. ვიღაცამ ჯრუჭის მონასტერს ლეჩაქვით წააძრო სპილენძის ფილები (საუკუნეების განმავლობაში რომ იფარავდა ტაძარს) და შინ წაილო. ერთმა ახალგაზრდა უურნალისტმა ამ შემთხვევის გამო ფელეტონი დაწერა. იმათ, ვისაც ჯრუჭის მოვლა უშუალოდ ევალებოდა, ჩვენს რედაქციებში მეგობრები გამოუჩნდნენ. წერილი არ დაბეჭდეს. ატარა კარდაკარ გულდანყვეტილმა უურნალისტმა თავისი ფელეტონი. ამ მართალ გულისტკივილს დასაბეჭდად მხარი დაუჭირა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდმა რაზმმა. გამოსაქვეყნებლად ხელი მოაწერა ორმოცდაათამდე კაცმა. ფელეტონი მაინც არ დაბეჭდეს. დიახ, დანაშაულის მიჩქმალვის მსურველი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ჭეშმარიტება, ვიდრე საზოგადოებრივი აზრი, ასე დაიკარგა სიმართლე.

უშგულში თითქმის ბედის ანაბარაა მიტოვებული მეათე-მეთორმეტე საუკუნეების საცხოვრებელი სახლები – მაჩუბები (რამდენადაც ვიცით, ჩვენში ამგვარი შენობები სანთლით საძებარია). ეს უნიკალური ძეგლები ჩვენამდე მოიტანა რვაას-წლიანმა ქარტეხილებმა. სასწაულებრივად გადარჩნენ ისინი. მოდით, ცოტა მეტი სიყვარული, მეტი ყურადღება დავუთმოთ ჩვენი წარსულის დიდების ამ მუჯჯ მოწმებს.

...ეკრანზე მოჩანს „გალავინსკზე“ მიმავალი ილია ჭავჭავაძე. იცვლება კადრი – „ივერიის“ რედაქციაში გვიან ღამემდე მაგიდას უზის, თამბაქოს ბოლში გახვეული „ქვათა ღალადის“ ავტორი. მსახიობი კი არა, თვითონ ილია ჭავჭავაძე. რა ძვირფასი განძი იქნება ჩვენთვის ასეთი ფირი რომ გაგვაჩნდეს. რაოდენ სიამოვნებას გვანიჭებს ჩვენი საუკუნის გარიურაჟზე ვასილ ამაშუკელის მიერ გადაღებული „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩეუმში“. ილია ჭავჭავაძის ხმა, მისი სიარულის, საუბრის მანერა სამუდამოდ დაეკარგა კაცობრიობას. ჩვენს საუკუნეში კი, მადლობა ღმერთს, არსებობს ტექნიკის საოცრება – კინო, ათასგვარი მაგნიტოფირებისა და მიკროჩამნერების ეპოქაში შეგვიძლია შთამომავლობას არ დავუკარგოთ ღირსეულ ადამიანთა სახეები, მაგრამ...

ამას წინათ მოსკოვიდან უჩჩენეს სატელევიზიო ფილმი „რასულ გამტაზოვი“. ვუყურებდი ამ ფილმს და სევდამ შემიპყრო ჩემი სატკივრის გამო. გუშინ წავიდა ჩვენგან გალაკტიონი. მისი ოთხმოცი წლისთავის იუბილეზე დოკუმენტური ფილმი გააკეთეს. ფილმს თავისთავად არა უშავდა, მაგრამ ცოცხალი გალაკტიონი მხოლოდ ორჯერ-სამჯერ გამოჩნდა და ისიც საეჭვო ღირებულების კადრებზე. სამაგიეროდ, მშვენივრად იყო გადაღებული რიონისპირი, ქარში თმაგანენილი ხეები, კიპარისი („რა აკანკალებს კიპარისის ტანს“) და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გალაკტიონის გადაღებაზე მის სიცოცხლეში ცოტამ იზრუნა. განა რა დაგვეხარჯებოდა, რომ პოეტის სიცოცხლეშივე შეგვექმნა დოკუმენტური ფილმი „გალაკტიონის ერთი დღე“ და ხვალინდელი საქართველოსთვის არ დაგვეკარგა „ლურჯა ცხენების“ ავტორის კოლორიტული ფიგურა? უფრო მეტი ვიცი: გალაკტიონის დასაფლავების წინადღეს რომელიღაც თვითნას-

წავლმა მოქანდაკემ მას ნიღაბი აუღო. გავიდა წლები. მწერალთა კავშირმა „სახსრები ვერ გამოძებნა“ იმ ნიღაბის შესაძენად. მერე გაჯიუტებული მოქანდაკე მიიცვალა და გალაკტიონის ნიღაბიც დაიკარგა. გამოფხიზლებულნი დიდი გულმოდგინებით ვეძებდით, ხუთჯერ მეტ თანხას გადავუხდიდით პატრონს, მაგრამ ნიღაბი არა ჩანდა. როგორც იქნა, ახლახან, რომელიდაც სარდაფში აღმოვაჩინეთ. ეს მაშინ, როცა ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მნახველებს აოცებს ნაპოლეონ ბონაპარტეს ნიღაბი და სიმპატიური გიდი თავმომწონედ გვაუწყებს, ეს ნიღაბი იმ სამი ორიგინალიდან ერთ-ერთია, ნაპოლეონს სიკვდილის მეორე დღეს რომ აუღესო.

ჩვენ, როგორც ჩანს, უფრო „დიდი და სასახელო“ საქმეებით ვართ დაკავებულნი, ვიდრე ძვირფასი რელიკვიების მოპოვებისა და შენახვისათვის ზრუნვა გახლავთ. ულმობელი დრო კი თავის საქმეს აკეთებს. ერთიმეორის მიყოლებით ნავიდნენ ჩვენგან შალვა დადიანი, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქვანი, ლეო ქიაჩელი, გიორგი ახვლედიანი, კონსტანტინე გამსახურდია და სხვანი. ჩვენი ერის ამ განმადიდებელ მოღვაწებზე, მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად სათანადოდ ვიზრუნეთ? ევროპაში მინახავს, საკმაოდ საშუალო მწერლის სახლ-მუზეუმშიც რა მოწინებით ინახავენ მის ნაქონ ნივთებს, ავტო-კალამს, მაგიდაზე დარჩენილ ქაღალდის ნაგლეჯსაც კი.

პროვინციალიზმი მწერლობაში ისეთი ძნელად მოსარჩენი სენია, რომ თუ შანთით არ ამოიდალა, რომ არ ელი, მაშინ გაგრძნობინებს თავს გაფოთლილ ტკივილად და უიმედო მეტასტაზებად. პროვინციალიზმი სულიერ ცხოვრებაში გაცილებით უფრო აუტანელია, ვიდრე ადამიანის გარეგნულ სახეში. დადიოდა თბილისში ფრაკებითა და ცილინდრებით მორთულ მოქალაქეთა შორის ჩაცმულობით ტიპური პროვინციელი – ვაჟა-ფშაველა, მაგრამ ღმერთმა უმრავლოს ჩვენს ქვეყანას თავისი პოეტური ალლოთი, ფილოსოფიური აზროვნებით და ეპოქის საჭირბოროტო პრობლემების ჭვრეტის უნარით ისეთი თანამედროვე – როგორც „გველის მჭამელის“ ავტორი იყო.

მოულოდნელობისგან უსიამოვნოდ გამბურძგლავს ხოლმე,

როცა ჩვენს ლიტერატურულ პერიოდიკაში საიუბილეო გამოხმაურებებს ვკითხულობ. ამ მიმართვა-სადლეგრძელობებში პროვინციალიზმი მთელი თავისი „სილამაზით“ იჩენს თავს. მწერალს ესა თუ ის თარიღი შეუსრულდა. თუ მისი საიუბილეო პრესით ვიმსჯელებთ, იგი ერთბაშად წარმოსდგება ჩვენ თვალწინი უდიდეს მოაზროვნედ და ქართული ლექსისა თუ მოთხრობის ბრნყინვალე განმაახლებლად. თუმცა ამგვარ მისალმებათა ავტორებმა მშვენივრად იციან, რომ სინამდვილეში ასე არ არის და, წარმოიდგინეთ, საიუბილეო ტაშისცემის ათასი გზა არსებობს და სიყვარულის ეს გაცხადება უკვდავების ინდულგენციების გაცემის, მკითხველის დეზორინტირების ხარჯზე ნუ მოხდება. მერე რა ფამილარული ტონი, რა „შინაურული წვრილმანობა“, რა ერთგულების დამტკიცება ეტყობა ზოგიერთ ამგვარ სავიზიტო ბარათს.

ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ყველაზე დიდი ნაკლი ტენდენციური კრიტიკის არსებობა გახლავთ. დღევანდელი ქართული კრიტიკა ლიტერატურული კადრების ნაკლებობას როდი განიცდის. არც მაღალი პროფესიონალიზმი და სათანადო ნიჭიერება აკლია ჩვენი კრიტიკის მოწინავე რაზმს. ამ უმთავრესი მონაცემებიდან კი ერთი ნაბიჯია იქამდე, კრიტიკამ თავისი ვალი წარმატებით რომ შეასრულოს და მაღალი მოწოდების სიმაღლეზე დადგეს. მაგრამ ლიტერატურის გაუკეთესებისთვის მის გულწრფელ სურვილს გადაულახავ ბარიერად ელობება ტენდენციური კრიტიკა – არაობიექტურობა, ვერგაბედვის გულისამრევი სენი.

ამას წინათ ერთი კრიტიკოსის ლიტერატურულ პორტრეტს ვკითხულობდი. შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს მწერლობაში იგი ერთი უნიჭიერესი, გემოვნებიანი, განსავლული კრიტიკოსია და თავისი არაერთი წერილით არა მარტო ცალკეული ავტორისთვის უჩვენებია სწორი გზა, საერთო ლიტერატურულ პროცესზეც კი გავლენა მოუხდენია. ვკითხულობდი წერილს და ვგრძნობდი, როგორ უჭირდა წერა მის ავტორს, რომელიც სხვათა შორის ჩვენს კრიტიკოსთაგან კაცია და არ შეეძლო მკითხველი შეცდომაში შეეყვანა. ამიტომაც ტყავში ძვრებოდა, რომ „კაი

გამგონესთვის“ მიენიშნებინა: იცოდეთ, მე არ ვცდები, მე კარგად ვიცი მისი ფასი, მაგრამ რა ვქნა, ახლა ასეა საქმეო. განსახილველი ავტორის ლექსების პროზაულობა იმით გაამართლა, რომ იგი მოწოდებით პროზაიკოსია და ეს ნაკლი ეპატიებაო, ხოლო ამავე ავტორის პროზაში არსებულ ყალბ პოეტურობას გამართლება იმით მოუძებნა, რომ ავტორი პოეტიც გახლავთ და პროზაში პოეტურობამ გაუინაო. ბოლოს თვითონვე მობეზრდა ამგვარი ლიტერატურული „სალტო მორტალე“ და პირდაპირ გვითხრა: მე ამ ავტორის თხზულებების მხატვრული მხარის შესახებ არას ვიტყვი, რადგანაც იგი ჩემი სიყრმის მეგობარია და მეშინა ტენდენციური არ აღმოვჩნდეო. ჩავიკითხე ეს წერილი და სიმართლე გითხრათ, გულწრფელად გავუგე კრიტიკოსს, მეტიც, – ვუთანაგრძნე (რაც ჩვენს ურთიერთობაში აღრე იშვიათად ხდებოდა) კიდეც მას. ამ ნაბიჯში მე დავინახე ლიტერატურის საზიანოდ გადარჩენილი ადამიანური ურთიერთობა, დავინახე კრიტიკოსი, რომელსაც მკითხველი შეცდომაში არ შეუყვანია, მაგრამ თუ ბოლომდე ვერ თქვა მხოლოდ იმის გამო, რომ მის პირუთვნელ სიტყვას იქთა მხარეს უდრტვინველი და უშფოთველი გამგონე არ ელოდა.

კრიტიკის ატანას როგორმე მივეჩვევით და ამ სენსაც მოევლება, მაგრამ პროვინციალიზმის მსახვრალი ხელი ჩვენ კრიტიკას მაშინ უფრო ეტყობა, როცა კრიტიკოსი ცრუობს, როცა მისი გემოვნებისთვის სრულიად შეუფერებელ დასკვნებს აკეთებს, შეცდომაში შეჰყავს მკითხველი და ავტორსაც ყალბ წარმოდგენას უქმნის თავის ქმნილებაზე. ეს წინასწარნგაზრაული, დემაგოგიური კრიტიკა ყოვლად მიუტევებელია. ჯერ კიდევ არსებობენ „დღის წესრიგში მყოფი“ მწერლები და სრულიად უსამართლოდ ჩრდილში მირჩენილნი. ლიტერატურული წარმატებისთვის არსებობს მხოლოდ ერთი უმაღლესი კრიტიკოუმი – ნიჭიერება. სხვა საშუალება ყველა გარდამავალი და საეჭვოა. რატომ უნდა ხდებოდეს, რომ სხვადასხვა გარემოებათა გამო და მისი ლიტერატურული პროდუქციისგან სრულიად დამოუკიდებლად მწერალი მოულოდნელად ექცევა ყურადღების ცენტრში. ამგვარი „აღზევება“, რასაკვირველია, დროებითია,

მაგრამ ლიტერატურული ცხოვრებისთვის სასიკეთო არაფერი მოაქვს. ვშიშობ ამ უსიამოვნო გარემოების მიზეზების ძებნამ ჩემი წმინდა კერძის – მწერლობის სახელოვანი ოჯახის ზოგიერთი წევრის მისამართით უხერხული რამ არ მათქმევინოს, ამიტომაც მიზეზებზე ფიქრს მოვეშვები და ფაქტს მოგახსენებთ: თითქოს სადღაც ზარი დარეკესო, მწერალს „მისი დროის მოსვლის“ მწვანე შუქნიშანი გაუნათეს. ერთბაშად ახმაურდება გაზეთი, რადიო, ტელევიზია. ოპერატიული რეცენზიენტები ერთიმეორეზე უცხობენ რეცენზიებს, ორმაგი ტირაუით იცემა და ითარგმნება მისი წიგნები. კრიტიკოსები ერთმანეთს ასწრებენ ლიტერატურულ ჟურნალში ამგვარ „ილბლიან“ ავტორზე უშველებელი პანეგირიული სტატიის მიტანას. გაივლის დრო და ყველაფერი გაირკვევა. დაფლაფები მიჩუმდებიან. თურმე საქმე არც ისე ყოფილა, ქარში გადგმული სანთელივით მიინავლება და გაქრება მისი საეჭვო ღირებულების ლიტერატურული პროდუქცია. ჩვენ კი, ჩვენც იქვე ვიქნებით და ეპოქის სამართლიანი საყვედურის მოსმენისას კეფის ფხანას მოვყვებით, მობოდიშებას დავინებთ იმ აჩქარების გამო, რამაც არც მწერლისთვის გაგვაწევინა კარგი სამსახური და ჭეშმარიტ, მაგრამ ჩუმ შემოქმედთა წინაშეც უნებლიერ დანაშაული ჩავიდენინა.

თითქოს პატარას დანაშაულზე წაუსწრესო, სირცხვილეულად გამაურულებს ტანში. როცა გვერდით ჩამივლის ხანდაზმული მწერალი, რომლის მოხრილ მხრებზე ჩვენი ლიტერატურის სახელოვნად ნატარები ორმოცდაათწლიანი ტვირთია, ხოლო ზურგს უკან მართალი, ნამუსიანი მწერლის ვაჟკაცურად გავლილი გზა. ვალში ვართ მის წინაშე; მას ახლა აღარა აქვს უწინდელი მდგომარეობა (ო, როგორ არ მსურდა ლიტერატურულ საუბარში გამერია ეს გულისამრევი, მწარე სიმართლე), ამიტომაც იგი „მოდაში აღარ არის“. თითქოს მივიწყესო, კარგახანია, არ მომართულა მისკენ გამახალისებელი პრესის გულისყური და ფოტოაპარატთა ობიექტივი. დააბიჯებს საყელოანეული, ამაყი, ნამდვილი მწერალი და არაფერს არ გვაყვედრის, უკვირს მხოლოდ ჩვენი გულმავიწყობა.

ერთხელ ილია ჭავჭავაძემ ალექსანდრე ყაზბეგს მისწერა:

„მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონი ალექსანდრე.

გაზეთებიდან მოხსენებული გექნებათ, რომ პირველ იანვრიდამ 1886 წ. აგმოვა ყოველდღიური ქართული გაზეთი „ივერია“, რომლის რედაქტორობა ვიკისრე მე. რასაკვირველია, ამისთანა მძიმე ტვირთს მე ვერ ვიკისრებდი, თუ სახეში არა მქონდა დახმარება და შემწეობა თქვენისთანა პატივცემულ მოღვაწეთაგან, მე დარწმუნებული ვარ, რომ ეგ იმედი, რომელმაც ასეთი ძნელი საქმე გამაბედვინა, არ გამიმტყუნდება. გაზეთის საქმე საერთო, საზოგადო საქმეა, იქნებ სხვაგან ისე არა, როგორც საკუთრივ ჩვენში. თქვენი წარსული, თქვენი ყოფილი მოღვაწეობა ჩვენთვის უტყუარი საბუთია მისი, რომ საცა საერთო, საზოგადო საქმეა, იქ თვითონ თქვენი გული იძულებულს გყოფთ მხურვალე მონაწილეობა მიიღოთ. მაშასადამე, აქ თხოვნა ჩემგან მეტია, მე მარტო საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ თქვენის კალმის ნაწარმოებისათვის ჩვენი რედაქციის კარი ყოველთვის ღია იქნება და თქვენი თანამშრომლობა ყოველთვის სასიამოვნო და სასურველი.

თქვენის თანამშრომლობის მოიმედე,  
თქვენი გულითადი პატივისმცემელი  
ილია ჭავჭავაძე“

ამ ისტორიულ ბარათში თანამშრომლობის თხოვნის გარდა მწერლის საზოგადო ვალის მოგონებაც ჩანს და ავტორისადმი დიდი სიყვარული და პატივისცემაც.

გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, რომელმა მწერალმა მიიღო უკანასკნელ ოცნლებულში ასეთი წერილი რომელიმე რედაქტორისაგან (თუმცა ისინი, რატომლაც დღე-ლამესავით ხშირად იცვლებიან). სამაგიეროდ, იმის მაგალითი კი უხვად გვაქვს, რა ჩქარა ივინყებს პატივცემული რედაქტორი ობიექტურობისა და პრინციპულობის რედაქტორულ ფიცს და სავარძლის მოპოვების მეორე დღიდანვე ცდილობს მწერალთა ერთი ჯგუფის ხელში მეორე ჯგუფის გასაღიზიანებლად და საბოლოო ჯამში ლიტერატურის საზიანოდ, მკაცრად განსაზღვრული, ავტორთა სიის სახოტბო-სამეჯლისო ორგანოდ იქცეს. ა. ყაზბეგი

უნდა იყო, ასეთი წერილი რომ გამოგიგზავნონო, იტყვის, ალბათ უსაგნო პოლემიკის გუნებაზე დამდგარი ჩემი იპონენტი და დაავინუდება მთავარი და მნიშვნელოვანი – წერილის ავტორი ილია ჭავჭავაძე იყო და ამგვარი თხოვნის ბარათი მან მარტო ა. ყაზბეგს კი არა, ილია ხონელსა და იაკობ მანსვეტაშვილსაც გაუგზავნა.

წყლულები საქართველოსი  
გაიგო შენმა სმენამა,  
მეც ამატირა ბევრჯერა  
შენს თვალზე ცრემლის დენამა.

– ასე მიმართა ვაჟამ აკაკის. რა საოცარი კდემაა, რა გაუბზარავი ერთგულება, რა მონოლითური ერთიანობაა ამოცანათა და უსიტყვო ურთიერთგაგება – „მეც ამატირა ბევრჯერა შენს თვალზე ცრემლის დენამა“, მიზნისათვის ეს ტარდიციული ერთიანობაც გვავინყდება ზოგჯერ. მიუხედავად ჩვენ წინაშე არსებული არაერთი სავალალო მაგალითისა (წინათ და ახლაც) პირად განაწყენებას, შურსა და სხვა არაჯანსალ ინსტინქტებს ახლაც საკმაო გასაქანს ვაძლევთ. სიმწრისგან გაგეცინება კაცს, მუშტშეკრულად რომ აღიმართება და, თითქოს დიდი საქვეყნო საქმე განუზრახავსო, პანაწინა შურისმაძიებლად გადაიქცევა, ვისიც წლების განმავლობაში გჯეროდა და შენი კრიტიკული ვერმოზომვით გაანაწყენე ლიტერატურის ეს დიდი და პატიოსანი გვამი.

ლიტერატურას ევალება თანამედროვეობის მხატვრული მატიანის შექმნა, ცხოვრების ურთულესი მოვლენების სოციალურ-ფილოსოფიური შესწავლა, თანამედროვე ადამიანის რთული ბუნების კვლევა და მისი განზოგადებული სახის შექმნა. ნაკლოვანებათა გამომზეურება და მათი გამოსწორებისათვის მეცნიერულად დასაბუთებული გზების ძიება. როგორ ვასრულებთ ამ მაღალ საზოგადოებრივ ფუნქციას?

უკანასკნელ ხანს ცოტა რომანი როდი იწერება და იცემა ჩვენში, მაგრამ კაცმა რომ გვკითხოს, დაგვისახელეთ თანამე-

დროვეობის თემაზე დაწერილი ახალი რომანებით, ჩამოსათვ-ლელად ხუთი თითიც გვეყოფა. რატომ მოხდა ასე? განა საეჭვო რეცენზირების წყალობით ბრწყინვალე ტილოებად ჩათვლილი, ისტორიულის ტიტულით მონათლული რომანები თანამედროვე-ობის პრობლემატიკისაგან განზე დგანან? იქნებ მთლად ასე არ იყოს, მაგრამ მკითხველს სამართლიანად სურს თავის თავზე, თავის დროზე, თავის ჭირ-ვარამზე დაწერილი წიგნი წაიკითხოს. სინამდვილეში კი რა მოხდა: „ერთნი ისტორიზმმა ზომაზე მე-ტად გაიტაცა და თუმცა შუალედში რამდენიმე „საინტერესო“ საგაზეთო ნარკვევით მოიხადეს ვალი თანამედროვე მოვლე-ნების წინაშე, თავიანთ მუზას მაინც ისტორიულ თემაზე წერის „მაღალი“ მისია დააკისრეს, ხოლო მეორენი წარსული საუკუნის ცხოვრების ჩვენებით, ზოგჯერ ეზოპური ენითა და დაკვირვე-ბული მკითხველებისათვის მოსახვედრი სიმბოლოებით ცდილო-ბენ დროის წინაშე მდგარ პრობლემებთან მიახლოებას.

დასანანია, რომ ამას ზოგჯერ თანამედროვეობის მწვავე საკითხებიდან გაქცევის, ამოცანის ხელოვნურად გართულების, მკითხველის დაბნევის სუნი ასდის. გვყავს თანამედროვეობის ამოცანებით გარეგნულად ღრმად დაინტერესებული არაერთი მწერალი, თანამედროვეობის თემაზე შექმნილი კარგი პროზაუ-ლი თხზულება კი ძალიან ცოტა გვაქვს. სხვა რა შეიძლება ეწო-დოს ამ ფაქტს, თუ არა სიტყვისა და საქმის გაუგებარი დაც-ილება.

## თავი მეხუთე

### თანამედროვე ეართული პროზა

თანამედროვე ქართველი პროზაიკოსი აგრძელებს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მწერლობის სასახელო ტრადიციებს და, თუმცა უჯავახიშვილოდ და უგამსახურდიოდ ცხოვრება ცოტა გაჭირდა, ჩვენ შეგვიძლია თამამად ვუთხრათ ჩვენს ხალხს, რომ თანამედროვის სულის მხატვრული კვლევის ძნელ გზაზე ახალი გამარჯვებებია მოპოვებული. მწერლობის ურთულესი უანრი – პროზა საიმედო ხელშია და მის სიცოცხლისუნარიანობაზე მე-ტყველებს ის ფაქტი, რომ ახლა როცა ეს სტრიქონები იწერე-ბა, თავიანთ უკეთეს წიგნებს ქმნიან ჭაბუა ამირეჯიბი, ლადო მრელაშვილი, ოტია იოსელიანი, ოთარ ჭილაძე, თამაზ ჭილაძე, მერაბ ელიოზიშვილი, რეზო ჭეიშვილი, რევაზ მიშველაძე, ნუგ-ზარ შატაიძე, გურამ გეგეშიძე, მურმან ჯგუბურია, კარლო კობერიძე, ნოდარ წულეისკირი, ოთარ ჩხეიძე, აკაკი გენაძე, სოლომონ დემურხანაშვილი, მირონ ხერგიანი, გიორგი ხორ-გუაშვილი ზურაბ თორია, აკა მორჩილაძე, დათო ტურაშვილი, მიხო მოსულიშვილი...

ნურვინ იგრძნობს ამ სიაში ვიწროდ თავს და უკმაყოფილოდ ნუ შეიშმუშნება, როცა მის გვერდით იმ მწერალს მოჰკრავს თვალს, რომლის შემოქმედებაზე მაინცდამაინც დიდი აზრისა არ არის. დასამშვიდებლად გაიხსენოს 1941 წელს გადაღებული ერთი ძვირფასი ფოტო: ქართველ მწერალთა ასეული, მარცხნივ თავმიბრუნებული, შაშხანით მხარზე ბრძანება „სმენაზე“ გარინ-დულა. ჩვენ ყველანი ამგვარ მწყობრში ვდგავართ და მწერალ-თა სატელეფონო ცნობარშიც ერთი შრიფტითაა ჩვენი გვარები აწყობილი. მნიშვნელობა როგორ არა აქვს ომის დაწყების წინ ვის უკეთია გენერლის სამხრეები და ვის – რიგითი ჯარისკაცი-სა, მაგრამ განა ჩემზე უკეთ არ მოგეხსენებათ, რამდენი ჯარის-კაცი აიყვანა ცხოვრებამ დიდების კვარცხლბეკზე და რამდენი გენერლის სახელი სამუდამოდ მიივიწყა.

ახლა კი, ახალი საქართველოსთვის დაწყებული დიდი შეტევის წინა დღეს, ჩვენ, ყველანი მხედრულად გაჭიმულნი და გატრუნულნი ვდგავართ, ჩვენ, ადრე თუ გვიან ჩამოსავარდნი ფოთოლნი იმ მუხისა, რომელსაც საქართველო ჰქვია.

სამოციან წლებში შექმნილი რომანებიდან, უპირველს ყოვლისა, ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ უნდა ვახსენოთ. ამ რომანმა რეკორდულად მოკლე დროში გააკეთა თავისი საქმე – დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს სულიერ ცხოვრებაზე. არსებობენ „ჩავლილი“ წიგნები. ისინი ერთ ლოკალურ პერიოდში ახმაურდებიან, აალაპარაკებენ ცასა და ხმელეთს და მერე სწრაფად იწყებენ უდროოდ დაბერებას და მაღლე დავიწყებას ეძლევიან. „დათა თუთაშხიას“ ბედი სხვაგვარია. მას დიდი გზა უდევს. მჯერა, რომ იგი სამუდამოდ დარჩება ქართული პროზის მაღალ თაროზე, რადგანაც დაბერება არ უნერია იმ ჭეშმარიტებას ამ რთული, ქვეტექსტებიანი წიგნით რომ ეუწყა მკითხველს.

პირველყოფილი სიმინდისათვის, სიკეთისათვის ვაჟკაცობისა და რაინდობის ტრადიციებისათვის მებრძოლი, ხასიათის არაჩვეულებრივი სიმტკიცისა და რკინის ნებისყოფის პიროვნება; მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ფონზე ეს კეთილშობილი აბრაგი თავისი, ზოგჯერ გაუცნობიერებელი, ბრძა ბრძოლით სინდისისათვის, ერთი შეხედვით, ანაქრონიზმად მოჩანს, მკითხველს მოეჩვენება, რომ ვაჟკაცობის და გულუბრყვილო სიკეთის ნიადაგ მფრქვეველი ლაზი შუასაუკუნებიდან მეოცეში შემთხვევით გადმოსულს წააგავს, მაგრამ ვინც რომანის პერიპეტიებს ღრმად ჩაუკვიდება, დამეთანხმება, რომ დათა თუთაშხია დროული და საჭირო იყო ჩვენი საუკუნის სამოციანი წლების მოქალაქისათვის და ეს უაღრესად კოლორიტული, შთამბეჭდავი ტიპი ყოველთვის დასჭირდება მკითხველს, როგორც სიკეთისა და სიმართლის კამერტონი.

„დათა თუთაშხია“ ეპოქალური რომანია, ეპოქალურია იგი არა იმდენად დროის რეალობის ხატვით, რამდენადაც თანამე-დროვე ეთიკურ-ზნეობრივ პრობლემათა დაყენების მასშტაბუ-

რობით, ფსიქოანალიზის სიმართლით და დახვეწილი, უაღრესად თანამედროვე ფორმით.

დათა თუთაშხია და მუში ზარანდია – ეს ორი, ოსტატურად დაპირისპირებული ხასიათი თითქმის ერთნაირი ინტერესით აღიქმება: პირველი მაგალითია იმისა, თუ რა ძნელია კეთილშობილებამ, სიკეთემ აიდგას ფეხი და ცარიზმის საქართველოში თავის პრინციპების შენარჩუნება შეძლოს, ხოლო მეორე თვალსაჩინო ფაქტია იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ წამლავს, რა დახვეწილი მანქანებით ითრევს თავის სამსახურში და „თავის კაცად“ აქცევს იმპერია კოლონიის იმ ახალგაზრდა წარმომადგენელს, რომელსაც თავიდან ერის უანგარო სამსახურის სურვილი ჰქონდა და პატივმოყვარეობის ჭია რომ არ შეჰყოდა, დათა თუთაშხიაზე ნაკლებს როდი შეძლებდა ერის სამსახურში.

ორ „ფრონტზე“ იქნევდა ხმალს გრიგოლ აბაშიძე. ფრიად ნაყოფიერი გამოდგა ეს წლები „ზარზმის ზმანების“ ავტორისთვის. რამდენიმე გულზე მოსახვედრი ლექსით გაამდიდრა თავისი შემოქმედების მაგისტრალური ხაზი და ახალ მუზას-პროზასაც ორი მშვენიერი რომანი შემატა: თანამედროვეობის ამსახველი – „ყორნალი“ და მე-13 საუკუნის საქართველოს ცხოვრებისა და ბრძოლის უტყუარი მხატვრული ქრონიკა – „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“. ორივე რომანი გამოირჩევა გრიგოლ აბაშიძისათვის დამახასიათებელი ეპიური სიდინჯით, აკადემიზმით და მწერლური კეთილსინდისიერებით.

განსაკუთრებით „ცოტნე“ გახმაურდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეპოქა, რომელსაც ეს რომანი ეხება, ლიტერატურაში ხომ არა და არა, ჩვენს ისტორიოგრაფიაშიც ნაკლებადაა გამოხატული, მეორეც, ცოტნეს სწორუპოვარი გმირობის ლეგენდა თითქმის ხელუხლებელ ოქროს ზოდად იდო ჩვენი ისტორიის ანალებში. და, თუ ერთის მხრივ, მწერალს ამ გმირობის ეგზოტიკური ფორმა აცდუნებდა, მეორე მხრივ, უმძიმეს ტვირთად დააწვებოდა ეპოქის სინამდვილის ხატვასთან დაკავშირებული უამრავი უხერხულობა ისტორიული ფაქტების უქონლობით გამოწვეული. ამ თემას გრიგოლ აბაშიძემ შეჰყედა და წარმატებითაც დასძლია.

„ცოტნე“, გურამ ასათიანის თქმისა არ იყოს, მართლაც რომ „გონებისა და გრძნობის საწვრთნელი წიგნია“. ჩემთვის აქ მთავარია იმის ხაზგასმა, რომ გრიგოლ აპაშიძემ თავისი სამი ისტორიული რომანით („ლაშარელა“, „დიდი ლამე“, „ცოტნე“..) თანამიმდევრულად და ჯიუტად დაამკვიდრა ახლებური (სწორედ რომ გრიგოლ აპაშიძისეული) ისტორიული რომანის უანრი. მისი ექსპერიმენტის არსი პრიმიტიულად ასე გამოითქმის: გრიგოლ აპაშიძეს მკითხველი კი არ დაჰყავს წარსულამდე, არამედ წარსული ამოჰყავს მკითხველამდე. ამიტომაც შეგნებულად უარს ამბობს ხატვის რომანტიკულ სტილზე და ენობრივ არქაიზაციასაც გაურბის. მკითხველი თავად განსჯის, რომელი გზა უფრო სწორია, მაგრამ ჩვენს ისტორიულ რომანისტიკაში კონსტანტინე გამსახურდიას მიერ მკვიდრად ჩამოყალიბებული ტრადიციული ისტორიული რომანის გვერდით, გრიგოლ აპაშიძისეულიც რომ გაჩნდა, ეს ფაქტია და ამ ურთულეს უანრში ქართველი მწერლის დაუცხრომელი ძიების გამოხატულებაც გახლავთ, თუმცა ამ სტრიქონების ავტორი უფრო კონსტანტინე გამსახურდიასაკენ იხრება.

„ცოტნეში“ თვალსაჩინო პასაუები სანთლით საძებნი როდია, მაგრამ ამ სტატიის ავტორს სურდა უფრო მაღალმხატვრულად და დამაჯერებლად ყოფილიყო დახატული რომანის ცენტრალური ეპიზოდი – ნოინის ბანაკში ცოტნეს გამოცხადებისა და უსამართლოდ დასჯილთა ხვედრის გაზიარების სცენა.

ოც წელზე მეტია დააბიჯებენ ამ ქვეყნად ნოდარ დუმბაძის გმირები. გურიის სანახებიდან მათ („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“) ადვილად დაიპყრეს ჩვენი სული და მსოფლიოს ბევრი ქვეყანაც გაიდარბაზეს. დააბიჯებენ სიკეთის სიმბოლოებად ეს სიკვდილთან შეხუმრებული ბიჭები (სოსოია, ზურიკელა, თემო ბარამიძე) და მშობელ ქვეყანას დღითი-დღე ახალ-ახალ მეგობარ-მოყვარეთ სძენენ. მეც ბევრ უცხოელს შევხვედრივარ ქართველ კაცს მარტო ნოდარ დუმბაძით რომ იცნობდა და მისი პერსონაუებითლა ჰქონდა მაღალი წარმოდგენა ჩვენს ეროვნულ ხასიათზე. უკანასკნელ წლებში ცნობილი მწ-

ერლის პალიტრამ ახალი თვისებები შეიძინა. უნაპირო იუმორმა და ლილინისმაგვარმა თხრობის მანერამ შეუმჩნევლად მეორე პლანზე გადაინაცვლა, ნ. დუმბაძის პერსონაუებს ხმაში ხაფი მოემატათ, სტრიქონებიდან ერთბაშად აღიმართა ჩვენ თვალწინ ხმირად შუბლშეკრული, უკომპრომისო და ბრძოლად გამზადებული მთხოვნებელი. ნ. დუმბაძემ თავისი შემოქმედების ამ ახალ ეტაპზე ჯერ აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციით („თეთრი ბაირალები“) მიიპყრო ჩვენი ყურადღება და მერე ზოგადსაკაცობრიო ფილოსოფიური პრობლემების ორიგინალური გააზრებით („მარადისობის კანონი“). მე ვფიქრობ, ნოდარ დუმბაძის გამარჯვების საიდუმლო, უპირველეს ყოვლისა, იმაში გახლავთ, რომ მან სწორად მიაგნო მწერლის უმთავრეს მოწოდებას – ეროვნული სულის ნიუანსებში გარკვევისა და ნაციონლური ფსიქოლოგის გამოხატვის ამოცანას. ამიტომაც მწერალი იმ ნაწარმოებებში უფრო ძლიერია, სადაც ქართულ კოლორიტს, ქართულ ხასიათს უშალოდ ასახავს და „ფსევდოინტელექტუალის“ ბუნდოვან მსჯელობებს არ გვთავაზობს.

6. დუმბაძის შემოქმედებაში სიცოცხლეზე შეყვარებული ქართველი კაცის განზოგადებული პორტრეტი დაიხატა. ჩვენი თანამემამულის საუკუნის ქარტეხილებით გახშირებული სუნთქვა ჩაგვესმის მისი წიგნის ფურცლებიდან და ეს იმდენად თვალსაჩინო მიღწევაა მწერლისა, რომ უნებლიერ გავინებს იმ ციირეოდენ საკამათოსაც (ჭარბი ავტობიოგრაფიულობა, არაესთეტიკური ადგილები, გულუბრყვილო ჰუმანიზმი) ნ. დუმბაძის გულდასმითი კითხვისას იშვიათად რომ გაჰკროთება ხოლმე კრიტიკოსის გონებაში.

გამორჩეულია ჩვენს მწერლობაში რევაზ ინანიშვილი. იგი იმ ბედნიერ გამონაკლისთა რიცხვს ეკუთვნის, ვისაც შეუძლია მშვიდად იყოს; მან საკუთარი მონეტა მოჭრა ჩვენს ლიტერატურაში, ახალი, განუმეორებელი მხატვრული სამყარო შექმნა. რევაზ ინანიშვილი იუველირის სიზუსტით ეკიდება სიტყვას. მისი ფრაზა გამჭვირვალე და ტევადია. მოვლენებთან მწერლის დამოკიდებულება კი უაღრესად პოეტური და ფაქიზი. რ.

ინანიშვილი ძირითადად ლირიკულ ეტიუდებს წერს. პროზის ამ მცირე ფორმაში შეძლო მან ყველაზე მეტად თავისი სტილის გამოხატვა და დამკვიდრება. ორადორი ნანარმოები „ამოუხტა“ მარტო ლირიკული ნაკადიდად ეპიკურისაკენ – „ზღვისფერი გორგალი“ და „ვილაცას ავტობუსზე აგვიანდება“. მე ვფიქრობ, მიუხედავად საყურადღებო ძიებისა, ვერც ერთ მათგანში ვერ მიაღწია მწერალმა მისთვის ჩვეულ მხატვრულ სრულყოფილებას. რ. ინანიშვილის ეტიუდების კითხვისას განწმენდის, სულიერი კათარზისის განწყობილება გეუფლება. უნებურად ხელებზე დაიხედავ კაცი და პერანგის ღილებს მოსინჯავ ხელით, ამ სუფთა წიგნთან მოშვებული ხომ არ მოვედიო. მოყვასისთვის ატკივებული დიდი გული ფეთქავს „ცოცხალი ჯვრების“ ავტორის შემოქმედებაში და იგი ისევე ვერ უძლებს გამოწვლილვით განჩხრეკას, ცივი გონებით შეფასებას, როგორც ბალის ბოლოს, ფოთოლგაცვენილ კაკალზე შემომჯდარი „ზართრისპირის სევდის“ დიდი უცხო ფრინველები კაცის მიახლოებას. რ. ინანიშვილის პროზა განმარტოებით დგას ჩვენს მწერლობაში, როგორც დარიბი კაცის ხელისგულებით ნალესი ქოხი, მიზეზის გამოუფრო ახლობელი და საყვარელი.

სურვილი? მაინც უნდა ვთქვა, რაკი შემფასებლის მანერით მივდივარ ჭეშმარიტი მწერლის ხელითა და გონებით ნაგვირისტალთან და აქვე დავსძენ, ღმერთმა ნუ ჰქონას ჩემი შენიშვნის გათვალისწინებით თუნდაც მცირე რამ შეიცვალოს იმ ჰარმონიაში რ. ინანიშვილმა თავის პოეტურ ქვეყანაში რომ დაამყარა. მე მსურდა, უფრო ხაზგასმულად გამოხატავდეს რ. ინანიშვილი ეპოქის ხასიათს, უფრო მგრძნობიარედ განიცდიდეს სადღეისო პრობლემებს, განსაცვიფრებლად დახატულ ხასიათებთან ერთად მკვეთრ, ზუსტ სიუჟეტებზეც იფიქროს. ზოგი მისი ეტიუდი ბრწყინვალე მოთხოვნის დასაწყისს გვაგონებს, რომელსაც მწერლის ხელითვე გაგრძელება არ უწერია და ამიტომ არ გვამახსოვრდება. და მესამე: ფარმაცევტის სიზუსტით ასწონოს მის ნოველებში სიკეთე-ბოროტების ჩვენების დოზა. მე მიმაჩნია, რომ „ჩიტების გამომზამთრებლის“ ფინალში

გამოხატული სადიზმი (დედის მიერ ჩიტისთვის თავის წაწყვეტა) რ. ინანიშვილის ლირიკული პროზისათვის ორგანული არ არის.

რუსუდანმა და ფარნამ ოთხი შვილი გაზარდეს – ლეონი, ვატუტი, ბაკური და მამუკა. სოფლის ინტელიგენტთა ამ პატიოსან ოჯახს თავისი სერიოზული პრობლემები გაუჩინდა. შეღერებული ბიჭების დაოჯახება, მარტო დარჩენის შიში (შვილები ქალაქისაკენ იწევენ, ოჯახის გაყოფასთან დაკავშირებული მრავალი ეთიკურ-ზნეობრივი საკითხი თავსატეხად წამოქრილა მშობელთა წინაშე) და სწორედ ამ დროს, სრულიად ულოგიკოდ მოულოდნელად, ამ ოჯახის (და ქვეყნის) თავზე დამოკლეს მახვილივით ჩამოწვა კაცობრიობის გაუგონარი უბედურება – ომი. ოტია იოსელიანის ახალი რომანის ექსპოზიცია, სოფლის ჩვეულებრივი ყოფით სცენებით დატვირთული, ერთბაშად იცვლება ომის ზარის ყოვლისწამლებავი ნერვიულობით. ცოტა ხანიც და ყველაფერი თავის ადგილს იჭერს. ომის გადატრუსულ გზებზე დააბიჯებენ ფარნას შვილები, თითქოსდა რადიკალურად შეცვალა ისინი თავსდატეხილმა ცეცხლის ქარიშხალმა, მაგრამ ოჯახიდან გამოყოლილი დიდი შინაგანი სიწმინდე და გულწრფელობა, სიცოცხლის ხალისი და იმერული ღრმა-ზომიერი იუმორი სიცოცხლის ყველაზე მძიმე წუთებშიც შეინარჩუნეს. „შავი და ცისფერი მდინარე“ ომის თემაზე დაწერილ რომანთა გაგრძელება-დამატება, უკან მიდევნებული ლამპარი კი არ არის, არამედ ერთი ოჯახის მრავალწლიანი ცხოვრების (და აქედან გამომდინარე ომისა და ქართველი კაცის ურთიერთობის) შთამბეჭდავი ეპოპეა. მწერალი ცდილობს ომის თემა ახალი შრეებით წარმოგვიდგინოს: ხომ ცნობილია, რომ საომარი თემატიკის გაშუქებისას ავტორები უმეტესწილად გმირებზე სწერენ, – ოტია იოსელიანი კი ჩვეულებრივ მებრძოლებზე – ფაშისტთა განადგურების სურვილიც რომ აქვთ, მაგრამ სიკვდილისა რომ ძალიან ეშინიათ, მწერალი ქართველი მებრძოლის ბუნებას გასაოცარი დამაჯერებლობით გვიხატავს; გმირთა შორის ისეთი მებრძოლიც არის, რომელსაც თავისი სამშობლოდან ასე შორს მოუწია ცეცხლის წვიმამ და ჯერ კიდევ ბოლომდე გაცნობიერებული არა აქვს – ვის ებრძვის,

ვის იცავს, რა ხდება მის თავს. ასევე პირველად ჩვენს ლიტერატურაში ოტია იოსელიანის მიერ ფართოდ და მართლად დაიხატა ფრონტისა და ზურგის ურთიერთობა.

„შავი და ცისფერი მდინარე“ კომპაქტურობით ვერ დაიკვეხნის. სად არის მკაცრი რედაქტორი, თორემ ამ საინტერესო რომანს ძალიან მოუხდებოდა „შეთავისუფლება“ ზედმეტი პასა-ჟებისა და ხელოვნური ეპიზოდებისაგან.

ომი დამთავრდა. გიგა ვარდოსანიძე მშობლიურ დაბას დაუბრუნდა. თითქოსდა ცხოვრება კალაპოტში ჩადგა. წლები გარბიან, ყოფილ პარტიზანთათვის კი ვერა და ვერ დაიწყო ის, რაზეც ტყე-ღრანტებში სისხლისგან დაცლილნი ოცნებობდნენ – მშვიდი ცხოვრება. გიგა და მისი პარტიზანი ძმები იმდენ წინააღმდეგობას აწყდებიან, იმდენ უსამართლობას ხედავენ, რომ ამ „მშვიდობიანი მშენებლობის ეტაპზე“ ბრძოლაში უწევთ ჩაბმა და კაცმა არ იცის, როდის უფრო ჭირდა ცხოვრება, მაშინ, როცა სამიზნე საოცრად გამარტოვებული იყო (იქეთ მტერი, აქეთ შენ) თუ ახლა, როცა ათასი შენილბული მტერი გახვევია სინდისის, პატიოსნების, კაცობის ხელყოფად. ამ პრობლემას (ომგადახდილი ვაუკაცების ადგილს ჩვენს საზოგადოებაში) ეძღვნება დავით კვიცარიძის რომანი „ძეგლები მიწას არ ამძიმებენ“.

ამ ნახევარი საუკუნის წინათ კონსტანტინე ლორთქიფანიძემ განახლებულ ქართულ სოფელზე თქვა მწერლის კომპეტენტური და შეუვალი სიტყვა. ახლა, როცა ჩაიარეს ათწლეულებმა, თამა-მად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „კოლხეთის ცისკარმა“ დროის გა-მოცდას გაუძლო. ვისაც მოესურვება წარმოიდგინოს როგორი იყო პირველი ხუთწლეულის პერიოდის ქართული სოფელი და რა იმედებით იწყებდნენ ცხოვრებას წითელი კომუნის გლეხები, მისთვის უტყუარი მხატვრული გზამკვლევი სწორედ „კოლხეთის ცისკარია“. სამოციან წლებში თანამედროვე ქართული პროზის პატრიარქი, ოთხმოცსმიტანებული ოსტატი ჩვენი მწერლობისა, კვლავ დაუბრუნდა სოფლის თემატიკას. მას, როგორც მწერალსა და მოქალაქეს, აინტერესებდა პასუხი გაეცა ზოგიერთი იმ კითხვისთვისაც ოციან წლებში რომ აწუხებდა და „კოლხეთის

ცისკრით“ მხოლოდ მწერლური წინასწარმეტყველებით რომ დააკმაყოფილა მკითხველი. საით წავიდა ცხოვრება, როგორ გაამართლა მიწის მუშის იმედები ეპოქამ, რა პრობლემები დგას სამოცდაათიანი წლების სოფლის წინაშე და ვინ არიან ისინი – ტარასი ხაზარაძის და მექი ვაშაკიძის მემკვიდრენი? ამ კითხვებს უპასუხა მწერალმა მხატვრულ-პუბლიცისტური ნარკვევებით „რა ხდება აპაშაში“ და „მთას დაუბრუნდა მთიელი“. ამ ნარკვევებში დაინტერესებული მკითხველი ბევრს რასმე იპოვის სოფლის გასაღონიერებლად სამომავლოდ დასაფიქრებელს.

თუ ამ ნარკვევებში ჩაკირკიტებულ მკითხველს მაინც შეუძლია „აღმოაჩინოს“ საკამათო რამ (ალაგ-ალაგ პათეტიკურობა, იშვიათად უსაბუთო, ოპტიმისტური წიაღსვლები), სამაგიეროდ კ. ლორთქიფანიძის მოთხოვობა „სიტყვა და ლმერთი“ ერთ-ერთი საუკეთესოა მწერლის შემოქმედებაში და დიდი შემეცნებითი ღირებულებებით გამოირჩევა.

მკითხველმა მიიღო ლადო მრელაშვილის „ყაბახის“ შევსებული და მწერლის მიერ საბოლოოდ რედაქტირებულ-გადაკეთებული გამოცემა. დიდხანს რანდა და აჩუქურთმა ავტორმა თავისი ლიტერატურული ცხოვრების ეს მთავარი წიგნი და ახლა, როცა კიდევ ერთხელ წავიკითხე, საშუალება მომეცა ერთხელ კიდევ დავრწმუნებულიყვავი იმაში, რომ „ყაბახი“ ჭეშმარიტად მაღალმხატვრული და შთამბეჭდავი რომანია.

ჭალისპირის ყოფის მრავალმხრივი, ოსტატური ჩვენებით მწერალმა გამოააშკარავა და ამხილა ის ნაკლოვანებანი, წლების განმავლობაში რომ უშლიდა ჩვენი სოფლის წინსვლასა და განვითარებას. დაგვიხატა კოლორიტული ხასიათები, რომელთა ერთი ნაწილი (ნიკო კუპრავა) გადაუღახავ ბარიერად აწევს თანამედროვე სოფელს და საკოლმეურნეო დოკუმენტის მითვისებით ჯიბეს ისქელებს, ხოლო მეორე ნაწილი (შავლეგო, რევაზი, რუსუდანი) შეუპოვრად ამხედრებულა სოფლის მყვლეფავთა წინააღმდეგ და თანამიმდევრული ბრძოლით სიმტკიცისა და პატიოსნების მაგალითს იძლევა.

ავტორი შეურიგებელ ბრძოლას უცხადებს ზოგიერთ უწყე-

ბაში წლების განმავლობაში დამკვიდრებულ ცხოვრებისა და საქმიანობის მანკიერ სტილს – მექრთამეობას, მომხვეჭელობას და შესრულების კონტროლისადმი ზერელე დამოკიდებულებას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ლადო მრელაშვილი ერთ-ერთი პირველი პროზაიკოსი იყო, რომელიც თავისი ამ რომანით მკვეთრად გამოირჩა მოჭარბებული პანეგირიკულ-მაამებლური ნაწარმოებების ფონზე და თავდაუზოგავად ამხილა შემჩნეული ხარვეზები. ვოლუნტარიზმისა და საყოველთაო მოშვებულობის პერიოდში ეს თვალსაჩინო მოქალაქეობრივი გაძედულება იყო.

„ყაბახი“ ხასიათდება ღრმა, ცხოვრებისეული დაკვირვებებით, საინტერესო სიუჟეტით, ოსტატური კომპოზიციური შენობითა და მდიდარი, ხატოვანი ენით. ხოლო ნიკო ბალიაშვილისა და შავლეგო შამრელაშვილის სახით ქართულ პროზას ორი უაღრესად საინტერესო ხასიათი შეემატა. ისინი ეპოქის ღვიძლი შვილები არიან. ნიკო ბალიაშვილი ცხოვრების ახალ პირობებს შეგუებული, გაქნილი და გაიძვერა თავმჯდომარეა, რომელიც სოფლის ძარცვის საკმაოდ დახვეწილ არსენალს ფლობს, ხოლო შავლეგო შამრელაშვილი – მისი ანტიპოდი, პატიოსნებით აღ-სავსე გულადი და შეუპოვარი ახალგაზრდა.

„ყაბახში“ დიდი ვნებები, ძლიერი წინააღმდეგობანი, თანამე-დროვეობის ნიშნით დაღდასმული სულისშემძვრელი სოციალური მოვლენებია დახატული.

არსებობენ სარედაქციო საქმეს „შეწირული“ მწერლები. მათზე განსაკუთრებული სიყვარულით უნდა იმსჯელოს კრი-ტიკოსმაც და მკითხველმაც. ამ მწერლებს ისეთი დიდი ტვირთი დააკისრა ცხოვრებამ, ისე ბევრი დრო და ენერგია წაართვა მათ სხვათა ნაწერების გალამაზებამ, რომ იმისთვის, რითაც რე-დაქტორებმა მომავალ საუკუნეს უნდა ესაუბრონ, დრო აღარ რჩებათ. ასეთ შემოქმედთა რიცხვს მიეკუთვნება გიორგი ნატროშვილი. ჩვენ, ყველანი ბევრს ვლაპარაკობთ გიორგი ნატროშვილზე, როგორც კრიტიკოსა და პუბლიცისტზე, მა-გრამ გიორგი ნატროშვილზე, როგორც პროზაიკოსზე ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში თითქმის არაფერი (ან ძალიან

ცოტა) თქმულა. მკითხველს ვთხოვ ერთხელ კიდევ მიუბრუნდეს და ყურადღებით ჩახედოს მწერლის თვითმყობადი პროზის ახ-ლახან გამოცემულ სქელტანიან ტომს (თხზულებანი, ტომი I; მთლიანად პროზას ეთმობა) და თავად დარწმუნდეს იმ ჭეშ-მარიტებაში, რომ „უდარდელი კაცის სიკვდილის“ ავტორის სახ-ით ჩვენ ფრიად ნიჭიერი ბელეტრისტი გვყავს. „გაზაფხული იყო იორზე“, „შიში“, „თუშის ქალი“, „შინდისფერი ყელსახვევი“ და „ხუთასი ობოლი“ იმდენად მაღალპროფესონალური მოთხო-ბებია, რომ ამ სტატიის ავტორი უფლებას იტოვებს ლოდინით დაღლილი მკითხველის მომთხოვნელობით ელაპარაკოს გიორგი ნატროშვილ-პროზაიკოსს.

რევაზ ჯაფარიძემ წერტილი დაუსვა „მძიმე ჯვარს“ და მკითხ-ველის თაროზე დაიდო მეთვრამეტე საქუუნის საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების ფრიად მნიშვნელოვანი მხ-ატვრული მატიანე. უპირველესი, რაც რევაზ ჯაფარიძის ამ ნაწარმოებს ტრადიციული ისტორიული რომანებისაგან განასხ-ვავებს, ის გახლავთ, რომ „მძიმე ჯვარი“ ერთი კაცის – სოლო-მონ მეფის ტრაგიკული ცხოვრების ქრონიკა კი არ არის, არ-ამედ მთელი ერის იმდროინდელი სოციალ-პოლიტიკური ყოფის პანორამული სურათია ნაჩვენები. ძნელია კაცმა წარმოიდგინოს უფრო დრამატული სვე, ვიდრე „სოლომონ დიდს“ ხვდა წილად. ფაქტობრივად იმ ეპოქაში გადაწყდა საკმაოდ დიდი ხნით საქა-რთველოს მომავლის საკითხი და მწერლის დიდ გამარჯვებად მიმაჩნია ის ფაქტი, რომ მან უაღრესად სწორად განსჭვრიტა და თითქმის ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლის სულის წიაღში ამონმა ჩვენი სახელმწიფო ბრილიანტის ყოფნა-არყოფნის სისხლხორცეული პრობლემა. ერეკლესაგან განსხვავებით, მაინც ბოლომდე იქნია ხმალი სოლომონ მეფემ, ბოლომდე ებრ-ძოლა და ეჯაჯგურა გაუტანელ წუთისოფელს, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ედგა ბჭედ თავის მამულს და რისხვად შინ-აურსა და გარეშე მტერს („ჩვენ მაინც ღვთის განგების მადლ-იერი ვიყავით და თავიდან ვიწყებდით ცხოვრებას! აღარ დამ-ცალდა, ერთი თავისუფლად ვერ ამოვისუნთქე... მადლობელი

ვარ ყველასი, ვინც ჭირსა თუ ლხინში გვერდით ამომიდგა, ჩემი უსიხარულო ხვედრი გაიზიარა და გაუტანელ წუთისოფელში მარტო არ დამტოვა“). ათასგვარი სფეროა დახატული რ. ჯაფარიძის რომანში ეპოქის ხასიათის საჩვენებლად. კითხულობთ წიგნს და გრძნობთ რა სასტიკი დროა. თითქოსდა არც თუ ბევრი წელი გასულა სოლომონ მეფის ეპოქიდან და როგორ შეცვლილა საზოგადოებრივი ფსიქიკა, როგორ გვჭირდება დღესაც ის უნაპირო ფანატიზმი ქვეყნისა და რჯულის დაცვაში რომ ამჟღავნებდნენ ქართველები. ამ იდეის ქადაგებას ეძღვნება მთელი წიგნი, ქართული სულის უკვდავება ლაიტმოტივად გასდევს „მძიმე ჯვარს“. ეს აზრი მარტო გმირთა ლალადისში კი არა, შეთქმულ ბაჭყა სოფრომაძის სიტყვებშიც უონავს: „...ჩემი დღე და მოსწრება გზაზე ვარ გაკრული! ხან ლეკი დამდევს მოსაკლავად, ხან თათარი და ხან ქრისტიანი! რომელ ერთს გავუძლო?!

— გაგიძლია და ეგ არი, რალაი აქამდე მოსულხარ!“

ის, რაც რ. ჯაფარიძის ამ სქელტანიან ეპოქეაში საკამათოა (ალაგ-ალაგ ენობრივი კოლორიტის აღრევა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სასაუბრო მეტყველების ჭარბად გამდაბიურგათანამედროვება, აქა-იქ ჰაიპარად მიშვებული კომპოზიციური მარყუჟები, ისტორიულ ფაქტებთან თამამი დამოკიდებულება), რომანის უდავო ღირსებებთან შედარებით ზღვაში წვეთია.

მხატვრულ-დოკუმენტური პროზა ახალ სიმაღლეებს აზიარა ლევან სანიკიძემ „უქარქაშო ხმლების“ ოთხი წიგნით. პიონერობა ჩვენი ისტორიის მხატვრულად გადმოცემისა, მართალია, „უქარქაშო ხმლების“ ავტორს არ ეთქმის, მაგრამ ეს ნაწარმოები მკითხველთა ფართო აუდიტორიას იზიდავს იმით, რომ თხზულებაში პირველად შეერთდა ისტორიკოსი — მეცნიერი და მწერალი. „უქარქაშო ხმლები“ მკითხველთა მასისთვის გამიზნული მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და მხატვრული სრულყოფით გამორჩეული წიგნია. ვინ ვართ ჩვენ — ქართველები, საიდან მოვედით, რა გადაგვხვდა ათასწლეულებში ხეტიალისას და რას გვიქადის მომავალი — ამ კითხვებზე პა-

სუხი განსაკუთრებით სჭირდებოდა ქართველ კაცს დღეს, როცა არსებობს კოსმოპოლიტიზმისა და ეროვნული აღრევის საშიშროება. მიუხედავად იმისა, რომ „უქარქაშო ხმლების“ ავტორს ალაგ-ალაგ ზომიერების გრძნობა ღალატობს (ისტორიული წყაროების უქონლობის გამო ყველაფერი როდია მეცნიერულად სანდო) ეს წიგნი ყველა ქართველის ოჯახში უნდა იდოს ჩვენდა თავმოსაწონებლად.

გურამ ფანჯიკიძეს განსაკუთრებით გამახვილებული აქვს თანამედროვეობის გრძნობა. მოქალაქეობრივი გაბედულობით, შეუპოვრობით, სადღეისო პრობლემების დაყენებით და თანამედროვის სულის ნიუანსებში ღრმად წვდომის უნარით იგი კარგა ხანია გამოირჩა ჩვენს პროზაში.

„აქტიური მზის წელიწადი“ სწორედ რომ ეპოქისმიერი, ღრმა ფსიქოლოგიური ძიებებით აღსავს ნაწარმოებია. ნოდარ გელოვანის სახით პირველად გამოჩნდა ჩვენს ლიტერატურაში სამოცდაათიანი წლების ინტელექტუალური სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის შვილი, კაცი, რომელიც ქვეცნობიერად ებრძვის თავის თავში ბუნების შვილსა და ტექნოკრატს. იგი პირდაპირი მსხვერპლია იმ საოცარი ზღვრისა ადამიანის გონებრივ შესაძლებლობასა და სინამდვილეს შორის რომ გაჩნდება ზოგჯერ. უაღრესად დამაჯერებელია ნოდარ გელოვანის ხასიათის ფონზე მისი სიყვარულიც, მეცნიერებისადმი დამოკიდებულებაც, ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ურთიერთობა. ჩვენ თამამად შეგვიძლია ვილაპარაკოთ მასზე, როგორც სრულიად ახალი ტიპზე ქართულ პროზაში. ამავე რომანში უფრო ტაქტიკურად და ზომიერად გაგრძელდა მწერლის მიერ „თვალი პატიოსანში“ აღებული გეზი ნაკლოვანებებთან, ადამიანურ მანკიერებებთან შეურიგებლობისა.

ერთადერთი, რაც შეიძლება სამომავლოდ ვუსურვოთ გ. ფანჯიკიძეს, ის გახლავთ, რომ უფრო ლმობიერი იყოს თავისი გმირებისადმი. სტრესული განწყობილება, რაც მის პერსონაჟებს ახასიათებთ, ხშირად მთხოვობელსაც გადაედება ხოლმე. ეს სრულიად ბუნებრივია, რადგანაც ავტორიც ამ დროს ღვიძ-

ლი შვილია, მაგრამ იქნებ საჭირო იყოს თავს მეტი ძალა დაატანოს მწერალმა და შესამჩნევად ჰუმანური, შეუვალი აღმწერის დამოკიდებულება დაამყაროს თავის გმირებთან.

ოთარ ჭილაძის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ რთული სიმბოლოებითა და ღრმა ალეგორიებით დატვირთული რომანია. მაკაბელების ოჯახის ცხოვრების ასწლოვანი ისტორიის დაწვრილებით გადმოცემა მწერალს იმად აინტერესებს, რომ გვიჩვენოს, რა სოციალური და ინტელექტუალური – პოლიტიკური ცვლილებები განიცადა საქართველომ დამოუკიდებლობის დაკარგვიდან იმ დრომდე, როდესაც კაპიტალიზმის ფარვატერში შესულმა ქვეყანამ ირწმუნა, რომ ფენიქსივით მისი აღდგენა კიდევ შეიძლებოდა და ეს საქმე ახალ თაობას უნდა ეტვირთა.

რომანი იწყება ანას, თათრისა და მაიორის უაღრესად შთამბეჭდავი ეპიზოდით. ეს ეპიზოდი განზოგადებულ მნიშვნელობას იძენს და მთელი რომანის ლაიტმოტივადაც გამოდგება. თათრისგან დაბრიყვებულ ქალს, რომელიც მისდაუნებურად იქცა მოძალადის ხასად, უეფრად მხსნელი მოევლინება. თითქმის უსამშობლო მაიორმა, ქაიხოსრო მაკაბელმა, მართალია, თათარი მოაშორა დედაკაცს (და შეურაცხყოლ სოფელსაც), მაგრამ დაბეჩავებულ დედა-შვილს ბედნიერება ვერ მოუტანა. თათრის ბრიყველი უხეშობიდან ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა მაიორის ანგარებიან სიკეთემდე. ავტორი აშკარა ალეგორიულობით მიანიშნებს მკითხველს, რომ ანამ (და მისი სახით სოფელმა) თავის თავში უნდა აღმოაჩინოს თათრის (და ყოველი მოძალადის) დათრგუნვის ძალა, თორემ დაკაბალების ერთი ფორმის მეორეთი შეცვლა ქვრივს ბედნიერებას ვერ მოუტანს. აკი ასეც მოხდა. „დამაცადონ, იქნება თათარი სანატრელი გაუხდეთ“, – ამბობს გამარჯვებული მაიორი.

ვინ არის ქაიხოსრო მაკაბელი? მეცხრამეტე საუკუნის პარმალზე გაჩენილი ბავშვობანართმეული, თავისუფლებანართმეული, სასონარკევეთილი კაცის ტიპიური სახე. „მას კი ყველაფერი აშინებდა; აღამაპმადხანიც, რომელსაც ყველგან სწყევლიდნენ და თეთრი ჯარიც, რომელსაც ყველგან მოუთმენლად ელოდე-

ბოდნენ, თუმცა წესიერად არც იცოდნენ, საიდან უნდა გამოჩენილიყო, ანდა როდის. არც მან იცოდა, რომ იმ საბედისწერო დღეს, როცა აივნიდან გადმომსტარი თუ გადმოვარდნილი ქვაფენილზე დაენარცხა, მისი სამშობლოც დაცემულიყო, კიდევ საკითხავი იყო, შეძლებდა თუ არა ფეხზე წამოდგომას“.

ოთარ ჭილაძის ამ რომანში სამშობლოსა და ადამიანების ბედი მჭიდროდაა ერთმანეთზე გადანასკვული. მწერალი თვალებში უყურებს ისტორიულ სიმართლეს და მეცხრამეტე საუკუნის უბრალო ქართველი კაცის ყოფის სურათებს ზემოთ მოტანილი ციტატის დრამატული ქვეტექსტებით ტვირთავს.

ბევრი ქარტეხილი მოაწია ცხოვრებამ მაკაბელთა ოჯახის თავზე. ულმობელმა სინამდვილემ, სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ და ამავე მიზეზით გამოწვეულმა ტკივილებმა (ენისა და რჯულის დაკარგვის შიში, ეკონომიური გაჩანაგება, რწმენის შერყევა) ნაფოტივით მიმოფანტა მაკაბელთა ერთ დროს ძლიერი, ტრადიციული ოჯახი, მაგრამ რომანს წითელი ზოლივით გასდევს აღდგენისა და განახლების პათოსი. მწერალს სამართლიანად სჯერა, რომ ჭირთამთმენი ქართველი კაცი სწორედ თავისი სიჯიუტით და მიწის ყივილის გამახვილებული გრძნობით გამოაღწევს მეცხრამეტე საუკუნის საშიში ისტორიული ლაბირინთებიდან, ეს პათოსი ყველაზე თვალსაჩინოდ რომანის ფინალში გაცხადდა: „ახლა როცა მშობლიურ სახლამდე დათვლილი ნაბიჯებიღა დარჩა, საბოლოოდ რწმუნდება, რაც ხდება. ცხადში რომ ხდება ყველაფერი, ის ხომ მრთლა ალექსანდრეა და ნამდვილად მართა, რომ მიაბიჯებს მის წინ, ნიკოს შვილი; მისი სისხლი და ხორცი, მისი არსებობის გამმართლებელი და განმმტკიცებელი, ჯერ კიდევ სუსტი, ჯერ კიდევ პატარა სიცოცხლე, მაგრამ მაინც სიცოცხლე: „ჯიუტი, მზარდი, თამამი, ხალისიანი... ბიძამისის, ამ ცალხელა ახმახის წყალობით სამუდამოდ გადარჩენილი და სამუდამოდ დაბრუნებული შინ“.

ოთარ ჭილაძის რომანს ატყვია პროფესიონალი მწერლის გამოცდილი ხელი. ნაწარმოები იმდენად მოწესრიგებულია, ისე კარგად ფლობს ავტორი მკითხველის ყურადღების მიპყრობის

რთულ მხატვრულ ილეთებს, ისე ლოგიკურად ხატავს სიტუაციებს, რომ, წიგნი ერთი სულის მოთქმით უნდა წაიკითხო. თუმცა ათარ ჭილაძის სტილს მაინც ეტყობა გამაღიზიანებლად ზედმეტი სიფრთხილე, მთავარი სათქმელი ხშირად ძალიან ღრმად დევს და ზედმეტი აღნერითობის ბურუსში გახვეულს სანამ მიაგნებდე, იღლები კაცი.

რეზო ჭეიშვილის შემოქმედებას, ჩემთვის ადვილად ასახსნელი მიზეზების გამო, განსაკუთრებული მღელვარებით აღვიქვამ და განვიცდი, ჯერ ერთი, ნაცნობი და ახლობელია ის გეოგრაფიული გარემო, სადაც „დალის“ ავტორის გმირები ცხოვრობენ და მეორეც, ჩემზე შთამბეჭდავად მოქმედებს ის ირონიულ-პაროდიული მანერა წერისა რ. ჭეიშვილი რომ წლების განმავლობაში უერთგულებს და თანამედროვე მსოფლიოლ ლიტერატურაში ლამის მოდად რომ ქცეულა. ნიჭიერი მწერლის ბოლოდროინდელი წანარმოები – „მუსიკა ქარში“ საყურადღებო და ორიგინალურია მარტო ომისდროინდელი მოზარდის ფსიქიკაში ღრმად წვდომითა და სიცოცხლის სიყვარულის დაუოკებელი ქინით კი არა, უანრული თვალსაზრისითაც. ეს გახლავთ რომანი ერთიანი ფაბულისა და სიუჟეტური ღერძის მქონე. რომანი, რომელიც ცალკეული წოველებისაგან შედგება და თითოეული წოველა მხოლოდ რომანის ეპიზოდის ფუნქციას კი არ ასრულებს, არამედ დასრულებული მხატვრული წანარმოებია (იმდენად დასრულებული, რომ ზოგჯერ ვერც კი ჯდება რომანის კომპოზიციურ ქსოვილში). ჩვენი ლიტერატურიდან მიჭირს ამგვარი ფორმის თხზულების გახსენება. „მუსიკა ქარში“ ფრაგმენტული მოგეჩვენებათ, მხოლოდ იმის გამო, რომ ავტორმა უაღრესად თამამი წაბიჯი გადადგა წანარმოების ფორმის ძიების გზაზე. ზემოთქმულს თუ დავუმატებთ ამასწინაათ „წობათში“ დაბეჭდილ წოველებს (მათგან განსაკუთრებით დამამახსოვრდა „მესამე მგზავრი“, „ხელები“, „წობელი“) შეიძლება დავასკვნათ, რომ რ. ჭეიშვილმა წაყოფილი იმუშავა და თავისი მომხიბლავი ლიტერატურული ციხე-გოჯი საიმედო ბურჯებით გაამაგრა.

ხმა რომ დაირხა წულეისკირი აბო ტფილელის

ცხოვრებაზე რომანს სწერსო, უნდა გამოვტყდე, ცოტა არ იყოს სკეპტიკურად განვეწყვე მწერლის ამ სურვილის მიმართ. ჯერ ერთი „აბო ტფილელის წამება“ ერთხელ უკვე დაწერილია და მეორეც, წანარმოების უმთავრესი ეროვნულ-რელიგიური პრობლემის თუნდაც ორიგინალური ინტერპრეტაცია რას მისცემს თანამედროვე მკითხველს-მეთქი, გავიფიქრე. რა სინანულით მიმაქვს ჩემი წაჩქარევი ფიქრი უკან ახლა, როდესაც ჩემ წინ დევს „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“. შორეულ წარსულში წამებულმა აბო ტფილელმა რომანის ავტორი თანამედროვეობის აქტუალური საკითხებიდან კი არ გაიტყუა, პირიქით, დაეხმარა 6. წულეისკირს მკითხველისათვის ეთქვა, რომ წეტარ არიან სიმართლისათვის, პატიოსნებისათვის, მაღალი ზნეობისათვის, პროგრესისათვის წამებულნი. ავტორმა ცნობილი ლიტერატურული სიუჟეტის ახლებური გააზრებით გვიჩვენა რომ საუკუნეებმა მხოლოდ წანილობრივ უმკურნალეს ერთა უმთავრეს სატკივარს, რომ სიკეთისა და ბოროტების ბრძოლაში ხშირად ათასი წლის მერეც იგივე პრობლემები წამოტივტივდება, ცივილიზაციის გარიურაჟზე რომ იდგა კაცობრიობის წინაშე.

ღრმა ფსიქოლოგიური და ფერწერული სიცხადით დახატა 6. წულეისკირმა აბოსა და იოანეს ტრაგიკული ცხოვრების ფურცლები. მთავარი აქცენტი გარეგნულ რეალიებზე კი არაა გამახვილებული (6. წულეისკირი თავს არ გვაწონებს ისტორიული სინამდვილის ღრმა ცოდნით), არამედ გმირთა სულიერ წონას-წორობაზე, მათი ფსიქიკის ურთულესი წიუანსების მხატვრულ გარდასახვაზე. ჩაამთავრებთ წიგნს და გონების თვალიდან არ გშორდებათ მოძალადეთა სისასტიკით დათრგუნვილი, შიშის გამო ერთმანეთისადმი ნდობადაკარგული, გამცემთა და უნებისყოფოთა მაგალითით რწმენაშერყეული, მაგრამ მაინც მუშტად აღმართული ერი.

ამ საინტერესო რომანში ჩემი აზრით, დაკარგულ შესაძლებლობად რჩება ფინალი: იოანეს ჩაქოლვის სცენა (ბრძოლა უმადურია!) მხატვრულად მოტივირებული არ არის და სიუჟეტის ამგვარ „თავიუფალ“ გადაწყვეტას ვერ დავეთანხმები.

ნიჭიერი მწერალი გამოჩნდა ჩვენს ლიტერატურაში ნუგზარ შატაიძის სახით. ჩვენ თვალწინ იზრდება და სრულყოფს იგი თავის ოსტატობას (ამ მხრივაც არა ჰგავს იმ „მინისქვეშა ტალანტებს“ ათი წლის წინათ ერთი პატარა მოთხრობა რომ დაბეჭდეს და მეორე მოთხრობის შექმნამდე ნერვების დაწყვეტამდე გვალოდინებენ). მხიბლავს ნუგზარ შატაიძის პასუხისმგებლობის გრძნობა ლიტერატურული საქმისადმი, ნოველაში ახალი ხასიათების შექმნის სურვილი და კომპოზიციის გამახვილებული გრძნობა. ზედმეტს არაფერს ამბობს, ხატავს ზედმინევნითი სიზუსტით და გულისგა-მაწვრილებელი დეტალიზაციით თავს არ გაბეზრებთ. რაც მაღებანთავისუფლდება რევაზ ინანიშვილის სახიფათო მსგავსებისაგან და საკუთარი გზით ივლის – მით უკეთესი.

ინტერესით მიიღო მკითხველმა სერგი ჭილაძის ქრონიკები. მსოფლიოს მრავალ ენაზე თარგმნილ „ეკატერინე ჭავჭავაძეს“ რომელიც ავტორის პირველი ცდა გახლდათ დოკუმენტურ-მხატვრული პროზის რთულ უანრში) ბოლო წლებში სერგი ჭილაძიმ ხუთი ახალი ქრონიკა ამოუყენა მხარში – „საუბარი ლანდებთან“ (ეგნატე ნინოშვილის ცხოვრებაზე), „იყო ერთი პოეტი“ (ტერენტი გრანელზე), „ერთია ქვეყანაზედა“ (რაფიელ ერისთავზე), „ცისფერი კომუნარები“ პირველი ქართველი ინ-ჟინრების ტრაგიკულ ცხოვრებაზე) და მხილების პათოსით გამ-სჭვალული, კომბინატორთა და საქმოსანთა წინააღმდეგ მიმარ-თული „ადექით, სასამართლო მოდის“. ამ ნანარმოებებმა ჩვენი ყურადღება მიიპყრო არა იმდენად მხატვრული ხარისხით, რამ-დენადაც დოკუმენტური სიზუსტით.

XX საუკუნის ბოლოს ეროვნულად დათრგუნვილი, გულგა-ტეხილი, პოლიტიკურად დაცვედნებული ქართველი მკითხველი წიგნს განუდგა.

ეს ინტელიგენციის მიმართ თავისებური პროტესტი იყო.

ტყუილი გამოდგა საუკუნის მანძილზე შენი ფარული თუ აშკარა მოწოდებანი, ქიმერა გამოდგა შენი ინტელექტუალური ღალადისი ერის თავისუფლებაზე, არც თუ ზოგი, ერთ დროს საიმედო, ინტელიგენტის ხელდაუსხმელად საქართველო კვლავ

მონობაში შეაბრუნეს და ამჯერად აურაცხელი ეროვნული და-ნაკლისის (სიცოცხლე, ტერიტორია, ეკონომიკა) ფასად. აღარ მჯერა შენი. თუ კაცი ხარ, მარტო დამტოვე ჩემს შავბნელ ფიქრებთან, თქვა ქართველმა კაცმა და გული გაიცივა ინ-ტელიგენციის მიმართ.

სამწუხაროდ, ჩვენ მიერვე ანთებულ-დარაზმული ჩვენი თანამომების საყვედური ყველას შეეხო მეტ-ნაკლებად.

დაიწყო „უწიგნურობის“ გულისმომკვლელი პერიოდი.

მაღაზიის თაროებზე ხელუხლებლად იდო წიგნები, რომელთა ავტორების ყოველ სტრიქონს ადრე ხალხი სასიცოცხლო ძალა-სავით იტაცებდა და ვის ახალ წიგნებზეც ოთხმოციან წლებში მყიდველთა გრძელი რიგი იდგა.

და ბოლოს, ყინული მაინც გალხვა.

ქართველი მკითხველი თავისი მწერლისკენ შემობრუნდა.

რწმენა დაუბრუნდა? რაიმე ისეთი გაჩნდა ლიტერატურაში, ჭეშმარიტი ნიჭის გარდა დიდი სიმართლით რომაა სავსე?

ერთიცა და მეორეც.

ამ ბოლო დროს ქართველი მკითხველი მხატვრული ლიტერატურისკენ სამმა მშვენიერმა რომანმაც მიაბრუნა – გურამ ფანჯიკიძის „ეშმაკის ბორბალმა“, ჭაბუა ამირეჯიბის „გორა მბორგალმა“ და ზაურ კალანდიას „ძეგლმა ყველასათვის“.

ოც წელზე მეტი ელოდა მკითხველი ჭაბუა ამირეჯიბის ახალ ნანარმოებს.

ბუნებრივიცაა. „დათა თუთაშხიას“ უზადო ლიტერატურულ-მა ღირსებებმა და პოპულარობამ განაპირობა ჩვენი სურვილი, მალე გვეხილა გახმაურებული რომანის ავტორის კიდევ ერთი ნაოსტატარი.

მოლოდინი საკმაოდ გრძელი გახლდათ, ეჭვებითა და ერთ-გვარი სპორტული ინტერესით სავსე.

გაჭიანურებულმა ამაო ცდამ ზოგიერთი სკეპტიკოსის თვალში სრულიად უსაბუთო მითიც კი დაბადა. ალბათ, არ არის ჭაბუას დაწერილი, თორემ რა დაუმთავრებელი დაემართა ახალ წიგნსო.

ერთხელ, ეს, იყო ამ თხუთმეტი წლის წინათ, მწერალთა კავშირის ბალში ჭაბუას სოსო პაიჭაძემ ჰკითხა – როგორ მიდის ახალი რომანის საქმეო.

– იცი რა, – ჩვენს გასაგონადაც უპასუხა მწერალმა – ვერ არის კარგად. ძალიან მძიმედ მეწერბა. ხანდახან გავჩერდები რომელიმე პასაუზე და ნაბიჯს ვერ ვდგამ. თვეები გადის – სტრიქონს სტრიქონზე ვერ ვაბამ.

– რაზეა, თუ საიდუმლო არ არის-მეთქი, – საუბარში ჩავ-ერიე.

– მეცამეტე საუკუნის საქართველოზე, მაინტერესებს, რა ემართება ქვეყანას დაპყრობილის ხელში. ისეთი დამპყრობლი-სა, რომელსაც შენი ტკივილი, შენი პრობლემები არ ესმის და არც შენი ფასი იცის.

მაშინ გაცილებით უფრო თამამი ვიყავი, ვიდრე ახლა ვარ და, მრცხვენია ჩემი მაშინდელი ნათქვამისა, მაგრამ მაინც უნდა გავიხსენო.

მეცამეტე საუკუნის საქართველო ხომ მხოლოდ წყაროებ-ში უნდა მოიწიოთ, იგი მაინც წიგნთა რემინესცენციებით იქნებ დაწერილი და არა თქვენ მიერ ნანახი და განცდილი. ალბათ, წერ-აც იმიტომ გიჭირთ, რომ ბევრი რამ უნდა გამოიგონოთ. თქვენი სტილი უფრო „მე“-დან დანახული ცხოვრების აღწერაა. არა და, რა ბიოგრაფია გაქვთ. მე ვინ მკითხავს, მაგრამ თქვენს ადგილზე თქვენი ლეგენდარული „პაბეგების“ შესახებ დავწერდი-მეთქი.

„პაბეგები“ იმიტომ ვახსენე, რომ მანამდე ბაკურიანის შეკრების დროს მახსოვს, რა ინტერესით ვუსმენდით ციმბირი-დან ახალდაბრუნებულ (თუ გამოქცეულ) ძაბუას, როცა იგი სა-ოცარი ფერწერულობით გვიამბობდა თავის ფათერაკებზე.

მაშინ ჭაბუამ თავისთვის ჩაილაპარაკა:

– არ ვიცი, რა ვიცი... ასე მგონია, ჩემს ძალურ წარსულზე „დათა თუთაშხიაში“ ყველაფერი ვთქვიო.

მკითხველს ვთხოვ, სწორად გამიგოს, ეს ეპიზოდი „გორა მბორგალის“ იდეის გაჩენაში ჩემი განსაკუთრებული ხაზგასმის წარმოსაჩენად არ მომიტანია.

უბრალოდ, სიტყვას მოჰყვა.

წავიკითხე „გორა მბორგალი“ და სიამაყე ვიგრძენი. ეს გახ-ლავთ ჭეშმარიტ, დიდ ლიტერატურასთან შეხვედრა.

ეს გახლავთ ეპოქათ საბჭოეთის საზოგადოებრივი ცხოვრები-სა, კერძოდ, იმ უბნის, სამართლისა და კანონის სფეროს რომ ეძახიან. „გორა მბორგალი“ დიდი ოსტატობით ნათქვამი მწარე სიმართლეა კომუნისტური გულაგების ცხოვრებაზე და, რაც მთავარია, იგი ჰიმნია თავისუფლების წყურვილით შეპყრობილი ადამიანის უძლეველობაზე.

დავხურე წიგნი და მთელი კვირა ამ წიგნისგან მიღებული დადებითი მუხტი წელში მმართავდა. ათასი მიზეზის გამო ურ-ვაშეყრილს, უფლებას არ მაძლევდა, სასოწარკვეთას მივცემოდი.

რა დიდებული რამაა ჭეშმარიტი ლიტერატურა. რა კარ-გია, რომ გორა მბორგალი არსებობს, „დალენილი, მინასთან გასწორებული, ციხე-სიმაგრეების ქვა-ლორლით ნაგები“ კაცი. რამდენს მოჰკვრის მისი სვლა მომავალის მრუმე ასწლეულებში მხნეობასა და „ჭირსა შიგან გამაგრების“ ძალას.

ტანჯვაზე დაწერილი რომანი ბოლოში გასვლისას გულზე მაჯლაჯუნასავით შემოკრულ ავ ფიქრებს ერთბაშად გიხსნიან და ექსტაზის, განსაცვიფრებელ შინაგან ჰარმონია-სიმსუბუქეს გგვრის.

მეც და ჩემი კოლეგებიც, ვისაცხ ბედნიერება გვაქვს, ჭაბუა ამირეჯიბსაც ვიცნობდეთ, როგორც პიროვნებას, და მის შემო-ქმედებასაც, ჯიუტი თანამიმდევრობით ვპასუხობდით ეჭვიან კაცთა შეკითხვებზე, – რომ საკმარისია-მეთქი, ჭაბუას ერთი საათი ესაუბრო. რათა ყოველგვარი ეჭვი გაგიქრეს „დათა თუთ-აშხიას“ ორიგნალობაზე.

ახლა „გორა მბორგალმა“ ეს ეჭვი, თუ სადმე კიდევ არსე-ბობდა, საპნის ბუშტივით გააქრო.

ჯერ ერთი, „გორა მბორგალი“, თითქოსდა, სიმბოლურ-პრობლემური გაგრძელებაა „დათა თუთაშხიასი“ გორა ერთი შეხედვით დათა თუთაშხიას უმცროს ძმადაც შეიძლება მო-გეჩვენოთ. გარდა ამისა, ელემენტარული სტილურ-სინტაქსური

ანალიზიც ცხადყოფს, რომ „გორა მბორგალი“ „დათა თუთაშე-იას“ ავტორის მიერაა დაწერილი.

ესეც სიტყვას მოჰყვა, თორებ ისეთი მკაფიო ნიჭის, ენცი-ლოპედიურად განათლებულ და მრავალჭირნანას მწერალთან, როგორიც ჭაბუა ამირეჯიბია, ამის მტკიცება არ უნდა მჭირდებოდეს.

მკითხველი წიგნთან, უპირველეს ყოვლისა, თავის დამოკიდებულებას ამყარებს იმის მიხედვით, იღებს ან არ იღებს იგი ნაწარმოებს, თუ რამდენად ეხმიანება თხზულება მის შეხედულებებს, წარმოდგენებს, რამდენად სცემს პასუხს სწორედ მისი, როგორც პიროვნების, წინაშე დასმულ კითხვებს. და რაკი ეს ასეა, უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გავუსვა, რომ „გორა მბორგალი“ სწორედ რომ თავისი ეპოქალური ხასიათით, შემეცნებითი ლირებულებით მოესალბუნა ჩემს სულსა და გულს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ კომუნისტური ტირანისადმი ჩემი დამოკიდებულება აძსოლუტურად ემთხვევა ავტორის პოზიციას და რომანმა ჩემი ცოდნა საბჭოური ცხოვრების შესახებ ახალი სურათებით გაამდიდრა, თანაც, გარდა ნაცნობი გარე-მოს დიდებული აღწერისა, ლამის დოკუმენტური სიზუსტით აღ-წერილ ნაცნობს მოვლენებსაც წავაწყდი და ჩემთვის ახლობელი რამდენიმე ნაცნობის სახელიც მოვინიშნე „გორა მბორგალის“ ეპიზოდურ პერსონაჟთა გალერეაში.

**სახელდობრ:** მეც მივლია ციმბირის ტაიგაში და ზამთარში იქაური ყინვა-ქარბუქის, ხოლო ზაფხულში ცერისისმსხო კაცი-ჭამია კოლოების „გემოც“ კარგად მახსოვეს. ასე რომ, იმიერპო-ლარეთი, ნორილსკი, ტაიშეტი, ბაიკალი, ჩიტა, ომსკი, ნოვოსი-ბირსკი ჩემთის ნაცნობი გეოგრაფიული პუნქტებია და რომანის კითხვისას მეჩვენებოდა, რომ მეც გორა მბორგალის გვერდით მივათრევდი სლიპ გზა-ყინულზე („ზიმნიკს“ რომ ეძახიან) ჩემი ბედისწერის მძიმე ციგას.

გარდა ამისა, რომანის საყოველთაოდ ცნობილ ქართველ პერსონაჟებს რომ თავი გავანებოთ, „გორა მბორგალში“ ნახ-სენებ რუმინელ დისიდენტს, მარჩელსაც, კარგად ვიცნობ თავის

უმშვენეირეს მეუღლესთან, ქ-ნ დინასთან ერთად, ამ ათიოდე წლის წინათ რუმინეთში ევროპის პროზაიკოსთა ფორუმზე ყოფნისას მარჩელმა მომძებნა, შინ მიმიწვია, ბევრი საინტერესო რამ მიამბო გულაგურ ცხოვრებაზე და ჭაბუასთან, წერილთან ერთად, საჩუქრად ჰალსტუხიც გამომატანა.

1984-1994 წლები აზის რომანს შექმნის თარიღად. ეს იმას ნიშნავს, რომ ურთულესი ისტორიული კატაკლიზმების პერი-ოდში, თავისუფლებისთვის საქართველოს აქოჩრების, იმპერი-ის ნაწილობრივი რღვევის, ქიმერული სამწლიანი დამოუკიდე-ბლობის და 1993 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ხელახლა დაპყრობა-ანექსიის წლებში იწერებოდა რომანი. ამიტომაც ავ-ტორი ეპოქის თავისულ შეფასებებში თავს ლალად გრძნობს და ობიექტური ანალიტიკოსის მანტია უმშვენებს ბეჭებს. „გორა მბორგალი“ ქვედა თუ ზედა დამანგრეველი გრიგალებისგან მო-ტორტმანე იმპერიას სხვადასხვა განზომილებაში განიხილავს და მისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს.

„გორა მბორგალის“ მთავარი პრობლემა, როგორც მოგახ-სენეთ, თავისუფლებისთვის ბრძოლის პრობლემაა. არა მარტო პიროვნების ბრძოლაა დახატული, არამედ ნორილსკის საპატიმ-როთა ერთიანი ამბოხებაც გახდავთ ნაჩვენები და წიგნიდან გუ-ლაგებში განაწარმებ ადამიანთა საპროტესტო გუგუნი გაისმის. ერთი მხრივ – ერთი გაქცეული კაცის მოსაშტობად აღმსდგარა მრისხანე სტიქია და კოლონის გამოცდილი მეფე მიტილენი-ჩი თავისი გლებ-თანაშემწეთი და მექებრებით, მეორე მხრივ, აჯანყებულ ნორილსკელ პატიმართა წინაშე კარგად შეიარაღე-ბული დამთრგუნველი სახელმწიფო მანქანა დგას სპეციალურად შერჩეული, მანქურთი, გონებაჩლუნგი ჯარისკაცებით სავსე...

და მაინც, თავისუფლებისათვის ბრძოლის ჟინს თავისი გააქვს. გორამ მაინც მიაღწია ხაბიბულინის საბოსტნე ქოხამდე და სიხარულის ყიუინით რეინიგზის რელსზე ჩამოჯდა. ნორილ-სკელმა მეამბოხეებმაც თავისი გაიტანეს. ადმინისტრაცია (ე. ი. სახელმწიფო, რ. მ.) იძულებული გახდა, ზოგი რამ დაეთმო სასიკვდილოდ თავგადადებულ პატიმართათვის.

ახლა იმას მივაქციოთ ყურადღება, რომ „გორა მბორგალი“ იძეჭდება სწორედ იმ დროს, როცა საქართველო თავის დაკარგულ დამოუკიდებლობას გლოვობს, როცა თავისუფლებისათვის საქართველოს გაპრძოლება იმპერიამ სისხლში ჩაახშო. 1992-93 წლების რუსეთ-საქართველოს ომში საქართველოს 30 ათასი პატრიოტი მოუკლა, სამასი ათასი კაცი თავისი ისტორიული მიწიდან (აფხაზეთი, სამაჩაბლო) გამოდევნა და მსოფლიოს თვალწინ საქართველოს უსირცხვილოდ ჩამოაჭრა ტერიტორიის მესამედი.

ასეთ დროს, სრულიად ბუნებრივია, რომ ერის ერთი ნაწილი გულგატეხილობამ, პოლიტიკურმა ინდიფერენტიზმა მოიცვა. ჩანს, განწირული ქვეყანა ვართ, სანამ რუსეთი ჩვენი მეზობელია (და ეს ყოველთვის ასე იქნება), თავისუფლებას ვერ ვეღირსებით! – ასეთი ნაკლებლოგიკური, მაგრამ გარემოებიდან ნაწილობრივ გამომდინარე აზრი გაჩნდა სკეპტიკოკსთა თავში.

რა სჭირდება ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო მეტად დამცირებულ, დამონებულ ხალხს? – იმედი, გამხნევება, „ჰაის“ შეძახილი. „გორა მბორგალი“ სწორედ რომ გამხნევების წიგნია.

– ყური ნუ ჩამოგიყრია, მონობას ნუ შეგუებიხარ. თავისუფლებისთვის ბრძოლის ლოგიკა სწორედ იმას მოწმობს, რომ ჯიუტი ნება, დროებითი მარცხის მიუხედავად, ბოლოს მაინც იმარჯვებს, სამართალმა ბოლოს მაინც პური უნდა ჭამოს, დააკვირდი ჩემს გორას, იგი ხომ შენი ძმაა, შენი სისხლი სისხლთაგანი. საკმარისი იყო, ორიათასკილომეტრიან გოლგოთის გზაზე წუთით იმედი დაეკარგა, შიში შეპპარვოდა გულში, ან თოვლის ყურთბალიშზე სასონარკვეთილს ჩასძინებოდა, რომ მეორე დღეს მდევარი-მიტილენიჩი ყინვისაგან სამუდამოდ გაშეშებულ მის ცხედარსღა იპოვიდა. მაშ, ისწავლე გორასგან თავისუფლებისათვის დაუცხრომელი ბრძოლის ოსტატობა, მიიღე მისგან რეინის ნებისყოფის, გამძლეობის, შეუპოვრობის გაკვეთილები! – ასეთია „გორა მბორგალის“ ფურცლებიდან ჭაბუა ამირეჯიბის ჩვენსკენ მომართული შეგონება და სწორედ ამიტომ გახლავთ ეს რომანი წიგნი-მოწოდება, დროულად ანთებული მაშხალა წყვდიადში მდგომი დაბნეული ადამიანებისათვის გზის გასანათებლად.

ვინ არის გორა? ოციან წლებში დაბადებული ქართველი კაცი, გორა მბორგალი (იაგორ კარგარეთელი) მაღალი არისტოკრატიული ოჯახიდან. და სწორედ, თავისი არისტოკრატიული ნარმოშობის გამო წითელი ხელისუფლებისგან სიყრმითგანვე დევნილ-შევიწროებული. ბოლშევიკური ცინიზმი მის ოჯახს ბედი მდევარივით თან ახლდა ყოველთვის. დედ-მამა რეპრესიების მსხვერპლია, გორა პაპასთან იზრდება. მისი მახსოვრობა ძალადობის აქტით დაიწყო. პატარა ბიჭი იყო, როცა შინ ღამის 3 საათზე ოთხი ფორმიან-ნაგანიანი კაცი ესტუმრა. ბინა გულდასმით გაჩხრიკეს, ისე გულდასმით, რომ გორას ერთი ციცქნა ლეიბიც კი გამოფატრეს კაუჭიანი სასხლავი დანით (კაუჭიანი „სასხლავი“ დანა ჭაბუა ამირეჯიბის ტერმინია და ამიტომ ვხმარობ, თორემ კაუჭიანი დანა სამყნობი დანაა და არა სასხლავი. საერთოდ, დანით ვენახის გასხლვა არ არსებობს. სასხლავი რეინის მაკრატელია, რ. მ.). გორამ რადიოტექნიკური დაამთავრა და ომმაც მოუსწრო. მოხალისედ წავიდა, მაგრამ რამდენიმე თვეში კავკასიის მისადგომებიდან უკან დააპრუნეს. ჩამოსულ ჯემალთურქიას არალეგალური ორგანიზაციის წევრი გახდა. პურის ყალბ კუპონებს ასაღებდა ორგანიზაციის წევრებისთვის იარაღის შესაძენად. დაიჭირეს და ამ „პოლიტიკური“ დანაშაულისათვის ოცდახუთი წელი აპკიდეს. მერე სხვადასხვა გულაგიდან რამდენჯერმე გამოიქცა და ყოველი დაჭერის დროს, რა თქმაუნდა, პატიმრობის წლებს უმატებდნენ. ბოლოს გაათავისუფლეს და თბილისში ჩამოვიდა. ნაჯდომი კაცი „თავისუფლებას“ ვერ შეეგუა. გარეთ ყოფნამ ახალი და უფრო რთული პრობლემებით დატვირთა. საქართველო კორუპციის ბალებში ჰყვაოდა. ერთი პატარა ოთახი, როგორც იქნა, იგდო ხელთ, მაგრამ თავი ხომ უნდა ერჩინა. ფულის შოვნის მიზნით კომბინატორ მიშაქვათაძეს დაუმეგობრდა. ერთობლივი ცეხი-ფირმა გახსნეს და დასაწყისში ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ერთ დღეს გორას რევიზია დაესხა თავს და სანარმო დალუქეს. თურმე ნუ იტყვით, ეს მიშა ქვათაძის ოინები იყო, გორას კომპანიონი რევიზიასთანაც შევიდა წილში, რათა გორასთვის ამ გზით ფული

გამოეძალა. გორამ ეს ყველაფერი შეიტყო. ვერა, ძმაო, ფულის გულისთვის რომ ყველაფერს კისრულობენ, ისეთ საქართველოში მე ვერ გავჩერდებიო, თქვა და თავისი სურვილით ისევ ციმბირში, ამჯერად ურენგოში გაბრუნდა. იქ პოლინა ცეზარევა დაისვა საყვარლად, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს პოლინამ სწორედ გორას ლოგინში უღალატა ვინმე სანცოვთან. გორაში კავკასიელმა ოტელომ გაიღვიძა და ძვლების დამტვრევამდე სცეთა თავის საყვარელს და მის კუროს. რომ იტყვიან, ღვინის ქურდი მთხლეს გადააყოლეს. ამ „ყოფითი შემთხვევის“ გამო გორა კვლავ დააპატიმრეს, მისი საბუთები ამოსწიეს და, რაკი ცნობილი „მორბენალი“ აღმოჩნდა, იმიერპოლარეთში, მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გადაასახლეს. ამ პერიოდში უკვე ხანშიშესულ გორას სხვადასხვა დროს მისჯილი ჰქონდა 83 წელი.

რომანი იმით იწყება, რომ მოუსვენარი მორბენალი ამ უკანასკნელი ბანაკიდან გარბის პატიმარ მიშა ფილიპოვის ინსტრუქტაჟითა და დახმარებით.

რატომ გაიქცა?

რომანში გორა მბორგალის გაქცევა და ამ გაქცევის გმირი-სეული ანალიზის თავები ბრწყინვალედ არის დაწერილი.

ჯერ პურგაში დაბადებულმა (იგი ბანაკიდან კოლექტორის არხით კოლონიის ტერიტორიიდან გაღწევას „დაბადებას“ ეძახის) ზუსტად გაიანგარიშა, რამდენი საათის შემდეგ გაიგებდნენ რომ გაიქცა, როგორ და რის საშუალებით დაედევნებოდნენ, რა სიჩქარით უნდა ევლო, რომ მდევარი არ დასწეოდა, სად და როდის უნდა შეჩერებულიყო მუხლებიდან ქარის ამოსაღებად და ა. შ. მერე იმაზე დაფიქრდა, თუ რატომ გაიქცა საერთოდ. ხომ არ ნიშნავდა მისი გაქცევა თვითმკვლელობას, რადგანაც მარტოდმარტოს, დევნის ქვეშ მყოფს, ხუთი თვე უნდა ევლო გაუვალ ტაიგაში, რომ „ოტრადამდე“ მიეღწია. ფიქრობს გორა და ბოლოს იმ დასკვნამდე მიდის, რომ მას სხვანაირად არ შეეძლო. გაქცევა, ანუ თავისუფლებისკენ სწრაფვა მის ხასიათში, მის გენებში იდო და ეს საკმაოზე დიდი ალიბი იყო თავისი, ერთი შეოხედვით, გიური საქციელის გასამართლებლად.

გორა გარბის იმიტომ, რომ წინააღმდეგობის გადალახვა, ძლევა ცხოვრების წესია და იგი თავს სწრორედ რომ „მძლევართა“ მოდგმას აკუთვნებს.

„ესენი („მძლევრები“, რ. მ.) სერიოზული ხალხია. მთელი სიცოცხლე ძნელთა უძნელეს საქმეებს ეჭიდებიან, შემოქმედების, ახლის შექმნის, დაძლევისა და ჯობნის დაუოკებელი უინი აწვალებთ. თუ ვითარება ისეთი შეიქმნა, რომ მისალწევი და დასაძლევი თვალსაწირზე აღარაფერია – ეძებენ, პოულობენ და სიძნელების უღელს კვლავდაკვლავ ნებაყოფლობით, აზარტითა და ულრმესი ინტერესით ეწევიან. ასეთი კაცი პატიმრობაში დიდხანს ვერ გაჩერდება. გაიქცევა, თუ საამისო ფიზიკური მონაცემები აქვს. რა არის მისი მიზანი? მის წინაშეა უზარმაზარი იმპერია საათივით აწყობილი დამსჯელი მექანიზმებით, მსოფლიოში მაღალი პროფესიონალიზმით ცნობილი სამსედრო სამსახურებით, მკაცრი საპასპორტო რეჟიმით, ცენტრებიდან ათას კილომეტრობით დაშორებული, დაცვისა და საყარაულო ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით აღჭურვილი საპატიმრო ადგილებითა და მათი გამოყენების უდიდესი პრაქტიკული გამოცდილების მქონე მრავალრიცხოვანი არმიით, აი, ასეთ მოწინააღმდეგესთან დაპირისპირების შესაძლებლობა მძლევარი კაცისთვის ელდორადო, ქუდბედი და ღვთის მადლია. გარბის! მისთვის გაქცევის პროცესი საკუთარი სტიქიის რეალიზაციაა და სამშვიდობოს გასვლა – დიდთა საქმეთაგან ერთ-ერთის, შესაძლოა, უძნელესის ალსრულება. მძლავრი გარბის იმისთვის, რომ იცოცხლოს, სხვა ძნელთა უძნელეს საქმეებს შეეჭიდოს და არა იმისათვის, რომ ვაუკაცურად მოკვდეს, თუ სიკვდილი ზნეობრივად აუცილებელი არ არის“ (გვ. 39).

და გორა მბორგალი გარბის.

გარბის იმისთვის, რომ იცოცხლოს, თავისუფლების ჰაერით ისუნთქოს. „თავისუფლების ჰაერისა“ დიდი იმედი არა აქვს, რაკიდა საბჭოთა კავშირი დიდი საპყრობილეა და გარეთ მყოფს არანაკლები არტახები უბოჭავს სახსრებს, ვიდრე პატიმარს, მაგრამ გორამ თავისი თავი დაიჭირა იმაში, რომ მას თავისუ-

ფლებისკენ სწრაფვის პროცესი მოსწონს, ეს პროცესი, წვალე-ბა-ჯაჯგური მშვენიერს ხდის მის ცხოვრებას.

ნინააღმდეგობა კი იმაზე მეტი აქვს, ვიდრე შეიძლება წარ-მოიდგინო კაცმა. საგზაო ხიფათს თავი რომ გავანებოთ, გორას პირადად მოსდევს ბანაკის უფროსი მიტილენიჩი. მიტილენიჩი ძველი ჩეკისტია და გორაზე ნაკლებად როდი შეუძლია იმის გა-მოანგარიშება, თუ საით უნდა წავიდეს და როდის სად შეიძლება იყოს გაქცეული პატიმარი. აქ ორივენი ეშმაკობის, გამოგონების ფოიერვერს აღწევენ. გორა მოხერხებულად იმალება, მიტილენიჩი ოსტატურად ეძებს, თან, პარალელურად, გორას ცხოვრებას სწავ-ლობს, მასთან დაკავშირებულ ყველა პირს ხვდება, მისამართებს აზუსტებს, თუ სად შეიძლება მივიდეს გორა და, რაც უფრო აზარ-ტულად ეძებს თავის მსხვერპლს, მით უფრო აღტაცებული რჩება მისი ნიჭით, შეუპოვრობით და კაცური კაცობით.

დათა თუთაშნიას და მუშნი ზარანდიას ურთიერთობა გაიხ-სენე, მკითხველო, ეს ჭაბუასეული მშვენიერი ლიტერატურული ხერხია; იგი თავის გმირს ლირსეულ მოწინააღმდეგეს უპირისპ-ირებს და ურთიერთჭიდილში ხსნის ორივე პიროვნების ბუნების ურთულეს ნიუანსებს.

დაიღალნენ ორივენი. ერთი – გაქცევით, მეორე – დევნით.

მიტილენიჩმა ლამის აჯობა. ჩიხში მოიმწყვდია. იგი ნინასწარ ხვდება იმათაც კი, ვისთანაც ღამე უნდა გაათიოს და ვინც შეი-ძლება დაიჭიროს. ან მძინარე გორა მოჰკლას (ზოგს ეს თანამ-დებობრივად ევალება), მაგრამ მიტილენიჩი ყველას აფრთხი-ლებს, აჭამეთ, მოასვენეთ და გაუშვითო.

გორამ იცის, რომ მოაცილებენ, იცის, რომ ხაფანგშია, მა-გრამ ფიქრობს, ალბათ, მიტილენიჩი სწორედ ფინიშზე, ვაგონი-დან ცდილობს ჩემს აყვანას, ამით ჩემი შერცხვენა სურს და, ვინ იცის, იქნებ გავექცეო.

მაგრამ სრულიად სხვა რამ მოხდა ამ ორი კაცის ურთიერ-თობაში.

მიტილენიჩს აჯობა გორას ჯიუტმა ნებამ.

სჯობს, თვით ავტორს მოვუსმინოთ. აი, როგორ ალაპარა-კებს იგი მიტილენიჩს:

რაღაც გადატრიალება მოხდა ჩემს დამოკიდებულებაში კარ-გარეთელის მიმართ. დღემდე თავს არ უუტყდები, მაგრამ გაორე-ბული ვიყავი. ერთი მხრივ, ცნობიერად, შეგნებულად, ამოცანის სახით მიზნად მქონდა, მეპოვა და ამეყვანა. გადაწყვეტილება, თითქოს ურყევი, მკვდარი იყო. მეორე მხრივ, ჭია მღრღნიდა, ასეთი დასასრული არ მსურდა. პირველ ხანებში იმის იმედიც ჰდვიოდა ჩემში, რომ კარგარეთელი ამდენ განსაცდელს ვერ გაუძლებდა, სადმე გზაში მოკვდებოდა და მისი აყვანა ამცდე-ბოდა. გზის ნახევარი, თუ მეტი ჰქონდა გავლილი, როდესაც ვიგრძენი, რომ სასიკვდილოდ არ მემეტებოდა... არა, იმ შემ-თხვევის შემდეგ დავრწმუნდი, რომ გაივლიდა და გავიდოდა. ეს რა ჰქნა? მონადირემ რომ გვაცნობა – ჩემს ქოხში ვიღაც წევს, უგონო ავადმყოფია, ნამდვილად ის გამოქცეული პატი-მარი იქნება, თქვენ რომ ეძებთო. ნეტავ რა სჭირდა? ფილტ-ვების ანთება ექნებოდა. მივედით და არც იქ იყო, არც სადმე ხელმისაწვდომზე. რამდენი ვდიეთ, ვერ დავენიეთ და კვალიც მიჩქმალა? ჯერ ის წარმოვიდგინეთ, ავადმყოფმა რამდენი იწვ-ალა, სანამ ქოხს მიაგნო, ახლა ის, რომ იმ მოკლე დროში ვერ გამოკეთდებოდა, ნამდვილია. ესე იგი, ავადმყოფმა იარა. რა ჯანი ჰქონია. ზეზეულად მოიხადა. ამის შემდეგ, მოდი და სა-სიკვდილოდ გაიმეტე. ასეთები რამდენი გადახდა. ვინ გამიჩნდა მის მიმართ. უნდა გამოვტყდე, ახლა ეგ კაცი თითქოს მიყვარს კიდეც” (გვ. 625).

მოხდა ის, რასაც ამ ორი კაცის ურთიერთობასგაცნობილი მკითხველი ძნელად თუ წარმოიდგენდა, მიტილენიჩმა გორა ხაბიბულინის საპოსტნე ქოხამდე მიაცილა და იქაც დარაჯი დაუყენა, რომ ფარსაგი რამე არ შემთხვეოდა, მერე რკინიგ-ზის მიღმა გორას პირდაპირ მჯდარი, თითქოსდა, თვითონაც ზემობდა სიკვდილსგადარჩენილი კაცის სიხარულს.

ფინალამდე მივედით. გორა მატარებელში ჩაჯდა. ალბათ, მიუხედავად შინაგანი სიმპათიისა, ახლა კი შესასრულებს მიტ-ილენიჩი პოლიციელის სამსახურებრივ მოვალეობას. აი, ფინ-ალიც:

...ჭიქებს შორის კონვერტი იდო. კონვერტზე ლამაზი ხელით ეწერა:

„გასპადინუ იაგორუ ირაკლიევიუჩუ კარგარეტელი“.

გორამ კონვერტი აიღო. კიდევ ერთხელ წაიკითხა გვარ-სახელ-მამის სახელი და ისტერიული სიცილი აუტყდა. კარგა ხანს იცინა, დამშვიდდა, კონვერტი გახსნა, ქალალდი ამოიღო, წაიკითხა... ზეზე წამოიჭრა, ისევ დაჯდა, კვლავ წაიკითხა და თავი ჩაქინდრა.

იჯდა, ფიქრობდა.

კარგებში მიტილენიჩი გამოჩნდა. გორამ შეხედა, ადგა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ მიტილენიჩმა გაიარა და წავიდა“ (გვ. 644).

ბარაქალა, ბატონო ჭაბუა!

არც ერთი ზედმეტი სიტყვა. დახვეწილი, დაწურული, მრავ-ლისმთქმელი ფინალი, დიდი მწერლის, დიდი წიგნის საკადრისი ფინალი.

იქ, დათა თუთაშია მუში ზარანდიამ თავისსავე შვილს მოაკვლევინა, აქ მიტილენიჩმა წერილი დაახვედრა ვაგონში ძე-ბილს, შეიხედა კიდევ კუპეში და „გაიარა და წავიდა“.

გაიარა და წავიდა!

დაინდო „მტერი“. მის ვაჟკაცობას, ჯიუტ წებას, ხასიათის სიმტკიცეს თავისი მიაგო.

ჩვენ უკვე ვიცით, რა ეწერა წერილში, რომელმაც გორას ენა დაუბა და მიტილენიჩის დანახვაზე ფეხზე დააყენა.

მიტილენიჩმა კი გაიარა და წავიდა.

ის შემთხვევაა, მტერი რომ მტრის ვაჟკაცობას პატივს სცემს, მონღოლს ცოტნეს გმირობამ გული რომ აუჩუყა.

ამ ბრწყინვალე ფინალამდე კი გორას საქციელის ზნეობრივი შეფასება თვით გორასვე ათქმევინა მწერალმა. მთავარი მიზანი – თავისუფლებისათვის ბრძოლა მაგალითია, რომელსაც ათას-ები გამოჰყვებიან, მიუხედავად იმისა, თუ რითი დამთავრდება ეს ბრძოლა.

„მოვედით, გორავ, რელსზე დავჯექით! საწადელს ხომ მიაღ-ნიე. ხომ თავისუფალი ხარ და რელსზე ზიხარ... რატომ არ გიხ-

არია? მაგას ჩემს თავს ყოველი გაქცევის შემდეგ ვეკითხებოდი. არასოდეს მიხაროდა, მაგრამ ახლა რა გუნებაზე ვარ, იცი? რომ გამოიღვიძებ და ისე ხარ გაქურდული ნიფხავ-პერანგიც აღარსად არის! ამოვა მიტილენიჩი და გამქურდავს. მშვიდობით ძალისხმევავ, ჭირთათმენავ, მიზანსწრაფვავ და თავისუფლე-ბავ! ეგ არ მოხდება, თავად კარგად იცი, საცა გიპირებს აყვა-ნას, ხოლო იმას, რასაც მიაღწიე, ველარავინ მოგპარავს. ეს აღ-სრულებაა! დაე, უკანასკნელი, მაგრამ შენს აღსრულებათაგან უძნელესი-ნუ ვიქნებით ზომაზე მეტად მოკრძალებული. რაც შესძლი, ახლავე რომ გესროლონ და მოგკლან, არ დაიკარგება, ადამიანებისთვის დარჩება“ (გვ. 638).

რომანში ეს გზა იყო მთავარი.

ფინალი ღირსეულ კაცთან ცხოვრების დამოკიდებულების იღბლიანი დეტალია.

გორას გამარჯვებული შარავანდედი ადგას, მიტილენიჩს მკითხველის მადლობის ღიმილი და დარდი მიაცილებს. დარდი იმის გამო რომ ამ რაინდისგულიანმა კაცმა მთელი ცხოვრება ისეთ მკაცრ პროზაულ თანამდებობაზე გაატარა, როგორიც გუ-ლაგის უფროსობა გახლავთ.

გულაგი რომანტიკისთვისაც ტოვებს თურმე ადგილს.

ჩვენ მხოლოდ რომანის ცენტრალურ ფიგურებს შევეხეთ.

„გორა მბორგალი“ სავსეა უაღრესად კოლორიტული, ერთი ხელის მოსმით დახატული პერსონაჟებით. ესენი გახლავთ: მიშა ფილიპოვი, კოლია-სანთელი, მუნჯი ტყიური, „პარსუკი“, მიშა ქვათაძე, სანცოვი, აშნა, პოლინა ცეზარევა, პოლიკარპ ვასი-ლევიჩი, ჩანძოლინი, ბარონ გიგინეიშვილი, ხაბიბულინი და სხვანი მრავალნი.

რომანი მეოცე საუკუნის პანორამული სურათია და, თა-ვის მხრივ, რამდენიმე დაწყებულ-დასრულებული ბრწყინვალე მოთხოვისაგან შედგება, ორიგინალურად რომ შერწყმიან რო-მანის სიუჟეტს. ასეთებია არსენა ოქელაშვილის სიკვდილის ვერსია, ნიკო ნაკაშიძის ცხოვრება, რეზო გოშხეთელის ამბავი, 1921 წლის რეპრესიები, ნორილსკის აჯანყება, „ქურდი სილას“, „შვიდი კალკას“ ამბები და სხვ.

ჭაბუა ამირეჯიბი ხატოვნად, დარბაისლური, ფერწერული ქართულით წერს, ფრაზა ზუსტი და გამჭვირვალე აქვს; მაგ., „მოშორებით გაყინული მდინარე იდო“ (გვ.360). თუმცა, ფიცში არ ჩავიყოლებ, იშვიათად ასეთი უხერხული ქართულიც გაერევა „წაიხემსა და ადგილმდებარეობის გაგნებას მიჰყო ხელი, მზიანი დარი იყო“ (გვ. 287).

ახლა ორიოდე სიტყვით იმის შესახებ, რაც არ მომენტონა „გორა მბორგალში“.

უპირველესი შენიშვნა რომანის კომპოზიციას შეეხება.

რომანში თხრობა ორი ხაზით მიედინება: პირველი გახლავთ გულაგიდან გამოქცეული გორას თავგადასავალი და მეორე, მოგონებები ნამების გზაზე შემდგარი გმირის თავში რომ გაპკრთება ხოლმე, მოგონებათა ჯაჭვი ძირითადად მკითხველისათვის იმ ინფორმაციის მიწოდებას ემსახურება, თუ რამ ჩამოაყალიბა გორა მბორგალის ხასიათი. სიუჟეტი თავსთავად ფრიად დრამატულია. გორამ გაუვალ ტაიგაში ორი ათასი კილომეტრი უნდა გამოიაროს, სანამ ხაბიბულინის ქოხამდე, ე. ი. რკინიგზა-მდე ჩამოალწევდეს, თავი რომ დავანებოთ საგზაო ფათერაკებს, უგზობასა და უამინდობას, გორას ბანაკის მესვეურნიც მოსდევენ დასაჭრად. იგი თითქმის ყოველ ქოხთან, ყოველი გაჩერების დროს გრძნობს მდევრის ცხელ სუნთქვას, ბოლოს უკვე იმასაც ხვდება, რომ მდევარნი მას გულდაგულ მოაცილებენ და სადაცაა დაიჭრენ, უფრო სწორედ, ხელსაყრელ მომენტს ეძებენ ასაყვანად. ეს დრამატიზმი რომანს სიუჟეტურად დაძაბულს ხდის და მოლოდინის გრძნობა ფაბულაზე უხილავი ძაფით აპამს მკითხველს. „და მაინც, ამ 600-გვერდიან რომანს კომპოზიციური ამორფულობის საშიშროება ალაგ-ალაგ აშკარად დაპკრავს. გეჩვენებათ, რომ თითქოს მნერალს დრო აღარ ეყო მოგონებათგან უმთავრესი, ყველაზე მნიშვნელოვანი ამოერჩია და ყოველგვარი უანრის მოგონება უსისტემოდ არ მიეწებებინა რომანის ფრიად გამძლე სიუჟეტურ ხერხემალზე.“

გაიხსენეთ, კომპოზიციის რა საოცარი ოსტატები არიან ჰიუგო და ტოლსტოი. არც ერთი პასაუი ამ გენიოს მწერალთა

ქმნილებებში, სხვათა შორის, თვითმიზნურად არ დევს. ერთი შეხედვით, თუნდაც უმნიშვნელო ეპიზოდიც კი ასიოდე გვერდის შემდეგ ამოტივტივდება და თხზულების სიუჟეტური ხვეულის ლოკალურ განმარტებას აღტაცებაში მოჰყავს მკითხველი.

ერთი შეხედვით, ზედმეტი და რამდენადმე რებუსური ფრაგმენტის ელფერი დაპკრავს რომანში ჯემალ თურქიას ეპიზოდს.

ეს ეპიზოდი გორას პირველი დაპატიმრების ამბავს გვამცნობს და გორას ხასიათის გახსნის პირველ კვანძს ხსნის მკითხველის ცნობიერებაში, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა დაწერილიყო.

ვინ იყო ჯემალ თურქია? იგი კონსპირაციული ეროვნული ორგანიზაციის, „თეთრი გიორგის“, ერთ-ერთი აგილობრივი განყოფილების ხელმძღვანელი გახლდათ, თუმც „მის წევრთა-გან პირადად ერთსაც არ იცნობდა“. ჯემალ თურქიას ჯგუფის წევრი გახდა გორაც. ამ უკანასკნელს სხვებთან ერთად ევალებოდა „ფულადი სახსრების გამოძებნა, იარაღის შეძენა და პარტიზანებისთვის გადაცემა“. გორა ჯემალს კარგად იცნობდა. ახალგაზრდა მეამბოხე ერთ დროს გორას ბინაზეც კი იმაღებოდა. ბოლოს მხატვარ რომან სუტას დაპატიმრების შემდეგ ჯემალ თურქიას ჯგუფი გამოაშკარავდა, კგბ-მ ჯგუფის წევრები აიყვანა და, რასაკვირველია, თვით ჯემალ თურქიაზე ნადირობა დაიწყო.

დააპატიმრეს გორაც.

დაპატიმრებისთანავე გორას და ჩეკისტ „ვირგლა ილიკოს“ შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

– ჯემალ თურქიას თუ იცნობ?

– პირადი ნაცნობობა არა გვაქვს, მაგრამ ვიცი, რომელია, გარეგნობით ვიცი.

– ცოდო კაცია, ხალხს აფუჭებს... ნაციონალისტია, ჩვენი წყობილების მტერია. უნდა ავიყვანოთ, დაგვეხმარე!

გავიღიმე და მივუგე:

„ჯერ არის და, თქვენი კაცის დაჭრაში ჩემი დახმარება რაში გამოგადგებათ. ესეც არ იყოს, რა ძნელი დასაჭრი ეგ არის – ორი, სამი დღე არ გავა, სადმე ქუჩაში რომ არ მოვკრა თვალი, ქალაქში დაყიალობს.“

— არ არის ეგ ჩვენი კაცი! — სიტყვა მკვახედ გამაწყვეტინა ბატონმა ილიკომ — მისი გარეგნობა არ ვიცი და არც ფოტოები გვაქვს.

ზარის ლილაკს დააჭირა თითი. სხვა ჩეკისტი შემოვიდა. დარაჯად დამიდგა, თავად გავიდა და ერთი სათის განმავლობაში არ გამოჩნდა.

ფიქრის დრო მქონდა. ამ დიალოგიდან ერთი დასკვნა გამოვიტანე: ჯემალზე მართლა დადიოდა ხმა, — უშიშროების აგენტია. ეს ჭორი მათივე გავრცელებული იყო, — შეშინდებიან, აღარავინ გაიკარებსო. ეს არის, მამინ ვერაფერს მივხვდი, ჩემზე რატომ შეჩერდა მათი არჩევანი? მცოდნოდა, რომ ხუტა აყვანილი ჰყავდათ, ეს კითხვა აღარ დამებადებოდა და კიდევ ერთი საფიქრალი; მხოლოდ დასაკითხად მიმიყვანეს, თუ „აპარტამენტები“ მზად ჰქონდათ ჩემთვის?“ (გვ. 436).

ბევრი რამ არის, რბილად რომ ვთქვათ, დაუჯერებელი ამ დიალოგში:

ჯერ ერთი, დააპატიმრეს არალეგალური ორგანიზაციის წევრი გორა და ეკითხებიან მისი ჯგუფის ხელმძღვანელზე, თუ იცნობო.

„პირადი წაცნობობა არა გვაქვს, მაგრამ ვიცი, რომელია, გარეგნობით ვიციო“. ასე სწრაფად დამნაშავის გამოტეხვა, ალბათ, უშიშროების ისტორიაში არ მომხდარა. ან პირად წაცნობობას რომ უარყოფს, ვინ აძალებდა, ისიც ეთქვა — თვალითაც არასოდეს მინახავსო.

კი, მაგრამ ჯემალის ჯგუფის წევრს — გორა მბორგალს „ჩვენი წყობილების მომხრედ“ რატომ მიიჩნევს ჩეკისტი?

მიამიტობის წაპერნეალი აქაც გამოკრთის, სადაც ჩეკისტი მოწყენილი სახით ეუბნება გორას — მისი (ჯემალის — რ. მ.) გარეგნობა არ ვიცით და არც ფოტოები გვაქვსო, ამიტომ მის აყვანაში შენ უნდა დაგვეხმაროო.

რატომ, რა ნიშნით გაიშინაურა ჩეკამ ასე გორა მბორგალი, რომ მისი კოლეგის დაპატიმრებაში შემწეობასაც კი სთხოვს.

ასეთ რამეს მხოლოდ უკვე გადაბირებულებს ავალებენ?

მთავარი გაუგებრობა წინ გვაქვს.

„ვირგლა ილიკო, ჩანს, თავისზე ბომბორა ჩეკისტებთან იყო ჭკუის მარაგის შესავსებად და წარმატებითაც, რადგან ჩვენს შორის სასწრაფოდ დაიდო შემდეგი ხასიათის სიტყვიერი გარიგება: ვივლი ქუჩებში, სადაც ჯემალ თურქია შემხვედრია, ჩემ უკან საკმაო მანძილზე ივლის რამდენიმე ჩეკისტი, ჯიბეში მექნება სავარცხელი და თურქია შემომხვდება თუ არა, სავარცხელს ამოვილებ, თმას გადავივარცხენი, გზას გავუდგები და ისინი იმ საზიზლარ ჯემალ თურქიას აიყვანენ“ (გვ. 437).

ერიპაა? ეს გარიგება ხომ ფაქტობრივად გორას მიერ ჩეკისტთა სამსახურში ჩადგომას ნიშნავს. მან უნდა გასცეს ჯემალი და თანაც ყველაზე ნაძირალური მეთოდით — ქოჩის გადავარცხით (იუდას ამბორი გაიხსენეთ სახარებიდან, რ. მ.).

ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ვერავითარი გამართლება ვერ მოვუძებნე გორას საქციელს.

რაღაცას არ ამბობს, რაღაცას გვიმალავს მწერალი.

რანაირად შეიძლება, ისეთმა ძლიერმა პიროვნებამ, როგორიც გორაა, „სასწრაფოდ დადოს“ ჩეკასთან ასეთი „სიტყვიერი გარიგება?“ სასწრაფოდ?

დაუჯერებელზე დაუჯერებელია.

მკითხველი უნებლიერ გაიფიქრებს, რომ ჭაბუკი გორას სახით აქ საქმე გვაქვს ჩეკასთან საკმაოზე მეტად ახლო მყოფ კაცთან, რომელსაც მანამდეც არაერთი დავალება შეუსრულებია. ამ ეჭვს ის გარემოებაც აძლიერებს, რომ ჩეკა რაღა გორას დაავალებდა თმის გადავარცხის ოპერაციას (მით უმეტეს, რომ არ იცოდნენ, გორა როგორ პასუხს მისცემდათ), იქ არა ჰყავდათ მხატვარი რომან სუტა, რომელსაც „სიმღერა“ უკვე დაწყებული ჰქონდა?

მაინც რატომ დათანხმდა გორა გამცემის ხალათზე, ამის გულუბრყვილო პასუხს რამდენიმე სტრიქონის შემდეგ უფრო გულუბრყვილო პასუხით ვიგებთ;

„ის ჩეკისტებიც კი მომიყვანეს და მაჩვენეს, ვინც ჩემ უკან ივლიდა, დამინიშნეს დრო და ადგილი, სადაც ხვალ დილით უნდა

გამოვცხადებულიყავი და – ჰოი, საკვირველებავ! გამიშვეს, სანამ ქუჩაში არ ამოვყავი თავი, ვერ დავიჯერე... არა, ჯერ ჯემალს დამიხედე, თავისი ერთი სურათიც რომ ვერ გაიმეტა უშიშროების ორგანოებისთვის და მერე თავად უშიშროებას – ნამდვილი რომ არაფერი სცოდნია.

სხვა რა უნდა ყოფილიყო?

– ვიარე – ხან ფეხით, ხან ტრამვაით – დრო გავიყვანე, დავრწმუნდი, კუდი არ ამყოლია და ჯემალთან მივედი, ვიცოდი სადაც იმალებოდა, ვუამბე ყველაფერი, გამოვთქვი აზრი, რომ ბინა სასწრაფოდ უნდა გამოეცვალა, დავემშვიდობე და შინი-საკენ გავწიე“ (გვ. 437).

თურმე, ნუ იტყვით, გორას ჩეკისტებთან ის გარიგება, დროის მოსაგებად უნდოდა, რათა ჯემალი გაეფრთხილებინა, ბინა გამოეცვალა.

ვინ დაიჯერებს ამას.

განა ისეთი საცოდავი იყო ჩეკა, რომ ერთი საათის გადაბირებულ კაცს (რომლის გულწრფელიბა ჯერ კიდევ შესამოწმებელი იყო) თავისუფლად, „უკუდოდ“ გაუშვებდნენ ჯემალის გასაფრთხილებლად?

ასეთი „მიამიტობა“, მკითხველის მოსატყუებლად მოგონილი, ავტორისაგან მოულოდნელზე მოულოდნელია.

მაშ, რა ხდება? მივყვეთ ქუჩაში ჩეკისტთა ესკორტით მიმავალ გორას, რომელი მღვდელი თევდორე ეგა მყავს, მტერი უსიერ ტევრში შეიყვანოს და თავგზა აუბნიოს. პირობა აქვს მიცემული – ჯემალი უნდა დააჭერინოს, დღეს არ შეხვდება, ხვალ უნდა შეხვდეს. ჩეკისტებსაც არსად ეჩქარებათ – „იქამდე უნდა ვიაროთ, სანამ არ დავიჭერთო“.

და აი, გორას (ე. ი. მწერლის, რ. მ.) გონებამ ასეთ „გენიალურ გამოსავალს მიაგნო:

„კაკო ეძგვერაძე შემომხვდა, იმუბნელი ბიჭი იყო და ისეთი ბლუ, რომ დედამისს ვერაფერს აგებინებდა. შორიდან ვიცნობდი. გამისწოდა, თავი დავუკარი, ორიოდე ნაბიჯით გავცდი, თმა გადავივარცხნე და სანამ ჩეკისტები საცოდავ კაკოს

ჰკოჭავდნენ, მე რკინიგზაზე გადადებული საქვეთო ხიდი გადავიარე, ბილეთი შევიძინე და კახეთისაკენ მოვუსვი.

გოგია წულუკიძემ ჩეკისტებისა და კაკო ეძგვერაძის ურთიერთობას ასეთი შეფასება უძღვნა, – უბედურს, იმდენი ურტყეს, რუსის ბარაბანს არ მოხვედრიაო“ (გვ. 438).

საწყალ კაკო ეძგვერაძეს რალას ვერჩოდით? ან კახეთი რა კონსპირაციული უბანი იყო გასაქცევად, ჩეკა რომ ვერ მიწვდენოდა.

ჩეკისტები განა „ბაზრის მილიციელები“ იყვნენ ეძგვერაძეს მისეოდნენ და მისი ვინაობის გარკვევამდე (ე. ი. გორას გულწრფელობის დადასტურებამდე) თავიანთი „ახალი კოლეგა“ ხელიდან გაეშვათ.

ერთი სიტყვით, ეს ამბავი თეთრი ძაფით ნაკერს ჰგავს. მით უმეტეს, რომ დაპატიმრების შემდეგ გორა ვახტანგ ჯორჯაძისა-გან შეიტყობს, ჩეკისტების მიერ ვახტანგის ბინიდან გაქცევის დროს ჯემალ თურქიას მოკვლის ამბავს.

სხვას თუ არაფერს გაგვიმხელს, ის მაინც აღიაროს გორა მბორგალმა, იქნებ იმ ლამითვე, ჩეკისტებმა „უკუდოდ“ რომ მიატოვეს, (ყოველ შემთხვევაში, მას ასე ეგონა) იგი ჯემალის უნებლიერ გამცემი გახდა და ამის შემდეგ ჯემალს ნაბიჯ-ნაბიჯ დასდევდნენ ჯვაფის სხვა წევრთა დადგენის მიზნით?

ასეა თუ ისე, ეს ეპიზოდი, ჩემი აზრით, თითქმის ერთადერთი სიუჟეტურად, მხატვრულად არალოგიკური, დაუჯერებელია რომანში და მე რომ ჭაბუა ამირეჯიბი ვიყო, ამ ეპიზოდს ან მთლიანად ამოვილებდი, ან სრულიად სხვაგვარად დავწერდი. სხვა...

შეიძლება იდავოს კაცმა რომანში სტალინთან დაკავშირებულ პასაჟებზე, ის, რაც სტალინის სახეზე და პოზიციაზე წერდა რომანში, ავტორის აზრია და სრული უფლება აქვს, მკითხველს მოახსენოს, მაგრამ ფრიად საჩოთირო და შეუმოწმებელ-დაუდასტურებელი მგონია მწერლის ვარაუდები სტალინის ნაბუშარ-ნაბიჭვრობის (თითქოსდა ეგნატაშვილის შვილი იყო) და სტალინის სიყრმესთან თუ კეკეს ბიოგრაფიასთან,

აგრეთვე, სტალინის მამასთან („უკანონო შვილის მამობა ვეღარ აიტანა და ამ მიზეზით გადაჟყვა სმასო“, გვ. 293). ისტორიაში სამუდამოდ დამკვიდრებულ სტალინს ბატონი ჭაბუასგან ასეთი რამეები არ ეკადრება, მით უმეტეს, როცა უსაბუთოდ, ყურმოკრულ ამბებს ყვებით.

კიდევ ერთი, სქელტანიან რომანში ვერსად წავაწყდი გორა მბორგალის პორტრეტს. ერთ ადგილას გორას პაპა ასეა დახატული: „ხნოვანების მიუხედავად, სპორტული აღნაგობის, რაინდული გარეგნობისა და მიხრა-მოხრის კაფანდარა მოხუცი“. ვიცით, აგრეთვე, რომ გორა თავის პაპას ზედმიწევნით ჰგავდა, ცნობილია ჩვენთვის, რომ გორას მენჯის ძვლები სტკიოდა, მაგრამ როგორი იყო იგი კონკრეტულად, როგორი ხმა ჰქონდა, რა ფერის თმა, თვალები, ცხვირი – ერთი სიტყვით, გორას პორტრეტი მნერალს უსათუოდ უნდა დაეხატა.

და, ბოლოს, სათაური „გორა მბორგალი“ არ მომწონს. წარმოიდგინეთ, არც ალიტერაციულობით მიზიდავს ეს სახელი თუ ზედნოდება. ჯერ ერთი, „მბორგალი“ არაფერს არ ნიშნავს. ქართული სიტყვა „მბორგავია“ და სწორედ იმ შინაარსის, რისთვისაც გორას „მბორგალი“ შეარქვეს („მოუსვენრობისათვის“, გვ. 12).

მე რომ მკითხონ, რომანს უბრალოდ „გორას“ დავარქმევდი. უფრო მულერია, უფრო დასამახსოვრებელი და შთამბეჭდავიც.

... მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ჩემი მეგობრული სურვილებია, კოლეგის ახალი წიგნით აღფრთოვანებული მკითხველის მიერ გამოთქმული.

„ჭორები მოაშორეთა...“ „გორა, მბორგალზე“ სხვა უამრავი ფიქრი გაჩნდება. ეს გრძნეული წიგნი ყოველ წამკითხველს აიძულებს, თავისი დამოკიდებულება დაამყაროს მასთან. თავისი აღტაცებაც დაებადოს და პრეტენზიებიც.

„გორა მბორგალი“ გულგრილს არავის დატოვებს.

თვალს ვხუჭავ და ვხედავ თეთრ წყვდიადში ყინულის ბილიკზე მიმავალ გორას, გაძელქვებული რომ მიათრევს თავისუფლებისკენ თავის უმძიმეს ციგას.

გორა არ გაჩერდება, მას შინაგანი ცეცხლი უნათებს გზას და იმედის სხივი მიაცილებს, სხივი, რომელიც ათასობით სასოწარკვეთილს წელში გამართავს და გორა მბორგალის ძნელი გზით გაიყოლებს.

\* \* \*

თანამედროვე ქართული რომანი უაღრესად საინტერესო ლიტერატურული ფენომენია.

ამ საუკუნის პირველ წახევარზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ბოლო ოცნლეულში შექმნილი რომანები რომ ჩამოთვალი კაცმა, წათლად დაინახავ ამ უანრში ქართველ მწერალთა ოდენ ხელუხვობას კი არა, უეჭველ შემოქმედებით გამარჯვებას.

დღევანდელი ქართული რომანისტიკა ერთის სულიერ ცხოვრებაზე ხომ წარუშლელ კვალს ტოვებს, არაერთი ეპიკური თხზულება მაშინვე ითარგმნება სხვადასხვა ენაზე და მსოფლიოს ლიტერატურული კულტურის ნაწილი ხდება ხოლმე...

და მაინც, ბოლო წლებში, ქართველი რომანისტების დიდი ნაწილი გუშინდელ დღეს უფრო სწყალობს, ვიდრე დღევანდელს, ისტორიულ, მითოლოგიურ-რომანტიკულ და რელიგიურ სიუსეტებს, მეტი გასაქანი აქვს რომანებში, ვიდრე თანამედროვე ცხოვრებაზე აგებულ ამბებს, ამით იმის თქმა როდი მსურს, ზემოთ ხსენებულ თემებს თითქოს ნაკლებად ეტანებოდეს მკითხველი, ან ნაკლები როლის შესრულება შეეძლოთ ადამიანის სულის გაკეთილშობილებაში, მაგრამ საკამათო არც ის გახლავთ, რომ წართაულ-გადატანით თქმაზე, მინიშნებულ ჭეშმარიტებაზე მეტად ფართო მკითხველს ეპოქალური პრობლემების გაბედული, პირდაპირი დაყენება იზიდავს.

განა ჭეშმარიტი მწერლები ისტორიულ-მითოლოგიური სიუჟეტებით თანამედროვეობას არ ეხმარებიანო, მერამდენედ ამიხირდება ჩასაფრებული მოკამათე და ნაწილობრივ მართალიც იქნება, მაგრამ მეც, ასევე დაუღალავად, მეათასეჯერ მზად ვარ, გავიმეორო – ლიტერატურა, რომელიც მოვლენებს ცხელ კვალზე არ მიჰყვება და ხშირად უკანმიდევნებული ლამპარივით

არის, დგას იმ საშიშროების წინაშე, რომ მკითხველმა იგი, როგორც მისი ყოველდღიურობის არამსახავი, აქაოდა რა მეჩქარებაო, წასაკითხადაც სახვალიოდ გადადოს.

ასე ნელ-ნელა თანდათანობით, მისხალ-მისხალ მოდიდან გავა მწერალი და იგი თანამედროვეობის მღელვარე არენაზე შემთხვევით მოხვედრილ, გახუნებული ძველმოდური ტანსაცმლით შემოსილ ე. წ. „გუშინდელ ინტელიგენტს“ დაემსგავსება. ერთი იმ თითზე ჩამოსათვლელ პროზაიკოსთაგან, ჩვენი დღეების მხატვრულ მატიანეს რომ ქმნის და დროის მძაფრი, დროული განცდა-აღქმით გამოირჩევა, გურამ ფანჯიკიძე გახლავთ.

სწორედ გურამ ფანჯიკიძემ შექმნა რომანების წყება, რითაც ამოავსო ქართულ პროზაში არსებული ვაკუუმი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დროინდელი ცხოვრების, მეოცე საუკუნის მინურულის ინტელიგენციის წარმომადგენლის განზოგადებული ტიპის, ბირთვული ფიზიკისა და ნეიტრონების საქართველოს ხატვის საქმეში რომ არსებობდა. და, რაც მთავარია, ტექნიკური ეპოქა გურამ ფანჯიკიძემ დახატა ქართულ ეროვნულ-სოციალურ პრობლემებთან მჭიდრო კავშირში. ერის სულიერი ცხოვრების ღრმა ცოდნითა და რუდუნებით. გურამ ფანჯიკიძის სტილს როცა დაახასიათებს მომავლის ლიტერატურის ისტორიკოსი, ალბათ, მწერლის იმ თვისებასაც აღნიშნავს, რომ ქართული პროზის თვალსაჩინო ნიმუშებს, სადაც მანამდე ისტორიული თემატიკა და ქართული სოფლის დიდებულად ამსახველი თხზულებები სჭარბობდა, გურამ ფანჯიკიძემ გვერდით ამოუყენა ულტრათანამედროვე ინტელექტუალის, ატომური ეპოქის შვილის ცხოვრებაზე აგებული რომანები.

ცალკე საუბრის თემაა ცოცხალი, შთამბეჭდავი ხასიათები და მძაფრი, ორიგინალური, არალიტერატურული ტერმინი რომ ვიხმარო, მკითხველის დამბმელი სიუჟეტები, რითაც ასე მდიდარია გურამ ფანჯიკიძის პროზა.

მწერლის ახალი რომანი „ეშმაკის ბორბალი“, ახალი სიტყვაა გურამ ფანჯიკიძის შემოქმედებაში.

ჯერ ერთი იმიტომ, რომ თავის ტრადიციულ საკვლევ-ახალ-

გაზრდა კაცის მიერ საზოგადოებაში ადგილის პოვნის თემას, ამ რომანში დაემატა უაღრესად თანადროული და თანამედროვე საქართველოსთვის მტკიცნეული პრობლემა – რუსეთის მიერ დაპყრობილი საქართველოს ყოფა-ცხოვრება და კომუნისტური ანექსის შედეგად დამკვიდრებული ცხოვრების წესის გავლენა პიროვნებაზე.

თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა რომანში კოლონიური ულლის მიერ ფსიქიკადამახინჯებული ადამიანები ცხოვრობენ.

იმპერიას ეროვნული ხასიათისთვის ფრთხი შეუკვეცავს, სიამაყე დაუთრგუნავს, პიროვნული თავისუფლება ფეხევეშ გაუთელავს.

თითქოსდა ეკონომიკურად არა უშავთ „ეშმაკის ბორბლის“ პერსონაჟებს, მაგრამ მწერალი მშვენივრად ხედავს და ჩვენ, კითხვისას ღრმად ვაცნობიერებთ, რომ საზოგადოებაში, სადაც ადამიანის ღირსება გათელილია, ქვეყანაში, სადაც არსებობს „ცენტრი“ და ნაცმენებით დასახლებული პროვინცია, სუნთქვა ჭირს, ადამიანების სქემებად ქცეულან, მათი ყოველდღიურობა სულისშემხუთელად დრამატული და ხშირად ტრაგიკულია.

რომანის მთავარი პერსონაჟი – არჩილ გორდელი, თავს იკლავს, თვითმკველელობით ამთავრებს სიცოცხლეს მისი პაპაც – პოლკოვნიკი არჩილ გორდელი, არჩილის მამამ, ლევანმა, ციმბირის გულაგები მოიარა და სულიერ-ფიზიკურად გატეხილი პატიმრის აგონით კვდება, არჩილის დედა – ქეთევანი, მისი მაღალი ღირსებისთვის შეუფერებელ საქციელს სჩადის – შვილის გადასარჩენად ხრუშჩიოვს ფეხზე კოცნის, არჩილის შეყვარებული გოგონა, მანანა, ტვედნამყოფ მამასთან ერთად ყაზახეთში გადაასახლეს...

გაუბედურებულ პერსონაჟთა სიის გაგრძელება კიდევ შეიძლებოდა.

რა დღეშია დაპყრობილი საქართველო, როგორი იყო ჩვენი სამშობლოსთვის სამოცდაათწლოვანი „კომუნისტური სამოთხე“ და განსაკუთრებით მისი ბოლო წლები – აი, რა ახალი მოტივი გაჩნდა გურამ ფანჯიკიძის პროზაში მისი ახალი რომანის

სახით. და კიდევ. „ეშმაკის ბორბალი“ მწერლის შემოქმედებაში ახალი სიტყვაა იმიტომაც, რომ გურამ ფანჯიკიძის პროზაში პირველად გამოჩნდნენ რეალური პერსონაჟები. რასაკვირველია, ყველა მათგანს ისტორიულს ვერ უწოდებ, მაგრამ ისინი თავიანთი სახელითა და გვარით არიან წარმოდგენილნი და საკმაოდ კოლორიტულად, მართლად დახატულნი მწერლის მიერ (ხრუშჩოვი, აჯუბეი, მუავანაძე...). არადოკუმენტურ ნაწარმოებში კონკრეტული პიროვნების შემოყვანა რთული საქმეა: ზედმინევნით უნდა იცნობდე პერსონაჟის ბუნებას რეალურ ცხოვრებაში და რომანში იგი ისე ფრთხილად უნდა ჩასვა, რომ მხატვრული გამონაგონი არ დარჩდილოს, ფანტაზიით შექმნილი არ გააფერმურთალოს. დღეს, როცა ასე დიდია მკითხველის ინტერესი დოკუმენტური მასალისადმი და დასავლეთში ტრადიციულ-მხატვრული პროზა ლამის დაახრჩოს დოკუმენტურმა, გურამ ფანჯიკიძეს მხატვრულმა ალლომ არც ამჯერად უღალატა, ნამდვილმა ამბებმა მის რომანს მეტი დამაჯერებლობა, კონკრეტულობა და სიმძაფრე შესძინა.

ასე რომ, ჩვენში ამ ბოლო დროს სამწუხაროდ გაჩენილ მოდურ კამათს („რა გვახტუნავებდა, ვყოფილიყვაით, პირიქით, გალალებულნი სწორედ მაშინ ვიყავით“...) გურამ ფანჯიკიძემ თავისი მხატვრული სიტყვით, სქელტანიანი რომანით დამაჯერებელი პასუხი გასცა და, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ მხრივ არის „ეშმაკის ბორბალი“ ჩემთვის საინტერესო.

ვინც ყურადღებით წაიკითხავს სამოციან-ოთხმოციანი წლების ჩვენი ცხოვრების ამ მხატვრულ-ისტორიულ დოკუმენტს, დარწმუნდება, რა საშინელება იყო საქართველოსთვის ბოლო ორი საუკუნის მანძილზე ეროვნული კირთების ქვეშ ყოფნა.

რა ხდება? რუსეთის იმპერიამ დედამიწის ერთ მეექვსედზე მიაღწია თავის საწადელს, თავის სურვილს დაუმორჩილოს, დაიმონის განაპირა პროვინციები (და არა მარტო ისინი), საქართველო კი ჯერ ისევ ფეთქავს, საქართველოს ბოლომდე არ დაუჩიქია! მაშ, მთელი ძალისხმევა სტალინის თავგასული

სამშობლოს დასაჩინქებლად – ასეთია რუსეთის იმპერატორის, გონებაჩლუნგი (რუსეთს რომ ტრადიციულად არ აკლდა) ხრუშჩოვის საქართველოსთან დამოკიდებულების ანი და ჰე...

ქართველი ერის ფეხქვეშ გათელვის სურვილით ანყობს იგი 1956 წლის 9 მარტის სასაკლაოს. დამცირებული გათელილი საქართველოს ხილვის სურვილით ჩამოდის რამდენიმე წლის შემდეგ საქართველოში, ამ ერისადმი ზიზლისა და უპატივცემულობის შეგნებული უესტია ნიფხვისამარა ხრუშჩოვის მიერ მუავანაძის მიღება თავის აპარტამენტში. კომუნისტმა იმპერატორმა ქართველი ხალხის მეთაურს კი არა, დაპყრობილი ერის წარმომადგენელს, თავის ყურმოჭრილ მონას უხმო საწოლ ოთახში და იმის დასამტკიცებლად, რომ არად აგდებდა – ბანჯგველიანი ფეხებით წარუდგა, დამპყრობელი ერის წარმომადგენლის ამპარტავნულ-სულელური სახის ხატვით გურამ ფანჯიკიძე თავისი გენიალური წინამორბედების ტრადიციებს აგრძელებს. მოიგონეთ რუსის ოფიცრის სარკასტული სახე („მგზავრის წერილები“), რასპუტინისა და კვაჭანტირაძის შეხვედრა („კვაჭი კვაჭანტირაძე“), სლანსკისა და სავარსამიძის ურთიერთობა („დიონისოს ლიმილი“), ეპისკოპოს პავლესა და ქართველი ექიმის სიტყვიერი დუელი „ლამბალო და ყაშა“).

მძაფრი ვნებების რომანია გურამ ფანჯიკიძის ახალი რომანი. რა ძნელი მოსასმენიც უნდა იყოს თანამედროვისთვის ლამის პირში მიხლილი მწარე სიმართლე, ამ სიმართლეს ზნეობრივი კათარზისის დიდი ძალა აქვს. უშიშროების ყოფილი აგენტი მანუკაშვილი არჩილ გორდელს მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ეუბნება: „აი, თქვენი თაობა ხომ თავს დებს პატიოსნებაზე, ჰუმანიზმზე, კეთილშობილებაზე, შემწყნარებლობაზე, ღმერთმა ნუ ქნას, რომ დრო აირიოს, ღმერთმა ნუ ქნას, რომ უნამუსობას გასაქანი მიეცეს, აბა მაშინ ნახეთ, როგორ დაერევით და როგორ დაჭამთ ერთმანეთს“.

იმპერიის სამსახურში შინაური კაცის სიტყვებში ხვალინდელი დღის შიშიც ჩანს და კომუნიზმის მარწუხებით ფსიქიკამოშლილი საზოგადოების სავალალო ნიშანიც. წითელ დროს ადამიანები

გულცივებადაც, გულქვებადაც უქცევია, ისინი ზოგჯერ ოსტატურად ინილბებიან და მხოლოდ ცხოვრებაში ღრმად ჩახედული მწერლის მახვილ თვალს ძალუძს მათი გამოცნობა.

რომანში ბრწყინვალედ დაწერილი ასეთი ეპიზოდი გვხვდება: არჩილ გორდელი და გეოლოგიური სამმართველოს უფროსი გიორგი ხიდთან შეჯვაფებულ ხალხს მოჰკრავენ თვალს და მანქანას შეაჩერებენ. მალე ზაჟესთან მტკვარში გადაგდებული გოგონას ცხედარი გამოიტანეს ნაპირზე მილიციელებმა.

გიორგი გულდასმით შესცექროდა ამ სურათს. როცა ყველაფერი დამთავრდა, მანქანაში შებრუნდა და თანამგზავრს სხვათა შორის უთხრა – მომშივდა, ხომ არ გვესადილაო.

არჩილ გორდელი ასკვნის, რომ კაცი, რომელმაც ხუთი წუთის წინ ოცი წლის გოგონას უსიცოცხლო სხეული ნახა და ახლა ვითომც არაფერი, ამხანაგს რესტორანში ეპატიუება, პოტენციური მკვლელი თუ არა, სქელშუბლა, სხვისი ჭირის არად ჩამგდები სნობი მაინც არის.

„ეშმაკის ბორბალი“ თანამედროვე ფილოსოფიურ აზროვნებაზე დაფუძნებული, მაღალინტელექტუალური რომანია. სენტენციები რომანში თვითმიზნურად და განყენებულად კი არა, სწორედ რომ პერსონაჟთა მოქმედებაშია ჩართული და მათს საქციელში ცნაურდება.

ამავე დროს არ შეიძლება, არ მოხიბლოს მკითხველი რომანში დახატული ოთხი თაობის პერსონაჟების თვისებებში ამ თაობების სხვადასხვა შეხედულებებისა და ცხოვრების წესის შემჩნევის ავტორისეულმა შესაშურმა უნარმა.

საქართველოს პოლიტიკური ძალების და, საერთოდ, ქვეყნის ბედის ღრმა ცოდნით არის გამსჭვალული დათო გორდელის საუბარი მამის აჩრდილთან. რომანის სხვადასხვა ეპიზოდებში არაერთგან შეხვდებით თანამედროვე მეცნიერებას, ხელოვნების (განსაკუთრებით მუსიკის) საკითხებში ღრმად ჩახედული მწერლის ნააზრებს.

რომანში უაღრესად რთული ურთიერთობებია დახატული და მიუხედავად იმისა, რომ წიგნის ფურცლებიდან თქვენ შემო-

გყურებენ შთამბეჭდავად დახატული, განსხვავებული ბუნება-თვისების ადამიანები, ყველა მათგანის ფსიქიკაზე აშკარად და სამუდამოდ აღბეჭდილია დროის დამღა.

ჭეშმარიტი მწერალი სწორედ რომ აქედან იწყება, როცა იგი ეპოქის ნიშნებს შენიშნავს ადამიანთა სულში და მის მიერ დახატულ პერსონაჟებს გარდასულ დროთა აჩრდილებს არ დაამსგავსებს.

ჩავხედოთ ამ მხრივ „ეშმაკის ბორბლის“ პერსონაჟთა ცხოვრებას. არჩილ გორდელი (შვილი) კონიუნქტურის მონად ქცეული კარიერისტული (და არა მარტო კარიერისტული) ბანგით შეპყრობილი, საქართველოსთვის დამღუპველ ეკოლოგიურ დასკვნას (დარიშხანის საქმე) აწერს ხელს და ამ გადაწყვეტილებამდე იგი იოლად როდი მიდის. არჩილი რთული ბუნების კაცია და მის დასახასიათებლად წინასწარმომზადებული სქემა – იარღიყები (ნაძირალა კარიერისტი) სრულიადაც არ გამოდგება. რომანის გმირს მრავალი პლანით გვიჩვენებს მწერალი, საზოგადოების თუ თავისი ოფიციალური მდგომარეობის ზნეობრივი დაუწერელი კანონებით შებოჭილი არჩილი თავის მოღალატე ცოლს ვერ გაშორებია და წლების განმავლობაში ერთგული ქმრის როლს თამაშობს გულისამრევ ყალბ საოჯახო სპექტაკლში. გაუცხოების მსახვრალი სუსტი მამასა და შვილს შორისაც ჩამდგარა. ავღანეთის ომიდან დაბრუნებული დათო ორი სიტყვითაც არ უამბობს მშობლებს თავის საბრძოლო თავგადასავალს და, როცა მამა მის სხეულზე ჭრილობებს შენიშნავს, სხვათა შორის, აუხსნის – ავღანური სუვენირებია.

ამ წერილში არ ვაპირებთ რომანის მხატვრულ ანალიზს, სახელმძღვანელოს მოცულობა მას ვერ დაიტევს. ვიტყვი ოლონდ, რომ იგი დაწერილია უაღრესად თანამედროვე ხერხებით, საერთოდ, გ. ფანჯიკიძის რომანებში იგრძნობა მძლავრი, დაძაბული რიტმი, სიტუაციებში ღრმა, ფსიქოლოგიური წვდომა, რომანის გარკვეული ნაწილი დაწერილია პირველ პირში, თითქმის ნახევარი კი ავტორის თხრობას ეთმობა, ვფიქრობ, ესეც, ძალზე ორიგინალური ხერხია. პირველ პირში მოგვითხრობს, როგორც

ავტორი, ასევე მთავარი გმირი არჩილ გორდელი. ალბათ, ამიტომაცაა, რომ იმ მრავალ ხაზს, რომელიც „ეშმაკის ბორბალში“ გვხვდება, ავტორი ოსტატურად კრავს და ადუღაბებს. გვიზიდავს მახვილი, ლაკონიური დიალოგები, ოსტატურად გამოძერნილი ხასიათები. რომანში უხვად გვხვდება ძალზე თანამედროვე და ორიგინალური მხატვრული სახეები. აქ მხოლოდ რამდენიმე მათგანს მოვიტან.

„ლინდა აკვარიუმში მოცურავე თევზებივით ხედავდა არჩილის ტვინში მბრუნავ აზრებს“.

„უილბლო სიყვარულთან დაკავშირებულ მოგონებათა ჯაჭვის ჩაძირვა არა და არ ხერხდებოდა, იგი თითქოს წყალში მოტივტივე ბურთს ჰგავდა, თუ ხელით არ აუშვებდა, უმაღვე ზედაპირზე ამოტივტივდებოდა. ხომ არ შეეძლო, მთელი ცხოვრება ამ ბურთისათვის ხელი ჰქონდა დაჭერილი?!“

„მისი ტვინი ადუღებულ წყალს ჰგავდა, სადაც მოჩუხჩუხე აზრები კეფას ჩაიდნის სახურავივით ათამაშებდა“ და სხვ.

რაკი ავღანეთი ვახსენეთ, მკითხველს მინდა, ვურჩიო, გულდასმით წაიკითხოს რომანის ის ადგილები, ავღანეთის ომს რომ ასახავენ. ეს არის მაღალი რანგის პროზა. მწერლის მხატვრული ოსტატობა გხიბლავთ არა მარტო წიგნის მთავარი სათქმელის ბრწყინვალე გადმოცემით (თუ როგორ ასრულებენ „ინტერნაციონალურ ვალს“ ოკუპანტი საბჭოთა ჯარისკაცები), არამედ – ავტორის უაღრესად დამაჯერებელი სვლით ახალგაზრდა კაცის სულიერ ლაბირინთში, კითხულობთ ამ ადგილებს და მარტო ავღანეთის ბედთან საქართველოს ახლანდელი მდგომარეობის თანაზიარობა კი არ გტანჯავთ, თითქოსდა, გლობალურად დასცერით დედამიწას, მის სვეს და ყოფას და გიკვირთ, რომ იგი ჯერ კიდევ გულგრილია „უფროს ძმათა“ მიერ დატანჯული პატარა ერების ბედისადმი.

ამ რომანს სათაურად „რომანი დაჩიქებულ საქართველოზე“ დავარქვი. დიახ, რომანი კომუნისტური ტირანიით დამხობილი მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე წაშლილი საქართველოს ცხოვრებას ეხება. მოქმედება სწორედ ჩვენი საუკუნის ოთხ-

მოცდაათიანი წლების დასაწყისამდე მოდის და მაშინ მთავრდება იპოდრომზე პირველ მიტინგებს რომ მართავს მღვიმეებიდან გამოსული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა.

რა ცინიკურადაც უნდა შეხედონ მავანთ ამ მოძრაობის მიერ მოტანილ შედეგს, ღმერთმა ხომ იცის, რომ იგი დაატყდა ცალ მუხლზე წამოწეულ საქართველოს. ქვეყანას, რომელმაც წამოდგომა სცადა და თავისუფლების ნიავს შუბლი შეუშვირა. დამოუკიდებლობის სურვილის გამო იგი სასტიკად გვემეს, მაგრამ ვერ კი დაჩირქეს.

მკითხელი ელოდა გურამ ფანჯიკიძის ახალ წიგნს ან უკვე მტრებზე შურისძიებით მრისხანედ აქოჩილებელ საქართველოზე, მაგრამ მწერალს არ დასცალდა.

„ეშმაკის ბორბალზე“ კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ჭეშმარიტად ახალი სიტყვაა თანამედროვე ქართულ მწერლობაში და ახლებური გააზრებით, მოვლენათა ორიგინალური შეფასებით, მაღალმხატვრულობით ჩვენი რომანტიკის საეტაპო მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს.

\* \* \*

ათიოდე წელი გვაშორებს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ უკანასკნელ სისხლიან პერიოდს, კინაღამ „სამარცხვინო პერიოდის“ დასანერად გამექცა კალამი, მაგრამ თავი შევიკავე.

ამ სახელისთვის მაინც ვერ ვიმეტებ 90-93 წლების მოვლენებს ორი მიზეზის გამო; ჯერ ერთი, ამ თარიღს უკავშირდება საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დაგვირგვინება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით და ჭეშმარიტ მამულიშვილთა თავგანწირული ომი რუსი დამპყრობლის წინააღმდეგ.

თუმცა მარტო ჩემთვის, ქართველი მწერლისთვის კი არა, სადღაც სხვა მატერიკზე მჯდომი მსოფლიო ისტორიის ავტორისდა გასაოცრად, ერის ცხოვრების ეს ნათელი დღეები გაბინდურებულია საკუთარი ეროვნული ხელისუფლების დამხობით და სამარცხვინო სამოქალაქო ომით.

რა მოხდა? რა ბანგი ასვეს ასეთი ქვეყანას, რომ გუშინ იმპერიის მარწუხებქვეშ მგმინავმა და ძლივს სანახევროდ გათავისუფლებულმა ადამიანებმა ხელი აღმართეს რამდენიმე თვის წინათ მათ მიერვე არჩეულ პრეზიდენტზე, დაანგრიეს დედაქალაქი და ქვეყანა სამოქალაქო, ძმათამკვლელი ომის ხანდარში გაახვიეს.

ის უცნაური, აბურდულ-დახლართული ეპოქა კიდევ დიდხანს იქნება ისტორიკოსთა, ფილოსოფოსთა, მწერალთა, სოციოლოგთა თუ პოლიტიკოსთა შესწავლის საგანი. და მაინც, უამრავი კთხვა პასუხებულები დარჩება, რადგანაც ისე, როგორც ოთხმოციანი წლების დასასრულის ეროვნული ენერგიის მოზღვავება, საზოგადოებრივ ძალთა არნახული გააქტიურებაა ძნელადსახსენებელი, ასევე ძნელია, ახსნა მოუქებნო მეოცე საუკუნის დასასრულს ქართველი ერის სრულიად მოულოდნელ ჩაძინებას.

სასიამოვნოა, რომ ამ მოვლენათა ახსნის ავანგარდში ტრადიციულად ისევ მწერლობაა, სწორედ პირუთვნელი მხატვრული მემატიანის თვალით დანახული საქართველოს ათი მრისხანე წელი მისცემს ბიძგსა და უამრავ საბუთს მომავლის მკვლევარ საქართველოს ძნელბედი ისტორიის თეთრი ადგილების შესავსებად.

ზაურ კალანდიამ 1999 წლის „ცისკარში“ (№ 9, №10) გამოაქვეყნა რომანი „ძეგლი ყველასათვის“. რომანი სწორედ ზემოთ ხსენებულ ეპოქას ასახავს და ძმათა ომის პანორამული, დამაჯერებელი, შთამბეჭდავი სურათის შექმნის გარდა მოვლენათა არსში წვდომის კეთილშობილური სურვილითაა გამჭვალული.

უპირველესად საგულისხმოა ზაურ კალანდიას მიერ არჩეული ხატვის ორიგინალური მეთოდი. რომანი მთხრობელის სტილშია დაწერილი და ამით უშუალობის სასურველ ატმოსფეროსაც ქმნის მკითხველისათვის. თუ თვით ავტორი იქნებოდა აღმწერი, ან მოვლენათა ცენტრში მდგარი ისტორიული პირთაგანი გვიამბობდა მის მიერ ნანახსა და განცდილს. დიდი ძალისხმევა დასჭირდებოდა მწერალს, რომ მის მიერ დახატული

ფსიქოლოგიური გარემო სუბიექტურისა და პრეტენზიულის (თუ გნებავთ, ტენდენციურის) საშიშროებისაგან გაეთავისუფლებინა. ზაურ კალანდიას ამ ნაცად, მაგრამ, ამ შემთხვევაში, არცთუ მომგებიან გზას როდი მოჰყვება, რომანში მოვლენები დანახულია თითქმის ნეიტრალური, მიზეზებში არცთუ გარკვეული და, მგონი, არცთუ დიდად დაკვირვებულ-ჩაძიებული ერთი გაუნათლებელი სოფლელი ბიჭის მიერ, რომელიც ყოველთვის ჩრდილში იდგა, არც ლიდერის თვისებებს ამჟღავნებდა და არც ჰქონდა ამის პრეტენზია. იგი ერთი იმ მრავალთაგანი იყო, შემსრულებელი რომ ჰქვიათ, დარბაზში დიდი საქმის განსასჯელად (ან იქნებ სულ ქვეყნის დასაქცევადაც) შესულთ გარედან რომ დარაჯობენ და მცველად დაჰჰყვებიან.

რომანში მოქმედება იწყება სწორედ მაშინ, როცა საქართველოს ორი პრეზიდენტი ჰყავს – ერთი აღმოსავლეთ საქართველოში, მეორე – დასავლეთ საქართველოში.

ჭიჭე (ასე ჰქვია რომანის მთავარ გმირს) ქვეყნის დასავლეთელი მმართველის მარაქაშია, მისი საქმე თოვი და სიფხიზღეა, მაგრამ რაკიდა საშუალება აქვს, თვალი ადევნოს, რახდება, ვინ ჩამოდის და ვინ მიდის (ერთ დღეს ზუგდიდში ჩამოსული ჩეჩენთა დელეგაციაც იხილა). რა მოლაპარაკება-გარიგებებია, ვინ ფუთფუთებს ქვეყანაში და ვინ ითბობს ხელს, ან გუშინდელი ქურდი და ყომარბაზი რა ენერგიულად ცდილობს კანონიერი თუ უკანონო ხელისუფლების ნდობის მოპოვებას, რომ მერე ისევ თავისი უკეთური საქმე განაგრძოს, ჭიჭეც ძალაუნებურად ფიქრობს, აკვირდება და ბევრს რასმე თავისებურ ახსნას აძლევს.

ვიმეორებ, ეს ახსნა როდია იმპერიაში საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური ადგილის მცოდნის ან ქართველის ეთნოგენეზისში გარკვეული კაცის წიგნიერი დაკვირვებანი, ჭიჭე არ „ფილოსოფოსობს“ და არც ფანტაზია ყოფნის იმისათვის, რომ რაიმე შეთხზას, გამოიგონოს, იგი ერთი უბრალო თვითმხილველია. საროსკიპოში „ლომების შერკინების“ დროს ბედნიერი შემთხვევით წამოტკიცებული ტანდაბალი, დიდთავა, კაჭა-

ფეხებიანი და ამიტომ განდაგან, აჩაბაჩად მოსიარულე, მაგრამ ჩასკვნილი და მიწაზე მკვიდრად მდგომი კაცი.

დამერწმუნეთ, მკითხველის ცნობიერებაში დამაჯერებლობის მეტი ვარიანტი სწორედ ამგვარ გულუბრყვილო თვითმხილველს აქვს, იგი ჭიჭეს უფრო ენდობა, ვიდრე თეთრსაყელოიან ეს-თეტს, რაკიდა თვითონაც სწორედ ჭიჭესმსგავსთა სოციალურ ფენას წარმოადგენს.

ურთულესი ეპოქა რიგითი კაცის თვალით და მის ბაგეთაგან ამოსული პროვინციულ-ქალაქური მარტივი (ზოგჯერ უარ-გონით გაჯერებული) სიტყვებით დახატულიც უნდა გვეხილა და ზაურ კალანდიამ ეს შეძლო. ჭიჭეს სახით მან უკანასკნელი დროის მხატვრული პერსონაჟების გალერეა ერთი უაღრესად დამაჯერებელი, შთამბეჭდავი, კოლორიტული „პატარა კაცით“ გაამდიდრა.

იგი „რევოლუციის რაინდი“ არ არის. ბავშვობიდანვე ობოლი და თანატოლებისგან დაჩაგრული. თავში სატყყაპუნებელიც კია, არც ჩეუბისთავია; პირიქით, პირველად რომ ჩეუბში მოხვდა, შიშისაგან ჩაიფარ კიდეც, მაგრამ გადარჩენის საოცარი ყისმათი აქვს და „ეროვნული მოძრაობის რაინდები“ ურთიერთ უაზრო კვეთებაში რომ დაიხოცნენ, სწორედ ჭიჭე გადარჩა, თანამოძმისა-გან (ტაია) განწირულისთვის მოღალატის ტყვიაც სასიკვდილო არ აღმოჩნდა და აი, ნერა-კითხვის მცირემცოდნე ჭიჭე „ზუგ-დიდის რესპუბლიკის“ თავისებური მატიანეა. იგი თხრობას სწორედ იმით იწყებს, რომ მწერლობის პრეტენზია არა აქვს, ღმერთმა დაიფაროს, კალმიან კაცს როგორ შეპტედავს, კალმი-ანი კაცის თოფიან კაცზე უფრო ეშინია, იგი, უბრალოდ, თავისი სიცოცხლის სიზმარივით გაფრენილ მწარე დღეებს იგონებს და წამდაუწუმ, ამოსუნთქვასა და ამოსუნთქვას შორის, ერთ უმ-თავრეს კითხვას დაუგდებს ხოლმე მისი დეტექტურ-კოვბოური ეპიზოდების სმენით ღრმად დაინტერესებულ მკითხველს, ერთი რამ ვერ გამიგია, რატომ ესროდა ძმა ძმას, რატომ ვხოცავდით ასე გამეტებით ქართველები ერთმანეთს?

სწორედ ამ რომანის პერსონაჟისაგან ბოლომდე პასუხგაუცე-

მელ კითხვაში ნათლად ჩანს მწერლის პოზიცია და აშკარა მინიშნებაც რომანის რთული კოლიზიების ლოგიკიდან გამომდინარე; ჭიჭე ვერ ერკვევა, მაგრამ შენ კი ერთხელდა სამუდამოდ უნდა გაიგო, მკითხველო, რომ სამარცხვინოზე სამარცხვინო დღეების მოწმე გახდი, რომ ახალ ბაზალეთში ჩაგითრიეს და ანი მაინც ერთხელ და სამუდამოდ დაიხსომე-დაისწავლე; ეს არ უნდა განმეორდეს!

როგორია ჭიჭეს საამდროო განწყობილება? როგორ აფასებს რიგითი მოქალაქე ჩვენს მონაპოვარს? მივიღეთ, რისთვისაც ვიბრძოდით?

„რაღაც ვერ გამოგვივიდა ეს საქმე…“

სიძულვილის მეტი რა იყო... აუ, ხელგაშლილი ნგრევის რა აზარტი იყო და რა მკლავგაშლილი ზეიმიც. ერთხანს ფასადი შევულამაზეთ, შევუმკეთ... მეც თქვენს გამო, თქვენსავით მუხლჩაუხრელად, ერთგულად დავქროდი და ღმერთია მოწმე, თუ ვინმეს, მეც გამომიცლია მისთვის ერთი აგური!

რაი მერე?

აი, ამ გადასახედიდან რო ვუყურებ, არაფერი შეცვლილა, ფრჩხილისოდენაც კი, ისევ იმ ნახიშტრებით არის ეს ქვეყანა გაძეგილი და სიმწრით მეცინება“.

ზაურ კალანდიას როგორც მწერლის, სტილის უმთავრესი ნიშანი ის გახლავთ, რომ იგი თანამედროვეობის მხატვარია, მოვლენათა ცხელ კვალზე წერს.

ჩვენი დღეების დრამატული კოლიზიები, ამ საოცარი ეპოქის ტრაგიკომედია დღეს მწერალს რომ გულგრილს დატოვებს და სწორედ ეპოქის ელფერის ვერშეცნობის გამო, დისტანციის თეორიის გამოდევნებით სიტყვას არ დასძრახავს იმაზე, რაც მითი არსებობის ანსა და ჰაეს შეადგენს, მე ასეთი მწერალი მაპატიოს და, მწერლად არ მიმაჩინა.

თითქოსდა ჩვენ თვალწინ ამ ათ წელიწადში ათასწლეულის აკუმულირებული ისტორია ჩაეტია; ლამის ომსგადაჩვეულ საქართველოს „მოკავშირე რესპუბლიკათაგან“ პირველს მოუხდა სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება ნაპოლეონის და პიტლერ-

ის დამამარცხებელ მონსტრთან, რუსეთთან. ომის ლოგიკით, საქართველო ამ ომში უნდა დამარცხებულიყო და დამარცხდა კიდეც, მოსკოვის კომპიუტერულ ტანკებთან პირტიტველა, მოხალისე ქართველი ბიჭები ვერას გახდნენ. ხელისუფლებამ საბედისწერო შეცდომები დაუშვა ჯერ დაგომისი და მერე სოჭის ხელშეკრულებებით. მერე, როცა ქართველი მეომრები სოხუმში მოტყუებულმა თვითონვე განაირალა, ლაჩირულად მიატოვა ბრძოლის ველი და თბილისში გამოიქცა.

მერე იყო სამოქალაქო ომი. საქართველოს ქალაქების ქართველების მიერვე „გმირულად დაპყრობის“ სამარცხვინო დღეები და ბოლოს საქართველოს ყურით შეთრევა დსთ-ში სახელმწიფოს მეთაურის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით.

ამ დროისათვის საქართველოში ორხელისუფლებიანობაა, ქვეყანა, ორ ნაწილადაა გაყოფილი. „კანონიერი პრეზიდენტი და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ცალ-ცალკე ექაჩებიან ტვირთს, მაგრამ სიტუაციას თავისსავე საბრძანებელში ვერ აკონტროლებენ. ქვეყანაში კრიმინალური ბანდები და გამდიდრების ჟინით შეპყრობილი მოყაჩალო საქმოსწერი დათარეშობენ.

ისტორია ამას ყოველივეს თავის ფურცლებზე მოგვიანებით დააგვირისტებს, მანამდე კი ორად გაყოფილი საზოგადოება ნემსის ყუნწში ძვრება, რომ პარლამენტისაგან 91-92 წლების მოვლენათა ობიექტურ შეფასებას მიაღწიოს, პარლამენტს დრო გაჰყავს და ფიქრობს; ამ ძალით გაწელილი უამის შემდეგ ან ვირი მოკვდეს, ან ვირის პატრონი, მე კი მშრალზე დავრჩებო.

მზის სხივს ხელის დაფარებით ვერ შეაჩერებ. ისტორიის წისქვილი რაკი საეჭვოდ ნელა ფქვავს, დროის განაჩენი მწერალს გამოაქვს, მწერალს, ყველაზე უფრო მიუდგომელ და უტყუარ მემატიანეს.

ზაურ კალანდიას მიერ რომანით გამოტანილი განაჩენი ჭეშმარიტი პატრიოტის უტყუარი აზრია ისტორიული საბუთებით გამაგრებული: ძმათამკვლელ ომში გამარჯვებული არ არსებობს. ორივე მხარე სავალალოდ დამარცხდა და დრომ უკვე

დაუდგა ყველას სამარცხვინო ძეგლი. დიახ, ძეგლი ყველასათვის სწორედ სამარცხვინო და საჩითიროა.

ომბა გააშიშვლა ვნებები და წინ წამოსწინა ადამიანთა ხასიათის უარყოფითი მხარეები. პიროვნების ფსიქიკაში მთვლემარე მხეცმა გაიღვიძა და ასპარეზზე გამოვიდა. ატმოსფეროც ნერვულია და პერსონაუებიც ნერვებდაძაგრულნი დააბოტებენ. ყოველ ფეხის ნაბიჯზე სიკვდილი ჩასაფრებულა.

ეპიზოდები კინოკადრებივით ცვლიან ერთმანეთს. თითეოული ეპიზოდი ცალკეული ნოველის შთაბეჭდილებას ტოვებს და ცხოველი ინტერესით იკითხება;

მკითხველს ამაზრზენ პასაუებად ამახსოვრდება ტოჩი ჩხოლარიას მოკვლის, გაბოსა და მეძავ გიულის ურთიერთობის, ჭიჭეს უკანასკნელი დაპატიმრების და სხვა სცენები.

რომანის კომპოზიცია ისე მტკიცეა, ისე მკვიდრია ლოგიკური კავშირი ნაწარმოების ცალკეულ ეპიზოდებს შორის, რომ მკითხველს მოწყენისათვის წამი არ რჩება, ავტორი იუველირის სიზუსტით არჩევს დეტალებს. თანაც სხვადასხვა ფსიქოლოგიური დატვირთვის, სხვადასხვა ტემპერამენტის, თუ გნებავთ, ლირიკული და დრამატული პასაუების მონაცვლეობით რომანს სასიამოვნოდ საკითხავს ხდის, მონაცვლეობენ მაროდიორთა განურჩევლად ყჩაღური ეპიზოდი და მოძმისთვის თავდადების, მეგობრობის სულშიჩამწვდომი სცენები, ტლანქი, ეროტიკულ-სექსუალური ორგიები და გოგოს და ბიჭის ნაზი სიყვარულის ეპიზოდები...

ჭიჭე, გაბო, ტოჩი ჩხოლარია, გიული, ავტორიტეტა, ლოთი პოეტი, კიკი, გურამი გორა, მამაო გურგენ... აი, ზაურ კალანდიას ახალი რომანის პერსონაჟთა არასრული სია. ყველა მათგანს ხასიათის თავისებური შტრიხი, გამორჩეული პიროვნული ნიშანი მიჰმადლა მწერალმა. „ძეგლი ყველასათვის“, თანამედროვე რომანის მოსაწყენ, ზებრებივით ურთიერთსდამსგავსებულ პერსონაჟთაგან განსხვავებით, ის შემთხვევაა, როცა მოქმედი პირი გამახსოვრდება, ერთი მეორეს არა ჰეგავს, ისინი ყალბი ინტელექტუალიზმით, უსაგნო ფილოსოფოსობით, მთქნარები-სმომგვრელი დიალოგებით კი არ დახატა ავტორმა, არამედ

ბუნებრივი, ცხოვრებისეული ელფერით გამოკვეთა. მოულოდ-ნელად, დინამიკურად გამოჩნდებიან ზაურ კალანდიას პერ-სონაჟები წამინამ ელვით განათებულ, საერთოდ კი ჩაბნელე-ბულ ცხოვრებისეულ სცენაზე და მოულოდნელადვე ქრებიან, ან ძმათა უაზრო რკინებაში სიცოცხლეს სტოვებენ, „სტერინის“ კანონადაში, თითქოს ტყვიამ შიგ გულში გაგიარაო, ელდასავით გაკვესავს სასიკვდილოდ განწირული კაცის შეძახილი:

— არ მესროლო, ბიჭო!

მაგრამ ამ უკანასკნელ შეძახილს ქართველისვე კბილთა ღრჯიალი, ყურისგამგლეჯი გინება და ტყვიის სეტყვა ფარავს.

ამ რომანში ადამიანებს ხშირად სრულიად გაუაზრებლად, განუსჯელად გამოაქვთ განაჩენი ერთმანეთისთვის, თითქოს-და სასიკვდილო ციე-ცხელებას შეუპყრია ქვეყანა — თითქოს-და წარლვნისწინა გუგუნი დაძრულა კავკასიონიდან და ადამის ტომი მეორედ მოსვლის ძრწოლა-სიჩქარეს შეუპყრია.

ულმობელი დროის დამახასიათებელ ერთ ამონარიდს მოვიტან რომანიდან:

„ის დროა, ისეთ ფაზაში ვარ, სად აორთქლდები და გაქრები არავინ იცის. სამარე უნდა იყო, ბოქლომი უნდა დაიდო პირზე, თუ არ გინდა, ტყვიაჩადულებულ სამარედ იქცე.

— ძალიან შორს შევტოპეთ, „მამაო“.

სწორედ, რომ გურგენ მღვდელთან რომანის მთავარი მოქმედი პირის დიალოგებია ერთგვარი ზნეობრივი კამერტონის როლის შემსრულებელი და სიმბოლურ წერტილადაც ერთი უკანასკნელი დიალოგი უნდა გამოვიყენო.

„— რა ეშველება ქვეყანას, მამაო?

გაღიზიანებას ვერ ვმალავ.

— ქვეყანას ეშველება, ჩვენ რა გვეშველება, ისა თქვი, ხუმრობს იგი.

— ამათ ხელში ალბათ...

მეღიმება.

— იცი, ჭიჭე, რას გეტყვი, დრო მოვა, ესეც გადაივლის, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა“.

ნაწილობრივ მართალი ალმოჩნდა, მამაო გურგენ. წარლვნამ გადაიარა.

დარეჯგვილი საქართველო ისევ ფეთქავს.

თუმცა „ყველაფერს თავისი სახელი“ ჯერჯერობით ვერა და ვერ დაერქვა.

თანამედროვე ქართულ პროზაზე საუბარი სრული არ იქნება, თუ ქართულ ნოველას არ შევეხებით.

შიო არაგვისპირელის მიერ საფუძველჩაყრილი და კონსტანტინე გამსახურდიას მიერ სრულქმნილი ეს კლასიკური დღეს უალრესად პოპულარული უანრი გაამდიდრეს და ახალ სიმაღლეზე აივანეს 60-იან წლებში (და შემდგომ) ასპარეზზე გამოსულმა თვალსაჩინო პროზაიკოსებმა.

ნებისმიერი ქვეყნის დიდ ლიტერატურას დაამშვენებდა გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობა, „უსახელო უფლისციხელი“, „სიკვდილი მთაში“...), რეზო ინანიშვილის („ბლუკები“, „ერეკლე მეფე და ანანურელი ულამაზოები“, „ცეტები“, „ცოცხალი ჯვრები“...), ოტია იოსელიანის („ჩქარი მატარებელი“, „თეთრი ქალიშვილი“, „ანგელოზი“...), მერაბ ელიოზიშვილის („ბებერმი მეზურნები“, „თუქთურუუ“...), რევაზ მიშველაძის („ქველი“, „უწევობუხარი“, „ოცდაათი სირაქლემა“, „ლომი“...), რეზო ჭეიშვილის („ბოლო სიმაღლე“, „მესამე მგზავრი“, „ხელები“...), გურამ დოჩანაშვილის, ნუგზარ შატაიძის, გოდერძი ჩოხელის... ნოველები.

ახალგაზრდების ცხოვრებაზე დაწერილ მოთხოვნებს თუ ნოველებს რომ მიმოიხილავენ, კრიტიკოსები ხშირად ორი მიზეზის გამო გამოთქვამენ შეშფოთებას. პირველი ის გახლავთ, რომ ჩვენი ლიტერატურა ახალგაზრდა კაცის ცხოვრებას სათანადოდ ვერ ასახავს. ყოველთვის ვერ გვევლინება მის კეთილ მრჩევლად და მასწავლებლად, ხოლო მეორე, რაც მათ ანუხებთ, ახალგაზრდობის ერთი ნაწილის სოციალური მოუმნიშვებლობა გახლავთ. გულგრილობა, პოლიტიკური ინდიფერენტიზმი და ცხოვრების მთავარი მიზნის უქონლობა ზოგიერთი ჩვენი ახალგაზრდის საშიშ საყმანვილო სენად იქცა. ავტორთა სკეპციის ორივე შემთხვევაში საკმაოდ სერიოზული საფუძველი აქვს, მაგრამ მისი

გადაჭრის სირთულე შორდება ახალგაზრდებზე დაწერილი რამ-დენიმე სუსტი მოთხრობის სიუჟეტის გაკრიტიკებას და ჩვენი შვილების სოციალური მოუმნიფებლობის მდარე ლიტერატურის ზეგავლენით ახსნას. ამ გარემოებას უფრო რთული სოციალურ-ფსიქოლოგიური მიზეზები აქვს.

ე. წ. ახალგაზრდული მოთხრობები, არცთუ ხშირად რომ ვხ-ვდებით ლიტერატურულ პერიოდიკაში, ჩვენი დღეების ახალ-გაზრდებზე დაწერილი მხოლოდ იმდენადაა, რამდენადაც მათ ქვეშ დაწერის თარიღი უზის. ჩასვით მათს ადგილზე ოციანი ან ოცდაათიანი წლების ახალგაზრდები, მოახვიეთ თავს იგივე ინ-ტრიგები და ვნებანი, რაც ხსენებულ მწერალთა მოთხრობებშია, შეიცვლება რამე? მე ვფიქრობ, არაფერი. საქმე ისაა, რომ ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდა კაცის ნიშან-თვისებები, მათთვის ორგანული სულიერი წონასწორობა ვერ მოძებნეს ავტორებმა, ამიტომაც ასეთი მოთხრობები თანამედროვე ახალგაზრდების სულიერ ცხოვრებაზე ნაკლებ გავლენას მოახდენს. წაიკითხ-ავენ ისინი ამგვარ მოთხრობებს და გულგრილად გადადებენ გვერდზე, იმის შეგნებითი, რომ ეს მათზე დაწერილი სრულიადაც არ არის. მწერალმა ამაოდ ჩააცვა თავის პერსონაჟებს ჯინსები და სულ ტყუილად, მისცა ხელთ „მობილურები“. ამ გარეგანმა სამკააულებმა ისინი თანამედროვე ბიჭებად ვერ აქცია.

მაგრამ დააბიჯებს თაობიდან თაობამდე მექი ვაშაკიძე, ჩვენი მასნავლებელი, ჩვენი თანატოლი, ჩვენი უმცროსი ძმა, ჩვენი შვილი... მოდიდან გავიდა მექის ძველი, ყურებიანი ქუდი, აღარც „ტელეგრეიკას“ იცვამს ახლა მექის თანატოლი. მექ-ისდროინდელი მეთოდებით როდი გაჰყავთ ახალი რკინიგზა ან აგებენ სახლებს. მოძველდა წერაქვი და ჩაქუჩი, მექის რომ ხელთ ეპყრა, მაგრამ ახალგაზრდული სიელვარე შეინაჩუნა მის-მა შემართებამ, თავგანწირვამ, გულწრფელობამ, რწმენისადმი ერთგულებამ.

ახლა, როცა სოციოლოგის პედანტური ანკეტებით მივდივართ მასთან და ან გამადიდებელი შუშით ვათვალიერებთ, ირკვევა, რომ ჩვენ მას არცთუ კარგად ვიცნობთ. გვეჩვენება, რომ ჩვენ

იგი ასეთად არც კი ჩაგვიფიქრებია. ეს ყველაფერი, ეს საოცარი მეტამორფოზა, თითქოს ჩვენდაუნებურად მოხდა, ჩვენი დღეე-ბის ახალგაზრდა სასწაულებრივად განსხვავდება წინა თაობის ახალგაზრდებისაგან – ცოდნით, ინტელექტით, ცხოვრებასთან დამოკიდებულებით, პოლიტიკური აქტიურობით, მსოფლმხედ-ველობით. და, წარმოიდგინეთ, ტემპერამენტითაც, ჩვენ კეფას ვიფხანთ და ამ მეტამორფოზის ახსნას ვცდილობთ, ჩვენ შორის ზედმეტად უნდონი და დაეჭვებულნი ამბობენ, რომ იგი – ეს თმა-მოშვებული თანამედროვე ფრანტი, შინაგანად ფუყეა, ინფანტი-ლურია, სუსტია, ცხოვრებისათვის მზად არ არის, ახალგაზრდული ცეცხლი თითქოსდა განელებულა მის გამოხედვაში. მეორენი კი – ზედმეტად დაჯერებულნი და ურაოპტიმისტნი, ამბობენ, რომ აქ შესაშფოთებელი არაფერია, იგი ჩვენზე ჭკვიანია და ლამაზი, იგი არაჩვეულებრივად კეთილია და საყოველთაო ჰარმონიის მომხრე. იგი, თუ დასჭირდა, სიმამაცის სასწაულებს მოახდენს...

დრო კი მიდის, ცვლილებანი უფრო და უფრო შესამჩნევი ხდება. მე ოქროს შუალედის მომხრე ვარ ახალგაზრდებზე კა-მათში. მათში, მათს მომავალში დიდი რწმენის და იმედის გა-რეშე ჩვენს ცხოვრებას აზრი არ ექნებოდა, მაგრამ ისევ ჩვენი პირადი კონტაქტები და სოციოლოგთა არაოფიციალური კვ-ლევები გამოგვათხიზლებს ხანდახან: „ბედნიერება ის არის, როცა ცხოვრობ ისე, როგორც გინდა“, „არავითარი სურვილი არა მაქს ვინმეს მოვეწონ“, „მირჩევნია ჩემთვის ყოფნა, მაღა-ლი სიტყვებისაგან, საზოგადოებისაგან თავისუფლად“. ამგვარი პასუხებით სავსეა ანკეტები, და იშვიათად გაზეთის ფელეტონ-იც კი შეგახსენებს ხანდახან ისეთ რამეს მათს სახელთან დაკა-ვშირებულს, რომელიც ყურსა და გონებას არ უნდა, დაიჯეროს – ოპიუმი, მორფი.

ეს ყველაფერი გამონაკლისებია, ანომალიერია, თითზე ჩამოსათვლელი მაგალითებია. მაგრამ ხომ მაინც არის? ხომ სამწუხარო ფაქტიად იქცა უკანასკნელ ხანს პოლიტიკისადმი, საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი გულგრილ ახალგაზრდებზე ლაპარაკი?

და უკანასკნელ წლებში განა რომელ ნაწარმოებში წავი-კითხეთ თანამედროვე ახალგაზრდა კაცის ცხოვრების, მის წინაშე მდგარი პრობლემების, მისი ხასიათის თანამედროვე ნიშნების მაღალმხატვრული კვლევა და ჩვენება? ვკითხულობ ახალგაზრდათა ცხოვრებაზე დაწერილ მოთხოვებსა და რო-მანების სერიას, და მეჩვენება, რომ ჩვენი კვლევის ფორმები მოძველდა, ჩვენი დამოკიდებულება ახალგაზრდობისადმი დი-დაქტიკური მატერიებით დაიშტამპა, ან უბრალოდ რომ ვთქვათ, ნაკლებად ვიცნობთ ჩვენი დღეების ახალგაზრდას.

სად არის იგი – ჩვენი წინააღმდეგობრივი ბუნების, ზოგჯერ დაეჭვებულ, თანამედროვეობის რთულ წილში აღზრდილი და გამოყვანილი, პრაქტიკული და ოდნავ სევდიანი თანამედროვე ახალგაზრდა?

მე არა ვარ მომხრე თანამედროვე ახალგაზრდაში რაღაც განსაკუთრებული, ყველასა და ყველაფრისაგან განსხვავებული ორიგინალური ნიშან-თვისებების ძიებისა, მაგრამ არ შეიძლება ჩვენი დღეების ახალგაზრდა კაცს ჩამოაცვა გასული თაობების ნაქონი მორალურ-ეთიკური და ინტელექტუალურ-ზნეობრივი ნორმების მზამზარეული ქურქი. არსებობს სულიერ თვისებათა კომპლექსი, რაც თანამედროვე ახალგაზრდებთან მიმართებაში სხვაგარ მნიშვნელობას იძენს. როცა დავარწმუნებთ, რომ ჩვენ მას კარგად ვიცნობთ, მერე დაგვიჯერებს იგი, და მერე შეგვე-ძლება ნელა, შეუმჩნევლად, მყვირალობისა და პომპეზურობის გარეშე მისი წარმართვა სასურველი მიმართულებით.

ლიტერატურამ, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივად აქტიური ახალგაზრდა კაცის აღზრდაზე უნდა იზრუნოს.

ჩვენს მკითხველს სურს მხატვრულ ლიტერატურაში ეძებოს თანამედროვე ახალგაზრდა კაცი, რომელიც თავისი ახლებური დამოკიდებულებით მოვლენებისადმი სასიკეთო ემოციურ ზე-გავლენას მოახდენს მკითხველზე, ხოლო მომავალ თაობებს საუკუნის სურნელებას და სინედლეს შეუნახავს.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ „ახალგაზრდის ინტელექტუალურ შესაძლებლობათა არნახულ ზრდაზე“, „ახალი საუკუნის აზ-

როვნებაზე“, მაგრამ მე ვფიქრობ, მკითხველს უკეთ მოეხსენება, რომ ახალი საუკუნის აზროვნების ძიება ადამიანის ფსიქიკაში ადვილად შესამჩნევი როდია და ცალკეული მოთხოვების პერ-სონაჟთა დიალოგების ციტირებით ჭეშმარიტებამდე ვერ მიგვი-ყვანს. შეიძლება საუკუნის აზროვნება არ იგრძნობოდეს ორი ახალგაზრდა ფიზიკოსის ულტრამეცნიერულ კამათში ატომური ფიზიკის ურთულეს პრობლემებზეც კი და საუკუნის ხასიათი მოთხოვების ერთ ეპიზოდში, პერსონალის მოქმედების პატარა დეტალში გამოჩნდეს. ლადო მრელაშვილის საინტერესო რო-მანის „ყაბახის“ მთავარი მოქმედი პირი შავლებო ქალაქიდან სოფელში ჩასული ახალგაზრდა კაცია, რომელიც მეცნიერულ კარიერაზე ოცნებობს, მშობლიურმა სოფელმა თავის საჭირ-ბოროტო პრობლემებში ჩახედა იგი, კოლმეურნეობის საა-ნგარიშო კრებაზე, როცა ახალი თავმჯდომარის კანდიდატუ-რას ასახელებდნენ, შავლებომ სიტყვა აიღო და დაბეჯითებით მოითხოვა, თავმჯდომარედ მე ამირჩიეთო. რა იყო ეს? სხვა შემ-თხვევაში, ზოგს შეიძლება მისი საქციელი უცნაურად მოსჩვენე-ბოდა, მაგრამ მთელი რომანი გამართლებაა შავლებოს ამ ნაბი-ჯისა.

ახალგაზრდა კაცმა იგრძნო, რომ მხოლოდ იგი შეძლებდა სწორი გზით წაეყვანა სოფელი და თავმჯდომარედ სწორედ ის უნდა აერჩიათ. არის ამ ნაბიჯში საუკუნის აზროვნება? მე ვფიქრობ არის. თუ შეიძლება საერთოდ ლაპარაკი იმ თაობის ორიგინალურ თვისებებზე, რომელმაც მესამე ათასწლეულში უნდა იცხოვოს, იგი სწორედ ამგვარ მოვლენებში უნდა ვეძე-ბოთ. საერთოდ კი, მე ვფიქრობ, ადამიანთა წინაშე საუკუნეე-ბის მანძილზე მდგარი სოციალური, ეთიკური, ფსიქოლოგიური თუ ზნეობრივი პრობლემების უმეტესობა ჩვენი საუკუნის მეც-ნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ დღის წესრიგიდან სრულია-დაც ვერ მოხსნა, ზოგ მათგანს სახე უცვალა მხოლოდ. ადამია-ნის რთული ფსიქიკური კომპლექსი მეცნიერულ ინფორმაციათა გეომეტრიული პროგრესით ზრდას არ დაემორჩილა.

სამწუხაროდ, წლების მანძილზე ამაოდ ველით ჩვენი დღეების

ახალგაზრდა კაცის საინტერესო ხასიათს. თუ რამდენიმე გამონაკლისს მხედველობაში არ მიიღებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენმა ლიტერატურამ ჯერჯერობით ვერ დაინახა, ან სრულყოფილად ვერ შეიცნო იგი, ვისაც, მართალია, ომის ცრემლიანი დღეები არ უნახავს და არც მამის დაკარგვის ავისმაუწყებელი დეპეშა სჭრია ხელთ, მაგრამ მის საგმირო ასპარეზზე (აფხაზეთის ომი, რევოლუციები...) თავი როდი შეურცხვენია.

XXI საუკუნის ადამიანის, თითქმის დამოუკიდებელი საქართველოს გაორებული დაეჭვებული, მატყუარა მთავრობის დაპირებებისაგან დაღლილი, ლამის გულგატეხილი მოქალაქის ხატვას უნდა ეშურებოდნენ ჩვენი ლიტერატურის ახალბედა წარმომადგენლები და, რა დასანანია, რომ ჭეშმარიტი ნიჭის გამონაშუქით აზუზღული ნაწარმოების გვერდით, არცთუ იშვიათად, წვრილმანთემიანობით, გაუკულმართებული სექსუალური ურთიერთობებით, უწმაწური გამოთქმებით და უხერხულსაკითხავი პასაჟებით სავსე პროზაულ „ქმნილებებსაც“ ვხვდებით.

## თავი მეექვსე

### თანამედროვე ქართული პოეზია

ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ დაამტკიცა, რომ არ აფასებენ პოეზიას მარტო მხატვრულ სახეთა სიმრავლით და მეტაფორა-შედარებების ფოიერვერკით. პოეზიის ხმასაც სწონიან ობიექტური ისტორიკოსები, პოეტის მოქალაქეობრივ პოზიციას და გაბედულებასაც ითვალისწინებენ, იმ ღვაწლსაც მისხალ-მისხალ ზომავენ, შემოქმედს უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლაში რომ მიუძღვის.

დიახ, კალმით ერის სამსახურის უწმინდესი მანტია ოდების მთხველის ტკბილსურნელოვან ყურთბალიშს როდი ჰგუპს, ნამდვილი მწერლობა დიდი მოქალაქეობრივი გაბედულებაცაა.

ნუთუ ასე ადვილად უნდა დაგვავიწყდეს ზოგჯერ შემოქმედის ღვთიური ვალი? ნუთუ ასე ანგარიშმიუცემლად უნდა აყილოს ზოგმა საეჭვო ინერციებს პოეტური სიტყვის მძიმე კავალერია და ლექსი მედროვე ობივატელის პირზე ურცხვი ღიმილის მომგვრელად უნდა აქციოს, ნუთუ ასე ძალუმად არა უღერს ახლაც მეცხრამეტე საუკუნის უზარმაზარი ლიტერატურული შენობიდან თავგანწირული კაცის ყვირილი. „არა მარტო ტკბილ ხმათათვის გამომგზავნა ქვეყნად ცამა!“

მადლობა არ უთქვამს მისი დროის ინგლისს ბაირონისათვის „ჩაილდ ჰაროლდი“ რომ დაწერა, არც ლერმონტოვისთვის შეუმკიათ დაფნის გვირგვინით თავი „პოეტის სიკვდილის“ გამო, ლიტერატურის ისტორიას მწუხარე ფურცლებად შერჩა ნათელი აზრის გამო წარსულში დატყვევებული და დახვრეტილი არაერთი მუზა, მაგრამ სწორედ ის სტრიქონები შერჩენ კაცრობრიობის საუკეთესო მონაპოვართა კეთილ ხსოვნას, სადაც პოეტი ნათელი იდეალების დრომოქმულის ნგრევის, განახლების დაფდაფებს აგუგუნებდა.

ჭეშმარიტი ლიტერატურული აზრი ყოველთვის ფხიზელ გუშაგად ედგა საზოგადოებრივ ცხოვრებას, ყოველთვის შეურიგებ-

ელ ბარიერად ელობებოდა მანკიერებათა პანდერას ყუთიდან ამობოლევილ კვამლს. მაგრამ იგი განსაკუთრებით მაშინ აიქოჩინდა ხოლმე, როდესაც საზოგადოებრივი წაკლი საყოველთაო შემანუსებელ გარემოებად იქცეოდა, როცა ნორმიდან გადახვევას უკვე აღარა ჰქონდა ეპიზოდური ხასიათი, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა საზოგადოებას მწერლის მკაფიო და შეუვალი განაჩენი: „თქვენ ცუდად ცხოვრობთ, ბატონებო“.

ახლა ილუზიების დრო აღარ არის (მებრძოლი პოეზიისათვის იგი არც არასდროს ყოფილა). პოეტი სულ უფრო გაბედულად უნდა ებმებოდეს საზოგადოებრივი ცოვრების ფერსულში, ომახიანად უნდა იმაღლებდეს ხმას იმის ნინააღმდეგ, რაც ნორმალურ ცხოვრებას, ჩვენს წინსვლას ხელს უშლის და წინ ეღობება. მიუტევებელია თავის შეკავება იმ მიზეზით, თითქოსდა მანკიერებაზე წერა მაღალი პოეზიის სფეროში არ შედის, რომ თითქოსდა ყოფითის მტვრისაგან შეიძლება მუზას ქათქათა თეთრი ფრთა დაესვაროს. განა არ გვხვდება შემთხვევები, როცა საკმაოდ ნიჭიერ პოეტსაც კი ზოგჯერ ხმა ვერ გაუმეტებია მხილებისა და გაყიცხვის პოეზიისათვის? ამასობაში კი დრო გადის და საზოგადოების ხორცმეტი თავის საქმეს აკეთებს. დამოუკიდებელ საქართველოშიც კი გვიხდება სავალო საუბარი მექრთამეობის ზრდაზე, კერძომესაკუთრული ტენდენციების გაძლიერებაზე, ბიუროკრატიზმსა და პროტექციონიზმზე. სწორედ ამგვარ, ხმის ვერგამმეტებელ მგოსნებზე დაწერა გალაკტიონ ტაბიძემ:

როცა ზღვის სუნთქვა გულზე გედება  
და ზეცა გულში კვლავ იხედება,  
იმ დროს სიმუნჯე ნუ გებედება  
ნუ გენანება ხმის გამეტება.

ხალხში თავმდაბლად გაივლი როსმე,  
თუ გასაჭირში შეხედავ მოძმეს,  
შენ, იმა ცეცხლში შთავარდნის მოწმეს,  
ნუ გენანება ხმის გამეტება.

და თუ იმდერებ, ვითარც შეგფერის  
სულ სხვა ხმის მქონე მგოსანს და მეფეს,  
ქვა წისქვილისა გინდ ყელზე გებას  
ნუ გენანება ხმის გამეტება.

GBG

„თოვლისა“ და „ლურჯა ცხენების“ ავტორს ჰქონდა თუ ჰქონდა ათასი გასამართლებელი საბუთი, რათა წმინდა ლირიკის პიედესტალიდან ყოველდღიურობის პროზამდე არ დაშვებულიყო, მან ხომ შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისშივე ააშენა თავისი განსაცვიფრებელი და განუმეორებელი პოეტური ქალაქი და მორთო იგი – ლურჯად ნახავერდები უდაბნო – ისფერი თოვლით, მგლოვიარე სერაფიმებითა და ატმის დალალული რტოებით. მაგრამ ამ წმინდა პოეზიის შემქმნელს და მესვეურს ერთი დღეც არ უცხოვრია საქვეყნო დვრიტისა და თანამედროვეობის საზრუნვის გარეშე. ეს გალაკტიონმა გააწნა სილა თავისი დროის „ფულის ყულაბას“ და უსირცხვილო ობივატელს:

თქვენ გენატრებათ ლოუა, პარტერი,  
თქვენ გინდათ გახდეთ მილიარდერი,  
მე კი ვარჩევდი გზას უნაპიროს,  
ცოტა სიყვარულს და ღერ პაპიროსს.

ლიტერატურულ ცხოვრებაში გარკვეული მკითხველისათვის შეიძლება ზედმეტიც კი იყოს იმის მტკიცება, რომ ეპოქის მოწოდების სიმაღლეზე დგომა ჭეშმარტი პოეზიის უპირველესი ნიშანსვეტია. თავისუფლებისათვის ბრძოლის პათოსი, ნაკლოვანებათა მხილებისა და „მწარე სიმართლის“ არდაფარვის ტენდენცია ყოველთვის იყო ქართული კლასიკური პოეზიის სასიამოვნო თვისება. როცა პოეტს არსებულით სრული კმაყოფილების გრძნობა დაეუფლება, როცა მის შემოქმედებაში გაუთავებელი ტაშისა და ალტაცების დაფდაფები დაისადგურებს, მისი პოეზია ბრძოლის უნარს ჰყარგავს, მკითხველის ყურადღების მიღმა რჩება.

თუ გალაკტიონის, გიორგი ლეონიძის და XX საუკუნის ქართული პოეზიის რამდენიმე სხვა წარმომადგენელთა შემოქმედების პანორამას ამშვენებს უკომპრომისობა და მეპრძოლი სული, ჩვენს ლიტერატურაში მაინც შეიძლება ლაპარაკი გარკვეულ პერიოდზე, როცა პოეზიას სიყალბის, ზედმეტად ოდური სულისკვეთების, აშკარა პანეგირიზმის შემცველი თხზულებანი მოეძალა. პოეზიის ღვთიური მადლით მირონცხებულ ზოგ გამოცდილ ოსტატსაც კი წასძლევდა ცდუნება მისთვის განუცდელი ჭეშმარიტებისათვის გუნდრუკის კმევისა და მეპრძოლი პოეტის ფარაჯის ნაცვლად ზოგჯერ მეხოტბის მანტია უფარავდა ბეჭებს.

ვინც ქართული პოეზიის განვითარებას თვალყურს ადევნებს და თანამედროვე ლექსის თემატურ-ვერსიფიკაციულ სიახლეთა შესახებ დაინტერესებული მკითხველის პირუთვნელი აზრი გააჩნია, დამეთანხმება, რომ ჩვენს პოეზიაში ამ ბოლო დროს საყურადღებო ძვრები შეინიშნება. სანამ ლიტერატურის მემატიანე ამ სიახლებს სოციალურ და ლიტერატურულ მიზეზებს დაუძებნიდეს და თავის ადგილს მიუჩენდეს ლიტერატურის ისტორიის დიდ წიგნში, შეგვიძლია ამთავითვე დავასკვნათ, რომ ქართული ლექსის მრავალსაუკუნოვანი სასახელო დემოკრატიული ტრადიციების შენარჩუნება საიმედო ხელშია. თანამედროვე ქართველ პოეტთა მოწინავე რაზმი მხარში უდგას ჩვენს ეპოქას და თავისი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებით დროის საჭირბოროტო პრობლემებს ეხმაურება. ეს რა თქმა უნდა, ეპოქისა და ქვეყნის წინაშე პოეტის პასუხისმგებლობის ამაღლების ნიშანი გახლავთ. ლიტერატურის სამანებიდან ნელ-ნელა იდევნება თემატიკით უსაგნო და განწყობილებით აშკარად რებუსური ლექსი. ლირიზმი პოეზიას უშუალობასა და ბუნებრიობას მატებს, მაგრამ წრეგადასული ლირიზმი – როცა ჭეშმარიტ პოეზიას სააღბომო ფრაგმენტებით და უსისტემო პოეტური ასოციაციებით ცვლიან, გულს არ ხვდება და ყურსაც ეხამუშება.

სასიამოვნოა შეგნება იმისა, რომ დღევანდელი ქართული ლექსის სიახლეთა შორის პირველ რიგში სამოქალაქო ლირიკის გამოცოცხლება და აღმავლობა უნდა დავასახელო.

სამოქალაქო პოეზიის არეალში განსაკუთრებით თვალშისაცემად გამოიკვეთა ამ ბოლო დროს ჩვენი პოეზიის ერთი ნიშანი – ეს გახლავთ კრიტიკიზმი და პოლემიკური პათოსი. პოეტთა გულისყური უფრო ენერგიულად შებრუნდა ნაკლოვანებათა მხილებისაცენ. პოეზიამ კვლავ დაიბრუნა ყოველდღიურობის კრიტიკული ჭვრეტის, შეურიგებლობის, წინსვლისათვის მეპრძოლის არსენალი. საერთოდ კრიტიკიზმითა და პოლემიკური განწყობით გაუღენთილი ნაწარმოებების მომრავლებას უკანასკნელი წლების ქართულ პოეზიაში ღრმა ფსიქოლოგიური და სოციალური მიზეზები განაპირობებს.

ქართული პოეზიის ამ ახალ ნიშან-თვისებაში მე მინდა დავინახო ის აისბერგული ქვეტექსტები და ერის გამოღვიძებისათვის თავგანწირული ზარის რეკვა, ჩვენს სანუკვარ ოცნებას, ხვალინდელ საქართველოს რომ ეხმიანება.

კრიტიკიზმი და პოლემიკური პათოსი უკანასკნელი წლების ქართულ პოეზიაში განსაკუთრებით გამოიკვეთა ისეთ პრობლემათა გაშუქებისას, როგორიცაა პიროვნება და საზოგადოება, სამშობლოს პრობლემა, პოეტის მოქალაქეობრივი როლის საკითხი და ყოფით ნაკლოვანებათა – ანუ სოციალ-ეკონომიკურ მანკიერ მხარეთა კრიტიკა.

ახლა რომ ვიღაც კედლებს აწყდება, თხევდელშუა მიღის და მოდის, გამარჯვებული – კვლავ რომ მარცხდება, დამარცხებული რომ არჩევს ლოდინს, დაწესებულის – ზღვარს რომ გასცდება, ვერ შეაშინებს შხივილი შოლტის, ურჩი ოცნებით ლოდს რომ დასწვდება, რომ ვერ ასწევს და ჩურჩულებს: „როდის?“ ოჰ, რამდენია ვაჟუაცი სანდო წარბმეკვრით ჩრდილში მყოფელი დრომდის... ახლა არ მითხრა, რომ შენ ხარ მარტო გამწარებული სიზიფეს ლოდით!

ამ ლექსში მურმან ლებანიძემ საზოგადოებასთან პიროვნების დამოკიდებულების მთელ სირთულეს გაუსვა ხაზი. დრამატიზმით აღსავსე, ამ ქვეტექსტიან ლექსში პოეტმა ადამიანის რაობის ფილოსოფიური პრობლემა გამარჯვებისა და დამარცხების ერთიანობის, დაწესებულის ზღვარის გადალახვისათვის ბრძოლის, ოცნების დაუოკებლობის, მოლოდინის ჭეშმარიტებათა ვერშეცნობის, უაღრესად მოდური კითხვების ჭრილში წარმოგვიდგინა, ხოლო სიზიფეს ლოდის საყოველთაობის, ტკივილის დაძლევის პერსპექტივა მაინც იმედად დაუტოვა მკითხველს.

არც ცხოვრებისეულ ბარიერთა დაძლევის სიმძიმე და ზოგჯერ წუთისოფლის სიმუხთლე დაუმალავს მკითხველისათვის პოეტს:

რამდენი კაცი ჩასცერის შავ მიწას!  
რამდენი კაცი ჩასცერის რუხ ბეტონს;  
რამდენი კაცი ვერ აღწევს მიზანს,  
მიღწევა რომლის შეეძლო ერთ დროს!  
რამდენი კაცის ნიჭი ბერნდება!  
რამდენ სიმრვანეს უწყლობა ახმობს!  
ან უზენაესს ვეღარ შესწვდება,  
მშვენიერისას ვერ იგრძნობს ნაყოფს.

პოეზიაში რთულ სიციალურ პრობლემათა თამამი დაყენება უკანასკნელ ათწლეულში განსაკუთრებით საგრძნობი გახდა. პოეტის ხმა უფრო შემტევი და გაბედულია:

ამაო ფუსფუსას,  
ფუჭ ლაყბობას, ყალბ ხმაურობას  
მართალ და მტყუან  
ათასნაირს ქართა ხეთქებას, –  
უნდა მოვცილდე მანდაურობას,  
არაფერი  
ჩემი ხელით მანდ არ კეთდება...

(მურმან ლებანიძე)

სინამდვილესთან დამოკიდებულების, საზოგადოებრივი რწმენის საკითხი პიროვნებისა და საზოგადოების დამოკიდებულების ერთი თავსატეხია. იგი სხვადასხვაგვარად გაიაზრება არა მარტო სხვადასხვა ეპოქალურ ძვრებთან დამოკიდებულებაში:

სიჭაბუკე ჰქვია წამს,  
როცა ჰანგი ხარ და მღერა,  
როცა გადუღებს და გწვავს,  
როცა ბობოქრობს და ლელავს,  
სიჭაბუკე ჰქვია წამს,  
როცა ციდან გესმის უღერა;  
როცა ყველაფერი გნამს,  
როცა ყველაფერი გჯერა.  
(ირაკლი აბაშიძე)

შოთა ნიშნიანიძემ საზოგადოების ათასახოვნებასთან პიროვნების შეგუებას ნილბების გზა მოუძებნა და სოციალური არსებისათვის ეს, ერთი შეხედვით, „აკრძალული მეთოდი“ სრულიად ბუნებრივად გაამართლა ჩვენს სულში კეთილი ბავშვის გადარჩენის მოტივით:

უხათრო კაცი ვარ იძულებით,  
რომ გამოვცადრო სხვაც ჩემი მსგავსი,  
მეგობრის ღალატს თუ ერთგულებას  
რომ უფრო მეტად გავუგო ფასი.  
ხანაც მხდალი ვარ, ხან მიამიტი,  
უბირი ვინმე გამოუცდელი,  
ასე ვგებულობ – ზოგი რაინდი  
რა რაინდია და რა სულგრძელი,  
ხდება: არჯალ კაცს ვთამაშობ ბრბოში,  
ვიცი ასეა ზოგჯერ საჭირო,  
რომ იქნებ სულში უმწეო ბავშვი,  
კეთილი ბავშვი გადავარჩინო.  
შენთანაც ვჩხუბობ, გებუზღუნები,  
სული ტკივილით რომ უფრო ვგვემო,  
მაგ დიდ სიყვარულს და ერთგულებას  
რომ უფრო მეტად გავუგო გემო.

კრიტიკიზმის პატრუქის სწრაფი წვა და ბოლი მიჰყება პო-  
ეტის სხვა ალეგორიულ ლექსა:

იმ კლოუნს ვგავარ,  
ხანძრის გაჩენა ვინც პირველად შენიშნა ჩრდილში  
და ნირნამხდარი არენაზე ყვირილით შერბის,  
„— არიქა, ცეცხლი!  
ხალხო, ცეცხლი!  
თავს უშველეთო!“  
...  
ხალხი კი... ხალხი ტაშს უკრავს და სიცილით კვდება.

ტარიელ ჭანტურიას ლექსის („ახირებული კოლექციონერი“) ლირიკული გმირი ეკლებს აგროვებს. ძნელი შესამჩნევი როდია ამ ლექსის სიმბოლურ იერსახეში ასეთი შთამბეჭდავი სურათი — ცხოვრების ეკლებით მოფარულ გზაზე მიაბიჯებს სიწმინდე და სიკეთე. იობის მოთმინებით აღჭურვილა იგი, მაგრამ მაინც უჭირს, ჯერ კიდევ უჭირს პატიოსნებას უდრტვინველად სვლა წუთისოფლის გზებზე:

ორმოცდაერთი წელია თითქმის,  
მთელ ქეყანაზე ვაგროვებ ეკლებს!  
რამდენჯერ უთქვამთ ცოლსა და სიდედრს:  
„ვინ ეძებს ეკალს ჭკუათამყოფი,  
ასანთიც! მარკაც! მაგრამ — ეკალი? ეს სიგიურა და არა ჰობი!“  
სიგიურა? არა! ეს ცხოვრებაა! ცხოვრება გესმით? და არა ჰობი!  
მაქვს ყარაყუმის ეკალი მყიფე, მაგრამ მაკლია კაქტუსი გობის!  
ვერა ოქრო და თვალმარგალიტი, ვერც იშვიათი რამე სპეკალი  
ვერ გადასწონის ეკალს, მე რომ მაქვს — ქრისტეს გვირგვინის  
ერთი ეკალი.

პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის პრობლემის თავისებურ პოეტურ გააზრებას გვთავაზობს მორის ფოცხიშვილი:

ამ თემაზე დაწერილ მის ერთ ლექსში წუთისოფლის წისქვილის ქვის ამაო კოდვის ნაცნობი მელოდია გაისმის:

მაგრამ, ო, მაგრამ  
ადრე თუ გვიან  
მეფეს და პაიკს ერთ ყუთში ჰყორიან.

ერთ მცირე ყუთში ერთად თავსდება  
აზრი,  
ოცნება, სიმართლე,  
ჭორი...  
არის უთუოდ რალაც მსგავსება  
ამ ჭადრაკსა და იმ ჭადრაკს შორის,  
ჩვენ რომ ვთამაშობთ ყოველთვის ყველგან,  
გულდაჯერებით და გამძაფრებით, —  
დაფაზე რჩება პატარა სევდა,  
პაიკის სევდა, სხვა არაფერი.

პაიკის ამ უმწეო სევდიდან პოეტი თანდათან გადადის სამო-  
ქალაქო სატკივრით დაწერილ ლექსზე:

ვგრძნობ, მაყურებლის გულთბილ სიცივეს,  
თუთიყუშები მხრებზე მიზიან,  
რეტუშირებულ ღიმილს ვიცილებ,  
რადგან სიცილი მეც შემიძლია.

მეც შემიძლია ქარიშხალივით  
დავლენო ის, რაც მხოლოდ ჩინია,  
არ მეშინია რკინის გალიის,  
ოქროს გალიის კვლავ მეშინია.

თუ ამ სტრიქონებში პოეტის ლირიკულ მეს გააქტიურება  
აშკარაა, მაგრამ პოეტის მთავარი სათქმელი მაინც შეფარულ,  
რებუსურ განწყობილებაში მიყუჩულა, სამაგიეროდ მორის ფო-  
ცხიშვილის სხვა ლექსში აშკარა მებრძოლური პათოსი იკვეთება:

მე იმ სიმართლის მომხრე ვარ ისევ,  
ჩემს ჩანგზე მწარედ  
რომ იმღერება, —  
არავითარი „მორჩილება“ და  
არავითარი „ლმობიერება!“  
თრთოლა! დუღილი! განგაში! დავა!

ნუმც გამოიჩენ,  
სულო, დედლობას, –  
არავითარი ნელთბილი ჰავა,  
არავითარი შემგუებლობა!

ხოლო მორის ფოცხიშვილის ამ მინიატურულმა ლექსმა დიალაც განმაცვიფრა კონკრეტული პოზიციით, დიდი შინაგანი სიმართლით და გაბედულებით:

ვინ მითხრა,  
ან სად წავიკითხე,  
აღარც კი მახსოვს  
ეს შეგონება:  
„იადონი რომ გალიაში  
ჭიკვის დაინყებს  
თავისუფლებას  
ვერ ეღირსება“.

პოლემიკური პათოსი აშკარად დაეტყო ქართული პოეზიის ისეთ ტრადიციულ (და ერთი შეხედვით ერთპლანოვან) მოტივსაც კი, როგორიც გახლავთ სამშობლოს თემა. ამ პრობლემაზე დაწერილ ლექსებს უკანასკნელ ხანს აშკარად ემჩნევა პოეტის მიერ იმის მოთხოვნა, რომ სამშობლო ქვეყნის მომავალზე ფიქრი და ზრუნვა მარტო ერისკაცების საქმე კი არ არის, იგი ყველა მოკვდავის, ყოველი პატიოსანი მოქალაქის წმიდათაწმიდა მოვალებაა:

საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე მამულზე ფიქრი;  
ხანდახან  
გულში  
ღიმილით  
ვიტყვი: –

რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტა,  
მამულო ჩემო, გილხინს თუ გიჭირს! –  
რომელი მეფე ერეკლე მე ვარ!  
ანდა რომელი მსაჯული მისი!

პასუხად მყისვე,  
ვითარცა სეტყვა,  
ვინც კი და რაც კი არსებობს ირგვლივ,  
იხუვლებს ხოლმე,  
იხუვლებს ერთხმად: –  
ლალატიაო  
მაგგვარი  
ფიქრი!

(მუხრან მაჭავარიანი)

ჩვენი პოეზიის ეროვნულ თემატიკას ცეცხლოვანება და აზრის სიცხადე შეემატა. ლექსებს დაეტყო, რომ ერთი მხრივ პოეტებს შეგნებული აქვთ საქართველოს უბედური აწმყო, აშკარად ხედავენ დიდ ზღვარს ჩვენი ქვეყნის წარსულსა და დღევანდელობას შორის და წარსულის მოღვაწეების განწყობილებათა შეპირისპირებით თანამედროვეობასთან, მამულის გულშემატკივრის დღევანდელ საზრუნავსაც აშკარად წარმოაჩენენ. უმეტეს შემთხვევაში ეს შედარება თანამედროვეში სიამაყის გრძნობას როდი ბადებს. ამ თვალსაზრისით მკითხველზე განსაკუთრებული ემოციური ზეგავლენა მოახდინა მუხრან მაჭავარიანის ლექსების ციკლმ „1832“, აი, ერთი ლექსი ამ ციკლიდან („სიტყვა წარმოთქმული ჩაიზე, მამუკა ჯამბაკურორბელიანის ოჯახში, სოლომონ რაზმაძის მიერ“):

როდესმდე უნდა გვეძინოს ყურზე?  
(ქვეყანას ღვიძავს,  
დღეს ძინავს ვისლა)?!  
ჩვენი მზის სხივს და  
ჩვენი მზის ყურძენს  
როდემდე უნდა ვიღებდეთ სხვისგან?!

როდემდე უნდა გვეძინოს ყურზე?  
(ნეტავი, ჩვენში ყოველგვარი რამ ჩაჰკლა რისკი)?!  
და დუმილისკენ,  
ღრმა დუმილისკენ  
გვეჭიროს უნდა როდემდე კურსი?!

უკეთესი მამულისათვის ბრძოლის პრობლემა ჩვენმა პოეტ-ეპმა აზრის ათასგვარ ქურაში აწრთეს, სხვადასხვაგვარ ასპექტში იკვლიეს და ქართველ მკითხველს ხვალინდელი საბრძოლო პროგრამა სხვადასხვა პლანში გაზომილ-გაშიფრული წარმოუდგინეს. მედეა კახიძემ ერთ ლექსში ახალ საქართველოსთვის დაწყებულ ლაშქრობაში მიზანმისწრაფებათა ერთიანობა იქადაგა და ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, თუ რა ავბედითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ საშვილიშვილო საქმეში წაჯექუკუჯექობანას თამაშს და მოუზომავ საქვეყნო ძაგებას იმისას, რაც იქნებ მარტო ჩვენი ხალხისა და ქვეყნის წყლული არ არის და რის საშველადაც იქნებ მარტო ჩვენი მეცადინეობა საკმარისი არც კი აღმოჩნდეს:

ნუ გავხდით ჩვენს ამბავს  
საიგავოდ,  
ნუ დავაპურებთ  
უძლებს.  
ძმამ ძმა ბეწვის ხიდზე  
გავიყვანოთ,  
ვამრავლოთ ჭერი და ფუძე.  
ვახაროთ აჭრილი  
ნერგები თვითონვე  
რაც მტრობით მოცელეს, მოწვეს,  
თორებ თვით გავხდებით იცოდეთ,  
ჩვენივე დალუპვის  
გარეშე მოწმე.  
თორებ ხელიერთპირ განქარდება,  
რაც წლობით მამებმა  
დუღაბით შეკრეს,  
სხვა მოუგარისებს  
გელათს და მცხეთას  
სხვა მოუპატრონებს ნეკრესას.  
ალარ ეყოლება გამკითხველი  
მტრობას, შურს,  
ღაღლატს და შფოთვას,  
ალარ ეყოლება წამკითხველი  
ილიას, ვაჟას, შოთას.

პოეტმა კვლავ გაიხსენა ჩვენი კიდევ ერთი, მოურჩენელი იარა – საქართველოს გარეთ არსებული საქართველო. გრიგოლ აბაშიძემ მაღალპატრიოტული განწყობით, აშკარად, ჭარბი დიპლომატიური დელიკატურობის გარეშე დასვა ეს საკითხი ტაოსადმი მიძღვნილ ლექსში:

ფესვი ჩამრჩა შენს მიწაში,  
რაგინდ ცეცხლით გადაგრუჯონ,  
ჩვენს სსოვნაში თქვენ ვინ წაგშლით,  
შატბერდო და არტანუჯო.

...ჩვენი ქვეყნის ლხინის დედავ,  
მტრებმა მკერდს რომ მიგიბლუჯეს,  
შენს ჩუქურთმებს ძილში ვხედავ,  
შენს დაქცეულ ციხის ბურჯებს.

შენი ხანძთა, შენი ტბეთი,  
როდის ალსდგეს იავარო,  
როდის იქნეს, შენი ბედი  
ჩვენს სადროშოს მიაბარო.

იოსებ ნონეშვილმა „თურქეთის ქართველების“ მალვით და ტანჯვით შენახულ ქართველობას დიდების პიმნი უმღერა და ეროვნული სულის, ქართული ენის წმინდად შენახვის მაგალითი ამოცანად დაუსახა დედასამშობლოს გარეთ დარჩენილ ყველა ქართველს:

ძმებო, ლაზებო, შავშნო, მესხებო,  
აჭარელნო თუ არტანუჯელნო,  
მოულოდნელად თქვენთან შეხვედრა  
ლამის თვალებსაც არ დავუჯერო.

შუბლზე გაყრიათ ოშეის ბზარებად  
ნაიარევი ბედის, შავბედის.  
დადუმებულხართ ტბეთის ზარივით,  
დაღონებულხართ, როგორც შატბერდი.

მაშ, გაუმარჯოს ამ ჩვენს შეხვედრას,  
ერთმანეთი რომ აღარ გვეთმობა,  
ეს გაუმარჯოს ტანჯვით შენახულ,  
მაღვით შენახულ თქვენს ქართველობას!

თანამედროვე პატრიოტული ლირიკა მამულის ლამაზი სანახების ხატვისა და ერთგულების ფიცის დონეზე ვერ გაჩერდება. დღეს ქართველი პოეტი ინტუიციურად გრძნობს, რომ გამოლვიძების, აქტიური მოქმედების დროა, პოეტი ეროვნული სიწმინდის სადარაჯოზე თვალმოუხუჭად უნდა იდგეს. ლამაზი სამშობლოს სიყვარულის ყურთბალიშზე თვალების მინაბვამ და საზოგადოებრივი სატკივრისათვის ზურგის შექცევამ კარგი არაფერი დაგვმართა, სამშობლოსათვის მებრძოლი პოეტის მზადყოფნა აშკარად გამოსჭვივის ჯანსულ ჩარკვიანის ლექსში, სადაც იგი ვაჟას მეფურ აჩრდილს ესაუბრება:

შენ ხარ მინდია, არ ხარ მეშურნე,  
მე ისიც ვიცი, ვისაც ედრები,  
ჩვენც მამულისთვის გამოვეშურეთ,  
და შევუშვირეთ ტყვიებს მკერდები.

ჩვენ, როცა ვამბობთ, ჩვენა ვართ ბევრნი  
მოზარენი თუ მოიმედენი,  
მოწყენილია როდესაც ერი  
და გაძარცული არის ედემი;

ჩვენ როცა ვამბობთ, ვართ მილიონი  
და სიკვდილამდე ვერ დავბერდებით,  
მარცხნივ ვიომებთ, მარჯვნივ ვიომებთ,  
შეველენებით ზეცას მკერდებით.

ხარისით მომდის სუნი საძოვრის,  
მთა არის კიდევ ამ მთის გადაღმა,  
არ დაასვენო სული ნაბრძოლი,  
რაც მთავარია, მარტო არა ხარ.

ამ ბოლო დროს არაერთმა პოეტმა აღიმაღლა ხმა სოფლების დაცარიელების, ნასახლარების, უკვამლო ბუქრების ჩვენთვის მეტად მტკივნეულ პრობლემაზე. თანამედროვე საქართველოს ეს ერთი სასიცოცხლო საკითხი ყველაზე შთამბეჭდავად მურმან ლებანიძის პოეზიაში გამოიკვეთა:

ყავრის ლრიფოში ცა იხედება,  
ვაი, დაშლილხარ, ძველო ქვიტკირო!  
– მთა იკეტება! მთა იკეტება! –  
დავწერ კი არა, მინდა ვიყვირო.

მინდა ვიყმუვლო, – ვაი, ჩვენი ბრალი!  
ამ მთებს, ამ ქედებს, რომლის გულისთვის  
მე ვკვდები, – ზომავს დღეს მუშტრის თვალი,  
ჯგრო ახვევია უცხო ტურისტის.

ყელში ხავილით ამოსდის სული  
სვანურს, რაჭულს და ფშავურ ხეობას,  
მკლავს ხალხმრავლობის ჯიბრი და შური,  
ჩემი სიმცირე და უმწეობა.

რაჭის მიტოვებული სოფლის სავალალო სურათი, მურმან ლებანიძის მიერ ერთი ხელის მოსმით დახატული, დიდ განმაზოგადებელ ულერადობას იძენს:

და მაშინ, ამ ყრუ სინამდვილეში,  
რომელიც წყვდიადს გაგონებს უღრანს  
კოლთავმჯდომარის ლრინაგს „ვილისი“  
უგზოობას და შეღმართებს უღრენს.  
წვიმს, და შიგ სულში გასხამს, განვეთებს,  
საცაა „ჰესი“ სინათლეს ჩართავს,  
წვიმს, თავმჯდომარე ლაშქარგანყვეტილს,  
უთორ-უაბჯროს ჩამოჰვას სარდალს.

დაკეტილ, გაუქმებულ სოფლებზე დაწერილი ამ ლექსების ციკლით მურმან ლებანიძემ დდი ეროვნული საქმე გააკეთა, გამოაფხიზლა ქართული საზოგადოებრივი აზრი და ერის გულშე-

მატკივარი მკითხველი საქართველოს მთის (და აქედან საქართველოს) ხვალინდელ დღეზე ჩააფიქრა.

სირცხვილი – ჩვენგნით არგასამხელი,  
სირცხვილი – ჩვენი დამამხობელი!  
აღარც ვენახი! აღარც ნამყენი!  
აღარც მყნობელი, აღარც სოფელი!

მართალია, პატრიოტული ლირიკის ის თემატიკა, რაზეც ზემოთ შევჩერდით, თუნდაც ამ საუკუნის პირველხარისხოვან ქართველ პოეტთათვის უცხო არასოდეს ყოფილა, მაგრამ უკანასკნელ წლებში ეროვნულმა მოტივმა ახლებური ხაფი და მასშტაბები შეიძინა. თითქოს შეთანხმებულანო, ჩვენი პოეტები ერთბაშად დადგნენ ბუკითა და ნაღარით საქართველოს სიფხიზლის საგუშაგოზე. თითქოს და მათ ერთბაშად ახსნეს ყადაღა ქართული ლექსის ზოგიერთ მივიწყებულ ჰანგს. საქართველოს მაღალი სახელისათვის ზრუნვაში ჩვენს ხალხს პირველ ყოვლისა, სწორედ ქართველი პოეტები დაუდგნენ მხარში. ეროვნული ლაშქარის საწალმართო სვლა ჩვენი უმთავრესი ოცნების ახდო-მის საწინდარია:

მაგრამ მე ვიცი, რომ მზე ცხრათვალა  
ამ ყრუ ხეობის დადგება თავზე,  
ჩემს წიგნს ჩახვდება ბავშვიც პატარა,  
მოვა ქართველი და იტყვის ასე:  
– რისი ლეჩეუმი და რისი რაჭა!  
რისი სვანურ და ჭანურ-მეგრული!  
მას საქართველოს ოცნება დარჩა –  
უხვის, ძლიერის, მუშტად შეკრულის.

ამას რომ წერდა, ზამთარი იყო,  
ავდარი იყო სითბორეული,  
მთაში ამინდი წამხდარი იყო –  
მართალი იყო, მართალი იყო  
მართალი იყო  
ის ცხონებული!

(მურმან ლებანიძე)

სიმართლის თქმის ტენდენციის გაძლიერებამ კრიტიკული პათოსის ზრდამ ახლებურად დააყენა პოეტის მოქალაქეობრივი როლის საკითხიც. მკითხველმა უფრო ყურადღებით დაუგდო ყური თავის პოეტს. დიალაც, მიიჩნია იგი იმ კაცად, ვისაც ქვეყნის სულიერი ცხოვრების წინამდლოლობა ევალება, ვინც მოწოდებულია ერთ მეჩირადდნედ წარუძღვეს მამულს ძნელი ისტორიის უსიერ ტევრში. ხელოვანის ყოფის დრამატიზმი გამოთქვა ამ სიტყვებით მორის ფოცხიშვილმა:

რა საზარელი ყოფილა ფრენა შეჭრილი ფრთებით,  
სიცოცხლე, როცა გყლავენ და მაინც ცოცხალი რჩები,

...რა ძნელსამტვრევი ყოფილა ოქროგალის კარი,  
რა ძნელსასმენი ყოფილა უგულო კაცის ზარი.  
რა საშინელი ყოფილა, ჩემო რჩმენავ და ხატო,  
როდესაც ხატვა არ გინდა და მაინც უნდა ხატო.

რა ძნელსალენი ყოფილა მწიფე საწუთროს კალო,  
უამი, ყრუმუნჯთა სცენაზე, როცა მთელი ხმით გალობ.

არაერთ იმედისმომცემ პოეტს გაუნია სავალალო სამსახური შემოქმედის მოქალაქეობრივი როლის მცდარად გაგებამ. წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა ზოგი პოეტის არსებაში გამრთობის, „მოჭიკვიკე“ პოეტის ფუნქცია. ამგვარ „კანარის ჩიტებს“ ტუქსავს ჯანსულ ჩარკვიანის ალეგორიული ლექსი:

პანაწინა დარდო,  
ჩვენ ოთახში სამნი ვართ,  
დღეც ლამაზი გამოდგა...  
ჩემს პატარა ფართობს,  
ჩემს პატარა აკვანს  
ართობს შენი გალობა.  
შენ არავინ არ გგავს,  
შენ ისეთი მშვიდი ხარ,  
სიწყნარე მიწყალობე,  
გაგიშვებდი, მაგრამ  
შენ გალიის ჩიტი ხარ,  
სხვაგან ვერ იგალობებ!

საკუთარ თავთან აჯანყების, დიდი შინაგანი ექსპრესიის შუქითაა გაბრწყინებული შოთა ნიშნიანიძის სტრიქონები, რომელიც პოეტს მოუწოდებს ცხოვრების წინაშე ქედმოუხრელობას და რუტინის წინააღმდეგ მგლურ შეუპოვრობას.

ჩემივე ლექსის ბწყარებში დამწყვდეული ვარ მგლისებრ,  
მგელივით მივდი-მოვდივარ, ძლივს ვატრიალებ კისერს.  
მალიზიანებს მკითხველი, ცნობისმოყვარედ მიმზერს.  
ქეჩის მგელივით ავიშლი, სათქმელს ყმუილით მოვჭრი, –  
ტუჩის გადამიხლეჩის სტრიქონი – მგლის ალესილი ღოჯი,  
ჰაუ, სატკივარს უზდება კბილის გაკვრა და გესლი,  
ვაითუ ჩემი ვიშვიში მხოლოდ გალობად გესმით!

იორამ ქემერტელიძემ სარკასტული მახვილი მიმართა იმ „მედროვე“ პოეტთა მისამართით, ცხოვრება რომ არ იციან და ეპიგონობის მოსაწყენ ჩრდილში თვლემენ:

რა გამოულევთ საქმეს პოეტებს –  
როგორც იტყვიან, სიტყვის მეომრებს,  
წერენ და წერენ ლექსებს ყოველდღე,  
იმეორებენ  
ერთიმეორეს.

ვერ ვიტანთ დარდსა და განშორებას,  
სული,  
გონება – იწვის ნეონით;  
ხუთი თითოვით ვიცით ცხოვრება...  
ერთიმეორის.

პოეტმა წამითაც არ უნდა მოუხუჭოს თვალი ცხოვრებას, სათქმელი დროზე უნდა თქვას და თავის ეპოქას ხშირად უნდა შეუძახოს, თორემ ის, რაზეც დღეს არ დაიკვნესა, ხვალ მასვე ექცევა მოურჩენელ ჭირად და სწობად:

თუმც არ აჟყევ ყველა ამყოლს,  
ყველა დამყოლს თუმც არ დაჟყე,  
(ეს არც ისე იოლია)  
დახე  
ბედის

ირონიას  
ისე გაგიხადეს საქმე –  
ახლა ვიღაც აქეთ ამბობს  
შენს საყვედურს და შენს სათქმელს,  
ვიღაც გზა-გზა ჭორით აქრობს  
შენს ანთებულ სანთელ-საკმელს.

(ნოდარ ჯალალონია)

ცოდვა გამხელილი სჯობს და, ჩვენს ცხოვრებაში იყო წლები, როდესაც ზოგიერთი (ოფიციალურ პირთაგანიც კი) საზოგადოების წინაშე პოეტის უზარმაზარ მისიას უგულვებელყოფნენ, ვერ ითვალისწინებდნენ პოეტის სიტყვის მილიონთა გულსა და გონებაზე გასაოცარი ზემოქმედების მნიშვნელობას. სწორედ ამგვარმა დამოკიდებულებამ დაბადა სკეფსისი მურმან ლებანიძის ერთ ლექსში:

გატენილია ბუნაგი წიგნით,  
წიგნით ყვითელი, ჰერაკლი ნაციხარს,  
მისდექ და ჭვარტლე კედლები ფიქრით,  
ბევრიც იხტუნო, – წიგნის კაცი ხარ!

ხარ ფიქრის ჭია, ხარ წიგნის ჩრჩილი,  
ტყვილა გვინია, რომ ღამქრებს სარდლობ;  
ქვეყნის საქმეში დაიდო წილი  
გელანდება და ტირილთ ნატრობ...

მურმან ლებანიძემ იცის პოეტის სიტყვის ძალა და მარადულმას თვალწინ უდგას ჭეშმარიტი შემოქმედის სტრიქონებზე მკითხველის ნდობით დახრილი თვალები:

მთლად სიმართლეს თუ არ იტყვი,  
გამოჩერიკე საჩანგურე –  
თახსირ ტყუილზე უარი თქვი,  
ეგრე ზაუმად აჩხაკუნე!

ხალხის სიყვარულს გაუფრთხილდი –  
ჩანგურს აწყობ და ჰერიკაც წლობით;  
შეკრულ შუბლებს დაუკვირდი –  
შემოგცერიან ჯერაც ნდობით.

კაცობრიობის ნათელი იდეალების სამსახურისათვის ყველა თავგადაკლული პოეტის ოცნებას ეხმაურება მურმან ლებანიძის ლექსის სტრიქონები:

გათენდება და  
მიწის ბურთი კვლავ სადღაც მიჰქრის,  
შენ ხარ პოეტი –  
ფიქრი გმართებს და მსოფლიობა,  
– არ დაამადლო,  
პოეტო, ფიქრი  
შენს მტერ-მოყვარე,  
შენს საბრალო კაცობრიობა!

ხოლო იოსებ ნონეშვილმა ხაზი გაუსვა იმ სრულიად გაუგებარ, მეშჩანურ ბარიერებს პოეტის ნინაშენ დროდადრო რომ ალიმართება ხოლმე, თავისი მიაგო იმ „ცდუნებებს“, ზოგჯერ ობივატელი ისე სერიოზულად რომ სთავაზობს შემოქმედს და პირად ინტრიგებზე მაღლა დადგომის, კაცურ კაცად დარჩენის იდეა იქადაგა:

პოეტო, თავი არ დაიმცირო,  
რად გინდა სხვისი სამადლო ლვინო,  
შენს ლექსს, შენს სახელს  
რამდენი ცდილობს  
შეექილიკოს და შეუღრინოს.

ნუ მიენდობი, ავკაცი როცა  
შეჭირვების უამს გპირდება შველას,  
მას რომ შეეძლოს,  
ის ყველა მგოსანს  
დაუმტვრევს კალამს, დაუხშობს სმენას.  
დარჩი პოეტად და კაცურ კაცად...

კაცობრიობის სუფთა სინდისისათვის დაწყებული ბრძოლა, სიკეთის გამარჯვებისა და ლამაზი მერმისისათვის დანთებული კოცონი, რა თქმა უნდა, მსხვერპლსაც მოითხოვს. უსამართლოდ ხელყოფილი ყველა პოეტის გამოსარჩლებაა ირაკლი აბაშიძის დიდებული „პაოლო იაშვილს“.

„ყველას უყოფდი შენს სიხარულს,  
რაც გაგეხარდა,  
გრძნობებს მისდევდი  
უაღვიროდ და უსადავოდ.  
და რადგან მგოსნის სიყვარულით  
ყველა გიყვარდა,  
გეგონა, არც ვის  
არც რამ ჰქონდა შენთან სადავო.  
სიცოცხლის ეშით,  
ამქვეყნიურ ნექტრით დამთვრალი  
შენი გონება შთაგონების ღმერთთან ომობდა  
და თუ წესია,  
თუ კაცსა აქვს რამ სამართალი –  
შენთან სადავო  
მართლაც ვის რა უნდა ჰქონოდა!

პიროვნების შინაგანი განთავისუფლების, ბიუროკრატიულ ნინააღმდეგობათა მხილების ნიშანი ჯერ კიდევ ადრე დაეტყო ერთი შეხედვით ისეთი „მშვიდი ნერვების“ პოეტს, როგორიც იოსებ ნონეშვილი გახლავთ:

ჩვენ, როგორც ბავშვებს, გვარიდებდნენ ცდუნებას მრავალს  
შიშობდნენ, ვაჟთუ ვერ გავვეგო კარგი და ცუდი...  
არ აგვრეოდა სხვა ქვეყნებში თვალები ავად,  
არ შეგვერცხვინა, მათის აზრით, ნამუსის ქუდი.  
და ახლა ასაკმილწულად ჩაგვთვალეს ალბათ, –  
თუ გსურთ, წადითო, გაიარეთ, ქვეყანა ნახეთ, –  
თან დაგვარიგეს, როგორ უნდა მოვიქცეთ კარგად,  
რომ ხალხს უზრუნოთ, როგორც გვითხრეს, ჩვენ ჩვენი სახე.  
გვირჩიეს: წვერი გავიპარსოთ ჩვენ ყოველ დილით,  
კარგი ტონია, დავიჭიროთ ჩანგალი მარცხნივ.  
კაპიტალისტთან საუბარში სჯობს ვიყოთ ფრთხილი,  
არ მოგვივიდეს უცხოეთში პატარა მარცხიც.  
ბოლოს შევავსეთ ანკეტები, წესია როგორც,  
გაფორმდა ვიზაც, აპა, უკვე მოგვცეს საშვები.  
...ო, არ შეგარცხვენთ! დარიგება გვაკმარეთ ოლონდ...  
ო, არ შეგარცხვენთ! ღმერთო ჩემო, არ ვართ ბავშვები!

ეპოქის კამერტონს ახმაურებს და მკითხველს დღევანდელ პრობლემათა ფიქრით ამძიმებს გივი გეგეჭკორის მიერ ოქროს საწმისზე დაწერილი ღრმადსიმბოლური ლექსის შორეული ექო:

ყოველი ციხე შიგნიდან ტყდება,  
ჩვენ არაფერი არ შეგვიძლია,  
ჩვენ გვიღალატა მეფის ასულმა,  
არესის ველზე დაჩიქილია  
ოქროსმფრევეველი ჩვენი ხარები,  
გაძარცულია ჩვენი ქვეყანა,  
გათელილია ყანა მზიანი.  
გაჩიხილია ტყე დაბურული,  
და პონტოს ქარით დაბერილია  
ათნიჩიანი ხომალდის აფრა.  
აკროპოლიდან ნეკროპოლში გადასულია  
ბევრი ამაყი ქედმოუხრელი  
და გულმხურვალე მამულიშვილი.

მკითხველს, ალბათ, ახსოვს როგორ გახმაურდა კარგა ხნის წინათ დაწერილი მუხრან მაჭავარიანის ლექსი „დავდივარ“... თავისი პუბლიცისტური ულერადობით და მამხილებლური ტონით ეს ლექსი ილიას „ბედნიერ ერს“ და აკაკის სწორუპოვარ პოეტურ ფელეტონებს უტოლდება. ვისაც თავისი ხალხის დაწინაურება და გამოღვიძება უპირველეს საზრუნვად გაუხდია, დამეთანხმება, რომ „ერის წყლულს“ ამგვარი ლექსი უფრო უმკურნალებს, ვიდრე თავის თავზე შეყვარებული მგოსნის ღაღადისი „ყველაზე ლამაზი და ყველაზე ნიჭიერი“ ერის შესახებ.

დავდივარ, როგორც დადიოდა ჩემამდენ ბევრი,  
ჩემს თავზეც ბრუნავს ხან დოლაბი, ხან კიდევ კევრი.  
ვხედავ: რეგვენი ლაპარაკობს ამაყად, მძიმედ,  
და, მე შენ გეტყვი, უბატონოდ ხმას გასცემს ვინმე.  
ქალი თუ კაცი ეჯიბრება იმაში ერთურთს  
ფიქრის და სიტყვის დამორებას ვინ შეძლებს უკეთ.  
გზადაგზა მხვდება კმაყოფილი სიფათი რეგვნის,  
ფოთლებს უწვდინა ლამაზმანებს ამაოდ ლეღვნი.  
დოროდადრო მესმის უხერხული ხალხური ლექსი, –

ვჭამოთო კარგად, არაფერი შეგვრჩება მეტი.  
ვაი, ჩვენს პატრონს, ჩვენი ყოფის თავი და ბოლო, –  
ჭამა და საჭმლის მონელება თუ არის მხოლოდ.  
დავდივარ როგორც დადიოდა ჩემამდე ბევრი,  
ჩემს თავზეც ბრუნავს ხან დოლაბი, ხან კიდევ კევრი.  
(მუხრან მაჭავარიანი)

შეურიგებლობის განცდამ და მძაფრმა კრიტიკიზმა, „საბას“ ავტორის შემოქმედებას უკანასკნელ წლებში რომ დაეტყო, მისი ლექსი ათასების გულისთემის გამომხატველად, ხოლო ავტორი საქართველოს ზნეობათა გაჯანსაღებისათვის დაწყებულ ლაშქრობაში ერთ მედაფდაფედ აქცია. განა მართალი არ არის, ზოგჯერ გულზე ეკლად არ გვხვდება ერთის თქმისა და მეორის კეთების სიტუაცია, ამ ლექსში რომ დახატა პოეტმა?

თავმჯდომარე ორატორებს უხმოობს სიით.  
და...

გარეშე ყოველგვარი ხათრის, –  
განსწავლულის (ეს რა ვნახე!) პრეტენზიით, –  
ტრიბუნაზე  
უნიგნური  
ადის,  
თავმჯდომარე ორატორებს უხმოობს სიით.  
და...

გარეშე ცეროდენა ხათრის –  
პატრიოტის (ვიღუპებით!) პრეტენზიით, –  
ტრიბუნაზე  
უცხო თესლი  
ადის.

თავმჯდომარე ორატორებს უხმოობს სიით,  
და...  
ტყუილში ქურციკივით მარდი, –  
ქველმოქმედს (დავილუპეთ!) პრეტენზიით –  
ტრიბუნაზე  
მატრაბაზი  
ადის.

პოლემიკური პათოსის გაძლიერება თანამედროვე ქართულ პოეზიაში მჭიდროდ დაუკავშირდა თანამედროვის რთუ-

ლი ბუნების კვლევას. ლირიკული გმირის სახე თანდათანობით გამოიკვეთა. ეს გახლავთ ათასი ეჭვით დამძიმებული, უდროობით და ათასი ნომრის დამახსოვრებით თავდამძიმებული (ვახტანგ ჯავახაძე), სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციით გარდაქმნილი, თითქმის გაოცებას გადაჩვეული – კეთილი ნების მოქალაქე. პოეზიაში გაჩნდა მოტივი ამ დაღლილი კაცის შენჯლრევის, პირად თვისებათა გააქტიურების, ინიციატივის გრძნობის გაცოცხლებისა მის არსებაში:

რაც სადაოა  
და სათქმელია  
თუ სულაც არ ვთქვით ბოლოს,  
თუ ყველაფერი  
სისულელეა  
და წყლის ნაყვაა მხოლოდ, –  
თუ შენს გარშემო  
მხოლოდ შურია  
და ქვადქცეული ლავა,  
თუ ყველაფერი ეს  
ბჟუტურია  
და თამაშია კვლავაც, –  
რატომდა შფოთავ  
სულო წყეულო,  
რატომ მანუხებ ასე,  
მთელი არსებით  
რად ჭირვეულობ  
ყოფნა-არყოფნის ზღვარზე?!

(მორის ფოცხიშვილი)

ყური დაუგდეთ რა წკეპლა გადაუჭირა „ჰალსტუხიან ავაზაკებს“, შენიღბული შარაგზის ყაჩალებს, ცივილიზაციას ზიარებულ თანამედროვე ხორცმეტებს შ. ნიშნიანიძემ პროკრუსტეს სარეცელზე დაწერილი ლექსით:

მეც შემხვედრია (არა ტყეებში  
ან შარაგზაზე) ქვეყნის ამკლები –  
გრძელ მაგიდებთან, რბილ სავარძლებში  
ჰალსტუხიანი ავაზაკები.

ის მაგიდები სარეცლებს ჰგვანან  
და კისრულობენ ცოდვას იმავეს,  
ოლონდ მახვილის გარეშე, თანაც  
ურჩებს ჭრიან და დამყოლთ – ჭიმავენ.  
და უკვე ბევრი ხმარობს შალაშინს  
და სიმარჯვითაც ზოგჯერ ნებივრობს  
და უკვე ბევრი დადის ქალაქში  
ხელ-ფეხმორდვეულ თოჯინებივით.  
ვიცი ისინი რა ჩიტებია!  
და მართლაც ჭრელი მედიდურები  
ცხოვრებას უფრო ეჭიდებიან  
მაიმუნივით გრძელ კიდურებით.  
ასე ვერვევით ყალბ სიდიდეებს,  
სახელებს ვჩქმალავთ ანდა გავკივით  
(ავანსად ვკივით...) და ცოდვას ვიღებთ  
ძველი ბერძენი ავაზაკივით.

შექსპირის გასაოცარი შეგონება – „ბოროტი კაცი დანიაშიც  
ბოროტი არის“, ალბათ, არასოდეს არ ყოფილა ისე მართალი  
და საცნაური, როგორც ახლაა. ახლა, როდესაც ასე ხშირად ჩა-  
გივლის ნინ იუდა სათნოების ნიღბით, მოღალატე უერთგულესი  
კაცის მანტიით, მტერი – მოყვრის როლში განაფული. ახალი  
საქართველოსთვის ლაშქრობაში შემოპარული გველის რისხ-  
ვადაა დაწერილი მურმან ლებანიძის ლექსი:

– ხომ არ წამოხვალ შენ ჩვენთან ომში;  
იქ, ჩვენს ტაბლასთან,  
ანაზდად გითხრეს.  
ფუჰ,  
აგვერიე კამერი ლომში  
და... ჩვენს საძმოში  
ჩაგრიცხეთ იმ დღეს.  
კაცად გიცნეთ და გაგნათლეთ ტომში,  
გატეხე პური,  
ასწიე ჭიქაც.  
მართალი იყო ერთი სპა ორში,  
შენ –  
კუდს იქნევდი  
აქაც და იქაც.

სველი გაქეს ლანჩა სიგლახის ტბორში, –  
ან ჩვენი გზები

სხვაგვარად მიდის:

იუდას ვერცხლი მოგართვეს ხონჩით,  
შუა ჩაგვიდის მდინარე – მოვრჩით.

ჩატეხილია  
ბურჯები ხიდის!

ასე დგანან ქართველი პოეტები ქვეყნად სიკეთის სიმართლის დამკვიდრების სამსახურში, ასე შეიკრა ჭეშმარიტი პოეზია მანკიერებათა წინააღმდეგ აღმართულ მუშტად, ასე გამოაღვიძეს პოეტებმა და ახალ მიჯნათა აღებისაკენ შეატრიალეს წუთით მოღუნული ქართული საზოგადოებრივი აზრი. ამიტომაც სრული უფლება აქვს პოეტს, მიმართოს თავის საუკუნეს:

გულმა, მიხვალო მამცნო,  
უნდა შენდობა გთხოვო,  
შენ, საუკუნევ მყაცრო,  
ჩემო წილხვედრო დროო!  
ბრძოლით გამფრთხობო ძილის!  
გმადლობ – გამჭედე რკინად,  
უურკინესი რკინის!  
გმადლობ – იმედით მათრობ!  
გმადლობ – მისტუმრებ დაღლილს!  
გამოღვიძებას გმადლობ  
ჩემი ქართველი ხალხის!

პოეზიის მაღალ ხიდზე მოაბიჯებენ მაზარაშეტრუსული, დაღლილი, განამებული პოეტები, საბარიკადო პოეზიით, მოწოდებებით, მარსელიოზებით, საბრძოლო ლირიკის რვეულებით ხელში. სწორედ მათ მოაქვთ ყველა დროის ჭეშმარიტი პოეზიის მეწინავე დროშა, მძიმე და ყრუ ნაბიჯებით, მტვრიანი ჩექმებით, თავანეულნი, ბრძოლაში შემოთენებული კაცის შარავანდედით – გადაივლიან ხიდს და პირდაპირ ადამიანთა ნათელი იდეალები-სათვის ბრძოლის არენას მიაშურებენ. წინამავალთა საბრძოლო ფეხის ხმა რომ მიწყდება, დაუკრავენ თრთოლვისმომგვრელ, ჰაეროვან მელოდიას (როცა უმეტესწილად ვიოლინოს ხმა ის-

მის და დასარტყმელი ინსტრუმენტები სდუმან) და ცისფრად განათებულ ხიდზე ულამაზესი მწყობრით შემოდიან გულ-მოდგინედ დავარცხნილი, გაპარსული, თეთრხელთათმანიანი პოეტები სიყვარულისა და ჰარმონიის თეთრი მიხავებით მკერდზე. ცოტა ხანს შეყოვნდებიან ისინი ხიდზე, რათა თავიანთი რაფინირებული მორთულობებით მოგვხიბლონ და მერე ზოგი მათგანი დავიწყების მრუმე ფარდის მიღმა უჩინარდება, ზოგი კი ლიტერატურულ სალონებში მორიგი ამოოხვრის დროს და შეგვახსენებს თავს.

ამგვარ ორსახოვნებას პოეტისას, უპირველეს ყოვლისა, დრო, ეპოქა ბადებს. კაცობრიობის ისტორია ისე წარიმართა, რომ უშფოთველად ერთი დღეც არ გვიცხოვრია. და ამიტომაც არც ერთმა ეპოქამ არ აპატია პოეტს ერის სატკივარისთვის ზურგ-შექცევა, თვითკიმაყოფილების პოზით თვალების ლულვა და განახლების მოახლოებული ყიუინის დროს სიმყუდროვის უჩინარ ტოტზე სევდიან ბულბულად ქცევა. განა ტკბილი და გულში ჩამწვდომი არ არის ლერმონტოვის „ხმები“, მაგრამ პრძოლით, უპირველს ყოვლისა, „პოეტის სიკვდილი“ იბრძოდა, განა ნაზი და საოცარი არ არის ილია „გახსოვს, ტურფავ“, მაგრამ ქართველი ერის გამოღვიძების საქმეში უპირატესი როლის შესრულება სწორედ პამფლეტურ „ბედნიერ ერს“ მოუხდა. განა სიყვარულის უსათნოესი გაცხადება არ არის აკაკის სატრფიალო ლირიკა, მაგრამ მშობელი ქვეყნის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის ისტორიაში ლირებულად მგოსნის ის ოთხსტრიქონიანი ირონიული ლექსი უფრო ჩანს, ასე რომ იწყება: „საქართველო, მოგწყენია, მოგვანატრა მანჯურია“...

მე ათწლეულებით ლიტერატურის შეფასების მომხრე არა ვარ, მაგრამ ჯიუტი ფაქტები მათქმევინებენ, რომ იყო ჩვენი პოეზიის ცხოვრებაში დრო, როცა ზოგიერთი შემოქმედის წიგნებიდან თითქმის გაქრა აქტიური სამოქალაქო ლირიკა. ამ პერიოდის ლიტერატურის ისტორიის თაროზე დევს უამრავი მტვერდაყრილი კრებული თითო-ოროლა „გამწევი“ ლექსით, რომელსაც მოჰყვება კამერული, ჭარბინტიმური საალბომო

პოეზიის მოსაწყენი ეშელონი. რა თქმა უნდა, ეს იმათ წიგნებს ეტყობა, ცხოვრების შესწავლაში უპირატესად საგაზეთო ინფორმაციებით რომ კმაყოფილდებიან, თორემ გალაკტიონი, „თოვლის“ და „მგლოვიარე სერაფიმების“ დამწერი გალაკტიონი, თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ლექსში წერდა:

მოღალატის ცხარე ტაში  
და ორპირის ნუგეში  
მეზიზლება, როგორც მაშინ  
როგორც სიჭაბუკეში!

დიდი ძვრები მოხდა თანამედროვე ქართულ პოეზიაში, „ძვრად“ მე ვთვლი მხოლოდ იმ ლექსებს, ორგანული, ბუნებრივი განცდებით რომ საზრდოობს და მოვლენათა დინჯი ანალიზიდან მომდინარეობს. საქართველოს ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს, ბრძოლებს ზოგჯერ საკმაოდ საგრძნობი ტკივილებით რომ მიმდინარეობდა, სულის გაჯანსაღებისთვის გადადგმულ ღონიერ ნაბიჯებს, არ შეიძლებოდა თავისი გამოხატულება არ ეპოვა პოეზიაში და აკი ჰეროვა კიდეც. ეს ძვრები ქართულ პოეზიაში ძირითადად ორი მიმართულებით წარიმართა: კრიტიკული, პოლემიკური პათოსის გაძლიერებითა და თანამედროვეობის აქტუალური პრობლემებით, ჩვენი პოეტების სისხლხორცეულად დაინტერესებით.

თითქოსდა არაერთგზის გარკვეული და დამუშავებული პრობლემა იყო ჩვენი პოეტებისთვის პოეტის საზოგადო მისიონის, მისი როლის მხატვრული გარდასახვა, მაგრამ უკანასკნელი წლების ქართულ პოეზიაში არაერთი ლექსი მიეძღვნა ამ საკითხს. რა მოხდა? თითქოსდა პოეტის ისტორიული ვალის შეხსენებით ჩვენ ერთმანეთისთვის და საკუთარი თავისთვისაც გაფერილ-გაპოხილი, განახლებული არსენალის მიცემა გვსურდა. შოთა ნიშნიანიძემ „პოეზიის კალენდრით“ ლაქია-პოეტის სავალალო ბეჭიე მიგვითითა:

იყვნენ მეფეებიც – მფარველნი ნიჭთა,  
ქომაგნი სუსტთა და დუხტირთა,

მათში სულ პანია პოეტიც იჯდა  
და ალბათ დიდ პოეტებს ამიტომ უჭირდათ.  
მრავალმა ადიდა ტახტის მასკარადი,  
იპყრო ტიტულები ქურუმთა, მოგვთა,  
დაფნის გვირგვინისთვის ტაკიმასხარობდა,  
ჰოდა, სიკვდილამდე მოკვდა.  
...ფრთხილად! განსაცდელი იჭრება  
მხოლოდ ბედისწერის თულფით  
და სადაც ტახტია, ბიჭებო,  
იქვეა დაფნაც და ყულფიც!

ხუტა გაგუამ იმ შინაგანი ხუნდების მტვრევისაკენ მოგვიწოდა, ზოგი პოეტის ფსიქიკაში წლების განმავლობაში რომ გაღვივდა და გაიზარდა ვერშებედვის, სინამდვილის შეფერადების, გულარხეინობის პოეზიად. ყალბი თვითკრიტიკის გრძნობა, პოეტისათვის დამღუპველი, მაჯლაჯუნასავით ბოჭავდა ზოგ ლექსს. პოეტისავე მაგიდიდან ამდგარ ყალბკონტროლის ამ ქარს პოეტი ასე ახასიათებს:

ვუმზერ ამაოდ,  
ცბიერი ქარი  
ამოწმებს ლექსის ყველა ვარიანტს  
და ინტერვალი სტრიქონებს შორის –  
უკვირს, რომ მხოლოდ ინტერვალია.  
მე შიში მიპყრობს ყოველთვის, როცა  
აზრსა და გრძნობას ახურდავებენ,  
როცა უკუღმა კითხულობს ქარი  
ნაღმა –  
ქართულად –  
ნაწერ ტაებებს.

გივი გეგეჭკორმა ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოქვეყნებული მშვენიერი ლექსით („მეცხრამეტე საუკუნის პოეტები“) თანამედროვე ქართველ პოეტთა ასაწონ-გასაზომად უკვდავ წინაპართა აჩრდილნი გამოიხმო და მათი დიდი კაცობის შეხსენებისას დაასკვნა:

ჩვენ არაფერი, არაფერი გვეპატიება  
ახალგაზრდობით ანდა სიბერით,  
და თქვენთან მხოლოდ პირნათელნი უნდა მოვიდეთ,  
ყველაზი ბოლოს როცა ერთად შევიკრიბებით!

საერთო მიზნისთვის ბრძოლის, ერთპირობის და ერის მომა-  
ვლის სადარაჯოზე პირმტკიცედ, ერთად დგომის სურვილითაა  
დამუხტული მურმან ლებანიძის ეს საინტერესო ალეგორია:

მე მოვყვებოდი  
ჩემს ღამეულ გორმახებს ცხენით,  
უცბად...  
ტირილი შემომესმა წყალგალმა მგლების:  
იწყებდა ერთი,  
ბანს აძლევდნენ თვისტომნი ღრენით,  
და საკვირველი  
გულზე მეცა თანხმობა ხმების...  
და ვთქვა: – ოჟ, მურმან!  
შენ შენს ხრიოქს მოჰყვები კენტად,  
შენ მარტო შესვამ  
სანამლავებს და ყველა შხამებს,  
როცა მგლებიც კი  
შე საბრალო, მგლებიც კი ერთად,  
მგლებიც კი  
ერთად შეჰყმუან  
ამ ზამთრის ღამეს.

რა კონსერვატულია ჩვენი დედამინა კეთილისა და ბორო-  
ტის მარადიული ჭიდილის მიმართ, რა თანამიმდევრული და  
თითქმის ერთნაირია კეთილი ნების ლიტერატურის ბრძოლა  
ადამიანურ მანკიერებათა წინააღმდეგ. თანამედროვე პოეტს ამ  
საუკუნოვანი ბრძოლით დალლილის პოზა კი არა, ამ ბრძოლის  
მაღალი შეგნება უნდა ამშვენებდეს. ვახტანგ ჯავახაძის ლექსი  
სწორედ ამ შეგნებითაა გამსჭვალული:

ეს არის ომი,  
სისხლისმღვრელი,  
ხანგრძლივი ომი,  
სასტიკი,

სამკვდრო-სასიცოცხლო,  
დაუნდობელი.  
ერთ მხარეს დგანან:  
სურვანტესის დედა და დები,  
ვან გოგის ძმა და  
სააკაძის უმცროსი ბიჭი,  
დევაბრისტების ცოლები და  
პუშკინის ძიძა  
არმსტრონგისა და გაგარინის ამხანაგები...  
მეორე მხარეს ერთსულოვნად ჩასაფრებულან:  
ქრისტეს მოწაფე,  
აბელის ძმა,  
მეფისტოფელი,  
ოძელაშვილის ნათლიმამა,  
ჰამლეტის ბიძა,  
ჰერონსტრატე და  
ნერონი და  
სალიერი და  
ჯორდანო ბრუნოს ჯალათი და ლორკას ჯალათი...  
გრძელდება ომი,  
სისხლისმღვრელი,  
სასტიკი ომი.

სწორედ თავისი მამხილებლური ტონისა და პუბლიცისტური  
პათოსის გამო გახმაურდა გივი გეგეჭკორის „ფეოდალი“. ამ  
ლექსით პოეტმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა ჩვენს ცხოვრება-  
ში გაჩერილი საქმოსნის ახალი ტიპი, თანამედროვე ფეოდალის  
უბადრუე სახე, ხოლო საზოგადოებას ომახიანად მოუწოდა  
„ფეოდალის“ წინააღმდეგ საბრძოლველად:

შენ დამარცხდები, თუ ბევრ რამეს შეურიგდები,  
ლოჟის სიღრმეში მიმალულმა შენი ერისთვის,  
როგორ გასწიო სამსახური.  
ხმა ამოიღე!...

ნუა პატივში საქმოსანი და აფერისტი.  
სარგებლობს შენი მორიდებით, გულკეთილობით,  
სარგებლობს შენი მოთმინებით, შენი დუმილით.  
შენ უფრთხილდები შენს სიმშვიდეს და მყუდროებას,  
საუბრობ ძვირფას აჩრდილებთან მედიუმივით,

ო, ამ სიმშვიდის საზღაური იქნება მკაცრი,  
ხმა ამოიღე ბოროტება თავს დაგდგომია,  
ხმა ამოიღე, დამნაშავეს გადაელობე,  
არ დაიხიო, არ დაუთმო ესეც ომია!

კრიტიკიზმმა ისე ფართოდ მოიკიდა ფეხი პოეზიაში, რომ ლიტერატურის მომავალ ისტორიკოსს თავის ვრცელ წიგნში ცალკე და გულდასმით მოუხდება შეჩერება თანამედროვე ქართული პოეზის ამ თვალსაჩინო თვისებაზე. შესასწავლია ამ ახალი შენაკადის დაპადების რთული სოციალური მიზეზები, საქმე არც ისე მარტივადაა, როგორც ზოგიერთს შეიძლება მოეჩვენოს: გაჩნდა ნაკლოვანებანი და გაჩნდა მამხილებლური პოეზია, აღმოიფხვრა ნაკლოვანებანი და მიყუჩდა პოლემიკური პათოსი. მე მეჩვენება, რომ ჩვენს პოეტებს კიდევ დიდხანს არ მოუხდებათ მანკიერებათა წინააღმდეგ ამოღებული ხმლის ჩაგება. რა ვუყოთ, თუ ხანდახან შეიძლება უქმად ეკიდოს კედელზე ტკბილ ხმათა გამომცემი ჩანგი, პოეტებს თორნი ნაკლებ როდი უხდებათ.

ისტორიის ამ მძიმე მოსახვევზე, როცა ციხე შიგნიდან ტყდებოდა და მოშვებულობა, უამრავ თავისმომჭრელ ხიფათში გვაგდებდა, სრულიად ბუნებრივი იყო სკეფსისი, რომელმაც პოეტის ყურადღება დაიპყრო:

იბასიანოს,  
დროა,  
დროა,  
ქართულმა სუფრამ! –  
მოდის მერმისი –  
ცოცხით ხელში. –  
მკაცრი და სუფთა.

(მუხრან მაჭავარიანი – „სიტყვა თქმული ფილადელფოს კიკნაძის მიერ ძმათა თვისთა თანა შუამთაში“).

ჩვენს ერს, რომელიც გნებავთ განსაცდელის უამს, სწორედ თავის თავში აღმოუჩენია „სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი“ ძალა, იმედისა და აღორძინების ნაპერწკალი ყოველთვის ღვიოდა ამ დაუშრეტელი ენერგიისა და საოცრად

გადარჩენისუნარიანი ხალხის წიაღში. როცა პოეტი თავისი მაღალი ტრიბუნიდან ზოგჯერ მწარე სიმართლეს ამბობდა, მას სჯეროდა იმ დიდი შინაგანი პოტენციისა, ისტორიული ფაქტებით რომ იყო ლიბოჩაკირული:

რა მოხდა, ეჭვით რად დაინაღმა  
სახელი მხატვრის, თანადროულის,  
ბრძენს ურჩევნია ბრიყვის ნიღაბი,  
მჭევრმეტყველს – მუნჯის,  
მგოსანს – კლოუნის.

გაუტანლობის, შურის ეროსი  
ისევ და ისევ ამრავლებს ცოდვებს,  
მაგრამ დალოცვილ საქართველოში  
არ შეიძლება არ იყოს ცოტნეც...

(შოთა წიშნიანიძე)

ქართულმა ლექსმა კვლავ დაიბრუნა ბრძნული შაირის მაღალი ღირსება. ერთბაშად მიყუჩდა ყალბი პათეტიკა და მკითხველისა და თავის მოტყუებით პოეზიის სათუთ ინსტრუმენტზე არხეინი მელოდიების უდარუნი. პოეტი მკითხველის კეთილ და ჭკვიან მრჩევლად იქცა. კრიტიკული პათოსის გაძლიერების პირმშოა სწორედ მორის ფოცხიშვილის ღრმად სიმბოლური ლექსი-იგავი „წყალობა“.

საკნეი დაუყარეს  
დასაკლავ ქათმებს,  
ქათმებმა უმალ  
სიფხიზლე დათმეს.  
ისე გათამამდა  
უბრალოდ ერთი,  
პატრონი მიიღო  
მოწყალე ღმერთად  
და ისე დაიკლა,  
მადლობაც ვერ თქვა.  
მგზავრო, უფრთხილდი  
წყალობას დიადს,  
რადგან მას მაინც საკენკი ჰქვია!

გაბედულებით, ჯანსალი მოქალაქეობრივი პოზიციით, პო-  
ეტის სწორი დამოკიდებულებით სინამდვილისადმი, სამაგალი-  
თოა მედეა კანიძის მძაფრი პოლემიკური პათოსით გამსჭვალუ-  
ლი სტრიქონები:

ვიცი არ მომცემს  
სინდისი ნებას,  
ვინმეს სიმხდალით  
თავი გავაცნო,  
მე შეველევი  
უძირო გრძნობას,  
უფრო მაღალი  
რწმენის სანაცვლოდ.  
ვიცი, სიკვდილზე  
ძნელია უფრო,  
როცა ჭრელ მინდოოს  
სეტყვა გადახნავს,  
როდესაც რჩები  
ზეცაში უფრთოდ  
და გიკრძალავენ  
ტირილს ხმამაღლა!

უკან მიდევნებული ლამპარიც ანათებს, მაგრამ მეწინავეს მისი  
შუქი ბეჭებზელა ეცემა. საქმე წინ გაძლოლილი ლამპარია, წყვდი-  
ადს რომ კვეთს და გზასავალს გიადვილებს. როცა საქართველოს  
ახალმა სიომ დაპეროლა, ბუნებრივია, დიალექტიკის უდრევი  
ნებით გულმოცემული ბევრი ჩვენი პოეტი ეპოქის დაფდაფებს  
უფრო ომახიანად აჰყვა, მაგრამ ლიტერატურის კრიტიკის ვალია,  
გამოარჩიოს ეს ხმები იმ ხმებისაგან, თავის დროზე და სწორედ  
მაშინ რომ გაისმა, ნაკლოვანებათა მხილება ზოგიერთის თვალში  
ერის დაბეზღებად რომ ითვლებოდა. სწორედ ამაზე მოსწრებუ-  
ლად დაწერა ამას წინათ ზურაბ კუხიანიძემ:

ახლა ყველამ აიღესა  
ენა, როგორც სასხლავი;  
ვინც კაი ყმა იყო და  
ვინც ქედს ხრიდა ყმასავით.  
ახლა,

როცა სიტყვას ვამბობთ,  
და არცა ვართ უბრებად, –  
სინდისს ვკითხოთ,  
გვაქვს კი ყველას  
ლაპარაკის უფლება?!

აქვე ერთიც უნდა დავსძინო: პოლემიკურობამ, კრიტიკულ-  
მა განწყობამ ზოგი პოეტის ხელში თვითმიზური სახე მიიღო,  
ესეც უკიდურესობაა. მხილებას თავისი ზომა-წონა აქვს. პოეტი  
სიყვარულის აპოლოგეტია ამქვეყნად და როგორც „სწავლაი  
წმიდისა ეფრემისი“ გვირჩევს: „ქეშმარიტად საწყალობელ არს  
კაცი იგი, რომლისა თანა არა არს სიყვარული, რამეთუ დღენი  
ცხოვრებისა მისისანი ვითარცა სიზმარნი წარხდნენ“. სინდისის  
სამსჯავროზე დგომა იმას როდი ნიშნავს, კრაზანებად ვიქცეთ  
და შემოქმედებითი შრომის ფერხულში მხოლოდ ჩრდილებს  
ვხედავდეთ, პოეტი მიტევების, სიკეთის ქადაგების ქურუმია  
ამქვეყნად, ამიტომაც სწორედ თავისი უნაპირო ჰუმანიზმით  
მომეწონა ტარიელ ჭანტურიას ახალი ლექსი „სალალობო“:

...ადექით ფეხზე! მე გპატიუებთ! ისევ! თავიდან!  
მე ყოველ თქვენგანს ვაპატიე დანაშაული!  
ადექით-შეთქი და აავსეთ ისევ, თავიდან  
ქალაქი, დაბა, სრა-სასახლე, ციხე, აული!  
დავემგვანები მე ყველაზე ბედნიერ სარდალს,  
თქვენს დიდ არმიას გამწკრივებულს თუკი ჩავუვლი,  
აბა ყოჩადად! აბა მკვირცხლად, ლიმილით! მარდად!  
სიცოცხლისაკენ! გეპატიათ დანაშაული!

ამ ბოლო დროს მე იშვიათად წამიკითხავს მშვიდობის თემაზე  
უფრო აქტუალური და შთამბეჭდავი ლექსი, ვიდრე ირაკლი აბა-  
შიძის „შეხვედრა პეკინში“ გახლავთ. იგი მსოფლიოს ბედზე მჭ-  
მუნვარე პოეტის უაღრესად გონივრული გაფრთხილებაა, ზარის  
ლონიერი შემოკვრაა, ზარისა, მშვიდობიან სიცოცხლეს რომ და-  
რაჯობს. ამ ლექსით ქართველი პოეტი მათ დე დუნს ეპაექრება.  
„იმ დიდ აღლუმზე“ ომის ისტერიით შეპყრობილი ბრძოს ზრია-  
ლი მწარე ფიქრებს აუშლის ლექსის ლირიკულ გმირს:

მაშ ეს თქვენა ხართ?  
 მზე ამ ძალთა  
 ამ წვრილ, უნასთა,  
 ღმერთი ამ ტალღის  
 ამ გუგუნის,  
 ამ ხმის მრისხანის...  
 გეტყვით პირდაპირ...  
 თქვენს აღლუმზე,  
 თქვენს ტრიბუნასთან  
 მე სულში მომხვდა  
 ავბედითი ხმა ჩინგისხანის.

სხვა სხივი შეიძინა ამ ბოლო დროს ჩვენი პოეზიის ისეთმა სისხლხორცეულმა თემამ, როგორიც გახლავთ პატრიოტიზმი. ახლა აღარ იწერება ლექსები (და თუ შიგადაშიგ გამოერევა, მკითხველი დიდი ინტერესით როდი კითხულობს), რომლებშიც სამშობლოს სიყვარულის ღაღადისი და ერთგულების მტკიცებაა მხოლოდ და მხოლოდ. ქართველმა პოეტმა ყოველთვის იცოდა, რომ „მამულის სიყვარული უნდა იყოს ამასთან სიყვარულიც კაცობრიობისა“ (ბელინსკი), ამიტომაც ჩვენს ჯანსაღ პატრიოტულ ლირიკას მუდამ ედგა ინტერნაციონალიზმის ნათელი. სამშობლოს სიყვარულში ლირიკული გმირის როლი ახლა უფრო აქტიური, უფრო ქმედითი გახდა. ჩვენი პატრიოტული პოეზია მამულთან ურთიერთობის გარკვევის დამთავრების, მოთმინების ფიალის ავსების, საქმისათვის საბრძოლო მზადყოფნის გაცხადების ელფერს იძენს. ამ მხრივ განსაკუთრებული როლის შესრულება მოუხდა ჯანსულ ჩარკვიანის პოემებს „რწმენის კედელს“, „ჯაჭვის თორანს“, „მონატრებას“ და „გაფრთხილებას“. ეს უკანასკნელი ასეთი მაღალპატრიოტული მოწოდებით მთავრდება:

მაინც შენ უნდა დალენო,  
 შუბლში დაჭრილი აფთარი,  
 მაინც შენ უნდა დამეწყრო  
 მთებს შერჩენილი ზამთარი,  
 რეკენ სიმართლის ტაძარში,

შემორჩენილი სინდისით,  
 დგას საქართველო მხარგრძელი,  
 მისი ბებერი თბილისით.  
 დგას საქართველო მხარგრძელი,  
 მზე უთბობს ხელებს გათოშილს,  
 ჩვენ ქართლოსებით გავძელით,  
 მილიონია ქართლოსი,  
 და სანამ შენს მხარს ვყავარჯინობ,  
 სანამ არ მქვია დაღლილი,  
 მე ცერბერივით გდარაჯობ,  
 ანუ ერთგული ძალლივით.

მურმან ლებანიძის პოემა „ანისის აღება“ ქართველ-სომეხთა ძმობის ერთ ისტორიულ ფურცელს გადაგვიშლის. ეს ნაწარმოები ჩვენი საუკუნო ურთიერთმეგობრობის თვალსაჩინო დასტურია და დღევანდელი სიყვარულის ნათელი გამოხატულებაც. დავით აღმაშენებელის დაღვრილ ქართველთა სისხლს პოეტი შესანიშავ მხატვრულ ქსოვილში ახვევს და ჩვენი ხალხების ურთიერთობას წარუშლელ მაგალითად უსახსოვრებს.

ჯანსულ ჩარკვიანის „ფერადი მერიდიანები“ ჩვენი თანამედროვეობის პრობლემების ინტერნაციონალური განცდაა. პოეტი თანაგრძნობის სტრიქონებს ულდვნის უსამართლოდ განწირულთ და ომახიანად იმაღლებს ხმას თვითნებობის წინააღმდეგ. აქ არის სევდაც გენუელი მიუსაფარი მეზღვაურის გამო, მეზღვაურისა, რომელსაც გემმა გაასწრო. აქ არის სინაული მოხუც ემიგრანტზე, რომელიც საყელოანეული და წელში მოხრილი დააბიჯებს პარიზის ქუჩებში და „მაღალ მთებზე ფიქრობს“. მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებითაა ნასაზრდოები აგრეთვე ჯანსულ ჩარკვიანის ბოლოდროინდელი პოემები – „რწმენის კედელი“ და „ჯაჭვის თორანი“.

ამერიკელმა ჯარისკაცმა კრუს ხიმენესმა უარი თქვა მონაწილეობა მიეღო პანამელი პატრიოტების დასჯაში, ამიტომაც იგი თავისიანებმა დახვრიტეს. რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნებული გაზეთის ეს პატარა ინფორმაცია უძლვის ეპიგრაფად ოთარ ჭილაძის პოემას „ადამიანი გაზეთის სვეტში“. ეს პოემა

ლიტერატურული ბრალდებაა ტერორის მიმართ. პოემის პუბლიცისტური პათოსი ადამიანის ბედზე ფიქრისა და პასუხისმგებლობის რწმენით მსჯვალავს მკითხველს. პოემაში არის ასეთი სტრიქონები: „ადამიანი ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია, ხოლო სამშობლო თავს ურჩევნიათ ადამიანებს და არა მონებს. არა სხეულის, არამედ სულის საჭურისობას ნიშნავს მონობა და ვინც სხვას ართმევს თავისუფლებას, მონაა ისიც“. რა შესანიშნავად არის აქ განზოგადებული თავისუფლებისათვის ბრძოლის საყოველთაო იდეა და რა ლაკონიურადაა ნათქვამი დამმონებლისათვის კაცობრიობის ისტორიის მიერ გამოტანილ მსჯავრზე.

„პატივისცემის ღირსია ყველა, ვისაც სამშობლო უყვარს და ცდილობს, აღარ დაადგას ქედზე ულელი, არ დაამციროს ადამიანთა ყველაზე დიდი მონაპოვარი, ყველა ნაყოფზე ტკბილი ნაყოფი: თავისუფლება!“ – ვკითხულობთ პოემაში და ამ სტრიქონებით ავტორი ჯანსაღად მოაზროვნე მსოფლიოს ხალხთა გულისთქმას ეხმიანება.

ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულ ქართველ პოეტთა ნაწერებში თანამედროვეობის პრობლემების გამახვილებული აღქმა და მათი გადაწყვეტის მასშტაბურობა შეინიშნება. ზოგჯერ დედამიწა აღქმულია როგორც ერთი ქვეყანა, რომლის სიფხიზლეზე ზრუნვა, პასუხისმგებლობა ყველა მოქალაქის ვალია. ასეთ ნაწარმოებებში ნაციონალური თვითმყოფადობა ორგანულადაა შეხამებული. საერთაშორისო საკითხის, მსოფლიოს ბეჭდის განსჯა ხელს როდი უშლის პოეტს თავისი ქვეყნის აწმყოსა და მომავლის მხატვრულ ჭვრეტაში. პირიქით, აფართოებს მისი პოეტური ხედვის პორიზონტს და მკითხველს მსოფლიო პროცესების მონაწილედ აგრძნობინებს თავს. ასეთი პოემების ნიმუშად მიგვაჩინია ტარიელ ჭანტურიას „სტუმარი“, „ძმები“, გივი გეგეჭკორის „ტრანზისტორი“ და მოთა ნიშნიანიძის დაუმთავრებელი პოემა „აქილევსის ქუსლი და ფარი“.

„მთვლემარე ჭალა გარინდებული უსმენს ჭრიჭინობელების ხმას. ფერმკრთალი მზე ზღვაში უცნაურად იძირება. და დედამი-

წის ორი ნახევარსფერო ჰგავს ორ მოყვარულ ძმას – საფრთხის გამო მორიგეობით რომ იძინებენ“, – ამ სიტყვებით მთავრდება ტარიელ ჭანტურიას პოემა „ძმები“ და, ალბათ, დამეთანხმება მკითხველი, რომ ამ პატარა ამონანერში ინტერნაციონალური თვალთახედვით („ორ მოყვარულ ძმას“...) ალეგორიულად დღევანდელი მსოფლიოს მოუწესრიგებლობის ერთი ნიშანია ხაზგასმული („მორიგეობით რომ იძინებენ“).

თანამედროვე მსოფლიოს აჩქარებულ მაჯისცემაზე ყურმიდყორნობილი პოეტის ლირიკული მონოლოგია გივი გეგეჭკორის „ტრანზისტორი“. „ადექი ფეხზე! ადამიანის საკეთილდღეოდ რა გააკეთე! ადექი ფეხზე! მყაცრი მსაჯული მოდის უამთასვლისა...“

– მიმართავს მკითხველს პოემის ლირიკული გმირი და მთელს ნაწარმოებს წითელ ზოლად გასდევს ადამიანის მოვალეობის, მისი მოქალაქეობრივი როლის, მასში ჰუმანიზმისა და ინტერნაციონალიზმის პრინციპების განმტკიცების პათოსი. „ხელები ზევით, გულგრილობაც, ხელები ზევით“ – ასეთია „ტრანზისტორის“ ლაიტმოტივი. პოემა გულგრილთა და ინდიფერენტულად განწყობილთა წინააღმდეგ მიმართული მხატვრული პუბლიცისტიკის ნიმუშია. სამწუხაროდ, ამ პოემის ძირითადი ტენდენცია თავის დროზე სწორად როდი გაიგო ზოგიერთმა კრიტიკოსმა.

თანამედროვეობის მძაფრი შეგრძნებითაა განმსჭვალული აგრეთვე, შოთა ნიშნიანიძის „აქილევსის ქუსლი და ფარი“. აბელ როგავას ესპანეთის პატრიოტთა დასახმარებლად გამგზავრება და ჯოკია ლაშხის ეროვნული განწყობა თვალსაჩინოდ წარმოაჩენს პოემის ავტორის პოზიციას.

თბილისის ერთ-ერთ ჭიშკართან ამას წინათ გაჩნდა მერაბ ბერძენიშვილის ღრმადმტამბეჭდავი ქანდაკება „კიდევაც დაიზრდებიან“. ამ ქანდაკებამ შთააგონა კარლო კალაძეს ლექსი („მხარზე ხელს დავკრავ მერაბს“), რომელშიც პოეტმა შეძლო თავისი ქვეყნის გულისთქმა ისე ლამაზად განეცხადებინა სიტყვით, როგორც ეს ნიჭიერმა მოქანდაკემ ქვითა და საჭრეთლით მოახერხა:

ქეგლი დგას, ქეგლი კი არა –  
ეგებ თამამი ნდობაა,  
ეგებ ჯავრის და იმედის  
ბრინჯაოდ გადადნობაა!..  
შესჭიდებიხარ, მერაბო,  
მეტყველ ჭირსა და ვაებას,  
დრო-უამით უკვე გაბზარულ  
ზარს გინდა ენა აებას.  
შენი ბაჯბაჯა ბიჭები  
მოდიან, მძიმედ მოდიან –  
მამა-პაპათა ლახვარი  
ძირს დასაგდები როდია!  
დაუძაბიათ კუნთები  
ბიჭებს კი არა – იმედებს! და ა. შ.

როცა ლიტერატურული პრესის ფურცლებზე ჩვენი პოეტების უფროსი თაობის წარმომადგენლების ლექსები გამოჩნდება, უჩვეულო გრძნობა მიჰყობს. ეს გახლავთ არაჩვეულებრივი მოწინებაც იმ კაცისადმი, ორმოცდათი წელი რომ ატარა პოეზიის უმძიმესი ტვირთი და ამავე დროს სასიამოვნო შეგნებაც იმისა, რომ პოეტები ჭეშმარიტად არ ბერდებიან.

ისე მრავალფეროვანია თანამედროვე ქართული პოეზია, ისე თვალსაჩინოა მისი წარმატებები ჩვენი დღეების ადამიანის სულის კვლევის ურთულეს საქმეში, რომ ყველა პოეტური მიღწევის ჩამოთვლაც კი გაჭირდება. პოეზია კვლავ წინამდლოლობს ქართული ლიტერატურის უშრეტ მდინარებას. საქართველო, დიახაც პოეტების კვეყანაა. იმ პოეტურ თხზულებათა შორის, დროის კოლორიტი განსაკუთრებით რომ ეტყობა, თანამედროვე ადამიანის ფსიქიკაში წვდომის სიღრმით და ოსტატობით რომ გამოირჩევა, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ – ოთარ ჭელიძის „ამირან-მთა“ და „ჩემი მაგნიტური არე“, ლადო სულაბერიძის „მოთხოვა სიკვდილის შემდეგ“, თეიმურაზ ჯანგულაშვილის „ჯარისკაცური ცხოვრების თემაზე დაწერილი ლექსები, ოთარ ჭილაძის „ცირკი“, ოთარ მამფორიას „ერთი მუქა მიწა“, ზაურ ბოლქვაძის „მარადიული ცეცხლი“, „ნაზი კილასონიას

„გახსოვდეთ მარადის“, ფრიდონ ხალვაშის, გივი ძნელაძის, მიხეილ ქვლივიძის, ოთარ შალამბერიძის, გიორგი გიგაურის, მურმან ჯგუბურიას და ანზორ აბულაშვილის უკანასკნელ წლებში დაწერილი ლექსები.

რაც შეეხება თანამედროვე ქართული ლექსის ფორმალურ, ტექნიკურ მხარეს, სამწუხაოროდ, აქ ლიტერატურის მცოდნეს ხელდასაკაპინებელი სამუშაო არ დახვდება, ჩვენ პოეტებს შორის ახლა აღარავინაა გალაკტიონისებურად ნიადაგ მაძიებელი ახლებური რიტმისა და სალექსო კონსტრუქციების, არც ქართული სიტყვის წიაღში გიორგი ლეონიძისებურად ყელამდე ჩაფლული გვეგულება ვინმე. არსებობს თითქოსდა სტანდარტული, ყველასათვის სავალდებულო ვერსიფიკაციული დონე, ახალი სალექსო ფორმის ძიებით თავს არ იწუხებენ არც ისინი, ვინც თემატიკის ორიგინალურობით გამოირჩევიან და, ბუნებრივია, ეპიგონური მოეზია მეოცე საუკუნის დიდ ქართველ პოეტთა მიერ ოსტატურად გაჭრილი ლექსის ფორმალურ საშუალებათა ფართო არხში უქმაუროდ მიედინება.

ცდები როგორ არ არის, მაგრამ დღემდე ვერავინ ააშენა თავისი პოეზიის უაღრესად ახლებური, შეუვალი ციხე-კოშკი. მკითხველი სწორედ მისეულად რომ მიიჩნევდა. არ არის სწორედ ის, რასაც ბელინსკი „მეტყველების საკუთარ ენერგიას და ფორმის ალმასისებურ სიმაგრეს“ ეძახდა. აქ არ დავასახელებ იმ თითზე ჩამოსათვლელი პოეტების გამორჩეულ ხმასა და ინტონაციას მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ზოგ მათგანს ხარაჩოები ჯერ არ მოცილებია და, ვშიშობ, ეს გამორჩევა განხეთქილების ვაშლის საშიშროებად არ იქცეს მათვის.

ქართულ პოეზიას უანრული მრავალფეროვნებაც დაეტყო. ჯერ ერთი, „კრიზისიდან გამოვიდა“ და ახალ სიმაღლეებს ეზიარა პოემა, პოეზიის ეს მძიმე არტილერია და ურთულესი უანრი, კვლავ იქცა თანამედროვეობის ასახვის მოქნილ ფორმად. პოემის „დაბერების“ თეორია გაცამტვერდა, ლირიკული პოემის აღორძინებასა და უანრულ ფორმირებაში, ეპოქის ტემპერამენტთან და სპეციფიკასთან მისადაგებული, ახალი, თავისებური პო-

ემის შექმნაში უპირველესი წვლილი შეიტანეს ჯანსუდ ჩარკვიანის, ოთარ ჭილაძის, ტარიელ ჭანტურიას და გივი გეგეჭკორის ლირიკულმა პოემებმა. ლირიკული ლექსის გვერდით (რომელმაც მეოცე საუკუნის ჩვენს პოეზიაში საეტაპო მნიშვნელობა შეიძინა), აღორძინდა ისეთი მივიწყებული ფორმებიც, როგორიცაა ოდა, სონეტი, ეპიგრამა, ლექსი, პაროდია, ბალადა...

„ვაიმე ცუდის ლაყბითა თუ სული დავიზიანე“, – ასე ამ-თავრებს თეიმურაზ მეფე თავის ბრნყინვალე „ვარდ-ბულბულიანს“, რა დიდებული თავმდაბლობა და კდემაა იმის შეგნებისა, რომ რუსთაველიც პოეტი იყო და შენც პოეტი ხარ. არ მოგვეპოვება არავითარი ინფორმაცია, ეს ბუნებრივი ეჭვი დიდებულ თეიმურაზს რომ გაუჩნდა, გასჩენია თუ არა ჩემს თანამედროვე ზოგიერთ პოეტს. არა და რა სარგებლობას მოუტანდა იგი ჩვენი წლების ქართულ პოეზიას. დავილალეთ ზოგიერთთა სქელყდიანი, დიდებულად გამოცემული პოეზიის სუროგატის ფურცვლით. სათვალე გაცვდა, გული მეტკინა კითხვით და ფიქრით იმაზე, რომ ამ ხმადაყენებულ ბუნდოვანებაში სადღაც ვიპოვო-მეთქი ავტორის უნებურად გაპარული მარგალიტი ჭეშმარიტი პოეზიისა.

შეიძლება მაინცდამაინც მოდაში არ იყოს ბუალოს ციტირება, მაგრამ მე მაინც მინდა „პოეტური ხელოვნებიდან“ ერთი სტროფი ამოვნერო:

„Иной в своих стихах так затемнит идею,  
Что тусклой пеленой туман лежит над нею.  
И разума лучам его не разорвать,  
Обдумать надо мысль и лишь потом писать.“

ახლა, როცა ამ სტრიქონების დაწერიდან ოთხასი წელი გავიდა, რა ზედგამოჭრილია და როგორ ამოუდგება ხოლმე დღე-საც კრიტიკოსს მხარში ეს სტროფი ბუნდოვნად წერის მოყვარულებთან და გრაფომანებთან დამლელ კამათში.

რა არის ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო ქართველი პოეტის ტრადიცია თანამედროვეთა პოეტურ გენში გადმოსული? უპირველეს ყოვლისა ის, რომ ქართველ პოეტს არ დაუთმია ერის მებაირახტრის პოზიცია.

რა თვისებრივ სიახლეებს ვატყობ თანადროულ პოეზიას? უპირველეს ყოვლისა, სამ სიახლეს: მეტაფორული აზროვნების შესუსტებას, კლასიკური ლექსის წიაღში ვერლიბრის გაჩენასა და დამკვიდრებას, და კრიტიციზმის გაძლიერებას, რაც ძირითადად ირონიულ-პაროდიული ნაკადის მომძლავრებით გამოხატა.

უმიზეზოდ არაფერი არ ხდება და ქართული პოეზიის ეს სამი სიახლეც დრომ განაპირობა, როგორც ვხედავთ, პირველი ორი ლექსის ფორმას უკავშირდება, მესამე კი თემატიკას.

ცოტა იწერება დღეს მეტაფორული ლექსი (ამ სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით). ღმერთმა უწყის კარგია ეს თუ ცუდი, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ქართველი პოეტის საუბარი უფრო ლაკონიური, კატეგორიული, პირდაპირი გახდა. რა არის ამის მიზეზი, ურბანისტული ეპოქა? სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია? აჩქარებული დრო? ტრადიციული ლექსის ფორმალურ საშუალებათა ნაწილობრივი ამონურვა? იქნებ ცალ-ცალკე და ყველა ერთად.

მეტაფორული ლექსის ე. წ. „დაბერებას“ უშუალოდ უკავშირდება ვერლიბრის მომძლავრება. ოლონდ ვერლიბრი „ლექსის განთავისუფლების“ უკიდურესი ფორმაა და ამდენად თვალშისაცემიც. ფაქტობრივად, ლექსის ორივე უახლესი მეტამორფოზა ერთი მედლის ორი მხარეა, ისინი კი, ვინც თეორიულად ასაბუთებენ ვერლიბრის უნიადაგობას ჩვენს პოეზიაში და გააფთრებით ებრძვიან მას, კარგა ხანია განთავისუფლდნენ რომანტიკული, მეტაფორული აზროვნების სტილისაგან, საიდანაც ერთი ნაბიჯია ვერლიბრამდე.

ამ სტრიქონების ავტორის სურვილის მიუხედავად (ავტორისა, რომელიც რუსთაველის, ვაჟას და გალაკტიონის ჰანგებზეა გაზრდილი და კარგა ხანს ეჩოთირებოდა კიდეც თავისუფალი ლექსის მხატვრული უსამანობა), ჩვენს პოეზიაში ამ ბოლო ათწლეულში დიდი თვისებრივი ცვლილება მოხდა. ქართული ლექსის ობიექტური მემატიანე იტყვის რომ ამ საუკუნის სამოცდაათიან წლებში კანონიკური, ტრადიციული ლე-

ქსის გვერდით ქართულ პოეზიაში აღმოცენდა ვერლიბრი და თანამედროვე პოეზიაში ამ სალექსო ფორმის პიონერებად გვევლინებიან: ბესიკ ხარანაული, ლია სტურუა, მამუკა წიკლაური, გივი ალხაზიშვილი, გურამ პეტრიაშვილი, ჯარჯი ფხოველი და სხვანი.

უქმნის თუ არა რაიმე საშიშროებას ვერლიბრი რითმიან ლექს? პირიქით, ამ ორსახეობით ჩვენი პოეზია უფრო მდიდარი და თანამედროვეობასშეგუებული ჩანს. თუმცა ქართულ ვერლიბრს დიდხანს მოუწევს ცდა, რომ ტრადიციულ ლექსს ჩვენში სერიოზული მეტოქეობა გაუწიოს. ვერლიბრი ჯერ მუხლებგაუმაგრებელი ყმანვილია, ხოლო კანონიკურ ლექსს მთელი კლასიკური ქართული პოეზია უმაგრებს ზურგს.

იარსებოს ერთმანეთის გვერდით ტრადიციულმა და ნოვატორულმა, რითმიანმა და თავისუფალმა, ამით ჩვენი პოეზიის ფორმალური მასშტაბები უფრო გაიზრდება და გაფართოვდება, „მე სხვა მანუხებს, ისა ვთქვათ: „ურითმობას უნიჭობა ნუ შეეფარება. ერთ მშვენიერ დღეს არ გაირკვეს, რომ ურითმო ლექსს ზოგი თავისი უუნარობის გამო იშველიებდა. ნუ დაინერება მშვენივრად გაწყობილი რითმებით დემაგოგიური, დეკლამაციური, ყალბი სტრიქონები. ნუ ვაქებთ იმას, რაც არ გვჯერა, ნუ შევქმნით ამღერებული ლექსით საყოველთაო კეთილდღეობის და ჰარმონიულობის ილუზიას, ქვეყანას შენი ხელმომართული ცხოვრების გადასახედიდან ნუ უმზერ, დააკვირდი როგორ ფიქრობენ, რა დღეში არიან ათასები“.

ამ ოცდაათი წლის წინათ მე დავიცავი სადოქტორო დისერტაცია თემაზე „თანამედროვე ქართული პოემა“, პოემის განვითარების შესწავლამ ასეთ დასკვნამდე მიმიყვანა: სიუჟეტიანმა პოემამ თავისი დრო მოქამა, გალექსილი მოთხოვები აღარ სურს მკითხველს. მომავალი ლირიკულ პოემას ეკუთვნის. რადგანაც პროზის გაჩენამ და გაძლიერებამ დღის წესრიგში დააყენა ლიტერატურულ სახეთა გამიჯვნის პრობლემა. ის რაც პროზაულია, პროზას დავუთმოთ, პოეტური კი პოეზიას-მეთქი.

ეს წიგნი იმ დროს გამოვაქვეყნე, როცა ლირიკული პოემა მაშინდელ ახალგაზრდა პოეტთა რუდუნებით ეს-ესაა იბადებოდა, ხოლო ქართველ პოეტთა უმეტესობა ერთგულად წერდა სიუჟეტიან პოემებს. როგორც მწერალთა V ყრილობაზე ირაკლი აბაშიძემ თქვა – ეგონა პოემას წერდა და სინამდვილეში მოთხოვებას ლექსავდა. თავის ქებაში ნურავინ ჩამომართმევს და დრომ ჩემი ვარაუდის სასარგებლოდ იმუშავა. არნახულ მწვერვალებს ეზიარა ლირიკული პოემის უანრი. სიუჟეტიანი პოემები კი უიმედოდ შემოგვანდნა ხელში. უფრო მეტიც, შოთა ნიშნიანიძემ მთელის მონდომებით დაწყებული ეპიკური პოემა, რომლის არცთუ ურიგო ნაწყვეტიც გამოქვეყნებული ჰქონდა, აღარ დაამთავრა. ეტყობა, იგრძნო, რომ თანამედროვის სულის მხატვრული კვლევა სიუჟეტიანი, ე. წ. თხრობითი პოემის ბებერი უანრული კანონებით აღარ ხერხდება.

პოეზიის უძლიერეს ზემოქმედებას მილიონიან მასებზე ისიც განაპირობებს, რომ იგი სიტუაციასთან მისადაგების, მანევრი-რების გასაოცარ უნარს ფლობს. განსხვავებით პროზისაგან, ლექსი უპირატესად განწყობილებისმიერი ფენომენია. არის სიტუაცია, როცა სრულიად ზედმეტია და უადგილო ინტიმური, მედიტაციური ლექსი (ერთი წუთით წარმოიდგინეთ, გალაკტიონი, რომელიც ბარიკადებზე შედგება და ტყვიების კანონადაში დაიწყებს: „მთვარემ ღამე გაათია, შეწყდა ფიქრთა დინება, ღამის ორი საათია, შენ კი არ გეძინება“...) თუ ბარიკადულ სიტუაციას „მეგობრებო, წინ-წინ გასწით“ სჭირდება, სამაგიეროდ, „მთაწმინდის მთვარეს“ აღტყინებული განწყობილებით ვერ წაიკითხავთ. ამაშია პოეზიის უნივერსალიზმის საიდუმლო.

რაც შეეხება მოქალაქეობრივი და პატრიოტული ლირიკის განვითარების ტენდენციებს, უნდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ პოეზიის ორივე დარგი თუ სახე, მანამ იარსებებს, სანამ პოეზია იარსებებს საერთოდ. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ქართველ პოეტს ერთი დღითაც არ უცხოვრია საქეყნო საზრუნავის, თავის სამშობლოს მომავალზე ფიქრის გარეშე და არც მომავალში აპირებს.

ახალგაზრდები?

ქართველ პოეტთა ბევრი თაობა ვერ დაიკვეხნის დებიუტი-დანვე იმდენი სიახლის მოტანითა და დამკვიდრებით, რაც ჩვენმა სამოცდათიანელებმა შეძლეს. ეს ფაქტი ბევრისმეტყველია. ჩვენ პირველხარისხოვანი ახალგაზრდა პოეტები გვყვანან: თედო ბექიშვილის, გივი ალხაზიშვილის, ბესიკ ხარანაულის, იორამ ქემერტელიძის, მამუკა წიკლაურის, ჯარჯი ფხოველის, გრიგოლ ჯულუხიძის, გურამ პეტრიაშვილის, რაულ ჩილაჩავას, ვანო ჩხილავაძის, დოდო ჭუმბურიძის, ჯემალ ჩახავას, ზაალ ებანოიძის, ავთანდილ ყურაშვილის, თემურ ჩალაბაშვილის, დალილა ბედიანიძის, მზია ხეთაგურის, ვაჟა ხორანაულის, ვახტანგ ხარჩილავას, დავით მჭედლურის, იმედი ფახუას, ზევიად მუსერიძის, თამაზ ბაძალუას და ერთი ორი სხვა ახალგაზრდა პოეტის სახით.

ახლა უკვე უიმედო სკეპტიკოსებიც აღარ კამათობენ იმაზე, რომ ზემოთ ჩამოთვლილ პოეტებს აქვთ ლიტერატურული თაობის ყველა ნიშანი, ისინი გაპედულად ამკვიდრებენ მწერლობაში ახალ ფორმებსა და თემატიკას – სიახლის გრძნობა მათი უპირველესი და სანაქებო თვისებაა. თუმცა გამარჯვებულებს არ ასამართლებენ მაგრამ მე მაინც მინდა ჯიუტად შევახსენო ამ ჩემს მეგობრებს მათი შემოქმედების მთავარი ნაკლი: წმინდა, თვითმიზნური ესთეტიზმით ზედმეტი გატაცება, ლექსის დემოკრატიულობის მეორეხარისხოვან საქმედ მიჩნევა, საშიშროება იმისა, რომ მკითხველ მასას დაშორდნენ. იქნებ ეს გახლავთ მთავარი მიზეზი იმისა, რომ ორმოცს მიღწეული ბევრი ნიჭირი „ახალგაზრდა პოეტი“ დღეს გაცილებით ნაკლებპოპულარულია, ვიდრე წინა თაობის შემოქმედი იყვნენ მათს ასაკში.

ლიტერატურაში კრიტიკიზმი და სატირული ჟანრები მაშინ ძლიერდება, როცა ძველის, დრომოქმულის მსხვრევის დრო დგება („რათა კაცობრიობა სიცილით გამოეთხოვოს თავის წარსულს“). ჩვენი საზოგადოება თავგამეტებით იბრძვის თვითგანახლებისათვის და პოეზიაში ირონიულ-პაროდიული ნაკადის მომძლავრებაც ამ გარემოებამ განაპირობა.

ვერ მოგახსენებთ, რა აზრისაა მკითხველი, მაგრამ ირონიულ-პაროდიული ლექსი მე ლირიკის მძიმე არტილერიად მიმაჩნია. ტარიელ ჭანტურიას ერთ ლექსს „საქმოსანი“ ჰქვია: „ჯერ მეზობლების ოთახები შემოიერთა. მერე – სოფლები, ქალაქები, მერე ქვეყნები. ხოლო სულ ბოლოს – ჯოჯოხეთი. თავისი დიდი ქვაბებით და საუენიანი მუგუზლებით“. მე ახლაც ჩამესმის ყურში პოეტის მიერ თანამედროვე მომხვეჭელისადმი გამეტებით გაწნული სილის ექო.

ახლახან გივი ალხაზიშვილის ლექსების ახალი საინტერესო წიგნი წავიკითხე და ბევრ კარგ პოეტურ პასაუთან ერთად მეხსიერებაში ღრმად ჩამრჩა პაროდიული სახე დაქირავებული თოვლის ბაბუისა, რომელიც ტაქსით დარბის ერთი საბავშვო ბალიდან მეორისაკენ. ირონიულ-პაროდიული ლექსი ამ ბოლო დროს თითქმის ყველა ქართველი პოეტის მუზის საგანი გახდა, მაგრამ განსაკუთრებით მოერგო იგი ტარიელ ჭანტურიას, ვახტანგ ჯავახაძის, შოთა ნიშნიანიძის, გივი გეგეჭიორის, ემზარ კვიტაშვილის, ზაურ ბოლქვაძის და იორამ ქემერტელიძის შემოქმედებას.

პოეტი რომ სულიერ თანამგზავრად და ფიქრთა ჩემთა მოზიარედ მივიჩნიო, უამრავი კრიტერიუმით ვაკვირდები, ამიტომ ერთბაშად ყოველთვის მიჭირს ხოლმე თანამედროვეთა შორის ჩემი საყვარელი პოეტის დასახელება. ჩვენ, ყველანი მღელვარე შემოქმედებითი პროცესის მონაწილენი ვართ და გასაკვირიც არაფერია იმაში, რომ ჯერჯერობით ბოლომდე არც ერთმანეთის ფასი ვიცით და არც საბოლოოდ გვაქვს გამორკვეული ჩვენი დამოკიდებულება ამა თუ იმ პოეტის შემოქმედებისადმი. ერთს კი ხატზე დავიფიცებ: ლექსის კაცს – თუნდაც ყველაზე მოკრძალებული ნააზრევის პატრონს, დიდ პატივს ვცემ და სიყვარულით ვუცექრი. იგი ჩემთვის წმინდა კაცია იმ გასაგები მიზეზის გამო, რომ თავს პოეზიის ნათელი ადგას და შვიდფერი მუზისათვის შეუწირავს სიცოცხლე. რაც შეეხება სიყვარულს, არაჩვეულებრივი სითბო ჩამელვრება სულში, როცა ჭეშმარიტ პოეზიას წავაწყდები და ტკივილით შემეკუმშება გული, როცა

პოეტს რაიმე „შეეშლება“, როცა (სამწუხაროდ ასეც ხდება) ეშ-მაკს მიყიდის სულს, როცა იმედებს ვერ გამიმართლებს, მაშინ ჩემს გულში მისი სიყვარულის ნათურა საეჭვო ციმციმს იწყებს.

\* \* \*

თანამედროვე ქართული პოეზია მეოცე საუკუნის მსოფლიო ლიტერატურის ერთი ღონიერი შენაკადია.

უკანასკნელი წლების ჩვენი პოეტური ნიმუშების ერთი თვალის გადავლებაც დაგვარწმუნებს იმაში, რომ ჩვენი პოეტი თავისი ერის გულის მესაიდუმლე და მისი სულისკვეთების გამომხატველია.

პოეტმა საქმით დაამტკიცა, რომ იგია სწორედ სულიერი წინამძღვრისა, დიდი საქვეყნო საქმეებისაკენ მისი მომხმობი და დამრაზმველი.

გალაკტიონს ერთი ასეთი ლექსიც აქვს:

მე მივდიოდი ერთი,  
სადაც მაღალი ფერდი,  
ვით უძველესი ღმერთი,  
აღმართულიყო ცადა,  
ჩვენ მივდიოდით ორი,  
განვვლეთ ჭალა და გორი,  
შორი მთებიდან ქორი  
თან მოგვებოდა გზადა.  
ჩვენ მივდიოდით სამი,  
გზებზე დაეცა ნამი,  
იყო საღამო წამი,  
გამჭვირვალე და სადა,  
ჩვენ მივდიოდით შვიდი,  
ღამეც მოვიდა მშვიდი,  
და როს ცის არის მშვილდი  
გადმოეკიდა მწვერვალს,  
გავხდით ათასი მცველი –  
სულ ახალი და ძველი...  
ახლა მოვდივართ მთელი  
ლეგიონების წყება.

რა გენიალური წინასწარჭვრეტაა, რა საოცარი სიმფონიაა, რა ფერწერული სიცხადეა პოეტურ ხატთა.

როგორ უხდება და რა შესანიშნავად ასურათხატებს ჩვენი პოეზიის გვირგვინოსნის ეს სტრიქონები ქართველი პოეტების ლაშქრობას ქვეყნად სათნოების, თავისუფლებისა და სიკეთის გამარჯვებისათვის.

## თავი მეშვიდე

### ქვეყნის განახლების ცდა და მცენლობა

უკვე გაიარა საქართველოს ე. წ. დამოუკიდებლობის პირველ-მა წლებმა, დაცხრა ერთბაშად, იერიშით ქვეყნის განახლების ვნებები, წარსულს ჩაბარდა ერთი ხელის დაკვრით დემოკრატიული საზოგადოების აშენების ილუზიები. ხალხმა „ახლებურად“ ცხოვრების სათანადო გამოცდილებაც შეიძინა და ახლა საშუალება აქვს გონივრულად განჭვრიტოს განვლილი, მოვლენებს თავისი სახელი დაარქეას, აღნუსხოს ცალკეული გამარჯვებანი და მარცხიც გაისიგრძეგანოს, ამ ძნელ გზაზე რომ იწვნია.

მაგრამ „თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოება“ ჯერ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს და მას არც აღტაცება მოუხდება და არც ირონიული ქირქილი ზოგი შეცდომის გამო. უკეთესი ცხოვრების დამკვიდრებისთვის ბრძოლას გულშემატკივრის სიტყვა და საქმე სჭირდება.

საჯაროობის, პირუთვნელობის, დემოკრატიზმის დამკვიდრების ამ ისტორიულ ეტაპზე განუხრელად იზრდება მწერლის ავტორიტეტის, საზოგადოებრივი მისიის ზოგიერთი, წლების განმავლობაში მივიწყებული ნიუანსი.

მწერალს დაუბრუნდა ადრე მედროვე ჩინოვნიკთაგან უსაბუთოდ შეკვეცილ-შესწორებული უფლება – იყოს ეპოქის ობიექტური მემატიანე, ჭეშმარიტების ლამპრით წარუძვეს ქვეყანას და ურთულეს ისტორიულ ეპოქაში ადამიანებს ცხოვრების უკეთესად მოწყობის კეთილი რჩევა შესთავაზოს.

თუ გადავხედავთ ბოლო ათწლეულების ლიტერატურულ პრესას, ერთხელ კიდევ დავრწმუნდებით, თუ რა კეთილი ნაყოფი გამოიღო უგუნური ლიტერატურული შეზღუდვების და შემოქმედებითი შრომის ლიტერატურულ ჩარჩოებში მოქცევის, დამყაყებული პრაქტიკის ერთი ხელის დაკვრით უარყოფა-გაცამტვერებამ.

რა ხდება? იქნებ შემოქმედი კაცისათვის ამ „უნაპირო თავისუფლების“ მინიჭებამ ანარქია დაბადოს მწერალთა ცხოვრებაში, როგორც ეს ზოგ „ლიტერატურის სოციოლოგს“ ჰგონია? არამც და არამც.

ცხოვრებამ დროულად მიგვაქცევინა ყურადღება ჩვენს საქმიანობაში არსებულ ხარვეზებზე და ჩვენდაუნებურად დამკვიდრებული ზოგი ნაკლის გამოსწორების გზები დაგვისახა.

ის, რაც ახლა დავგმეთ, ათელი წლების განმავლობაში სამარცხვინო ლაქად აჩნდა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას და როცა ამ ადვილადმოსაშორებელ წყლულზე ჩვენთვის თავდახრით ჩავილაპარაკებდით, „ამხანაგებს“ წყრომა ჩაუდგებოდათ თვალებში და დაბეჯითებით „გვთხოვდნენ“ დაუკრეფავში არ გადავსულიყავით, სახელმძღვანელო მითითებების რევიზიისაგან თავი შეგვეკავებინა.

არა და, ანგარიშმიუცემელი შეზღუდვები ცხოვრებას უმნარებდა მწერალთა მთელ თაობებს. სწორედ ეს უსაგნო თითის დაქნევები და კატეგორიული „რჩევა-დარიგებანი“ ამუხრუჭებდა ლიტერატურის განვითარებას და მსოფლიოს ლიტერატურულ ბაზარზე ჩვენს მწერლობას უმართებულო, საძრას ეპითეტებს უგროვებდა. ჩვენში ხშირად ოფიციალური კრიტიკის მიერ აღიარებულ, ურაოპტიმიზმის ნიშნით აღბეჭდილ ნაწარმოებებს შინაც და გარეთაც მკითხველი გულგრილად ხვდებოდა, ხოლო ლიტერატურას ის თხზულებები უხვეჭდა სახელს, რომელთა ავტორებსაც, ცოდვა გამხელილი სჯობს, უჭირდათ წიგნის იმგვარად გამოცემა, როგორც მათი ხელიდან იყო გამოსული. მათი გვარები მხოლოდ მაშინ მოხვდებოდა (ან მოხვდებოდა, ან არა) ოფიციალურ მოხსენებებში კარგ მწერალთა შორის, როცა ფართო მკითხველი საზოგადოება და მსოფლიოს პროგრესული აზრი შემოქმედის მაღალნიჭიერების აღიარებაში ერთსულოვანი იყო. ამგვარი ბედიც, მოგეხსენებათ, მხოლოდ ერთეულთ თუ ხვდებოდათ. ხოლო ისინი, ვისაც ჩვენი არამკითხე ჩარევით გული გავუტეხეთ, ზოგჯერ კალამ-საჭრეთელს ძირს სდებდნენ და საზოგადოებრივ ასპარეზს გაეცლებოდნენ ხოლმე. ყოველი

ჭეშმარიტი ხელოვანისთვის გულისტკივილის და სირცხვილის საგანი იყო გვერდით ჩავლილი ნიჭიერი მწერალი, „რომელმაც ლიტერატურულ საქმიანობას აუხსნელი მიზეზის გამო თავი გაანება“, თავისი შემოქმედებითი დებიუტით ფრიად საყურადღებო კინორეჟისორი, რომელიც კარგა ხანია ფილმებს აღარ იღებს და მეპარკეტეობით ირჩენს თავს. და გადადიოდა მერე ხელიდან ხელში, ბინიდან ბინაში ე. წ. რემენგტონული ლიტერატურა, იქმნებოდა ილუზია იმისა, რომ გარდა „ოფიციალური მწერლისა“, ჩვენში არსებობდა სხვა, იატაკვეშური ლიტერატურა. ამ უკანასკნელ ტომეულებში, ხომ ფაქტია, რომ ტენდენციური თხზულებების გვერდით, არაიშვიათად, აშკარად ნიჭიერებით გამორჩეული ნაწარმოებიც გაკრთებოდა.

მახსოვს, როგორ „მირჩია“ ევროპის ერთ-ერთ ლიტერატურულ სიმპოზიუმზე გამოცდილმა „კოლეგამ“ ჩემს გამოსვლაში „ქართული ლიტერატურის“ ნაცვლად ყველგან „საბჭოთა ლიტერატურა“ ჩამენერა და, საერთოდ, ნაკლები ელაპარაკა ეროვნული მწერლობის ტრადიციებზე. მახსოვს, რამდენიმე წლის წინ უცხოეთის ერთ-ერთ ქვეყანაში ჩვენი ლიტერატურული დელეგაციის წევრებს კოლექტიური უარი რომ გვათქმევინეს მასპინძლების მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე, გვენახა „დოქტორი უივაგო“. მთლად გასაგები ჩემთვის არც ის იყო, ერთმა ჩემმა კოლეგამ რომ დამმოძღვრა ტოკიოში ყოფნისას: „ხვალ ტარკოვსკის „ნოსტალგიას“ ვნახავთ და, თუ კაცი ხარ იაპონელ უურნალისტებთან მისი შეფასებისგან თავი შეიკავეო“, თვით გამოცდილი, ნავალი მწერალი ბრძანდებოდა, და, ალბათ, უკვე მოეხსნებოდა, რასაც მირჩევდა, მაგრამ საიდან ჩაიბუდა მის არსებაში ამ აუხსნელმა, უაზრო სიფრთხილემ? განა რას ვიტყოდი მე, პროფესიონალი ლიტერატორი, ქართველი მწერალი „ნოსტალგიაზე“ ასეთს, ან ჩემი კაცობისთვის ყოფილიყო შეუფერებელი, ან ჩვენი პრინციპებისთვის უცხო?

ხომ ფაქტია, რომ ყოველგვარი ძალდატანება, ტლანქი ჩარევა შემოქმედის საქმიანობაში მის ფაქიზ სულზე სამუდამო შრეებს ტოვებს? როცა ხელოვანს ეჭვის არეალში მოვაქცევთ და

ანგარიშმიუცემლად დავაბრალებთ იმას, რაზეც არც უფიქრია, რკინის ნერვები უნდა ჰქონდეს, რომ წონასწორობა არ დაკარგოს, გული არ გაუტყდეს იმის მიმართ, რასაც წლების განმავლობაში ეუბნებოდნენ (კინალამ წამომცდა ჩასჩიჩინებდნენ-მეთქი).

მე რომ მკითხოს კაცმა, ხალხის უპირველესი მტერი სწორედ ის იყო, ვინც ჩემის ნაცადი მეთოდებით, საკუთარი ინიციატივით აუკუნა ზოგ ჩემს ნაცნობ მწერალს თხზულება და მერე, საკუთარი ინიციატივითვე, როგორც პოზიციურად საშიში უურნალიდან, თუ წიგნიდან ამოიღო და შინ გაატანა. ხდებოდა ისე, რომ ეს ეჭვიმიტანილი ნაწარმოები მერე, იქნებ ავტორის ნების გარეშე, საზღვარგარეთ გააღწევდა და ასე მრავლდებოდა დისიდენტური ლიტერატურის ფურცლები, „ლიტერატურული სიფხიზლის გუშაგები“ ივინყებდნენ ჩვენში იმ ე. წ. მკაცრს ოცდაათიან წლებში არსებულ პრაქტიკასაც კი, როცა მწერლის ნაწარმოები გამოქვეყნდებოდა და მერე კრიტიკა (პროფესიონალურ, ობიექტურ კრიტიკაზე მოგახსენებთ და არა ისეთზე, ამ ორმოცდაათი წლის წინათ მწერლებს „ხალხის მტრებად“ რომ აცხადებდა) გაარკვევდა, სად შეცდა მწერალი და სად იყო მართალი. ხელისუფლება ავალებდა სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის დაწესებულების ჩინოვნიკ-რედაქტორებს ჩარეულიყვნენ ნაწარმოების მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებში, გამადიდებელი შეუშით ეცქირათ იმ ადგილებისთვის, სადაც მწერალი საზოგადოებრივი წყლულის მორჩენის გზებსა და საშუალებებს ეძებდა. დასაშვები, დოზირებული მხილების პროკრუსტეს სარეცელზე რომ გაეზომათ თავის დროზე ილფის და პეტროვის თხზულებანი, ან დავით კლდიაშვილის სწორუპოვარი მოთხოვობები, რა დაგვრჩებოდა ხელთ? უნდა ვალიაროთ, რომ ზოგი ადრე მცირე შეცდომის დამშვები მოკალმისაგან მერე განაწყენებული მწერალი ამგვარი უხეში ზემოქმედებითაც გაკეთდა. რჩევის მიცემის, დარიგების, აღზრდის ნაცვლად ჩვენ მას მპრალდებლის ცივ გონებას ვახვედრებდით და მისთვის მწარე, სამაგალითო გაკვეთილის მიცემით სხვებს სიმართლის თქმის მადას ვუკარგავდით.

კაცმა რომ თქვას, არც იწერებოდა ჩვენში არაკეთილმო-სურნე კრიტიკით გაუღენთილი, ჩვენს ნაკლზე სიხარულგარე-ვით მოღალადე მწერლის თხზულებანი და მკაცრი რედაქტორის „ფხიზელი თვალი ხშირად ამახინჯებდა იმას, რაც ადამია-ნის სულზე სასიკეთო გავლენას ახდენდა. დღეს სინანულით ვლაპარაკობთ რედაქტორულ რეციდივებზე, დაძაბული ატმოს-ფეროს ხელოვნურად შექმნაზე, უგემოვნო მოხელისთვის მიცე-მული მაკრატლის მიერ წლების განმავლობაში შესრულებულ შავბნელ როლზე, ჭეშმარიტი ლიტერატურული უპრაგონო კრა-ჭა-კრუჭზე.

ახლა ჭეშმარიტად სხვა დრო დადგა. ამ ბოლო დროს, თითქოს მწერლის სიტყვას მეტი წერა მიეცა და სხვა ფასიც დაედო. მწერალს ახლა აღარ უყურებენ, როგორც მხოლოდ და მხოლოდ ლამაზი სიტყვის კაცს, რომელიც ტრიბუნაზე ბოლო-სწინა მოკამათედ გამოვა და დაღლილ მსმენელთ მოსწრებული თქმებით სავსე, ლირიკულ, მაგრამ საქმისაგან მოშორებულ სიტყვას ეტყვის. დღეს სათანადო უწყებებს წინადადება ეძლ-ევათ ურთულესი ინდუსტრიულ-ეკონომიკური წამოწყებების რეალიზების დროს ყურადღებით მოეკიდონ მწერლის სიტყ-ვას, რადგანაც იგი (მწერლის აზრი) წინგამხედავია და ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

ახლებური, დემოკრატიული აზროვნება ასეთ მაგალითს იძლევა, რომ ვფიქრობ, უფრო დიდი და ჩქარი ნაბიჯებით უნდა ვიაროთ, რათა ფეხი ავუწყოთ, მხარდამხარ მივყვეთ ჩვენს ქვეყ-ანაში მიმდინარე ეროვნულ მოძრაობას, ეპოქალურ ძვრებს. აქაც ავანგარდში კვლავ მწერალი უნდა იდგეს, მან უფრო თამამად უნდა აუშვას უკომპრომისო, ქვეყნისთვის საჭირო და გამოსა-დეგი სიტყვის აფრა, შეაგულიანოს მილიონები თავისუფლები-სთვის საპრძოლველად.

დღეს თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დემოკრატიზ-მის დამკვიდრების, გარდაქმნის გრძელ გზაზე პირველი რთული მოსახვევი გავლილია. პირველი წარმატებები მოპოვებულია. ეს წარმატებები იმდენად მატერიალური ცხოვრების სფეროს არ

დასტყობია, რამდენადაც ჩვენს სულიერ ცხოვრებას დაეტყო. ადამიანის შეგნებაში მომხდარი სასიკეთო ძვრები კი, მოგეხ-სენებათ, იმის სასიკეთო გარანტიაა, რომ ჩვენ, დიახაც, შევ-ძლებთ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვებას. ავამუშავებთ ყველა რეზერვს, რათა წლების განმავლობაში დამ-კვიდრებული უგერგილობისა და უთავობის, ვოლუნტარიზმისა და უყაირათობის მავნე შედეგები დავძლიოთ, ხალხს დაპირ-ებები კი არ ვაწოდოთ მოსალოდნელ, საამურ ცხოვრებაზე, არ-ამედ დღესვე მივცეთ გარანტია იმისა, რომ მისი ნამუშავევი სათანადოდ შეფასდება.

ურთულეს ამოცანას შევჭიდებივართ. ომის მოგების ტოლ-ფასი გარჯა მოგვიწევს სასიკეთო გარდაქმნის განსახორციელე-ბლად. ჩვენ წინაშე აღმართულია კორუფციის, არაჯანსაღი კარიერიზმის კედელი. ეს კედელი დღითი დღე იზრდებოდა ჩვენს თვალწინ, ხოლო ღონისძიებები, თავიდან მის ასაცილე-ბლად რომ მივმართავდით, ხშირ შემთხვევაში იმდენად უძიმდა-მო იყო, რომ მოყვარული დიდებას საყვედურს უფრო ჰგავდა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ გატარებული ზოგი ნაჩქა-რევი ღონისძიების გამო ლამის შიშის ფსიქოზმა მოიცავა მო-სახლეობის დიდი ნაწილი, ხოლო ბოროტმოქმედთა ურდოებმა ერთმანეთი მოძებნეს, თითქმის ორგანიზაციულადაც კი გა-ფორმდნენ, რათა ნემეზიდას სასწორი აეცილებინათ თავიდან და შედეგი – მექრთამეობა უფრო შენიღბული, მაგრამ მასშტაბ-მომატებული შეიქნა. საქართველოს მთელი ქონება ერთი მუჭა „ნიჭიერი“ და ძლიერი კომბინატორების ხელში აღმოჩნდა. იგი ფაქტობრივად უმართავი, უკონტროლო გახდა. ხელმძღვან-ელობის საკმაოდ მაღალ წრებთან დაკავშირებულ იატაკქვე-შელ მილიონერებს, ალბათ, სასაცილოდაც არ ჰყოფნით ჩვენი ღაღადისი ახალი ადამიანის აღზრდის შესახებ, საყოველთაო მატერიალური თანასწორობის დამკვიდრებისა და პატიოსანი შრომის სუფევის შესახებ.

დაპირებებმა და ბენდიერი მომავლის ყალბმა თამასუქებმა დაღალა ბევრი ჩვენგანი. ამიტომაც ანგარიშგასაწევია იმ დაე-

ჭვებული კაცის სურვილი მის სიცოცხლეშივე მიიღოს, რაც ეკუთვნის და დამსხვრეულ იმედებად თან არ წაჰყვეს უკეთეს ცხოვრებაზე ფიქრი.

არიან მწერლები, მშვენივრად რომ ესმით მართალი სიტყვის ძალა და საჭიროება. თავიანთი გამოსვლებით და პრაქტიკული საქმიანობით სწორედ ისინი იძლევიან განახლების, გარდაემნის მაგალითს. ისინი გუშინაც მწარედ განიცდიდნენ ფუჭსიტყვაობის, უბეში ბანდიტთა შეფარების გამხრწელ გავლენას საზოგადოებაზე და დღესაც უკომპრომისოდ მისდევენ სხვა ვარსკვლავს – სიმართლის, პატიოსნების, უანგარობის გზას. მათ მიერ შემოკრული დემოკრატიულობის და საჯაროობის ზარის ხმა ზოგის ყურში თუ სულთათანად გაისმის, ზოგისაში სკეპტიკიზმისაგან გასქელებულ ყურის ბარაბანს აწყდება და გაუკულმართებულ ექიდ ბრუნდება უკან.

შეიძლება, კვლავ გაიმარჯვოს განუკითხვაობის, სუბიექტივიზმის, პირადი ანგარიშსწორების ტენდენციამ. კვლავ შეიძლება ოთხი წელი ელოდოს მაყურებელს „მონანიება“, კვლავ შეიძლება ხელი დააფარონ სოციალური სიმართლის შემცველ მხატვრულ სიტყვას, და კარგა ხნის მერე, უკან მიდევნებული ლაპარივით, მაშინ მიაწოდონ საზოგადოებას, როცა იგი მოვლენათა ცხელ კვალზე დაწერილად აღარ აღიქმება. კვლავ შეიძლება გუნება აგიმღვრიოს კურდღლის შიშით შეპყრობილმა კაცმა, რომელსაც გუშინინ ყური აუნიეს შემთხვევით „გაპარული“ სტრიქონებისთვის და დღეს ისე ფხიზლადაა, რომ უმტკივნეულო მხატვრულ სიმბოლიკაშიც კი რაღაც ნაღმს ხედავს. კვლავ შეიძლება ხალხის მტრად მიგიჩნიონ იმის გამო, რომ იაპონიაში ყოფნისას გაბედე და რომელიღაც კომპიუტერი, ან ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების პრინციპი მოგეწონა.

საზოგადოებრივ აზრს უნდა მივაპყროთ სასმენელი. საზოგადოებრივ აზრს მისი უკეთესი შვილები, საღად მოაზროვნე ერთეულები ჰქმნიან! რა საზოგადოებრივ პროგრესზე შეიძლება ლაპარაკი, როცა სიტყვით საჯაროობას ქადაგებენ, ხოლო სინამდვილეში, ანდაზის კუსავით გიცქერენ („კუმ ფეხი

გამოყო...“), როცა წინასწარ იცი, რომ შენს წამოყენებულ წინა-დადებას შესრულება არ უწერია, ხოლო შენს კრიტიკულ გამოსვლას პირად მტრობად შეაფასებს ის, ვის ძალაუფლებაზეც შენი ცოლ-შვილის რჩენის ბედია დამოკიდებული.

ჩვენ ჩვენს საქმეს ჩავულრმავდეთ და უშველოთ. დავამთავროთ ერთხელ და სამუდამოდ, სხვების თვალში გამოსაჩენად, ნაძალადევი გარეგნული გალამაზებისთვის დაუბანელ სახეზე ფერუმარილის წასმა. ჩვენი წამდვილი სახით წარვუდგეთ მსოფლიოს. ეს სახე ქარ-წვიმისაგან, წუთისოფლის ჭიდილისგან დაღლილ-დაღარულა, მაგრამ ჯანსაღია და მკვრივი, იგი რწმენადაბრუნებული კაცის იმედიანი თვალებით წინ იმზირება.

ახლა ლიტერატურის ამოცანა ის არის, რომ მთელი ენერგია ცხოვრების ახალი სტილის – დემოკრატიზმის დამკვიდრებას მოახმაროს. საჭიროა არა სურვილის გამოთქმა და გარდაქმნის საჭიროების დამტკიცება, არამედ კონკრეტული გზა-საშუალებების გამონახვა და ჩვენება, საჭიროა არა უმთავრესი ყურადღების გამახვილება წარსულის შეცდომების მიმართ, არამედ სინამდვილისთვის თვალის გასწორება და საყოველთაო ფარზე აზიდვა იმ სადღეისო პრობლემებისა, ყველა ჩვენგანის საერთო საზრუნავს, ეპოქის უპირველეს ამოცანას რომ წარმოადგენს.

ახლა წლების განმავლობაში ლოდინით დაღლილებს თუ რაიმემ შეიძლება გვიღალატოს, ეს არის ჩვენი ნებისყოფა, რადგანაც არაერთხელ პირთამდე აივსო და უშედეგოდ დაიცალა ჩვენი მოთმინების ფიალა.

უკან დარჩა მასობრივი მოტყუებების და ყალბი დაპირებების ოცნებულები, მაგრამ ურნმუნობების დაავადება მძლავრი ვირუსივით მოსდებია ბევრ ჩვენგანს და ვერც დასძრახავ იმ სულსწრაფობისთვის, სინამდვილე მის სკეპტიკურ გონებაში რომ კითხვას დაბადებს: „მესამე წელი მიდის რევოლუციიდან, რა შევცვალეთ? რატომ გაძვირდა ბაზარი ამ საჯაროობის და ეკონომიკური აღორძინების დაჩქარების ვითარებაში?“

მართალია ამ შეკითხვის ავტორი, მაგრამ მხოლოდ წაწილობრივ არის მართალი. ძნელზე ძნელია ათეული წლობით

ნამუდრების გამოსწორება. ღრმად შეგვიტოპავს განუკითხაობის ჭაობში. დაუჯერებელ რეციდივებზე გვიამბობს პრესა: სამძებრო ორგანოებს ბრილიანტებით სავსე კუბოები ამოაქვთ თანამედროვე სარკოფაგებიდან, პიროვნების აბუჩად აგდების მეთოდები ისე „დახვენილა“, რომ მავანს კერძო საკონცენტრაციო ბანაკის მსგავსი დაწესებულების შექმნის სითავხედე მოსვლია ჭკუაში.

დაბნეულობის საცერი ახლა ძალუმად დგანდგარებს. არაერთი ქალაქის თუ რაიონის ხელმძღვანელს, მინისტრს თუ მის მოადგილეს შეხვდებით ახლაც, რომელსაც მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ კონკრეტულად რას ნიშნავს თვითდაფინანსება, არჩევნების დემოკრატიზაცია, საჯაროობა...

დიახ, გარდამავალ ეპოქას მშობიარობის ტკივილებიც ახლავს და განახლების ფაციულურში შეიძლება მაღალ ტრიბუნაზეც აგვეპაროს პირნავარდნილი დემაგოგი-კარიერისტი, რომელიც ხელმძღვანელ „ამხანაგებს“ ხმაგანაზებული მიმართავს; გვიშველეთ, მოყვასთაგან დაგვისხენითო, რომელიც თავის მგლურ სიტყვაში კოლეგებს საძრახი სიტყვებით მოიხსენიებს და თვით უნიჭო – თვითმარქევია კვალის დასაფარავად სხვას უთითებს; იქნებ ჩემი წაჯექუჯექობანი და ყოველი დროვითარების შესაფერისი დაროკებები აღარ გაახსენდეთო.

სუფთა გულისა და სუფთა ხელების მქონე მწერალი სჭირდება დღეს საქართველოს.

დემოკრატია ლიტერატურაში იმას კი არ ნიშნავს, ლიტერატურული ორგანოები ურთიერთობამომრიცხავი, უმნიფარი ფრაზებით გავავსოთ და ყოველ მომდევნო ნომერში ბოდიში ვიხადოთ წინა ნომრებში დაბეჭდილი აბდაუბდის გამო.

თავისუფალი მწერლობა გაბედული და მართალი, მაღალმხატვრული სიტყვაა ქვეყნის ასაღორძინებლად, ერის გამოსაღვიძებლად დარხეული იმ შემოქმედის ბაგეთაგან, ვისაც თავის ერთან საუბრის მორალური უფლება წლების განმავლობაში მონოლითური სულიერი ცხოვრებით მოუპოვებია.

უაღრესად საინტერესო ეპოქას განვიცდით, დაიძრა ის

ყინული ფილოსოფიური დოგმების ბრმად მორჩილ მედავითნეს სამარადისოდ მტკიცე და შეურყეველი რომ ეგონა, ხოლო ქმედებით გონებას ადრე თუ გვიან განსასჯელ-შესაცვლელი. ამიტომაც პირველს ანაქრონიზმად მიაჩნია, რაც ახლა ცხოვრებასა და ლიტერატურაში ხდება, მეორეს კი – კანონზომიერ მოვლენად.

მაინც რა ხდება?

დამთავრდა XX საუკუნე და საზოგადოებრივმა აზრმა გადასინჯვა დაუწყო არაერთ „დაკანონებულ“ სოციალურ მოვლენას, ჭეშმარიტმა კრიტიკამ მაღალი თაროებიდან ჩამოილო „საბჭოთა კლასიკად“ ქცეული რამდენიმე თბზულება და მისი ხელახლა წაკითხვა შემოგვთავაზა. ახლა უკვე იმის გათვალისწინებით, იყო თუ არა მართალი ეპოქალური მოდელი, ავტორი რომ წლების განმავლობაში ამკვიდრებდა და, ამდენად, აქვს თუ არა უტყუარი მორალური ფილოსოფიური საფუძველი ერთ დროს თავდაუზოგავად ხოტბაშესხმულ და სხვათათვის მაგალითად დასახულ ნაწარმოებს?

შეცდომებზე სწავლის ქარაგმის მოშველიება ლიტერატურაში ვერაფერი ნუგეშია, მაგრამ ეს გარემოებაც უნდა იქცეს ზნეობრივ გაკვეთილად ზოგიერთი ჩვენი კალამაჩქარებული კოლეგისათვის. ღრმად აწონ-დაწონე, ასჯერ გაზომვის და ერთხელ გაჭრის ფოლკლორული სიბრძნით მიუდექი ხოლმე იმ ჭეშმარიტებს, რასაც დრო გვთავაზობს, თორემ ისტორია თავისას იტყვის და თავის გზას გაუყვება, დარჩები შენი უსაგნო „ლალადისების“ ამარა, მკითხველი კი, მიმტევებელი და სულგრძელი მკითხველი, ამდენ წაჯექუჯექობას არ გაპატიებს.

რამდენი ნიჭიერი მწერალი წავიდა ჩვენგან იმის წუნუნით, რომ იგი „მოტყუუბული კაცის“ მდგომარეობას განიცდის და სიამოვნებით იტყოდა უარს თავისი შემოქმედების პანეგირი-კულ ნაწილზე, გვიანი რომ არ იყოს. რამდენი ნიჭიერი მწერალი ვიცით, ახლაც სულს რომ უბერავს თავის კონიუნქტურულ მრავალტომეულებს, იქნებ ცოტა მაინც გამოვარჩიო ისეთი, დროს რომ გაუძლებსო.

სამაგიეროდ, ვიღას დავუმალო, კულისებიდან (ნებითი თუ უნებლიერ თავშესაფრებიდან) გამოდის არაერთი მწერალი და თავის კანონიერ ადგილს იჭერს ლიტერატურულ ორკესტრში. ვინც დააკვირდება, შეამჩნევს, რომ მის სახეს უმართებულო ტანჯვა – დევნის კვალი აზის, ხოლო თვალებს – შეუპოვრობისა და რწმენის ერთგულების შუქი.

გულუბრყვილო უნდა იყო კაცი, რომ ირწმუნო, თითქოს უკანონო შეზღუდვები უკან დარჩა, ლრუბლები განიმცვრა და გარდაქმნის ეპოქის მწერლები ერთბაშად თავისუფლებისა და დემოკრატიის სუფრასთან მიგვიწვიეს.

ილუზით თავის მოტყუების საყმაწვილო აცრები კარგა ხანია უკან მოვიტოვეთ. საშინელი სიტყვები გაისმა დღეს რუტინის ერთგული ლიტერატურულ რეჟიმისმოყვარული ზოგი პირის ბაგეთაგან: „არ აღმოვჩნდით მზად დემოკრატიისათვის, „მართლა ხომ არ გვითავთ, რომ გაუქმდა ის ყვითელი მაკრატელი, კრიტიკული აზრის შეკრეჭა-შელამაზება რომ ევალებოდა, მას იგივე ფუნქციები აკისრია და მისი ბეჭედი ისევ ბეჭდობს“, „ვერ ხედავთ, რომ არ გენდობიან? გარდაქმნაშიც ჩვენ ვართ წინა ხაზზე, ჩვენ, ვინც გარდაუქმნელობა დავაკანონეთ“. დამერწმუნეთ, ეს სისინი გაცილებით უფრო მტრულია, ვიდრე პოზიცია იმ გულგრილი კაცისა, არც გუშინ რომ სჯეროდა ჩვენი და დღეს ხელს თუ არ გვიშლის, ყოველ შემთხვევაში, ამ საყოველთაო ლაშქრობისთვის ფეხის აყოლების დიდ სურვილს არ ამჟღავნებს.

მეოცე საუკუნეში ქართველმა მწერალმა დიდი, საინტერესო ცხოვრებით იცხოვრა და ობიექტური ისტორიული ამ საუკუნეს ჩვენი კულტურის ისტორიაში მხატვრული აზრის ამაღლების საუკუნედ მიიჩნევს.

ჭეშმარიტმა შემოქმედმა ამ საუკუნეში რთული, წინააღმდეგობრივი ეპოქის ეჭვმიუტანელი სურათები შექმნა და სამოციანი წლების მიწურულს პირველმა მანვე ატეხა საგანგაშო ზარების რეკვა, როცა შეატყო, რომ ჭეშმარიტ სოციალურ ლირებულებებს შეცდომათა ბურუსი დააწვა და ქვეყანა „ნეგატიურ მოვლენათა“ ლაქებით დაიწინწკლა.

აქაც სასახელოდ ჩააბარა გამოცდა ილია ჭავჭავაძის სულიერმა მექვიდრემ. ერს მართალი, „გულის მოსაფხანი“ სიტყვა უთხრა და ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ იგი წუთითაც არ აპირებს დათმოს ერის მოძღვრისა და სულიერი მებაირახტრის პოზიცია.

ამ შეგნებით იბრძვის და ბორგავს ნამდვილი მწერალი, ხოლო მედროვის, კონიუნქტურის მსხვერპლის ჩალიჩი დიდ მასშტაბებთან რა მოსატანია, ყალბ „შემართებათა“ მედაფდაფეს თავისი ყოფნის – დასავინწყებლადა განწირული.

კრიტიკოსმა იუველირის სიფაქიზით უნდა გამოარჩიოს ლიტერატურის ზღვა მასალიდან განძი და სუროგატი. ხელდასაკაპინებელი სამუშაოა. საუკუნე დამთავრდა. გასარჩევია; ვინ შედეგიანად გაისარჯა და ვინ წყალი ნაყა. ამ დროს ლიტერატურის „ახლოით გამჩხრეცს“ არა და არ ეპატიება აცუნდრუკება და ყოველის მცოდნის პოზით უსაბუთო ლაილაი.

კეისარს კეისრისა...

„თავისუფალი საზოგადოების“ იდეა უაღრესად საჭირო და მომზიდვლელია, მაგრამ მის განხორციელებას ორი რამ უშლის ხელს: პირველი ის გახლავთ, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ დათრგუნვილი დემოკრატიის, დესპოტიზმის რეჟიმის ინერციით ცხოვრობს და გარდაქმნისათვის ფსიქიკურად მზად არ არის, მეორე – მთავრობა ჯერ კიდევ დიდ ანგარიშს უწევს „კონსერვატორთა“ უსაფუძვლო სიფრთხილეს, აჭიანურებს სათანადო კანონებით გარდაქმნის განმტკიცებას.

დრო გადის. დაყოვნება კარგს არას მოვიტანს. გარდაქმნის სამუხრუჭო მექანიზმი საეჭვო მასშტაბით ამუშავდა და სკეპტიკოსებს ამრავლებს.

თურმე ისე ოსტატურად გადავჩვევივართ ათეული წლების განმავლობაში დემოკრატიას, რომ მისმა პირველმავე გაფაჩუნებამ შეგვაკრთო და ზოგმა ხელმძღვანელმა სკივრში ჩალაგებულ სადრუნებები ბადეებს (რუსები „ნამორდნიკებს“ რომ ეძახიან) დაუწყო ძებნა.

კვლავ მოდაშია საკრიტიკოდ დაშვებული და დაუშვებელი თემები. „დაუკრეფავში“ თუ გადახვალ, გაბიაბრუება-განქიქების ფართო ფრონტით დაგესხმიან თავს.

„დასცხეთ თუნდაც ქვემეხებით,  
ოლონდ მე ნუ შემეხებით“.

წარსული აკრიტიკე რამდენიც გინდა. წარსულის რეციდივების თქმის თავისუფლებაც ხომ საქმეა, მაგრამ სავალალო ის არის, რომ ამ „თავისუფლებასაც“ ზოგჯერ კურიოზულ ფაქტებამდე მივყავართ. სტალინი თურმე იმდენად გულქვა იყო, რომ კრემლის ეზოში ბეღურებს საკენკს არ უყრიდა (იმ სტალინზე ხომ არ ამბობენ, რომელმაც ომში შვილდალუპული ყველა მშობლის სოლიდარობის ნიშნად ფაშიზმთან ბრძოლას საკუთარი შვილი შესწირა?), ბერია თურმე იმდენად ვერაგი იყო, რომ თევზაობის დროს ერთი ქვეშევრდომი კინალამ დახვრიტა – როგორ გაბედე და ჩემზე მეტი დაიჭირეო.

ამგვარი ლაყბობის გზით ვერ შევაძულებთ ხალხს იმას, რაც დასაგმობია, ამოჩემებული სამიზნეების ყბადალებული იერიშით უკუშედეგს ვიღებთ; წარსულის მიმართ დაუფიქრებელი კრიტიკანობით იმას ვაღწევთ, რომ თანამედროვეობაზე ნათქვამის გულწრფელობაშიც ეპარებათ ეჭვი.

ჯერ კიდევ ვერ გადავაგდეთ მოსაჩვენებლად გალამაზების, პომპეზური პარადომანის, მლიქვნელური ქების კორიანტელი და ჭეშმარიტ საქმეს ვერ ვენიეთ.

რა დემოკრატიაზე შეიძლება ლაპარაკი იმ საზოგადოებაში, სადაც თავისუფალი არჩევნები „ადგილობრივ ინსტანციებზე“ ვრცელდება, სადაც მერს თუ გამგებელს ხალხს არ არჩევინებენ.

ნუთუ არც იმის უფლება გვაქვს, „ალაგობრივად“ ჩვენს ტოპონიმებს მაინც მივხედოთ, ძალად გათათრებულ სოფლებს უძველესი ქართული სახელები დაუშებრუნოთ? ზოგი პარტიული ყოჩის მეტიჩრობით გადარქმეული უძველესი და კანონიერი

სახელწოდებანი ხომ დაუშებრუნეთ სენაკს, მარტვილს, ხონს, ოზურგეთს, ხარაგაულს?..

ქართველი მწერლის წინაშე ჩვენი ძნელი დრო განსაკუთრებული სიმწვავით აყენებს ორ უმთავრეს პრობლემას – ეროვნულს და სოციალურს. ყველაფერი უნდა ვიღონოთ ეროვნული კონსოლიდაციის იდეის დამკვიდრებისთვის, ჩვენი ენის განმტკიცებისა და მისი სამოქმედო არეალის გაფართოებისთვის, მხარში უნდა ამოვუდგეთ ხალხს ეკონომიკურად გაძლიერებისთვის, თავისი სახელი დავარქვათ მოვლენებს, ჭეშმარიტი გარდაქმნის მორალური კოდექსის გამარჯვება უნდა უზრუნველყოთ.

უნდა ვიცოდეთ და სხვებიც უნდა გავარკვიოთ, რა გზაზე იაროს ქვეყანამ, უნდა დავეხმაროთ ხალხს, ერთმანეთისგან დროზე გაარჩიოს მედროვე კარიერისტი – დემაგოგი და ერის ჭეშმარიტი პატრონი.

დაპირებების და ილუზიების მიჯნას ჯერ ვერ გავცდით.

და მაინც, განახლების სიომ ჯერ კიდევ საიმედოდ ვერ დაჰქროლა ჩვენს ლიტერატურას. ჯერ კიდევ იგრძნობა „დისტანციის თეორიის“ და ლიტერატურული მორცხვობის მავნე გავლენები. ხოლო უფრო სავალალო ის არის, რომ ლიტერატურული ექსტრემისტები წარსულის ხელალებით უარყოფის და ლიტერატურულ კერპთა განუკითხავი დამხობის გზას ადგანან.

განახლების ზარი ყველას უხმობს. ისტორიის ბორბალი დღეს ჩვეულებრივზე სწრაფად ბრუნავს და ჩვენი ვალია, ყველაფერი გავაკეთოთ, რათა უკანასკნელი წლების სიკეთეს დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს აშენების საშვილიშვილო მოძრაობას კონკრეტული საქმეებით ვუპასუხოთ.

მინდა მჯეროდეს, რომ სახალხო შემართება სასიკეთო შედეგს გამოიღებს.

სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს.

ერის სულიერ ცხოვრებაში მწერლობის განუზომელი ადგილი ძირითადად იმ გარემოებამ განაპირობა, რომ კაზმული სიტყვა ტრადიციულად ადამიანთა მაღალი იდეალების სამსახ-

ურში იდგა, ერის გულისთქმას გამოხატავდა, სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრძოდა, ფხიზელ გუშაგად ედგა თავისი ქვეყნის დვრიტას.

ლიტერატურის ეს დიადი მისია დღის წესრიგიდან არასოდეს მოიხსნება. მწერალი ეროვნული იდეალების მებაირახტრის ფუნქციას მეხოტბისა და თვალდახუჭული მგალობლის როლზე რომ გაცვლის, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი უარს ამბობს თავის ჭეშმარიტ მოწოდებაზე და იგავის ღამურას სავალალო ბედის-თვის განემზადება.

თანამედროვე ქართველ მწერალთა მეწინავე რაზმი მხარს უჭერს და შემოქმედებითად კვერს უკრავს იმ ფართო მოძრაობას ქართველი ერის ღირსების საქმედ რომ ქცეულა. ამიტომაც სრულიად ბუნებრივია ის სიყვარული და ყურადღება, რითაც მკითხველი საზოგადოება მისი გულის მესაიდუმლეს – მწერალს უპასუხებს, მაგრამ სამწუხაროდ, ლიტერატურის კაცი ყოველთვის როდი ამართლებს ჩვენი სულგრძელი მკითხველის იმედს. სახელდობრ:

არაერთმა მწერალმა უკანასკნელ ხანებში დათმო მებრძოლისა და ტრიბუნის პოზიციები და გამრთობის უჩვეულო ფუნქცია დაიტოვა. მომრავლდა არაფრისმთქმელი, ყალბირონიული ლექსები და აშკარად რებუსური პოემები. სიტყვით უონგლიორობა იქამდე მივიდა, რომ უურნალები და მათი დამატებები დღითი დღე ივსება აქტუალური, საჭირბოროტო პრობლემებისაგან დაცლილი არა მხოლოდ ახალგაზრდა მწერალთა თხზულებებით.

მწერალი რომ ერის მებაირახტრეა, მისი ნათელი იდეალები-სათვის მებრძოლი და წინსვლის გზათა მაჩვენებელი, ეს სადავო აღარ არის და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაა ამის უტყუარი ბეჭედი, მაგრამ იმისათვის, რომ მწერლის მართალმა სიტყვამ თავისი ფუნქცია შეასრულოს, იგი, უპირველეს ყოვლისა, მკითხველამდე უნდა მივიდეს. მწერლისა და მკითხველის ურთიერთობის გზაზე ამ ბოლო დროს არაერთი ბარიერი გაჩნდა. ეს პრობლემები ცხოვრებამ წარმოშვა და მათი გადაწყვეტის გზებზე სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ.

სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ფართო მკითხველამდე ვერ დადის ყოველივე საუკეთესო, რასაც სიტყვაკაზმული მწერლობა ქმნის. გატეხილად რომ ვთქვათ, ჩვენ მკითხველს თანდათან ვკარგავთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არსებობს „წიგნის ბუმი“, მაღაზიათა თაროებზე იშვიათად შეხვდებით მხატვრულ ლიტერატურას (არა მარტო კარგი წიგნი საღდება სწრაფად), რომ ხშირად ეწყობა შეხვედრები ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებთან და ა. შ. ყოველივე ამის მიუხედავად, შეკითხვაზე „თანამედროვე ქართველი მწერლის რა ნაწარმოებები წაიკითხეთ ამ ბოლო დროს?“ დიდი დარბაზები, რომელშიც სხვადასხვა განათლებისა და სოციალური მდგომარეობის მოქალაქენი სხედან – სდუმან. შთაბეჭდილება ისეთი იქმნება, რომ წიგნს ყიდულობენ, მაგრამ თავისუფალი დროის უქონლობის გამო ვერ ასწრებენ წაკითხვას. როგორც ირკვევა, განსაკუთრებით ცოტას კითხულობს ახალგაზრდობა, სოციოლოგიური გამოკითხვით დასტურდება, რომ ჩვენი მკითხველების სამოცდაათი პროცენტი დიასახლისები (რისთვისაც დიდი მადლობა მათ) ბრძანდებიან, მაგრამ მსგავსი სოციოლოგიური „მწარე სიმართლენი“ სანუგეშოს ვერაფერს აძლევს იმ ტიტანურ ესთეტიკურ სკოლას, რომელსაც მწერლობა ჰქვია და საზოგადოების სულიერი ბელადისა და წინამძღვლის ფუნქციის დათმობას არა და არ აპირებს.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ მწერლის სიტყვა კვლავინდებურად იპყრობდეს მილიონთა გონებას, რომ მხატვრული სიტყვის ადგილი ადამიანთა სულზე ზემოქმედების სხვა (და მათ შორის ხშირად საეჭვო ლირებულების) საშუალებებმა არ დაიკავოს?

გარდა საკუთრივ მწერლობის თემატურ-მხატვრული ხარისხის ამაღლებისა (რაზეც ზემოთ უკვე მოგახსენეთ), საჭიროა მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ყველა საშუალების მობილიზება, ჩაყენება ჭეშმარიტი მხატვრული ფასეულობების დახმარებისა და მხარდაჭერის სამსახურში.

ამ მხრივ საქმე არც თუ სახარბიელოდ გვაქვს.

მხატვრული ლიტერატურის შეფასების და პროპაგანდის უპირველესი ლიტერატურული სამსახური, მწერლობის უძველესი დარგი – კრიტიკა რომ თავის პირდაპირ მოვალეობას სათანადოდ ვერ ასრულებს, ეს ახალი ამბავი არ გახლავთ და მიზეზებზეც არაერთხელ გამახვილებულია ყურადღება. ჯერ ერთი, კრიტიკა ვერ წვდება ყოველივე კარგსა და საუკეთესოს, რაც მწერლობაში იქმნება. სალიტერატურო კრიტიკის სუბიექტური, კომპანიური ხასიათი საქმეს ვნებს, მითუმეტეს მაშინ, როცა ზოგი კრიტიკოსის კალამმა მხარდაჭერისა და თანამდგომელის ფუნქციის გარდა ცალკეული ლიტერატურული დაჯგუფების დაქირავებული პანეგირიკისა და ლიტერატურული ანგარიშგამსწორებლის ფუნქციაც შეიძინა.

რაც შეეხება რადიოსა და ტელევიზიას, ჩვენი პრესის ეს მძიმე არტილერიაც მხატვრულ ლიტერატურასთან მიმართებაში ჯერ კიდევ ძიების პროცესშია. მისი სპეციფიკური დანიშნულებისა და ჟანრული ბუნების გამო რადიო და ტელევიზია ჯერ კიდევ ვერ იქცა მწერლობის ღონიერ და მაღალ ტრიბუნად. ეს შეიძლება ითქვას რადიო-ტელემაუწყებლობის მუშაობაზე საერთოდ და არა მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის მასშტაბით. უაღრესად პოპულარულია „პოეზიის ხუთი წუთი“, მსმენელი თუ მაყურებელი არაერთხელ მოხიბლულა ლიტერატურულ გადაცემათა მაღალი დონით, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობს, რადიოსა და ტელევიზიაში მწერალი ჯერ კიდევ არ არის შინაური კაცი. ჯერ კიდევ იშვიათია მწერლის ხელოვნებაზე პროფესიონალური, შთამბეჭდავი საუბრები ეთერში თუ ცისფერი ეკრანიდან.

დრო მიდის, ჩვენი ეპოქა ტექნიკის სასწაულებს ახდენს. მწერლის ნახელავის მკითხველამდე მიტანის ფორმები კი ჩვენში ლამის უცვლელია. მწერალი კონსერვატიული პროფესიის პიროვნებად გამოიყურება. მაგნიტოფონების და ვიდეოკასეტების ფონერვერკი ჩვენში მწერლის პოპულარიზების საქმეს თითქმის არ შეხებია. არა და დრო კია. ამერიკაში და იაპონიაში მინახავს მაგნიტოფონის კასეტებზე ჩაწერილი ცნობილ მწერალ-

თა ლექსები, მოთხოვნები და რომანებიც კი, ან თვით ავტორი კითხულობს, ან მსახიობი. როცა მხატვრული სიტყვის ამგვარი ტექნიზაციის მიზეზი ვიკითხე, ამიხსნეს: დღიური შრომით დაღლილ თანამედროვეს, ზოგჯერ ძალა აღარ ჰყოფნის იმგვარი ძნელი ფიზიკური სამუშაოს შესასრულებლად, რასაც კითხვა გულისხმობს. წამოწვება, თვალებს დაბუჭავს, მაგნიტოფონის ჩართავს და მისი საყვარელი მწერლის ხმას ისმენს, ან ახალ ნაწარმოებს მოსმენით ეცნობაო. არის ამაში რაღაც საგულისხმო, ურბანიზმის მოქალაქისათვის დამახასიათებელი და ნიშანდობლივი. რატომ არ გვინდა ტექნიკის „ჩათრევას“ „ჩაყოლა“ ვარჩიოთ და ჩვენშიც საინტერესო წიგნებთან ერთად იყიდებოდეს კასეტებზე ჩაწერილი მხატვრული ლიტერატურა. მაშინ როცა ყოველ გაჩერებაზე იაფფასიან მუსიკალურ „ხელოვნებას“ კასეტებზე უგემოვნოდ გადაწერილს პიტნასავით გვაჩრიან ცხვირში, რა დაშავდება რუსთაველის და გალაკტიონის კასეტებიც გამოვუშვათ? ამით ჯერ ერთი მაგნიტოფონით გატაცებულ ახალგაზრდობას მხატვრული სიტყვისაკენ მოვაპრუნებთ და დეკლამაციის ოსტატ მსახიობებსაც მათთვისვე ეკონომიურად ხელსაყრელ საქმეს გავუჩენთ.

ნუთუ არ დადგა დრო კომპიუტერი ერთხელ და სამუდამოდ ჩავაყენოთ ქართული მწერლობის პოპულარიზაციის სამსახურში?

მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის და, საერთო ჯამში, მწერლის პოპულარობისათვის ხელშეწყობის წინაშე ვალშია ჩვენი კინოც. საინტერესო ახალი ნაწარმოების ეკრანიზება რატომდაც პროფესიონალიზმის დათმობად ითვლება, რეჟისორის თანაავტორობით „ორიგინალური“ საეჭვო მხატვრული ღირსების კინოსცენარის გადაღება კი კარგ ტონად. იშვიათზე იშვიათად ვქმნით ცოცხალ მწერალთა კინობიოგრაფიებს, კინოდიალოგებს, და კინოპორტრეტებს. ჩვეულებრივ, მწერლის გარდაცვალებიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ გაირკვევა ხოლმე, რომ ესა და ეს მწერალი, რომ იტყვიან, „არ იყო დასაკარგი კაცი“. მერე დავიწყებთ კინოქრონიკების ჩხრეკას და კი-

ნოარქივების თვალიერებას, მაგრამ გვიანაა და ვქმნით დოკუ-  
მენტურ ფილმებს მწერალზე, რომელშიც ყველა კარგად ჩანს,  
გარდა თვით ადრესატისა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სი-  
ცოცხლეში ამ მწერლის „გადაღებით“ არავინ დაინტერესებულა.

კაცმა არ იცის, ადამიანის ანთროპოლოგიურ-კულტურული  
განვითარების რომელ ეტაპზე გაჩნდა აზრის მხატვრულად გად-  
მოცემის, ანუ ადამიანის ცხოვრების ლიტერატურული ხერხე-  
ბით აღწერის ხელოვნება.

ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ იგი დამწერლობის წარმო-  
შობამდე გაჩნდა.

ვინ იცის, რამდენი საუკუნის შემდეგ ჩაწერეს ადამიანებმა  
გამოქვაბულის წინ მჯდომი კაცის დანამღერი თუ დანაკვნესი  
ფრაზები.

დანამღერი-მეთქი იმიტომ ვთქვი, რომ ინდოეთში, არაბეთ-  
ში, სპარსეთში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში პოეტის გამოსვლა  
თავისი მსმენელისა თუ მკითხველის წინაშე ხშირად სიმღე-  
რით სრულდებოდა. პოეტი და მომღერალი ლამის სინონიმებად  
ქცეულან.

აღარ მოვყები კაცობრიობის წინაშე მხატვრული ლიტერ-  
ატურის როლის შეხსენებას.

ეს ათასჯერ არის ნათქვამი და ცის ნათელივით ცხადია.

ადამიანის სული, პირველ რიგში, სწორედ მწერლობამ გაას-  
პეტაკა და გაალამაზა.

საუკუნეთა განმავლობაში მწერლობა იყო ერთადერთი ას-  
პარეზი ადამიანური აზროვნებისა – სიკეთეს, პატრიოტიზმს,  
სათნოებას რომ უნერგავდა ადამიანებს.

ისტორიული ჭეშმარიტებაა – სახელმწიფოში, სადაც არსე-  
ბობდნენ ტირანებიც და დემოკრატი მეფენიც, ყველაზე პოპუ-  
ლარული სწორედ, რომ მწერალი იყო.

მწერალი იყო კეთილდად პოპულარული.

მისი სახელისა შურდათ გვირგვინოსნებსაც კი და ყველაფერს  
აკეთებდნენ იმისათვის, რომ მწერლისათვის მიებაძათ.

ლიტერატურის ისტორია სავსეა ზოგჯერ აშკარად ნიჭიერი  
და ზოგჯერ ხელმოცარული მეფე-პოეტებით.

არაფერი აკლდა იმპერატორს; არც ხმალით შემოლხაზული  
იმპერია, არც სიმდიდრე და მლიქვნელთა თაყვანისცემა. აკლდა  
მხოლოდ მწერლის სახელი.

თუ კალმით ვერ გაუწევდა მას მეტოქეობას, ცდილობდა მწ-  
ერალი დაეახლოვებინა და კარის ჩინოსანთა ამაღაში მოექცია.

გენისებიც ვერ უძლებდნენ იმპერატორთან დაახლოების  
ცდუნებას, ხოლო ის თითო-ოროლა კალმოსანი, ვინც უარს  
იტყოდა, გვირგვინოსნის ნაბოძები ხალათი ეტარებინა, სას-  
ტიკად ისჯებოდა. უსამართლოდ დასჯილ მწერალთა გვარები  
არაერთი იცის ისტორიამ.

...და მაინც წიგნის კაცმა, ლამაზად თქმის ოსტატმა, გამოიარა  
ათწლეულთა ლაბირინთები და ჩვენს დრომდე მოაღწია.

მწერალი დღესაც იმ ადამიანს ჰქვია, ვისაც ღვთისგან თუ  
ბუნებისაგან მომადლებული აქვს უიშვიათესი გრძნეულება –  
ადამიანთა ურთიერთობაში აღმოაჩინოს განსაკუთრებული,  
ყველასათვის საყურადღებო, მაგრამ ასევე ყველასათვის მიუ-  
ნვდომელი ნიშან-თვისება, მხატვრული სახეებით აღწეროს იგი  
და შეუნახოს კაცობრიობას.

დადიან ისინი, გარებნულად ჩვეულებრივი ადამიანისაგან  
არაფრით განსხვავებული, ტელეპოპულარობას მოკლებული...

აწეული საყელოთი და ზოგჯერ გაცვეთილი მოსასხამით  
დააბიჯებენ ქუჩებში ჩველებრივ მოკვდავთა მსგავსად.

იხდიან კომუნალურ გადასახადს, ჯდებიან საზოგადოებრივ  
ტრანსპორტში და ხშირად სადილობენ იაფფასიან კაფე-ბარებ-  
ში.

მხოლოდ ღმერთმა იცია იმ ადამიანთა თავზე გამოსახული  
არამინიერი ცისფერი რკალის შესახებ და იმის შესახებაც, რომ  
შეიძლება ამ, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი მოკვდავის მაგიდ-  
აზე იდოს ნაწერი, მის ავტორს რომ ათასწლეულებში უკვდავ-  
ებას შემოუნახავს.

— ახლა სხვა დროა და უკვდავებსაც სხვა გაგება აქვს, — იტყვის ამ სტრიქონებზე დაეჭვებული ის მკითხველი, რომელსაც მაშინვე მთქნარება აუვარდება, როცა კაზმულ სიტყვაზე ჩამოვარდება საუბარი.

— ახლა XXI საუკუნეა ბატონო რევაზ, შეხედულებათა, რწმენათა, ღირებულებათა გადაფასების საუკუნე.

გამოუტყდით თქვენსავე თავს მწერლები, რომ თქვენ უძველესი, მაგრამ დღეს უკვე ყავლგასული პროფესიის წარმომადგენლები ხართ. ყავლი არ გასვლია სხვა უძველეს პროფესიას – ბოზობას. თქვენი ხელობა კი გაცვდა. ლექსის მკითხველი ახლა გაცილებით უფრო ცოტანი არიან, ვიდრე ლექსის მწერალნი.

მართლა ასეა? მართლა გულგრილი გახდა ცივილიზებული საზოგადოება აქილევსის რისხვისა, ბიატრიჩეს კდემის, ავთანდილის ანდერძის, ნატაშა რასტოვას ბედის მიმართ?

მართლა აღარ იწერენ ქალიშვილები უბის წიგნაკში გენიალურ პოეტთა გამონათქვამებს?

არც შეყვარებულები უმღერიან გიტარით ხელში, მთვარეს თვალმიპყრობილნი, უნატიფეს ასულებს გალაკტიონის და ბაირონის ლექსებს?

ადამიანთა ცხოვრების კულტურული თუ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ისტორიულ მოსახვევებზე მწერლობას არაერთხელ გადაფარებია იდეოლოგიურ მოდათა საბურველი.

ლიტერატურისადმი ინტერესიც საზოგადოებაში გარემოებათა გამო არაერთხელ შესუსტებულა, მაგრამ გასულა ცოტა დრო და ადამიანებს ისევ დაუწყიათ მისი სულის ღამეულ მესაიდუმლეთა – მგოსანთა ძებნა.

ხელისუფალთ ისევ პრესტიჟის საქმედ მიუჩნევიათ პოეტთა და მწერალთა ჭკვიანი შეძლების დაფნის გვირგვინით შემკობა.

როგორ არის საქმე, ამ მხრივ ახლა, XXI საუკუნის პირველ ათწლეულში?

ჩვენ, მწერლები, კვლავინდებურად ვეჯაჯურებით მხატვრულ სიტყვას.

კვლავინდებურად ვუღიმით, ვუღიმით და ველოლიავებით ჩვენს სარკმელთან ციდან დაშვებულ მუზას, კვლავინდებურად ერთგული ვრჩებით ჰომეროსის და რუსთაველის გაკვალული გზისა – კი არ გავუადვილოთ, არამედ გავულამაზოთ ადამიანებს ცხოვრება.

ჩვენ ნაფიქრალ-ნააზრევს ზოგჯერ ვსტამბავთ და მკითხველებამდე მიგვაქვს.

უმეტეს შემთხვევაში კი ლიტერატურულ სკივრებშიც ვაწყობთ.

ჩვენ, შეიძლება, ფულის შოვნის პრაქტიკულ უნარს მოკლებულნი ვიყოთ, რაკიდა სხვაგან ჰქონება, მაგრამ რეალობის გრძნობას მოკლებული არა ვართ.

ჩვენ კარგად ვიცით ჩვენი ადგილი და მოწოდება საზოგადოებაში და თუ ზოგჯერ კაცთა გულგრილობა გვაკვირვებს ხოლმე, სასოწარკვეთილებას როდი ვეძლევით.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ სიყრმიდანვე კაცთა მოდგმის შველის, სამშობლოს გადარჩენის მისია ვიტვირთეთ და ეს ტვირთი ბოლომდე უნდა ვზიდოთ.

ჭეშმარიტი მწერალი არასოდეს არ წუნუნებს ცხოვრების მოუწყლობლობაზე...

იშვიათად ზრუნავს პირად კეთილდღეობაზე.

მან კარგად იცის, მწერალიც ისე უნდა ცხოვრობდეს, როგორც მისი ქვეყანა ცხოვრობს.

და ისმის სრულიად ბუნებრივი კითხვა, როგორია, ანდა სად არის იგი, ვისაც ჩვენ ჩვენი სიცოცხლე და უძილო ღამეები მიუვადვენით?

ესმის თუ არა მას ჩვენი და არის თუ არა იგი ჩვენი ფიქრისა და განწყობილების თანამოაზრე?

ვერავინ დამაჯერებს, რომ წიგნისადმი ზურგის შექცევა ცხოვრების დაბალი ეკონომიური დონით სოციალურ-ყოფითი გაჭირვებით იყოს გამოწვეული.

ლიტერატურას მოქალაქე არამარტო საქართველოში გაუგრილდა.

რაც შეეხება საქართველოს, თავს მაინც უნდა გამოვუტყ-დეთ, რომ არ არის ისე გაღატაკებული ჩვენი ქვეყანა, კაცმა თვეში თუნდაც ერთი პარანინა წიგნის საყიდი ორი ლარი მაინც ვერ გადაირჩინოს.

გადახედეთ უცხოური მანქანებით გაჭედილ ჩვენს ქუჩებსა და გზატკეცილებს, შეიხედეთ საღამოობით პირთამდე სავსე რესტორან-ბარებში თუ კაზინოებში და ადვილად დარწმუნდებით ჩემი ნათქვამის სისწორეში.

ლიტერატურისადმი საზოგადოების ყურადღების სურათი მეტად სავალალოა.

სოციოლოგიურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ საერთოდ მხატვრულ ნაწარმოებს წერა-კითხვის მცოდნე მოაქლაქეთა მხოლოდ 4% კითხულობს. მათგან 90% დოკუმენტურ და დეტექტიურ პროზას ეტანება. ლექსებს, ძირითადად, თვით პოეტები და 16-18 წლის ახალგაზრდები კითხულობენ.

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ინტელიგენტს ჩანთაში გაცრეცილქალდშემოხვეული ბესტსელერი ედო და ნაცნობთაშორის რიგი იყო ჩამოწერილი, ვის როდის შეხვდებოდა იმ წიგნის წაკითხვის ბედნიერება.

ისევ სოციოლოგიური გამოკითხვის სავალალო სურათს და-ვუბრუნდეთ:

ჩემს სტუდენტებს ვთხოვე, გამოეკითხათ ორი საათის გან-მავლობაში რუსთაველზე ჩავლილი ნებისმიერი ასაკის და პრო-ფესიის მოქალაქე.

ლიტერატურისადმი მათი ინტერესის სურათი ასეთია: გამოკვლევის მიზნით, გამოკითხულთა 100-დან მხოლოდ ორმა დაასახელა მისთვის საყვარელი თანამედროვე პოეტი და პრო-ზაიკოსი. 100-დან ვერცერთმა ვერ დაასახელა რომელიმე ახ-ალგაზრდა მწერლის გვარი, რომლის ნაწარმოებმაც მისი ყურ-ადღება მიიქცია.

რა ფორმას არ მიმართეს სხვადასხვა ლიტერატურულმა ჯგუფებმა, როგორმე მკითხველი მხატვრული ნაწარმოებისკენ

შემოებრუნებინათ. რა პრეზენტაციის სალონები, რა წიგნის ბაზრობები, რა სატელევიზიო ლიტერატურული შოუები და მოგონილი პრემიების გადაცემები არ გამართეს, მაგრამ მწერ-ლისადმი მოქალაქეთა გულგრილობას არაფერი ეშველა.

სად წავიდა ის დღევანდელზე უფრო გაღატაკებული ქა-რთველი კაცი, ილია ჭავჭავაძის ნატერფალებს რომ კოცნიდა და რაჭა-ლეჩიშუმში სტუმრად ჩასულ აკაკი წერეთელს ერთიმეო-რეზე გადაჭდობილი ხელებით დაატარებდა?

ნუთუ სამუდამოდ დაგვშორდა?

თანამედროვე მსოფლიოს „კულტურულ“ ცხოვრებაში საკ-მაოდ გათვითცნობიერებულმა ნებისმიერმა ახალგაზრდამ მშ-ვენივრად იცის არაერთი საეჭვო დონის (და ასევე საეჭვო სექ-სუალური ორიენტაციის) შანსონეს თუ როკ-მომღერლის სახელი და გვარი. ვლაპარაკობ განსაცვიფრებელი მუსიკალური წარსუ-ლის მქონე იმ ქართველ ერზე, რომლის არაერთმა წარმომად-გენელმა უარი თქვა ქართული სიმღერის, თუნდაც ქართული საესტრადო სიმღერის გენიალურ ტრადიციებზე.

ელექტრონულ მასმედიაში ყოველდღიურად ყურს გვიყრუებს (ვიზუალურად კი გულს გვირევს) ზანგურ-ამერიკულ ჰანგებზე გაწყობილი არაეროვნული სიმღერის მოსმენა და შესრულების იმიტაციური მანქვა-გრეხვა.

კარები არ შერჩება – საქართველოს სახელმწიფო ფილარმო-ნიას, რომ ჩვენს ქვეყანას „წარმოუდგენელი ბედნიერება“ ხვდეს წილად და 10-12 წლის ბავშვების გარყვნაში არაერთგზის მხ-ილებული მაიკლ ჯესონი ჩამოვიდეს.

ისინი, ვინც გალაკტიონ ტაბიძის ლექსების შესაძენად 5 ლარს ვერ იმეტებენ, ქვას გახეთქავენ და მაიკლ ჯესონის კონ-ცერტზე ასდოლარიან ბილეთებს ისე შეიძენენ, ხელიც არ აუ-კანკალდებათ.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ არ გაამართლა ფი-ლოსოფოს-ესთეტიკოსთა ვარაუდი იმის შესახებ, რომ ფეშენებე-ლურ ცხოვრებისეულ პირობებში და მოდერნისტულ სოციალურ

ყოფაში მოქცეული ადამიანის სული გაკეთილშობილდებოდა, ლირიკული საწყისი იმატებდა პიროვნების ცნობიერებაში.

პირიქით კი მოხდა.

XXI საუკუნე კარგა ხანია დაიწყო და თანამედროვე ისტორიული კატაკლიზმების გულდასმით ანალიზი გვიჩვენებს, რომ ადამიანი უფრო გაუხეშდა, გატლანქდა.

განსაცვიფრებელი სულიერი სიფაქიზე, რაც ასე იგრძნობოდა აღმოსავლურ სარაინდო პოემებში, კლასიკოსთა თხზულებებში, სადღაც გაქრა, დაიკარგა...

თანამედროვე ადამიანის სულის ლირიზმი კი არა სრულიად აუხსნელი პრატყიციზმი ასაზრდოებს.

დააკვირდით, რა ინტერესით მიუჯდებიან ხოლმე ყველა თაობის ადამიანები ფსევდოტელევიზიის საშუალებით ჩვენს ოჯახებში შემოჭრილ 500-სერიან უგემოვნო, ჭუა-გონების გამრყვნელ ტელესერიალებს. შოუ-კონცერტზე ყურის ბარაბანს გიხეთქავთ გამაძლიერებილი დინამიკებით თქვენს სმენაზე დაშვებული ბაკებანალია.

მსოფლიო თავის პრობლემებს თვითონ მიხედავს, მაგრამ მე აბსოლუტურად მესმის ჩემი ახალქედა კოლეგებისა, რომლებმაც რაკი ადამიანთა სულებზე ზემოქმედების მხატვრული საშუალებები ხელიდან გაექცათ, გადაწყვიტეს ნემსის ყუნწში გამძვრალიყვნენ, რათა თანამედროვე მკითხველის ყურადღება მიეპყროთ.

იქნებ ორსტრიქონიანი პრიმიტიული და ხშირად ვულგარულ-უნდანური „ლექსებია“ პოსტმოდერნისტული ლიტერატურა?

იქნებ ნატურალიზმში და შიშველ სექსუალიზმშია მკითხველის ყურადღების გასაღები?

იქნებ გალაკტიონი მართლა მოქველდა და სულელური თვითმიზნური, თვით ავტორისთვისაც გაუგებარი ეგრეთ წოდებული ავანგარდისტულ-ფორმალისტურ-რებუსური ლექსი ან სახელოვანი ქართველი მეფის უილბლო სარეცელში არამკითხე შეჭვრეტის შედეგად შთაგონებული გაუკულმართებული სექსუალური სურათის აღწერაა პოსტმოდერნიზმი?

არ ვკიცხავ ამ ახალგაზრდობას.

რა ექნათ, აბა, მათ უნდოდათ მაიკლ ჯეკსონისკენ შებრუნებული მკითხველისათვის ეთქვათ: ჩვენ მოვედით, ახალგაზრდა ქართველი მწერლები და, კეთილი ინებეთ, შეგვამჩნიეთო.

მაგრამ ვაი, რომ მათ მიერ არჩეული გზა საეჭვო ნათების ლიტერატურულ შემოქმედებითი ხელოვნური ვარდებით არის მოფენილი.

ამ გზამ შეიძლება ცოტა ხნით მოგიტანოთ პოპულარობა, მაგრამ ამ ხერხებით შექმნილი ლიტერატურული ნაცოდვილარი დიდხანს არ შერჩება მკითხველის სულსა და გონებას.

საერთოდ XXI საუკუნის პარმალზე შეინიშნება ლიტერატურული მდინარის ერთგვარი ამღვრევა. ამღვრევა ეხება არა მარტო კაზმული სიტყვის თემატიკას და პრობლემატიკას, არამედ უანრულ სისტემას და ენობრივ ფენომენსაც.

ახლა ძნელი გასარკვევია, პოეზიაში მკითხველი უპირატესობას ტრადიციულ ეროვნულ ლექსს ანიჭებს თუ თვიმიზნურ ჩხირკედელობას ადამიანთა სულის ლაბირინთში.

ისეთი დრო დადგა, რომ სიტყვა „პოპულარულიც“ კი უხერხული მისასადაგებელი გახდა რომელიმე მწერალთან.

თითქოსდა არსებობს პოპულარული მსახიობი, პოპულარული სპორტსმენი, პოპულარული მომღერალი, მაგრამ პოპულარული მწერალი აღარ არსებობს, თვალდახელშუა სადღაც გაგვებნა.

სამწუხაროდ, XXI საუკუნეში კვლავ გვიხდება მიმნდობი მკითხველისათვის იმის შეხსენება, რომ სიტვების ჩხაკაჩხუკი და ერთმანეთთან დაუკავშირებელ ფრაზათა ლექსიკური თავსატეხი, პოეზია არადა არ გახლავთ.

არანაკლებ მძიმე სურათია ქართულ პროზაშიც.

პროზა ორი, ჩემთვის როგორც მკითხველისათვის აბსოლუტურად მიუღებელი ნაკლით ხასიათდება.

ეს საშიში ტენდენციები ლამის მიმართულებებად ჩამოყალიბდეს:

პირველი, აქაოდა განმკითხავი არავინ არისო, მწერალი უარს ამბობს უანრის რკინის კანონებზე (სიუჟეტი, ხასიათი) და გაუთავებლად წერს ყველაფერზე.

„მისი თხზულება“ კომპოზიციურად შეუკვრელი, ამორფული ასოციაციებია.

ვკითხულობთ ასეთ წიგნებს და გვეჩვენება, რომ მწერალი მკითხველს აბუჩად იგდებს, რომ თითქოსდა მაგიდას მიუჯდა იგი, ისე რომ მოფიქრებული არ ჰქონდა, რა უნდა დაეწერა.

გონების თვალით ხედავ ასეთი მწერლის ტანჯულ სახეს, ჭერზე თვალები აუპყრია, ფანქარს ღეჭავს და, დიდი ილიასი არ იყოს, თვალებს ისრესს, იქნებ ცრემლი მომივიდესო.

ვინ არიან ასეთი პროზის „გმირები“? უსახური, უასაკო, უმიზნო და, ღმერთო დაგვიფარე, მგონი უსქესო ახალგაზრდებიც კი, ბიჭი ბიჭს და ბიჭი გოგოს ერთნაირი ლექსიკით, ერთნაირი მთქნარებისმომგვრელი ფრაზებით და აშკარად უპატივცემლოდ ელაპარაკება. ამგვარი პერსონაჟის გონება მოუცავს ერთადერთ ტრივიალურ ფიქრს, რა გავაკეთოთ დღეს? რითი გავირთოთ თავი?

აჩქარებული ეპოქა ჩვენი ეპოქა.

ისტორიული მოვლენები და ამ მოვლენებთან ადამიანის მიმართება ელვის სისწრაფით იცვლება.

შებედვაც კი შეგემინდება მწერალს მხატვრული ნაწარმოებისათვის ისეთ, გლობალური მასშტაბის სულისშემძვრელ თემებს გვთავაზობს ჩვენი დრო.

რით არ არის გენიალური თემა ეპოქალური მწერლობის ხელში:

თერთმეტი სექტემბრის ამერიკული ტრაგედია და ბილ-ლად-ენის პიროვნება.

92-93 წლების ქართული ტრაგედია.

ერაყის ომი და სადამ ჰუსეინის თემა.

ან, თუ გნებავთ, ვარდების რევოლუციის ეპოქეა.

კარგა ხანია ვუტრიალებ XXI საუკუნის კამიკაძეთა თემას და ჯერჯერობით ვერ შემიბედავს.

წარმოიდგინეთ, რა ფიქრები უტრიალებდათ თავში, ან რა სიტყვებით ესაუბრებოდა ერთმანეთს ის ორი უბედური კაცი, ის ორი კამიკაძე, ვინც ჯერ თვითმფრინავის ეკიპაჟი განაიარალა, მერე საჭეს მიუჯდა და არაადამიანური ხარხარით – „წავედით!“ თვითმფრინავი ნიუ-იორკის 115-სართულიანი ცათამბჯენისაკენ მიმართა.

საიდან მოვიდა XXI საუკუნეში ასეთი ფანატიზმი, ასეთი ზიზლი, ასეთი სადიზმი ადამიანთა მოდგმის მიმართ?

დიახ, მაშინ როდესაც ირგვლივ სულისშემძვრელი ისტორიული კატაკლიზმები ტრიალებს, მაშინ როდესაც ჩვენი გონება გაოცების უნარსაც კარგავს, ამ დროს ზის ლიტერატურული ჭორიკანა მოდერნისტი თავის მოსაწყენ მაგიდასთან და ლიტერატურული პიჭუ-პაჭუებით მკითხველის ყურადღების მიპყრობას ცდილობს.

შედეგი?

უაღრესად სავალალო.

ქართველ მწერალს აღარ დასდევენ მეოცნებე ქალიშვილები, ავტოგრაფისთვის გამზადებული უბის წიგნაკით და უნაზესი ჩურჩულით: „თქვენ ისეთი კარგი ხართ, თქვენ პოეტი ბრძანდებით“.

ყველაფერმა ერთად მწერლისაგან თავისი ღვთიური ვალის დავიწყებამ და მკითხველისგან სრულიად აუხსნელმა უყურადღებობის ნაპერწკალმა შედეგად ის მოიტანა, რომ ადამიანი რომელიც ლექსებს არ კითხულობს, ადამიანი, რომელიც შორენა კოლონკელიძის ფეხის თითებს საკოცნელად არ დაეღირება, ტლანქ, უხეშ არსებად იქცევა, რომელსაც აღარც სამშობლოს ბედი ადარდებს და ვერც გაურბანისტებული სიყვარული მიანიჭებს იმგვარ ბედნიერებას, რა ბედნიერებასაც სიყვარული ანიჭებდა მადამ ბოვარს, ესმერალდას ცხედარზე

გადამკვდარ კვაზიმოდოს, თუ თამარ შერვაშიძისკენ მსრბოლ თარაშ ემხვარს – აქაფებულ, გაგიუებულ ენგურში რომ შეაგდო ცხენი.

ლიტერატურა ადამიანის აზროვნების ის უნიკალური სფეროა, ჩვენს თანამედროვეს სულის უტყუარ სარკეში რომ ჩაახედებს და მომავალს ეჭვმიუტანელ, პანორამულ სურათებს რომ შეუნახავს; ამიტომაც ყოველი ღონე უნდა გამოვიყენოთ, რათა მწერალს თავისი განუმეორებელი შარავანდედი შევუნარჩუნოთ და მკითხველის გულისკენ მწვანე შუქი გავუნათოთ.

## ასარჩევი

### თავი პირველი

ქართული ფენომენი – თანამედროვე ლიტერატურის უპირველესი საფიქრალი და საზრუნავი ..... 233

### თავი მეორე

თანამედროვე მწერალი ეროვნულ ფესვებთან ..... 255

### თავი მესამე

თანამედროვეობა და ლიტერატურის ამოცანები ..... 278

### თავი მეოთხე

თანამედროვე მწერლობა – ეპოქის მხატვრული მატიანე .... 314

### თავი მეხუთე

თანამედროვე ქართული პროზა ..... 357

### თავი მეექვსე

თანამედროვე ქართული პოეზია ..... 417

### თავი მეშვიდე

ქვეყნის განახლების ცდა და მწერლობა ..... 466

**РЕВАЗ МИШВЕЛАДЗЕ**  
**ИЗБРАННЫЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ**

в 25 томах

ТОМ XXIII

Издательство „Сакартвелос Мацне”  
Тбилиси 2013